ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

114/
2002

5-6

2002

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

წელიწადი 78-ე № 5-6 2002 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „მნათობის" რედაქცია

შინაარსი

პროზა, პოეზია

ოთარ ჭილაძე – გოდორი. რომანი 3
თამარ ერისთავი – ჩემი ფიქრის შუქ-ჩრდილები. ლექსები 90
გოჩა მანველიძე – ჩვეულებრივი ისტორია. მოთხრობა 93
ამირან მიქაუტაძე – ლექსები. 101
ჯემალ ინჯია – ლექსები 103
მურად ჭოლოკავა– ლექსები 104

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ანდრო ბუაჩიძე – „პოეტი" სუროგატების ქვეყნიდან 106
ავთანდილ ბესელია – ვახტანგ კოტეტიშვილი. XIX საუკუნის ქართული მწერლობა და 1921 წელი 110
იკა ქადაგიძე – მიხეილ ჯავახიშვილის „გივი შადური" 114

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი
(გაგრძელება)

ინტერვიუ

ზურაბ აბაშიძე – ცბიერი და ორპირი დიპლომატების ეპოქა ისტორიას ჩაბარდა 119

მეცნიერება

ნინო პოპიაშვილი – სედრაქი – ბრძნადმეტყველი ვეზირი 122
ქეთევან სოხაძე – „კავკასიური ზოდიაქო" 134
დალილა გედიანიძე – გამოცანები ქართულ ზღაპრებში 136
გიორგი მაჭარაშვილი – მეუფე კირიონი და მიხეილ თამარაშვილი 145
ვახტანგ გოილაძე – ქართველთა კოლონია IV–V სს. ქ. ედესაში. მისი მასაზრდოებელი ქართველური სამყარო 148

პუბლიკაცია

კონსტანტინე გამსახურდია – გამოძახილი. წინასიტყვაობა ოთარ გამსახურდიასი 157

ხელოვნება

კიტი მაჩაბელი – ახალი მასალები ქართული კოსტიუმის ისტორიისათვის 159

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

გოდორი

რომანი

„და აღდგნენ შვილნი მამა-დედათა ზედა
და მოჰკვლიდნენ მათ“
მათე /10-20/

პირველი ნაწილი

1

როცა რომის პაპმა პიომ ბიზანტიიდან ოსმალების განდევნა განიზრახა, უფრო სწორად კი, ერთხელ კიდევ ამაოდ სცადა ნადირობებს, ნადიმებსა და ტურნირებს გადაგებული ევროპის გამოფხიზლება, სცადა როგორმე შეეგნებინებინა მისთვის, თუ რა ძნელი მოსარევი გახდებოდა ხვალ და ზეგ, რამდენჯერ აატკიებდა აუტკივარ თავს აზიის იდუმალი, შეუღწეველი სივრცეებიდან ყველასათვის მოულოდნელად გამომტყვრალი ჯერ კიდევ ჩვილი ურჩხული, რომელსაც უკვე ეგემნა ევროპელის ჩიჩია და სიამოვნებით ილოკავდა სისხლიან ტუჩებს, რასაკვირველია, სამოქმედო გეგმაც შეადგინა წინასწარ და, პირველ რიგში, საქართველოში აფრინა დესპანი, ვინმე ლუდოვიკო ბოლონიელი, რამდენადაც, აღმოსავლეთის ქრისტიანი სახელმწიფოებიდან სწორედ საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო თანადგომის იმედი ჰქონდა ყველაზე მეტად, მაგრამ თავისი წინამორბედების, ნიკოლოზ მეხუთისა და კალის მესამის მსგავსად, იმასაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ვერც დასავლეთის ქრისტიანი სახელმწიფოების შეშინება შესძლო, ვერც აღმოსავლეთის ქრისტიანი სახელმწიფოების გადმობირება, უფრო მეტიც, ლუდოვიკო ბოლონიელს საქართველო თავის ადგილზე აღარ დაუხვდა, ანუ, ის საქართველო — რაინდული კეთილშობილებითა და მეომრული შემართებით სახელგანთქმული ქვეყანა — რომლის იმედითაც გამოევლო არც მთლად უხიფათო და საკმაოდ გრძელი გზა (რაკი ბოსფორი უკვე ოსმალოს ეკავა), ფაქტიურად, აღარ არსებობდა, მაგრამ რომში რას იფიქრებდნენ, მონღოლთა ორასწლიანი ბატონობა სამუდამოდ თუ დაშლიდა და დააქცევდა სახელოვან, თავმომწონე, ლაშქარმრავალ და ყმიან ქვეყანას, თუმცა, დიდად წოდებულ ალექსანდრე პირველს, ერთი პირობა, უცდია წინაპართა სახელისა და გავლენის დაბრუნება, ლეშის სუნზე მოცუხცუხებული მეზობლებიც დაუფრენია და საგუშაგო ციხე-კოშკებიც აღუდგენია საზღვრებზე, მაგრამ მაინც ვერაფერს გამხდარა მონობაში გარყვნილსა და გაქსუებულ სანათესაოსთან — ცოლშვილთან, ძმებთან თუ ძმისშვილებთან — ლამის მასთან ერთად რომ სხდებოდნენ ტახტზე და მასთან ერთად აწერდნენ ხელს ნებისმიერ სიგელ-გუჯარს... ისიც ამდგარა და, ბერად აღკვეცილა, მიუფურთხებია მიწიერი ცხოვრებისთვის, სვეტიცხოვლის გვერდით ეკვდერი აუშენებია და, ათანასედ მონათლული, იქიდან თუ გამოხედავდა ხოლმე თავგზაარეულ, აღვირახსნილ ქვეყანას; აღარც ცოლი სდომებია, აღარც შვილი; აღარც რძალი, აღარც სიძე; ეტყობა, გრძნობდა, რა მიუტევებელი, რა ჯოჯოხეთური დანაშაული ჩაიდინა ღმერთისა და ქვეყნის წინაშე, თავები რომ არ დააყრევინა იმათ და, ეტყობა, მზად იყო, ნებისმიერ ტანჯვითა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

და წამებით მოენანიებინა თავისი ცოდვა, მაგრამ, მისდა ბედად, მალე გარდაიცვალა და ლუდოვიკო ბოლონიელი რომ ჩამოვიდა საქართველოში, მისი მემკვიდრეები უკვე დასანახავადაც ვერ იტანდნენ ერთმანეთს, უკვე მოურიდებლად და გარკვეული სიამოვნებითაც კი, გლეჯდნენ და აჩანაგებდნენ საერთო სამშობლოს, როგორც სვავები — უპატრონო ვირის ლეშს...

მას მერე ინგრეოდა, ნადგურდებოდა, თვალსა და ხელს შუა ქრებოდა წინაპართა სისხლითა და ოფლით, ხმლითა და წიგნით, წვითა და დაგვით ნაშენები ქვეყანა. წყალს მიჰქონდა ნაფოტივით, ქარს მიჰქონდა თივის ბულულივით, ორი მეფის, ოთხი მთავრის, ერთი ათაბაგისა და უთვალავი თავად-აზნაურის უკუდო ამპარტავნობას გადაყოლილი, მათ სიხარბესა და სივერაგეს ვერგაწვდენილი... ყურისწამღებად ღრიალებდა ნაღარა, ღმუოდა ღოროტოტო, გმინავდა ბუკი, გულზე სკდებოდა დოლი და დიპლიპიტო... სოფელ-სოფელ, ეზო-ეზო გროვდებოდა სტამბოლის მონათა ბაზარზე გასაყიდი გოგო-ბიჭები... ლაგამაქაფებული, კბილდაკრეჭილი, გაგიჟებული ცხენები ავად აბრიალებდნენ ბილიარდის ბურთისხელა თვალებს... კვარის ჭვარტლით გამურული მეციხოვნეები წინ და უკან დარბოდნენ ქონგურებზე, არ იცოდნენ, დღეს ვისთვის გადაესხათ კუპრი და ვისთვის მიერთმიათ ციხის გასაღები. დიდყურა გრიგოლასი არ იყოს, ისინიც ქვეყანას კი არ იცავდნენ მტრისგან, არამედ ავაზაკს მდევრისგან. მაგრამ ყველაფერზე ძნელი სწორედ მათი გარჩევა იყო, ავაზაკისა მდევრისგან და მდევრისა ავაზაკისგან, რადგან დღევანდელი მდევარი ხვალ შეიძლება ავაზაკად მოვლენოდათ და პირიქით. ამიტომ, თვალზე თვალი უნდა გამოებათ და ყურზე ყური — ვერ გაარჩევდნენ, ზედმეტ შარს გადაეყრებოდნენ, გაარჩევდნენ და, ზედმეტს იშოვნიდნენ და შეირგებდნენ კიდეც. ხოლო, წალდითა და ფინლით შეიარაღებული მდევარი, ცოტა ხანს კიდევ იყაყანებდა ციხის დაგმანულ კართან და, ემანდ, მეც არ მომაყოლონ ხელსო, კუდამოძუებული გაბრუნდებოდა უკან, რათა ერთი კარგად დაფიქრებულიყო, აეწონ-დაეწონა და, რაკი ძველმა არ გაუმართლა, ახალ გზას დასდგომოდა, ანუ, სხვათა მდევარი, სხვათა სადევარი გამხდარიყო თავად. აღარც მტერი არსებობდა, აღარც მოყვარე, ყველა ერთნაირად მტერმოყვარე იყო, მტერიცა და მოყვარეც ერთსა და იმავე დროს. დღეს მტერი, ხვალ მოყვარე, ანდა, პირიქით, მდგომარეობისდა მიხედვით, შენ ხარ ჩემი ბატონი... მოკლედ, წინასწარ არავინ არაფერი იცოდა. უფრო სწორად, ერჩია ისიც არ სცოდნოდა, რაც იცოდა. ამიტომ, ყველა ერთნაირად იბრმავებდა თვალს, ანუ, თვალთმაქცობდა, სხვებთანაც და საკუთარ თავთანაც, რის გამოც, კიდევ უფრო კნინდებოდნენ, კიდევ უფრო ირყვნებოდნენ, კიდევ უფრო იხრწნებოდნენ ყველანი, დიდიან-პატარიანად, კიდევ უფრო მახინჯდებოდნენ სულიან-ხორციანად, როგორც ერთმანეთის, ისევე სხვათა თვალში. „მონა ღვთისა — ყმა ხონთქრისაო" — ამაყად გაიძახოდა ორიდან ერთი მეფე, რასაკვირველია, უფრო თავისიანების დასაფრთხობად, ვიდრე ხონთქრის შესაცდენად. არც მეორე მეფეს ადგა უკეთესი დღე. ერთი ხელი ირანის შაჰისთვის გაეშვირა, მეორე — რუსთხელმწიფისთვის, და ერთნაირად მადლიერი იყო ორივესი, რამეს დაუგდებდნენ ზედ თუ დააფურთხებდნენ, რადგან მესამე ხელი არ ჰქონდა, ჩოხა მაინც ჩამოექაჩა გათავხედებული ქვეშევრდომისთვის...

მოკლედ, იქამდე ვერ მოეგნენ გონს ჩვენი ბედდამწვარი მეფეები, ვიდრე ქართველი ალექსანდრე პირველის დაშლილსა და დაქუცმაცებულ ქვეყანას რუსმა ალექსანდრე პირველმა არ მოუყარა თავი იმპერიის ფაშვში, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა მომავალში მხოლოდ იმპერიის უკანა ხვრელიდან მოვლენოდა საქართველო ქვეყანას, რამდენჯერაც საჭირო იქნებოდა და, თავისთავად ცხადია, უკვე სხვა ნივთიერებად გარდაქმნილი...

რაზ-დვა-ტრი-და
შემოტრიალდი-და,
თოფი ხელში დაიჭირე,
ომში წამოდი-და...

უკვე რუსულ-ქართულად თამაშობდნენ ჯარისკაცობანას ქართველი ბავშვები. „გულისფიცარი, აფიცარი ზედ დამეკონოსო" – ოხრავდნენ აღმოსავლური რინდით მისავათებული ქართველი ბანოვნები, ახალს, უცხოურს დანატრებულნი, და რაკი ყამმაც დაჰკრა, არც ახალმა და უცხოურმა დააყოვნა: გენერალ-მაიორი გრაფი გოტლიბ კურტ ჰეინრიხ ფონ ტოტლებენი გამოეცხადათ „საკუთარი პერსონით". რა შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ახალი და უფრო უცხოური ყარაყორუმებში, მოვაკანებში, ჯაჰანაბადებში გამოვლილი ქვეყნისთვის?! ყოჩაღი, ყოყოჩი, ყეყეჩი ოფიცერი – აფიცარი – იმდროინდელი ქართულით. აბანოს ორთქლით სახეგაფუებული და ბრჭყვიალა ეპოლეტებით მხრებდამშვენებული, ფრიად ოდიოზური პიროვნება, საქართველოსთვის ასევე უცხო ხილის, ფრანგი არისტოკრატის, მოხალისე აგრესორის დე გრაი დე ფუას მეტად ზედაპირული და არასერიოზული დაკვირვებით, სამუდამოდ ჩამკეტავი (რუსეთისთვის) დარიალის ხეობისა, თავისი სიყოყოჩითა და სიყეყეჩით, სინამდვილეში კი, სამუდამოდ შემხსნელი (საქართველოსთვის) ჩრდილოეთის კარიბჭისა, სწორედ სიყოყოჩისა და სიყეყეჩის წყალობით. რომ იტყვიან, სულ სათითაოდ აგლეჯინა ბალანი პატარა კახს, ფრიდრიხ დიდის სამაგალითო გმირს, მაგრამ უკვე სიბერემორეულს და, ქართველი ალექსანდრე პირველისა არ იყოს, უკვე თავფეხიანად გახლართულს ოჯახური ინტრიგების ქსელში. ასე რომ, როცა ქართველთა ჰერკულესიც მიიცვალა, მის მემკვიდრეს სახელიღა შერჩა მეფისა. „რაღას უცდი, შე მამაძაღლო – უყვიროდნენ, ვინ იცის, მისგანვე დარიგებული და ქუჩაში გამოსული სომხები – დროზე გააუქმე ეგ შენი ქეციანი სამეფო და შეგვაერთე რუსებსო". ისიც ადგა და შეაერთათ. აბა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, როცა ასე სურდა ბედისწერას?! სომხები ბედისწერის ნებასურვილს გამოთქვამდნენ მხოლოდ. მაგრამ, ჩვენში რომ ვთქვათ, როცა თავად გაქვს გასახიზნად საქმე, სხვა არ უნდა შეიხიზნო, ხოლო, თუ მაინც შეიხიზნავ, ყველაფერს ბედისწერას ნუ დააბრალებ. ხოდა, იმის მერე, აგერ უკვე ორასი წელია, ფუნქციადაკარგულ ხეობაში, მდინარესავით (მეორე მდინარესავით), შეუფერხებლად მოედინება (პირველი მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით), „სიყოყოჩითა და სიყეყეჩით" მითვისებული მიწების მტვრით მუნდირგადათეთრებული აჩრდილი გენერალ-მაიორ გრაფ გოტლიბ კურტ ჰეინრიხ ფონ ტოტლებენისა; ხოლო, მისი თანამედროვე და ჩვენი თანამემამულე მღვდელმთავარი დოსითეოზ ნეკრესელი, ერთმორწმუნე „მფარველის" სისასტიკითა და უღმერთობით შეშლილი (გნებავთ, გაპოეტებული), მაგრამ მრავალთა და მრავალთა მსგავსად, მაინც ვერაფერში ვერ გარკვეული, ბატის წამახულ ფრთას ნელა, საქმისმცოდნის სიდინჯით აწობს სამელნეში, ჩვეულებრივ თიხის ჯამში, რომელშიც მინდვრის ყვავილების წვენისგან მონასტრული წესით დამზადებული მელანი ასხია, და (წერისას რომ არ მოუცურდეს), მარცხენა ხელის მტევნითა და იდაყვით გაკავებულ პერგამენტის ქაღალდზე, მსხვილი, აცაბაცა ასოებით გამოჰყავს: „არა არს ისრეთ ტკბილი, ვით მამულის სიყვარულიო"...

მისი მამული კი, უკვე შარაგზადაა ქცეული: სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებს რუს-

ოთარ ჭილაძე ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთის თვალუწვდენელ იმპერიას. რაკი გზა გაჩნდა, მგზავრმაც არ დააყოვნა. ტყუილად ხომ არ უთქვამთ, „თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან ჩამოვაო". ჩამოვიდა კიდეც. სამხედროებს პოეტები მოჰყვნენ, პოეტებს – დიპლომატები, დიპლომატებს – ვაჭრები, ვაჭრებს – ცნობისმოყვარენი, ცნობისმოყვარეთ – ფულისა და ხიფათების მაძიებლები და ერთმანეთს გადაებნენ ეტლები, კარეტები, ოთხთვალები, ტარანტასები თუ დროგები... მაგრამ ბუნებას ყველა ერთნაირად როდი დაუჯილდოვებია დანახვის უნარით, მით უფრო იმის დანახვის უნარით, რაც თვალით არ ჩანს (ვთქვათ, სირცხვილის გრძნობა, მრისხანება...), რისი დანახვაც, მხოლოდ და მხოლოდ, პირადად შენს ადამიანურ თვისებებსა და მონაცემებზეა დამოკიდებული. უმრავლესობა აქ ჩამოსვლამდე ყურმოკრული ლეგენდის, ჭორისა თუ ანეკდოტის ტყვეობაში რჩებოდა ბოლომდე და არც აინტერესებდა, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს, რაც გზადაგზა, საფოსტო სადგურებში, ფუნდუკებსა თუ დუქნებში მოესმინა, ძირითადად, გველაძუა მედუქნეებისა და ახალი ხელისუფლების ვირეშმაკა ჩინოვნიკებისგან. ყოველ შემთხვევაში, არც ბავშვივით გაბითურებული ბებერი მეფის გულში ჩახედვა უცდია ვინმეს და არც დოსითეოზ ნეკრესელის გაპოეტებისა თუ გაგიჟების მიზეზთა დადგენა. მათთვის აქაც რუსეთი იყო და აქაურ აბორიგენებსაც დამტვრეული რუსულით მიმართავდნენ: „საბაკ, საბაკ, ნეტ კუსაიო". კაცმა რომ თქვას, არც გაემტყუნებოდათ. ასეთი გახლდათ სინამდვილე. ხოლო, ისტორიული კანონზომიერების შედეგი იყო ეს სინამდვილე, ეროვნული სიბრიყვისა თუ ჩვეულებრივი ღალატისა, ეს ნაკლებად აინტერესებდა როგორც მოგზაურ პოეტს, ისევე მოგზაურ დიპლომატს. ყველა თავისი ჭოგრიტითა და მონოკლით ათვალიერებდა ამ ახალ მიწას, „ველურ მხარეს", ფინჩხიავით გაღაბერტყილს ღმერთის კალთიდან და, თბილისში განწესებული საფრანგეთის კონსულის შევალიე ჟაკ ფრანსუა გამბას მსგავსად, უპირველეს ყოვლისა, იმ საქონელს აღნუსხავდა თავის სამოგზაურო დღიურში, რომლის გატანაც დიდ მოგებას მისცემდა პირადად მასაც და მის ქვეყანასაც. მკვდრის ნივთებისა და ტანსაცმლის განაწილება საერთოდ მიღებული წესია ცივილიზებულ სამყაროში და ცოტა ვინმე თუ უკადრისობს ამ წესის აღსრულებას. მაგრამ, რასაკვირველია, იყვნენ გულწრფელად დაინტერესებულნი და ამ უიღბლო ქვეყნისადმი კეთილად განწყობილი მოგზაურნიც, რომლებსაც გულუბრყვილოდ სწამდათ და ცდილობდნენ სხვებიც დაერწმუნებინათ, „ქართველი ტომი უმშვენიერესი რომ იყო არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ მთელს ქვეყანაზეც". ხოლო, ბატონი დიუმა ლამის გადმოვარდნილიყო ტარანტასიდან, იმდენად მოეხიბლა მთის ფერდობზე გარინდული, კომბალს დაბჯენილი და ჩოხაშემოფლეთილი მწყემსის „ღვთაებრივ გარეგნობას", რომელსაც „დაგვიანებოდა ოლიმპზე ასვლა" და თავის მწყემსურ ფიქრებში დანთქმული, ვინ იცის, ვერც ამჩნევდა, სადღაც, ქვემოთ, მის ფერხთით, ხოჭოებივით გადაბმულ და შავად მბზინავ ტარანტასებს, ეტლებს, კარეტებს, ოთხთვალებსა თუ დროგებს...

მწყემსი ცოტა მწყრალად გახლდათ ჭკუასთან, ბევრი არაფერი გაეგებოდა ამ ქვეყნისა, მაგრამ მაინც აფრთხობდა და აშინებდა მის სამშობლოში შემოჭრილი ახალი ცხოვრება, უფრო სწორად, უკვე საკუთარ კისერზე ეწვნია მისი სიმძიმეცა და სიმწარეც, მაგრამ, საბედნიეროდ, ბუნებას უხვად დაეჯილდოვებინა წარმოსახვის, გარდასახვის, მიბაძვისა თუ მიმსგავსების უნარით და, ავად თუ კარგად, ამით იქცევდა თავს. ხან კაჭკაჭივით ჩხაოდა, ხან მგელივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმუოდა, ხან ძროხასავით ზმუოდა, ხან არწივივით ყაშყაშებდა... მოკლედ, რად აღარ წარმოიდგენდა თავს, ოღონდ, დროებით მაინც დაევიწყებინა მთავარი სადარდელი. სადარდელი კი ნამდვილად ჰქონდა. მისი ვარაუდით, ვიდრე თავად ძროხებს მწყემსავდა და ღრუბლებს ითვლიდა ცაში, მის ცოლს, მაინცდამაინც, მათ სოფელთან გამართული საგუშაგოს უფროსი, გრძელულვაშა და კისერმოკლე „ურადნიკი" დაუდიოდა. მართალია, ჯერჯერობით, ეს მხოლოდ მისი ვარაუდი იყო, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი საბაბი ეძლეოდა, ვარაუდი ეჭვად, ეჭვი კი სიმართლედ ჩაეთვალა. თუმცა, ცოლმა ყოველთვის შორს დაიჭირა თავი, რას ამბობ, ჩემთან ვის რა ხელი აქვსო; „ურადნიკს" კი, საერთოდ ვერ უბედავდა დალაპარაკებას, არა მარტო ეშინოდა, რცხვენოდა კიდეც, ენა რომ არ გაეგებოდა მისი. რასაკვირველია, მშვენივრად იცოდა, თუ რა უნდა მიეგო სინდის-ნამუსის შემბღალავისთვის, მაგრამ, ცოდვა გამხელილი სჯობს, საამისო წელი აღარ მოსდევდა. ოდესღაც იარაღით თავმომწონე ქართველობა უკვე კარგა ხნის წინ განეიარაღებინათ, რის გამოც, არა მარტო დამცხრალიყო, დაჯაბანებულიყო კიდეც. სხვათაშორის, მათ სოფელში სწორედ „ურადნიკმა" ჩამოიარა კარდაკარ, რამდენიმე მაღალქუდიანი სალდათის თანხლებით, და თუკი სადმე ფილთა თოფს, ჟანგიან ხმალსა თუ პირჩამტვრეულ ხანჯალს მიაგნო, ფიჩხივით, ამოღლიავებული გამოზიდა შიშისაგან ხმაჩაკმენდილ ქოხებიდან. ელგუჯები და მათიები უკვე ყოველ დილით, ბინიდან გამოსვლამდე, მხურვალედ ევედრებოდნენ სტეფანწმინდის მთავარანგელოზს, „გვიხსენ რუსის შარისგაზო". მაგრამ ვინ გადარჩენია რუსის შარს, ისინი რომ გადარჩენოდნენ. საბწყესურიდან მობრუნებულ ჭკუასუსტ მწყემსს ხან „ურადნიკის" ყაბალახი ხვდებოდა ტახტზე მიგდებული, ხან თმააჩეჩილი და ხორცებდალილავებული ცოლი და, მთის ფერდობზე გარინდული, კომბალს დაყრდნობილი, მარტო იმასღა ფიქრობდა, რა ელონა, როგორ მოქცეულიყო, თავფეხიანად გახვეულიყო შიგ (შარში), თუ ვიდრე შეეძლებოდა, კვლავაც დამალვოდა აქ, ძროხებში, ფიქრებსა და წარმოდგენებში... ჯერჯერობით, ემალებოდა და მისი სუსტი ჭკუით, ამით კიდევ უფრო ათავხედებდა ცოლსაც და მის საყვარელსაც. „ურადნიკის" ყაბალახის წასაღებად გამოგზავნილი სალდათი ტლანქად, დაუდევრად შემოეხეტებოდა ხოლმე მის ფიქრებში, არც სალამს იტყოდა, არც მოუბოდიშებდა დაბნეულობისგან გულაფორიაქებულ მასპინძელს, უტიფრად შესცინებდა სახეში, უფრო სწორად, ყვითელსა და ნაფოტა კბილებს დაუკრეჭდა, თითქოს განგებ, კიდევ უფრო დასაფრთხობად, კიდევ უფრო გასაღიზიანებლად, და მაღალ ქუდზე ხელდადებული და წელში ოდნავ მოხრილი გადიოდა ფიქრიდან, რა თქმა უნდა, „ურადნიკის" ყაბალახიანად. ცოლი კი (ფიქრშიც), ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ: „ბუნტის კაცს" ეძებდნენ და ჩვენი ქოხიც რომ გაჩხრიკეს, ალბათ მაშინ დაუვარდა ყაბალახი იმ შენს „ურადნიკსო". მთლად რომ არ გადამცდარიყო ჭკუიდან, წარმოდგენებში გადაჭრილი, ვითომ, რუსთხელმწიფესთან მიდიოდა საჩივლელად, კიდევ უფრო გასაცოდავებული (რასაკვირველია, რუსთხელმწიფეზე შთაბეჭდილების მოსახდენად) და მისი საცოდაობით გულაჩუყებული და, ამავე დროს, „ურადნიკზე" განრისხებული რუსთხელმწიფე, ვითომ, ცეცხლებს ყრიდა თვალებიდან, როგორ გაბედა იმ კრუხის პალომ ჩემი ერთგული მოხევეს განაწყენებაო, და ვითომ, მისი კაცები უკანვე, თავის სამშობლოში მიათრევდნენ ყელზე თოკშებმულ „ურადნიკს", ხოლო მოხევეების ნამდვილი გულშემატკივარი და ერთადერთი ქომაგი, რომელიც, სამწუხაროდ, დიდი

ხნის მკვდარი იყო უკვე, სიმართლის გამარჯვებით გახარებული და სიხარულისგან მკვდრეთით აღმსდგარი, ვითომ, ლეკურს უვლიდა გულგრილ, უინტერესო, არაფრისმცოდნე ძროხებს შორის და მზეზე აბრჭყვიალებულ ხანჯლებს ზედიზედ ასობდა „სცენის“ დამპალ იატაკზე, რის შემდეგაც, ყოველივე ამის წარმომდგენელი და გამთამაშებელი ჭკუასუსტი მწყემსი დიდხანს ეგდო ხოლმე გულაღმა ბალახებში, ჯერ კიდევ ორთქლიან ფუნის „ნაზუქებში“, და არა მარტო დაღლილობისგან, არამედ ბედნიერების შეგრძნებისგანაც, გამალებით აუდ-ჩაუდიოდა მკერდი, ვიდრე დამშვიდდებოდა, დაისვენებდა, „როლიდან“ გამოვიდოდა და კვლავაც ჩოხაგამომწვარ მწყემსად გარდაქმნილი, დაუბრუნდებოდა მისთვის ესოდენ საძულველ სინამდვილეს. სხვა გზა მაინც არ არსებობდა და ისიც იძულებული ხდებოდა, ისევ სიცრუე ემჯობინებინა სიმართლისთვის. თუმცა, როცა უსმენდა, სჯეროდა კიდეც ცოლისა; იმდენად ჰქონდა ძვალრბილში „ძველი ადათ-წესები“ გამჯდარი, ვერც წარმოედგინა, ასე უსირცხვილოდ თუ შეეძლო ეცრუა ადამიანს, გინდაც დედაკაცს... მაგრამ არც ისაა გამორიცხული, შეგნებულად რომ ისულელებდა თავს. თავის მოსულელებაც ერთგვარი სახეობაა ბრძოლისა, მით უფრო, როცა სხვა აღარაფერი შეგიძლია. მისი სამშობლოს მსგავსად, ისე დაედამბლავებინა მოყვრად მოსული მტრის სივერაგეს, გახედვაც აღარ უნდოდა მისკენ, თითქოს, თუ არ დაინახავდა, ისიც თავისთავად გაქრებოდა. ყოელ შემთხვევაში, ვიდრე არ „ეცოდინებოდა“, რა უბედურება ტრიალებდა მის თავს, ვერც ცოლის დასჯას მოთხოვდა ვინმე და ვერც საკუთარი ღირსების დაცვას, თორემ, საამისოდ, რასაკვირველია, ის ხისტარიანი დანაც იკმარებდა, ხშირი ლესვისგან გალეული, სალეს ქვასთან ერთად რომ ეკიდა ქამარზე. მაგრამ, ეტყობა, მართლა c.ავისი დრო აქვს ყველაფერს — არც ადრე ვარ[illegible] გვიან — დაჰკრავს ჟამი და[illegible] არსებით იგრძნობ (გინდა ჭკუასუსტი იყავი და გინდა ჭკუით გატენილი), ამისთვის ხარ საერთოდ გაჩენილი ამქვეყანაზე, ეს გევალება, ეს არის შენი ერთადერთი მოვალეობა, რაც შეიძლება მაგრად ჩაბღუჯო დანის ტარი, რაც შეიძლება ღონივრად დაანვე, რაც შეიძლება ღრმად შეაღწიო, დანის მეშვეობით, საძულველი ადამიანის არსებაში, დანის წვერით მისწვდე მის მთავარ სულს და ნეტარებით იგრძნო, როგორ შემოგაშხეფებს პირღია ჭრილობა ცხელსა და ალისფერ სისხლს, როგორ დაგსვრის იმ სისხლით თავფეხიანად... მაგრამ იქამდე, ვიდრე ამის დროც მოვიდოდა, ცოცხლად ეჭმევინებოდა ამაზრზენად ავხორცულ ჩვენებებს და ყველაზე მეტად მაინც იმის წარმოდგენა ზარავდა, მისი ორი წლის შვილიც რომ უყურებდა ამ სიბინძურეს, ამ სიბინძურეში რომ იზრდებოდა თავიდანვე, გაჩენის დღიდან... „ხელი რომ არ შეუშალოს, ალბათ გოდორში სვამს დედამისიო“ — ფიქრობდა სინამდვილეში დაბრუნებული, კომბალს დაბჯენილი, გარინდული, ოლიმპოდან გამოძევებული ღმერთივით. ხოლო, მისი ნაშიერი (თუკი მისი ნაშიერი იყო) მშვენივრად გრძნობდა თავს გოდორში და, როგორც თვითონვე ამტკიცებდა მერე, უკვე ვეტერანი, განსაკუთრებით კი, ღვინონაყლაპი, ყოველთვის დიდი ინტერესით უთვალთვალებდა დედისა და მისი საყვარლის ალერსს გოდრის ჭუჭრუტანებიდან და, მისდა უნებურად, უბზიკდებოდა კიდეც...

მეზობლები რომ შემოცვივდნენ ჭკუასუსტი მწყემსის ქოხში, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. კოჭებამდე იდგა ადამიანის სისხლი. ყოველ შემთხვევაში, აქა-იქაღა მოჩანდა მიწის ოღროჩოღრო იატაკი. მისი ცოლი კართან ეგდო, პირქვე, თუმცა, ისე დაესახიჩრებინა უთვალავ ჭრილობას, მაინც გაგიჭირდებოდათ ცნობა. წინ გაწვდილი ხელებით, რატომღაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ურადნიკის“ ყაბალახი ჩაებღუჯა: ან გაქცეულმა „ურადნიკმა“ შეატოვა, ან მკვდარმაც არ დაუთმო ქმარს, როგორც მისი კაიქალობის მამხილებელი საბუთი. ჭკუასუსტ მწყემსს მუცელი გამოეფატრა, სამურაივით, და საკუთარ შიგანში იჯდა, ზურგით კედელს მიყრდნობილი. შიგანს ალაგ ლურჯად, ალაგ მწვანედ გადაჰკრავდა ლორწოვანი სინათლე, იბუშტებოდა, იტალღებოდა და უხსენებელივით, ირგვლივ უვლიდა პატრონს. ბავშვი გოდორში ფხაკუნობდა. ნანახითა და განცდილით აღგზნებული, ხან ერთი ჭუჭრუტანიდან გამოაშუქებდა ფოლადისფრად აელვებულ თვალს, ხან მეორედან. ჭკუასუსტმა მწყემსმა სისხლიანი დანა გოდრისკენ გაიშვირა და ძლივსგასაგონად თქვა: „იმ ბიჭის მოკვლა დამავიწყდა და თქვენ მოკალით, მადლია, მაგისგან კაცი მაინც აღარ გამოვაო“. მეზობლებს, რასაკვირველია, ბიჭი არ მოუკლავთ და ვერც მოკლავდნენ, გინდაც გულით სდომებოდათ იმის სიკვდილი. რუსეთის იმპერიის უკანა ხვრელიდან მალე საქართველოს ახალი სახეობა უნდა დაბადებულიყო და ის ბიჭიც იმ საქართველოსთვის ყავდა განკუთვნილი განგებას. იმ საქართველოში უნდა გამოეჩინა გოდორში შეძენილი მიდრეკილებები. ტყუილად ეშინოდა სისხლში მცურავი მშობლებისაც და მისი საცოდაობით ავიშვიშებული მეზობლებისაც. დროის პირმშო გახლდათ, თანაც გამორჩეული, იოლად ვერავინ ხელყოფდა მის სიცოცხლეს. პირიქით, მას უნდა დაედო სათავე სრულიად ახალი მოდგმისთვის, რომელიც თვითონვე თუ ამოჭამდა საკუთარ თავს, თორემ სხვა არავითარი ძალა არ მოიძებნებოდა ბუნებაში მისი მომრევი. ყოველ შემთხვევაში, გოდრის კაცს — რაჟდენ კაშელს — როგორც მომავალში მოიხსენიებოდა მის სახელზე გაცემულ ნებისმიერ საბუთში — არც იმ წუთას და არც ახლო მომავალში არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ჯერ თავად რუსეთს უნდა დამუქრებოდა საფრთხე, ან ერთხელ კიდევ უნდა მოემკვდარუნებინა თავი, სულელი მსოფლიოს გასაბრიყვებლად, რათა უფრო ძლიერი და შეუპოვარი აღმსდგარიყო „მკვდრეთით“. იქამდე, ერთმანეთს უნდა დარეოდნენ პარტიებად დაყოფილი, მაგრამ თანამოაზრე და თანამესანგრე ფანატიკოსები და შინაომში გაერკვიათ, რომელი მათგანი მოახერხებდა ძველი, იმპერიული მიზნებისა და ზრახვების უკეთ შენიღბვასაც და შენიღბულის უკეთ აღსრულებასაც მომავალში. „არის ასეთი პარტიაო“ — დაიყვირებდა ლენინი შეთქმულთა ერთ-ერთ მორიგ თავყრილობაზე და მომავალი საქართველოს ბედიც თავისთავად გადაწყდებოდა. აქაც მაშინვე მომრავლდებოდნენ და აფუტფუტდებოდნენ სოციალ-დემოკრატები, იგივე ბოლშევიკები და იგივე მენშევიკები, და ქართველთა გადამრჩენელი ნოეც მაშინვე მოიმარჯვებდა შალაშინსა და ხელეჩოს, ვითომ, ახალი კიდობნის შესაკოწიწებლად, სინამდვილეში კი, ისტორიის ჩაყვითლებულ ფოლიანტებზე საქართველოს დანატოვარი ნებისმიერი კვალის მოსასპობად. პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძეს დაეძგერებოდა, მოჩხუბარი მამალივით, და უწინდელი საქართველოს ნეშტის ძლივს მოგროვილ ნაწილებს დააყრევინებდა ხელიდან, ვითომ, მე უფრო მეკუთვნის, მე უფრო მეხერხება ჩონჩხის აწყობა და ყბადაღებული ბიბლიის მიხედვითაც, ქვეყანას ჯერ ნოე უნდა მოევლინოს და მერე ვნახოთ, დაგვჭირდება თუ არა საერთოდ ილია წინასწარმეტყველიო. ასე რომ, ყველაფერს აჯობებდა, დროულად ამოეყვანათ ბავშვი გოდრიდან ჭკუასუსტი მწყემსის მეზობლებს, მაგრამ მარტო იმ დღეს კი არა, საერთოდ ვერ შესძლეს იქიდან მისი ამოყვანა — ნიანგის წიწილივით ებღაუჭებოდა გოდრის გამხმარ კედლებს ჯერ კიდევ თოთო კლანჭებით და უმალ მოკვდებოდა, ვიდრე დათმობდა თავის ყველაზე საიმედო თავშესაფარს, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ უკვე გადაარჩინა მამის ხელით სიკვდილს. ბოლოს, რაკი ვერც მუქარამ გაჭრა და ვერც დაყვავებამ, გოდრიანად წაიყვანა შინ ვინმე კესარიამ, ბედისგან დაჩაგრულმა და უშვილძიროდ გადაგებულმა ქალმა, თვითნაკეთი თოჯინით რომ თამაშობდა დედობანას აქამდე, ქმრისუჩუმრა. სულო ცოდვილო და, ჭკუასუსტი მწყემსის ქოხში დატრიალებული უბედურება, გულის სიღრმეში, გაუხარდა კიდეც — ერთბაშად დაობლებული და გალოკილი თითივით ცარიელ-ტარიელა ბავშვი ღვთის წყალობად ჩათვალა რატომღაც, იმ მხურვალე, იმ გაუნელებელი ლოცვა-ვედრებისთვის, ურომლისოდაც ლუკმას არ ჩაიდებდა პირში და თავს არ დადებდა ბალიშზე. ვიშვილოთო, შეეხვეწა ქმარს და ქმარმაც ვერ უთხრა უარი, შეეცოდა დედობაგანუცდელი მეუღლე, თუმცა, მეუღლისგან განსხვავებით, ნაკლებად ახარებდა ეს ამბავი. პირიქით, გული ცუდს უგრძნობდა, ვაითუ, თავში საცემად გამიხადოს საქმე მკვლელი მამისა და უნამუსო დედის ნაშიერმაო... მართალიც აღმოჩნდა. მაგრამ კესარიამ, ავად თუ კარგად, მაინც მოასწრო თავისი ყველაზე სანუკვარი ოცნების აღსრულება, დედური მზრუნველობის გამოვლენა. როგორც კი მარტო დარჩნენ, ქმარს მორცხვად გაუღიმა, საკინძე სწრაფად შეიხსნა, გოდორს გადაემხო და უკვე საკმაოდ მობოშებული, ლურჯი ძარღვებით დასერილი ძუძუ გაუბედავად შესთავაზა შვილობილს. შვილობილი კი, გაშმაგებული დაეწაფა დედობილის „მოკრძალებულ ძღვენს", ან კესარიამ და ან მისმა ქმარმა რა იცოდა, თორემ, ზუსტად ისე, როგორც გრძელულვაშა და კისერმოკლე „ურადნიკი" ეწაფებოდა ხოლმე დედამისის ძუძუს. გაშმაგებული კბენდა, ლოღნიდა, წუწნიდა და თან ორივე ხელით ზელდა, ცომივით. „ამას დედა კი არა, ქალი სდომებიაო" — ცალყბად გაიხუმრა კესარიას ქმარმა. ცოტა არ იყოს, შემცბარმა კესარიამ გულგარეთ გაიცინა, მაგრამ სიცილზეც შეეტყო, ასე ფიქრობდა თვითონაც...

ბუნებამ რომ თავისი გაიტანა და კესარიას ნაპატიებ-ნალოლიავები რაჟდენ კაშელი გოდორში ველარ დაეტია, უფრო სწორად, გოდორმა რომ ველარ გაუძლო, ველარ შეაკავა მისი სწრაფადმზარდი, ფერხორციცა და დაუხარჯავი ენერგიით სავსე სხეული და ზედ შემოემსხვრა, ისიც, განთავისუფლებისთანავე, დედობილს ეცა და საცოდავი კესარია ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან წივილ-კივილზე მოვარდნილმა მეზობლებმა. ზოგი თავსაფარმობრეცილსა და საკინძშემოფლეთილ კესარიას აბრუნებდა, ზოგი კესარიას ქმარს აკავებდა და ზოგი სარეებით ბეგვავდა სოფლის ცხვირმოუხოცავ აშიკს. კესარიას ქმრის რცხვენოდა და იმიტომ არ ახელდა თვალს; კესარიას ქმარი მოძალადის მოსაკლავად კი არ იწევდა, იმათ გაჩერებას ცდილობდა, სარეებით რომ ცემდნენ მოძალადეს. მოკლედ, ისეთი ყაყანი და ღრიანცელი იდგა ირგვლივ, ვერაფერს აგებინებდნენ ერთმანეთს, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, იმ დღის მერე რაჟდენ კაშელი აღარავის უნახავს. ნაჭუჭივით მოიშორა თუ არა გოდრის ნარჩენები, მაშინვე ცხოვრების მღვრიე მორევში შთაინთქა და აღარასოდეს დაბრუნებულა მშობლიურ სოფელში, თუ არ ჩავთვლით თაბაშირის ბიუსტს, მადლიერმა ხელისუფლებამ რომ დაუდგა სიკვდილის შემდეგ, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ჭკუასუსტი მწყემსის ქოხი იდგა ოდესღაც, უფრო ზუსტად — გოდორი — ერთადერთი მშობლიური სახლი, ერთადერთი მშობლიური გარემო რაჟდენ კაშელისთვის, თუკი, რასაკვირველია, საერთოდ გააჩნდა ამგვარი გრძნობა, თუნდაც, გოდრის მიმართ. თუმცა, როგორც თვითონვე ამბობდა, არასოდეს არაფერი მონატრებია ისე, როგორც გოდორში გატარებული დრო. სხვათაშორის, მაინცდამაინც, არც ის მოუსაკლისებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში ვინმეს. ეგაა რომ, კესარიამ სამუდამოდ დაკარგა სიმშვიდე. გაჩენის დღესაც წყევლიდა და დედობის მომგონსაც. საკუთარი სუნითა და სითბოთი გაჟღენთილი თოჯინა, რომელსაც ცოცხალი უფრო ეთქმოდა, ვიდრე სათამაშო, ცეცხლში ჩააგდო და დაწვა. მაგრამ ვერაფერი მოუხერხა საზარელ ჩვენებებს. ღამე ისე არ გაივლიდა, ერთხელ მაინც არ წამომჯდარიყო საწოლში, ცოტა არ იყოს, მოსაყოლადაც სათაკილო სიზმრით დამფრთხალი და აფორიაქებული. „მიშველე, მომაშორე, აღარ შემიძლია მეტიო" – კვედრებოდა, ხელებს უკოცნიდა ქმარს, მაგრამ ქმარი როგორ უშველიდა, როცა არც თვითონ იყო უკეთეს დღეში: ამაო ქადილითა და კბილთა ფუჭი ღრჭიალით კიდევ უფრო ბითურდებოდა, კიდევ უფრო კნინდებოდა, ბეჩავდებოდა და იძულებითი ნებაყოფლობით შესცქეროდა ცოლის განუწყვეტელ, გაუთავებელ გაუპატიურებას...

ხოლო, მისი ცოლის მარადიული მოძალადე დღითიდღე იზრდებოდა, იწრთობოდა, იწაფებოდა ახალი ცხოვრებისთვის: ჯერ მაწანწალობდა, მერე ქურდბაცაცობდა, მერე თაღლითობდა, მერე კი, აშკარად ყაჩაღობდა – ხან შარაგზაზე ძარცვავდა ხალხს, ხან შინ უვარდებოდა – არც შიშის გრძნობა ჰქონდა, არც სიბრალულის; არც ღმერთს აგდებდა რამედ, არც კანონს. რამდენჯერმე დაიჭირეს, დაჭრეს კიდეც, მაგრამ ვერც ტყვია აჩერებდა, ვერც ბორკილი. ნატყვიარს ნერწყვით იშუშებდა, ნადირივით, ბორკილს ხმელი ბუბლიკივით ამტვრევდა და ისევ თავისას აგრძელებდა, ნთქავდა და აჩანაგებდა ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებოდა, რასაც კბილი მოეკიდებოდა და ბრმად, ალალბედზე მიხოხავდა საკუთარი სიმდაბლის მწვერვალისკენ. რასაკვირველია, დროც ყველანაირად უწყობდა ხელს, ყოველ ნაბიჯზე უქმნიდა შესაფერ გარემოს, ახალი და ახალი შესაძლებლობების გამოსავლენად. ისიც ავლენდა. ერთ ხელში მაუზერი ეჭირა, მეორეში – არყის „შტოფი" და სიმთვრალისგან თვალმოჭუტული, დაუმიზნებლად ესროდა ყველაფერს, რაც მოძრაობდა, რასაც სიცოცხლის ნიშანწყალი კიდევ შერჩენოდა. ერთ დღეს რომ დარბეული ოჯახის დიასახლისს აუპატიურებდა ოჯახის სხვა წევრების თვალწინ, მეორე დღეს ისევე ექცეოდა ოჯახის მამასახლისსაც... ბოლოს ისე გაითქვა სახელი, თავისი შეუპოვრობითა და დაუნდობლობით, სოციალ-დემოკრატებმა დაიამხანაგეს და რამდენიმე სერიოზულ პარტიულ ღონისძიებაშიც მიაღებინეს მონაწილეობა, რა თქმა უნდა, ახლა უკვე „ძმობის, ერთობისა და თანასწორობის" სახელით. ილია ჭავჭავაძის სავარაუდო მკვლელებიდან, ერთ-ერთს იმასაც ასახელებდნენ, მაგრამ პარტიულმა ამხანაგებმა დროულად გადახვეწეს რუსეთში, სადაც ინტერნაციონალური ოჯახი შექმნა, მასსავით უპატრონო და მასსავით თავზეხელაღებული კაზაკი ქალი შეირთო ცოლად და ოცდაერთის თებერვლამდე აღარც გამოუხედავს აქეთ. ეს ის დროა, როცა რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებზე სიკვდილის ქარი ქრის და ცეცხლის კევრი ტრიალებს: 917-ში რევოლუცია მოხდა, ანუ, მეფე გადადგა, მუშა აღსდგა, რასაც შედეგად მუშის გამხეცება და მეფის ოჯახის ამოხოცვა მოჰყვა. ამან რუსეთის იმპერიის დროებითი, მოჩვენებითი, ასე ვთქვათ, ტაქტიკური დაშლა გამოიწვია და საქართველოს კიდევ ერთი, მაგრამ ამჯერად, მართლაც განსაკუთრებული სახეობის დაბადება განაპირობა. გუბერნიებად დაყოფილი საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო, ქართველთა ნოე პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩაესვენა...

მაგრამ, ვიდრე პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩაესვენებოდა, ბევრი ელდისა და შიშის გადატანა მოუწია

ოთარ ჭიჭინაძე ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლიურ ლანჩხუთში, მამისეულ სახლში გამოკეტილს და ტრიფოლიატის მაღალი ღობით თითქოს სამუდამოდ გამოყოფილს გარესამყაროდან. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სამუდამოდ აეღო ხელი პოლიტიკოსობაზე და მემუარების წერას შესდგომოდა, თუკი კრემლი ნდობას არ გამოუცხადებდა, შიდაპარტიული წაკინკლავების გამო, და ფედერალისტებს, ანდა სულაც „ედეპეს" ჩაუგდებდა ხელში დროებით მოშორებულ ტერიტორიას, გნებავთ, ჯერ კიდევ ცარიელ სივრცეს, სადაც, მხოლოდ და მხოლოდ, სოციალდემოკრატიის მტკიცე ხელით შეიძლებოდა მოხაზულიყო მომავალი საქართველოს კონტურები. მისი მეუღლე „სედლოთი" სეირნობდა ლანჩხუთის შემოგარენში, მამამთილის მამულში (ხანდახან, ურეკამდეც ჩადიოდა, ზღვის ჰაერის ჩასასუნთქად) და ბედნიერი იყო, განსაკუთრებით მისი ცხენოსნობით რომ ტრაბახობდა ადგილობრივი გლეხობა. მისი ქმარი კი, ეკლებზე იჯდა და დაშიფრულ დეპეშას ელოდებოდა თბილისიდან. დეპეშამაც არ დააყოვნა, სულ ახლახანს მოურბენინა თავად ფოსტის გამგემ. „რომი კეისრის მოლოდინშია" – ეწერა დეპეშაში. კეისარი კი, თვითონაა. ის დეპეშა, უკვე ათასჯერ წაკითხული, წინ უდევს მამისეულ მასიურ საწერ მაგიდაზე და მამისეულ მასიურ, მაღალზურგიან სავარძელში ჩამჯდარი, ჯერ ისევ სასიამოვნო მღელვარებით იმეორებს გუნებაში: „მე კეისარი ვარ". ერთადერთი გრძნობა, რომელიც უშეცდომოდ შეუძლია გამოაცალკევოს სხვა გრძნობებისგან და, ამავე დროს, საკუთარი სახელითაც მოიხსენიოს, მაინც გაოცების გრძნობაა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, საოცარი არაფერი ხდება. მიმდინარეობს იმპერიის საუკუნოვანი ექსკრემენტის ექსტრემალური ექსპერტიზა, რაც სავსებით ჩვეულებრივი ამბავია, აუცილებელი პროცედურაა, რათა მომავლისთვისაც გავითვალისწინოთ, თუ რა სახის საკვებს ინელებს იოლად და შედარებით რა სახის საკვების მონელება უჭირს იმპერიის კუჭს. ზოგიერთი აფრიკული ტომი რამდენჯერმე ჭამს ერთჯერად საჭმელს, ვიდრე მთლიანად არ გამოაცლის, რაც კი რამ სასარგებლოა შიგ. ასეა იმპერიაც. თუ გინდა, რომ ძლიერი იყო, საკუთარი ძღნერის ჭამაც უნდა შეგეძლოს. შეუძლია კიდეც. ჩვენც ყოველმხრივ მივეხმარებით, ჩვენც დავუმტკიცებთ ჩვენი მხრიდან, არჩევანი რომ არ შეშლია. „კაცმა არცერთი საქმე არ უნდა ითაკილოს და რასაც ხელს მოკიდებს, უნდა გააკეთოს კიდეცო" – ამბობდა ხოლმე მამამისი, იმიტომ რომ, თავად იყო ასეთი, არაფერს თაკილობდა და ყველაფერს სხვებზე უკეთ აკეთებდა. უბრალო გლეხი, მემამულე გახდა ბოლოს. ლანჩხუთში მეორეს არ უდგას იმათნაირი სახლი, მყარად ნაშენი და ლამაზად მოხარატებული. მამა ყოველთვის მისაბაძი მაგალითი იყო მისთვის, თავისი შრომისმოყვარეობით, დაუდგრომლობით, შეუპოვრობით... ერთადერთი სურვილი ჰქონდა მხოლოდ, თვითონაც მამასავით სახელოვანი და დაფასებული კაცი გამოსულიყო, ყველას სცნობოდა, ყველას თვალი გაეყოლებინა ქუჩაში... მართალია, პოლიტიკური მრწამსის გამო, სწორედ მამას დაუპირისპირდა – მამამისი მემამულე გახლდათ, თვითონ კი, საერთოდ უარყო მამული – მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლიდა და არც ახლა უშლის ხელს, პატივი სცეს მამის ღირსებებს, მიაგოს კეისარს კეისრისა, მით უფრო დღეს, როცა უკვე თვითონ არის კეისარი და როცა მამამისი აღარ არის ცოცხალი. გაანათლოს უფალმა, თუკი არსებობს უფალი, თუკი რამე არსებობს იმქვეყნიური. მამამისს სწამდა. მამამისს ღმერთის წამდა და არ ესმოდა შვილისა. მაგრამ შვილი კარგი ცხოვრების წინააღმდეგი კი არ არის საერთოდ, როგორც მამას ეგონა – არავითარ შემთხვევაში! სხვა თუ არაფერი, მისი ცოლი ერთ დღეს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაძლებს, „სედლოთი" თუ არ გაისეირნა ჰაერზე — მისი შვილი მხოლოდ სოციალური თანასწორობის მომხრეა, როგორც ჭეშმარიტი მარქსისტი, და როგორც კი შეუდგება თავისი ახალი მოვალეობის აღსრულებას, პირველ რიგში, იმ თქვენს მოწონებულ ქართველ გლეხს არ შეაყოფინებს ცხვირს საკუთარ ვენახში. სჯობს ყუნწზე დაულპეს მოსავალი, ვიდრე საჭიროზე მეტი მოიწიოს. სხვანაირად არ გასწორდება ძაღლის კუდი. არ დამკვიდრდება თანასწორობა. ამიტომაც ეტირა დედა „ედეპეს"... კრემლი სოციალ-დემოკრატებს ენდო და სწორედაც მოიქცა. როგორი საქართველოც რუსეთს უნდა, ისეთი უნდა მსოფლიოსაც, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული კომპლექსებიდან თავისუფალი. გააჭირეს საქმე, მართლა და მართლა. აღარც მეფე ჰყავთ, აღარც მიწაწყალი აქვთ, აღარც თავიანი ენა ახსოვთ და მაინც ქართველობენ, მაინც პატრიოტები არიან არარსებული ქვეყნისა. მაგრამ ღორმუცელა დებილებისა და გესლიანი ქვრივების საქართველო აღარ არის, დამთავრდა. ეს ვერ შეაგნებინა თავის ოპონენტს, დიდგულა ვაჟბატონს, რომელიც მარტო კარტში წაგებული ფულებით მიუყვანდა წყალს თავის გლეხობას, მართლა რომ ყვარებოდა სამშობლო, გამოგონილი და წარმოდგენილი კი არა, ნამდვილად არსებული. ვისაც მართლა სჯერა, ერთ დღეს მაინც რომ გასძლებს საქართველო ურუსეთოდ, ის, პირველ რიგში, საქართველოს მტერია, გინდა პოეტი იყოს, გინდა ბანკირი. ამას იმიტომ კი არ ამბობს, ასეთი პატივი რომ დასდეს დღეს — მშვენივრად იცის, რა ძვირი ჯდება ხოლმე ამგვარი პატივი — ამას იმიტომ ამბობს, სხვებზე უკეთ რომ ერკვევა პოლიტიკაში. მაგრამ ჯერ ადამიანია და მერე პოლიტიკოსი. ერთი დღის კეისრობა ურჩევნია, მთელი სიცოცხლე (რაღა დარჩა?!) კეისრობაზე ოცნებას. და აი, ასრულდა! რაც შემთხვევითი და მოულოდნელი შეიძლება მოგეჩვენოს ცხოვრებაში, ისტორიული კანონზომიერების შედეგია. თქვენს წინაშეა ახალი (სრულიად ახალი და არა განახლებული) საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი და, ობიექტურები თუ ვიქნებით მარტო კრემლის წყალობით კი არა, თვითონაც დაიმსახურა, ყველა გამოცდას გაუძლო, ყველა ხვრელში გაძვრა, ყველა წყლიდან მშრალი ამოვიდა, როცა სხვები, მასავით ერთი დღის კეისრობაზე მეოცნებენი, ან ციხეებში ჩალპნენ ან ყაჩაღებივით ჩაძაღლდნენ შარაგზებზე... ეს კი, მხოლოდ ახლა იწყებს ცხოვრებას (მის ასაკში!), ხვალიდანვე, თბილისში ჩასვლისთანავე... რამდენ ხანს გასტანს ეს „ცხოვრება", ძნელი სათქმელია, მაგრამ დღესავით ნათელია, როგორ დამთავრდება... მაგრამ როგორც არ უნდა დამთავრდეს, ეს მაინც პრემიერ-მინისტრად დარჩება ყოველთვის, მამისეულ სავარძელში იჯდება ასე გაბღენძილი, თუ უფრო სერიოზული ქვეყნების პრემიერ-მინისტრების მოსაცდელში მოუწევს ყურყუტი; მამამისივით, ისიც „შინ", ამ ეზოში დაიმარხება, თუ ტრიალ მინდორში გაუთხრის საფლავს შავი ყორანი. მთავარი კაცობრიობის ნათელი მომავალია და არა ერთი კაცის კეთილდღეობა, ვინც არ უნდა იყოს ის „ერთი კაცი", მომაკვდავი, დეგრადირებული კლასის წარმომადგენელი, თუ ახალშობილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ჩვენი ეგრეთწოდებული „განმანათლებლები" პირიქით ფიქრობდნენ და ხალხსაც უარესად ურევდნენ თავგზას. სამშობლოს სიყვარულით ყველაფრის გამართლება, არა მარტო უსვინდისობაა, ჩამორჩენილობაცაა უკვე. „სამშობლო, დედის ძუძუი", ეტო ვზდორ! ვზდორ! და კიდევ ერთხელ ვზდორ! სამშობლოს სიყვარულით გააჩანაგეს ჩვენმა მეფეებმა თავიანთი სამფლობელო. უცხომ კი, შეგვიბრალა, ჩვენი თხოვნა ყურად იღო, გულთან მიიტანა და შეგვიკედლა, დაგვაპურა, ტილი მოგვაშორა... საპნისა და დანა-ჩანგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ხმარება გვასწავლა... თურქეთიც გადაიკიდა ჩვენს გამო და ირანიც... არ დავუფასოთ? არც დავინახოთ? ჩვენი თავი ჩვენად უნდა გვეყუდნესო... როცა გვეყუდნოდა, რატომ ავუტალახეთ კარი, არიქა, მიშველე, არიქა, მოდი და შენ იმეფეო... იქნებ, ასე არ იყო? იქნებ, ესეც სოციალ-დემოკრატების მოგონილია? ჩვენს ენაზე უნდა ვწიროთ და ჩვენს ენაზე უნდა ვიგალობოთო... როცა წირავდნენ, შეისმინა უფალმა? როცა გალობდნენ, გაუგოთ ვინმემ? დრომ უკეთ იცის, რა მოიკლოს და რა მოიმატოს. რა დაჭირდება გზაში და რა შეუშლის ხელს სიარულში... შევიგნოთ ერთხელ და სამუდამოდ. აი, მაგალითად, ჩემი მეუღლე... ვიღაცეების თვალსაზრისით, ისიც უცხოელია, მაგრამ აბა ერთი შეხედეთ, რა ხდება! ამორძალივით ცხენზე ამხედრებული რომ გამოჩნდება შუკაში, მთელი ლანჩხუთი ძუნძულით მოსდევს, აქეთ-იქიდან უზანგებს ჩაფრენილი. ზოგი ჩექმაზე კოცნის, ზოგი ბალიფეზე... უფრო უკანანი კი, სულაც მის ცხენს კოცნიან გაოფლილ გავაზე... „ჩვენი რძალი და ჩვენი რძალიო“ — შეჰხარიან, ამაყობენ გურულად. ესე იგი, უცხოც შეიძლება შენი იყოს, შენიანი, შენი სიამაყის მიზეზი... ეროვნულ ნაჭუჭში გამოკეტვა თვითმკვლელობაა. პროლეტარიატს სამშობლო არა აქვს, მაგრამ მთელი დედამიწა მისი სახლია. ვინც აქამდე ვერ შეიგნო ეს, ახლა შეაგნებინებს, როგორც პირველი პრემიერ-მინისტრი ნებისმიერი საქართველოს ისტორიაში. ახლა უფრო ნათლად განუმარტავს ყველას, რატომ აღმერთებს, ვთქვათ, გოეთეს, და რატომ ემართება ალერგიული კრუნჩხვები, ვთქვათ, თავადი ჭავჭავაძის წიგნის დანახვაზე... მართალია, ლანჩხუთის სუფთა ჰაერი და პასტორალური სიმშვიდე მასაც აიძულებს უფრო მიმტევებელი და ლმობიერი იყოს, არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვების მიმართაც, მაგრამ პრემიერ-მინისტრი კათოლიკოსი არ გახლავთ, მას უფრო მტკიცე ნება ... გარი ხელი ჭირდება... „მე პრემიერ-მინისტრი ვარ“ — იმეორებს გუნებაში და მამის სურათს შესცქერის კედელზე, ფოტოდან გადახატულს უკვე მამის სიკვდილის მერე, ვიღაც მოხეტიალე მხატვრის ფუნჯით. ის ფოტოც კარგად ახსოვს, ოღონდ, იმ ფოტოზე დედასთან ერთადაა მამა, დედა უდგას გვერდით, მის მხარზე ხელჩამოდებული. ამ სურთაზე კი მარტოა, სავარძელში ზის, რომელშიც მისი შვილი მოკალათებულა ახლა. მიმინოსავით შემართული, დიდი მემამულე, დაძაბული გადმოსცქერის პროლეტარიატის სამსახურში გაპრემიერ-მინისტრებულ შვილს. ალბათ უკვირს და უხარია კიდეც, მისი შვილი უფრო დიდი მემამულე გამოვიდა ბოლოს, ლანჩხუთი კი არა, სრულიად საქართველოა მისი მამული... სავარძლის სახელურის გლუვ ზედაპირზე დასვენებული მარჯვენის შუა თითზე წახნაგოვანი ზურმუხტის დიდთვლიანი ბეჭედი უკეთია. ეს ბეჭედიც ახსოვს, ჯერ კიდევ ბავშვობიდან. ახსოვს, როგორ იზიდავდა, როგორ აჯადოებდა თავისი მომხიბვლელი მედიდურობით. ხელის მოძრაობისას, ათასნაირად იცვლიდა ფერს ლამპის შუქზე, როცა მამა ნარდს ეთამაშებოდა სტუმრებს... „მე პრემიერ-მინისტრი ვარ...“ — ეუბნება გუნებაში, მისი მემკვიდრე, მისი გენის მატარებელი და გამგრძელებელი და, რასაკვირველია, მწვერვალი, უმაღლესი წერტილი ყველა მისი ოცნებისა, სურვილისა, მისწრაფებისა, ნატვრისა, განზრახვისა, ნაფიქრალისა და მაინც, პოლიტიკური მოწინააღმდეგე, შეიძლება ითქვას, მტერიც კი... არადა, მისი გაზრდილია, მან ასწავლა, რაც იცის, და მისი მეშვეობით მიაღწია, რასაც მიაღწია. „მამა, მაპატიე... მადლობთ“... — ჩურჩულებს გუნებაში, გრძნობამორეული და მამასავით დინჯად, აუჩქარებლად დგება, ოთახიდან გამოდის და გურული ოდასახლის სახურავებიანი კიბით ეზოში ჩადის. მაშინვე თავფეხიანად ინთქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ირგვლივ გამეფებულ წყვდიადში. წყვდიადს სველი ნეშოს სუნი დაჰკრავს. ჯერ კიდევ გაზაფხულია. ტრიფოლიატის გაუჩინარებული ღობის იქით სუნთქვაშეკრული სამყარო გალურსულა, გურულ ოდა-სახლსაა მოყურადებული, უბრალო ჩქამიც აინტერესებს იქიდან გამოსული, რადგან პრემიერ-მინისტრის სამყოფელში ჩქამზეც აღარ ითქმის უბრალო. თვალთან თითს ვერ მიიტან, მაგრამ პრემიერ-მინისტრი ბრმის სითამამით მიუყვება ტერფებით დამახსოვრებულ ბილიკს. ცოტაც და, მიეახლება მშობლების მარადიულ განსასვენებელს. ერთმანეთის გვერდით წვანან ისინი საკუთარ ეზოში. მკვდრებიც შინ არიან. ცოლმა ქმარი „არ გადაუშვა ეზოდან" და ბოლოს თვითონაც ამოუწვა გვერდით. აი, ასე გაჩნდა ეს მოკრძალებული, ორადგილიანი სასაფლაო... „მამა..." – ჩურჩულებს პრემიერ-მინისტრი სიბნელეში, გაუბედავად, მორიდებით, თითქოს ძილს დაუფრთხობს მიცვალებულებს. „დედა..." – აგრძელებს ცოტა ხნის შემდეგ, იმავე გაუბედაობითა და მორიდებით. მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას და ისიც ამბობს, მღელვარებისგან ხმაათრთოლებული: „თქვენი შვილი პრემიერ-მინისტრია... გიხაროდენ..." და თითქოს პირველად ახლა იგრძნო ამ სიტყვების დამაქცევარი ძალა და შემზარავი სიდიადეო, მაშინვე ფაციფუცით ამატებს: „გამწირეს... დავიღუპე..." სწორედ ამ დროს, წყვდიადში ჩაკარგული ოდა-სახლის მეორე სართულის ერთ-ერთ სარკმელში შუქი ინთება და პრემიერ-მინისტრიც იძულებულია დაბრუნდეს. წინ ნახრილი და საკუთარი ჩრდილის მსგავსად, არაბუნებრივად დაგრძელებული, ასევე არაბუნებრივად გაზრდილი წვერით ლამის მიწას მიწვდენილი, ნადირივით უხმაუროდ მიძუნძულებს გაფერმკრთალებულ წყვდიადში. არ უნდა, მისმა უცხოელმა მეუღლემ იხილოს ეს ლირიკული ინტერმედია, ასე მოუმზადებლად ჩართული დიახაც რომ დაუნდობელი გულქვა, გულღრძო ცხოვრებისა ბობოქარ დინებაში... მაინც აღარაფერი შეიცვლება, მოსახდენი მაინც მოხდება. თანაც, გაცილებით ადრე (სამ წელიწადში), ვიდრე მას გონია. ვინ დაუნდია, ის რომ დაინდოს მეძავმა წუთისოფელმა. მაგრამ კაცობრიობის წინაშე პირნათელია. გაუგებენ თუ ვერ გაუგებენ, ეს სხვა საკითხია. მას რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა და, ვნახოთ, ვინ რას გააკეთებს მასზე უკეთესად...

მართლაც, უცებ გაირბინა პრემიერმინისტრობისთვის განკუთვნილმა დრომ. მისმა უცხოელმა მეუღლემ წესიერად ვერც იჯერა გული ავჭალის ხრიოკ გორაკებსა და საბურთალოს გაუვალ ეკალბარდებში ჯირითით, მლიქვნელ ქვეშევრდომთა ამალის თანხლებით... ბოლშევიკების რკინის კომისარს უკვე ფარაჯის გულის ჯიბეში ედო სტალინის კარნახით შედგენილი დეპეშის ტექსტი – „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებსო" – რომელიც თავისი სახელით უნდა გადაეგზავნა ლენინისთვის თბილისიდან, როცა დათქმული დღე დადგებოდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი პირობისამებრ დაეცემოდა. ასე რომ, საქართველოს პირველი ლედი ცოტა ხნით უნდა შეშვებოდა „სედლოთი" სეირნობას და დროულად გადაერჩია „კიდობანში" შესაზიდი ნივთები, რაც ემიგრაციაში უფრო გამოადგებოდა. წარღვნა ყოველ წამს ახლოვდებოდა. უკვე ამხანაგი კიროვიც ჩამოვიდა საგანგებოდ, ისტორიულად თითქოს ახლობელი, მაგრამ გეოგრაფიულად მაინც საკმაოდ შორი მოსკოვიდან. თავისთავად ცხადია, მადათოვზე საქეიფოდ და ჭრელი აბანოების დასათვალიერებლად არ გამოივლიდა ამხელა გზას. მოსკოვისთვის ქართველთა ნოე პარიზშიც ის იქნებოდა, რაც თბილისში იყო... მაგრამ ნოეს ასაკში ალბათ მაი-

ოთარ ჭილაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნც ძნელია თუნდაც ფიქტიური პრემიერმინისტრობის დათმობა, რაც ცოტა მოგვიანებით, შეეტყო კიდეც. თქვენ წარმოიდგინეთ, პატრიოტული გრძნობაც კი გაუჩნდა უკვე გაწნირული, უკვე სასიკვდილოდ გადადებული რესპუბლიკის მიმართ, რომელიც, უდღეური იყო თუ უსუსური, მაინც მას ეკუთვნოდა, მისთვის შეექმნათ და, საცა სამართალია, მასვე უნდა გადაეწყვიტა მისი ბედი... მაგრამ, როგორც სინანულის, ისევე დაგვიანებული პატრიოტიზმის გამომჟღავნება, რასაკვირველია, პარიზში გაცილებით ნაკლებად სახიფათო იქნებოდა მისთვის, ვიდრე კრწანისისა თუ ტაბახმელას სანახევროდ ცარიელ სანგრებში. ხოლო, მისი მეუღლე ბულონის ტყეშიც მოიკლავდა, როგორმე, ცხენოსნობის ჟინს და, რაღა თქმა უნდა, არც იქ იგრძნობდა უცხოდ თავს; როგორც მსოფლიო მოქალაქე, იქაც შინ იქნებოდა, იქაც თავისიანებში და, კაცმა რომ თქვას, ალბათ ნაკლებად აინტერესებდა ის პოლიტიკური ხრიკები და ბატალიები, რომლებშიც მისი მეუღლე გახლდათ ჩართული თუ ჩათრეული, რადგან, მაინცდამაინც, არცერთ ნორმალურ ქვეყანას არ გამოუდია თავი ლანჩხუთელი პრემიერ-მინისტრის დასაცავად. რკინის კომისარი კი, უკვე ჯარს აგროვებდა სამხრეთ რუსეთის ბაზრებსა და სადგურებში, რადგან სწორედ მას, როგორც ქართველ იანიჩარს, ერგო პატივი, სხვა რომ არ ვთქვათ, მეტად ბინძური და საკმაოდ სახიფათო ოპერაციის ჩატარებისა: საქართველოს სამწლიანი დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად უნდა გადაეკეთებინა განუსაზღვრული ვადით. „ვისაც ტანინიანი ღვინო და ხალიანი ქალები გიყვართ, უკეთეს ადგილს ვერ იპოვით ქვეყანაზეო" — მოუწოდებდა, აქეზებდა, აღიზიანებდა ჯიბიდან გავარდნილ მანანწალებს, ბაზრის თაღლითებს, სადგურის ჯიბგირებს, გენეტიკურ ლოთებსა და მკვლელებს ბაზრის მოედანსა თუ სადგურის პლათფორმაზე სახელდახელოდ გამართული ტრიბუნიდან...

იქიდან იწყება კაშელების სისხლიანი დინასტიის წელთაღრიცხვაც; რაჟდენ კაშელი და მისი მეუღლე კლავა ერთ-ერთი პირველები ჩაეწერნენ მოხალისეებად ეგრეთწოდებულ მეთერთმეტე არმიაში და შვილიც 21-ში გაუჩნდათ, ზუსტად თბილისის აღების დღეს, უფრო ზუსტად, თბილისის დაცემისთანავე, თითქოს მხოლოდ იმიტომ დაეცა თბილისი, კლავას რომ მშვიდად მოემშობიარებინა. სინამდვილეში, „კავკასიის საფრანგეთის" დედაქალაქი, მაინცდამაინც, მაგარი კაკალი ვერ აღმოჩნდა. თუმცა, ვერც ძაბრისებურ ქუდებსა და გრძელ, ჩაფართხუნებულ ფარაჯებში ჩაკარგული მოძალადეები დაიტრაბახებენ რამეს: თბილისს არავინ იცავდა, რადგან, ფაქტიურად, არც ჰყავდა პატრონი: ქართული ჯარის შექმნა თავიდანვე არამიზანშეწონილად მიიჩნია კრემლმა, რასაც, თავისთავად ცხადია, ქართველი პრემიერ-მინისტრიც უსიტყვოდ დაეთანხმა. ხოლო, დაქირავებული და, ამდენად, მხოლოდ და მხოლოდ, პრემიერ-მინისტრის ნება-სურვილს დამორჩილებული გვარდია, იმდროისათვის, პრემიერ მინისტრის საძილე ვაგონს მიაცილებდა ბათუმისკენ, სადაც პრემიერ-მინისტრი ქართული ემიგრაციისთვის საგანგებოდ გამოყოფილ გემზე გადაჯდებოდა და მსოფლიო ჭიპისკენ აიღებდა გეზს, თავის რჩეულ, ანუ, საემიგრანტო სიაში მოხვედრილ თანამემამულეებთან ერთად, ისევ და ისევ, განუსაზღვრელი ვადით... სანგრებში კი, ძირითადად, მასწავლებლები, სტუდენტობა, ფოსტისა თუ რკინიგზის მოხელეები იდგნენ და აქედან ნახევარზე მეტს თოფიც არ ჰქონდა, თოფიანი თანამებრძოლის სიკვდილს ელოდებოდა, თავად რომ შეიარაღებულიყო და, თანამებრძოლის სიკვდილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

22471

მოლოდინში სურდოშეყრილი, საცოდავად მობუზული, რაც შეეძლო, მაღლა ექაჩებოდა პალტოს თუ სერთუკის საყელოს... სამაგიეროდ, თბილისის არაქართული მოსახლეობა, უკვე მორთულ-მოკაზმული ელოდებოდა, როდის შეწყდებოდა ზარბაზნების ჭექა-ქუხილი, რათა განჯის კართან ზურნა-დუდუკითა და ბაღდადების ფრიალ-ფრიალით, შეჰგებებოდა „გამანთავისუფლებლებს"...

კლავამ შარაგზაზე იმშობიარა, სადღაც, სოღანლუღსა და ორთაჭალას შორის. თავისუფლად შეიძლება ითქვას, საბჭოთა ხელისუფლება პირველი ანტონ კაშელის ჩხავილით შემოვიდა ახალ საქართველოში, როგორც მისი ტყუპისცალი და მისი ბედიღბლის თანაზიარი, რაც ანტონ კაშელის მამის, გოდრის ნაშიერის ყოვლად აუხსნელი, ყოვლად გაუმართლებელი თავგამოდებით უფრო მოხდა, ვიდრე ღმერთის ნებასურვილით. მუცელი რომ ასტკივდა, კლავა ფურგონიდან ჩამოხტა, გზიდან გადავიდა და, თითქოს ჩვეულებრივ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა, წუთში მოიმშობიარა, მემკვიდრე მოუვლინა მეუღლეს, კიდევ უფრო განავრცო, კიდევ უფრო წინ გასტყორცნა მეუღლის თესლი, კიდევ უფრო ღრმად – დროსა და სივრცეში... შარაგზაზე მიმავალი მისი თანამებრძოლები ათასნაირ უწმაწურობებს ეძახდნენ, უსტვენდნენ, დასცინოდნენ, ამხნევებდნენ... ერთმა ქვაც კი ესროლა, რასაკვირველია, ჯარისკაცული სოლიდარობის გამოსახატავად. მაგრამ კლავას არავისთვის მიუქცევია ყურადღება, „ჩამეთ ჩემი ჩუჩუაო" – დუდღუნებდა ცხვირში ქმრისგან ნასწავლ ქართულს და თან იქვე, გზისპირა თხრილის დამყაყებულ წყალში აღანღალებდა ჩვილს (არ დაგავიწყდეთ, ზამთარში ხდება ეს ამბავი, ოცდახუთი თებერვალია ჯერ, თანაც, ახალი სტილით. თბილისსა და მის შემოგარენში თოვს). მერე ჩვილი მოწყალების დის წითელჯვრიანი თავსაფარში გაახვია და ისევ ფურგონს გაეკიდა. ფურგონზე, მისი მეუღლის გარდა, სხვა ჯარისკაცებიც ისხდნენ, მსუბუქად დაჭრილები თუ სიმულიანტები, მაგრამ არავის შეუშველებია ხელი. მისი მეუღლე გაზეთის ნაგლეჯში სქლად გახვეულ წეკოს აბოლებდა და, ცოლის სიყოჩაღით გაამაყებული, წეკოს ბოლივით გაწელილ გზას ჩასცქეროდა ლაჯებს შორის. საამაყო კი ნამდვილად ჰქონდა: ეს წუთია გაჩენილი მისი ვაჟი, ორი წლისა, თვალდახუჭული შლიდა და აწყობდა საომარ შაშხანას. ხუთისამ მეზობლის ძაღლი მოკლა იმ შაშხანით. ხოლო, თხუთმეტისა უკვე ხალხს ხოცავდა. ოცდათექვსმეტში, ოცდაჩვიდმეტში, ოცდათვრამეტში, ოცდაცხრამეტში, მართლაც რომ საქვეყნოდ ჰქუხდა მისი სახელი. ციხეებში ხომ ფეხის ხმაზე ცნობდნენ. ზღაპრებს ყვებოდნენ მისი სიმკაცრისა და სისასტიკის შესახებ. ანგარება კი არ ამოძრავებდა, უმრავლესობის მსგავსად, შურისძიების ჟინით კი არ იყო შეპყრობილი, ზოგიერთებივით, „ხალხის მტრებს", „კულაკებს", ანდა „ქართველ ნაციონალისტებს" კი არ უსწორდებოდა, როგორც ჭეშმარიტი ბოლშევიკი – უბრალოდ, სულერთი იყო მისთვის, ვის სისხლს დაღვრიდა, რადგან ამ ქვეყნად ყველაზე ძალიან სიკვდილის შიშით წამხდარი ადამიანის ცქერა უყვარდა და ადამიანის სისხლი სწყუროდა განუწყვეტლივ, რაც თავი ახსოვდა. ერთხელ, შორეულ ბავშვობაში, თუკი როდისმე ისიც იყო ბავშვი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მამამ დახვრეტილი მეამბოხეების გვამებით სავსე მანქანა მიაყენა შინ და შუაღამისას, ლოგინიდან ფაცაფუცით წამოვარდნილი, სანახევროდ ჯერ ისევ მძინარე, მანქანის ძარაზე შესვა, ასე ვთქვათ, გამოსაწრთობად, „ნერვების გასამაგრებლად", „გვამის შიშის დასაძლევად". იმას კი, იოტის ოდენადაც არ შეშინებია ამაზრზენად სახეგადაფითრებული გვამებისა, პირიქით,

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე ჯირითსა და ბუქნაობას მოჰყვა და ძალიანაც მოეწონა, მის ფეხქვეშ ჭყაპა-ჭყუპი რომ გაუდიოდა უკვე სანახევროდ შედედებულ სისხლს, არათანაბრად რომ იბუშტებოდა აქა-იქ, კონსერვის თევზებივით, ერთმანეთზე მჭიდროდ დალაგებულ გვამებს შორის და ნაზად, სასიამოვნოდ რომ უწინწკლავდა სახეს თითის მიკარებისთანავე უკვალოდ გამქრალი ბუშტი. ცოტა ხნის მერე, მის დანახვაზე, არა მარტო პატიმრებს, ციხის ადმინისტრაციასაც ეკარგებოდა ფერი. პატიმრები „ეშმაკის მამალს" ეძახდნენ — უთენია გამოდიოდა „სანადიროდ", — რატომღაც, მოტოციკლეტისტის მაღალყელიან ხელთათმანებს იცვამდა და მწვანე შუშებიან სათვალეს იკეთებდა (ალბათ კონსპირაციის მიზნით), სხარტად, ხალისიანად ჩარბოდა ენკავედეს სარდაფის კიბეზე, მცოდნე და მოყვარული თავისი საქმისა, და როგორც არ უნდა გაჯიუტებოდა დასახვრეტი, როგორც არ უნდა მიყუჟულიყო სიკვდილმისჯილთა საკნის კუთხეში, გინდაც კედლის ბზარში შემძვრალიყო, ჯოჯოსავით, მაინც წამში გამოათრევდა იქიდან: გრძელტარიან რკინის კაუჭს მარჯვედ გამოსდებდა ბარძაყში, მხარში ანდა ყბაში და ისიც (დასახვრეტი) მაშინვე კარგავდა ბრძოლის ხალისს, მაშინვე ნებდებოდა, შიშისაგან ჩაფსმული და ენაჩავარდნილი მიფრატუნობდა სანახევროდ ბნელსა და უკაცურ დერეფანში, ჯერ კიდევ პირტიტველი ჯალათის წინ...

ცოლიც ადრე შეირთო, ბევრად უფროსი ქალი და, რაც მთავარია, მისი კლასობრივი მტერი, „მაღალი საზოგადოების" ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი „უწინდელ" საქართველოში — კნიაჟნა ქეთუსია — ეტალონი ქალური მომხიბვლელობისა, გულისხმიერებისა და კდემამოსილებისა... მამისა და ქმრის გაუნელებელი სიყვარულითა და ყურადღებით განებივრებული და თავადაც ფარი და გვირგვინი: „ბატონ-ქმრისა" და ქმრის ღირსებისა და სახელისა... კნიაჟნა ქეთუსიას მამა ტიპიური ქართველი თავადი გახლდათ — მიმინოთი ნადირობდა მწყერზე და ნანადირევს მიმინოს აჭმევდა. ქმარი — უცხოეთში განსწავლული და საქვეყნოდ ცნობილი ვექილი, მსაჯულთა და ბრალმდებელთა რისხვად ითვლებოდა და, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალზედ უხერხულ და, ხშირად, გამოუვალ მდგომარეობაშიც აგდებდა იმათ თავისი მოსწრებული სიტყვით. ცხოვრებაში კი, უაღრესად მორიდებული, თავაზიანი ადამიანი გახლდათ და, დროს თუ გავითვალისწინებთ, სავსებით დაუცველიც. სიფრიფანა პენსნეს ატარებდა მხოლოდ, გარევოლუციონერებული, ანუ, გამხეცებული ცხოვრებისგან თავის დასაცავად და, თქვენ წარმოიდგინეთ, გარკვეული თვალსაზრისით, ესეც ზრდიდა მის ავტორიტეტს ახალი საზოგადოების თვალში. უფროსკლასელი გოგოები გაკვეთილებიდან იპარებოდნენ და სასამართლოს ცივ დარბაზში საათობით უსმენდნენ იმის ცეცხლოვან გამოსვლებს, დაძაბულობისგან დაცქვეტილნი და მღელვარებისგან თითებმომუწულნი, შესცქეროდნენ თავიანთ კერპს, რომელიც ანტონ კაშელმა დაუფიქრებლად მიახვრიტა, სიმამრთან ერთად, მხოლოდ იმიტომ, მაინცდამაინც, მისი ცოლი რომ უნდოდა ცოლად. მართალია, ბოლშევიკების მეორე თაობას ეკუთვნოდა და ადამიანური ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა ჯერ, მაგრამ რამეს თუ ვერ იტანდა, რამეს თუ გამოჰყავდა წონასწორობიდან, მხოლოდ ბოლშევიკური ცხოვრების წესს, ბოლშევიკურ ყოფას; თუკი რამ თრგუნავდა, მხოლოდ მშობლიური გარემო. პატარაობისას (სხვათაშორის, ასაკთან შედარებით, ყოველთვის პატარად გამოიყურებოდა), თითებით ყურებდაცული, ძალად თვალებდახუჭული და კიდევ უფრო დაპატარავებული იჯდა ხოლმე იატაკზე, სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ხელისდადება ოთახის კუთხეში, სადაც თითქმის ყოველ საღამოს ლამის მთელი მეთერთმეტე არმია იყრიდა თავს და მშვენივრადაც ეტეოდა, თავის ქალებიანად, არყის ბოცოებიანად, მოხარშული კარტოფილის ზვინებიანად და ქაშაყით სავსე კასრებიანად... იდგა ერთი გაუთავებელი ხორხოცი, ღრიალი და ღრიანცელი, ანუ, სუფევდა სრული თანხმობა, თანასწორობა და სიამტკბილობა, არავინ არავის მიმართავდა, არავინ არავის უსმენდა და არავინ არავის პასუხობდა. უფრო მეტიც, ძაღლადაც არ აგდებდნენ ერთმანეთს. ყველა თავის ჭიას ახარებდა მხოლოდ, ცხოვრობდა ჭიის მოთხოვნილებებისა და მითითებების გათვალისწინებით, ანუ, იმას აკეთებდა, რაც იმ წუთას უნდოდა: სვამდა, მღეროდა, ცეკვავდა, ტიროდა, იცინოდა, ანეგდოტს ყვებოდა, სადღეგრძელოს ამბობდა, ცემდა ან ეფერებოდა თავის ქალს, თქვლეფდა გაუფცქვნელ კარტოფილსა და გამოუწელავ ქაშაყს, ანდა, იქვე, კედელთან მიმდგარი, ყურებდაცობილი და თვალდახუჭული ბავშვის გვერდით შარდავდა, „სუფრისკენ" კისერმოღრეცილი და შტერულად მომღიმარი, ვითომ, შემომხედეთ, როგორი ჭკვიანი ვარ, არც სუფრას ვკარგავ თვალთახედვიდან და არც ზედმეტ დროს გასვლა-შემოსვლაშიო. „კლავა, შე ძაღლის გაგდებულო, კლავა, არ დაივიწყო პერეკოპიო..." — ღრიალებდა გალეშილი რაჟდენი. „ჩამე ჩემი ჩუჩუაო" — პასუხობდა არანაკლებ გალეშილი კლავა. ხოდა, თვითონაც ამ წუმპეში რომ არ ჩამპალიყო, ყველა ღონე უნდა ეხმარა იქიდან ამოსასვლელად. მაღალ მიზანს მხოლოდ დიდი სიძნელეების გადალახვით თუ მიაღწევს კაცი და მიზანი ყოველთვის ამართლებს ყველაფერს, რასაც მის მისაღწევად ჩაიდენ... ანტონ კაშელმა კნიაჟნა ქეთუსიას მამა და ქმარი ჯერ „ხალხის მტრებად" შერაცხა და მერე საკუთარი ხელით დახვრიტა ენკავედეს სარდაფში. რაც მთავარია, ეს ამბავი არც კნიაჟნა ქეთუსიასთვის დაუმალავს, როგორც პატიოსანსა და თავის პატიოსნებაში ღრმად დარწმუნებულ ჩეკისტს. ხელის სათხოვნელად რომ ეახლა შინ, ჯერ ის უამბო, თუ როგორ „თავადიშვილურად" აღესრულა მამამისი და როგორ „ინტელიგენტურად" ჩაისვარა მისმა ქმარმა. ნადირობის მოტრფიალე თავადი არც სიკვდილმისჯილთა საკნიდან გამოყვანისას გასძალიანებია ტყუილუბრალოდ და არც ბნელსა და უკაცურ დერეფანში მოჰყოლია უაზრო ხვეწნა-მუდარას. მოტოციკლეტისტის ხელთათმანებიანი და მწვანე სათვალიანი ჯალათის დანახვაზე, ჯერ გასცინებია, მერე ხელი ჩაუქნევია და უთქვამს: „როცა შენისთანა ნაბიჭვრები დაეპატრონებიან ქვეყანას, თავმოყვარე კაცს იქ ნამდვილად აღარ დაედგომებაო". სამაგიეროდ, მის სიძეს არ ეთმობოდა აქაურობა. ფრჩხილებით, კბილებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, წამწამებითაც კი, ებღაუჭებოდა თურმე ბეტონის ყრუ კედელს. ანტონ კაშელსაც მხოლოდ მესამე ცდაზე მიუწვდენია გრძელტარიანი რკინის კაუჭი საფუძვლიანად. პირველად, შარვლის ცალი ტოტი შემოუხევია მხოლოდ. მეორედ — პიჯაკიან-პერანგიან-ხორციანად ჩამოუბღორტნია ფერდი. მესამედ კი, საზარდულში გამოუდია კაუჭის ნვეტიანი ნისკარტი და სახელგანთქმულ ვექილსაც მაშინვე დაუყრია ფარხმალი, მუხლზე დავარდნილა და აქვითინებულა, ოღონდ ნუ მომკლავთ და ყველაფერს ვაღიარებო, რასაც კიდევ უფრო განურისხებია მისი ჯალათი, რადგან ჯალათზე უკეთ არც თავად ბრალდებულმა იცოდა, არავითარი დანაშაული რომ არ მიუძღოდა არც ღმერთისა და, მით უფრო, არც ხალხის წინაშე. ცოლის ღამის ქოთანი თუ გადაბრუნებია შემთხვევით, საძილე ოთახიდან გამოტანისას, და მაშინაც ალბათ თავად მოუწმენდია დაღვრილი... „ყველაფერი შემიძლია გავუგო და ვაპატიო კაცს, გარდა სიცრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უისაო“ – გულწრფელი უტიფრობით განაცხადა მსხვერპლის ქვრივთან ხელის სათხოვნელად მისულმა ჯალათმა, ოღონდ, თავის გასამართლებლად კი არა, არამედ მომავალი მეუღლის გასაფრთხილებლად. საღამოვდებოდა. სადღაც, შორს, ან დიდუბეში, ან ნავთლუღში, ორთქლმავალმა შეჰკივლა. კნიაჟნა ქეთუსია სარკმელთან იდგა (ვიდრე ანტონ კაშელი ლაპარაკობდა), მხრებზე თხელი, აბლაბუდასავით სიფრიფანა, ორენბურგული შალი მოეხურა, და ქუჩაში იყურებოდა, მაგრამ სარკმლიდან, ქუჩის მაგივრად, რატომღაც, სოფლის გზის პატარა ნაგლეჯი მოჩანდა მხოლოდ (შეიძლება, მის ხსოვნაში ჩარჩენილი), არსაიდან მომავალი და არსაით მიმავალი. გზის ნაგლეჯს ბალახი მოსდებოდა. ბალახს ურმისა თუ ეტლის ნაბორბლარი ეტყობოდა. ნაბორბლარში წყალი ჩამდგარიყო. წყალს ნემსიყლაპია დასტრიალებდა. „ვიდრე, თუნდაც, გზის ეს პატარა ნაგლეჯი არსებობს, ეს პაწაწინა ნაგლეჯიო...“ – ფიქრობდა კნიაჟნა ქეთუსია და სულ ოდნავ, ძლივსშესამჩნევად უთრთოდა ლაღად გაშლილი, უაღრესად სიმეტრიული, ძვლიანი მხრები, რაც, თვისთავად ცხადია, არც ანტონ კაშელის ფხიზელ თვალს გამოპარვია, ოღონდ, ანტონ კაშელსაც გაუჭირდა დაედგინა, სიცილს იკავებდა მისი მომავალი მეუღლე თუ ქვითინს...

ჯვარი ორგზის გაკრეჭილმა (ცხრაასხუთსა და ცხრაასჩვიდმეტში) და სამუდამოდ სულწაწყმედილმა მღვდელმა დასწერათ. დიდხანს უარობდა, არ მიყვებოდათ ეკლესიაში, აღარა ვარ ღვთის მსახური, ჩვეულებრივი ვირისმუშა ვარო, მაგრამ სიძის მაყრებმა შავად აკრიალებული რევოლვერები რომ დაადეს შუბლზე, საიდანღაც, ანაფორაც გამოაძვრინა უცებ, ოქრომკედით ნაქარგი ოლარიც, ვერცხლის ვეება ჯვარიც და ბორკილივით მძიმე საცეცხლურიც. ძირითადად უწმაწურ ანეგდოტებს ყვებოდა საერთოდ ნეფეს[illegible]ბის პიკანტურ თავგადასავლებზე და გულიანადაც აცინებდა მექორწილეებს – რაჟდენ კაშელისა და კლავას ყოფილ თანამებრძოლებს, მეთერთმეტე არმიის ვეტერან ჯარისკაცებს, და სიძის, ანტონ კაშელის კოლეგებს, დამწყებსა თუ დასრულებულ ჩეკისტებს. მხოლოდ კლავა არ ღალატობდა მხედრულ დისციპლინას და მთელი სერიოზულობით ეკიდებოდა ამ უცნაურ ცერემონიალს. ჩვეულებისამებრ, უნიფორმაში გამოწყობილი და მხარზე შაშხანაგადაკიდებული, კუშტად იდგა, როგორც პოსტზე, ანდა საპატიო ყარაულში, და მაზარის ფართო ლაცკანზე ერთად დაემაგრებინა თავისი თუ მეუღლის ჯილდოები. თავად რაჟდენ კაშელი ამდროისთვის უკვე მკვდარია. ვიღაც აისორმა მოკლა ორი წლის წინ, ღვინის სარდაფში, მალაკნების ბაზართან. ქილის ნამტვრევით გადაუჭრა საძილე არტერია და კიბეზე დალია ცოდვილი სული კაშელების პატრიარქმა, ვერ მოასწრო სარდაფიდან ამოხოხება. ეკლესიაში კი, ერთი უსაშველო გნიასი და ღრიანცელი იდგა. ავაზაკურ სტვენასა და სამსართულიან გინებებს დამაყრუებელი ბათქაბუთქი ენაცვლებოდა. ისროდნენ ყველანაირი იარაღიდან: მაუზერიდან, ნაგანიდან, კარაბინიდან და ჩვეულებრივი საბრძოლო შაშხანიდანაც... ლაწალუწი გაუდიოდა ხატებს, სასანთლეებს... კედლებს ფერადი ბათქაში ცვიოდა. გაოგნებულნი, სახტად დარჩენილნი იყურებოდნენ თვალგამოთხრილი, ცხვირჩაჩეჩქვილი, ყურწაგლეჯილი თუ შუბლგახვრეტილი წმინდანები... მაგრამ სიძის ნასროლმა მაინც ყველას აჯობა, სიზუსტითაც და სანახაობრივადაც. სიძემ ნაგანის ტყვიით, ოცდახუთი ნაბიჯის სიშორიდან, წითელი ღვინით სავსე ჭიქა დაამსხვრია პატარძალს თავზე და როცა საქორწილო ლეჩაქი ღვინომ სისხლისფრად შეღება, პატარძალმა კი, გამარჯვებულ ნეფეს მდაბლად დაუკრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი, ალტაცების ყიჟინამ ლამის დააქცია ეკლესია...

იმ დღის მერე, წვეულება არ გაიმართებოდა თბილისში (ბევრი საგანგებოდ ამიტომაც მართავდა), ისინიც არ მიეწვიათ. რასაკვირველია, მართლაც ძალიან საინტერესო სანახავია, თუ როგორ ამსხვრევს თავზე ღვინით სავსე ჭიქას ახალგაზრდა ჩეკისტი არც თუ ისე ახალგაზრდა ცოლს, მაგრამ ალბათ იმის ფარული მოლოდინი უფრო ჰქონდათ, თუ როდის უმტყუნებდა ხელი სახელგანთქმულ ჯალათს და როდის გაუხვრეტდა (სახალხოდ) შუბლს თავის სულელ პარტნიორს, რომელმაც მამისა და ქმრის დამხვრეტი ლოგინში ჩაიგორა და კლასობრივ მტერს წლის თავზე ვაჟი გაუჩინა. მაგრამ ქალაქში მოარული ჭორების მიუხედავად, მიუხედავად კლასობრივი და ასაკობრივი სხვაობისა, უფრო შეხმატკბილებული წყვილი ალბათ სანთლით ვერ მოიძებნებოდა ქვეყანაზე. უყვარდათ თუ სძულდათ ერთმანეთი, ეს სხვა საკითხია, ძნელი გასარკვევიც, მაგრამ აშკარად ძლიერი გრძნობებით რომ იყვნენ დაკავშირებულნი, ცხადია — სიკვდილის სუნს ავრცელებდნენ ირგვლივ და გარდუვალი უბედურების შეგრძნებას უჩენდნენ ყველას, ვისაც შორიდან მაინც მოეკრა მათთვის თვალი. კნიაჟნა ქეთუსიას ან მართლა აღარ ჰქონდა სხვა გზა (გარდა სარკმლიდან მოლანდებული გზის ნაგლეჯისა) და იძულებით მიდიოდა სასიკვდილოდ, თანაც, ყოველ საღამოს, ან იმდენად წყუროდა, მაინცდამაინც, მისი უახლოესი ადამიანების დამხვრეტი მეუღლის ხელით სიკვდილი, სანაცვლოდ ყველაფერს აიტანდა, და მომხიბლავად მომღიმარი, ბედნიერებისგან დაბრმავებული ქალის უდარდელობით უსწორებდა თვალს ნაგანის ლულის შავ სიცარიელეს, საიდანაც ყოველ წამს შეიძლებოდა გამოვარდნილიყო ნანატრი სიკვდილი. ხოლო, მისი მეუღლე იმდენად თავდაჯერებული გახლდათ, ანდა, იმდენად ბრიყვი, ვერც ხვდებოდა, თუ რა საფრთხეში აგდებდა ყოველდღიურად, რა იოლად წირავდა, გაუთავებელი რევოლუციებითა თუ მსოფლიო და სამოქალაქო ომებით ძლივს მოპოვებული დიდგვაროვანი მეუღლის სიცოცხლეს. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მათი მარადიული დუელი ენით უთქმელ სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს, პირველ რიგში, ბრმა სიკვდილის ასევე მარადიული მოლოდინით. მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა. უსიტყვოდ, სხეულით ესმოდათ ერთმანეთისა, როგორც საცირკო ნომერში მონაწილე აკრობატებს და, თუმცა მათი „ნომერი" ნებისმიერ საცირკო ნომერზე საინტერესოც იყო და სახიფათოც, ყველა წარმოდგენა ერთნაირი წარმატებით მთავრდებოდა. ტყვიის გავარდნისთანავე, ყოველთვის ერთნაირად იღებებოდა „სისხლით" საქორწილო ლეჩაქი (ჩვეულებრივი, ჭრილობის გადასახვევი მარლა, რომელსაც ალბათ იმიტომაც აფარებდნენ „პატარძალს" თავზე, შუშის ნამსხვრევები არ ჩასცვენოდა თმაში) და საფუძვლიანად აღელვებული, მაგრამ გულის სიღრმეში ასევე საფუძვლიანად გაწბილებული მაყურებელი ამ გახანგრძლივებული მკვლელობის აქტს, შეიძლება გაუთვითცნობიერებლადაც, მაგრამ სავსებით ბუნებრივად, რევოლუციამდელი ცხოვრებიდან გადმოყოლილი ადათწესებისა და, კერძოდ, კანონიერი ქორწინების საწინააღმდეგო აგიტაციად აღიქვამდა...

ვაჟს ბაბუის სახელი დაარქვეს და გოდრიდან ამოსულმა მოდგმამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ გაურკვეველი მომავლისკენ, კიდევ ერთი თაობით გაიხანგრძლივა დაუოკებელი ჟინი სიცოცხლისა, გოდრიდან რომ ამოიყოლა მისმა პატრიარქმა, რომელიც უკვე ბიუსტად გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქმნილი იდგა მშობლიურ სოფელში, სკოლის წინ, და სულერთი იყო მისთვის, ესალმებოდნენ თუ ეჭყანებოდნენ ადგილობრივი პიონერები. მოწონდა თუ არ მოწონდა, ასე უნდა მდგარიყო, სულ ცოტა, ოთხმოცდაცხრა წლის აპრილამდე მაინც, ვიდრე იგივე პიონერები ძალაყინით გადმოაგდებდნენ კვარცხლბეკიდან. იქამდე კი, დედის გინებაც უნდა მოეთმინა და შუბლზე მიჭყლეტილი ნამწვიც, ნერწყვით დამბალი და ჯერ კიდევ მხრჩოლავი პაპიროსისა. უნდა მდგარიყო, ბოლშევიკურად მტკიცედ და წარბის შეუხრელად, თუნდაც, მხოლოდ საკუთარი მოდგმის საკეთილდღეოდ, პატივი და ყურადღება რომ არ მოკლებოდა მისიანს მადლიერი ხელისუფლებისგან. ხელისუფლებამ, ავია თუ კარგი, კანონიერი თუ უკანონო, ხალხის მსახური თუ ხალხის მტერი, მშვენივრად იცის, უანგაროდ არავინ მოიკლავს მისთვის თავს და ისიც იცის, მადა ჭამაში რომ მოდის, ყოველ შემთხვევაში, ოქროს წყალში გავლებული თითბრის ორდენებითა და თაბაშირის ბიუსტებით ვეღარ გააცუცურაკებს „ხალხისთვის წამებულ რაინდებს". კაშელების ქვიშხეთური აგარაკის ელექტრო-ჭიშკრის სანახავად, არა მარტო მეზობელ სოფლებიდან, ცოტა უფრო შორიდანაც ჩამოდიოდნენ შურიანი ცნობისმოყვარენი და პირდაღებულნი შესცქეროდნენ, ალიბაბას სეზამივით, თავისთავად როგორ იღებოდა რკინის ცხაურებიანი მესერი, როგორ შედიოდა აგურის კედელში, ღრჭიალითა და ძაგძაგით, და ეზოს დაბურული სიმწვანიდან თანდათან როგორ იკვეთებოდა პომპეზურად პირქუში თუ პირქუშად პომპეზური შენობა, სადაც ზაფხულობით მხოლოდ ერთი ჩეკისტის ოჯახი ისვენებდა, როცა, საჭიროების შემთხვევაში, თავისუფლად შეეძლო მთელი სანატორიუმის მაგივრობაც გაეწია (ადგილობრივი თავადის ბევრად უფრო მოკრძალებულ სახლში, სეზონის განმავლობაში, თითქმის ყველა უაგარაკო მწერალი ასწრებდა დასვენებას და, თანაც, ოჯახთან ერთად). ამდროისათვის, უკვე გაგებული ჰქონდათ ბოლშევიკებს კარგი ცხოვრების გემო, მაგრამ ბურჟუობა არ დაგვწამონ მტრებმაო, ჯერ კიდევ ცდილობდნენ, დიახაც რომ, ბურჟუაზიულ მიდრეკილებათა დამალვას. ჯერ განვითარების მეორე ეტაპს გადიოდნენ მხოლოდ, როცა ჩვეულებრივი აბრეშუმის მატლიც კი, რამდენიმე ეტაპს გადის, საბოლოო სახის მიღებამდე, ანუ, კვერცხიდან (იგივე გოდრიდან) გამოჩეკილი, ვიდრე პეპლად გარდაიქმნებოდეს. სხვათაშორის, ისიც ბოლშევიკური შეუპოვრობით მიღოლავს, მიისწრაფის სრულყოფისკენ და ოთხჯერ მაინც უნდა გამოძვრეს კანიდან, კიდევ უფრო გაზრდილ-გასიებული, ვიდრე დაჭუპრდება, ანუ, საკუთარ განავალში გამოემწყვდევა, გაკოჭილი, საძრაობა წართმეული, და მკვდარი რომ ჰგონია ყველას, სნორედ მაშინ ახდენს სასწაულს – კაშელების აგარაკის ელექტრო-ჭიშკარივით, კიდევ ერთხელ, თავისთავად გაიხსნება მისი მიხაკისფერი კანი და იქიდან დიდთვალება, ქოჩრიანი, მუცელშეღინღლული პეპელა ამოფრინდება. პეპელაც, რა თქმა უნდა, მატლია, მაგრამ ნინამორბედის სიკვდილით გაკეთილშობილებული. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი აქვს საერთო მატლთან, მშობელთან, წინაპართან, შემქმნელთან, არც გარეგნულად, არც თვისობრივად; ჯერ ერთი, ყველაფერს კი არ ნთქავს განურჩევლად, ყვავილის ნექტარს მიირთმევს მხოლოდ და კი არ დაღოღავს, დაფრინავს, დაფარფატებს, ზეიმობს კვერცხიდან პეპლობამდე გამოვლილ გზას, ხოხვით მოპოვებულ ფრთებს, საკუთარ სრულყოფილებას, მატლობის დასასრულს და... მოახლოებულ სიკვდილსაც. მაგრამ, მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, კვერცხის დადებას მაინც ასწრებს და, ამდენად, ბუნებაში არაფერი იკარგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. უბრალოდ, ახალი წრე იწყება, ახალი კვერცხიდან (თუ გნებავთ, გოდრიდან) ახალი მატლი იჩეკება, რომელიც დიდთვალება, ქოჩრიან, მუცელშეღინღლულ პეპლად გარდაიქმნება ბოლოს და ასე იქნება სულ, უსასრულოდ, უკუნითი უკუნისამდე... მაგრამ ანტონ კაშელს ბევრი აკლდა პეპლობამდე. უფრო სწორად, მატლად უნდა მომკვდარიყო და მოკვდა კიდეც. 1949 წლის 29 ივლისს, ელბაქიძის დაღმართზე, ღვინის ქარხნის წინ, ზუსტად 19 საათსა და 59 წუთზე, ადგილობრივი დროით, ტროტუარზე იდგა, ქუჩისკენ ზურგშექცეული, და გაზეთს ათვალიერებდა. წამი-წამზე, მეგობრები გამოუვლიდნენ, მანქანაში ჩაისვამდნენ და ტაბახმელაზე ავარდებოდნენ „პურის საჭმელად". მისი მანქანა დღეს კნიაჟნა ქეთუსიას ემსახურებოდა, უაღრესად ქალური ღონისძიებების ჩასატარებლად: ექიმთან უნდა შეევლო, მაღაზიებში შეეჭყიტა, გადამყიდველისთვის რაღაც დაევალებინა, გრიპიანი დობილი მოენახულებინა, მეორე დობილთან ესადილა და ასე შემდეგ, ასე შემდეგ... ანტონ კაშელმა თავად დაუთქვა მეგობრებს პაემანი, მაინცდამაინც, ელბაქიძის ქუჩაზე, მაინცდამაინც, ღვინის ქარხნის წინ, რადგან ბარემ ღვინის ქარხნის დირექტორიც ყავდა სანახავი, ეშმაკმა იცის, რა მიზნით და რასთან დაკავშირებით, მაგრამ ამდროისთვის, ღვინის ქარხნის დირექტორს უკვე მეორედ აფენდა მდივანი ქალი სველ ტილოს შუბლზე და მეორედ ასმევდა ვალერიანის წვეთებს. ანტონ კაშელი კი, დანიშნულ ადგილზე იდგა და მეგობრების მოლოდინში, ვითომ, გაზეთს ათვალიერებდა. სინამდვილეში, ერთ დიდ სასმენ ორგანოდ გადაქცეული, მთელი არსებით ისრუტავდა ქუჩის ხმებს – ტრამვაის ბორბლების ღრჭიალს, მანქანების საყვირების განუწყვეტელ ჭყიპინსა თუ აღმართზე ამსვლელ-ჩამომსვლელთა ფეხსაცმელების ჭრაჭუნსა და ბაკა-ბუკს... – მაგრამ, ეტყობა, მაინც უმტყუნა ალღომ, ერთ წამით მაინც მოადუნა ყურადღებამ, და, როგორც მერე დადგინდა, დიდი ხნის ჩამოწერილი და ტექნიკურად გაუმართავი სატვირთო მანქანა, სწორედ ის, რომლითაც რაუდენ კაშელი 24-ში დახვრეტილი მეამბოხეების გვამებს ეზიდებოდა და ერთხელ შვილიც აბუქნავა იმ გვამებზე, მთელი ძალით დაეჯახა ზურგიდან, რაკი უბედურ დღეს გაჩენილმა მძღოლმა (მთელი თვის განმავლობაში იბეჭდებოდა გაზეთებში მისი პორტრეტი, ხან ანფასიდან და ხან პროფილიდან გადაღებული, როგორც „უცხოეთის დაზვერვის ერთ-ერთი სერიოზული აგენტისა"), ვერაფრით ველარ დაიმორჩილა მუხრუჭჩავარდნილი და საჭეამოვარდნილი რკინის ურჩხული, ეშმაკის შექმნილი, მისი ცოლშვილის ცოდვით სავსე მანქანა და საქართველოს ლენინის ორდენოსანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინსახკომის თვალსაჩინო და საამაყო მუშაკი მატლივით მიაჭყლიტა ღვინის ქარხნის კედელზე. თავად ანტონ კაშელი ვერც კი მიხვდა, რა შეემთხვა. უბრალოდ, უკანასკნელ წამს, სისხლის ვეება, ლამის აეროსტატისხელა, თვალისმომჭრელად მბზინავი ბუშტი ამოიზარდა მის თვალწინ და როგორც კი მიადო თითი, მაშინვე ყურისწამღები ხმაურით გასკდა...

ხოლო, მისი ნაშიერი, უკვე ორმოცდაათს გადაცილებული და საქვეყნო საქმეებში გასული კაცი, ბიჭივითაა შეყვარებული და, ცოლის გვერდით გაშოტილს, რძლის დაბზეკილი ძუძუები ელანდება. მაგრამ იმიტომ კი არა, მამაზე ნაკლები კაშელია და უნარი არ შესწევს, იქით მოალანდოს სხვებს თავი, არამედ სულ სხვა დროს რომ მოუწია ცხოვრება, დრო შეხვდა ცუდი, დამყაყებული სოციალიზმისა, უძრაობისა, და თვითონაც, ძალაუნებურად, დაჭუპრდა, გამოიკეტა, გამოიხრჩო მოლოდინისა და მოთმინების უჰაერო პარკში... მლიქვნელო-

ოთარ ჭილაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბისა და თვალთმაქცობის აბრეშუმში... იმის მაგივრად, კედელთან მიეყენებინა იდეური მტერი (როგორც მამამისი მოიქცეოდა), დაინათესავა და თავიც მოაქვს იმის ნათესაობით, იმის სახელს იშველიებს წარამარა, როგორც მხდალი მეომარი ფარს. მაგრამ თვითონ კი არ არის მხდალი, დროა უსვინდისო. წინაპრებისგან განსხვავებით, ამას უკვე ფეხზე მყარად დამდგარ ქვეყანაში მოუწია ძირითადად ცხოვრება (ამ ბოლო რამდენიმე წლის გამოკლებით), დასანგრევი დანგრეული დახვდა, დასახვრეტი – დახვრეტილი... „ყოველი მოსახვეჭელიღა" დარჩა მოსახვეჭი და ისიც იხვეჭს, რაც შეუძლია, რაკი ამას ავალდებულებს იგივე დროც. ასე არ არის?! თუ არ იპარავ, კაცი არა ხარ. ის კი კაცია. უნდა, კაცი იყოს. მართალია, ჯერ არავინ მოუკლავს, მაგრამ მამისეული ნაგანი ახლაც გატენილი უდევს მანქანის „ბარდაჩოკში" (ხვალ ქვიშხეთში მიდის, „ბავშვების" წამოსაყვანად) და საჭირო თუ შეიქნა, ანუ, იმასაც თუ გაუბედა ვინმემ მანქანიდან გადმოსმა, ანდა კაბინეტის აფიცვრა, ხელი არ აუკანკალდება. ცხოვრება წინ არის და, როგორც ჩანს, არც ორმოცდაათი წელია ბევრი, გინდაც ორმოცდათორმეტი იყოს... მთავარია, გული გერჩოდეს. იმას კი, ერჩის... ერჩის და მერე როგორ! ერთი სული აქვს, როდის გათენდება. ხვალიდან ახალი ეტაპი იწყება მის ცხოვრებაში. რაც მთავარია, ლიზიკო უკვე მისი საკუთრებაა, უკვე დაიბევა, ქვიშხეთის ციხეში ჰყავს გამომწყვდეული, იქ ატარებს თაფლობის თვეს, თუმცა, რასაკვირველია, იმასაც უცხოეთში ერჩია. საერთოდ უცხოეთში აპირებდა, თავისი ჭკუით, ცხოვრებას. ანტონსაც ამიტომ გაჰყვა ალბათ ცოლად. ქმრის მეშვეობით დააპირა მამამთილის გამოჭერა, მამამთილის გავლენისა და შეძლების გამოყენება. რატომაც არა! დღეს ვინც რამეს წარმოადგენს, ყველას უცხოეთში ჰყავს შვილები გაპიზნული და არც რაუდენს გაუჭირდებოდა თავისი შვილების დაბინავება რომელიმე „ნორმალურ" ქვეყანაში. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ცოტა სხვანაირადაა საქმე. რაუდენს აქ ჭირდება რძალი და არა მიუნჰენსა თუ სანფრანცისკოში. ასე რომ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი პირიქით მოხდა, ლიზიკომ კი არ გამოიჭირა რაუდენი, ანტონის მეშვეობით, არამედ რაუდენმა – ლიზიკო. გაება ჩიტი მახეში. ახლა იფრთხიალებს, იფრთხიალებს და ბოლოს ისიც შეეგუება ბედს, თუ უკვე შეგუებული არ არის. ერთთვიანი იზოლაცია სავსებით საკმარისია, ბევრ რამეზე აეხილოს თვალი ქალს. ქალი ეშმაკია, ყოველთვის კაცზე ადრე ხვდება, ვის უქიცინოს კუდი და ვის გამოენთოს ყეფით... როცა რაუდენმა ბრძანა... დიახ, ბრძანა! რაუდენ კაშელის ყოველი სიტყვა, განსაკუთრებით საკუთარ ოჯახში წარმოთქმული, ბრძანებაა და მისი შესრულება ყველასთვის თანაბრად სავალდებულოა... როცა რაუდენმა ბრძანა, ცოტა ხნით, ყველამ შევიკავოთ თავი, ჯერ დაწყნარდეს ქვეყანა და უცხოეთზე მერე ვიფიქროთო, პირველი ლიზიკო დაეთანხმა, რადგან მამამისის შვილი, მაინც ვერ მოიქცეოდა სხვანაირად და ეს ყველაზე უკეთ (ალბათ ლიზიკოზე უკეთაც) რაუდენმა იცოდა. გაჭირვების ჟამს სამშობლოს მიტოვება და საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრი სწორედ ელიზბარს მიაჩნია ღალატად, თორემ, სინამდვილეში, სამშობლო იქ არის, სადაც უკეთესად გრძნობს კაცი თავს და არა იქ, სადაც მამა-პაპის ცოდვების გამო, ადვილი შესაძლებელია, შენ წაგაცალონ თავი. მაგრამ რაუდენს თავი იმიტომ კი არ აბია, ანტონისა და ლიზიკოსნაირმა რევოლუციონერებმა წააცალონ, არამედ თავის ნებაზე რომ ატაროს ისინიც... ასედაც მოხდება. ისემც მზე მაღლა! რაც თავი ახსოვს, სულ თანამდებობის პირია, უნივერსიტეტშიც კი, უკვე საზოგადოებრივ და პარტიულ დავალებას ასრულებდა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი გახლდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რექტორი ეკითხებოდა ჭკუას და ბევრი ნაფტალინწაყრილი პროფესორ-მასწავლებელი მოწიწებით უხდიდა გაზინთულ შლიაპას, როცა მისი ტოლები (თუნდაც, იგივე ელიზბარი), ლუდის სმაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და უნივერსიტეტის ეზოში გაცილებით მეტ დროს ატარებდნენ, ვიდრე აუდიტორიებში. ხოდა, ახლა ვითომ რა გაუჭირდება ისეთი, ერთ ახვარ გოგოს ვერ მოუაროს, გინდაც ყოფილ რევოლუციონერს... აკი თვითონვე განაცხადა ერთხელ, მათი მორიგი „საიდუმლო" შეხვედრის დროს, სულ ტყუილუბრალოდ გავიციე საკვერცხეები კიბეებზე ჯდომითო... იოლი არ არის, მაგრამ შესაძლებელია. არ არსებობს ციხე-სიმაგრე, რომლის აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ. მთავარია, გვახსოვდეს პერეკოპი... თუმცა, დღევანდელი ახვრები მაინც განსაკუთრებულად ახვრები არიან, ვერ მიუდგები – ეკალი ასხიათ. ვერც იყიდი. არ იცი, როდის რა წამოუვლით. რაც მთავარია, თვითონაც არ იციან, უნდათ თუ არა საერთოდ რამე... ხვალ გაირკვევა ყველაფერი. ხვალ ჩააკითხავს, როგორც პედანტი ინსპექტორი ციხიდან ციხეში გადასაყვან და, რაც მთავარია, ძნელად მოსათოკ პატიმრებს. ამხელა გზაზე, თანაც ამ არეულ ქვეყანაში, „ბავშვების" მარტო მგზავრობა სახიფათოა. ყოველ შემთხვევაში, „ბავშვებმა" უნდა იცოდნენ, ნაბიჯსაც რომ ვერ გადადგამენ უიმისოდ. ვინ იცის, იმათაც ერთი სული აქვთ, როდის წამოვლენ იქიდან. თაფლობის თვე კარგია, მაგრამ მტერმა გაძლო მთელი თვე მიყრუებულ სოფელში. არა მარტო ფუნის სუნი, ერთმანეთიც ამოუვიდათ ალბათ ყელში. ალბათ უკვე ქონგურმორღვეულ კოშკზე სხედან და იქიდან უთვალთვალებენ, როდის გამოჩნდება მათი პატრონის მანქანა. რაუდენი ნელა, აუჩქარებლად გადმოვა მანქანიდან, ყმაწვილური მოუთმენლობა და მღელვარება რომ არ შეატყოს ლიზიკომ. მანქანის კარს დაუდევრად ნაჭერ ხელს და კარი მის ზურგს უკან თავისით დაიკეტება – თითქოს, უფროსის დანახვაზე, ყარაულმა ქუსლები სხარტად მიატყუპაო. სხვა გზა არ არსებობს. არ არსებობს. განაჩენი საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება. მით უფრო, რომ ლიზიკომ თვითონვე გამოუტანა ასეთი განაჩენი საკუთარ თავს, ანუ, თვითონ თუ არ ენდომებოდა, სხვა ვერავინ აიძულებდა ამგვარი ნაბიჯის გადადგმას. მოკლედ, არავინ არაფერს აშავებს. დამნაშავე მხოლოდ დროა. მაგრამ კაშელები დროსაც არ ეპუებიან და, კაცმა რომ თქვას, ჯერჯერობით, არც არავინ თხოულობს მათგან ამგვარ დათმობაზე წასვლას. რასაკვირველია, ლიზიკოც მაგარი კაკალია და ფეფე მართალია, როცა ამბობს, ჩემს დედამთილს გავსო, ესე იგი, კნიაჟნა ქეთუსიასი არ იყოს, ვერც იმას გატეხენ კაშელები ადვილადო, მაგრამ მაგასაც ვნახავთ. ხოლო, ობიექტურები თუ ვიქნებით, ლიზიკო მართლა გავს კნიაჟნა ქეთუსიას და არა მარტო ბუნებით, არამედ გარეგნულადაც. საკვირველი კია, რატომ უნდა გავდეს ელიზბარის შვილი რაუდენის დედას, მაგრამ რაკი ისიც უკვე კაშელია, სჯობს ისევ კნიაჟნა ქეთუსიას გავდეს, ვიდრე ფეფეს, ანდა, კიდევ უარესი, კლავას. ფეფეს მხოლოდ სხვათა სამსახური და სხვათა ცხოვრების თვალთვალი შეუძლია. კლავა კი, არაფერს წარმოადგენდა საერთოდ. მთელი ბავშვობა იმის გარკვევას მოანდომა რაუდენმა და მაინც ვერ გაარკვია წესიერად, ქალი იყო თუ კაცი ბებიამისი. ყოველ შემთხვევაში, კაცივით იცვამდა, კაცივით იკრეჭდა თმას, კაცივით ენეოდა თუთუნს, კაცივით სვამდა არაყს და კაცივით იგინებოდა, ოღონდ, ვერავინ იტყოდა დაბეჯითებით, რომელ ენაზე მეტყველებდა საერთოდ, განსაკუთრებით სიმთვრალეში. სამაგიეროდ, ძალლივით ერთგული იყო კაშელებისა და იმიტომაც მოიშორა კნიაჟნა ქეთუსი-

ერეკლეული ბიბლიოთეკა

ამ მაშინვე, როგორც კი დაქვრივდა, როგორც კი მიაბარა მიწას ერთადერთი მომრევი და მომთოკავი, წამსვე საგიჟეთში უკრა თავი დედამთილს, თავად გიჟმა და დამთხვეულმა. არც თვითონ უკითხავს და არც შვილი გაუგზავნია იმის ამბის საკითხავად, ვიდრე იქიდან არ დაურეკეს, წაიღეთ თქვენი მკვდარიო. მისგან განსხვავებით, ფეფე, რა თქმა უნდა, არ თაკილობს კაშელობას, მაგრამ, იმავე დროს, შეუძლია მოახლედ დაუდგეს კაშელების მტერსაც. ბუნებითაა მოახლე. მოკლედ, კლავასავით ერთგული არ არის, მაგრამ სხვებზე სანდოა, რადგან გაცილებით მეტი მოიპოვა კაშელების მეშვეობით, ვიდრე კაშელობის გამო დაკარგა. ასე რომ, ომი ჯერ არ დამთავრებულა და არც დამთავრდება ასე იოლად. პერეკოპი არ შველის ამ საქმეს და, შეიძლება, არც სოხუმი ეყოს... ამდენს დებილი კლავაც ხვდებოდა და საგიჟეთის გისოსებიდან სარკმელში ცხვირგამოყოფილი, მთელი სანაპიროს გასაგონად გაჰყვიროდა: „ჩამეთ ჩემი ჩუჩუაო“, ვიდრე საბოლოოდ არ დარნმუნდა ქვეყნის სიყრუეში და ხალათის ქამრისგან განასკვულ ყულფში არ გაჰყო თავი... ომი გრძელდება, ამხანაგო ბატონებო! ვისაც კაშელების მოსპობა სურს, ისინი მოავლენენ ქვეყნად ახალ კაშელებს... ვისაც კაშელები სძულს, იძულებულნი შეიქმნებიან, გულით შეიყვარონ ისინი, ვითარცა ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი... ომი გრძელდება! რომის პაპი პავლე მეორე ყოველ აღდგომა დღეს ქართულადაც აუწყებს მსოფლიოს ამ უდიადეს სასწაულს — ქრისტე აღსდგაო — მაგრამ პირვანდელი სახით საქართველო ვეღარ აღსდგება. ქართველებს რომ გულში უდევთ, ის საქართველო აღარ არსებობს. ის საქართველო, ჯერ კიდევ პაპი პიოს დროს, მისგან წარმოგზავნილ ვინმე ლუდოვიკო ბოლონიელს აღარ დაუხვდა თავის ადგილზე და ახლა, დაბარებულივით, საიდან გამოტყვრება უცებ?! აღარ არსებობს... კაშელებმა მოუთავეს ხელი... მისი მეფეები

ციხქვეშ განისვენებენ, გზაში გარდაცვლილი მწირებივით; მისი ასულნი უცხო თესლისკენ მიიკვლევენ გზას და მისი ვაჟები სხვათა სამსახურში იწყვეტენ წელს... ასეთია ამ უაზრობის ანატომია. მაგრამ ომი მაინც გრძელდება, ანუ, ერთხელ კიდევ ჩაწიხლული და წამხდარი ახალგაზრდობა უკვე თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს წესებით ცხოვრობს. როგორ გგონიათ, რას ნიშნავს ეს ჩვენს ენაზე? ჩვენს ენაზე ეს ნიშნავს გრიალსა და დროსტარებას, არა მარტო აქ, ამ „დამპალ თბილისში“, არამედ უცხოეთშიც, ძირითადად უცხოეთში, ნებისმიერ ქვეყანაში, რაზეც ადრე ვერცკი ვიოცნებებდით და რისკენაც ა'ალა თავად ხელისუფლება მოგვიწოდებს აშკარად და არაორაზროვნად. რატომ? რა მოგახსენოთ. ხელისუფლებას ჰკითხეთ. ალბათ ომში რომ არ წავიდნენ ახალგაზრდები. უფრთხილდება, ზოგავს ქართველების გენოფონდს. რაჟდენისა თუ არ გჯერათ, ჩართეთ რადიო, ჩართეთ ტელევიზორი. წადით. წადით. წადით... ლომოურის კატოსავით გაიძახის კადრს ამოფარებული დიქტორი და ჩვენი დაქლიავებული ქაჯანებიც მიდიან, რადგან წასვლა სჯობს წარმავალისა... ომი უიმათოდაც მშვიდობიანად დამთავრდება. ესე იგი, მაინც დამარცხდებიან, წავლენ თუ დარჩებიან. უფროსმა რაჟდენ კაშელმა ერთხელ კი არ აიღო თბილისი, არამედ ერთხელ და სამუდამოდ, ანუ, მომავალშიც იმდენჯერ აიღებს, რამდენჯერაც საჭირო იქნება, ვიდრე მთლად არ გაკაშელდება ეს ძირგავარდნილი ქალბატონი, მარადიული ქვრივივით ჩამქრალ-ჩაშავებული რომ დასკუპებულა მტკვრის ორივე ნაპირზე, ერთდროულად, და უხმოდ, უცრემლოდ გლოვობს მის წიაღში, „ვითარცა საწნახელში“, ბაბუა რაჟდენისა და ბებია კლავას ბინძური ჩექმებით ჩაჭყლეტილ ფალავნებს... ამიტომ, სჯობს წავიდნენ და იგრიალონ, დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატარონ, სანამ დროა. ისინიც მიდიან და გრიალებენ, სანამ შეუძლიათ, სანამ მშიერი აზნაურის ლობესავითაა მორღვეული ამ მეტიჩარა, ვერაფრით ვერშემდგარი სახელმწიფოს საზღვრები. მხოლოდ ამისთვის თხოვდებიან გოგოები (ფასი თუ აქვს მათ გათხოვებას!) და მხოლოდ ამისთვის ირთავენ ცოლებს ბიჭები (ბიჭები თუ ეთქმით კიდევ!) – იქნებ, ერთი თაფლობის თვე მაინც გავატაროთ ჩვენს გემოზეო. ოღონდ, ქვიშხეთში კი არა, ლიზიკოსა და ანტონის მსგავსად, ნურას უკაცრავად, ანტალიასა და კვიპროსზე... არ ეკუთვნით? ეგ სხვა საკითხია. ეგ ჩვენი საქმე არ არის. ვისაც ფული აქვს, ეკუთვნის. ვისაც არა – არა. ელიზბარისა არ იყოს... (რომ იცოდეთ, დიდი შებერტყილი ყმაწვილია, რაღაცრაღაცეებს ხვდება...) ელიზბარისა არ იყოს, ჩანაფიქრი, მართლაც, სატანურია, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, გენიალურიც. ომში მიდიან თუ ქეიფში, ან აღარ ბრუნდებიან უკან, ან ისეთები აღარ ბრუნდებიან, როგორებიც მიდიან. ბიჭს გოგო არ უნდა, გოგოს – ბიჭი. მოკლედ, გენოფონდიც, თავდაცვის ფონდივით, თვალსა და ხელს შუა ქრება. ფაფუ. აღარ არის. ბუამ ჭამა. „დაიხარჯა დანიშნულებისამებრ". მიდი და ეძებე. აბა, როგორ გინდათ! თავისუფლება ძვირი სიამოვნებაა. გემო თუ გაუგე, რაღას არ იკადრებ იმის გულისთვის, ველარ შეელევი. აკი ვერც ელევიან. მოუთმენლობისგან სული მისდით, პირდაპირ ასაფრენ ბილიკებზე გადიან, ვინ იცის რამდენჯერ გარემონტებულ-გადაღებილი „მერსედესებით", „ვოლვოებით", „ბეემვეებით" და ზეზეურად აგრძელებენ ქეიფს, ფუჭად რომ არ დაკარგონ დრო თვითმფრინავის მოლოდინში – ერთ თვითმფრინავს თუ გვამები ჩამოაქვს ჩრდილოეთიდან, მეორე მექორწილეებს მიეზიდება სამხრეთისაკენ – მუსიკაც თან დააქვთ და პურმარილიც. მანქანის კაპოტზე შლიან „სუფრას" და არცთუ იშვიათად, შამპანურის ბოთლებს ზალპს უფრო სერიოზული ზალპიც ენაცვლება. ამგვარ ნაუცბათევ ქორწილებზე რომ ტყვია-წამალი იხარჯება, სავსებით საკმარისი იქნებოდა აფსუების თუნდაც ერთი იერიშის მოსაგერიებლად ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე. მაგრამ არც აეროპორტის ადმინისტრაცია ფიქრობს ამაზე (იმას თავისი „ტვირთები" აწუხებს), არც გვამების მომლოდინე ჭირისუფლები და, თავისთავად ცხადია, არც თავად მექორწილეები... ძლივს თვალი აეხილათ, გზაზე დამდგარან და ახლა ხომ არ ჩაიხოცებიან უაზრო ომში, ეშმაკმაც რომ არ იცის, ვინ დაიწყო და რისთვის. გრძელი, ფრიალა, ხალვათად მორგებული იტალიური პიჯაკების ქვეშ მხარიღლივ ჰკიდიათ შანსიანი და ფულის მშოვნელი მამაბიძებისგან სკოლის დამთავრებისა თუ „დაოჯახების" აღსანიშნავად ნაჩუქარი იარაღი: მონიკელებული პისტოლეტი თუ ჩაშავებული, ხორკლიანი რევოლვერი. თუ არ იხმარს, რად უნდა?! ხოდა, ხმარობს. ადამიანმა კი არა, ძაღლმა იცის უშეცდომოდ, რას აპატიებენ და რას არა. მანდ მარხია ძაღლის თავიც. ხელისუფალი ამიტომაა ხელისუფალი, ბოლომდე დამალოს თავისი მიზანი და რაც უფრო დიდხანს დამალავს, მით უკეთესი იქნება პირადად მისთვის. რა ნავაგეთ, ამდენ ხანს რომ ვმალავდით?! პირიქით, უმტკივნეულოდ და თითქმის უდანაკარგოდ მოვიპოვეთ გამარჯვება, თუნდაც, ნაწილობრივ, ჯერ სანახევროდ, მაგრამ განა ცოტაა?! ლიზიკოს, სანაძლეო, არც გაუკვირდება... იმიტომ, რომ კარგად დამალული განზრახვა თავის საქმეს უკეთესად აკეთებს, განუწყვეტელ ზემოქმედებას ახდენს განზრახვის ობიექტზეცო, გვინდოდა გვეთქვა, თუნდაც მხოლოდ თავისი არსებობით, როგორც სადღაც, ბეტონის ჭაში ჩანთქმული ბირთვული იარაღი – მილიონთა და მილიონთა გუნება-განწყობილებაზე. კარგ ხელისუფალს

ოთარ ჭილაძის ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში სხვა უდევს, ენაზე სხვა აკერია. ერთს ამბობს, მეორეს აკეთებს და ყველაზე ძალიან სწორედ ეს აბნევს სულელ ხალხს. რა თქმა უნდა, ლიზიკოსაც. მოდი და ნუ დაიბნევი! ჯერ ტვინი გაუხვრიტეს, ანტონს თუ არ წაჰყვები, მოკვდება, განარკომანდებაო, ბოლთს კი, არა, ჩიტუნია, ანტონი მხოლოდ ნიგვზის ლებანია, ხაფანგში შემოსატყუებელი, მე კი, ანტონის ბაბუასავით, ანუ, მამაჩემივით, კაციჭამია ვარ და შენ უნდა შეგახრამუნო თავფეხებიანადო. რა ლიზიკოს ბრალია, ჩვენში რომ ვთქვათ?! ლიზიკო ისეთია, როგორიც მშობელმა გაზარდა. რა უნდა ესწავლა იმის წიგნებიდან, ან იმას სად ეცალა წიგნის საწერად?! ქირქილსა და ჭორიკნობას გადააყოლა ქვეყანა. სირცხვილი თქვენ, ამხანაგო მწერალო! იცოცხლე კარგია, ტრაკზე ხელებდაწყობილი სეირნობა ცაცხვების ხეივანში, მაგრამ ახლა რა ვუშველოთ თქვენს ქალიშვილს?! სხვების ბინძური საცვლების ქექვასა და პათოლოგიურ მიდრეკილებათა კვლევა-ძიებას, არ აჯობებდა, ერთი პატიოსანი შვილი მაინც გაგვეზარდა?! ჰაااა-ა?! თქვენ გეკითხებიან. რატომ ჩაგიწყდათ ხმა? დავუშვათ და, მართლა კაციჭამია იყო ანტონის ბაბუა, მერე თქვენ რა? ამის გამო, თქვენ ანგელოზებად გამოჩნდებით პირსისხლიანი კაშელების გვერდით? ვერ მოგართვით! ანგელოზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბავშვისთვის ტვინის გადაბრუნება, ცეცხლზე ნავთის დასხმა და წყლის ამღვრევა რომ კარგად გეხერხებათ, თქვენი ნაწერებიდანაც ჩანს. ვისიც გეშინიათ, სულელ ბავშვს მიუქსევთ ხოლმე, მაგრამ რაც იმ ბავშვს დღე დაადგება, ერთად ვნახავთ ყველანი. იმდენი ძალა ჯერ კიდევ შესწევთ. კაშელებს, თავიანთ ჭკუაზე მოაქციონ სწორედ თქვენი გაგებით წესიერ და პატიოსან ოჯახში აღზრდილი ქალიშვილი და არა ჩვეულებრივი თბილისელი წიწკვი მეძავი, აქეთ რომ გეტენება, რაც უფრო ასაკოვანი და გავლენიანი ხარ. მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის, ეს სამზარეულოში ჩაბერებული, მობეზრებული ცოლების პრობლემაა და არა სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიება. ასე რომ, ჯერ მართლა საკითხავია, ვინ ვის დაკიდებს რუსთაველის ჭადრებზე ფეხით... სად არის პოეტების დასანგრევი ქვეყანა! ვის უნახავს?! ვის გაუგია?! ერთი კარგი გამათრახება და, მაგათი ჯანი! სხვათაშორის, „ბალი“ და „ენისელიც“ ერთგვარი მათრახია. ახსენებდა თუ არა რაჟდენი, დამსვენებელი მწერლებიც მაშინვე აცქმუტდებოდნენ, ახვიხვინდებოდნენ, აბაკუნდებოდნენ ადგილზე, როგორც ცირკის ცხენები. იმათ ეგონათ, პატივს გვცემენ, გვაფასებენ და იმიტომ გვპატიუებენო, რაჟდენი კი აკნინებდა, დასცინოდა და მართლაც სასაცილო სანახავები იყვნენ, ასაკის მიხედვით ჩამწკრივებულნი რომ მიუყვებოდნენ საქონლისა და დამპალი ნეშოს სუნით გაჟღენთილ ორღობეს კაშელების აგარაკისკენ, ვითომ „გამოსასვლელ“, მაგრამ უკვე საკმაოდ შელახულ, დალაქულ, გამოხუნებულ და დაპატარავებულ კოსტუმებში გამოწყობილნი... რაჟდენი რძლის გაბზეკილ ძუძუებზე კი ფიქრობს, რაც თქვენთვის, მწერლებისთვის, მორალისტებისთვის, დასაგმობი საქციელია, მაგრამ ჩვენთვის, კაშელებისთვის, კაციჭამიებისთვის, ესეც ომია – დაუნდობელი, მძვინვარე, სამკვდრო-სასიცოცხლო – ხოდა, თუკი ქალი ქვეყნის სახეა, როგორც თქვენ ამტკიცებთ, როგორც წერილობით, ისევე კერძო საუბრებშიც, ვნახოთ, როგორი სახე ექნება ხვალ და ზეგ თქვენგან შეკოწიწებულ ქვეყანას. კაშელები სექსუალური მანიაკები კი არ არიან, როგორც თქვენ ფიქრობთ გულში, მალულად (გამხელისა გეშინიათ), არამედ ერთხელ და სამუდამოდ მიცემული ფიცის ერთგული ჯარისკაცები, ერთხელ და სამუდამოდ დასახული მიზნის ყურმოჭრილი მონები და დრო-ჟამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონ-პატრონნი. ჯერ ქალობისა არაფერი ეტყობოდა ლიზიკოს, „სხვა თვალით" რომ შეხედა რაჟდენმა პირველად, ოღონდ, იმიტომ კი არა, თქვენ რომ გგონიათ, არამედ ბავშვის ჯერ კიდევ უცოდველი სულის გადასარჩენად, უსაფუძვლო სიძულვილისგან გასანთავისუფლებლად და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, ამ კეთილშობილ მიზანს შეალია რაჟდენმა თითქმის მთელი თავისი ცხოვრება. ძია რაჟდენ, ძია რაჟდენ, მართლა კაციჭამია იყო ანტონის ბაბუა? მართლა კაციჭამია იყო? მართლა კაციჭამია? მაგრამ ამ სულელურმა შეკითხვამ კი არ გააღიზიანა მაშინ რაჟდენი – ამის მეტს რას ლაპარაკობდნენ ქვიშხეთში დასასვენებლად ჩამოსული მწერლები ცაცხვების ხეივანში – არამედ ამგვარი შეკითხვისათვის თავად ბავშვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოვლად შეუფერებელმა გარეგნობამ: ცხვირსა და ზედა ტუჩზე ჭორფლი მოსდებოდა, დაბუშტული ტუჩები სისხლისფრად უბზინავდა და ჯერ კიდევ ბიჭურ მკერდზე ოდნავ შეშუპებოდა ძუძუსთავები... იმ დღის მერე, ერთი წუთითაც არ აუღია რაჟდენს ხელი, იმავე მწერლების გაგებით, „სათაკილო" და „არანორმალურ" განზრახვაზე, პირიქით, გაუნელებელი მღელვარებით ელოდებოდა, როდის დაჰკრავდა ჟამი და ყველაფრისგან დამცავი ასაკიდან გამოსული ლიზიკო, მისთვისაც როდის გახდებოდა ხელმისაწვდომი ნებისმიერი თვალსაზრისით. ოღონდ, გულხელდაკრეფილი კი არ ელოდებოდა, მკლავებდაკაპიწებული შრომობდა ამ პროცესის დასაჩქარებლად, ყველაფერზე მიდიოდა, ყველაფერს კისრულობდა, ერთი დღეც რომ არ ეცხოვრა ლიზიკოს უიმისოდ, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიურ ტრანსში ჰყოლოდა განუწყვეტლივ – აბა, თვალხუჭუნა თოჯინაო, აბა, ნაძვის ხის მოსაწვევებიო, აბა, თეატრის ბილეთებიო, აბა, დობილებთან ერთად, „ივერიის" კაფეში დაპატიჟებაო და, რა ვიცი... მოკლედ, ვიდრე ლიზიკოს მაგ ბატონი ელიზბარი, ცაცხვების ხეივანში ქირქილებდა, კოლეგების გულის მოსაგებად, ის ლიზიკოს შხამსა და გესლს წოვდა სულიდან, ვთქვათ, ხაზგასმული, გადამეტებული და, თავისთავად ცხადია, ჯერ არაფრით დამსახურებული ყურადღებით, რაც, სხვათაშორის, ყველა ქალს ერთნაირად სიამოვნებს, ვარიკაა თუ კრუხი, უბინო ანგელოზი თუ ძირგავარდნილი მეძავი... ასე რომ, თვითონ ლიზიკომ შეიძლება ვერც შეამჩნია, ზოგადად კაშელების პოტენციური მტერი, როგორ იქცა კერძოდ რაჟდენ კაშელის „განუყრელ მეგობრად", თანაც ანტონის ზურგს უკან... რასაც ლიზიკო ჯერ კიდევ ბავშვური გულწრფელობითა და უკვე გარკვეული ქალური სიკეკლუცითაც უყვებოდა ხოლმე რაჟდენს, ანტონს უმალავდა, რადგან იმის მოსმენა ანტონისნაირ მამლაყინწა მიჯნურებს არათუ არ სიამოვნებთ, არც შეუძლიათ. რაჟდენს კი, არა მარტო უსასრულოდ შეეძლო ესმინა ლიზიკოსთვის, არამედ წამქეზებლური, წამახალისებელი ყურადღებითაც. ქალებს უყვართ, როცა უსმენენ და ლიზიკოც მეტი მონდომებით, მეტი ხალისით უყვებოდა სამამთილოს, თუ ვის მიერთმია მისთვის „ორმეტრიანი" ვარდები, სატრფიალო ბარათთან ერთად; ვის შეეთავაზებინა მანქანით გასეირნება თბილისის შემოგარენში; ვის დაეპატიჟნა „ყველაზე მოდურ" კაფეში, დუქანსა თუ რესტორანში და, ბოლოს, ვის ეთხოვა ხელი „მთელი სერიოზულობით"... რაჟდენს, თავისთავად ცხადია, ნაკლებად აღელვებდა ლიზიკოს ვნებანი, მას თავის საქმე ჰქონდა, მსახურობდა, და ცხელი ყავისა თუ ცივი შამპანურის ნრუპვაც სამსახურში ეთვლებოდა. მაგრამ ენით აუწერელ სიამოვნებას ანიჭებდა იმის განცდა და შეგრძნება, განუწყვეტლივ რომ ეცემოდა წყლის დონე მისი უსასრულო მოთმინების ზღვაში, ცხელი ყავისა თუ ცივი შამპანურის ყოველი ყლუპის შემდეგ. ცოტაც და, ფსკერიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდება, ქაფიანი შლამითა და ლორწოვანი წყალმცენარეებით მოფენილი, და ასევე ბუნებრივად გაშიშვლდება, გამოაშკარავდება მისი განზრახვაც, რაც უნდა ამაზრზენი და მიუღებელი იყოს სხვებისთვის... ეჭვიც არ ეპარება, აუცილებლად გაიტანს თავისას. დარწმუნებულია, ამას ელოდება მისგან ლიზიკოც და თქვენც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც კაშელებს აძლევს ხელს. სხვა გზა არ არსებობს. არა, გზის მეტი რაა, მაგრამ უმალ ახალი გზის მაძიებელი მოინათლება მოღალატედ, ვიდრე ძველის ერთგული მიმდევარი. იცით, რა უთხრა ერთხელ ლიზიკომ?! მამაზე მეტად თქვენ გენდობითო; მამასთან ვერასოდეს ვიქნებოდი ასეთი თავისუფალიო. აი, რა უთხრა ლიზიკომ რაჟდენს და, შეგიძლიათ სიტყვაზე დაგვიჯეროთ, სავსებით გულწრფელად, ოღონდ, ცოტა უკვე შეჭიკჭიკებულმა. რომელიღაც ახალ ბარში ისხდნენ (რასაკვირველია, „ანტონზე საჭორაოდ"), ალბათ ყოფილ პეროვსკაიაზე და თუმცა ბარში მუსიკისგან ყურთასმენა აღარ იყო, საიდანღაც სროლის ხმა მაინც ისმოდა ყრუდ. ლიზიკოს ლაპარაკისას განუწყვეტლივ ეღიმება ხოლმე, თვითონაც რომ არ იცის რაზე, და სასმელისგან გაბრწყინვებულ თვალებში ფეთიანი, დაუქანცავი ჭინკები დაუხტის...

2.

— ლიზა, ლიზიკო, სადა ხარ გოგო! — დაიძახა ტასო ძალომ.

რაჟდენი სასწრაფოდ მოშორდა ლიზიკოს და ნაჭრის სავარძელს დაუბრუნდა, საიდანაც ესწუთია წამომდგარიყო, ხოლო, წამოდგომამდე, რომელიღაც დიდი მტაცებელი ცხოველივით, ვითომ სხვათაშორის, ვითომ თვლემამორეული უთვალთვალებდა ფლოსტებში ფეხწაყრილსა და შიშველ ტანზე სარაფანგადაცმულ რძალს, რომელიც ყავას იდუღებდა გაზქურაზე და, რასაკვირველია, გრძნობდა მთილის დაჟინებულ მზერას, რაც, ცოტა არ იყოს, აბნევდა და აკვირვებდა, რადგან არასოდეს. განეცადა მსგავსი რამ მამამთილთან დაკავშირებით, თუმცა, მშვენივრად იცოდა, „მთლად გულგრილი" რომ არ იყო მამამთილი მის მიმართ და გულის სიღრმეში ეამაყებოდა კიდეც, როცა შურიანი დობილები აქეთ-იქიდან ჩასისინებდნენ ყურში, შვილზე უფრო, მგონი, მამა გეარშიყებაო, ოღონდ, ეს მსუბუქი, ზედაპირული, ასე ვთქვათ, ნებადართული და, მხოლოდ და მხოლოდ, ურთიერთ სიმპათიის გამომხატველი ფლირტი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობას უჩენდა და საკუთარ შესაძლებლობებში არწმუნებდა ქალობამოახლოებულ გოგოს, ყოველშემთხვევაში, საშიშსა და საჩოთიროს ვერაფერს ხედავდა თავად, მაგრამ ამ ერთი წუთის წინ, მართლა მტაცებელი ცხოველივივთ უჩუმრად რომ მიეპარნენ უკნიდან და გავარვარებული პეშვები მხრებზე ჩამოაწყვეს, ცოტას მორჩა, გული შეუღონდა, წესიერად ვერც მიხვდა უცებ, რა მოხდა, რა შეემთხვა — უჩინარი ხაფანგის კარი ელვის უსწრაფესად დაიხურა და სრულიად მარტო, სრულიად დაუცველი აღმოჩნდა მოულოდნელად შეკუმშულ სივრცეში, მტვრისა და დამპალი ფიცრის სუნით გაჯერებულ წყვდიადში — მაგრამ ტასო ძალომ რომ დაუძახა საიდანღაც, კი არ გაუხარდა, უარესად დაფრთხა, იმანაც არ გაიგოსო, და — აქა ვარ, ყავას ვიდუღებო — უპასუხა რაც შეიძლებოდა სწრაფად, დაეჭვების საშუალება რომ არ მიეცა მისთვის, არადა, აცახცახებულ ხელში ცარიელი ჟეზვე ეჭირა, ისიც აცახცახებული, ხოლო, უკვე წამოდუღებული და ყავისფრად აფოფრილი სითხე შიშინით აშრებოდა გაზქურის ქათქათა ზედაპირს...

— კი არ ვიდუღებ, ვღვრი — დააზუსტა მაშინვე, ვითომ, თქვენს აქ არყოფნაში, სხვა არაფერი მომხდარა უფრო მნიშვნელოვანიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია კარში ტასო ძალომ შემოიხედა. მკერდზე თიხის ქოთანი მიეხუტებინა. ქოთნიდან პატარა კაკტუსს ამოეყო ხორკლიანი თავი.

– ეს ქოთანი დაგრჩა, თუ აქ ტოვებ? – ჰკითხა ლიზიკოს.

– ვტოვებ, ტასო ძალო, ვტოვებ – რატომღაც აღელდა ლიზიკო და მხარზე ჩამოჩაჩული ბრეტელის გასწორება სცადა ნიკაპით, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. – ნახეთ, რა მომივიდა – გამოხედა მხარსზემოდან – საქმე მოგიმატეთ – მოუბოდიშა გულწრფელად.

– მომიკვდეს თავი – შეიცხადა ტასო ძალომ – ყავა რო გინდოდა?!

– არა უშავს, თბილისში დავლევ, მაინც ძალიან ცხელა – დაამშვიდა ლიზიკომ.

მართლაც, ძალიან ცხელოდა. მუმლით გასქელებული ჰაერი უდაბნოს სილასავით იტალღებოდა ირგვლივ. სუნთქვა ჭირდა, მაგრამ მხოლოდ აქ კი არა, ქვიშხეთში, მთელს საქართველოში. „ეკიპაჟი მზად არისო" – ეზოდან დაიძახა ანტონმა. რაჟდენი კი, ისევ სავარძელში იჯდა, მშვიდი და უზრუნველი, როგორც აქაურობის ბატონ-პატრონს შეეფერებოდა, მაგრამ სინამდვილეში, ლიზიკოზე ნაკლები ძალისხმევა როდი ჭირდებოდა გარეგნული სიმშვიდისა და უზრუნველობის შესანარჩუნებლად. თავის ქებას კიტრის ფასი აქვს, მაგრამ ბევრი ვერ გაბედავდა, რაც მან ესწუთია გაბედა. გაბედა და, რამე თუ გაეგება საერთოდ ქალისა, გაუმართლა კიდეც. ვინც არ ბედავს, არც შამპანურს მიირთმევს, როგორც რუსებს უყვართ თქმა, ხოდა, ერთი სული აქვს, როდის ჩაიკოკლოზინებს პირს გამბედაობით მოპოვებული შამპანურით. ესეც მალე იქნება. აღდგომა და ხვალეო. რაც მთავარია, ვეღარაფერი დაუდგება წინ. რასაკვირველია, ეჭვიც არ ეპარებოდა, აუცილებლად რომ გაიტანდა თავისას (ახლა უკვე დაბეჯითებით შეუძლია თქვას, ლიზიკოც მხოლოდ ამას ელოდებოდა მისგან, მაგრამ მაინც არ ეგონა, ასე უცებ, ასე მოულოდნელად თუ ეწეოდა საწადელს... წეღან, სრულიად შემთხვევით, სულ ერთი წამით შეხედეს ერთმანეთს თვალებში და მიხვდა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. აქვე, ახლავე უნდა გარკვეულიყო, რისი მაქნისები იყვნენ, რას იმსახურებდნენ ცხოვრებისგან საერთოდ. მერე არაფერი აღარ ახსოვს. ეს მუმლი კი არ ბრუნავდა, ნამდვილი ხანძარი მძვინვარებდა ირგვლივ და ცეცხლის დაკლაკნილ ენებში ზედიზედ, უკვალოდ იფერფლებოდნენ მამაშვილობის, რძალ-მამამთილობის, უფროს-უმცროსობის და ნებისმიერი ადამიანური ურთიერთობის დამადასტურებელი საბუთები... აღარაფერი აღარ არსებობდა, გარდა მისი ჟინისა, და იმასაც ისღა დარჩენოდა, დამონებოდა საკუთარ ჟინს... თუმცა, წესიერად თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა, რადგან რასაც სჩადიოდა, გაუგონარი სიგიჟე და სითავხედე იყო მისგანაც კი... მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა ჩაიდინა ამისთანა?! მივიდა და თავის საკუთრებას დაადო ხელი. რატომაა ეს სათაკილო საქციელი?! განა ლიზიკოც უკვე მისი საკუთრება არ არის, ისევე როგორც ანტონი, ანდა ფეფე, ანდა მამამისის ნაბოზვარი ტასო, თავის ნაბიჭვრიანად?! კი ბატონო, ლიზიკო შეიძლება მთლად არ იყოს ხელიდან წასული, მაგრამ ბევრად არ განსხვავდება დღევანდელი გოგოშკებისგან. უფრო იქითაა, ვიდრე აქეთ. ეწევა კიდეც, სვამს კიდეც და, შენ ხარ ჩემი ბატონი... ყოველ შემთხვევაში, მხურვალე მომხრეა თავისუფალი სიყვარულისა თუ სიყვარულის თავისუფლებისა. ამ საქმეში ნამდვილი რევოლუციონერია, ესე იგი, უკვე საკმაო სექსუალური გამოცდილება გააჩნია და ალბათ არც ახლაა მარტო ანტონს მიჩერებული. ის კი არა, ანტონამდეც მოასწრო რაღაც-რაღაცეები... მოკლედ, მაგარი გოგოა, ნამდვილად თანამედროვე, და ასეთი იყო ყოველთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის. სტრიპტიზობა რომ შემოვიდა თბილისში, ანტონის დაბადების დღეს (წარმოიდგინეთ, სხვაგან რას იზამდა), პირველი ეგ ავარდებოდა ხოლმე მაგიდაზე და დებილი ანტონი ყირაზე გადადიოდა, სხვამ არ დაიჭიროს ჩემი გულისვარდის ნიფხავიო. ხოდა, ახლაც შეუნახოს ნამუსი... მამაკაცური ალღო თუ არ ატყუებს რაჟდენს, ლიზიკო უმალ მის სიგიჟეს გაამართლებს (მოუწონებს), ვიდრე გონიერებას...

ანტონი და დიდყურა გრიგოლა შედარებით იოლად მოიშორა. ჯერ მანქანის გარეცხვა დაავალა იმათ, მერე ბარგის ჩალაგება მანქანაში. ტასო ძალო კი, უფრო ძნელი მოსაშორებელი აღმოჩნდა, პეპელასავით, ყველგან ერთდროულად დაფარფატებდა, ეზოშიც, აივანზეც, ოთახებშიც... მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა მოახლის საქმეა, რას ჩაიდენს ბატონი საკუთარ სახლში?! იმას გინდაც ეხილა, მაინც არ დაუჯერებდა საკუთარ თვალებს და გინდაც დაეჯერებინა, თავცოცხალი ვერ გაამხელდა, ისევ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. მოკლე ენა მსახურის კეთილდღეობის გარანტიაა. რაც შეეხება ჟელეზნის, თავისთვის ინვა გამაკში და თუ არ დაუძახებდნენ, არც გამოიხედავდა აქეთკენ. იმან იცის თავის საქმე. ასე რომ, თუკი ვინმე აფერხებდა რაჟდენს, ისევ ლიზიკო, ოღონდ, თავისი მიუკარებლობით კი არა, პირიქით, უსიტყვო, მაგრამ აშკარა თანხმობით. არა მარტო ხვდებოდა და არა მარტო უწონებდა მამამთილს განზრახვას, ეხმარებოდა კიდეც განზრახვის აღსრულებაში, თავად გვირგვინი განზრახვისა. არაფით არ მოშორდა გაზქურას, იდგა და ელოდებოდა, გნებავთ, იდგა და აქეზებდა, გაბედეო, და სწორედ ეს უსიტყვო მიპატიჟება აეჭვებდა რაჟდენს, შანტაჟს ხომ არ მიწყობსო. დღევანდელი გოგოებისგან ყველაფერია მოსალოდნელი და უკადრისს თუ არ იკადრებენ, ის უნდა გაგიკვირდეს კაცს. მაგრამ ლიზიკოს ... ლანდი გასდიოდა და რაჟდენს უჭირდა საღად აზროვნება. ახლა კი, გული გახეთქვაზე აქვს, ოღონდ, იმიტომ კი არა, ეს რა ჩავიდინეო, პირიქით, ბოლომდე რომ ვერ მიიყვანა საქმე (ეტყობა, მაინც არ ეყო გამბედაობა). იმას დარდობს, იმას განიცდის, ვაი თუ, წამიერი სისუსტის გამომჟღავნება აღმოჩდეს ეს ლიზიკოსთვის და, ვაი თუ, სძლიოს ამ წამიერ სისუსტეს, ახლოს აღარ გამიკაროსო... მართლაც, ხომ შეიძლება გადაიფიქროს?! შეიძლება, ჯერ ვერც ხვდება, რა ჩაიდინა. ხოდა, მალე მიხვდება, რა ცოდვაში დგამს ფეხს... და მაინც, და მაინც, და მაინც... რაჟდენის უპასუხოდ დატოვება განა ნაკლები ცოდვაა?! ვერა, ვერ გაბედავს რაჟდენის გაწბილებას. ეშინია რაჟდენისა. ქმარს რომ უთხრას?! ქმარს რომ სთხოვოს შველა, დამიცავი მამაშენისგანო?! არ სთხოვს. საამისოდ ზედმეტად ამაყია... და არც არაფერი სჭირს საშველი. საშველად რომ ჰქონოდა საქმე, „სვეცკის" კი არ გაუბამდა ტასო ძალოს ყავასა და კაკტუსებზე, ფეხებში ჩაუვარდებოდა. ახლა იძულებულია, ყველას დაუმალოს, პირველ რიგში კი — ქმარს. სხვათაშორის, რაჟდენს წესიერად არც ახსოვს, რა მოხდა, ასე ვთქვათ, „რა დონეზე" დაშორდნენ ერთმანეთს. უფრო სწორად, მხოლოდ ის ახსოვს, როგორ მივიდა და როგორ ჩამოადო მხარზე ხელი, შეიძლება, მამაშვილურადაც... ძალიან ცხელოდა (როგორც ახლა ცხელა) და აქაურობა მუმლით იყო სავსე (როგორც ახლაა), თითქოს ცეცხლის ალში იდგა. სული ეკვროდა ალის სიმხურვალისგან. რასაკვირველია, თავს არ იმართლებს, არც განზრახვაზე იღებს ხელს, მაგრამ ვიღაც სხვა რომ წარმართავდა მის ჭკუაგონებას, ცხადია. კომუნისტი ამბობს ამას და არა ვიღაც მორწმუნე, გნებავთ, ცრუმორწმუნე. არც ის მოიქცა კარგად, გათხოვილი ქალის კვალობაზე — არაფრით არ მოშორდა გაზქურას, ამ გაგანია სიცხეში. მაინც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაინც, ამას დაუდგა წინ, ლამის დედიშობილა. ის სარაფანი გინდა გცმია, გინდა არა. მუმლი კიდევ ცალკე! რაუდენი კი არა, ტასო ძალოა გაშტერებული, დედის ტოლა ქალი, მსგავსიც არაფერი მინახავსო, პირჯვარს იწერს განუწყვეტლივ. იმას ყველაფრისა ეშინია, მაგრამ, რა იცი, ეშმაკს არ ძინავს... ამერიკელებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. იქნებ ბაქტერიებს ავრცელებენ?! რა, არ შეიძლება?! თუ არ იკადრებენ?! ალბათ მუმლის განსაკუთრებული სახეობა გამოჰყავთ საამისოდ. მართლაც, უცნაური მუმლია, მსხვილი, დონდლო, წყლიანი... ავადმყოფური. მუმლი-რაკეტა. ბაქტერიომზიდი. ჩვენებური ბევრად უფრო წვრილია და მოუხელთებელი. მუმლმა აურია ამასაც გონება. ყველგან მუმლი ყრია, ბალიშზეც, რაზეც თავი გვიდევს, და პურზეც, რასაც ვჭამთ. სასუნთქი გზებიცა და საყლაპავი მილიც ოკუპირებულია. შხამი (ჰაერთან ერთად) შეუფერხებლად ჩაედინება განწირულთა შიგნეულში. ყველანი მუმლის წებოვან მტვერში არიან ამოგანგლულნი... ამან მხარზე ხელი ჩამოადო მხოლოდ, ის კი, გიჟივით მოუტრიალდა და ტასო ძალო რომ არ გამოჩენილიყო დროზე, ალბათ ცოცხლად შეჭამდა. ერთი პირობა, დაიბნა კიდეც რაუდენი, უცებ ვერ გაარკვია, თვითონ დაესხა თუ მას დაესხნენ თავს. მისმა შვილმა ჯერ არ იცის, ვის ხელშია ჩავარდნილი. გაიგებს კი როდისმე?! არა გვგონია. იმედია, ქმართან უფრო თავდაჭერილია. რაც საყვარლებს მოსწონთ, ის ქმრებს აღიზიანებთ. უკვე იცის ალბათ, რა ბედაურიც ყავს. ამ ქვეყნისა არაფერი გაეგება. წიგნშია თავჩარგული, როგორც ვირი – თოფრაკში. მაგრამ ვირი ქერსა ჭამს, შვრიას, ის კი – არაფერს... ტყუილებს, ზღაპრებს... დედამისმა მათხოვრობით დაიწყო, ის კი, მათხოვრობით დაამთავრებს. წიგნის ამარა, შორს ვერ წავა დღეს კაცი. რაუდენს რამე რომ მოუვიდეს (ავად გახდეს, მოხსნან, დაიჭირონ, ანდა, მისი წინაპრების მსგავსად, ისიც ქუჩაში მოკლას ვინმემ), ერთი დღე ვერ გაიტანენ თავს, მართლა გამათხოვრდებიან. მაგრამ ანტონი მაინც ნამეტანია. ცოლსაც მამა უნახავს და საერთოდაც, სიმართლე თუ გინდათ, რაუდენის სახელსა და გავლენას გაყვნენ ცოლად და არა რაუდენის ვაჟის კოკორა ულვაშებს. ულვაში არც ამოსდის, მგონი. ამიტომ, შვილის ცოლზე ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეს რაუდენს, როგორიც საკუთარზე აქვს. ასე არ არის?! ტარანი თვლითაა. ხოდა, ანტონიც ერთი ტარანია მხოლოდ. ისე მოიქცევა, როგორც მამასა და ცოლს ენდომება. ვინ იცის, მადლობაც თქვას, თუკი ამ საქმეშიც მიეხმარება მამა. ყოველ შემთხვევაში, „ერთთვიანი იზოლაციის" შემდეგ, უსიტყვო მორჩილებისა და უსაზღვრო მადლიერების მეტი, ვერაფერი ამოიკითხა მის თვალებში. წეღანდელსაც თუ გავითვალისწინებთ, ეტყობა, საერთოდ ასეთია გუშინდელ მეამბოხეთა გუნება-განწყობილება. ძალიანაც კარგი. მამის მანქანის დანახვა ისე გაუხარდა, თითქოს ქაჯეთის ციხიდან უნდა დაეხსნა მამამისს. თვითონაც აწვებოდა ელექტრო-ჭიშკარს, უფრო მალე გაიღოსო. თაფლობის თვის გატარებაც გაუჭირდა უმამოდ. ყურებამდე გაწითლდა სიხარულისგან, შეიძლება სირცხვილისგანაც. მამის ზურგს უკან მიღებული სიამტკბილობისა შერცხვა და იმ სიამტკბილობისთვის უფრო მამის მადლიერია, ვიდრე ცოლისა. ეს უნდა რაუდენსაც. მამაძაღლი! რატომ მაშინ არ წითლდებოდა და რატომ მაშინ არ რცხვენოდა, ფეხით რომ უპირებდნენ დაკიდებას მამამისს მისი თანამებრძოლები?! არადა, მიტინგიც ვერ გამართეს ურაუდენოდ. ისევ რაუდენი პატრონობდათ. მთელი დღე მზესუმზირას აკნაწუნებდნენ მთავრობის სასახლის კიბეზე მიყრილები, ღამღამობით კი, საძილე ტომრებში უძვრებოდნენ ერთმანეთს. ეს ეგონათ თავისუფლება და დამოუკიდებლობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვის დაკიდებს, რაზე და რითი, მაგრამ ბევრი რამ რაჟდენის ბრალიცაა. ვერ მოიცალა შვილის გასაწვრთნელად. ქალს მიანდო ეს საქმე და შედეგმაც არ დააყოვნა. ქალაჩუნა. წიგნში ემალება ცხოვრებას. ლიზიკო უფრო ვაჟკაცურია და ცხოვრებასაც უფრო უწყობს ფეხს: დაუსხამ, დალევს. მიაწვდი, მოწევს. დაურიდებლად შემოგაბოლებს სახეში. ეგაა რომ, საფერფლეს არ ხმარობს. უფრო სწორად, ყველაფერს ხმარობს საფერფლედ, რაც კი ხელში მოხვდება, კოკა-კოლის ბოთლის ხუფსაც, ასანთის ცარიელ კოლოფსაც, ძაბრივით დახვეულ ქაღალდსაც, ყველაფერს, გარდა საფერფლისა, და, ჩვენში რომ ვთქვათ, ამასაც ცხოვრებამ მიაჩვია. ასეთები არიან ყველანი, ბუნებით მაწანწალები, უსახლკარონი... ჩაცმისა არ იყოს! ამას ჩაცმა ჰქვია?! ბრეტელის გასწორებაც ეზარებათ. ტანსაცმელი სასირცხვოს დასაფარავად მოიგონა ადამიანმა და არა კიდევ უფრო გამოსაჩენად... მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ ქალს მაინც მეტი მორიდება მართებს მამაკაცისა, გინდაც, მამამთილად ეკუთვნოდეს... მის ქმარს კი წიგნი ვერ გააგდებინეს ხელიდან. ეს წერია იმ წიგნებში?! მთელი ბავშვობა თავზე საბანნაფარებულმა გაატარა, შეთქმულივით. ჯიბის ფანრის შუქზე კითხულობდა გიჟი ნიკოლოზის წიგნებს. მისი ტოლები ტყე-ღრეს იყვნენ მოდებულნი... მათ შორის, ლიზიკოც... ის კი, ჭაჭანაჭამ ინდაურივით დაბორიალობდა ოთახებში. აგერ ნახავთ, ბებიამისივით, ეგეც ნარკომანი თუ არ გახდება ბოლოს (უკვე თუ არ გამხდარა). იქნებ არც არის კაშელი?! ქუჩიდან აჰყვა ალბათ დედამისს. დედამისი ქუჩიდან მოიყვანა კნიაჟნა ქეთუსიამ. ყველაფერი მოსალოდნელია იმისგან. ზედმეტად გულჩვილი და ზედმეტად დამთმობი ქალი გახლავთ. ვერავის ვერაფერზე ვერ ეუბნება უარს. მაშინ ხომ, მით უფრო ვერ ეუბნებოდა ალბათ... სამაგიეროდ, ძნელი მოსაშორებელია. ვერ მოიშორებ, [illegible] გაკეთებული სვირინგივით. უნდა ათრიო მთელი ცხოვრება. არადა, როგორი სათრევია?! ტელევიზორს უყურებს — ტირის, აივანზე ჩიტებს საკენკს უყრის — ტირის, აუთავებს — ტირის, საყვედურს ეტყვი და, კიდევ უფრო უარესად ატირდება, გასკდება ტირილით. სამაგიეროდ, დედამთილი წამში მოკლა, ჩიტივით. შეიძლება, უკვე ფეხმძიმედ რომ იყო ვიღაცისგან, კნიაჟნა ქეთუსიამაც იმიტომ შერთო შვილს ძალათი, ქმრისგან დამცირებულმა, შვილი დაამცირა, შვილს გადაუხადა... ვითომ, ესეც მეტია თქვენთვისო, გოდრის გაგდებულებისთვისო... თავის თავადიშვილობას ამადლიდა შვილს, რაკი მამამისს, მართლაც გოდრის გაგდებულს, ოფლიან ფეხსახვევს ურეცხავდა იძულებით. მაგრამ მაინც გაკაშელდა ბოლოს, იმანაც თვითმკვლელობით დაამთავრა ცხოვრება, კაშელების სხვა რძლებივით, თუკი, რასაკვირველია, ფეფემ არ შეუშხაპუნა მომაკვდინებელი დოზა. პირველი მორფინისტი ქალი გახლდათ მთელს საბჭოთა კავშირში. სახელმწიფო ამარაგებდა წამლით, უფასებდა მამამთილისა და ქმრის დამსახურებას და ამკევინებდა იმათ მოწეულ ყანას. რა იცოდა და გინდაც სცოდნოდა, რაში აინტერესებდა სახელმწიფოს, თუ რა არაადამიანური სიძულვილით სძულდა მის პირველ მორფინისტ ქალს თავისიანები, მამამთილიც, ქმარიც, შვილიც... საერთოდ კაშელები! მართლა კი არ შეეცოდა სამათხოვროდ ხელგაშვერილი ობოლი, კოჭებზე შეატყო, სწორედ ის რომ გამოადგებოდა ამხანაგად თავისიანების წინააღმდეგ წამოწყებულ ომში. ფე-ფე. ფე-ფე. ფე-ფე. — სულ მისი სახელი ეკერა პირზე. ნემსსაც მხოლოდ იმას აკეთებინებდა და, მთლად რომ გადაცდა ჭკუიდან, მხოლოდ იმის ხათრით „აკეთებდა" ფისი-ფისისაც და ჭუპა-ჭუპასაც. ფე-ფე, ფე-ფე, ფე-ფე, ჩაგვიმატეთ თბილი წყალი, ჩაგვიმატეთ თბილი წყალი... ფეფე ტაშტში რეზინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოჯინას უგდებდა და ბავშვივით აბანავებდა, რასაკვირველია, არც მთლად უანგაროდ. კაშელების სახლის დიასახლისობას იყო ალბათ შეპირებული და აუსრულა კიდეც. უმწიფარსა და უგნურ შვილს ჯერ ძალით გააბახებინა, ვინ იცის, სად არ ნათრევი ძუკნა, მერე კი, ასევე ძალით, კანონიერ თანამეცხედრედ დაუსკუპა გვერდით. „იცოდე, ჩემი ფეხით მოვალ, კომკავშირია თუ რაც არი, და სულ კინწისკვრით გამოვაგდებინებ შენს თავს იქიდანო". რაჟდენსაც რა ექნა, სამუდამოდ ხომ არ დაიღუპავდა თავს მორფინისტი დედისა და მაწანწალა ცოლის გულისთვის?! ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ იმათ გათვლილ-გათვალისწინებული, უკანასკნელ წვრილმანამდე, რაჟდენის გულუბრყვილობის ჩათვლით. რომ ეგონა, მოხერხებულად მივიმწყვდიე ბნელ კუთხეშიო, იმას თურმე, სადედამთილოს ხელით შედგენილ ინსტრუქციაში ეწერა, როგორ მიმწყვდეულიყო ბნელ კუთხეებში და როგორ დაეთმო „უფროსი ძამიკოსთვის" ყველაფერი. ასე და ამგვარად, „და-ძმური სიყვარულით" დაორსულებული „საბრალო ობოლი" ჯერ რძლის, მერე დედის, მერე კი, დიასახლისის უფლებებით აღიჭურვა და სამუდამოდ დამკვიდრდა კაშელების ოჯახში. მაგრამ მის შვილს ნამდვილად არაფერი სცხია კაშელებისა და ესეც უფრო რაჟდენის გულკეთილობის ბრალია, ვიდრე ფეფეს სივერაგისა. პირიქით, ეს დანაშაული კი არა, დამსახურებაა ფეფესი. ესეც გათვალისწინებული იყო რძალ-დედამთილს შორის დადებულ ხელშეკრულებაში — დედა ვუტიროთ კაშელებსო, გუგულის კვერცხი ჩავუდოთ ბუდეშიო, შიგნიდან გავტეხოთ ციხეო... მაგრამ ჯერ ვნახოთ, ვინ იზეიმებს ბოლოს. ყოველშემთხვევაში, რაჟდენს სრულებითაც არ ენაღვლება შვილის ღირსება, მით უფრო, მისი მამაკაცური პატივმოყვარეობა. რატომ და იმიტომ. მაინც ისე მოიქცევა, როგორც ლიზიკოს ენდომება. ლიზიკოს კი ის უნდა, რაც რაჟდენს. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. და რაც მთავარია, რაჟდენი ის სულსწრაფი, დედაკაცის სუნით ტვინდაბნელებული ყმაწვილი აღარ არის, დედამისმა რომ დაიხვია თითზე ყაჭის ძაფივით. ასე რომ, საჭირო თუ შეიქნა, ჯერ კიდევ შეიძლება იმის გარკვევა, რაც თავის დროზე არ გარკვეულა, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო. ანუ, სრულებითაც არ გაუკვირდება რაჟდენს, თუკი, ერთ მშვენიერ დღეს, სნორი აღმოჩნდება მისი ვარაუდი. ესე იგი, სინამდვილეშიც დედამთილს გადაყოლილი, დედამთილზე მზრუნველი და დედამთილის მოსიყვარულე რძალი კი არ აღმოჩნდება ფეფე, არამედ ჩვეულებრივი მკვლელი. მართალია, მის დედამთილს ნემსის გასაკეთებელი ადგილიც აღარ ჰქონდა დარჩენილი, აღარც ენის ქვეშ და აღარც თვალის გუგაზე, და, კაცმა რომ თქვას, მადლიც იყო მისი სიკვდილი, მაგრამ საყვარელმა და საამაყო რძალმა უაზრო და ზედმეტი ტანჯვისგან კი არ გაანთავისუფლა იგი, რისი მიტევებაც კიდევ შეიძლება, არამედ თავად გაინთავისუფლა სადედამთილო ტახტი ცოცხლად დამპალი დედაბრის მძორისგან... ასეთია რაჟდენის ვარაუდი. მაგრამ ჯერ ნამდვილად არ სცალია ამის გასარკვევად. თუმცა, მოსალოდნელია, დროზე ადრე გახდეს გადასახედი კაშელების საოჯახო არქივი, თუკი ფეფე ბოლომდე არ დაუდგება ქმარს გვერდში. კაშელების ქალიც კაშელია. უნდა თუ არ უნდა, მოსწონს თუ არ მოსწონს, თანახმაა თუ არა თავად... კაშელობა კი, არა მარტო ყველაფრის ატანას, ყველაფრის ჩადენასაც გულისხმობს. კაშელობა მძიმე ტვირთია, უდიდესი პასუხისმგებლობაა კაცობრიობის ნათელი მომავლის წინაშე... დალხინებული ცხოვრება უსისხლოდ არ მოიპოვება, სისხლს კი, კაშელები ღვრიან ძირითადად, როგორც სხვისას, ისე საკუთარს. წიგნსა და თეატრში თავის მოკვლაც ადვილია და სხვისიც, მაგრამ ცხოვრ-

ებაში ამასაც განსაკუთრებული ნიჭი ჭირდება. ყველა ვერ შეძლებს. კაშელებმა შეძლეს. ყველა მათგანს ჰყავს კაცი (ხალხი) მოკლული (დახოცილი) და არცერთი მათგანი არ მომკვდარა საკუთარი სიკვდილით, თავიანთი ქალების ჩათვლით. რაუდენიც, რასაკვირველია, ღირსეული შთამომავალია თავისი წინაპრებისა. როგორც ქვეყანაში ამ ბოლო დროს მიმდინარე პროცესების გაანალიზება გვიჩვენებს, ყველაფერი შეიძლება განმეორდეს: ოცდაერთიც, ოცდაოთხიც, ოცდაჩვიდმეტიც, ორმოცდათერთმეტიც, ორმოცდათექვსმეტიც და ასე შემდეგ... ობიექტურები თუ ვიქნებით, ჯერ სინანული ადრეა. დღევანდელი შემთხვევაც ამას ადასტურებს მხოლოდ. ჯერ ახლა იწყება ცხოვრება. გნებავთ, ცხოვრება ახალ გამოცდას გვიწყობს და თავი არ უნდა შევირცხვინოთ, ჩვენი ეშმაკობითა და გამჭრიახობით პირი უნდა დავაღებინოთ მოუსყიდველ გამომცდელს. დავაღებინებთ კიდეც. ისემც მზე მაღლა! მთავარია, მოულოდნელმა წარმატებამ თავბრუ არ დაგვახვიოს და ადრე არ დავმშვიდდეთ. ავწონ-დავწონოთ, გავაანალიზოთ ყველაფერი. რასაკვირველია, არც პროვოკაციაა გამორიცხული. დედას ვერ ენდობი კაცი. შვილი რომ შვილია, ისიც სველი საპონივით გისხლტება წამდაუწუმ ხელიდან... იქნებ მართლა არ არის მისი შვილი?! არა, არ შეიძლება. გამორიცხულია. მართალია, ცოლი ძალით შეტენა დედილომ, მაგრამ ის ხომ მაინც იცის, თვითონ სად შეეტენა თავისი სულსწრაფობით. მაინც არ უნდა იაროს კაცმა ქალის ჭკუაზე. არ დაარტყა, ცოდა, ჯერ პატარაა, სუსტია... რას ჰქვია, სუსტია! რას ჰქვია, ცოდა! რატომ უნდა იყოს მისი შვილი სუსტი და საცოდავი?! აბა, რილასთვის ჩაიხრჩვნენ კაშელები სისხლის მორევში?! რილასთვის კლავდნენ და ეკვლევინებოდნენ ძაღლსა და მამაძაღლს?! რაუდენი ამოიყრის ყველას ჯავრს... ყველას ერთად გაუსწორდება მათი სახელით... ცოლსაც, შვილსაც, ძაღლსაც... რაც შეეხება რძალს, გათავებულია იმის საქმე. თბილისში უფრო ადვილი იქნება მასთან განმარტოვება. ფეფემ კი უყუროს, რამდენიც უნდა, ვიდრე არ მობეზრდება... ახია იმაზე ყველაფერი. თავს დააბრალოს. თავიდანვე უნდა სცოდნოდა, სად მიდიოდა, თანაც, აკრძალული გზით. და ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, სხვებსაც რომ სიამოვნებთ და მასზე არანაკლებ ეხერხებათ ბნელ კუთხეებში მიმწყვდევა. თუ კაშელებთან აპირებს დარჩენას, ესეც უნდა ჩაყლაპოს, ანდა, დაემშვიდობოს ყველაფერს, რაც კაშელობით მოუპოვებია: დიასახლისობასაც, ცოლობასაც, რძლობასაც, დედობასაც, სულ ახლახან მიმატებულ დედამთილობასაც და ორთაჭალის იზოლატორისკენ, მააააარ-ششش! დედამთილის მკვლელობისთვის (უსვინდისო!), ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით (უმადური!). სად არის ფეფეს გასაფუჭებელი ძალაუფლება! ძალაუფლებას ვერავის დაუთმობს რაუდენი, ვერც ცოლს, ვერც შვილს, ვერც რძალს... ტყუილია. ნურავის ნუ ექნება იმედი. არადა, ძალაუფლება ყველას უყვარს, თუმცა, ყველას როდი შეუძლია მისი ბოროტად გამოყენება. ხოლო, თუკი ბოროტად ვერ გამოიყენებ, ერთი ჭკვიანი კაცისა არ იყოს, მაშინ, რად გინდა?! მაგრამ ამას რომ მიხვდე, ჯერ ძალაუფლება უნდა ჩაიგდო, როგორმე, ხელში. ამიტომაც ელტვის ყველა, ღირსეულიც და უღირსიც, სუსტიც და ძლიერიც, მცოდნეც და უვიციც, პატიოსანიც და გარეწარიც... ადამიანი ძალაუფლების მაძიებელი ცხოველია. რაც ჩვენს თვალწინ ახლა ხდება, ესეც ძალაუფლებისთვის ბრძოლაა და მეტი არაფერი. როგორც კი რაუდენს დაუწვება ლიზიკო, მაშინვე თავზე დააჯდება ფეფეს. კი ბატონო. მაგრამ ლიზიკომაც უნდა იცოდეს, რაუდენს რომ ეკუთვნიან სამივენი, თვითონაც, ანტონიც და ფეფეც... ჯერ ეს არის და მერე ისინი. ტოტალიტარულ რეჟიმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცხოვრებენ თუ დემოკრატიულში, მაინც რაჟდენი გადაწყვეტს ყველაფერს და იმასაც ვნახავთ, ვინ ვის დაკიდებს რუსთაველის ჭადარზე ფეხით... მწიფეს ესროდნენ, მკვახე ცვიოდაო. ლიზიკო, ბოლოს და ბოლოს, ფეფეს პრობლემაა, სამზარეულოში ჩაბერებული ცოლისა და არა ხელისუფლის. რაჟდენს მამა-პაპის სისხლითა აქვს ხელისუფლება მოპოვებული და იოლად ვერ შეელევა, საერთოდ არ შეელევა, შესაძლებელი რომ იყოს. პირიქით, ყველაფერს იკადრებს, ყველაფერზე წავა, კიდევ უფრო რომ განიმტკიცოს და გაიხანგრძლივოს... როგორ გგონიათ, უნივერსიტეტის ეზოში, მთელი ქვეყნის დასანახად, იმიტომ დაწვა პარტბილეთი, მართლა რომ შეეცვალა მსოფლმხედველობა?! ანდა, იმიტომ მოინათლა, ღმერთი რომ იწამა უცებ?! არავითარ შემთხვევაში. ამ ორი უწმინდესი აქტით, კრემაციითა და ნათლობით, საკუთარი ხელისუფლება განიმტკიცა მხოლოდ – ათასობით და ათასობით ახალგაზრდის სული იხსნა, როგორც უსაფუძვლო სიძულვილისგან, ისევე ბრმა რწმენისგან... უსაფუძვლო სიძულვილი და ბრმა რწმენა აიძულებს ახალგაზრდას, ქუჩაში გამოვიდეს და ხელი მოუღეროს ხელისუფალს. მაგრამ რაჟდენი არავითარ შემთხვევაში აღარ დაუშვებს ამას. უცხოეთშიც ამიტომ არ გაუშვა შვილი და რძალი, მართლა არ იფიქრონ, ნებაზე ვართ მიშვებულნიო. ქვიშხეთში უკრა ორივეს თავი, მამა-პაპურ ციხეში, რადგან აქ ჭირდება ისინი და თანაც სწორედ ასეთები – მერყევები, მოღალატენი, მისი ხელის შემყურენი და მის იმედზეღა დარჩენილნი... ძალაუფლების გარეშე გინდ ყოფილხარ, გინდ არა. მხოლოდ ძალაუფლებამ მისცა რაჟდენს შესაძლებლობა, ჯერ გვერდით დაეყენებინა, მერე მოეთოკა, მერე კი, თავის ჭკუაზე მოექცია შვილიც და რძალიც, რაც არც ისე ცოტაა ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის. როგორც არ უნდა ეწყინოს ელიზბარს, ლიზიკოც უკვე კაშელია, კაშელების ეკუთვნის, და ესეც მხოლოდ იმას ადასტურებს, გამოსაჩენიც რომ არ არის მწერლური დიდება ხელისუფლების გვერდით. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ვისაც ხელისუფლება აქვს, იმის ხელშია მწერლის ბედიც და არა მარტო ბედი, არამედ შვილიც. რასაც ელიზბარი თავის წიგნებში წერს, ცოტას თუ ესმის, მაგრამ არავის ჭირდება. ხოლო, რაჟდენის ცხოვრების წესი თითქმის ყველას ერთნაირად აკმაყოფილებს, ყოველშემთხვევაში, უკმაყოფილონიც ამჯობინებენ კმაყოფილებად წარმოაჩინონ თავი. ლიზიკო, რასაკვირველია, ყოველთვის აღელვებდა რაჟდენს, ძილიც ბევრჯერ გასტყდომია და ძალიანაც დატანჯულა იმის დაბუშტული ტუჩებისა და შეშუპებული ძუძუსთავების გახსენებაზე, მაგრამ ეს სხვაა, უფრო სწორედ, ეს არ არის მთავარი, ამას იოლად მოევლება, ეს არც მისი ოჯახისთვისაა სახიფათო და, მით უფრო, არც ქვეყნისთვის. ქვეყნისთვისაც და ოჯახისთვისაც შეკითხვაა სახიფათო, სწორედ იმ ტუჩებდაბუშტულმა, ძუძუსთავებშეშუპებულმა გოგომ რომ დაუსვა ამ ათიოდე წლის წინ, ვითომ სხვათაშორის – „მართლა კაციჭამია იყო ანტონის ბაბუა?“ – ხოდა, თუკი ხელისუფლების შენარჩუნება გსურთ, პირველ რიგში, შეკითხვის გეშინოდეთ, ბავშვის პირიდან ამოსული სულელური შეკითხვისა. ბავშვი საზარელი იარაღია, თუკი არადანიშნულებისამებრ გამოიყენებენ. ბავშვის ნათქვამზე იცინიან. სიცილი კი, ნებისმიერ ხელისუფლებას არყევს და ნებისმიერ ავტორიტეტს აყენებს ჩრდილს. ამიტომაც „არ ანიჭებენ“ განსაკუთრებულ ყურადღებას, ყველანაირად აქარწყლებენ (რაც კიდევ უფრო საცნაურს ხდის მასში ჩაბუდებულ აზრს); მით უფრო, თუკი ბავშვის შეკითხვა ხელისუფლების წარმომადგენელს ეხება, რის მერეც, თავისთავად დგება ხელისუფლებაში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. და ეს ყველაზე უკეთ იმ გველაძუა უფროსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბმა იციან, ამგვარ შეკითხვებს რომ ასწავლიან და აზეპირებინებს შინაგანად ჯერ კიდევ სუფთა, ჯერ კიდევ გულუბრყვილო ბავშვს. აი, რას უნდა მოეღოს ბოლო, ერთხელ და სამუდამოდ, მართლა თუ გვინდა გადარჩენა – ორპირა მწერლების ქირქილს ცაცხვების ხეივანში და ნებისმიერი ბავშვის შინაგან სისუფთავესა და გულწრფელობას. უფროსების ვირეშმაკობასა და უმცროსების სიბეცეს... მათი შერწყმა-შეუღლება გვაძლევს უაზრო მსხვერპლს, ძირითადად ისევ დასახიჩრებული, დადამბლავებული თუ სულაც დახვრეტილი ბავშვის სახით. ვირეშმაკა უფროსებს რომ არ წაექეზებინათ, რომელი ჭკუათმყოფელი ბავშვი გაუბედავდა საბჭოთა კავშირს თვითმფრინავის მოტაცებას?! თავისთავად ცხადია, არც ლიზიკოს მოუვიდოდა აზრად ანტონის ბაბუის გურმანული მიდრეკილებების გარკვევა, თუკი კაშელების ბლითა და „ენისელით" გასისინებული კვიმატი პიმენი, ვითომ ბრძენი ლეონტი, მოფრანგულე დიომიდე, ნაოფიცრალი გობრონი, მარად თუთუნის კვამლში დანთქმული მიხაკო, ანდა სულაც ჩვენი მძახალი, გულღრძო ელიზბარი არ უბიძგებდნენ აქეთკენ. ბავშვის გაბრიყვება ადვილია, მაგრამ მძიმე დანაშაულია. ბავშვმა შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით გაიგოს ცუღლუტი უფროსის ნათქვამი და სამუდამოდ დაიჯეროს, თითქოს რაჟდენ კაშელის მამა, უფროსი ანტონ კაშელი, დანა-ჩანგლით მიირთმევდა, ვთქვათ, მიხეილ ჯავახიშვილისა თუ ტიციან ტაბიძის ხორცს... მაგრამ ლიზიკო უკვე დასრულებული ქალია და თვითონ იცის, ვის დაუჯეროს და ვის არა. არც არჩევანი შეშლია. ღმერთი-რჯული, ძალა არავის დაუტანებია მისთვის, თავისი ნებით მოექცა „კაშელების გავლენის სფეროში", ანუ, შეგნებულად უარყო მშობელი, რაკი ვერაფერი გაუგო იმის იწილო-ბიწილოს... აბა, სხვა რა აიძულებდა, მე თქვენ გეკითხებით, რატომ უნდა მოქცეულიყო ასე? [illegible] ან! მამამთილი ხომ იგივე მამაა?! ქმრის მამა შენი მამაცაა, შენც შვილი ხარ იმის, ვისი შვილიც შენი ქმარია. ასე არ არის?! ასეა! ხოდა, ფრთხილად! მაგრამ თუკი ანტონი მართლა არ არის რაჟდენის შვილი, მაშინ?! მაშინ, მაინც ფრთხილად. ეშმაკს არ ძინავს. მაგრამ მაინც წინ, საბოლოო გამარჯვებისკენ. არც ისეთი სულელია ფეფე, ერთი ბოზანდარა გოგოშკას გულისთვის ერთბაშად გაუშვას ხელიდან, რაც კაშელების წყალობით მოუპოვებია წლობის მანძილზე. როგორცკი მარტო დარჩება რაჟდენი ლიზიკოსთან, ვათავებულია იმისი საქმე. აქედან გამომდინარე, თუნდაც მხოლოდ თავის დაზღვევის მიზნით, ქალბატონ ფეფეს „საქმეც" დაიდება მაგიდაზე. ამაზეა სწორედ ნათქვამი, გაბმულხარ, ჩიტო, მახეშიო. ოი, რომ იცოდე, რა ცუდად გაბმულხარ. თუმცა, ორივესთვის ასე აჯობებს. საერთო მამაკაცი უფრო დაახლოვებთ, უფრო საინტერესონი გახდებიან ერთმანეთისთვის. ერთმანეთსაც უკეთ გაუგებენ და ოჯახზეც უფრო დაედებათ გული. ერთი უკეთესი რძალი იქნება, მეორე – უკეთესი დედამთილი. ქალებს უყვართ თავიანთი კაცების ქალები. ყველას ეყვარება ერთმანეთი და კაშელების ოჯახი სამაგალითო იქნება ყველასთვის. ყველა ყველასთვის და ყველაფერი საერთო. მეტი კი არაფერია კომუნიზმი! შიში შეიქმს სიყვარულსა. შიში და მხოლოდ შიში. სხვა ყველაფერი ტყუილია. შიშმა შეკრა ეს ქვეყანა. ერთი პატარა კაცის ეშინოდა ყველას. ახლა უშიშრები გავხდით და გვეტირა კიდეც დედა. ჯერ სადა ხართ! უნიფხვო გოგო გადმოდგება ტრიბუნაზე და, ძირს რუსეთის იმპერიაო. ვინ გაპატიებს! ერთ გოდორში ჩაგვტენიან ყველას და, იალბუზიდან დაგვაგორებენ, ერთი თქვენი პატრონის დედაცო... შიში და მორიდება უფროსისა! შიში და მორიდება! რომ შეეშინდა, იმიტომაც გაუჩერდა წეღან ლიზიკო. არ ეგონა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ელოდა. ვერ გამიბედავსო... მე უკვე დამოუკიდებელი ქალი ვარ და ნიფხავს მინდა ჩავიცვამ, მინდა არაო. მაგრამ ვერ მიართვეს. ყეზვე გაუვარდა ხელიდან... ეტყობა, მართლაც, არც ისე ბევრია ორმოცდაათი წელი. გინდაც, ორმოცდათორმეტი იყოს... არც ისე ბევრია, მე და ჩემმა ღმერთმა...

რაუდენმა მუშტი გაშეტებით დაირტყა ბარძაყზე და, ყოველ შემთხვევისათვის, მაშინვე გაიღიმა, თუმცა, უკვე მარტო იყო. ლიზიკოს ხმა ეზოდან ისმოდა. განკარგულებებს იძლეოდა კაშელების დიდი სახლის პატარა დიასახლისი. ახალი კადრი, ძველის მესაფლავე. რაღაცას ეუბნებოდა დიდყურა გრიგოლას, ფულს უტოვებდა ალბათ. აბა, რა! ამხელა სახლის მოვლა-პატრონობა ადვილია?! თანაც დღეს. ის კი, დიდყურა, ჩვეულებისამებრ უარობდა, მაგრამ ბოლოს მაინც აიღებდა. რაც ეკუთვნის, თავცოცხალი არ დათმობს. მამაძაღლი. კაშელებითა აქვს ზურგი და, მგონი, თვითონაც კაშელად ასაღებს თავს, როგორც ჩიტმა მოუტანა რაუდენს ამბავი. იქნებ მართლა კაშელია?! რა გასაკვირია ვითომ, მამამისს მარტო სახლის მოსავლელად კი არა, გულის გადასაყოლებლადაც ჰყოლოდა აქ ტასო ძალო?! არ იქნებოდა ახალგაზრდობაში ცუდი ქალი... გიჟი ცოლის ხელში, ჯანმრთელი სოფლელი გოგო სწორედაც რომ მისწრებაა, ყველა დამამშვიდებელ წამალს სჯობს. ესე იგი, რა გამოდის დიდყურა გრიგოლა რაუდენისათვის? რა გამოდის და, ძმა. თუნდაც, ნახევარძმა. რაც მთავარია, მამით ერთნი არიან. რაღაცა მართლა აქვს კაშელების, იმ შეჩვენებულს. მაგალითად, ძალაუფლების სიყვარული. ადგილობრივი საბაჟოც ეგაა და საგზაო პოლიციაც. ლეიბის ქვეშ უღვედო ავტომატს ინახავს. თბილისიდან ახალციხემდე, მთელი ტრასა საკონტროლო ზონებადაა დაყოფილი ადგილობრივ მგლებს შორის. ყველა გზისპირა სოფელს თავისი წვლილი უდევს ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებაში. მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, როგორც გეგმითაა გათვალისწინებული. დღევანდელი მგზავრობა ამ თვალსაზრისითაც საინტერესო აღმოჩნდა რაუდენისათვის. როცა გეუბნებიან, სხვაა და როცა შენი თვალით ნახავ — სხვა. მე მგონი, ცოტა ზედმეტიც კი მოსვლიათ, სულ გაუჩეხავთ გზისპირა ხეები და ქარსაცავები. ამ გზაზე ნავალი კაცისთვის ცოტა შემაწუხებელია მოულოდნელად გამოცარიელებული სივრცე. ასე, პატარ-პატარა ზონებად დაყოფილი ქვეყანა სამართავადაც ადვილია და საძარცვავადაც. მიდი და მოიხმარე, თუ შეგიძლია. ელიზბარი რაღაცეებს ხვდება, მაგრამ მაინც ვერ იჯერებს, გეგმაზომიერად თუ კეთდება ყველაფერი... ცაში არის გადაწყვეტილ-შეთანხმებული... ეკლესიის ზარებსა და წიფლის მორებს კი არა, ბებიის დანატოვარ ქინძისთავს ვერ გადაიტან საზღვარზე, განსაკუთრებული ნებართვის გარეშე... არავიზე ნაკლები მგლები არ არიან ჩვენი ბიჭები, გველეშაპს არ შეეპუებიან. თუნდაც, იგივე ჩვენი დიდყურა გრიგოლა... ჩვენთან იგრიხება ასე, გასათხოვარი ქალივით, თორემ, შუაღამისას, შარაგზაზე, სულ სხვა ცხოველია... უღვედო ავტომატს მკლავზე გადაიწვენს მთვრალი ბოზივით, კომბინეზონის საყელოს ქეჩომდე აიქაჩავს და ზურგით მიეყუდება მდინარის ქარს. თუკი ვინმე უბედურს აქეთ უდევს გზა, ურჩევნია ნამდვილ მგელს ჩაუვარდეს პირში. დიდყურა გრიგოლაც იმის ხმალს იქნევს, ვის პურსაც ჭამს. ახლა არ იკითხოთ, ვის პურს ჭამს ჩვენი საგზაო პოლიცია და საბაჟო. სხვათაშორის, ყველაზე უკეთ ახალგაზრდები მოერგნენ „ახალი ყაიდის" ცხოვრებას. რასაკვირველია, სხვებზე უკეთესნი, ახლომხედველნი და შორსმჭვრეტელნი. თუმცა, თვითონა ვართ მოწმენი, თავიდან არც ისინი

იბრძოდნენ ამისთვის. უმრავლესობა ხახამშრალი დარჩა და შორს რომ არ წავიდეთ, აგერ არის ორი საუკეთესო ნიმუში განბილებული, გაბითურებული რევოლუციონერისა... ნეფე-პატარძალი... ჯერ კიდევ არ იტეხენ იხტიბარს, ხვალ კი, შეიძლება, ქუჩაშიც აღარ გაუჩერდნენ ერთმანეთს... ყველაზე ძალიან ერთმანეთისა რცხვენიათ და თუ ვინმეს აბრალებენ, ერთმანეთს აბრალებენ თავიანთ მარცხს... ეს სწორად წარმართული მუშაობის შედეგია და ამაზეც ითქმება ერთი-ორი სიტყვა თავის დროზე. ამ სულელებს ეგონათ, ნებაზე ვართ მიშვებულნიო და გააჩაღეს ტაშფანდური. მაგრამ ბიჭი ყველაფერს ხედავს ზემოდან და ყველაზე მკაცრად იმათ სჯის, ვისაც წელი აღარ მოსდევთ, მაგრამ გული მაინც ერჩით. იმათ სინდისზეა ეს მცოცავი ომიც, დიდყურა გრიგოლას ზარ-ზეიმი... ნარკობიზნესისა და პროსტიტუციის არნახული აყვავება... „ლეკიანობისა" თუ „ყმათა სყიდვის" ხავერდოვანი სეზონი... წარსულს კი არ ბარდება მართლა, როგორც ბავშვებს ვატყუებთ სკოლაში, ნაღვერდალივით ეხვევა ისტორიული გამოცდილების ნაცარში, მაშინვე რომ გამოჩხრიკოს ბიჭმა, როგორცკი დასჭირდება. მეომარი ხალხი ვართო, გავიძახით, და, მართლაც, ნებისმიერ ტილიან ქართველს დაედება ფასი, ოღონდ, შავ ბაზარზე, როგორც სარეცხის სოდას, კბილის პასტას, პრეზერვატივსა თუ შავ პილპილს... ახლა, ხელისუფლებისგან წახალისებული და სახელმწიფო რანგში აყვანილი ქურდობაც დაუმატეთ ამას და თვითონვე თქვით, რა დაემართება სამგზის უკვე მონელებულ ქვეყანას... მარქსიზმი ქურდულმა მორალმა დაამარცხა მხოლოდ. უბნის რწმუნებულს ზედ არ აფურთხებდნენ უბანში, ქურდს კი ძაღლიც არ უყეფდა. ბიჭმაც უყურა, უყურა და აირჩია: ბელადები თავდაყირა გადმოყარა კვარცხლბეკებიდან, ქურდს კი ყველა გზა გაუხსნა, ქვეყნის უმაღლესი ეშელონების ჩათვლით... ეცოდინებოდა მა თავისი საქმე! ანტონი კი იცინის, უდარდელად, არხეინად. სიძე-ბატონი. ხმადაბოხებული. დადარბაისლებული. თაფლობის თვით დაკაცებულ-დაბრძენებული (ისემც რა ვუთხარი!). ვერაფერს გაიგებს და გინდაც გაიგოს, არ დაიჯერებს. ისე, რომ გაიგოს უკეთესი იქნება მისთვის, ფასს დაადებს თავის წილს. მაგრამ, ვთქვათ და მართლა გაიგოს, მაშინ?! გამორიცხულია. გამორიცხულია, ამხანაგებო... მე მასწავლით ჩემი შვილის ამბავს?! მაინც, მაინც, ნუ, რამენაირად... ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება, თავს ველარ მოერიოს ლიზიკო და უკიდურესი სიახლოვის ჟამს წამოსცდეს ლოგინში?! ამხელა ამბავში გაეხვა და არც თქვას! აბა, რატომ აკეთებს?! ქმარსაც არ გააგებინოს?! აბა, თუ გამოიცნობ, ვისთან შეიძლება გღალატობდე... ქალებს უყვართ ცეცხლთან თამაში. ლიზიკოსნაირ ქალებს. ტყუილად კი არ ამსგავსებს ფეფე კნიაფნა ქეთუსიას. ისიც მთელი სიცოცხლე ცეცხლს ეთამაშებოდა. მაგრამ ლიზიკო თუ არ იტყვის, ვერავინ გამოიცნობს, მით უფრო, ქმარი. ხოლო, თუ იტყვის, პირველ რიგში ქმარი არ დაუჯერებს. ყველაზე მეტად სწორედ ქმარს გაუჭირდება ამის დაჯერება. მართლაც, როგორი დასაჯერებელია, ერთი თვის შერთული ცოლი საკუთარ მამასთან გღალატობდეს! არა, თქმით ნამდვილად არ იტყვის,. არც ასეთი გულუბრყვილოა, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, მართლა წამოიცდინოს. ქალისგან, მით უფრო, ლიზიკოსნაირ ქალისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ამიტომაც ვფრთხილობთ ჩვენც. შეიძლება, უნდოდეს და არ ჩაიდინოს, ანდა, პირიქით, არ უნდოდეს და ჩაიდინოს, რადგან მისთვის ის კი არ არის მთავარი, რა უნდა ან რა არ უნდა, არამედ სხვებს დაუმტკიცოს, იმის ჩამდენიცა ვარ, რაზეც თქვენ მხოლოდ ოცნებობთო, რაზეც სული მიგდით, მაგრამ ვერ გაგიბედავთო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთან არს ღმერთი!
ჩვენთან არს ღმერთი!
ჩვენთან არს ღმე ე ე
ერთი!

წაიღიღინა რაჟდენმა პოპულარული სიმღერის ფრაგმენტი და სიამოვნებით აღნიშნა გუნებაში, ფეხი აღარ მიძაგძაგებსო. ესე იგი, ჩვეული სიმშვიდეც დაუბრუნდა. ასე რომ, უკვე შეიძლებოდა დაძრულიყვნენ. აქ რაც უნდა მომხდარიყო, მოხდა. მადლობა აქაურობას, მაგრამ მთავარი თბილისში უნდა მოხდეს და მოხდება კიდეც. ამიტომ, წინ, თბილისისკენ, ამხანაგებო! სადღაც, ტვინის რომელიღაც უჯრედში, რკინის კომისრის შთამბეჭდავმა სახემ გაიელვა, ბავშვობიდანვე შეთვისებულ-შესისხლხორცებულმა. „წინ, ამხანაგებო, თბილისისკენ!" – იმანაც მოუწოდა აფუტფუტებულ, აჩოჩქოლებულ, აზავთებულ ბრბოს. ბრბოში რაჟდენ კაშელიც დგას, ოღონდ, უფროსი, ამ რაჟდენის ბაბუა. იმასაც, რკინის კომისარივით, გრძელი, ჩაფართხუნებული მაზარა აცვია და ძაბრისებური ქუდი ახურავს. ერთი სული აქვს, როდის დაიძვრებიან თბილისისკენ. მოენატრა ტანინიანი ღვინო და ხალიანი ქალები. წინ! წინ! წინ! რაჟდენს, პატარაობისას, თანაკლასელები მოყავდა ხოლმე სკოლიდან იმის ხმლის საჩვენებლად. ჩამოხსნიდა კედლიდან და ქარქაშიანად შემართავდა თავს ზემოთ. წინ! წინ! წინ! სხვათაშორის, საკუთარი რძლის დამორჩილება და საკუთარი დედაქალაქის აღება, თავისი სიმძაფრითა და მნიშვნელობით, ერთმანეთის ტოლფას მოვლენებად აღინიშნება ალბათ კაშელების საგვარეულო მატიანეში და ყველაზე ნათლად დააადასტურებს პაპისა და შვილიშვილის სულიერსა და ხორციელ ერთიანობას, ერთნაირობას... აღინიშნება ისიც, პაპა და შვილიშვილი, მართალია, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით, მაგრამ ერთნაირი სულისკვეთებით აღგზნებულნი და ერთი ყინით შეპყრობილნი რომ მიისწრაფოდნენ თბილისისკენ: დასაპყრობად, დასარბევად, დასამორჩილებლად... ანუ, ძველი ქართულით რომ ვთქვათ, მოსატყვნევად... მაგრამ უბრალო პრაქტიკული თვალსაზრისითაც, აჩქარება სჯობდა. რაც უფრო ადრე დაიძვრებოდნენ, მით უფრო ნაკლებად მოუწევდათ მზეში სიარული. არადა, მართლა უჩვეულოდ ცხელოდა. მარტო კაშელების აგარაკი კი არა, მთელი საქართველო მუმლით იყო სავსე. საითაც არ უნდა გაგეხედათ, მუმლით გასქელებული და გაწებილი ჰაერი მდუღარე ბადაგივით იბუშტებოდა, ლივლივებდა, ბრუნავდა... ქვიშხეთიდან თბილისამდე მუმლის ერთი უწყვეტი და უკიდეგანო მდინარე მიაცილებდა მათ მანქანას, ხოლო, მეორე, ზუსტად ისეთივე, წინ ხვდებოდა, გზას ულობავდა, აკავებდა შეძლებისდაგვარად, და, ამავე დროს, უდრტვინველად, თითქოს მოუთმენელი სიხარულითაც ესრისებოდა ზედ მანქანის საქარე შუშას...

საჭესთან რაჟდენი ზის. მძღოლი გვერდით მოუსვამს. ლიზიკო და ანტონი უკან სხედან. მიუხედავად შეუპოვრობისა, რაჟდენიც იძულებულია აღიაროს, მასაც რომ უჭირს გზის გაგნება უაზრობის ამ კორიანტელში. მართლაც, უცნაური მუსლია, უცნაურად თავხედი. კი არ გიფრთხის, ძალით გიცვივა პირში. მანქანაშიც ისევე ირევა, როგორც მანქანის ირგვლივ. არც მის დახოცვასა აქვს აზრი და არც მანქანიდან მის განდევნას. უკვე რამდენჯერმე გაჩერდნენ გზაში, საქარე შუშის გასაწმენდად, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ, პირიქით, შუშაც უარესად დაიბინდა და თვითონაც უარესად ამოიგანგლნენ ამაზრზენ სითხეში. ისე მოეწამლათ გუნება, გახედვაც არ უნდათ ერთმანეთისკენ. ანტონი, დროს გასაყვანად, რომელიღაც ხალხურ ლექსს უკუღმა კითხულობს გუნებაში; ლიზიკოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზეც არ უნდა ფიქრობდეს, მამამთილი ეპარება უკნიდან და შიშველ მხრებზე გავარვარებულ პეშვებს აწყობს მოულოდნელად; ჟელეზნის თიაქარი აწუხებს და ცდილობს, არ შეიმჩნიოს, რადგან რაჟდენს, მაინცდამაინც, არ ახატია გულზე არაჯანსაღი ქვეშევრდომები; ხოლო, თავად რაჟდენი მათ ალაპარაკებას ცდილობს მხოლოდ, უბრად რომ არ ისხდნენ, ნაჩხუბრებივით, ჟელეზნი არ დაეჭვდეს, რა ხდება, რამ დაამუნჯა ეს ხალხი ასეო. თუმცა, ჟელეზნის მაინც არაფერი გამოეპარება, ქვის ქვეშ რა დევს, ის იცის. შეუძლია, არ მოუსმინოს და გაიგოს, არ შეხედოს და დაინახოს... ასეთი ნიჭითაა ბუნებისგან დაჯილდოვებული და ამიტომაც ვერ შელევია რაჟდენი, ურჩევნია, მისთვის აგროვებდეს ის ცნობებს, ვიდრე მის შესახებ... მამაძაღლი!

— რაიკომი და პრეფექტი... — ამბობს რაჟდენი — მიდი, გააგრძელე — თვალს უშვრება ჟელეზნის — ჩვენს ჟელეზნის ლექსი დაუწერია... არ გაინტერესებთ? — მიმართავს სალონს, თავის მოუბრუნებლად.

— მე არა, კაცო... ბიჭებმა თქვეს გარაჟში — უარობს ჟელეზნი.

— ხოდა, ჩვენც გვითხარი — არ ეშვება რაჟდენი — მოუსმინე, ლიზიკო, ნუ გძინავს... გამოფხიზლდი... ყავა რომ არ დალიე, იმიტომ... — ულიმის ლიზიკოს მანქანის სარკეში — მიდი-მეთქი — მარჯვენა ხელის იდაყვს მხარში წაჰკრავს მის ადგილზე წამოჭიმულ მძღოლს.

ლიზიკოს შეაკრთობს მამამთილის ხმა. იმდენად აჰყოლია ფიქრებს, აღარც ახსოვს, სხვებიც თუ სხედან მანქანაში, ანდა, თვითონაც თუ მანქანაში ზის იმ სხვებთან ერთად. არადა, იმათზე ფიქრობს სწორედ, ანტონზე, რაჟდენზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჟელეზნიზეც. „იმან უკვე იცის ყველაფერიო" — აიჩემა რატომღაც, ალბათ ქმარზე რომ ბრაზობს იმიტომ. ქმრის მიუხვედრელობა და გულგრილობა რომ აცოფებს, ქმარმა რომ არ იცის, რაც, პირველ რიგში, მან უნდა იცოდეს, რადგან [illegible] მოეთხოვება, მას მოეთხოვება ცოლის დაცვა, საკუთარი მამისგანაც კი. მოეთხოვება, მაგრამ ნაკლებად აინტერესებს ეს ამბავი, სარკმელში იყურება, თითქოს პირველად ხედავდეს აქაურობას. ეგაა რომ, ათასში ერთხელ, ვითომ შემთხვევით, ხელს მოუჭერს ხოლმე ხელზე. ლიზიკოსაც ეს აგიჟებს, ეს აცოფებს, რადგან ჯერ კიდევ სისხლის გამყინავი სიცხადით გრძნობს, როგორ ეპარება უკნიდან მამამთილი, როგორ აწყობს მხრებზე გავარვარებულ პეშვებს და როგორ კოცნის კისერში, როგორი მოუთოკავი სურვილითა და მამაკაცური სიუხეშით... რაც, სულო ცოდვილო და, არა მარტო თავზარს სცემს ლიზიკოს, არამედ შემაძრწუნებლად სასიამოვნო შეგრძნებასაც უჩენს. ეს კი, თავის მხრივ, უფრო აფრთხობს, ვიდრე აწუხებს, როგორც ბანაობისას შემთხვევით აღმოჩენილი საეჭვო ჯირკვალი. იქნებ მართლა ავად არის?! იქნებ ყველაფერი მისი ავადმყოფური ჩვენებებია მხოლოდ და მსგავსიც არაფერი მომხდარა?! რა თქმა უნდა, ავადაა, კვდება, აღარ შეუძლია და აღარც უნდა ამ დამპალი ჰაერის სუნთქვა. ყველანი მის წინააღმდეგ არიან შეთქმულნი. ყველამ გაწირა... ელისომაც, მამამაც, ქმარმაც, მამამთილმაც... ტასო ძალომაც კი... რაც ხდება, მისთვის საზიანოდ ხდება, მის გასამტყუნებლად და მის დასაკნინებლად... არ არის საშველი და ახია! ასე მოუხდება! ტასო ძალოსი კი არ უნდა მორიდებოდა, იმის დასანახად უნდა შეესხა სახეში მდუღარე ყავა მამამთილისთვის და თავისთავად გაირკვეოდა ყველაფერი... ახლა არავინ აღარ დაუჯერებს... ახლა იძულებულია ყველას დაუმალოს და, პირველ რიგში, ქმარს... ტასო ძალომ კი არ იხსნა, მამამთილის თანამზრახველად აქცია ძალაუნებურად. ტასო ძალოს გამო გაჩუმდა და რაკი დღეს გაჩუმდა, ხვალაც გაჩუმდება, ხვალაც უხმოდ, სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვის შეუბრუნებლად გაუჩერდება მოძალადეს... დუმილი თანხმობის ნიშანია. მაგრამ განა ქმარიც არ უნდა გრძნობდეს, რასაც ცოლი გრძნობს?! განა უთქმელადაც არ უნდა ხვდებოდეს, რაც მისი ცოლის გულში ხდება?! აბა, როგორ არიან ერთნი, ერთსულ და ერთხორც?! გვერდით უზის და მასთან არ არის. იმიტომაც უჭერს ხელზე ხელს, ვითომ, შენთან ვარო... ცოლი რომ არ მიუხვდეს განდგომას... მამისა და შოფრის ზურგს უკან მალულად ეარშიყება საკუთარ ცოლს, რომელსაც, იმავე დროს, მამამისიც აუპატიურებს... ყოველშემთხვევაში, თვითონ არასოდეს უკოცნია ცოლისთვის ასე შლეგურად, ასე დაუნდობლად... რაც მთავარია, მამამისს მეტი საერთო აქვს მის ცოლთან, გნებავთ, მამამისს უფრო მეტად ეკუთვნის მისი ცოლი, ვიდრე მას... რაც მასთან აკავშირებს, ის უკვე წარსულია, დღესავით ნათელი და წაკითხული წიგნივით გვერდზე გადადებული, სადაც აღარაფერი შეიცვლება, რამდენჯერაც არ უნდა მიუბრუნდე... მამამისთან კი საიდუმლოთია დაკავშირებული, მესაიდუმლენი არიან ერთმანეთისა; მომავალივით ბნელი, გაურკვეველი და საშიში საიდუმლოთი არიან ერთმანეთს გადაბმული და მარტო მათ იციან... უფრო სწორად, მათაც არ იციან, როდის რა შეემთხვევათ კიდევ, როდის აეხდება საიდუმლოს ფარდა და რა მოჰყვება ამას, მათთვის კი არა, საერთოდ, ყველასთვის... მამამთილს, რასაკვირველია, არც ამტყუნებს, არც უბრაზდება. პირიქით, ეჭვიც არ ეპარება, თვითონ აცდუნა, თვითონ მისცა საბაბი, ყველაფერზე აეღო ხელი და ამ ჯოჯოხეთურ განსაცდელში ჩაეგდო თავი, შვილიც ფეხებზე დაეკიდა, ცოლიც, ქვეყანაც და ღმერთიც... მაგრამ თბილისში მოეგება ალბათ გონს და იქ ამხელს ამის კარგ ქალობას, რის შემდეგაც ვეღარც ეს გაჩერდება იმათთან, როგორც არ უნდა უჭირდეს შინ მიბრუნება, ელისოს გახარება, მამის სიმართლის აღიარება... რა თქმა უნდა, ძაღლის კუდი არ სწორდება ... ყორანი არ თეთრდება, მაგრამ მარტო რაჟდენ კაშელი კი არ არის ძაღლის კუდი და ყორანი, არამედ ესეც, ალბათ ეს უფრო მეტად, რადგან არც წესს დაგიდევთ და არც ელემენტარულ ზრდილობას – პირდაუბანელი, ჩაუცმელი გამოტანტალდება და უტიფრად დაგიდგება წინ... აბა, რა ქნას?! ყავა უნდა და რატომ მოითმინოს?! ეგ დრო წავიდა. ახლა ყველა თავისუფალია და როგორც თავად სურს, ისე ცხოვრობს, ანუ, ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს ემონება და ყველაფერს უარყოფს თავისუფლების სახელით – ზნეობასაც, უფროს-უმცროსობასაც, ადათ-წესებსაც... რაც მთავარია, ნებისმიერ სხვაობას, მათ შორის, სქესობრივსაც... არადა, მამამთილი მამაკაცია. უფრო სწორად, ჯერ მამაკაცია და მერე მამამთილი. „თავი უნდა მოვიკლაო" – ბოლოს და ბოლოს, პოულობს ყველაზე იოლ გამოსავალს მტანჯველი, გამაბითურებელი, გამაოგნებელი ფიქრებიდან, რომლებშიც თავფეხიანადაა გახლართული და მართლა თუ არ მიეხმარა ვინმე, ვერაფრით დაიხსნის იმათგან თავს. მისი ქმარი კი, სარკმელში იყურება არხეინად და ტურისტივით ათვალიერებს გარემოს. არაფერი გაეგება ამ ქვეყნისა და ბედნიერია, რადგან ჯერ კიდევ ბავშვია. ცოლს კი არ ეფერება, ელოლიავება, როგორც ბავშვი საყვარელ სათამაშოს... ეშინია რამე არ ვატკინოო, როგორც ცხენზე პირველად შესმულ ბავშვს... სამაგიეროდ, მამამისი არ დაინდობს მის ცოლს, არ დაზოგავს, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, იმას უყვარს ნამდვილი მამაკაცური სიყვარულით... ღმერთო ჩემო! ხომ შეიძლება, მართლა უყვარდეს?! საკუთარი რძალი... შვილის მეუღლე... ალბათ ამას ჰქვია ღვთის რისხვა, თვითონაც რომ არ იცი, რას სჩადიხარ... ანდა, იცი და მაინც არ იხევ უკან... ყველაფერს სწირავ დაუფიქრებლად... ესა და მისი ქმარი სიყვარულობანას თამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობენ, როგორც საერთოდ ახალგაზრდები, სულსწრაფები და სულელები... ბნელ ოთახში სუნთქვაშეკრული ცეკვა ჰგონიათ სიყვარული, გაოფლილ ხელზე გაოფლილი ხელის მოჭერა და შამპანურის წრუპვა ერთმანეთის ჭიქებიდან. არადა, ეს არის სწორედ ბავშვობა, ანდა, ბავშვობასთან გამომშვიდობება, ბავშვობიდან გამოქცევა დროზე ადრე, უბედურების წინა დღე, მომზადება უბედურებისთვის, რისთვისაც იბადები საერთოდ, თუკი ბედმა გაგიღიმა და ღირსად ჩაგთვალა უბედურების განცდისა... უბედურებაა, აბა რა არის?! თაფლობის თვე წესიერად არც დაგიმთავრებია, ხალხით სავსეა სახლი, ის კი მოდის, გეპარება, ავაზაკივით ფეხაკრეფილი, ჩაყვინთულივით სუნთქვაშეკრული, მოდის, გიახლოვდება, სიკვდილივით შეუფერხებელი, გარდუვალი... მოდის, გიახლოვდება, თითქოს იძულებით, თითქოს მხოლოდ შენი ხათრით, შენი გულისთვის, შენ რომ არ გაგაწბილოს, შენ რომ დაგიკმაყოფილოს ბინძური პატივმოყვარეობა, გინდაც, ქალური ცნობისმოყვარეობა, და ორი მდუღარე პეშვი, გავარვარებული რკინის ორი ზოდივით, უცებ, გაუფრთხილებლად ჩამოგადოს შიშველ მხრებზე, თითქოს შენი მხრების ანაბეჭდების ასაღებად... გესმის, როგორ შიშინებს შენი ხორცი, როგორ იწვის, როგორ დნება — გავარვარებულ პეშვებში მომწყვდეული — გულამდე გატანს შვების მომგვრელი ტკივილი, სირცხვილსაც გავიწყებს, ღირსებასაც, და ტასო ძალომ თუ არ დაიძახა საიდანღაც, ტასო ძალოსი რომ არ გერიდებოდეს, შეიძლება, კისერზეც ჩამოეკიდო შენს დამღუპველს, დაეწაფო იმის სისხლიან ტუჩებს და შეიძლება მოკვდე კიდეც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სანთელივით ჩაიღვენთო და ცვილის გუბედ დადგე იმის ფეხებთან...

— ვერ ვიტან! მეზიზღება! აღარ შემიძლია! — შესძახებს უცებ ლიზიკო და ბევრად უარესი ჩვენებების დასაფრთხობად, მანქანაში მბრუნავ მუფლის ღრუბელს აუქნევს ხელს უნებურად.

— ილმუმ ასახუმ სრაგ ადოევხე — ამბობს ანტონი.

— რა თქვი? — უარესად იბნევა ლიზიკო.

— მუმლი მუხასა გარს ეხვეოდა — მშვიდად უნმარტავს ანტონი — ოღონდ, უკუღმა თუ წაიკითხავ სიტყვებს... მუმლი — ილმუმ, მუხასა — ასახუმ, გარს — სრაგ, ეხვეოდა — ადოევხე...

— ამდენი ხანი ამას ფიქრობდი, შე დებილო! — მოულოდნელად ბრაზდება ლიზიკო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, შემცბარიცაა, იმდენად უცხო, იმდენად შეცვლილი ეჩვენება ერთი თვის ქმარი და ბავშვობის მეგობარი, სადღაც, უსასრულოდ შორს, სრულიად სხვა განზომილებებში ჩარჩენილი, ჯერ კიდევ ბავშვური ინტერესებით და, რაც მთავარია, უიმისოდ...

ანტონიც შეცბება უნებურად, რაღაცის თქმას დააპირებს, ალბათ თავის ლინგვისტურ ექსპერიმენტებთან დაკავშირებით, მაგრამ რაჟდენი არ დააცდის, სხვებზე ადრე, ის იგრძნობს მოსალოდნელ საფრთხეს და სასწრაფოდ წაჰკრავს მხარს ჟელეზნის, რაღას უცდიო, ამ სისულელეებს ისევ შენი ლექსის მოსმენა სჯობსო და, ამჯერად, აღარც ჟელეზნი გაიპრანჭება ზედმეტად, ერთს ჩაახველებს მუშტში და, წარჩინებულ მოწაფესავით, სხაპასხუპით წარმოსთქვამს:

რაიკომი და პრეფექტი,
დეფექტი პლიუს დეფექტი,
მაგრამ ამ ორმა დეფექტმაც
ვერ მოახდინა ეფექტი.

მარტო რაჟდენი გაიცინებს და ისიც ყალბად, ნაძალადევად, ასე ვთქვათ, ტონუსის ასაწევად, თუმცა, ჟელეზნის ლექსისა არ იყოს, ვერც ის შეძლებს შეუძლებელს. პირიქით. კიდევ უფრო დაიძაბება დუმილი. ლიზიკო კი, მანქანის კარს გააღებს უცებ და მშვიდად იტყვის, თუ არ გაჩერებთ, გადავხტებიო... მანქანაში გამლღვალი ასფალტის შხუილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცხისგან გათანგული სივრცის ყრუ გუგუნი შემოიჭრება მაშინვე.

— თუ არ გააჩერებთ, გადავხტები — გაიმეორებს უფრო მტკიცედ, უფრო კატეგორიულად.

— მამა! — დაუძახებს ანტონი რაჟდენს.

თან ლიზიკოს შესცქერის დაბნეული, დამფრთხალი. არ იცის, როგორ მოიქცეს, ვერ უბედავს ხელის მოკიდებას, ვაითუ მართლა გადახტესო, კარგად იცნობს ბავშვობის მეგობარს...

— ფისი-ფისი? — სარკეში ეკითხება რაჟდენი ლიზიკოს.

— ახლავე გააჩერე! — უყვირის ლიზიკო.

— კი ბატონო, ვჩერდებით... — უყვავებს რაჟდენი და ამუხრუჭებს. მანქანა სანახევროდ გადადის გზიდან, გზისპირა ხრეშს აჩხრიალებს და ჩერდება. მაგრამ ვიდრე წესიერად გაჩერდებოდეს, ლიზიკო უკვე მინდორში გარბის. გარბის, მაგრამ არ იცის, რატომ ან საით. უბრალოდ, გარბის, ხაფანგიდან თავდაღწეული ცხოველივით, რომელსაც ბრმა ინსტინქტი კარნახობს, რაც შეიძლება სწრაფად გაიქცეს, რაც შეიძლება შორს გადაიხვეწოს მისთვის ეგზომ სახიფათო ადგილიდან. გაუვალი, გაუხეშებული ბალახი ზოგან წელამდე წვდება, კანს უსუსხავს, კაბაზე ებღაუჭება, მაგრამ ის მაინც გარბის. მინდვრის ბოლოში ქედი წამოწოლილა, ფერდებჩამობღორტნილი, და, კი არ ახლოვდება, ნელ-ნელა უკან იხევს, თითქოს მისი ჯიბრით. ის კი მაინც იმ ქედისკენ მირბის, თითქოს იმის იქით იწყება სამშვიდობო, თითქოს იქ არის საზღვარი ყოფნა-არყოფნას შორის. „იმ ქედს თუ გადავივლი... იმ ქედს თუ გადავივლიო"... — ფაცაფუცით, ბოლომდე გაუაზრებლად იმეორებს მისი აღგზნებული, აგანგაშებული გონება. მერე აღმართი იწყება, ხრიოკი, ქვაღორღიანი, აქა-იქ ხავსმოდებული... ის კი, მაინც გარბის, გულამოვარდნილი, აქოშინებული, არაქათგამოცლილი, რადგან სხვა მაინც არაფერი შეუძლია, გარდა გაქცევისა, ვერაფერს ხედავს, გარდა თავისიანების გახვითქული, დაწითლებული და არანორმალურად გადიდებული სახეებისა და არაფერი ესმის, გარდა საკუთარი სახელისა, კვალში ჩამდგარი თავისიანები რომ მოსძახიან. ის კი, სწორედ იმათ გაურბის, თავისიანებს, როგორც კურდღელი დაგეშილ მწევრებს, მაგრამ კურდღლისა არ იყოს, მისი ბედიც წინასწარაა გადაწყვეტილი. მწევრები აუცილებლად დაეწევიან, დაიჭერენ, ერთს გაქაჩავ-გამოქაჩავენ და ჩამოკიდებენ ბატონის უნაგირზე, როგორც ლექსში სწერია, ანუ, ისევ რაჟდენ კაშელის მანქანაში დააბრუნებენ და ისიც დაბრუნდება, თუკი იქამდე ვერ მოასწრებს ქედის გადავლას. მაგრამ ქედზე როგორ გადავა, როცა ყველა გზა უკვე მოჭრილი აქვს. წინ ვერაგულად გალურსული მაყვლოვანი გადაწოლილა, წარღვნამდელი ურჩხულივით, უკნიდან კი, დაქანცული, მაგრამ უკვე გამარჯვებაში დარწმუნებული „მონადირეები" ახლოვდებიან. „არ გრცხვენია, გოგო, ცხენივით რომ დამარბენინებ აღმადაღმა, ჩემი ტრიკის პატრონს" — მოდუდღუნებს ჟელეზნი. რაჟდენი გაშეშებული, ფოლადივით ცივად მოელვარე თვალებით ჭამს. ანტონს კი მიწის ფერი ადევს, ამქვეყნისა აღარაა, გაღეღილ პერანგს ზურგს უკან უფრიალებს ქარი და, რატომღაც, ხელებაწეული მოდის, თითქოს კი არ იჭერს, ტყვედ ბარდება ლიზიკოს... ლიზიკო მაყვლოვანში შევარდება, დაუფიქრებლად შეუვარდება ქვეშ ათასნაირად დახლართულსა და დაგრაგნილ ბუჩქებს, როგორც თვითმკვლელი — მატარებელს... მაყვლოვანი შეთრთოლდება, აიმრიზება, აიფოფრება, უხალისოდ გამოერკვევა საუკუნოვანი რინდიდან და ჯერ ბოლქვაბოლქვა ამოაფრქვევს ღუმელივით მხურვალე წიაღში ჩალექილ მტვერსა და ათასნაირ მწერს, მერე კი, ზანტი, თითქოს განგებ შენელებული მოძრაო-

ოთარ ჭილაძე ერუნული ბიბლიოთეკა

ბებით შემოაჭდობს დაუპატიჟებელ სტუმარს თავის გრძელსა და ეკლიან საცეცებს, ერთად ჩაასობს ყველა ეკალს და მარადიული წყურვილით გამომშრალ-გამოფიტული, ხარბად შეიწოვს იმის მჩქეფარე, დაუდგრომელ, ცეცხლოვან სისხლს... ლიზიკოს გული ამოვარდნაზე აქვს, ტკივილისგან დაბრმავებული, დაყრუებული, გაოგნებული იბრძვის ალალბედზე და რაც უფრო მეტს იბრძვის, მით უფრო ღრმად იძირება ეკლიან, სულისშემხუთავ, გაუვალ სიცარიელეში... „არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ" — ყვირის გაუპატიურებულივით, დაბღორტნილ-დაკაწრული, თმააჩეჩილი, კაბაშემოფლეთილი. საცაა მიწვდებიან „მონადირეები", რომლებიც, თავის მხრივ, გაშმაგებულნი ებრძვიან მაყვლოვანს, ფეხებით სცემენ მიუდგომელ „ურჩხულს", ქვებით, ჯოხებით ამტვრევენ ჰაერში ასავსავებულ, გველებივით დაკლაკნილ საცეცებს, რომელთა ნაცვლად ახალი საცეცები ამოდიან მაშინვე. მაგრამ ბოლოს „მონადირეები" იმარჯვებენ და თავადაც დაბღორტნილ-დაკაწრულნი, ფეხით მოათრევენ ლიზიკოს მაყვლოვანიდან, ანთავისუფლებენ „ურჩხულის" ბრჭყალებისგან, სინამდვილეში კი, უკანასკნელ თავშესაფარსაც უშლიან და ასე მთავრდება ეს მოულოდნელი ნადირობა. „არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ" — ძლივსღა ხავის ნაცემ-ნაგვემი, ქანცგაწყვეტილი ლიზიკო და ანტონს აღარ სჯერა, როდისმე თუ გამოერკვევა ამ უაზრობიდან, როდისმე თუ გამოიხედავს თვალში მისი ყველაზე უახლოესი ადამიანი, ისევ ერთად თუ იქნებიან ძველებურად. გული უგრძნობს, რაღაც მოხდა საბედისწერო, რაღაც დააშავა უნებურად, მაგრამ ვერ გაუგია და ვერც ვერასოდეს გაიგებს, რა. ლიზიკოს ან მართლა აღარაფერი ესმის, ან შეგნებულად უყრუებს, არაფრად აღარ აგდებს, დანახვაც არ უნდა მისი. სხვებმაც არაფერი იციან. არავინ არაფერი არ იცის. „მე რას მეკითხებიო, შენს ცოლს ჰკითხეო" — უყვირა მამამ და ესეც იძულებულია, მოწმესავით უყუროს შორიდან, როგორ მიყავთ, უფრო სწორად, როგორ მიათრევენ მის ცოლს რაჟდენი და ჟელეზნი. თითქოს თვითონ არაფერი ესაქმება იმათთან, ანდა თითქოს მართლა მწევარია და, რაკი უკვე პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა, ახლა როგორც შეუძლია, ისე გამოხატავს ამას — ხან წინ უსწრებს, ხან კი უკან მისდევს „ნანადირევით" ხელდამშვენებულ „მონადირეებს"...

ამჯერად, საჭესთან ჟელეზნი ჯდება. ანტონი მის გვერდით იკავებს ადგილს. რაჟდენი და ლიზიკო უკან თავსდებიან, რადგან „ასე აჯობებს ლიზიკოსთვის", რომელსაც ახლა „მხოლოდ სიმშვიდე სჭირდება" და, მართლაც, რაჟდენის მკერდზე უმწეოდ თავმიდებულს, აღარაფერი ეტყობა წეღანდელი სიგიჟისა. რაჟდენი დაძაბული, მოღუშული, ყბადაბერილი იყურება წინ. მანქანაში სრული სიმშვიდე სუფევს. ლიზიკო თუ ამოისლუკუნებს ხანდახან, ტირილით ჩაძინებული ბავშვივით, თუმცა, რასაკვირველია, არ ძინავს, უბრალოდ, თვალს ვერ ახელს და, მაინცდამაინც, არც ცდილობს გახელას, თვალდახუჭული მისვენებულა მამამთილის მკერდზე. „ყველაფერი კარგად იქნებაო" — ხშირხშირად უმეორებს მამამთილი და კინკრიხოზე კოცნის ფრთხილად. ესაა და ეს. თბილისამდე ხმას აღარ ამოიღებენ. უბრად დაამთავრებენ მგზავრობას. მაინცდამაინც, არც თბილისში გამოუსწორდებათ გუნება-განწყობილება. უხმოდ, უხალისოდ წაიხემსებენ და თავთავიანთ ოთახებში შეიძურწებიან ყველანი, უფროსები ცალკე, უმცროსები ცალკე. იქაურობაც მუმლითაა სავსე. ფეფესაც ბევრი უომია, ყველანაირად უცდია მუმლის განდევნა, მაგრამ ბოლოს იმასაც ჩაუქნევია ხელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაუდენი, თავისი ჭკუით, კი ატყუებდა ცოლს, მძინავსო, მაგრამ დაძინებამდე ბევრი აკლდა. თვალდახუჭული იწვა სიბნელეში და მუმლის უნებლიე, არასასიამოვნო შეხებაც ვერ უფრთხობდა გამომათაყვანებელ ჩვენებას და, რაც მთავარია, დარწმუნებული იყო, ნამდვილად ეკუთვნოდა, რაც ელანდებოდა, რასაც მთელი სიცოცხლე ბრმად ესწრაფვოდა თურმე და ნაღრძობი სახსარივით, გაციებული ნერვივით, დამპალი კბილივით აწამებდა ახლა. უკვე ვერავინ და ვეღარაფერი ააღებინებდა ხელს განზრახვაზე, რომელმაც, უპირველეს ყოვლისა, ის გააგებინა, თუ რამდენად არასწორი და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა შექმნილი ბედნიერებაზე. მართალია, თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არასოდეს მოჰკლებია სიამოვნების განცდა, მაგრამ ის ცხოველური სიამოვნება ყოფილა, ბნელი, ტლანქი, გარანტირებული და სწრაფწარმავალი, სტიუარდესებისგან, ოფიციანტებისგან, სასტუმროს მორიგეებისგან, კანცელარიაში მომუშავე თუ კომკავშირის აქტივისტი გოგოებისგან მიღებული, გაუთავებელ სხდომებს, შეკრებებს, კონფერენციებსა და ყრილობებს შორის. ხოლო, რასაც ახლა განიცდიდა, არაფერი ჰქონდა საერთო აწ უკვე განცდილთან. მთელი მისი არსება გარდუვალი, უკვე კარს მომდგარი დღესასწაულის შეგრძნებით იყო სავსე, დღესასწაულისა, რომელსაც ბავშვური მოუთმენლობით ელოდები და რომლისთვისაც ჭირნახული კაცივით წინასწარ იჭერ თადარიგს. დიახ, ამ ხნის განმავლობაში, დღევანდელი დღისთვის იჭერდა თურმე თადარიგს. ამ ენით უთქმელი მღელვარების განსაცდელად ემზადებოღა მთელი ცხოვრება. შეიძლება, შეუგნებლად, მაგრამ მხოლოდ ამის გამო მიიწევდა განუწყვეტლივ წინ კარიერის მოლიპულ გზაზე. ყველაფერს სჩადიოდა, ყველაფერს კისრულობდა, ყველაფერს მიდიოდა ამის გამო და ამის გამო იცვლიდა „ყოველსა მოსახვეჭელსაც". ამის გამო იცვლიდა ზნეს, სახეს, მრწამსს... ამის გამო იტანდა ფეფეს... ამის გამო ემლიქვნელებოდა უფროსებს და ამის გამო თრგუნავდა ხელქვეითებს, მასზე დაბლა მდგომთ... რათა ერთ მშვენიერ დღეს, შხამიანი მუმლის კორიანტელში, სულის შემხუთავ სიცხეში, სააგარაკო ფაცა-ფუცში, მოულოდნელად ახელოდა თვალი იმის დასანახად, რისი დასანახი თვალიც ყველა ნორმალურ ადამიანს შეგნებულადა აქვს დაბრმავებული. მას კი დღეს აეხილა პირველად. ამაზე მეტი სასწაული რა გინდათ! აეხილა, არა მარტო რძლის დაბზეკილი ძუძუების, არამედ საკუთარი სახისა და ბუნების დასანახადაც – ჭეშმარიტი სახისა და ჭეშმარიტი ბუნებისა! ახლა მან ნათლად და მყარად იცის, ვინ არის, რა უნდა, რატომაა საერთოდ მოვლენილი ამ ქვეყანაზე. მან დღეს საკუთარი მომავალი აღმოაჩინა, რომელიც მისი ჭკვიანი შვილის აზრით, საერთოდ არ არსებობს თურმე ბუნებაში. მან კი აღმოაჩინა, სხვათაშორის, მისთვისაც მოულოდნელად, უკანასკნელ წამს და, მაინცდამაინც, აქ, ამ არეულ ქვეყანაში, სადაც მისი ადგილი (ანტონს თუ შევეკითხებით), თითქოს აღარ უნდა ყოფილიყო, ახალი დანიშნულებაც შეიძინა უცებ: მაინცდამაინც, საკუთარი რძლის დამორჩილება, საკუთარი რძლის გაბახება.... და გინდაც მამამისი საგანგებოდ ადგეს საფლავიდან, რათა ხელი ააღებინოს განზრახვაზე, სულში ჩააფურთხებს იმასაც, რადგან მამა მაინც გუშინდელი დღეა, შვილთან შედარებით მაინც ქაჯია და შეიძლება უცებ ვერც მიხვდეს, სრულებითაც რომ არ ეწინააღმდეგება მისი შვილის განზრახვა იმ საქმეს, რომელსაც თავად შეეწირა... პირიქით, მამავ ბატონო, ამხანაგო მამა, პირიქით! სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თქვენს შვილს მარტო მამაკაცური ღირსება ავალდებულებს, უყოყმანოდ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურიდებლად მიიღოს, რაც ლიზიკომ თავად შესთავაზა. ეს უაზრო სირბილი და ბუჩქებში ძრომიალიც ამის დადასტურებაა მხოლოდ. აბა, გამომეკიდება თუ არაო. უნდოდა, მაინცდამაინც, რაჟდენს დაეჭირა, რაჟდენს აეტატებინა, ვითომ არაქათგამოცლილი, და რაჟდენის მკერდზე ეთვლიმა თბილისამდე... მამაძაღლი... რაჟდენი, რა თქმა უნდა, აიღებს, რასაც სთავაზობენ. ისემც მზე მაღლა! აიღებს, გინდაც საფლავიდან საგანგებოდ წამომდგარმა და, ჩვეულებისამებრ, მოტოციკლეტისტის მაღალყელიან ხელთათმანებითა და მწვანეშუშიანი სათვალით შენიღბულმა მამამ მოულოდნელად დაახალოს ნაგანის ტყვია კეფაში. ლიზიკოს დამატრობელი სურნელით გაბრუებული, ფიქრშიაც არ უშვებს, თუ რა საზარელ ცოდვაში ვარდება, რა არაადამიანურ ბოროტებას სჩადის იმავე ლიზიკოს მიმართ, შვილზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელსაც საერთოდ არ აგდებს სათვალავში, როგორც საქართველოს ნებისმიერი შესაძლებელი ხელისუფლება – მისი შვილის პარტიას. ან თუ აგდებს, არაფრად თვლის, როგორც ულირსსა და უპერსპექტივო მეტოქეს. რაჟდენსაც სჯერა და სხვებსაც იოლად დაარწმუნებს, ყველაფრით რომ სჯობნის მეტოქეს, გარეგნობითაც, შეძლებითაც, გავლენითაც, სახელითაც, ცხოვრებისეული ცოდნაგამოცდილებითაც... ბიჭობითაც! და რომ ასე არ არის, ანდა, ეს რომ არ არის მთავარი მამა-შვილის ურთიერთობაში, ვეღარავინ გადაარწმუნებს, ვერც მკვდარი მამა და ვერც ცოცხალი შვილი...

ასე რომ, როგორც ყველა დიდი ბოროტმომქმედი, რაჟდენიც მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით და მხოლოდ საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე ცდილობდა საკუთარი განზრახვის გამართლებას, ვიდრე მისი უთქმელი, უსაშველო საფიქრალით შეწუხებული ცოლი გადმობრუნდებოდა და ჰკითხავდა: „რა მოხდა, რას შფოთავ, ისტერიას ვერ იძინებო". რაჟდენიც, თითქოს მხოლოდ ამას ელოდებოდაო, ჩასაფრებულივით გამოენთო ცოლის ხმაზე, თითქოს, როგორც იქნა, მაინც მიაგნო, მაინც მიაკვლია გამოსავალს საკუთარი ავხორცობის კლანჭებიდანო, და გაშმაგებული ეკვეთა თანამეცხედრეს, ცხოვრების თანამგზავრს, მეუღლეს, მისი ჭირვარამის უსიტყვო მოზიარეს, მისი ყოველი მეჭეჭისა თუ ეგზემის დამმალავსა და მომვლელს, ფაცაფუცით შემოაფლითა გაოფლილი პერანგი, ზნეწამოვლილივით დადორბლილმა, დაულოშნა, დაუკბინა ყელ-კისერი, ძუძუ-მკერდი, მუცელი, ბარძაყები... და გონწასული, ყელში შუშაგამოსმულივით ახრიალებული, ჩაინთქა, ჩაიღვარა, ჩაიწრიტა ცოლის კი არა, ზოგადად დედაკაცის ჩაუღწეველ, ჩაუწვდენელ წიაღში...

ფეფე უფრო დააფრთხო, ვიდრე გააკვირვა ქმრის ამგვარმა პირუტყვულმა ვნებამ. ვერაფრით ვერ დაიმორჩილა აკანკალებული ხელ-ფეხი. გასუსული, მობუზული, სუნთქვა შეკრული ინვა ქმრის ზურგს უკან, ქმრის ხვრინვას მიყურადებული, და მთელი სხეულით გრძნობდა, თავად არაფერი ესაქმებოდა იმასთან, რაც ეს წუთია გადახდენოდა თავს. ტანი უგრძნობდა, სხვა ქალის მაგივრობა გაეწია ქმრისთვის. ცოლობა საერთოდ სხვა ქალის (ქალების) მაგივრობის გაწევაა და ეს ადრეც ბევრჯერ უგრძვნია ფეფეს, მაგრამ ამჯერად ამის შეგრძნება გაცილებით მძაფრიც იყო და შეურაცხმყოფელიც. მისი სურვილის გაუთვალისწინებლად, მისი თანხმობის გარეშე შეასრულებინეს სხვისი როლი. სხვისი გასაკეთებელი საქმე გააკეთებინა ქმარმა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, უჩვეულო და უცნაური არაფერი მომხდარა. უბრალოდ, თავად მათი ურთიერთობა იყო უჩვეულოცა და უცნაურიც, და არა მარტო იმ დღეს, არამედ საე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთოდ, ყოველთვის, თავიდანვე, როგორც კი მოიკლა რაჟდენმა თავისი ყმაწვილური ჟინი – ბნელ კუთხეებში, ზეზეურად, მოუხერხებლად და ფაცაფუცით – მას მერე მათ ცოლქმრულ საწოლზე ტოლი კი არ ეუღლებოდა ტოლს, გნებავთ, მამრი კი არ ნერბავდა მდედრს, არამედ დიდი და მნიშვნელოვანი კიდევ ერთხელ ითვისებდა და ითავისებდა პატარასა და უმნიშვნელოს, რაც თავისთავად უკვე შეუძლებელს ხდიდა ორივესთვის ერთნაირად სასურველი, ანდა, მისაღები ურთიერთობის დამყარებას მათ შორის. მაგრამ ფეფემ მაინც შეგნებულად ამჯობინა ქმრის ყურმოჭრილი მონობა დედამთილის დანაბარების აღსრულებას („ისიც... ისინიცო"). ოლონდ, დედამთილის უპატივცემულობით კი არ მოიქცა ასე, არამედ მკვდარი მამის ხათრით, რომელსაც სულის ამოხდომამდე სჯეროდა, აუცილებლად „მეფისტოლა კაცი" რომ წაიყვანდა მის ერთადერთ ქალიშვილს ცოლად (მეორე ხუნაგმა გაუგუდა, სულ რამდენიმე თვისა) და მხოლოდ ეს უსაფუძვლო, მაგრამ მაცდური და გამაბრიყვებელი რწმენაღა უნარჩუნებდა ცხოვრებასთან უაზრო ბღლარძუნის ჟინს, ვერ ელეოდა, როგორც მშიერი ძაღლი მასზე უფრო მშიერი ძაღლებისგან, ვინ იცის, უკვე რამდენჯერ გამოხრულ ძვალს. შიმშილისგან აღგზნებული და სასწაულის განუწყვეტელი მოლოდინით შეპყრობილი, ჯიუტად ითრევდა ფეხს, არ ეთმობოდა აქაურობა, თითქოს მისი „მეფისტოლა" სასიძო მხოლოდ იმიტომ იგვიანებდა, გასათხოვებლად ჯერ კიდევ ძალიან პატარა რომ იყო მისი ქალიშვილი. „დროზე გაიზარდე, შე მამაძაღლო, აღარ შემიძლია მეტიო" – ებუზღუნებოდა შვილს. თბილისში გარდაცვლილი იაპონელი სამხედრო ტყვის ძირებდალურსმული ბატინკები ერთნაირად უცურდა თოვლზეც და ასფალტზეც. იმის ფხაკუნ-ფხაჭუნზე ყეფა-ყეფით გამოენთებოდნენ ხოლმე ეზოებიდან გაგულისებული ძაღლები, ვითომ, როგორც იქნა, ჩავიგდეთ ხელში ქვეყნის სიმშვიდის დამარღვეველი. ფეფეც იმას აბრალებდა დედისა და დის სიკვდილს, ოლონდ, თქმას ვერ უბედავდა. საერთოდ, ორივეს ეშინოდა გულახდილობისა და ერთი ხმამაღლა ოცნებობდა, გაუთავებლად, ანუ, არა მარტო თავს იმწარებდა, სხვებსაც უმწარებდა ისედაც გამწარებულ ცხოვრებას, მეორე კი, დუმდა, ჯიუტად, და არა მარტო უასაკობის გამო, არამედ საკმაოდ სერიოზული და სავსებით არაბავშვური შიშის კარნახითაც: ვაი თუ, გაბრაზდეს და მეც მომკლასო. სარდაფის ობობებსა და ვირთხებთან მარტო დარჩენას, ისევ მეოცნებე და ყბედი მამა ერჩია. სამაგიეროდ, მკვდარს უკანმოუხედავად გაექცა, მკვდარი დაუფიქრებლად მიატოვა... ბაზრიდან მობრუნებულს, ტახტიდან სანახევროდ გადმოვარდნილი რომ დაუხვდა, ჯერ გაბრაზდა (რატომ არ დამელოდაო), მერე შეშინდა (როგორ უნდა დავმარხოო), სიკვდილის წინ მონატრებული მაწვნის ქილა გაფშეკილ ხელებში მიაჩეჩა და ცეცხლნაკიდებულივით ამოვარდა სარდაფიდან, სადაც მათი ამბავი, ვინ იცის, სასაცილოდაც არ ყოფნიდათ ვირთხებსა და ობობებს, და დიახაც რომ იმსახურებდნენ დაცინვას, იმათგანაც კი – არაფერი გაეგებოდათ ამ ქვეყნისა, არაფერი გამოსდიოდათ ხელიდან, ეგ იყო რომ, იხოცებოდნენ, ერთმანეთის მიყოლებით, ხოლო, მათი ვაი-ოჯახის უკანასკნელმა წარმომადგენელმა (ფეფემ), საერთოდ უარყო, საერთოდ ხაზი გადაუსვა დანარჩენთა, ანუ, უკვე გარდაცვლილთა სახსენებელს. ისიც არ იცის, რომელი სად მარხია. მართალია, დის დამარხვაში თვითონაც ეხმარებოდა მამას, მაგრამ მაშინ თვითონაც თითისტოლა იყო და ვეღარც სასაფლაოს მიაგნებს და, მით უფრო, ვეღარც საფლავს. დედ-მამის ადგილსამყოფელი საერთოდ არ იცის და არც არასოდეს ცოდნია. დედის ცხედარი საავადმყოფოში დატოვა მამამ, მკვ-

ოთარ ჭილაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარ მამას კი, როგორც უკვე ვთქვით, თვითონ გაექცა შეგნებულად, რაკი მაინც ვერ შეძლებდა მის დამარხვას. უიმისოდ კი, იმასაც აუცილებლად გამოუჩნდებოდა დამმარხავი, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი სუნი დამარხავდა – შეწუხდებოდნენ და იძულებულნი შეიქნებოდნენ, სადმე ჩაეფლოთ, უპატრონო ძაღლის ლეშივით. ამიტომაც ითმენდა ფეფე ყველაფერს და კვლავაც მოითმენდა, რათა სიცოცხლეში გაწბილებული მამა სიკვდილში მაინც არ გაეწბილებინა და რადაც არ უნდა დასჯდომოდა, „მეფისტოლა" ჯაცის ცოლად დარჩენილიყო ბოლომდე. მაგრამ როგორც არ უნდა ეთვალთმაქცა, ისიც მამამისივით უბედური იყო, უბედურად შობილი, დაბადებით უბედური და; ამავე დროს, მამაზე უფრო მეტადაც, რადგან მამისგან განსხვავებით, უბედურების ყოველ წამს მოსალოდნელი და განუხრელად მზარდი დარტყმებისა კი არ ეშინოდა, არამედ ბედნიერების იმ იშვიათი და სწრაფწარმავალი შეგრძნებებისა, ყოველთვის მოულოდნელად რომ გაიელვებდნენ ხოლმე მის არსებაში, როგორც გვირაბის ნათურები მატარებლის ჩაბნელებულ კუპეში, და ერთი წამით კი გამოიყვანდნენ წყვდიადიდან, მაგრამ მერე კიდევ უფრო დიდ წყვდიადში უკრავდნენ თავს...

ასე იყო ახლაც: „უფრო დიდ წყვდიადში" გადავარდნილს, ქმრის ზურგს უკან გალურსულს, დედაკაცის წყეული ხორცი უგრძნობდა, გაცილებით დიდი უბედურება უახლოვდებოდა, აქამდე გადატანილ ყველა უბედურებაზე საზარელიც და შემზარავიც და არა მარტო მისი ოჯახისთვის, არამედ საერთოდ, მთელი ადამის მოდგმისთვის. ამის მაუწყებელი იყო ალბათ მუმლის წარღვნაც. მაგრამ კონკრეტულად რა უბედურება იქნებოდა ეს უბედურება, ამდენის მიხვედრა, სამწუხაროდ, არ შეეძლო. მობუზული იწვა ქმრის ზურგს უკან და მკვდარ დაზე ფიქრობდა, დის დამარხვის დღეს იხსენებდა, თავიდან ბოლომდე, რადგან სხვა არაფერი ჰქონდა გასახსენებელი, უფრო მნიშვნელოვანი, სამგლოვიაროცა და საზეიმოც, ერთსა და იმავე დროს. ახლაც ისევე მარტივად და ბუნებრივად ეჩვენებოდა სამყაროს აღსასრული, როგორც იმ გულქვა დღეს; ახლაც დარწმუნებული იყო (და როგორც მაშინ, ახლაც ძალიან უნდოდა, მართლა ასე მომხდარიყო), ერთს დაიჭექებდა დედამიწა და მტვრად იქცეოდა ყველაფერი, მტვრად განიბნეოდნენ ყველანი ჰაერში, მკვდრებიც და ცოცხლებიც... მაგრამ ძნელი სათქმელია, უფრო ტანჯავდა თუ უფრო შვებას ანიჭებდა ამის წარმოდგენა. უბრალოდ, ტანჯვაც შვება იყო მისთვის, შვება კი – ტანჯვა, და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რაჟდენ კაშელის ბიოგრაფიაში, მართლაც მტვრის ნამცეცივით უმნიშვნელო მისი არსება სამუდამოდ ჩაიბეჭდა, როგორც რაჟდენ კაშელისგან გამოვლენილი ნამდვილი კომკავშირული გულისხმიერებისა და სოლიდარობის დამადასტურებელი ფაქტი და უფესვო და უძირო, უპატრონო და უპოვარი ლუმპენპროლეტარი კაშელების რძალი გახდა...

ახლა, ქმრის ზურგს ამოფარებული, თავის მკვდრებზე ფიქრობდა და სამივეს ფიქრში უყრიდა თავს, როგორც საერთო საფლავში. „მე ნუ გამრევთ ამ საქმეში, რაც ჩემს შემდეგ შეგემთხვათ, მე არ მეხებაო" – ცივად ამბობდა სახეგადაშლილი დედა და ცდილობდა, როგორმე, თვითონაც ჩატეულიყო პატარა ჩემოდანში, რომელშიც მისი უმცროსი ქალიშვილის, თოჯინისხელა, გვამიც ძლივს ეტეოდა. „ცოცხალმა იკითხოს, თორემ, მკვდარს რა უჭირს, დაისვენაო" – ამბობდა მამამისი და რის ვაივაგლახით იცვამდა ხშირი რეცხვისგან დაპატარავებულ ბატინკებს. ერთი წითელი აბრეშუმის საბანი ჰქონდათ და იმ საბნის პირში გაახვიეს დის გვამი. მართლაც, თოჯინასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით იდო ჩემოდანში. თითქოს დასამარხად კი არ მიჰქონდათ, საჩუქრად უნდა მიერთმიათ ვიღაცისთვის. ყოველ შემთხვევაში, ასე დაამახსოვრდა ფეფეს. მერე ჩემოდანი დაკეტეს და წავიდნენ, გაუყვნენ საკმაოდ დამქანცველსა და სახიფათო გზას. რამდენიმე ტრამვაი გამოიცვალეს და ბოლოს ერთვაგონიანმა, განსხვავებულმა, განსაკუთრებულმა, მიიყვანათ ქალაქიდან საკმაოდ მოშორებულ სასაფლაომდე. ვაგონში ხალვათობა იყო და ალბათ ყველას თვალში ეჩხირებოდა მათი ჩემოდანი. ასე ეგონა ფეფეს. ჩემოდანი მამას ედო მუხლებზე, ფეფე კი მამის გვერდით იჯდა, ორივე ხელით მამის მკლავს ჩაჭიდებული, როგორც წყალწაღებული ხავსს. შიშით გული უსკდებოდა, არ გვკითხოს კონდუქტორმა, რა გიდევთ მაგ ჩემოდანშიო. კონდუქტორი არ დაინტერესებულა, რა ედოთ ჩემოდანში, მაგრამ ზედმეტი ბილეთის აღება კი მოსთხოვათ, რამაც მამამისი საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან. „რატომ უნდა ავიღო ზედმეტი ბილეთი, რა ადგილს ეს იკავებს, ან ვის უშლის ხელსო" — ყვიროდა, თვალებგადათეთრებული, ყბაგაცახცახებული. თუკი ვინმე იჯდა ვაგონში, იმათკენ იყურებოდა. „უშლის თუ არ უშლის, ბარგი ბარგიაო" — გაჯიუტდა კონდუქტორიც. ფეფე ისე შეეპყრო შიშს, აღარაფერი გაეგებოდა, გამწარებული ეჩურჩულებოდა მამას ყურში, აიღე და აიღე ბილეთიო, მაგრამ მამას არ ესმოდა მისი, კონდუქტორთან ჰქონდა საქმე — ცოდვა-მადლი აღარა გაქვთ, ფულსა ხართ ყველანი ერთნაირად დახარბებულებიო — ყრიდა ცოფებს. ფეფე სკამიდან წამოხტა, მამას ჩემოდანი გამოგლიჯა და მთელი ძალით ჩაარტყა თავში, რის შემდეგაც, არათუ მამამისი გაჩუმდა (გაითიშა ერთი-ორი წამით), არამედ კონდუქტორიც დაუბრუნდა თავის ადგილს — შეიძლება, შეეშინდა ფეფესი, შეიძლება, შეეცოდა კიდეც ეს გაძვალტყავებული მამა-შვილი, ან აღარ გამოიჩინა ზედმეტი პრინციპულობა...

მამამისს, ეტყობა, წინასწარ ჰქონდა შეგულიანებული უკვე ბალახმოდებული, სავარაუდოდ უპატრონო საფლავი, სადაც შვილის დამარხვას აპირებდა ჩუმად, მაგრამ სწორედ იმ უპატრონო საფლავის გვერდით, ვიღაცას მარხავდნენ კიდევ და ისინიც იძლებულნი გახდნენ, დაეცადათ. საკმაოდ ბევრ ხალხს მოეყარა თავი. მომღერლებიც მოეყვანათ. ერთი მათგანი თვალდახუჭული მღეროდა და ამან გააკვირვა ყველაზე ძალიან ფეფე, თუმცა იქამდე არც თვალდახუჭული მომღერალი უნახავს და არც თვალდაჭყეტილი. საზაფხულო, ნასვრეტებიანი შლიაპა აცახცახებულ ხელში ეჭირა და ფეფეს ეშინოდა, არ დაუვარდესო. მეორე ხელით მოჭმუჭნულ ცხვირსახოცს გადაისვამდა ხოლმე შუბლზე, მაგრამ მაინც წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი. სახე წითლად უვარვარებდა. შეიძლება, ცხელოდა; შეიძლება, ავად იყო. ჭერჩამოქცეული ეკვდერიდან ჩაქუჩის კაკუნი ისმოდა, საფლავის ქვას თლიდნენ ალბათ, და ფეფე ერთნაირი ინტერესით უსმენდა ჩაქუჩის ჟაკუნსაც და სიმღერასაც და, რაც მთავარია, ორივე სიამოვნებდა. მომღერლებს, ეტყობა, სხვაგანაც ელოდებოდნენ და უგვიანდებოდათ. მორჩნენ თუ არა სიმღერას, მაშინვე გაეცალნენ იქაურობას. საფლავ-საფლავ, მოკლეზე მიდიოდნენ, თვალშისაცემად საქმიანნი და მიზანდასახულნი. სიცხისაგან გამხმარ და გამოყვითლებულ ბალახიდან ბღუჯა-ბღუჯა ამოცვივდებოდნენ ხოლმე წვრილი კუტკალიები. ყველაზე ბოლოს ფეფეს მომღერალი მიდიოდა. ძლივს მიაფრატუნებდა ფეხებს. მაგრამ ვიდრე იასამნის ბუჩქებს მიეფარებოდა, მაინც მოხედა ფეფეს და თვალი ჩაუპაჭუნა, ეშმაკურად მომღიმარმა, რითაც სამუდამოდ დაამახსოვრა თავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ხალხიც მალე დაიშალა. მაგრამ ახლა მესაფლავეების წასვლას არ დაადგა საშველი (კიდევ კარგი!). საქმეს რომ მორჩნენ, ბარ-ნიჩაბი და თოკები ერთად დაყარეს და თვითონაც იქვე მიწვნენ პურის საჭმელად. მხართეძოზე წამოწოლილნი ილოღნებოდნენ, უხალისოდ, თავადიშვილურად. წესიერად დაჯდომის თავიც აღარ ჰქონდათ. ფეფემ ჰკითხა კიდეც მამას, ეგრე რატომ ჭამენ, რატომ არ დასხდებიან, როგორც წესი და რიგიაო, მაგრამ მამამ მხარი აუქნია მხოლოდ (თვითონაც შიოდა და არ ჰქონდა ლაპარაკის თავი), მაგრამ ფეფე რომ არ მოეშვა – ბევრ ხალხს მარხავენ და ძალიან იღლებიანო – უპასუხა კუშტად. მესაფლავეებმაც მოჰკრეს ყური მათ ლაპარაკს, თუ სასაფლაოზე ჩემოდნიანი კაცის დანახვა გაუკვირდათ, თავად გამოელაპარაკნენ, ხოლო, მათი ამბავი რომ გაიგეს, ძალიან შეწუხდნენ, მამას ღვინო მიაწოდეს, ფეფეს – პური, და თვალისდახამხამებაში დაამარხეს ესწუთია დამარხულ მიცვალებულს ფეფეს საბრალო დაიკოც, წითელ პეპელასავით რომ ამოფარფატდა უცებ ჩემოდნიდან და სამუდამოდ შთაინთქა ორგზის გათხრილ სამარეში. მესაფლავეებმა სამარის ბორცვი ხელახლა მოასწორეს, ყვავილებიც ხელახლა დაყარეს ზემოდან და ახლა უკვე ვეღარც ჭირისუფალი შეატყობდა რამეს, ვეღარც სასაფლაოს დირექტორი. „ყველაფერი რიგზეა, საფლავის კანონიერი პატრონი თუ არ გაგვიბრაზდაო" – თქვა ერთ-ერთმა მათგანმა და ნიჩაბი შორს მოისროლა. „რას ამბობ, კაცო, მადლობელიც დაგვრჩება, ზამთარში ფეხები თბილად ექნებაო" – თქვა მეორემ. „უკვე დედასთან არისო" – ამშვიდებდა ფეფეს მშიერ კუჭზე დალეული ღვინით აღგზნებულ-აფორიაქებული მამა. ფეფე კი, ქმრის ზურგს უკან იწვა ზაფხულის ღამის ჩახუთულ, ჩახურებულ წყვდიადში და ავი წინათგრძნობით შეპყრობილი, ჯიუტად არ აცილებდა თვალს სიბნელეში გაუჩინარებულ სარკმელს, ვიდრე არ აიძულა, ... მობრუნებულიყო, ვიდრე თანდათანობით, ისევ არ გამოიკვეთა სარკმლის მოთეთრო-მონაცრისფრო კვადრატი, ვიდრე საბოლოოდ არ გათენდა და ვიდრე ისევ არ დატრიალდა ოთახებში დროებით ჩაბუდებული, დროებით დამცხრალი მუმლის კორიანტელი...

3.

„ტყუის. ტყუის... მე მაგიუებს... მე მიხეთქავს გულს" – ფიქრობს ელისო. თუმცა, „საქორწილო მოგზაურობიდან" დაბრუნებულმა ლიზიკომ რომ დაურეკა, არსად გახვიდე, სალაპარაკო მაქვს შენთანო, უკვე იცოდა, უკვე გრძნობდა, კარგს არაფერს ეტყოდა საყვარელი გერი. მაგრამ რაც ეს-ეს არის მოისმინა მისგან, რასაკვირველია, ყველაფერს აღემატება, ფიქრშიაც ვერ გაბედავდა მსგავსის წარმოდგენას, გინდაც მთელი სიცოცხლე ლიზიკოს სასიყვარულო თავგადასავლებზე ეფიქრა მხოლოდ. მიჩვეული კია მისგან ასეთ „უცნაურ", „მოულოდნელ" გამოხდომებს – თქვა სმეტისაც არ იქნებოდა, ორი დღის გაცნობილ ბიჭს „ქალიშვილობა რომ ჩააბარა", ყოყმანა და გაუბედავი ანტონის ჯიბრით. ზუსტად ასე უთხრა ელისოს: „მომილოცე, დღეს ქალიშვილობა ჩავაბარე იმ პატიოსან კრეტინსო", რის შემდეგაც, ის „პატიოსანი კრეტინი", რომელიც ფორტეპიანოს კლასს ამთავრებდა კონსერვატორიაში და დიდ მომავალსაც უწინაწარმეტყველებდნენ მუსიკისმცოდნენი, საერთოდ გადაიხვეწა საქართველოდან და უნდა ვივარაუდოთ, უფრო ლიზიკოს შიშით, ვიდრე დროის კარნახით. მაგრამ ადრე ჩადენილ არაერთ სისულელეს, ასე თუ ისე, მაინც მოეძებნება ახსნაცა და გამართლებაც, ამას კი – არა. თავად ლიზიკოსგან რომ არ მოესმინა და გინდაც ღმერთს ეთქვა, შენი გერი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამთილს ყვარობსო, ტყუიო – შეუბრუნებდა სიტყვას – აღარ გაიმეოროო – გააჩუმებდა საერთოდ. მაგრამ რასაც ღმერთს გაუბედავდა, გერს ვერ გაუბედა. პირიქით, გერის ამ მოულოდნელმა აღსარებამ, პირველ რიგში, საკუთარი უმწეობის, უუფლებობის შეგრძნება გაუმძაფრა, საკუთარი სიმარტოვისა და დაუცველობისა... კი ეუბნება ხოლმე ელიზბარი (რა თქმა უნდა, ხუმრობით), მე ერთი ვარ, თქვენ კი – ორნი, თანაც ქალები, და ერთმანეთის ტყავს არ დახევთო, მაგრამ სინამდვილეში, ისინი იყვნენ ყოველთვის ორნი, ელიზბარი და ლიზიკო, თვითონ კი, ერთია და ბოლომდე ასე დარჩება, ერთი, ყველგან ერთი, ყოველთვის ერთი, რაკი საკუთარი უარყო და სხვისას ვერ დაეპატრონა, რადგან არასოდეს უცდია შეცდომის გამართლება, ანუ, მამაშვილს შორის ჩადგომა და მათი გათიშვა, მით უფრო, რომელიმე მათგანის გადაბირება მეორის საწინააღმდეგოდ. უფრო მეტიც, ელიზბარის კანონიერი ცოლი კი გახდა, მაგრამ არაფერი მოუმოქმედებია ელიზბარის გარდაცვლილი ცოლის დანატოვარი სიცარიელის ამოსავსებად. იმასაც დიდ ბედნიერებად თვლიდა, თუკი ელიზბართან და ლიზიკოსთან ერთად, იცხოვრებდა იმ სიცარიელეში. სხვათაშორის, ლიზიკომ მის გამოჩენამდე მიითვისა გარდაცვლილი დედის უფლებები და, რასაკვირველია, ახლა აღარავის დაანებებს, მით უფრო, თუკი არც არავინ მოთხოვს. ლიზიკო უკვე თავისუფალი, დამოუკიდებელი ადამიანია და უკვე თვითონვე ჭედავს საკუთარ უბედურებას საკუთარ სამჭედლოში. რასაკვირველია, ესეც პრობლემაა და, ელისოს აზრით, ეს პრობლემაც შეგნებულად შექმნეს თვითონ, მშობლებმა, თუნდაც, უფროსებმა, ერთმანეთთან შეთანხმებითა და ერთმანეთის დახმარებით, არა მარტო თავიანთი ურთიერთობის ჯერ შესანარჩუნებლად და შემდეგ გასაღრმავებლად, არამედ თავიანთი კეთილშობილების გამოსავლენად, ანუ, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთთან თვალში, რაც საფრთხის შეგრძნებას კი არა, მადლიერების გრძნობას ბადებდა მათ გულებში, ისევ და ისევ ერთმანეთის მიმართ, და ფიქრშიაც არ დაუშვებდნენ, მათი შეხმატკბილებული კეთილდღეობა სახიფათო თუ აღმოჩნდებოდა თავად ლიზიკოსთვის, ვისთვისაც თავიანთი ჭკუით ირჯებოდნენ, ანდა თავად ლიზიკო თუ აღმოჩნდებოდა მათთვის სახიფათო, თუნდაც, ანდაზიდან გამომდინარე, ანუ, მოყვრად გაზრდილი, ბოლოს მტრად თუ მოეკიდებოდა თავის გამზრდელებს და ორივეს საქვეყნოდ მოჭრიდა თავს. არადა, ასეთი საფრთხე, როგორც სჩანს, ნამდვილად არსებობდა და ამ საფრთხის არსებობა აიძულებდა იმათაც, განუწყვეტლივ ეთვალთმაქცათ და ემლიქვნელათ ცხვირმოუხოცავი ღლაპის წინაშე, „ნაკლებად მტკივნეული" რომ ყოფილიყო იმისთვის მათი პირადი კეთილდღეობა. თუმცა, საცა სამართალია, ქმრის სიკვდილის შემდეგ, არასოდეს უფიქრია პირად კეთილდღეობაზე; თავისთავად, თითქოს უიმისოდ მოხდა ყველაფერი; ვერც კი წარმოიდგენდა, საერთოდ თუ შეიძლებოდა, „ყოვლად ჩვეულებრივი ურთიერთობა" ჰქონოდა ელიზბართანაც, ლამის აბსტრაქტულ ცნებასთან, რომელთანაც, მისი ღრმა რწმენით, „სრულიად სხვა ინტერესები" აკავშირებდა, ასე ვთქვათ, ცხოვრებისმიერი კი არა, წიგნისმიერი. „თქვენმა წიგნმა გადამარჩინაო" – ეჟღურტულებოდა გულწრფელად მადლიერი და უკვე თავადაც დაქვრივებული, მათი „სიყვარულის" პირველ ეტაპზე, ანუ, გაუთავებელი სატელეფონო საუბრების ჟამს, და მავთულის მეორე ბოლოში, ღვთაებრივად, ღრმად, ხანგრძლივად დადუმებული ელიზბარი, წარმოდგენილი ცის ბინადარი უფრო იყო მისთვის, ვიდრე ფეხქვეშ მყარად არსებული მიწის მკვიდრი... მათი ურთიერთობა სრულებითაც არ

ოთარ ჭილაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულისხმობდა ამქვეყნიურ კეთილდღეობას, უფრო სწორად, არცერთი არ აპირებდა ხელმეორედ დაოჯახებას და ერთხელ კიდევ გადატანას იმისა, რაც უკვე გადაეტანა; უბრალოდ, ძველ ნაიარევებს აჩვენებდნენ ერთმანეთს, რაც გარკვეულ შვებას ანიჭებდათ, მაგრამ ბოლოს ისე ამოუვიდათ ყელში გაუთავებელი სატელეფონო საუბრები, ხელმოუწერავი „სატრფიალო ბარათები" და, რაც მთავარია, ყოვლად უაზრო კუკუმალაობა ქალაქთანაც და ლიზიკოსთანაც, უკვე დაუფარავად ნატრობდნენ და აღარ ეგონათ, ისინიც თუ გახდებოდნენ როდისმე „ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების" ღირსნი. მაღალ გრძნობებს, ეტყობა, მაინც მდაბალი მიზნები განაპირობებენ და, როგორც წესი, ყოველთვის ერთნაირად მთავრდება ნებისმიერი, გინდაც წიგნიერი ურთიერთობა ქალისა და კაცისა. ისინიც უფრო მიწიერი არსებები იყვნენ, ვიდრე ციური, და, აპაავე დროს, გაცილებით მეტი საერთო ჰქონდათ, ვიდრე თუნდაც ქვრივობაა. დანაშაულის გაუნელებელი, მოუშორებელი გრძნობა გარდაცვლილ თანამეცხედრეთა მიმართ და ამ დანაშაულისთვის განკუთვნილი სასჯელი – სინდისის ქენჯნა! – აი, რა აერთიანებდა მათ, თუმცა, არაფერი ჩაუდენიათ გარდაცვლილთა საწინააღმდეგო, მით უფრო, მათთვის მომაკვდინებელი, და არც გარდაცვლილებს ჩაუთვლიათ ისინი თავიანთ მკვლელებად, პირიქით, თუკი ვინმეს უმხელდა, მხოლოდ ქმარს უმხელდა თავის „გიჟურ სიყვარულს" და ძილის წინ, საწოლში უკითხავდა ელიზბარის ლექსებს. ხოლო, ელიზბარის მეუღლეს სიკვდილის წინ ჩვეული სინაზით მოუჭერია უკვე ძალაწართმეული თითები ელიზბარის ხელისთვის, როგორც წვეულებებზე, ანდა საერთოდ უცხო ხალხში იქცეოდა ხოლმე, ქადაგად დავარდნილი მეუღლის გამოსაფხიზლებლად. ასე რომ, ჩვეულებრივი ურთიერთობების შიშმა უფრო მიიყვანა ისინი ერთმანეთთან, ვიდრე ჩვეულებრივი ურთიერთობების ძიებამ. ორივე მათგანს სულიერი მეგობარი ჭირდებოდა, გნებავთ, სულიერი მეთვალყურე, რომელსაც არა მარტო დანახვა შეეძლებოდა მეორის სინდისის ქენჯნისა, არამედ განცდაც... შეეძლებოდა თვალი მიედევნებინა ამ მართლაც უსასტიკესი სასჯელისთვის, ჩანასახშივე რომ სპობს ნებისმიერ სურვილს, მიზანსა და ოცნებას, აქრობს სიცოცხლის ხალისს და, ამავე დროს, არაფერი აქვს საერთო სიცოცხლის მოყირჭებასთან. პირიქით. სიცოცხლე გწყურია (ჯერ ახალგაზრდა ხარ, ბოლოს და ბოლოს), გიყვარს, გენატრება, მაგრამ „უფლება არა გაქვს" მიიღო, ჩაიხუტო, შესვა, დათვრე, გაილეშო მისი სიმშვენიერით, რაკი შენი მეორე ნახევარი უკვე მიწაში წევს, მხოლოდ და მხოლოდ, შენი მიუხვედრელობის, ანდა, ჩვეულებრივი თავკერძობის გამო: ერთხელაც არ დაფიქრებულხარ, პირველ რიგში, ქმარს რომ ამცირებდა და აკნინებდა შენი მოურეველი, მოუთოკავი სურვილი ელიზბარის თუნდაც მწერლური ავტორიტეტის გაზრდისა, მაინცდამაინც, ქმრის თვალში... ასე რომ, რაკი ცოცხალი ხარ, დამნაშავეც ხარ, მაგრამ სხვების კი არა, სულერთია, ცოცხლები არიან ისინი თუ მკვდრები, არამედ საკუთარი თავის წინაშე, და თუ ვინმეს ვნებ შენი სიცოცხლით, საკუთარ თავს ვნებ, უპირველეს ყოვლისა. ადამიანი, გრძნობს თუ ვერ გრძნობს თვითონ, ცხოვრების ჭაობშია ყელამდე ჩაფლული და ხელის ჩამწოდებელიც არავინ ყავს. ამიტომ, რაც უფრო მეტად ცდილობს ჭაობის სიმყრალიდან ამოსვლას, მით უფრო ღრმად ეფლობა შიგ. არადა, არც ყოყმანი, ანუ, წიგნის ანაბარა ყოფნა დააყრის ხეირს. ყოყმანი სასურველსა და სავალდებულოს შორის მოტივტივე ლითონის უგრძნობელი ბირთვია, რომელზედაც შეგიძლია ცოტა ხნით დაეკიდო, სულის მოსათქმელად, რადგან დიდხანს მაინც არ გაგიჩერებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუხერხებელია საამისოდ, დასვენების ნაცვლად, უარესად დაგქანცავს უაზრო ბღლარძუნით და ხელებსაც გადაგატყავებინებს თავის ხორკლიანსა და სლიპინა ზედაპირზე... ელისოც მხოლოდ იმას ცდილობს, შეეგუოს არსებულს, ანუ, რაც შეიძლება უკეთესად უქიცინოს კუდილიზიკოს, უკეთესად უგოროს კვერცხი ელიზბარს, უკეთესად გაძვრეს ნემსის ყუნწში, გამოძვრეს საკუთარი ტყავიდან, დაიბრმავოს თვალი, დაიმუნჯოს ენა, დაიხშოს ყური და, რაც მთავარია, არც დაინტერესდეს, ერთხელაც არ ჰკითხოს თავს, რამდენად გამართლებულია მისი საქციელი, ბოროტებას სჩადის თუ სიკეთეს. მთავარია, ლიზიკომ არ აითვალწუნოს და კიდევ უფრო მთავარია, ნება დართოს უყვარდეს მამამისი. მასაც მხოლოდ სიყვარული ამოძრავებს და ლიზიკოს სიყვარულზე არანაკლებ „გიჟური", ოღონდ, ლიზიკოს სიყვარულისგან განსხვავებით, მაინც ადამიანური გრძნობის ნაშიერი და არა მდაბალი, ცხოველური სურვილისა, ამიტომ, შეიძლება, უფრო ძნელი დასაჯერებელიც, მით უფრო, დღეს, როცა ყველა ერთნაირად ქადაგებს სიყვარულის თავისუფლებას და გულის სიღრმეში აღარავის აღარ სჯერა ამ თქვენი ყბადაღებული სიყვარულისა, არ სჯერა, არ ჭირდება, არ გამოადგა, არ გაუმართლა, რადგან ცხოვრებასაც გრძნობა კი არა, სურვილი წარმართავს თავის ჭკუაზე და, ეტყობა, ასე ურჩევნია ადამიანსაც, თუნდაც, ერთი სირთულისა და მეორის სიმარტივის გამო. ელისოს მარტო ელიზბარი კი არ უყვარს, არამედ მისი ნაადრევად გარდაცვლილი მეუღლეც და მისი ნაადრევად დაობლებული შვილიც – სამივე ერთნაირად – და ამდენად, ვინმეს კი არ ენაცვლება, ვინმეს კი არ ეცილება, უბრალოდ, თავისი „გიჟური" სიყვარულით მოპოვებულ ადგილს იკავებს განუყოფელი სამეულის გვერდით, როგორც მათი ერთგული მცველი, მათი სასახლის ბიფიტერი, ოღონდ, საკუთარი ხორცის მჭამელი მათ საჭმელად...

სიყვარული ჭკუას რომ აკარგვინებს ქალს, თვითონაც კარგად იცის, საკუთარ თავზე აქვს ნაწვნევი, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს რაღაც ზღვარი, რომლის იქითაც... თუმცა, არა, არ შეიძლება. სიყვარულს თუ ზღვარი დაუდე, სიყვარული აღარ იქნება. სიყვარული, როგორც სტიქია, თვითონვე ადგენს საკუთარ საზღვრებს და რაც ამ საზღვრებს მიღმა რჩება, არაფერს არ წარმოადგენს, არაფერს არ ნიშნავს თავად შეყვარებულისთვის. ამის მეტი რა იცის და არც ლიზიკოზე ნაკლები განსაცდელი დასტყდომია თავს სიყვარულის გამო. გათხოვილ ქალს ცოლიანი კაცი შეუყვარდა... კი ბატონო, მადლიერ მკითხველს – ცნობილი მწერალი... მაგრამ, უსქესო მწერალი სად გაგიგიათ?! არ არსებობს. ტყუილია. სიყვარული შენთვის უკეთესის არჩევაა. მაგრამ ლიზიკოსავით, შინ კი არ მიუვარდა იმას, გინდა თუ არა, ყველაფერზე ერთბაშად აიღე ხელი ჩემი გულისთვისო, ამდენის უფლებას როგორ მისცემდა თავს, ლიზიკოსთან შედარებით, თავის შეკავებაც შეეძლო და გრძნობების დამალვაც, მაგრამ ლიზიკოსგან განსხვავებით, მეორე უკიდურესობაში გადავარდა უნებურად, რადგან თავისი „გიჟური", წიგნებიდან ამოკითხულივით „გაუგონარი" სიყვარული, პირველ რიგში, იმას გაუმხილა, ვისთვისაც უნდა დაემალა; იმას შესჩიოდა თავის გასაჭირს, ვისგანაც მხოლოდ რისხვასა და სიძულვილს იმსახურებდა, რის გამოც, ახლა სინანულისა და დანაშაულის გრძნობა ტანჯავს, როგორც მაშინ ცალმხრივი, მარტო ქმართან, როგორც ერთადერთ და გულითად დობილთან გამხელილი გრძნობა ტანჯავდა. არა მარტო დამნაშავედ თვლის თავს, როგორც ქმრის, ისევე ელიზბარის პირველი ცოლის წინაშე, არამედ დამარცხებულადაც, გაბითურებულადაც... სიყვარული შენთვის უკეთესის არჩევა კია, მაგრამ, სანაც-

ვლოდ, სამუდამოდ კარგავ უფლებას, რჩევა მისცე სხვას. ყოველ შემთხვევაში, ელისო ნამდვილად არ გამოდგება სხვების ჭკუის დამრიგებლად. და მაინც, უწესო და სათაკილო არაფერი ჩაუდენია, საერთოდ არ ჩაუდენია არაფერი, რადგან, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, თავისთავად მოხდა, რაც მოხდა, ანუ, ჯერ ელიზბარის მეუღლე გარდაიცვალა, მერე მისი ქმარი და, თუკი ვინმეს დამსახურებაა, მხოლოდ მკვდრების დამსახურებაა მათი გაბედნიერება. თუმცა, გაბედნიერებამ კიდევ უფრო გაუმძაფრა დანაშაულისა და დამარცხების შეგრძნება (ალბათ ელიზბარსაც): ლიზიკომ შთააგონა თუ თვითონ მივიდა ამ დასკვნამდე, გულის სიღრმეში მართლა სჯერა, ის და ელიზბარი წინასწარ შეთანხმებულნი, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით რომ მოქმედებენ საკუთარი მეუღლეების მოსაშორებლად. ახლა სჯერა იმისა, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. მაგრამ სჯერა იმიტომ, დასაშვებად რომ მიაჩნია, მართლა მოშხდარიყო, მართლა მოეკლა ქმარი, თუკი ეს იქნებოდა ერთადერთი გამოსავალი იმ ტანჯვაწამებიდან, რომელშიც სიყვარულმა ჩააგდო, რომელსაც მხოლოდ მისი ქმარი ხედავდა და განიცდიდა კიდეც — ყველანაირად უწყობდა ხელს ამ საზარელი სენით შეპყრობილს, უვლიდა, პატრონობდა, როგორც ჭკუანაკლულსა თუ დავრდომილ, ხელით შესანახ ავადმყოფს — ურჩევდა, როგორმე მორეოდა თავს, მაგრამ ვინ მორევია, ელისო რომ მორეოდა. დღისით გაშტერებული იჯდა და, თითქოს წართმევას უპირებენო, ორივე ხელით იხუტებდა გულში ელიზბარის წიგნს, ღამით კი, შამფურივით ტრიალებდა არანორმალური განზრახვების, არასწორი ვარაუდების და შემზარავი ჩვენებების ოხშივარში... ყველაფრისთვის მზად იყო უკვე. დაუფიქრებლად დალევდა დარიშხანსაც და დაუფიქრებლად ჩაუვარდებოდა მატარებელსაც, თუკი მის სიყვარულს რაიმე საფრთხე დაემუქრებოდა... ასევე, ფუნიას დაკოცნიდა ყველას (პირველ რიგში, ქმარს), ვინც გაუგებდა, თანაუგრძნობდა, აპატიებდა ამ უნებლიე, განგებისგან თავსმოხვეულ დანაშაულს... და მაინც, მისი სიგიჟეცა და დანაშაულიც გამოსაჩენადაც არ ღირს ლიზიკოს სიგიჟისა და დანაშაულის გვერდით. მოულოდნელობისგან ენანარცმეული, დადამბლავებული, ბაგიდაზე დაყრილ საკუთარ ხელებს დასცქერის და გამწარებული ფიქრობს, რა იღონოს, როგორ მოიქცეს: ისევ მესაიდუმლედ, მეგობრად დაუდგეს გერს ამ საზარელ ცოდვაშიც, თუ დაუყოვნებლივ ატეხოს განგაში; შეუვარდეს ელიზბარს და მახვილივით აძგეროს გულში სიმართლე, თუ ახლაც დაზოგოს, გაჩუმდეს, ვითომც არაფერი მომხდარიყოს... მართლაც, ელიზბარის ოთახიდან ისევ საბეჭდი მანქანის ჩვეული, ლამის უკვე ძვალრბილში გამჯდარი ხმა ისმის, რაც, ცოტა არ იყოს, უკვირს ელისოს, თუმცა, ამ ხმის გარეშე ვერცკი წარმოუდგენია ცხოვრება. ელიზბარისთვის ჯერ არაფერი შეცვლილა, ბეჭღავს რაღაცას თავისთვის. არ იცის და იმიტომ. არ ცოდნა, არ ცოდვაო. მაგრამ როგორ შეიძლება უცოდველი იყოს ელიზბარი, როცა მისი შვილი ამხელა ცოდვაშია ჩავარდნილი?! კაცი ხელისუფლებას ეჭიდავება, ლექსების ნაცვლად, პოლიტიკურ ტრაქტატებს წერს, და ერთ ცინგლიან გოგოს ვერ მოერია, ვერ გაზარდა თავის ჭკუაზე. ობოლია... ცოდოა... რა თქმა უნდა! მაგრამ ახლა უფრო ობოლია და ახლა უფრო ცოდოა — მარტო დგას თავის ცოდვის მორევში — მამამისი კი, კოდალასავით აკაკუნებს. ქვეყანა თავზე ენგრევა, ის კი ათასნაირ სისულელეს იგონებს თავის ნიჟარაში შეკეტილი. მაგრამ ელისო ძალით გამოათრევს იქიდან და, რაკი სხვა არაფერი შეუძლია, ლიზიკოსთან ერთად, გულხელდაკრეფილი უყურებს, როგორ გაუსკდება იმას გული, უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე, ვიდრე ბოლომდე მოისმენდეს შვილის ამბავს...

– მერე?! რა მოხდა მერე? – ამოღერღა როგორც იქნა, თუმცა, თვითონვე გრძნობს ამ შეკითხვის უაზრობას.

რაც მერე ხდება, ყველაფერი უმნიშვნელოა უკვე მომხდართან შედარებით. ნაკლებად საინტერესოც. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ნაცარი დავიყაროთ თავზე და ფეხებში ჩაუვარდეთ ბედისწერას, პატიების სათხოვნელად კი არა, რაც შეიძლება, დაჩქაროს სასჯელის აღსრულება. სასჯელი კი უმკაცრესი, უსასტიკესი, უკიდურესი იქნება: ჩაქოლვა, ცოცხლად გატყავება, ხელ-ფეხის დაგლეჯვა, გველებით სავსე ორმოში ჩაგდება... იმიტომ რომ, თავისი უარყო და სხვისას დაეპატრონა... იმიტომ რომ, თუკი ადრე, საკუთარ კედლებს შორის, მიუწვდომლის, შორეულის გაუზიარებელი სიყვარული უ.არგავდა მოსვენებას და გულში ჩახუტებული წიგნიდან მის არსებაში გაჟონილი სხვისი სიდიადისა და სიძლიერის შეგრძნებით დამფრთხალი დაბორიალობდა ოთახებში, ახლა თვალდაჭყეტილი ნევს ხოლმე ბნელში, მკვდარი ქალის მოუშორებელ ნივთებს შორის, გაუჩინარებულ სარკმელს მიშტერებული, და სიზმრის შიშით ვერ იძინებს, რადგან სიზმარში, ვითომ ცოცხლდება მისი ქმარი და, მეორედ არ ჩაექცეს სისხლიო, ეს ვითომ ვერაფრით ვერ ეუბნება, ტყუილად გაცოცხლდი, არავის აღარ ჭირდები, აღარ არის აქ შენი ადგილიო...

ახლა მაგიდაზე დაუყრია ხელები, უსარგებლო ნივთებივით, და საკუთარ ხელებს დასცქერის, ათვალიერებს გულისყურით, არ იცის, რაში შეიძლება მათი გამოყენება. „რამდენი ხანია, ფრჩხილი არ დამიქნიაო" – ფიქრობს უაზროდ, დროს გასაყვანად, რადგან მართლა არ იცის, როგორ მოიქცეს, ელიზბარი გამოათრიოს ნიჟარიდან, თუ ეს შეათრიოს თმით ელიზბართან... „ესეც" ჩაყლაპოს, როგორც არა ერთი მწარე სიტყვა და უსამართლო ბრალდება ჩაუყლაპავს ლიზიკოსგან „კარგი ურთიერთობის" შესანარჩუნებლად, თუ ახლა მაინც ითქვას, გაირკვეს, საერთოდ რა აზრი აქვს ურთიერთობას ან ერთმანეთთან ან სხვებთან, თუკი ერთნაირად სულერთია ყველაფერი, არც არაფრის მორიდება გვაქვს, არც არაფრის პატივისცემა... ყველაზე მეტად ახლა გრძნობს უელიზბარობას და, ამავე დროს, ყველაზე მეტად ახლა არ უნდა ელიზბარის დანახვა. არადა, ისიც აქვეა, ორ ნაბიჯზე, ყოველ წუთას შეიძლება შემოეხეტოს. იმავე ჰაერს სუნთქავს, რასაც ისინი, და ისიც მოწამლულია უკვე, იმასაც მიღებული აქვს მომაკვდინებელი დოზა შხამისა, მაგრამ ჯერ არ იცის... ჯერ არ იცის, რა ელოდება, რა ღვთის რისხვა დაატეხა შვილმა თავზე, და არხეინად აკაკუნებს თავის ოთახში, როგორც კოდალა ქვიშხეთის გადაყრუებულ ტყეებში...

ხოლო, მისი შვილი გაცილებით უკეთესად გრძნობს თავს, ვიდრე აქ მოსვლამდე გრძნობდა. გულში დამალულმა საიდუმლომ გამოსარწყავი მუწუკივით გააწვალა, გაამწარა, მაგრამ ვერც ქმრისთვის შეეჩივლა თავისი გასაჭირი, ვერც დედამთილისთვის. რაჟდენის დანახვაზე კი, საერთოდ ლენჩდებოდა, ითიშებოდა, არ იცოდა, როგორ დაეჭირა იმასთან თავი. უფრო სწორად, იცოდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა: ბრინჯივით იბნეოდა, ბლუსავით ბლუყუნებდა და ათასნაირ სულელურ მიზეზს იგონებდა, რაც შეიძლება სწრაფად რომ გასცლოდა იქაურობას, შეკეტილიყო ოთახში, აბაზანაში, საპირფარეშოში... სულერთია სად, ოღონდ, აღარ ეგრძნო მამამთილის დაჟინებული, ძვალსა და რბილში გამჭოლი მზერა. ელისო იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ანდობდა თავის საიდუმლოს, მაგრამ მაინც ითრევდა ფეხს, ეთაკილებოდა, უმწეო და დაუცველი გამოჩენილიყო იმის თვალში, ანდა, კიდევ უარესი, შესცოდებოდა ანდა დაეტუქსა იმას, როგორც უფროსს უმცროსი, მშობელს შვილი,

ოთარ ჭილაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედინაცვალს გერი... ლიზიკოს მხოლოდ მეორე ქალის გულწრფელი, გულითადი თანადგომა ჭირდებოდა, ქალური სოლიდარობა, ოღონდ იმისგან, ვინც ბოროტად არ გამოიყენებდა მის გულახდილობას და საერთოდ თავის ზეგავლენის ქვეშ არ მოიქცევდა მოჩვენებითი სოლიდარობის სანაცვლოდ. ასეთი მხოლოდ ელისო შეიძლებოდა ყოფილიყო, თუკი, რასაკვირველია, ჩვეულებისამებრ, მაშინვე არ აჰყვებოდა პანიკას და უარესად არ დააფრთხობდა ამასაც. მაგრამ ახლა მთავარი ჭირი უკვე მოშორებული აქვს, სათქმელი ითქვა, შხამი ამოიღო და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ახლა მხოლოდ ის ადარდებს, მთლად არ დაეცეს, მთლად არ დამდაბლდეს ელისოს თვალში და, შეძლებისამებრ, „ალამაზებს" საქორწილო თავგადასავალს. მაგრამ რაც უფრო მეტად ცდილობს ქვიშხეთური ინცინდენტის შელამაზებას, მით უფრო შემზარავი სურათი იხატება: გაუგებრობის მსხვერპლი, ანდა, იურიდიულ ენაზე, „ძალადობის ობიექტი" კი არ გამოდის, არამედ თანამზრახველი, თანამონაწილე, პარტნიორი, ანუ, უფრო ადამიანურ ენაზე, კახპა, ძუკნა, როსკიპი, ბოზი, მეძავი... ამას, პირველ რიგში, ელისოს სახეზე კითხულობს და, პირველ რიგში, ელისოზე ბრაზდება, ელისოს მიუხვედრელობა აცოფებს და, იმის ჯიბრით, მართლა იაფფასიან მეძავივით იქცევა, აღარც უფროს-უმცროსობას დაგიდევთ, აღარც დედაშვილობას, და რაც უფრო უფართოვდება ელისოს თვალები, რაც უფრო ებრიცება სახე და ულურჯდება ტუჩები, მით უფრო ზეიმობს გუნებაში, თითქოს აქ, მხოლოდ და მხოლოდ, ელისოს გასამწარებლად იყოს მოსული...

— მშია. ლუკმა არ ჩამსვლია დღეს — ამბობს ბოლოს.

— რაც გვაქვს, მაგიდაზეა — კუშტად პასუხობს ელისო.

მაგიდაზე პურის კალათი და თიხის ყვითელი საკარაქე დევს.

— დანა?! — კითხულობს ლიზიკო და აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, სტუმარივით.

— აღარ გახსოვს, სად ვინახავთ დანებს?! — გაბრაზებას ცდილობს ელისო, მაგრამ უშედეგოდ.

საერთოდ გაოცებულია საკუთარი სიმშვიდითა და გულგრილობით; არასოდეს არ იფიქრებდა, ასე უდრტვინველად თუ შეეგუებოდა შვილის (გინდაც გერის!) უბედურებას... არა, კი არ ეგუება, არ უკვირს, თითქოს მოსალოდნელიც იყო მისთვის ამგვარი რამ და აი, როგორც იქნა, მოხდა, აღსრულდა, მადლობა ღმერთს. მადლობა? რატომაც არა?! განა უბედურების განუწყვეტელ მოლოდინს არ სჯობს, ერთბაშად მოხდეს, რაც მოსახდენია?! სჯობს. სჯობს. მაგრამ მაინც ცოდოა ელიზბარი, ასე თავგამოდებული რომ აკაკუნებს თავის საბეჭდ მანქანაზე და, ბოლო-ბოლო, მაინც უშედეგოდ, ტყუილუბრალოდ... კოდალა ათასში ერთხელ მაინც პოულობს მატლს... რა აზრი აქვს ადამიანურ სისუსტეთა აღწერას, თუკი არავითარი ზღკარი აღარ არსებობს დასაშვებსა და შესაძლებელს შორის... თუკი ადამიანი კი არ ეწირება საკუთარ ვნებებს, მისი ვნებები აღარ არიან ადამიანური... ამდენად, არც თანაგრძნობას იმსახურებენ... არც აღტაცებას იწვევენ, არც სიბრალულს...

— რა მოხდა-მეთქი, მერე?! — გამეტებით დაჰკრა უცებ მაგიდას მუშტი.

აი, თურმე რისთვისაა ხელი საჭირო. ელიზბარის რომ არ ერიდებოდეს, დაამსხვრევდა, მტვრად აქცევდა აქაურობას, მაგრამ ამის გამკეთებელი რომ იყოს, მაშინ აღარც ელიზბარის მოერიდებოდა.

— მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო — მშვიდად პასუხობს ლიზიკო, რაღგან ელისოზე ნაკლებად, არც ის გრძნობს ამ შეკითხვის უაზრობას. რაც „მერე" ხდება, ყველგან და ყოველთვის ერთნაირად ხდება.

დანა უკვე „უპოვნია" (კარადის უჯრაში), სკამზე მუხლებით დგას (ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალატობს ბავშვობიდან გამოყოლილ ჩვევას), იდაყვებით მაგიდას ეყრდნობა და ყასიდად დასერიოზულებული, წკიპად უსვამს კარაქს პურზე. თან, სავსებით სერიოზულად აფრთხილებს ელისოს, ვიდრე განაჩენს გამომიტანდე, ერთხელ კიდევ დაფიქრდი, გაიხსენე, სად ცხოვრობ, რომელ ეპოქაში და, განსაკუთრებით, რომელ ქვეყანაშიო.

– ჩვენ სხვა ხალხი ვართ, ელისო... უფრო სწორად, ხალხი არა ვართ – აგრძელებს ნირის შეუცვლელად – სხვათაშორის, თქვენი წყალობით... მშობლების, უფროსების... თუ ცხოვრება არ შეგეძლოთ, ან აღარ გინდოდათ, რაღას გვაჩენდით?! იმიტომაც გარბიან გიჟებივით, თავქუდმოგლეჯილნი... ჩემი კატოც მიდის თურმე... ერთადერთი დობილი მყავდა და ისიც მიდის... ავდგები და მეც წავალ... გადავიკარგები... მეძებეთ, რამდენიც გინდათ... – უცებ, თვითონვე რომ გაუკვირდა, ისე ძლიერ მოუნდა, ზრდილობისთვის მაინც გაწყრომოდა, ცალყბად მაინც ეთქვა ელისოს, რა გვჭირს გასაქცევი, მე თუ არა, მამაშენი მაინც დაზოგეო, და ამ მართლაც ბავშვური, გულუბრყვილო სურვილით გულაჩუყებული, კიდევ უფრო აგდებულად, კიდევ უფრო გამომწვევად აგრძელებს – სწორედაც იქცევიან... აბა, რა! არაფერი დაგვიტოვეთ გასაფრთხილებელი და შესანახი, არც ძაფშებმული პირველი კიჭი, არც მკლავმოგლეჯილი პირველი თოჯინა, არც ცრემლით დალაქული პირველი სატრფიალო ბარათი... არაფერი. არც ცოცხლის პატივისცემა, არც მკვდრის ხსოვნა... ეს კი, შენი ბრალიცაა, ჩემო ძვირფასო დედინაცვალო, მაგრამ მაინც დიდი მადლობელი ვარ შენი, რამდენი ხანია, ასე გემრიელად არ მიჭამია...

– ხელი არ უნდა დაგებანა ჭამის წინ?! – დატუქსა ელისომ.

– ხელს არც ქრისტეს მოწაფეები იბანდნენ, მე კი შენი მოწაფე ვარ... – გაკენწლა ლიზიკომ – ყველაფერში – დაამატა ცოტა ხნის შემდეგ.

– უსვინდისო – უთხრა ელისომ სალბუნად, უთარ ხელებს.

– ადამიანს ის კი არ ბილწავს, რაც პირიდან ჩასდის, არამედ – რაც პირიდან ამოსდის – ამბობს ლიზიკო თავისთვის, უმისამართოდ, და დანას საპურეზე აგდებს, წელში იმართება და ერთმანეთზე უსვამს გაშლილ ხელისგულებს – მოკლედ, ასეა ჩვენი ამბავი, ჩემო ძვირფასო... დიდი მადლობა საუზმისთვის... – აგრძელებს უდარდელად, თითქოს მხოლოდ კარაქიანი პურის საჭმელად მოვიდა აქ და რასაც ლაპარაკობს, თავაზიანობის გამო ლაპარაკობს, მასპინძლის პატივისცემით, იმასაც რომ არ ათქმევინოს, მხოლოდ კარაქიანი პურის საჭმელად მოსულაო – გამოფხიზლდი, გამოიღვიძე, ბოლოს და ბოლოს! – ბრაზდება მოულოდნელად – დროში ვიწვით, ომბრე, დრო აღარ დაგვრჩა – აგრძელებს ისევ ჩვეულებრივი ხმით – ერთგულებას დრო ჭირდება, ღალატი კი წამის საქმეა...

– კი მაგრამ... – ბორძიკობს ელისო, მაგრამ ლიზიკო მაინც არ აცლის სიტყვის დამთავრებას.

– ამას კი ნამდვილად ვერ აგიხსნი... შენით უნდა მიხვდე – იცინის ნაძალადევად – ამას ყველა ქალი თვითონ ხვდება. რაც მთავარია, შენზე არ არის დამოკიდებული, შენ ემორჩილები, ან არ ემორჩილები, მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთნაირად იღუპები. დაღუპვა გარდუვალია. ვაშა! შენ რა, ყველაფერი დაგავიწყდა? აღარ გახსოვს, რა დღეში იყავი? – კიდევ უფრო ნაძალადევად იცინის ლიზიკო – ოოოო-ო, ნამდვილად დიდი ძალაა. ბოროტი. მიუდგომელი. შენ კი, სათამაშო თოჯინა ხარ და მეტი არაფერი...

– კი მაგრამ, მამაც არ გაგახსენდა? მამაც არაფერს ნიშნავს შენთვის? – მაინც ამთავრებს სათქმელს ელისო.

თან გულისყური ელიზბარის ოთახისკენ აქვს, ოღონდ გარკვევით თვითონაც არ იცის, რა ურჩევნია, არ გაიგოს ელიზბარმა მათი ლაპარაკი, თუ პირიქით, გაიგოს და ბარემ მოხდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახდენი. მაგრამ ელიზბარის ოთახიდან ისევ საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმის მხოლოდ. ესე იგი, მუშაობს, ხოლო, რაკი მუშაობს, სხვა აღარაფერი არსებობს მისთვის, არც ცოლი, არც შვილი...

— მამაჩემი მწერალია, გამიგებს... — ვალდებულიცაა გამიგოს... სხვათაშორის, შენც ვალდებული ხარ, თუნდაც, როგორც ომბრე — კვიმატურად ილიმება სკამზე მუხლებით შემდგარი და გულხელდაკრეფილი ლიზიკო — მე თუ მკითხავ, არც ისეთი საშინელებაა, როგორსაც შენ და მამაჩემი მიხატავდით... უბრალოდ, ნამდვილი მამაკაცია, მებრძოლი, დაუდგრომელი, ჯიუტი... იცის, რა უნდა და ისიც იცის, როგორ მოიპოვოს, რაც უნდა... დღევანდელ ბიჭბუჭებს არ გავს... ან კარგად არ იცნობთ, ან ფეხის ხმას ხართ თქვენც აყოლილნი... მთავარია, არაფრის არ გეშინოდეს, ომბრე... გახსოვს?

„ომბრე" ელისომ შეარქვა ლიზიკოს ჯერ კიდევ მათი „დედაშვილობის" გარიჟრაჟზე, ჯერ კიდევ დამწყებმა დედამ, როცა შიშითა და მღელვარებით დგამდა არც მთლად ბუნებრივი გზით მოპოვებული დედობის პირველ ნაბიჯებს... სადილობის დროა, ომბრე! ომბრე, ონკანი დაგრჩა მოშვებული... შერქმეული სახელი არა მარტო თამაშის ელფერში ხვევდა მათ ურთიერთობას, არამედ საშუალებასაც აძლევდა ელისოს, უფრო უშუალოდ, „არაოფიციალურად" დაეჭირა თავი სახიფათო შვილთან, რომლისგანაც ყოველ წამს ყველაფერი იყო მოსალოდნელი. შეიძლებოდა, სახალხოდ განეცხადებინა უცებ, ვთქვათ, ავტობუსის, ტროლეიბუსის (ტრამვაი უკვე აღებულია), ანდა მეტროს ვაგონში — ეს ქალი თავის შვილად კი მასაღებს, მაგრამ ჩემი დედა არ არისო. შერქმეული სახელი ლიზიკოსაც მოეწონა და მალე ყველანი ომბრეს ეძახდნენ, ეზოშიც, სკოლაშიც და, თავისთავად ცხადია, ქვიშხეთშიც... ელისოს, რატომღაც, მთელი სიცხადით დაუდგა თვალწინ პატარა, მყუდრო, მწვანეში ჩაკარგული სოფელი, რაკი, გაახსენდა მათთვის გამოყოფილი, ერთი ბეწო, უსარკმლო და ლამის უჰაერო ოთახი, უფრო პატიმრის საკანი ან მონაზვნის სენაკი, სადაც ელიზბარისთვის საერთოდ აღარ რჩებოდა ადგილი, ისა და ლიზიკოც ძლივს ეტეოდნენ ერთადერთ საწოლზე და, ერთმანეთის ოფლით გახვითქულნი, გათენებამდე შფოთავდნენ, წრიალებდნენ ზაფხულის ღამეების ჩახუთულ წყვდიადში... და მაინც, უკეთესი მოსაგონარი არაფერი აქვს ელისოს. საერთოდ, რაც კი ქვიშხეთთანაა დაკავშირებული, მხოლოდ სიხარულსა და აღტაცებას იწვევს მასში და ახლაც კარგად ახსენდება: საგზურის შოვნაც (ბევრი იყო მსურველი), მატარებლის ბილეთების აღებაც (არც ეს გახლდათ ადვილი საქმე), ბარგის ჩალაგებაც, ჩალაგებამდე სარკის წინ ტრიალი და ათასჯერ მოზომება მოდიდან უკვე რახანია გამოსული საზაფხულო ტანსაცმლისა და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ... რაც მთავარია, ზაფხულს სამივესთვის შვება მოჰქონდა: ელიზბარი, ბოლოს და ბოლოს, მარტო რჩებოდა თავის საბეჭდ მანქანასთან; ელისო, ბოლოს და ბოლოს, წყდებოდა გაზის ქურას და, სხვა მწერლების ცოლებთან ერთად, ჯდებოდა ცაცხვების ხეივანში, ბრუვდებოდა სუფთა ჰაერით, ცაცხვის ყვავილის სუნით და უსმენდა, როგორ „ჭორავდნენ" სხვა მწერლების ცოლები საკუთარ ქმრებს, ანუ, როგორ უზრდიდნენ ავტორიტეტს ერთმანეთის თვალში... ლიზიკოს იქაური გოგო-ბიჭები ჟივილ-ხივილით დასდევდნენ კუდში და ყველაფერ ამას, ერთად აღებულს, რა თქმა უნდა, იქაური საკმაოდ უგემური და თიხასავით წებოვანი კატლეტის, უშაქრო კომპოტისა თუ უმარილო ბრინჯის ფაფის ჩათვლით (ერთხელ, ქალის თმაც ეგდო მათლაფაში), მაინც ბედნიერება ერქვა, ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერება, სავსებით საკმარისი, რათა პატივს სცემდე თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმავე გრძნობით იყო გამსჭვალული სხვების მიმართაც. მაგრამ რამდენად უკეთესი იქნებოდა, თურმე, ყველასთვის, საერთოდ არ გაეგოთ ქვიშხეთის სახსენებელი. ბევრად უკეთესი იქნებოდა, ოღონდ, აღარაფერი ეშველება უკვე, გვიანია თმის გლეჯვა და ლოყების ჩამოხოკვა. დიახაც, ვალდებულია გაუგოს ლიზიკოს, როგორც ლიზიკომ „გაუგო" ჯერ კიდევ ხუთი წლისამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისთვის ყველაზე მძიმე დროს, ნებაყოფლობითი ყმობისა თუ აშკარა, გახსნილი მლიქვნელობის პერიოდში, როცა, ვინ იცის, რაღას არ ჩაიდენდა, რაღას არ დათანხმდებოდა, ოღონდ, ხუთი წლის ობოლ გოგოს „გაეგო" და არ აეთვალწუნებინა, მიეღო, შეეფარებინა, თავისიანად, ახლობლად ეცნო... და ლიზიკოს სასახელოდ უნდა ითქვას, მიუხედავად უასაკობისა, მაინც შესძლო ქალური სულგრძელობისა და კეთილშობილების გამოჩენა და „გაუგო" იძულებით თავდამდაბლებულ ქალს, რომელსაც მის იქით გზა აღარ ჰქონდა. სამაგიეროდ, არც ის დარჩენია ვალში, იმანაც სულგრძელობითა და კეთილშობილებით დაიმსახურა, დედად თუ არა, უფროს დად, მაინც ჩაეთვალა იმ ობოლ გოგოს. გადაჰყვა იმის მწყემსვასა და დევნას თბილისის დისკოთეკებსა თუ ქვიშხეთის ტყეღრეებში... იმასთან გაატარა ქმართან გასატარებელი დრო, პატიმრის საკანსა თუ მონასტრის სენაკში, და დავუშვათ და, მართლა ყურძნის სიყვარულით კოცნიდა ღობეს, როგორც ლიზიკო ეუბნება ხოლმე გასაბრაზებლად, ხომ კოცნიდა! კოცნიდა და სულშიც იძვრენდა და, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს, რა ამოძრავებდა, რა ასაზრდოვებდა მის სულისკვეთებას, მხოლოდ ყურძნის, ანუ, ელიზბარის სიყვარული, თუ ქალური ანგარება... ვის რა დაუშავდა ამით?! როგორ თუ ვის? პირველ რიგში, ისევ ლიზიკოს... ლიზიკოს დაუშავდა, თუ დაუშავდა... ყმობა და ლიქნი ამპარტავნებასა და გარყვნილებას ზრდის მხოლოდ... მარტო ელიზბარს რამდენჯერ უთქვამს. თუმცა, უელიზბაროდაც მშვენივრად მოეხსენება, მაგრამ მაინც ვერ გაუგია, რატომ უნდა მომხდარიყო აუცილებლად ისე, როგორც მოხდა და როგორც არ უნდა მომხდარიყო არავითარ შემთხვევაში...

— სხვა გზა არ გქონდა? — ძალა იხმარა? — უნებურად ხმას აუწია ელისომ, უფრო საკუთარი უსიამო ფიქრების დასაფრთხობად.

— არსებობს, ელისო, სხვა გზა? შენ გეკითხები, არსებობს? — ზემოდან დახედა გულხელდაკრეფილმა ლიზიკომ.

— არ არსებობს? არ ვიცი... ალბათ... — გაურკვევლად უპასუხა ელისომ.

— შენ რა, ნიუანსებიც გაინტერესებს? — ეშმაკურად მოუჭუტა თვალი ლიზიკომ.

— დიახაც, მაინტერესებს — აღმოხდა ელისოს ბავშვური გულწრფელობითა და მგზნებარებით, და ისევ დაპკრა მუშტი მაგიდას, ოღონდ, ამჯერად, ფრთხილად, გაუბედავად, „სიმბოლურად", რაზეც თვითონვე გაეღიმა და, არ მინდა მამაშენმაც გაიგოს ჩვენი ლაპარაკიო, მაშინვე განმარტა თავისი მორიდებულობის მიზეზი.

— კი, ბატონო — დაეთანხმა ლიზიკო — ესე იგი, მე გაზქურასთან ვიდექი და ყავას ვიდუღებდი... ის კი, უკნიდან მომეპარა... ალბათ მომეპარა... ვერაფერი გავიგე, ვიდრე მხარზე ხელი არ ჩამომადო...

ელისო თითქოს ყურადღებით უსმენს, თითქოს აინტერესებს მისი ყოველი სიტყვა, მაგრამ, რატომღაც, ბევრი არაფერი გაეგება მოსმენილისა, უფრო სწორად, როგორც არ უნდა გაუძალიანდეს თავს, მაინც საკუთარ უბედურებას ახსენებს ლიზიკოს ლაპარაკი, არა მარტო სიტყვები, თავიანთი იდუმალი და მოულოდნელი მნიშვნელობებით, არამედ ხმაც, თავისი მარად ცვალებადი ყღერადობით.

შესაბამისად იცვლება ელისოს წარმოსახვებიც. ამჟამად, მაგალით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ად, მომაკვდავი ქმრის სახე უდგას თვალწინ. არაფერი ჭირდა მის ქმარს სასიკვდილო, ყოველ შემთხვევაში, არაფერი ეტყობოდა სიკვდილისა და, როგორც ყოველთვის, იმ დღესაც უსაზღვროდ, გნებავთ, შლეგურად, თავგანნირულად უყვარდა თავისი მეუღლე, კიდევ ერთხელ და ამჯერად უკანასკნელად დაუმტკიცა თავისი მარადიული სწრაფვა და სურვილი... მაგრამ სააბაზანოდან გამოსულ ელისოს, სულ სხვა ადამიანი დაუხვდა ცოლქმრული, ნებადართული სიახლოვით ჯერ კიდევ აფორიაქებულ სანოლში: ენაჩავარდნილი, შიშისგან წამხდარი, უმწეო, უსუსური და ფოსოებიდან ლამის გადმოცვენილი თვალებით რაღაცის მავედრებელი. სასწრაფო თითქმის მაშინვე მოვიდა, ელისომ ძლივს მოასწრო კაბის გადაცმა, მაგრამ შველით კი ვერაფერი უშველა ქმარს, საავადმყოფოში მისვლამდე გარდაიცვალა მანქანაში, ცოლის ხელს ჩაფრენილი, როგორც წყალწაღებული ხავსს, მაგრამ, საბედნიეროდ, უკვე გათიშული, უკვე შეგუებული ხვედრს... ელისოს მხოლოდ იმის ეშინოდა, საკაცე არ გადაბრუნებოდა, ანდა ქმარი არ გადავარდნოდა საკაციდან. მისი ქმარი მშვიდად კი იწვა, თვალდახუჭული, მაგრამ აქეთ-იქით აწყვეტდა თავს. ელისოც, უნებურად, ორივე ხელით აფრინდებოდა საკაცეს. საავადმყოფოდან გამოსულმა, ელიზბარს რომ დაურეკა, ეს წუთია, დავქვრივდიო, ჯერ კიდევ უბჟუოდა საკაცესთან ნაომარი ხელები. სამაგიეროდ, მისი დამფრთხალი და გაოგნებული არსების ყველაზე შორეულ, ყველაზე ბნელ კუთხეში თითქოს რაღაც ჩაესახა, რაღაც აუციმციმდა, უსახელო, ჯერ აღმოუჩენელ ვარსკვლავივით, და იმის ციმციმი რაღაცნაირად ამშვიდებდა, იმედით ავსებდა. შეიძლება, მაშინ ასე არ ფიქრობდა, მაგრამ მაშინაც აშკარად გრძნობდა, მისმა ქმარმა ამ მოულოდნელი და უხმაურო სიკვდილით, თვითონვე რომ გაუხსნა გზა ელიზბარისკენ... სიცოცხლისკენ, თავისუფლებისკენ... ქმარი, რასაკვირველია, ეცოდებოდა, უყვარდა კიდეც, მაგრამ უფრო მეგობრად და მესაიდუმლედ თვლიდა, ვიდრე მეუღლედ. მართალია, მხოლოდ ის ხვდებოდა მის გასაჭირს – ეცადე, როგორმე მოერიო თავსო – მაგრამ რაც ელისოს თავს ხდებოდა, უელისოდ ხდებოდა და ახლაც ზუსტად ასეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სხვა, უფლებამოსილი და უჩინარი, წარმართავდა მის ცხოვრებას, ანუ, საკუთარი ცხოვრებით კი არ ცხოვრობდა, სხვის ცხოვრებას თამაშობდა, მაგრამ გმირი კი არ იყო, რაზეც ოცნებობდა ბავშვობიდან, არამედ გმირის შემცვლელი მეორეხარისხოვანი მსახიობი, უფრო ზუსტად, უნიჭო: მე ვარ, ელისო, თქვენი თაყვანისმცემელი, საავადმყოფოდან გირეკავთ, ეს წუთია, გარდაიცვალა ჩემი ქმარი... როგორ უნდა მორეოდა თავს, როცა ყოველი მისი სიტყვა და ყველა მისი ნაბიჯი წინასწარ იყო გათვლილი ვიღაცის მიერ. ცურვისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, ნაპირთან ჭყუმპალაობდა, ის ვიღაცა კი, ჯიუტად უბიძგებდა, აიძულებდა, რაც შეიძლება ღრმად შეეცურა ზღვაში. ისიც ემორჩილებოდა, მაგრამ რაკი ცურვა არ იცოდა, ზურგზე გაწოლილი, ჯვარცმულივით ხელებგაშლილი და შეშლილივით უმიზეზოდ მომღიმარი, ტივტივებდა ცხოვრების ბინძურ წყალზე... იმდენად იყო დაბრმავებული, შეიძლება, თავისივე გამოგონილი სიყვარულით, სანახევროდ ცაში გამოკიდული კაცის ცოლობა ეგონა სიცოცხლე და თავისუფლება. სინამდვილეში, ერთადერთ (ალბათ ერთადერთ!) თაყვანისმცემელს იშორებდა, რათა თავად ეცა სხვისთვის თაყვანი. სხვისთვის კი არა, სხვებისთვის, მამაშვილისთვის, რომელთაგან ერთი (მამა), არათუ ელისოში, ნებისმიერ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანში ეძებდა თაყვანისმცემელს, მეორე კი (შვილი), არაფრად დაგიდევდათ იმ თქვენს თაყვანისცემას და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაცვლილი დედის სანაცვლოდ, ყველაფრის უფლებას მოითხოვდა მამისგანაც და დედინაცვლისგანაც... და აკი მოიპოვა კიდეც! ვინ დგება სკამზე მუხლებით! თავიდანვე აღიზიანებდა ლიზიკოს ეს ჩვეულება, მაგრამ ვერ ეუბნებოდა, არ ეწყინოსო. შემდგარა სკამზე მუხლებით, ამხელა ქალი, და ყვება თავის სასიყვარულო თავგადასავლებს. არც კი რცხვენია! თუმცა, მაინცდამაინც, არც ელისოს აწუხებს ეს ამბავი. ქმართანაა. მკვდარ ქმართან. უფრო სწორად, ქმართან მიდის. თეთრი კაფელით მოპირკეთებულ მიწისქვეშა გვირაბს მიუყვება საცხედრისკენ. მარტო მისი ფეხის ხმა ისმის გვირაბის საკმაოდ გრძელ სიცარიელეში. ერთი მიზნითაა შეპყრობილი: რაც შეიძლება სწრაფად დაიბრუნოს ქმრის გვამი, შინ წაიღოს, რაც მისი მეშვეობითა და მეცადინეობით, მისი მიუხვედრელობის შედეგად აღმოჩნდა აქ. სხვა არაფერი შერჩა ამ ქვეყანაზე ხელის მოსაჭიდი, აღარაფერი აქვს ნამდვილად საკუთარი, გარდა ქმრის გვამისა. ერთი იყო და ახლაც ერთია. მისთვის არავის არ სცალია. ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს: ზოგი თავისთვის აკაკუნებს, ზოგს ეშმაკები უკაკუნებენ თავში. ის კი, ყველასთვის ზედმეტი ბარგია, ანდა, ყველას ეცოდება, ერთადერთი, ნამდვილად მისიანი რომ მოუკვდა, და ამიტომ იტანენ მხოლოდ, მკვდრის ხათრით. საკმაოდ დიდი შუალედებით დაცილებული ნათურები მკრთალად ანათებენ გვირაბს, რის გამოც კიდევ უფრო შიშისმომგვრელად გამოიყურებიან კაფელჩამოცვენილი, დამახინჯებული კედლები. გვირაბი არაფრით არ თავდება. იქნებ შეეშალა? იქნებ იქ არ მიდის, საითაც გვირაბს მიყავს? ვიღაცა მაინც ხომ უნდა იდგეს, გზა რომ ჰკითხო? თუმცა, მიწის ქვეშ ყველა გზა ალბათ ცხედართან მიგიყვანს. მაგრამ როგორ მიხვდები, რომ შენია?! მიწის ქვეშ ცხედრის მეტი რა არის, გაცილებით მეტნი არიან მიწის ზემოთ დარჩენილებზე. მიწა მათი ხორცითა და სისხლითაა გაჯერებული, მათი დაფლეთილი გულებით და დაჩუტული ფილტვებით, მათი დაშლილი ღვიძლებითა და გაქვავებული თირკმელებით... და ქაჯიც ვეღარ გამოარჩევს, რომელ გულში ესვენა შენი ხატი, რომელი ფილტვები იბერებოდა შენი ამოსუნთქული ჰაერით... ეს გვირაბიც ჩვეულებრივ, ნორმალურ საავადმყოფოსთვის აუცილებელ საცხედრეში კი არა, ჯოჯოხეთში ჩადის და ელისოც იქ აღმოჩნდება მალე... თავის ფეხით ჩავა... იქ არის მისი ადგილი... ამ სულელურმა ფიქრმა ისე შეაშინა, ცოტას მორჩა, გამობრუნდა, ცოტას მორჩა, უარი თქვა მკვდარ ქმარზე, წამიერი სისუსტის ჟამს, მაგრამ მაინც სძლია შიშს და ფეხს აუჩქარა, გაიქცა... და ახლაც გარბის. ერთი ხელი გულზე მიუდია, ამოვარდნაზე აქვს გული, მეორე მაგიდაზე უდევს და სულელურად რომ არ იფიქროს ისევ, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ წვრილმანებზე გადააქვს ყურადღება: „ამ დღეებში მართლა უნდა მივიდე დოდოსთან და დავაქნევინო ფრჩხილებიო... არ შეიძლება ასე სიარულიო... მეც ქალი ვარ, ბოლოს და ბოლოსო“...

— თუმცა, მეც ამის მოლოდინში ვიყავი სულ — აგრძელებს ლიზიკო — ვიცოდი, ასე მოხდებოდა... როგორც კი ხელი ჩამომადო მხარზე, მაშინვე გაზი გამოვრთე... მღელვარებისგან ჟეზვე გადამიბრუნდა და ყავა ქურაზე დამეღვარა. კარგად ვყვები, თუ კიდევ უფრო დავწვრილმანდე? — ამბობს ღვარძლიანად. ეტყობა, თვითონვე ღიზიანდება საკუთარი ნალაპარაკევით.

— კარგად ჰყვები — სხარტად პასუხობს ელისო, როგორც გაკვეთილზე ერთი წამით ჩათვლემილი მოწაფე მასწავლებლის მოულოდნელ შეკითხვას, სხარტად, ფაცაფუცით, გადამეტებულად მოწადინებული, დაეჭვების საშუალებაც რომ მოუსპოს მასწავლებელს, თუკი იმან მაინც მოასწრო და შეამჩნია მისი წამიერი „განდგომა“.

ოთარ ჭილაძე
ერეკენული
ბიბლიოთეკა

რაც უნდა ფეხებზე გეკიდოს, რა სასიამოვნოა, „ძილისგუდად" და „ბედოვლათად" შეგრაცხონ ერთხელ კიდევ მთელი კლასის წინაშე?! „მეტი რაღა უნდა დანვრილმანდესო" – აგრძელებს გუნებაში, თავადაც გაღიზიანებული.

– სად გავჩერდით? – ეკითხება ლიზიკო მოგონილი უდარდელობით.

– ეზეზე გადაგიბრუნდა და ყავა დაგეღვარა ქურაზე – ახსენებს ელისო.

საბედნიეროდ, საავადმყოფოს გვირაბიდან უკვე გამოსულა და ახლა მთლიანად აქ არის, საკუთარ სამზარეულოში, გერთან ერთად, თუმცა, ჯერ კიდევ სცემს საავადმყოფოს სპეციფიკური სუნი. ელიზბარის ოთახიდან საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმის, დამამშვიდებელი, როგორც კოდალას კაკუნი ქვიშხეთის გადაყრუებულ ტყეებში...

– ამას რა მოწმენდს-მეთქი, გადამიბრუნდა გული – იცინის ლიზიკო.

– რა გაცინებს? – გულწრფელად უკვირს ელისოს.

– შენც ხომ იცინი ხოლმე უმიზეზოდ?! – კითხვას უბრუნებს ლიზიკო – მამასაც რამდენჯერ უთქვამს შენთვის, ნუ იცინი უმიზეზოდო...

– მამას თავი გაანებე! – ახლა ორივე მუშტს ერთდროულად დაჰკრავს ელისო მაგიდაზე, გამეტებით, მთელი ძალით... „როდის იყო, უმიზეზოდ ვიცინოდიო" – ფიქრობს გაცეცხლებული – ცოცხლად დამარხე... ცოცხლად დაგვმარხე ყველანი... – ხმაში ცრემლი გაერევა უცებ.

– ელისო?! ელისუკა... – შეეცოდება ლიზიკოს, მიესიყვარულება, მაგრამ ერთი წამით, მაშინვე ჩვეულებრივად გააგრძელებს, მოგონილი უდარდელობითა და უტიფრობით – მერე შემოვტრიალდი და ვაკოცე... არა, იმან მაკოცა – აზუსტებს ნიუანსებს, რა თქმა უნდა, ელისოსთვის – თუმცა, არ ვიცი, ნამდვილად არ მახსოვს... რა მნიშვნელობა აქვს?! ალბათ ერთდროულად ვაკოცეთ ერთმანეთს – ასკვნის ბოლოს.

ლიზიკოს, რასაკვირველია, უყვარს ელისო, რაც არ უნდა იყოს, მაინც იმის გაზრდილია. რაც მთავარია, კარგი მეგობრობა იცის, უანგარო, გულითადი; დროთა განმავლობაში, ისე დაუახლოვდნენ და შეეჩვივნენ ერთმანეთს, ყოველ დღე თუ ვერ ნახავენ, ტელეფონზე მაინც უნდა მოიკითხონ ერთმანეთი. მაგრამ რაკი თავიდანვე არასწორად გაუთანაბრდა, არაფერში არ დაუდო ტოლი, ანუ, რაკი თავიდანვე სწორად აუღო ალღო, ყოველთვის მას აბრალებს, თუკი რამე უსიამოვნება შეემთხვევა და ყოველთვის მასზე იყრის ხოლმე ჯავრს, სხვებზე განრისხებული...

– არაფრის თქმა არ შეიძლება შენთან – ვითომ ებუტება დედინაცვალს – ყველაფერს კუდი უნდა გამოაბა, გაბერო... იმ კაცმა მაკოცა, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ ვუცემივარ?!

– ლიზიკო! – უყვირის ელისო, ვითომ, გონს მოდი, დაუკვირდი, რას ლაპარაკობ.

– არ გინდა ახლა ეს ბაზარი... ტყუილად ნუ მოვიგიჟიანებთ თავს... მიტინგზე ხომ არა ვართ... – არ უთმობს ლიზიკო.

– რას ჰქვია, მოვიგიჟიანებ! როგორ მიბედავ! თავხედო! – მართლა ბრაზდება ელისო, სულ ცოტა, ათი-თხუთმეტი წლის დაგვიანებით. „მდოგვი სადილის შემდეგო" – ამაზეა ნათქვამი. მაგრამ საქმე ისაა, მართლა რომ ცდილობს ელისო თავის მოგიჟიანებას, რადგან შემაწუხებლად, შემაძრწუნებლად გრძნობს, როგორი ცივი, როგორი შორეულია ლიზიკოსთვის, რომელსაც, ვინ იცის, სწორედ მისი „გაგიჟება" ჭირდება ამ წუთას წამლად. ოღონდ, ტყუილი და გათამაშებული კი არა, ნამდვილი, გულწრფელი... დარწმუნება უნდა, მართლა რომ ჰყავს გულშემატკივარი, მისიანი, რომელიც გვერდში დაუდგება (როგორც მკვდარი ქმარი იქცეოდა) და არ მიატოვებს არც ჭირში, არც ლხინში... „რა დამემართა, რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომაცარიელა, რამ გამიცია გული ასეო" – უკვირს თვითონვე. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს სხვის ამბავს უყვება ლიზიკო, ვიღაცის, უცნობის, და მხოლოდ იმას განიცდის, ელიზბარი არ შემოვიდეს, ელიზბარმა არ შემოუსწროთ, რადგან ელიზბართან არ შეიძლება ამის მოყოლა, უფრო სწორად, ელიზბარს თვითონ უნდა მოუყვეს ეს ამბავი, თანაც, დღესვე კი არა, მერე, როდისმე... უკვე გვარიანად გადაკეთებულ-გადმოკეთებული, შეკვეცილ-შეკრეჭილი, შერბილებულ-შელამაზებული... მწერლებს უყვართ უჩვეულო, უცნაური ამბები. შეიძლება, გამოიყენოს კიდეც თავის წიგნში. ყოველ შემთხვევაში, არაფრით არ შეიძლება, ლიზიკოსგან მოისმინოს იმანაც, რადგან ელისოსავით, ისიც უგრძნობელობის, გულგრილობის ზღვაში კი არ ჩაყურყუმალავდება იხვივით, არამედ, ადგილზე გათავდება, სისხლი ჩაექცევა, ანდა გული გაუსკდება იმასაც, ელისოს მკვდარი ქმარივით...

– არ მოგერიდათ, არ შეგეშინდათ... თქვენ ხომ მარტონი არ იყავით?! – კითხულობს, ყალბად გაკვირვებული, ყალბად დამფრთხალი ეს წუთია წარმოდგენილი სცენით, კიდევ უკეთ რომ შეუნიღბოს ლიზიკოს თავისი სიცივე და სიცარიელე. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მართლაც რა მნიშვნელობა აქვს, რა შეიცვლება, არავისი რომ არ ერიდებოდათ იმათ და იმიტომ ჩაიდინეს, რაც ჩაიდინეს, თუ, მაინც რომ ჩაიდინეს, მიუხედავად ვიღაცეების შიშისა და მორიდებისა?! არაფერი.

– არაფერი – ამბობს ხმამაღლა.

– არაფერი – მექანიკურად იმეორებს ლიზიკოც – არაფერი არ უნდა მეთქვა შენთვის – ფიქრიანად ამატებს ცოტა ხნის შემდეგ.

– ლიზიკო?! – გული უჩუყდება ელისოს იმის საცოდაობით.

– გამანებე თავი! აღარ ახსენო ჩემი სახელი! – უყვირის ლიზიკო. ცეცხლს აფრქვევს თვალებიდან.

– ლიზიკო! – ხმას უწევს, ლიზიკოს მოულოდნელი და სწრაფი ცვალებადობით, ცოტა არ იყოს, დაბნეული ელისოც – მამა გაიგებს... მამა შინ არის!

– გამანებეთ ყველამ თავი! გამანებეთ ყველამ თავი! – ყვირის ლიზიკო და ცალი თვალით, რატომღაც, დანას ეძებს მაგიდაზე, იმ დანას, რომლითაც კარაქი წაისვა წელან პურზე, თუმცა, თვითონაც არ იცის, რად უნდა დანა, რისთვის ჭირდება. ელისოს მოსაკლავად?! ელისო უნდა მოკლას?! კი მაგრამ, რატომ? რა დაუშავა? თუ ვინმე არ იმსახურებს მისი ხელით სიკვდილს, სწორედ ელისო არ იმსახურებს. ეს ელისოსთვის დიდი პატივი იქნებოდა... თავი უნდა მოიკლას?! დიახ, თავი უნდა მოიკლას, რასაკვირველია, თავი უნდა მოიკლას. ეს არის ერთადერთი გამოსავალი. სხვა გზა არ არსებობს. მაგრამ აქ, „სცენაზე", კი არ უნდა მოიკლას თავი, ასე არტისტულად და ისტერიულად, არამედ ჩუმად, კაცობრიობის ზურგს უკან, „შინ", კაშელების ბუნაგში, სადაც საკუთარი ნებით შეეხეტა, საკუთარი კეთილშობილების გამოსავლენად, სინამდვილეში კი, საკუთარი უმწეობის, უვიცობის, სიბეცის წყალობით. იქ არის მისი ადგილი, ცოცხლისთვისაც და მკვდრისთვისაც. სხვა გზა არ არსებობს. გზა არ არსებობს საერთოდ. გზისგან პატარა ნაგლეჯიღა დარჩა, არსაიდან არსაითკენ მიმავალი... ბალახმოდებული... ვინ იცის, როდინდელ ნაბორბლარში, ვინ იცის, როდინდელი წვიმის წყალი ჩამპალა. დამპალ წყალს ნემსიყლაპია დასტრიალებს, არანორმალურად გაზრდილი და არაბუნებრივად მბზინავი, ალბათ არაჯანსაღი წყლისა და ჰაერის გამო... აი, ასეთი „პეიზაჟ." ედგა ყოველთვის თვალწინ, როცა მომავალზე ფიქრობდა – თავი უნდა მოვიკლა! აღარ შემიძლია მეტი... თავს მოვიკლავ... თქვენი ბრალია ყველაფერი! – ყვირის უკვე მთელი არსებით აყოლილი ამ უაზრო და უსაფუძვლო მრისხანებას – ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ. ასე გადაეცი მამასაც... გას-

ოთარ ჭილაძე ეროვნული ბიბლიოთეკა

აგებია?! – უყვირის ელისოს – აღარც მიკითხოთ... თორემ... თორემ... – ენა ებმის მრისხანებისგან, ანდა, არ იცის, რა თქვას, არ იცის, რას მოიმოქმედებს, თუკი გაბედავენ და მაინც მოიკითხავენ მისიანები. კი არ გადის, თავპირისმტვრევით გარბის სამზარეულოდან, ელისო სკამიდან წამოდგომასაც ვერ ასწრებს და, უნებურად, მაინც კრთება გაჯახუნებული კარის ხმაზე...

4.

ელიზბარს ესმოდა ქალების ლაპარაკი, რასაკვირველია, აინტერესებდა კიდეც, რაზე ლაპარაკობდნენ ისინი, მაგრამ შეგნებულად არ გამოდიოდა სამუშაო ოთახიდან, ლიზიკოს ებუტებოდა, ასე უცებ რომ „გაკაშელდა" და აქამდე არ ძოიკითხა მთელი თვის უნახავი მამა, დაუკითხავად არ შეუვარდა „ნიჟარაში", როგორც ადრე იქცეოდა ხოლმე, თუკი რამე ჭირდებოდა მამისგან, ვთქვათ, ტაქსის ფული, ანდა ავტოგრაფიანი წიგნი ვიღაცისთვის. მაგრამ ახლა ისე იყო საუბრით გართული, შეიძლება, აღარც ახსოვდა, მამაც რომ ჰყავდა, მამამისიც რომ ცხოვრობდა ამ სახლში. ახალ ოჯახში მიღებული შთაბეჭდილებებით იყო სავსე და ელისოსაც იმ შთაბეჭდილებებს უზიარებდა ალბათ. თუმცა, სამზარეულოდან გამოსული ხმების მიხედვით თუ იმსჯელებდა, მისი ქალები უფრო კამათობდნენ, ვიდრე საუბრობდნენ და უფრო ჩხუბობდნენ, ვიდრე კამათობდნენ. ელიზბარსაც ეს აბნევდა სწორედ, რა უნდა ჰქონოდა საკამათო და საჩხუბარი ერთი თვის უნახავ დედა-შვილს, გინდაც, გერსა და დედინაცვალს, რომელსაც შვილზე მეტადაც უყვარს თავისი გერი და ამის არდანახვა, ამაში ეჭვის შეტანა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თავხედობა იქნება, როგორც ელიზბარის, ისევე ლიზიკოს მხრიდან. რა ამოძრავებს ჩვენს ქალბატონ ელისოს, ეს სხვა საკითხია. ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდნენო და, ისიც ალბათ ყურძნის, ელიზბარის, სიყვარულით კოცნის ღობეს, როგორც ლიზიკომ უთხრა ერთხელ, სრულიად უსამართლოდ, მაგრამ ხომ კოცნის?! კოცნის კი არა, ყველაფერი ანაცვალა, ელიზბარის ჩათვლით. კუდი კუდსა აქვთ გადაბმული და ერთად უთხრიან ელიზბარს ორმოს. ამით იმის თქმა სურს ელიზბარს, უმალ ელიზბარს რომ გაწირავს ორივე მათგანი, ვიდრე ელიზბარს მიემხრობა მეორის საწინააღმდეგოდ. მაგრამ კარის გაჯახუნების ხმა რომ გაიგო, კიდევ უფრო დაიბნა, ეს უკვე მართლაც მეტისმეტი იყო, ლიზიკოსგანაც და ელისოსგანაც. ლიზიკოს მეტი მორიდება და პატივისცემა მართებს ელისოსი (თუნდაც, როგორც მასზე უფროსი ადამიანისა), კარი არ უნდა მიუჯახუნოს ცხვირწინ, მაგრამ ელისოსაც, თუნდაც როგორც უფროსს, მეტი სიფრთხილე მოეთხოვება, იქამდე არ უნდა მიიყვანოს საქმე, მშობლიური სახლის კარი გააჯახუნებინოს ლიზიკოს. ისე, ჩინურსა თუ იაპონურ დამწერლობაში, ორი ქალის იეროგლიფი ჩხუბის ნიშანია. ორი ქალი, თანაც ერთ სამზარეულოში მოხვედრილი, იშვიათად რომ გამოვიდეს იქიდან მშვიდობიანად. ასეთია ცხოვრება. ცხოვრება კი, ამბანური ჭეშმარიტებების ჯამია და სხვა არაფერი. ბაყაყი ყიყინებს. ძაღლი ყეფს. ყვავი ჩხავის. ძროხა გვაძლევს რძეს. მგელი მტაცებელი ცხოველია. გურამიშვილი დიდი პოეტია. ქრისტე აღსდგა. ზამთარში ცივა. ზაფხულში ცხელა (წელს განსაკუთრებით). ჩემი შვილი კაშელების რძალია. ფუტკარი სასარგებლო მწერია. წურბელაც. რასაც ვერ ვიტყვით ციცინათელაზე. სამაგიეროდ, ციცინათელას საკუთარი განათება აქვს, საქართველო კი ბნელში ზის, აგერ უკვე ექვსასი წელია. რატომ? ციცინათელაზე უვარგისია? არ შეუძლია საკუთარი ელექტროენერგიის გამომუშავება? როგორ გეკადრებათ. გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე სხვებს ჰგონიათ და ვიდრე თავად სჭირდება. ამიტომაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის ბნელში. დიახ, მხოლოდ ამიტომ. შეცდომის ჩადენა შეიძლება, გამოსწორება – არა. ეკონომიკის ენაზე რომ ვთქვათ, ყველას ურჩევნია მუქთად გაჭამოს თავისი დამპალი საქონელი, ვიდრე შენმა ჯანსაღმა საქონელმა ძლივს ხელში ჩაგდებული ბაზარი დაკარგვინოს. ამიტომ იწყება მსოფლიო ომები. კაცი კაცისთვის მგელია. საქართველომ რომ ერთი ცხოვრება მოათავა, ანუ, თავის ადგილზე რომ აღარ დაუხვდა ლუდოვიკო ბოლონიელს, იმის მერე მსოფლიო ათასჯერ გადანაწილდა და მხოლოდ იმის გამო, ერთხელ კიდევ რომ მიეცა იმპერიის უკანა ნაწლავიდან ცხოვრებაში დაბრუნების შანსი, არავინ ჩაიჩოჩებს, არავინ დაუთმობს ადგილს. უმალ ბენზინს მიასხამენ და დაწვავენ, ჭირიანის ლოგინივით, ვიდრე განბანასა და განწმენდას დააცდიან. ის მაშინ დაიღუპა, როცა დიდად წოდებულმა ალექსანდრე პირველმა ქვეყანა ძმებსა და შვილებს მიუგდო, თვითონ კი ბერად დაეყუდა... განუდგა ქვეყანას, როცა უნდა შეეხიდებოდა... კი მაგრამ, რატომ?! რა უფლების ძალით?! მურვან ყრუების, თემურ ლენგების, ჯალალედინების გამმკლავებელი ხალხი ბოლოს ისე დაჩაჩანაკდა, შინაც აღარ აჩერებენ, ხან ერთი სტუმარი ამოჰკრავს ჭიტლაყს, ხან მეორე... რა თქმა უნდა, ელიზბარიც დამნაშავეა. ელიზბარსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ საქმეში, იმანაც დაუშვა თავისი წილი შეცდომა, რომლის გამოსწორებაც, სამწუხაროდ, არ შეიძლება, სულში უზის ობობასავით, დღითი-დღე იზრდება, ნელ-ნელა ახრჩობს შიგნიდან თავისი გრძელი, ხაოიანი ფეხებითა თუ საცეცებით... ელიზბარი კი, ყვირის, ხრიალებს... ბატებო, ბატებო, შინ! მოგვატყუეს. ერთხელ კიდევ გავბრიყვდით. ღალატია. დაბრუნდით სასწრაფოდ. ნუ გაიჯახუნებთ მშობლიური სახლის კარს. ჯერ კიდევ შეიძლება გადავრჩეთ. ჯერ კიდევ შეიძლება ჩვენთვისაც გამობრწყინდეს თვითმნათობი ნათელი, შეუხებელი ქრისტე, მზე სიმართლისა, და დავბეჭდეთ სიმაღლე მტერისა მაცდურისა და აღვადგინოთ ბუნება კაცებრივი... შინ! შინ! სასწრაფოდ! მაგრამ უბედურება ისაა, გადარჩენა რომ აღარ გვინდა, მოგვბეზრდა სულ ერთი და იგივე... მტერს სიხარულითაც კი ვენდობით, მოყვარეს კი სათოფეზეც არ ვიკარებთ... ჩვენიანის გამარჯვება გვაღონებს და მტრის გასამარჯვებლად წელი გვაქვს მოწყვეტილი. არა და, ჯერ კიდევ მართლა შეიძლება გადარჩენა – ვინმე თუ გამოგვიჩნდა შემძახებელი... ოღონდ, ჩვენზე უფრო გულდამწვარი ქვეყნის ბედით და გულშემატკივარი ჩვენი სილენჩისაც და სილაჩრისაც... კი არ დაგვცინებს, ეს რა ხალხი ყოფილხართო, გაგვამხნევებს, ბარაქალა თქვენს გამძლეობასო, ამდენის გადამტანთ, კიდევ რომ გახსოვთ ანი და ბანიო. ეს არის ანი, ეს არის ბანი... მაგრამ რად გინდა, მაინც ვერ ვისწავლეთ ჭკუა. დრო გადის, წელიწადის დროები ერთმანეთს ენაცვლებიან, ჩვენთვის კი არაფერი არ იცვლება. ქვით-ქვით, ქვით-ქვით – ქვითქვითებს მწყერი ჩამწვარ ყანაში – მონადირეს ელოდება, მონადირეს უხმობს, აგებინებს თავის ადგილ-სამყოფელს და ერთი სული აქვს, ერთხელ კიდევ, როდის დაუფლეთს საფანტი ძლივს შებუმბლულ ფრთებს... მაგრამ ერთი მწყერისაც და მონადირისაც... ერთნაირად ჩამწვარა და ჩანაცრებულა ყველაფერი. ბოლოს და ბოლოს, მარტო ელიზბარის ხომ არ არის ეს ქვეყანა... ოი, ოი, ოი, რა ცუდი ბიჭუნა ხარ, რომ იცოდე, ჩემო ელიზბარ. კაცმა რომ გკითხოს, მწერალი ვარო... არ გეკადრება. მწერალი თუ ხარ, ერთნაირად უნდა გეცოდებოდეს მწყერიც და მონადირეც. ორივე შენთან უნდა ჩიოდეს... მწყერი გემრიელია, მონადირეს კი მწყერი უყვარს. მწყერი შენც გიყვარს, მაგრამ ნადირობა გეზარება და ამიტომ ბრაზობ სხვებზეც. იქნებ გაცდუნა ცხოვრებამ? იქნებ გიმტყუნა ნერვებმა? იქნებ მართალია

ელისო? იქნებ მართლა სჯობს, ემიგრაციაში წახვიდე, ცოტა ხნით მაინც გაერიდო აქაურობას? კი მაგრამ, ასეთი ადვილია ვითომ ემიგრაციაში წასვლა? ემიგრაციაში დღეს ის მიბრძანდება, ვისაც გუშინ მივლინებით აგზავნიდა სახელმწიფო საზღვარგარეთ. შენ რა გამოდიხარ? რა გამოდიხარ და, მთხლე... კაშელების მძახლობა არ გრცხვენია და ემიგრაციაში რა ნახე სამარცხვინო?! ისე, რაკი სიტყვამაც მოიტანა, იქნებ გაგვეგო, რა მოხდა, რატომ დაერივნენ ერთმანეთს ლიზიკო და ელისო. მაგრამ ამის გაგების რომ გეშინია, იმიტომაც ედები ღობე-ყორეს... გული ცუდს გიგრძნობს. ლიზიკო რომ სრულ ჭკუაზე ყოფილიყო, შენს უნახავად როგორ წავიდოდა, ანდა კარს რატომ გაიჯახუნებდა, თუ არა „ულისწყრომის, საყვედურის, სულაც მუქარის ნიშნად?!

მაგრამ იქნებ ეს ელიზბარის გასარკვევი საქმე არ არის? ქალები უკეთესად მორიგდებიან ერთმანეთთან. საჭირო რომ ყოფილიყო, ხომ გააგებინებდნენ ამასაც?!

სიმართლე თუ გინდათ, ელიზბარი არავის აღარ ჭირდება, არავინ არაფრად აღარ აგდებს, არც შინ, არც გარეთ. ჰოდა, ისიც ადგება და წავა ემიგრაციაში. იმედია, ამაზე მაინც არ ეტყვის ხელისუფლება უარს. რაც უფრო შორს ხარ, მით უკეთესი... თუმცა, მარტო მკვდარი ძაღლი არ იკბინება... მაგრამ ელიზბარისთვის რა შეიცვლება? არაფერი. აქ ვის რას უკეთებს? არაფერს. სალაპარაკოდაც ვერ უნახავს შვილი... იქიდან წერილებს მაინც გამოუგზავნის. წერილები ძვირფას ქალიშვილს, რომელსაც საერთოდ არ უყვარდა მამა. სამაგიეროდ, მამის სიკვდილის შემდეგ, მის წერილებს გამოსცემს და შეიძლება ერთიორი კაპიკიც აიღოს. ესეც ხეირია. ამიტომ, ელისოსაც გამოუგზავნის წერილებს, მეორე ცოლს, რომელმაც პირველ ქმარს ამჯობინა, მაგრამ ბოლოს მაინც გერის მხარეზე გადავიდა. რას ვიზამთ, ესეც ერეკლეს ... ბანური ჭეშმარიტება... ... წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა. ჩემი მხურვალე სალამი პრუსიის მინიდან, სადაც, როგორც იქნა, მშვიდად განვისვენებ ფრიდრიხ დიდის მეთერთმეტე ძაღლიკით. ხუმრობა იქით იყოს და, ელიზბარი აშკარად ხელს უშლის ყველას, შვილსაც და ცოლსაც. თავისი არსებობით ბორკავს იმათ ვნებათა ღელვას... შეიძლება, ის არ აპატიეს, მაინცდამაინც, დიდი აზრისა რომ არ არის კაშელებზე?! მაგრამ ანი რაღა დროსია... ქალის ბაღდადი იქ არის, სადაც უნდა იყოს... რას, რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ... სამაგიეროდ, მტრები გაიხარებენ. ნამდვილი მტრები. მოწინააღმდეგეები, ოპონენტები, მეტოქეები, მიმბაძველები, მოშურნეები... ატყდება ერთი ამბავი, ჩამოიღებენ ტელეფონს... დიახ, არ გახლავთ, ემიგრაციაში ბრძანდება. დიახ, თავის ძუკნასთან ერთად... ვერაფერს ვერ გეტყვით. შეიძლება, დროებით, შეიძლება, სამუდამოდ... ყველა დიდი მწერალი ყოფილა ემიგრაციაში, მაგრამ ყველას როდი ღირსებია უკან დაბრუნება. კი ბატონო, დანტე დაბრუნდა, მაგრამ რუსთაველი?! არჩილ მეფე?! ვახტანგ მეექვსე?! თეიმურაზ მეორე?! სულხან-საბა?! გურამიშვილი?! ბესიკი?! ბაგრატიონთა მთელი სამეფო დინასტია?! ფერეიდნელები?! მოსკოვური კოლონია?! კოლონიები?! ოციან და ორმოციან წლებში გაქცეულები?! ბოლშევიკების გაშვებულები?! რამდენიმე მკვდარი თუ დააბრუნეს, ისიც მათთან შეუთანხმებლად, ეგ იყო და ეგ. ხომ მეთანხმებით? არა, კი არ მიხარია, სიმართლეს მოგახსენებთ. ქართველები ჩვენი ნებით უკან აღარ ვბრუნდებით. მაზოხისტები ვართ. გვსიამოვნებს ნოსტალგიით წამება. ანდა, ემიგრანტულ ბინას მოვრთავთ ქართულად — თუშური ფარდაგით, მეგრული ჩონგურით, შროშას ჯამ-ჭურჭლით — და ავტეხავთ ერთ ვაიუშველებელს, აი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დაგვაკარგვინეს, აი, როგორ გვიყვარს აქ, რაც არასოდეს გვყვარებია იქო. ჩვენი ეროვნული პატივმოყვარეობა ამითაც დაკმაყოფილებულია. ხომ მეთანხმებით? სულ ამას ეჩიჩინებოდა თავისიანებს და ბოლოს, მგონი, პირველი თვითონ მიიპარება, ქურდბაცაცა მელიასავით. სიბრძნეს ვაგროვებთ, გამრცდილებას ვიძენთ, მაგრამ გამოყენება ყოველთვის გვიგვიანდება, თუ საერთოდ არ გვავიწყდება. განა ჩვენი ნათქვამი არ არის, სულელი თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევსო; ბრმა ქათამს ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრიაო; ფრინველს ბუდით იცნობენ, კაცს მამულითაო; ჭკუა ხანში კი არა, თავშიაო; ბებერი ხარის გახედნას, რო დაკლა, ისა ჯობიაო; წაბაძულობით ვაციც დამაკდაო; ყვავს უთქვამს, შავ ზღვაზე თუ გადავფრინდები, იქ თოვლივით თეთრ კვერცხს დავდებო, მაგრამ როცა გადაფრინდა, იქაც შავი კვერცხი დადო. მოვიდა შიმშილი, წავიდა სირცხვილი. არა, ელიზბარს ჯერ არა აქვს უცხოეთში ცხოვრების უფლება. საბჭოეთში ნაცხოვრებმა კაცმა, და ასევე ქალმაც, ჯერ საერთოდ არ იცის, რას ნიშნავს ცხოვრება. იქ მხოლოდ სიძულვილს, უკეთეს შემთხვევაში კი, ზიზღნარევ სიბრალულს დაიმსახურებს, როცა შინ, ჩამოქცეულ ჭერქვეშ და მორყეულ ფუძეზე, ჯერ კიდევ შეიძლება ფეხის მოკიდება, დაკარგულის დაბრუნება, ოღონდ, გაქცევით კი არა, მოთმინებითა და სიჯიუტით... კბილი კბილის წილ... ვიდრე ქართველი ომობს, საშიშიცაა და ანგარიშგასაწევიც, დამცხრალი და დამშვიდებული თავგზასაც კარგავს და სახესაც. მას მერე, რაც თოფი და ხმალი სხვას გადაულოცა, ერთი დღე აღარ უცხოვრია ამ უბედურ ქვეყანას მშვიდად, უფრო სწორად, თავის ჭკუაზე, თავისებურად, თავისი ცხოვრებით, ხან ზურნა-დუდუკზე ბუქნავდა ბაღდადურს, ხან სასულე ორკესტრის თანხლებით სწავლობდა მწყობრად სიარულს... რაზ-დვა-ტრი და, რაზ-დვა-ტრი და, რაზ-დვა-ტრი...

ელიზბარს კი ვაცივით დაუღერებია თავი და ბრმა ქათამივით ანაყავს ნისკარტს მოლანდებულ ხორბალს... მართლაც, სულელი თუ არ არის, რას აიჩემა ეს ემიგრაცია. შვილს გაურბის თუ როგორაა მისი საქმე?! მისმა ქალიშვილმა, მართალია, თვითონ გადაწყვიტა თავისი ბედი, მაგრამ ჯიბრში ხომ არ ჩაუდგება ეს?! იქნებ სწორედ ახლა ჭირდება მამა?! იქნებ რამე უსიამოვნება შეემთხვა ქმართან ან დედამთილთან და იმიტომ მოვარდა ელისოსთან?! არ იცის, როგორ მოიქცეს... კი დიდობს, მაგრამ ჯერ მაინც ბავშვია... სულელი... თუმცა, ელისოს რომ ჰკითხოთ, ელიზბარს ბევრი არაფერი გაეგება ქალებისა და ეს არის სწორედ მისი ყველაზე დიდი ნაკლი, არა მარტო როგორც მწერლის, არამედ როგორც მშობლისაც. ვერაფრით ვერ შეიგნო (ვერ შეეგუა), ლიზიკოც რომ ჯერ ქალია და მერე შვილი, მამის წესისა და მრწამსის გამტარებელი. ქალს კი, მათ შორის, რასაკვირველია, ლიზიკოსაც, უპირველეს ყოვლისა, მამა კი არა, მეგობარი ჭირდება, დამოუკიდებელ, სრულყოფილ ადამიანად რომ იგრძნოს თავი და, რაც მთავარია, ბოლომდე შეინარჩუნოს ქალობა. მამა საამისოდ არ ვარგა. მამა სხვაა. რა თქმა უნდა, მამაც ბევრს ნიშნავს ქალისთვის, მაგრამ ზოგჯერ (ხშირად) გაუთვალისწინებელ დაბრკოლებად იქცევა ხოლმე მისთვის. შეიძლება, ისიც კი იფიქროს, უმამოდ უფრო იოლად და უფრო უკეთესად მოვიწყობდი ჩემს პირად ცხოვრებასო. ქალს თავისი პირადი ცხოვრება უნდა ჰქონდეს, რათა საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნდეს და, საჭიროების შემთხვევაში, კი არ გაეთელვინოს, თავისი ნებით დაუწვეს ცხოვრებას. მაგრამ ვიდრე მამის ჩრდილსაა შეფარებული, ამაზე ფიქრიც ზედმეტია. მამის არსებობა, უფრო კი, მამის მიუხვედრელობა სწორედ პირადი ცხოვრების მოწყობას უკრძალავს ქალს. განა მამა არ უყვარს, უყვარს კი არა, გიჟდება ალბათ მამაზე, მაგრამ ეს თანდაყოლილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებად ქცეული, ყოველმხრივ შემოწმებული, ყველანაირად სანდო გრძნობაა და, ამდენად, ნაკლებად საინტერესოც იმ გრძნობასთან შედარებით, რომელიც უკვე თვითონ, მამის გარეშე, მამისგან დამოუკიდებლად და, რაც მთავარია, მამისგან დაფარულად უნდა განიცადოს — მოულოდნელი, გაუგებარი, დამაეჭვებელი, დამაფრთხობელი და, იმავე დროს, ყველა იქამდე განცდილი გრძნობის გადამწონავი სწორედ თავისი სიუცხოვით, უჩვეულობით... „როგორც ქვიშხეთის კატლეტი ერჩია, პატარაობისას, შინ დამზადებულ ნებისმიერ კერძსო" — ხუმრობით იტყვის ხოლმე ელისო, მაგრამ სახუმაროდ რომ არა აქვთ საქმე, ამდენს უელისოდაც ხვდება ელიზბარი...

— ელიზბარ, ელიზბარ, ელია... — გძინავს? — ფრთხილად ჩაეკითხა ამ დროს ელისო.

— არა. მე მგონი, არა — დაიბნა ელიზბარი.

— აღარ დავიბანოთ თავი? ჩაშრა წყალი — დამამშვიდებლად გაუღიმა ელისომ.

ელიზბარს აღარ ახსოვდა, თავის დაბანას თუ აპირებდა და ელისომ რომ შეახსენა, გაუხარდა, რადგან, მაინცდამაინც, არ სიამოვნებდა ელისოსთან პირისპირ დარჩენა — უნდოდა თუ არ უნდოდა, ბოლომდე უნდა ჩასძიებოდა სიმართლეს — მაგრამ რაკი ორივენი საერთო საქმით (მისი თავის ბანვით) იქნებოდნენ დაკავებულნი, ეს მეტ შესაძლებლობას მისცემდა, საჭიროების შემთხვევაში, დროულად აეგდო სიტყვა ბანზე, სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი. ლიზიკოს საერთოდ არხსენება, თავისთავად ცხადია, არ მოხერხდებოდა. ამიტომ, რაც უფრო მალე ამოწურავდნენ ამ „თემას", მით უკეთესი.

— რა უნდოდა ჩემს ქალიშვილს? რატომ არ მინახულა? — აგდებულად, უინტერესოდ ჰკითხა ელისოს, თუმცა, გულის სიღრმეში, მაინც ღელავდა, მაინც ცუდის მოლოდინი ჰქონდა და ბევრად ერჩია, მოეტყუებინა ცოლს, ვიდრე რამე ცუდი ეთქვა ლიზიკოზე.

— არაფერი... ერთი წუთით შემოირბინა... სადღაც ეჩქარებოდა... მერე მოვალო — საკმაოდ ბუნდოვნად და ზერელედ უპასუხა ელისომაც, ანუ, შეძლებისდაგვარად, იცრუა, რაკი მეუღლეც ამას ევედრებოდა თვალებით — ბარემ, აქვე მოგბან თავს, აბაზანაში სარეცხი მაქვს ჩამბალი — მოაყოლა საქმიანად.

ელიზბარი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ ლიზიკო იყოს კარგად. კარგადაც იქნება. რაკი თავისი ფეხით შევიდა ურჩხულების ბუნაგში, იმათ ენაზე ლაპარაკსაც ისწავლის ალბათ. სხვა რა გზაა?! მეტი რა დარჩენია?! მამის ენა დიდი ხანია დაავიწყდა. დიდი ხანია, აღარ ესმის. მაგრამ ესეც ელიზბარის ბრალია და არა ლიზიკოსი. ლიზიკო მსხვერპლია. ხოლო, თუკი ვინმეა ამაში დამნაშავე, პირველ რიგში, ელიზბარია, რადგან თავის დროზე, არასოდეს აუხსნია მისთვის (მსხვერპლისთვის), მიკიბულ-მოკიბულად კი არა, ნათლად და გარკვევით, კაშელებთან ნებისმიერი ურთიერთობა ისევე რომ არის სახიფათო, როგორც მაღალი ძაბვის დენთან თამაში, ცოფიანი ძაღლის დაპურება, მტკვრის მორევში ბანაობა თუ გაოფლილზე ცივი წყლის დალევა... არ აუხსნია და ვერც აუხსნიდა, თუნდაც, იმავე ანტონის გამო. ანტონი გულწრფელად უყვარდა და მხოლოდ კაშელობისთვის ვერც თვითონ მოიკვეთდა და, მით უფრო, ვერც შვილს აუკრძალავდა მასთან მეგობრობას. პირიქით, ელიზბარი ყოველთვის მოხიბლული იყო ანტონის ჯერ კიდევ უმწიფარი, მაგრამ უაღრესად არაკაშელური შეხედულებებითა და მოსაზრებებით, რომლებსაც ის გამოთქვამდა ხოლმე მათი იშვიათი, მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივი ექსკურსიების დროს ქვიშხეთის შემოგარენში, რაიმე კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით თუ მოულოდნელად შექმნილ ვითარებიდან გამომდინარე. ხოლო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიშხეთში, სადაც ძირითადად ხვდებოდნენ ისინი კაშელებს, როგორც ყველა დამსვენებელს, მასაც არა თუ დასაშვებად, სავალდებულოდაც მიაჩნდა ანტონზე ბევრად მსხვილფეხა კაშელთანაც ურთიერთობა, რომელიც, თავის მხრივ, სეზონს არ ჩააგდებდა, ერთხელ მაინც არ მიეპატიჟნა ქვიშხეთის დასასვენებელ სახლში ჩამოსული მწერლები თავის აგარაკზე. ქვიშხეთი, საერთოდ, მისტიურ ზმანებად, მარადიულ ოცნებად უფრო აღიქმებოდა დამსვენებელი მწერლებისგან, ვიდრე გეოგრაფიულ-გეოლოგიურ-გეოდეზიურ ცნებად და იქ გამეფებულ ატმოსფეროდან გამომდინარე, თავისუფლად შეგეძლო, სერიოზული მნიშვნელობა არ მიგეცა და პოლიტიკურ ასპექტში არ განგეხილა ჩვეულებრივი სააგარაკო, ანუ, აუცილებელი ურთიერთობა იმ ხალხთანაც კი, რომლებთანაც შენი ნებითა და სურვილით, არავითარ შემთხვევაში არ „იმეგობრებდი" სხვა დროსა და სხვა გარემოში. არც ბალსა და „ენისელს" მიირთმევდი იმათი ხელიდან და არც სასაუბროდ მიუჯდებოდი ცაცხვების ხეივანში, ცისფრად ან ნარინჯისფრად გადაღებილ მერხზე. მაგრამ ქვიშხეთს თავისი განსაკუთრებული ადათწესები გაჩნია და არა მარტო ფიზიკურად აჯანსაღებს ადამიანს, არამედ სულიერადაც ასუფთავებს, თუნდაც, ცოტა ხნით. სიზმრისა არ იყოს, იქაც ბევრად იოლია სასნაულის დაჯერებაცა და გადაჯერებაც. როცა გარეწარზე შორიდან ფიქრობ, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, მის მიერ ჩადენილი სისაძაგლეები გიტრიალებს თავში, მაგრამ როცა ცაცხვის ძირას, ჯერ კიდევ საღებავის სუნით გაჟღენთილ მერხზე ლაღად გადაწოლილი, ფეხი-ფეხზე გადადებული ესაუბრები იმავე გარეწარს, შენსავით მერხზე ლაღად გადაწოლილსა და ფეხი-ფეხზე გადადებულს, ლაპარაკისას, ფეხის ცერა თითზე ჩამოკონწიალებულ ფლოსტს რომ ათამაშებს თან, რასაკვირველია, იმასაც სააგარაკო ყოფის იდილიური სურათის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად აღიქვამ მხოლოდ, თუნდაც, ფერად ლაქად, უმნიშვნელო, მაგრამ აუცილებელ შტრიხად, ურომლისოდაც სურათი სრულყოფილი ვერ იქნება და ასევე ვერ იქნება იდილიურიც, მიუხედავად შენს გარშემო გულივით მფეთქავი სიცხისა, ათასნაირად ასისინებულ-აზუზუნებულ ბუჩქებისა, მოჩიტებული, დაფრთიანებული, მაგრამ ნისკარტის ძირში ჯერ კიდევ სიყვითლე შერჩენილი ბარტყების ჟივილ-ხივილისა, მთვრალი ფუტკრების ბზუილისა და მოშორებით, განცალკევებულ მერხზე ჩამომსხდარი ცოლებისა, საქარგავზე თავდახრილნი, ხმადაბლა, თითქოს საიდუმლო ენაზე რომ საუბრობენ ერთმანეთში, ქვიშხეთური მზით ღაწვებშეფაკლულნი, და ქმრებისთვისაც კი, მოულოდნელად გამშვენიერებულნი... ქვიშხეთი ხომ ის ზღაპრული, შეიძლება სინამდვილეში არც არსებული სამყაროა, სადაც მხოლოდ საუკეთესო მოგონებები, თავგადასავლები ბუდობენ და სადაც, უკეთეს შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ შეუძლია უბრალო მოკვდავს ჩასვლა, ანუ, ამოყურყუმალავება ცხოვრების წუმპედან, სული რომ მოიოქვას და თავი ადამიანად იგრძნოს (თანაც, მწერლადაც, რაკი ღირსად ჩათვალეს აქაური დასასვენებელი სახლის საგზურისა), ვიდრე ისევ უკანვე ჩაყურყუმალავდებოდეს განურჩევლობის, განუკითხაობის მორევში. ქვიშხეთი სულის მოსათქმელი ადგილია მხოლოდ, დროებითი ბუდე, დროებითი ბუნაგი, გნებავთ, დროებითი სამარე, სადაც მშვიდად, უდრტვინველად, ფლოსტებში ფეხწაყრილი „განისვენებ" აღდგომამდე, ანუ, თბილისში დაბრუნებამდე, და სადაც არც დრო არსებობს და არც ცუდი და კარგი ადამიანები. იქ ყველა ერთნაირად „დამსვენებელია" და, ამ-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დენად, ყველასთვის ერთნაირად საინტერესო, მნიშვნელოვანი, დასაფასებელი, როგორც ნეკროლოგის სუბიექტი... ალბათ ამიტომაც (და ეს არის მისი მთავარი დანაშაული), არც ელიზბარს აშფოთებდა მისი ქალიშვილის განსაკუთრებული სიახლოვე კაშელებთან. თუმცა, მაინც თავზარი დაეცა, როცა „ერთ მშვენიერ დღეს", სხვათაშორის შეაპარა ელისომ საუბარში, მგონი, ლიზიკო და ანტონი ხელს აწერენ და საზღვარგარეთ აპირებენ წასვლასო. მაგრამ რაიმე სერიოზული, ამის აღმკვეთი გადაწყვეტილება არც მაშინ მიუღია, ისევ თავის ნიჟარაში, „მეორე სინამდვილეში" გაიხიზნა და – „რამედ რომ მაგდებდეს ჩემი შვილი, ზრდილობისთვის მაინც მკითხავდა ჭკვასო" – ამ სიტყვებით იგერიებდა ელისოს, რომელიც, რაც მართალია მართალია, გაკაპასებული ცდილობდა მის გამოთრევას ნიჟარიდან, როგორც ლოკოკინებზე მონადირე ბელურა...

ელისომ ტაბურეტი და ნარინჯისფერი პლასტმასის ტაშტი შემოიტანა ოთახში. ტაბურეტი ელიზბარს დაუდგა წინ, ტაშტი ტაბურეტზე დადო და ახლა ცხელი წყლისა და საპნის მოსატანად გაბრუნდა. ელიზბარი უაზროდ იყურება ცარიელ ტაშტში, თითქოს იქიდან ამოდის მისი საგონებელი, ანდა იქ ინახება მისგან განსაკურნებელი ნამალი. მერე ტაშტს ყურებში ჩაავლებს ხელებს და ასწევს. იცის რომ მსუბუქია, მაგრამ მაინც სიამოვნებს ამხელა ტაშტისთვის თითქოს შეუფერებელი, მოულოდნელი სიმსუბუქე. თვითონაც რაღაცნაირად მსუბუქდება, თავისუფლდება რაღაცისგან, რისიც არ იცის სახელი და რაც მაჯლაჯუნასავით აწევს გულზე...

– მე ემიგრაციაში წამსვლელი არა ვარ... დანარჩენი თქვენ იცით – ეუბნება ოთახში შემოსულ ელისოს.

ელისოს თმის ბულული შუბლზე ჩამოვარდნია. მკლავებდაკაპიწებულს მოაქვს ორთქლით თავმობმული ვედრო. ვედროს ტაშტიანი ტაბურეტის გვერდით დგამს – და დოინჯშემოყრილი, ყასიდად კოპებშეკრული ამბობს: რა იყო, რა მოგელანდა ამ ერთ წუთშიო.

ცხელი წყლით სავსე ვედროს ორთქლი ასდის.

– მე არ მეცინება და, რომ იცოდე, არც მძინავს... არც ის ვიცი, რაზე ილაპარაკეთ შენ და ლიზიკომ ჩემს ზურგს უკან, მაგრამ ისე ნუ იზამთ, თქვენს გამო ჩავიდინო, რაც ხელისუფლებამაც ვერ ჩამადენინა... – ბუზღუნებს ელიზბარი.

– ელიზბარ, ელიზბარ, ელია! – იცინის ელისო. ამშვიდებს, ეფერება, უქარწყლებს დაფარულ შიშს – შენ როგორც საჭიროდ მიგაჩნია, ისე მოიქეცი... ვისი რა საქმეა – ამბობს სერიოზულად.

– მე ვერ ავყვები იმ ვიგინდარებს – აგრძელებს ელიზბარი. თან გამომცდელად შესცქერის ელისოს თვალებში, ამოწმებს რამდენად გულწრფელია, რამდენად შეესაბამება სიმართლეს, რაც ეს წუთია თქვა – მოცარტული გარემო მომინდომეს ამ მეორედ მოსვლის ჟამს...

– ვინ? – გულწრფელად ინტერესდება ელისო.

– მშვენივრად იცი, ვინც... ტყუიან ყველაფერს. საკუთარ მუცელზე ფიქრობენ მხოლოდ... იცოცხლე კარგია, მოცარტულ გარემოში ტრიალი, მით უფრო, ხელოვანი კაცისთვის, მაგრამ მე რა მეშველება, მე საბრალოს, მე ვინ გამაკულტურულებს, თუკი ჩემი გაზრდილი ხელოვანიც ცხვირს ამიბზუებს და გამექცევა?! უსვინდისო ქათამზეა ნათქვამი, შინ კაკანებს, კვერცხს კი გარეთ დებსო... ჩვენი უსვინდისო ხელოვანი კაკანითაც სხვაგან კაკანებს და, თავისთავად ცხადია, კვერცხსაც სხვაგან დებს. ხოლო, უფრო თუ დავაზუსტებს და ცოტას გავიცინებთ კიდეც... პერანგი გავიხადო? – ეკითხება უცებ ელისოს.

– მე რომ არ გითხრა, შენ არ იცი, გაიხადო თუ არა? ვინ ბანაობს ჩაცმული?! – იცინის ელისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარი პერანგის ღილებს იხსნის და აგრძელებს:

— ჩვენ ამ საქმეშიც განსაკუთრებულები ვართ, შინ ვაკუებთ, გარეთ ვგალობთ, ცუცა ოდიშარივით.

— სირცხვილი შენ, ელიზბარ — იცინის ელისო.

— სიმართლე თუ გინდა, ესაა — ეღიმება ელიზბარსაც — ცუცა ოდიშარს, იმედია, წარდგენა არ ჭირდება, ერთ-ერთი საუკეთესო სოპრანოა ევროპაში. ბერლინში ცხოვრობს ამჟამად. დღეობებზე ვხვდებოდით ხოლმე ახალგაზრდობაში. ბოთლს ვაბზრიალებდით დილამდე. ბოთლობანა იყო მაშინ მოდაში. დაბზრიალებდი და, ვისაც ბოთლი მიუშვერდა ტუჩს, იმას აკოცებდი. კაზინოს კრუპიეებივით ვიყავით დაოსტატებულნი ამ საქმეში, ბიჭებიც და გოგოებიც. ყველას ჰყავდა თავისი გულის ვარდი. რასაკვირველია, ცუცასაც. ჰოდა, ერთხელაც, დაიხარა ჩვენი სახელოვანი სოპრანო ბოთლის დასაბზრიალებლად და დაძაბულობისგან გასძვრა, შენი მოწონებული... სოპრანო ნამდვილად არ ეთქმოდა, უფრო წაიბარიტონებდა...

— ცუდი ბიჭი ხარ, ცუდი... არ გისმენ. ილაპარაკე, რამდენიც გინდა — იცინის ელისო.

— ახლა ფრაუ გახლავთ, რომ შემხვდეს, თავს არ დამიკრავს ალბათ — იცინის ელიზბარიც.

— აი, ეგ დაწერე. ღმერთო! ან აქამდე რას უცდიდი?! — რატომღაც ღიზიანდება ელისო. ოდნავ, ძლივსშესამჩნევად უთრთის გადალურჯებული ტუჩები.

— რა? რა დავწერო? — ისევ ფრთხება ელიზბარი, ისევ ავი წინათგრძნობით ეკუმშება გული.

— რასაც მე მეუბნები ყოველდღე. დღეში ათჯერ, ასჯერ, უსასრულოდ... — უარესად ღიზიანდება ელისო — ღმერთო ჩემო, არ გირჩევნია, ისინიც შეწუხდნენ ერთხელ, თუნდაც უსამართლოდ, ვიდრე მარტო იტანჯებოდე ყოველდღიურად, თუნდაც სამართლიანად?! რაც მთავარია, ტყუილუბრალოდ... ტყუილუბრალოდ... დააგდე ეგ პერანგი იატაკზე — ამატებს უკვე შემრიგებლურად, თითქოს მისი მეუღლის უშედეგო, არაფრისთვის და არაფრის გამო ტანჯვა-წამება აღიზიანებდეს მხოლოდ.

ელიზბარი წელს ზემოთ ტიტველი ზის და ღრმად ჩაფიქრებული უსმენს, თითქოს რამე ახალს ამბობდეს ელისო. მაგრამ ელისოს ხმა, გაღიზიანებულიც კი, მაინც აშკარად ამშვიდებს. საერთოდ, რაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს ელისო, ყოველთვის რაღაც იდუმალი, ჯადოსნური ძალა გამოსჭვივის მისი ხმიდან და შენც ხმის უხილავ, მაგრამ ღონიერ დინებას მიჰყავხარ თითქოს, მაინცდამაინც, იქითკენ, საითაც იქამდე უშედეგოდ აპირებდი წასვლას...

— აბა, ჩაყავი თითი... ცხელი ხომ არ არის?! ეუბნება ელისო და ისიც პირველად მაშინ ამჩნევს ორთქლით თავმობმულ ვედროს ტაბურეტის გვერდით. თითს გაუბედავად ყოფს წყალში.

— მე მგონი, არა უშავს — ამბობს ფიქრიდან, ჯერ კიდევ ფიქრში დანთქმული.

— დავხუჭოთ თვალები და რამე კარგზე ვიფიქროთ... ჯუჯღუნს თუ დაინყებ, გასაპნულს დაგტოვებ, იცოდე — ემუქრება ელისო.

ერთი ხელით საპონს უქაფებს თავზე, მეორეთი წყალს ასხამს კათხით.

— უუუუუუ-უჰ! კარგია! — ამბობს ელიზბარი.

ელისო იცინის.

— ვისაც უნდა, მიბრძანდეს, საითაც მოესურვება... მე აქაც მშვენივრად ვგრძნობ თავს... ბრررررر — ფრუტუნებს ელიზბარი ცხენივით.

ელისო იცინის.

— ცუცა ოდიშარის დედაც... საპონი ჩამივიდა თვალში — იცინის ელიზბარიც.

ელისო კიდევ უფრო იცინის.

ოთარ ჭილაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— საპონი ჩაუვიდა თვალში ბავშვს... რა გვეშველება! ხომ გაგაფრთხილე, მაგრად დახუჭე-მეთქი... საშიში ნამდვილად არ არის — ამშვიდებს ბოლოს.

— ჩვენთვის ყველაფერი საშიშია, ელისო, პაააატარა ქვეყნის შვილები ვართ, პაააააწაწუნები ვართ ძალიან — ეხუმრება ელიზბარი თავისი ჭკუით.

— ერთხელაც წავისვათ და გვეყოფა — აწყვეტინებს ელისო — ისე, რომ იცოდე, დიდი ამბებია მოსალოდნელი კაშელებთან — მოაყოლებს უცებ.

ტაშტზე დახრილი, თავგასაპნული და დაბრმავებული ელიზბარი ისუსება, იძაბება, გრძნობს, როგორ უცემს გული, მაგრამ თავი ისე უჭირავს, ვითომ არც გაუგია, ანდა ყურადღების ღირსად არ ჩაუთვლია ცოლის გადაკრული სიტყვა.

— ლიზიკოს გამო? — კითხულობს საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მღელვარებისგან ხმადახეული, მაგრამ მაინც სხვათაშორის, ვითომ, საუბრის გასაგრძელებლად, ამ მშვიდი, ოჯახური იდილიის გასახანგრძლივებლად...

— ლიზიკოს გულისთვის! — აღარ ზოგავს ელისო.

ბატონი ელიზბარი აწ უკვე გადაშენებული მწერლების იმ სახეობას ეკუთვნის, რომლისთვისაც პროფესია განაპირობებს ცხოვრების წესს და, პირიქით, ცხოგრების წესი განაპირობებს პროფესიას, ანუ, როცა არ წერს, ფიქრობს, რა დაწეროს და როცა ფიქრობს, ერთი სული აქვს, როდის მიუჯდება საბეჭდ მანქანას. ამდენად, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით, რასაკვირველია, ბავშვივით მოუმზადებელია რეალური ცხოვრებისთვის. სამაგიეროდ, სხვებზე უკეთესად გრძნობს ნებისმიერ სახიფათო ცვლილებას ცხოვრებაშიც და ბუნებაშიც... ერთი ფოთოლიც რომ შეთრთოლდეს ზედმეტად, ანდა ნაადრევად, ისიც კი აღირიცხება მისი სულის შკალაზე. თავისთავად ცხადია, სხვებზე უკეთ ხედავს იმასაც, თუ რა დიდი უფსკრული დევს მამა-შვილს შორის, როგორ იზრდება ის უფსკრული ყოველდღიურად და, ბოლოს, როგორ შთაინთქმებიან ყველანი იმ უფსკრულში... ლიზიკო შემოვიდოდა დღეს მასთან თუ არ შემოვიდოდა, ეს ბევრს არაფერს შეცვლიდა მაინც. ისინი უკვე უფსკრულის სხვადასხვა ნაპირებზე დგანან და, ამ ბოლო დროს, საერთოდ ვეღარც ცნობს შვილს, ხოლო, შვილი საერთოდ აღარც იყურება მისკენ. შვილმა ბალასტივით მოიშორა, რათა თავი კოსმიურ უსასრულობისთვის მიეცა და ამით, უპირველეს ყოვლისა, ოცნების უნარი წაართვა მამას, ანუ, ბრძოლის უნარი, რადგან უშვილოდ, აღარც გადარჩენასა აქვს აზრი, აღარც აღდგომას. მისი შვილი სხვა სივრცეებმა შეისრუტეს მტვრის ნამცეცივით და იმ სივრცეებთან ვეღარაფერს გახდება ეს, თავმოკვეთილი მეფისა და ძუძუებდაგლაჯილი დედოფლის აჩრდილების ამარა დარჩენილი. პირიქით, ის აჩრდილებიც უმალ ამას გაამტყუნებენ — რა უყავი შვილს, ერთი კრავი როგორ ვერ მომწყემსე, შე ცრუპენტელავ და ქოსატყუილაო, აბა, რიღასთვის დავდეთ თავი ჯალათის კუნძზე მოვაკანში, ანდა, გავარვარებული შანთებით, რიღასთვის დავაგლეჯინეთ ძუძები ჯალათს ისპაჰანშიო... მაგრამ იმათ არ იციან და ვერც ეს ეტყვით, გადარჩენა რომ აღარ უნდა მის შვილს (ანდა, მისგან გაქცევა რომ ჰგონია გადარჩენა), სახელებიც რომ არ იცის მამისათვის სალოცავი აჩრდილებისა, არც „ცა-ფირუზისა" გაეგება რამე და არც „ხმელეთ-ზურმუხტისა"... სხვათა ფირუზებსა და ზურმუხტებზე რჩება თვალი... ვერ ეტყვის, ენა ვერ მოუბრუნდება იმათი საცოდაობით, რადგან იმათ დღემდე სჯერათ, ტყუილად რომ არ გაუღიათ მსხვერპლი, კიდევ რომ არსებობს ქვეყანა, რომელსაც ანაცვალეს თავი და რომელიც არც მტრებს წააბილწინებს მათ ხსოვნას, არც დრო-ჟამის დინებას... სჯერათ, ერთხელაც იქნება, იმათაც აეხილებათ მათი დასანახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი, ვინც სხვათა ჭაღების ბრდღვიალმა დააბრმავა, უმეთვალყუროდ გამოსული მშობლიური სიბნელიდან... სჯერათ, ისინიც გაიხსენებენ იავნანას, უფრო სწორად, იავნანა იმათაც გაახსენებთ, რა არის ანი და რა არის ბანი... გაახსენებთ, სამშობლოში ღვთაებებივით მომხიბვლელნი რომ იქნებიან ყოველთვის, ჩოხებდაკონკილნიც, უსამშობლოდ კი – მღილნი, არარაობანი, ჰაერის ბუშტები, თითის მიკარებისთანავე რომ სკდებიან და ქრებიან უკვალოდ... მაგრამ ელიზბარი მაინც არ მისცემს თავს უფლებას, ჩაერიოს ლიზიკოს პირად ცხოვრებაში. ლიზიკო უკვე დამოუკიდებელი ქალია და თავცოცხალი აღარ დათმობს თავის დამოუკიდებლობას... პირველ რიგში, მამის ჯიბრით, არ დამცირდება მამის თვალში, არ აღიარებს მამის სიმართლეს და უმალ ყველაფერს დათმობს, ყველაფერს მოითმენს იქ, „თავისუფალ სამყაროში", ვიდრე კუდამოძუებული დაბრუნდებოდეს უკან, შინ, „მშობლიურ ციხეში". მაგრამ ელისომ რომ „შეაპარა" წეღან, შეიძლება დიდი შეხლა-შემოხლა მოხდეს კაშელებთან ლიზიკოს მიზეზითო, ელიზბარი მაინც დაფრთხა, მაინც დაიბნა და ისიც ვეღარ გაბედა, ბოლომდე ეთქმევინებინა ელისოსთვის სიმართლე, ანდა, იმანაც თუ არ იცოდა, დამსხდარიყვნენ და ერთად გაერკვიათ, რა განხეთქილება შეიძლებოდა შეეტანა ოჯახში ერთი თვის მოყვანილ რძალს. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს გამოსავალი, გამოსვლა თუ გინდა, მაგრამ მეორე მხრივ, შენ რომ გამოსავალი გგონია, ბოლოს შეიძლება ჩიხი აღმოჩნდეს, რადგან თავად ცხოვრება შედის ჩიხში – რკინიგზებიან, მატარებლებიან, მგზავრებიანად – და მალე ყველა გზა მოიჭრება, ყველანაირი კავშირი გაწყდება არა მარტო გარესამყაროსთან, არამედ ერთმანეთთანაც. ოღონდ, ეს არც ელიზბარის ბრალი იქნება, არც ელისოსი; არც ლიზიკოსი; თქვენ წარმოიდგინეთ, არც რაჟდენ კაშელის. ვერავინ აღუდგება წინ ამ „ბუნებრივ პროცესს", ვიდრე, ერთხელ კიდევ, თავისთავად არ შეიკვრება მოჯადოებული წრე სიკვდილ-სიცოცხლისა და ვიდრე თავად ბუნება, გნებავთ, უდიადესი ქალბატონი ევა, საწყისთა საწყისი, ღმერთის ხელით შექმნილი პირველი ქალი და პირველი ადამიანის დამბადებელი, არ გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა საერთოდ ახალი წრის დაწყება, რადგან ამდენმა სიყალბემ, ამდენმა თვალთმაქცობამ და ამდენმა პირობითობამ ყველაფერი გააუფასურა მათ „თეატრში", არა მხოლოდ გრძნობები და განცდები, სიმართლე და გულწრფელობა, არამედ თავად პირობითობაც, როგორც ყველაფრის შესანიღბი და ამდენად, თავის დასაცავი იარაღი, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებისგან. მის ნაცვლად, ცარიელი, უაზრო, მეტი რომ არ ვთქვათ, ცრუ სიტყვები შერჩათ ხელთ და მლიქვნელური მანჭვა-გრეხვა.. ამაღლებული გრძნობები, ვნებათა ღელვა, ცრუპენტელობამ და ქვენა ზრახვებმა შეცვალა. მსახიობები (იგივე ელიზბარი, ელისო, ლიზიკო, ანტონი, ფეფე) კი არ მოქმედებენ, ერთ ადგილზე ფუტფუტებენ მატლებივით; კი არ ცხოვრობენ, სიცოცხლეს იხანგრძლივებენ, სიცოცხლეს ებლაუჭებიან ყველანაირად – სვამენ, ჭამენ, ტყუიან, ითმენენ, ღალატობენ საკუთარ პრინციპებს და აი, ასე, როგორც ახლა ისა და ელისო, ყალბად უღიმიან, უმიზეზოდ ემადლიერებიან, ებოდიშებიან ერთმანეთს; კი არ ამხელენ, ყველანაირად ამართლებენ, რაც უმალ მათ სულიერ ნათესაობას ადასტურებს, ვიდრე, ვთქვათ, ზნეობრივ სიმტკიცეს. უმიზნოდ შემოდიან „სცენაზე" (როგორც ლიზიკო მობრძანდა წეღან) და ასევე უმიზნოდ გადიან „სცენიდან" (იმავე ლიზიკოსავით). თვეობით, წლობით იკარგებიან უცხო თვალისთვის უხილავი სცენის ხვრელებსა და ორმოებში, რათა სული მოითქვან (დაისვენონ ერთმანეთის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან) და ისევ მოულოდნელად ამოცოცდნენ, ამოფუტფუტდნენ „სცენაზე“, ამოიტანონ თავიანთი სულის სარდაფებში დამარხულ საიდუმლოებათა ნესტი და სიმყრალე, რადგან სწორედ ასეთი „თეატრი“ შეეფერება მათ ყოფას... ექვსასი წლის წინ დაშვებული შეცდომა, ეტყობა, თავის კულმინაციას აღწევს და ამის ბრალიცაა, ერთ დღეს რომ ცუდად არიან და მეორე დღეს გაცილებით უარესად. ასე იქნება სულ, ვიდრე სამარცხვინო წარსულის შმორითა და ზინზლით აქოთებული მათი საბუდარი, მათი სამშობლო, მათი აკვანიცა და საცხედრეც, თავის ზღაპრებიანლეგენდებიანად, გეოგრაფიულ სიყალბედ, ისტორიულ აბსურდად გამოცხადდება და არათუ თაღლითი კარტოგრაფის შედგენილ რუკაზე, ამ ცოდვილ დედამიწაზეც აღარ დარჩება მათთვის ფეხის მოსაკიდი ადგილი. იმიტომ რომ... იმიტომ რომ, ყოველთვის იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და მაინც ისე იქცეოდნენ, როგორც არ მოიქცეოდნენ, ცოტა უფრო მეტად რომ ყვარებოდათ სამშობლოც და ერთმანეთიც... იმიტომ რომ, ღმერთის სასჯელისა კი არ ეშინოდათ, ძლიერისგან წყალობის მოლოდინში ამოსდიოდთა ყოველთვის სული. ვინც ამხილათ, ყველა მოკვეთეს – გააძევეს, წვერით ათრიეს ანდა ტყვია დაახალეს შუბლში – ხოლო, ვინც მოუწონათ სიგლახე და უმსგავსობა, მამულიშვილის გვირგვინით შეამკეს და ფარზე შეასკუპეს მაშინვე... მაგრამ იქნებ მართლაც ეს არის მამულიშვილობა და ელიზბარს არ ესმის სწორად?! იქნებ სხვებზე მხდალია და, შიშს აყოლილი, ყველგან ხაფანგსა და მახეს ხედავს?! შეიძლება. ადვილი შესაძლებელია. ელიზბარმა ერთი იცის მხოლოდ მყარად, ყველაფერი შეიძლება საერთო ჰქონდეს კაშელებთან – ოჯახიც, მიწა-წყალიც, ჰაერიც... სისხლიც კი – მაგრამ არავითარ შემთხვევაში, სიმართლე! არადა, თუკი რამეა დღეს საერთო, ერთხელ კიდევ მკვდრეთით აღმსდგარ-ეკლესიაში, მხოლოდ სიმართლეა, წვითა და დაგვით, ტანჯვა-წვალებით, დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც გამოთქმული, გამოტანილი სამზეოზე, თითქოს მხოლოდ იმიტომ, ათასნაირი ჯურის მედროვეებს, გარეწრებსა და ლაზღანდარებს ერთბაშად რომ გაეუფასურებინათ, თავიანთი ქვენა მიზნების შესანიღბად. ერთ სიმართლეს იშველიებს მსაჯულიც და განსასჯელიც, ერთ სიმართლეს აფრიალებენ დროშასავით, ფარულად თუ აშკარად დაპირისპირებული ბანაკები, მაგრამ ელიზბარისთვის კაშელის პირიდან ამოსული სიმართლე, არათუ მისი არ არის, აღარც სიმართლეა. როგორც კი დაიჯერებს, ერთხელ კიდევ დაადასტურებს საკუთარ სიბრიყვეს, ნდობას გამოუცხადებს იმას (აკი გამოუცხადა! შვილი აჩუქა, ბოლოს და ბოლოს), ვისაც გუშინ და გუშინწინ ფეხქვეშ ჰქონდა ამოდებული მისი „ადამიანური ღირსებაცა“ და „ეროვნული სიამაყეც“, ვისაც რკინის კაუჭიანი ჯოხით გამოჰყავდა სიკვდილმისჯილთა საკნიდან, ვინც მის გვამზე ბუქნავდა და მის შთამომავალს ნარკოტიკივით აჩვევდა ზარ-ზეიმით აღნიშვნას საკუთარი დაცემისა და შერცხვენისა... დიახ, ასე იყო და ასე იქნება, გინდაც ათჯერ გადატრიალდეს ქვეყანა. ასე იქნება, ვიდრე საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ისტორიული სიბინძურიდან, ერთ მშვენიერ დღეს, პეპელასავით არ ამოფრინდება მათი საერთო, სასწაულად გადარჩენილი და, რაც მთავარია, სამარადისოდ განწმენდილი სული...

მოკლედ, ჩვენი ბატონი ელიზბარი, ჩვეულებისამებრ, ისევ ნიჟარაში შეიკეტა. „მე არა ვარ კაშელების მსაჯულიო“ – უთხრა ელისოს, მოგონილი გაგულისებით, და უბოდიშოდ დაითხოვა: ალბათ გვიანობამდე ვიმუშავებ და. ძალიან გთხოვ, ტელეფონთანაც არ დამიძახოთო. მაგრამ ვეღარც სამუშაოს დაუდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული (ისედაც უჭირდა ერთი ხელით საბეჭდი მანქანის კლავიშებზე კაკუნი და მეორეთი — გათავხედებული მუმლის მოგერიება) და ვეღარც მასზე ბევრად უკეთესი მწერლების წიგნებს. ხან ერთს გადაშლიდა, ხან მეორეს, იქნებ რამეს გადავაწყდე ჭკუის სასწავლებელსა და დამამშვიდებელსო, მაგრამ მსგავსიც არაფერი ეწერა იმ წიგნებში...

ჩაის დასალევადაც აღარ გამოსულა თავისი ოთახიდან. უჭმელი დაწვა და საკმაოდ დიდხანს ეომა უძილობას, ერთიდან ათასამდე და ათასიდან ერთამდე თვლითა თუ საკუთარი და სხვათა ლექსების დეკლამირებით გუნებაში, რასაკვირველია, საძილე აბების მიშველიებით ყოველ თხუთმეტ წუთში... ელისო რამდენჯერმე მოადგა გარედან კარს და რამდენჯერმე იკითხა გაუბედავად: „ხომ არ დაგიძახიაო", მაგრამ ამან პასუხის ღირსადაც არ ჩააგდო. სამაგიეროდ, უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ემიგრაციაში წასვლა. მოკიდებდა ხელს თავის უხასიათო შვილს და საერთოდ გაარიდებდა აქაურობას... „ასე აჯობებს ყველასთვისო" — ფიქრობდა ამ მოულოდნელი და, რაც მთავარია, მისთვის ყოვლად მიუღებელი გადაწყვეტილების მიღებისგან აღელვებული. ოღონდ, უკვე თვითონაც ვერ არკვევდა, ცხადში ხდებოდა, რაც ხდებოდა, თუ სიზმარში... თუ ცხადში ხდებოდა, ერჩია სიზმარი ყოფილიყო, ხოლო, თუ სიზმარში — ცხადშიც ვერაფერს მოიფიქრებდა უკეთესს... თვითმფრინავში იჯდა, ელისოსთან და ლიზიკოსთან ერთად, ზუსტად ისე, როგორც ბევრჯერ მჯდარა ბორჯომის მატარებელში, ქვიშხეთს მიმავალი, და, სხვათაშორის, ახლაც მოაგარაკეებს უფრო გავდნენ, ვიდრე ემიგრანტებს, თუნდაც, ჩაცმულობითა და ბარგით.

ელისოს ჭილის ქუდი ეხურა, ლენტიანი, და დაკეცილი ქოლგა მუხლებზე ედო. არც გამაკის წამოღება დავიწყნოდა. მჭიდროდ დახვეული გამაკი კართან მიეყუდებინა. თვითმფრინავის სალონი მხოლოდ მათი ბარგით იყო სავსე, მაგრამ ელიზბარს არც ის უკვირდა, ბარგიანად რომ შემოეშვათ თვითმფრინავში და არც ის, მათ გარდა, სხვა რომ არვინ იჯდა სალონში. ეტყობა, ემიგრანტებისთვის იყო ის სალონი განკუთვნილი, ემიგრანტები კი მხოლოდ ისინი იყვნენ...

ლიზიკოს მუხლებთან გადაჭრილი ჯინსის შარვალი და მამამისის ძველი, მოდურად ჩაფლაშული პერანგი ეცვა. აშკარად სიამოვნებდა მშობლებთან ერთად მგზავრობა. დაცქვეტილი იჯდა სკამზე და ხან მამას შეხედავდა მადლიერებით სავსე თვალებით, ხან დედინაცვალს. „განა შეიძლება, მე რამეს ვაშავებდეო" — ამბობდა მთელი მისი არსება. ელიზბარს არც უკითხავს, რა მოხდა თქვენს ოჯახში, რატომ დაერივნენ ერთმანეთს მამაშვილიო, არ ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში და გამოკვლევის ნაცვლად, ამჯობინა საერთოდ ამოეგდო გულიდან ეს ამბავი, როგორც შედარებით ნაკლებად საჭირო ნივთს ამოაგდებენ ხოლმე ჩემოდნიდან ბოლო წუთს, რათა თავისუფლად დაიკეტოს ჩემოდანი...

„მგზავრობა კიდევ უფრო დაგვაახლოვებს და შეგვაყვარებს ერთმანეთსო" — ფიქრობდა ელიზბარი და თვითმფრინავის ილუმინატორში იყურებოდა. თეთრი, ქათქათა ღრუბლები უზარმაზარი აისბერგებივით ნელა, თითქმის შეუმჩნევლად იძროდნენ თვითმფრინავის საწინააღმდეგო მიმართულებით. ერთ-ერთ მათგანზე, ისევე როგორც ქვიშხეთის დასასვენებელი სახლის ეზოში, ერთად იდგნენ ელიზბარის ან უკვე გარდაცვლილი უფროსი თანამოკალმეები: ბატონი ლეონტი, ბატონი პიმენი, ბატონი დიომიდე, ბატონი გობრონი, ბატონი მიხაკო... ცოტა მოშორებით ნიკოლოზი გარინდულიყო, ჩვეულებისამებრ, ზურგზე ხელებდაწყობილი და ამაყად თავაწეული, თითქოს აქაც გასაშრობად მზეზე გაფენილ თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაობებულ წიგნებს დარაჯობდა, ქათმებმა არ დამისვარონო...

— უყურე შენ! ნიკოლოზიც მომკვდარა — შეიცხადა ელიზბარმა.

— აუ, როგორ ეწყინება ანტონს! — შეწუხდა ლიზიკოც.

— ცოცხალმა იკითხოს, ცოცხალია ცოდო! — რატომღაც გაბრაზდა ელისო.

ამ დროს, თვითმფრინავის ილუმინატორს გარედან რაუდენ კაშელი მოადგა. მოცურავის წვრილი სათვალე ეკეთა და მჭიდროდ მომუწული პირიდან ჰაერის ბუშტულებს უშვებდა. თან გამალებული უსვამდა ხელფეხს, ბაყაყურად. მერე ერთი ხელი თვითმფრინავს მოაბჯინა, მეორეთი შუბლი მოიჩრდილა და ილუმინატორში შემოიხედა. მძახლებმა უნებურად თვალი გაუსწორეს ერთმანეთს. რაჟდენმა ქამარი შეიხსნა, შარვალი ჩაიწია, ადგილზე შემოტრიალდა და ახლა შიშველი უკანალით მოებჯინა ილუმინატორს. ელიზბარი შეცბა. უცებ ვერ მოისაზრა, როგორ მოქცეულიყო, ეცნო მძახალი და რამენაირად გამოეხატა ეს, თუ თავი ისე დაეჭირა, ვითომც ვერაფერს ხედავდა უცნაურსა და გასაკვირს.

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას... ჩვეულებრივი მირაჟია, ტურისტების გასართობი — ქართულად უთხრა სტიუარდესამ ელიზბარს. ხელში სასმელების ჩამოსატარებელი ლანგარი ეჭირა, მაგრამ ამჯერად, რატომღაც, მკვდარი ციყვი ეგდო ზედ, ცალთვალ-გადმოგდებული...

— ქართველი ხართ? — გაუკვირდა, გაუხარდა ელიზბარს.

— არა. ვიყავი. ახლა გერმანელი ვარ. უკვე მესამე წელია — თავაზიანად უპასუხა სტიუარდესამ — კანადელობა მერჩია, მაგრამ ამ ადგილს დავხარბდი — გააგრძელა ხალისიანად — კარგი სამსახურია, მოულოდნელობით სავსე... მე კი, ბავშვობიდანვე, ექსკურსიებზე სიარული მიყვარდა და კიდევ — კარის ჭუჭრუტანებში ჭყიტინი...

— დიდი მადლობა — თქვა ელიზბარმა და მერეღა გაუკვირდა, რისთვის ვუხდი მადლობასო.

— აი, ეს იქნება თქვენი გიდი — უთხრა სტიუარდესამ და ხელი მხარს უკან გაიშვირა.

ელიზბარმა იმის ხელს თვალი გააყოლა და დიდყურა გრიგოლა დაინახა: ცირკის მოსამსახურის უნიფორმა ეცვა და, დარცხვენილი, უშნოდ იჭყანებოდა.

— ყველაფერი მზადაა, ბიძია ელიზბარ, ტურნირი ოთხზე იწყება — უთხრა ელიზბარს.

— აკი სამზეო! — გაცეცხლდა ელიზბარი — მამაძაღლები... ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ...

— ამიტომ, შინ უნდა დაეტიო — თქვა ელისომ, ჭილის ქუდი მოიხადა და იმით გაინიავა წამოწითლებული სახე.

— ჩემთვის სულერთია, სამზე დაიწყება თუ ოთხზე... ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა — თქვა ლიზიკომ.

— შენ ის გირჩევნია, ახლა მაინც მოუყვე მამაშენს, რა მოხდა ქვიშხეთში — შეუღრინა ელისომ.

ელიზბარს შეეშინდა, მართლა არ მოყვესო, და სცადა სასწრაფოდ განემუხტა მოულოდნელი დაძაბულობა.

— ახლა ამის დრო არ არის... აქ არავის აინტერესებს ჩვენი პირადი უსიამოვნებები — შესძახა პათეტიკურად.

— შენი ბრალია ყველაფერი — უთხრა ელისომ.

ბედად, თვითმფრინავი საჰაერო ორმოში ჩაეზანყა და მზის მოციმციმე ლაქა დაფეთებული გადახტა ერთი სავარძლიდან მეორეზე, რათა მაშინვე უკან დაბრუნებულიყო. სალონში სუფთა, გრილი ჰაერის სუნი დატრიალდა და ლიზიკოც მაშინვე გამოენთო მამის დასაცავად.

— დაგავიწყდა შენი ლექციები სიყვარულის სიდიადეზე, სიძლიერეზე, დაუმორჩილებლობაზე?! — უყვირა ელისოს — „ეს შენზე არ არის დამოკიდებული...“ „შენ ან ემორჩილები, ან არ ემორჩილები...“ — გამოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავრა ენის ჩლექვით — მართალი ყოფილხარ. ცამდე მართალი. ვაღიარებ. მაგრამ ემორჩილები თუ არ ემორჩილები, ორივე შემთხვევაში ერთნაირად იღუპები. დაღუპვა გარდუვალია. განა შენც ასე არ დაიღუპე?! სხვას მაინც ვერაფერს გააწყობ, სათამაშო თოჯინა ხარ და მეტი არაფერი...

თვითმფრინავი ისევ ჩავარდა საჰაერო ორმოში და, მეორე წუთას, უკვე მატარებლად გარდაქმნილი, დაფეთებული გამოვარდა გვირაბიდან, თავფეხიანად გაუღენთილი გვირაბისა და ლიანდაგების სუნით. რადიომ სწრაფად გამოაცხადა შემდეგი სადგური. ვაგონის კარი ხმაურით გაიღო და დაიხურა. სადგურს შუშის სახურავი ჰქონდა. სახურავზე მტრედისა თუ ყვავის ჩრდილმა გადაიარა ზანტად. „ცუცა ოდიშარი გვეპატიჟება ქართულ ვახშამზე... ხომ წამოხვალთ?" — თქვა ელიზბარმა. „ჩვენ აქ ქართული კერძების საჭმელად და ქართული სიმღერების მოსასმენად არ ჩამოვსულვართ" — თქვა ელისომ. „ცუცა ოდიშარს ერთხელ მოვუსმინე რადიოში და არ მომეწონა, მაგრამ კარგ ვახშამზე, ქართული იქნება თუ გერმანული, უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი" — თქვა ლიზიკომ, ელისოს ჯიბრით. მატარებელი კი მიქროდა. ხან ერთი მატარებლით მიქროდნენ, ხან მეორეთი და ხან მესამეთი... უსასრულოდ გადადიოდნენ მატარებლიდან მატარებელში და ვაგონიდან ვაგონში და, რაც მთავარია, ყველა ვაგონში მათივე ბარგით იყო ჩახერგილი გასასვლელები. ხან გამაკი ებლანდებოდათ ფეხში, ხან ჩანთა და ხან ჩემოდანი... მაინც ჯიუტად მიინევდნენ წინ, რათა ბოლო ვაგონში არ აღმოჩენილიყვნენ შემთხვევით. „ბოლო ვაგონში არ ახვიდეთ, სახიფათოაო" — აფრთხილებდათ ცუცა ოდიშარის ხმაც. თავად არ ჩანდა, თუმცა, მის მოლოდინში იყვნენ განუწყვეტლივ და, თქვენ წარმოიდგინეთ, მის იმედზეც. მაგრამ განა არ აჯობებდა, ყველა მატარებლისთვის მოეხსნა აქაურ ხელისუფლებას ბოლო ვაგონი, რაკი, მაინცდამაინც, ბოლო ვაგონებს ეტანებოდნენ თურმე აქაური ჯიბგირები და ხულიგნები?! ელიზბარს ერთი სული ჰქონდა, როდის გაუზიარებდა ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს საკუთარ მოსაზრებას ადგილობრივ ჯიბგირებთან და ხულიგნებთან ბრძოლის თაობაზე, და იმასღა შიშობდა, არ დავინყებოდა იქამდე. „მოკლედ, თქვენ უკვე ზრდადასრულებული ქალები ხართ, ჭკუა არ გესწავლებათ, მე კი, როგორმე მივხედავ თავსო" — ეუბნებოდა თავის ქალებს. „ვერაფერსაც ვერ მიხედავო — იცინოდა ლიზიკო — ენა თუ არ იცი, ბრმა ოიდიპოსივით უმწეო ხარ, ნაბიჯსაც ვერ გადადგამ უჩემოდ ამ ქალაქშიო". „როგორ უბედავო" — ბრაზდებოდა ელისო. ერთნაირად აღიზიანებდა, რაც არ უნდა ეთქვა ლიზიკოს. „ძალიან გთხოვ, ნუ ჩაგვერევიო" — უხეშად იგერიებდა ლიზიკოც. „როგორც მამა, რა თქმა უნდა, მხოლოდ შენ გეკუთვნის, მაგრამ როგორც მწერალი, ჩემიც იმდენივეა, რამდენიც შენიო" — სლუკუნებდა სატირლად გამზადებული ელისო. „მე არ მითქვამს შენთვის, მამაჩემის წიგნები აღარ წაიკითხოო — არ ზოგავდა ლიზიკო — მე გითხარი, უფრო სწორად კი გთხოვე, მამა-შვილის ლაპარაკში ნუ ჩაერევი-მეთქი". „უგულოები ხართ ახალგაზრდები, ლიზე, უგულოები... უცებ იცით კაცის გაწირვა" — მოძღვრავდა შვილს ელიზბარი აყვავებული ცაცხვის ხეებით შემოსაზღვრულ ეზოში. სამივენი აღფრთოვანებულნი ათვალიერებდნენ მათთვის გამოყოფილ სახლს, ალბათ საყვარლისთვის აშენებულს გასულ საუკუნეში მდიდარი კაპიტალისტის მიერ. სახლი პატარა გორაკზე იდგა, ტბის პირას, უფრო სწორად, მდინარის პირას, რომელსაც უზარმაზარი ტბა მოეგდო ზურგზე, როგორც ლოკოკინას საკუთარი ნიჟარა. ნაპირთან სასულე ორკესტრი სამეჯლისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკას უკრავდა. ნავმისადგომზე რადიო რაღაცას აცხადებდა. ალბათ ტბაზე გასეირნების მსურველთა საყურადღებოდ. ცაზე კოღოების უსაშველოდ დიდი. გუნდი იკლაკნებოდა შავი ურჩხულივით, იკლაკნებოდა, ბრუნავდა, შიშისმომგვრელად დასტრიალებდა ქალაქს. დიდყურა გრიგოლასა და მანქანის მძღოლს მათი ბარგი გადმოჰქონდათ მანქანიდან. „გამაკი?! გამაკი სად არის?“ – აღელდა ელიზბარი. „ყველაფერი ადგილზეაო“ – დაამშვიდა დიდყურა გრიგოლამ.

– ერთი აივანზე გადით, რა ხდება! რაღა ჩვენი მუმლი და რაღა ამათი კოღო – განაცხადა აივნიდან შემობრუნებულმა ლიზიკომ.

– ნუ გაგვამკაცრებს საკუთარი უბედურება – თქვა ელიზბარმა ზოგადად. თვითონაც არ იცოდა, რამდენად მიესადაგებოდა მისი აფორიზმი ლიზიკოს განცხადებას. „შექსპირს გავს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ბოლოს ჩემი აღმოჩნდესო“ – გააგრძელა გუნებაში.

ხალხი გუნდ-გუნდად მიისწრაფოდა მდინარისკენ. გზადაგზა, პირდაპირ ბოთლებით იყუდებდნენ აქაფებულ ლუდს და მადიანად კბეჩდნენ მსუქან ჰამბურგერებს, საიდანაც ჩვილის განავლის ფერი მდოგვი წვეთავდა. „გლადიატორი საქართველოდან“, „კავკასიის სპარტაკი“ – ეწერა ტრანსპარანტებზე, საითაც არ უნდა გაგეხედათ...

– აბა, დროზე, დროზე! რაღას უყურებ? – შეუძახა ელისომ ელიზბარს და დიდი, ნარინჯისფერი ტაშტი დაუდგა წინ.

– ახლა არ დავიბანე?! – გაუკვირდა ელიზბარს.

– ჩქარა, ჩაყავი თითი, შენი ნებით ჩაყავი, თუ მართალი ხარ! – უყვირა ელისომ და მაჯაში ჩააფრინდა, ძალით წამოაღებინა დაძაბული ხელი ტაშტისკენ. ნარინჯისფერ ტაშტში მდუღარე კუპრი იბუშტებოდა, თუხთუხებდა, ორთქლის ნაკადებს აფრქვევდა. ელიზბარმა ჯერ გაუბედავად ჩაყო თითი მდუღარე კუპრში და ტკივილმა ელვასავით დაუარა მთელ სხეულში. მაგრამ ტკივილი ესიამოვნა და ახლა მთელი მტევანი ჩაყო მაჯამდე. სიამოვნებისგან ოხრავდა, ფრუტუნებდა და, მონაცვლეობით, ხან ერთ ხელს ყოფდა ტაშტში, ხან მეორეს. „ისე, თბილისში რომ ეკეთებინა ცუცა ოდიშარს ქართული კერძები და თბილისში ემღერა ქართულად, იქნებ ამ დღეში აღარ ჩავვარდნილიყავით ყველანიო“ – ეუბნებოდა ელისოს, მადლიერების გრძნობით გულაჩუყებული.

„ამ დღეში ჩავარდნილი“ რომ იხილა მამა, ლიზიკო, ერთი პირობა, გაოგნდა, მაგრამ მალე მოეგო გონს და მშვიდად, მაგრამ ღვარძლიანად ჰკითხა ელისოს: რას ერჩი, რა დაგიშავა, ასე რომ აწამებო. „პატიოსან სიტყვას გაძლევ, თავს ნამდვილად არ მოვიკლავარც ამის და არც შენი გულისთვისო“ – უპასუხა ელისომ. „აღუ, აღუ, შენით ვერ უნდა დაიბანო თავი, ვერა ხედავ, როგორ ჰყავხარ გამოჭერილი?“ – უთხრა ლიზიკომ მამას. ელისომ რაღაც უპასუხა, ელიზბარის მაგივრად, მაგრამ მისი ხმა კატერის ღმუილში ჩაიკარგა. ნაპირთან სამგზავრო კატერმა დაიღმუვლა, გასეირნების მსურველებს მოუხმო, ერთხელ გაბმულად – მუუუუუუ – და ორჯერ მოკლედ – მუ! მუ!

– შენ ის გაღიზიანებს, დედა რომ არ დამიძახნია შენთვის. ხომ მართალი ვარ? – გვერდულად გახედა ლიზიკომ ელისოს.

– სამაგიეროდ, მე ომბრე შეგარქვი, პატარაობისას... ომბრე, ომბრე, ომბრე... ასე გეძახდა მთელი ქვიშხეთი. გახსოვს? – მიესიყვარულა ელისო.

– ღმერთო, როგორ მეჯავრება იქაურობა – გულწრფელად აღმოხდა ლიზიკოს.

– ნუ სულელობ! ღმერთი გვიწყენს! მტკვარი ნამდვილად ფერადი მდინარეა: დილით შავი მოდის, დღისით ყავისფერი, საღამოს კი ლურჯი... – ფიქრიანად თქვა ელიზბარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჯებს ქვემოთ ხორცი გასძვრომოდა და თითების ნაცვლად, უშნოდ დაკრუნჩხულ ძვლებს ათამაშებდა. „მტკივა. მტკივაა. მტკივაააა". – ტირიოდა ბავშვივით. „რა გატირებს, მამა, რა გატირებს?! ასე უკეთესად დაბეჭდავ, აგერ ნახავ" – ამშვიდებდა ლიზიკო. „ელიზბარ, ელიზბარ, ელიაააა" – ტიროდა ელისოც.

– შენ რაღა გატირებს?! – უყვირა ლიზიკომ – შენ რა გენაღვლება?! შენთვის მამაჩემი მხოლოდ მწერალია, სახელოვანი, პატივსაცემი, დასაფასებელი... მასთან ერთად საამაყოცაა ხალხში გამოჩენა, გნებავთ, ემიგრაციაში წასვლა... სალაღობოა თუ რაც არის, უკვე ემიგრაციაში ვართ... ეს არის ყველა ქართველის ოცნება. მამაჩემი რომ არა, შენც თბილისში იჯდებოდი ახლა და არა აქ, ვანზეეში, ტბის პირას, კაპიტალისტის სასახლელში...

– ვანზეე ტბა არ არის, მდინარეა, მდინარის გამონაზარდია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მდინარის ანევრიზმაა – შეუსწორა ელისომ.

– ემიგრაციაც თავისებური ანევრიზმაა, ოღონდ, ხალხის სულისა – ჩაერია ელიზბარიც.

– მაგ პოეტურ ლაპარაკს, გირჩევნია ცხოვრებას შეხედო თვალებში – დასცინა ლიზიკომ.

ელიზბარს არ უპასუხია, თავჩაღუნული იჯდა და ცხვირს აქსუტუნებდა, სურდოიანი ბავშვივით.

– და შენ აპირებ ტურნირში მონაწილეობას?! შენა ხარ ტახის მომრევი?! – ტუჩი აუბზუა გულხელდაკრეფილმა ლიზიკომ.

„ეს არის ასლი მიგელ დე სერვანტეს საავედრას შუბისა, რომლის დედანიც არსად არ ინახება, რამდენადაც არ არსებობს ბუნებაში და არც არასოდეს არსებულა, მხოლოდ და მხოლოდ, მწერლური ფანტაზიის ნაყოფიაო" – თქვა ქალაქის თავმა რადიოში და, იმავე წამს, დიდყურა გრიგოლამ ფოლადის ბუნიკიანი შუბი ელიზბარს მიაჩეჩა ხორცგაცლილ ხელში.

– ვფიცავ! – თქვა ელიზბარმა მღელვარედ და შუბს თვალი ააყოლა შეფარვით. ბუნიკის წვერს მზის სხივი წამოსდებოდა, აბრეშუმის ძაფივით.

ლიზიკოს აშკარად ეწყინა მამის უყურადღებობა, ერთბაშად წამოენთო და წარბები თავისთავად გადაეჭიმა შუბლზე. ისიც კი იფიქრა, ხომ არ ავდგე და წავიდე აქედანო, მაგრამ სად უნდა წასულიყო ამაზე უკეთეს ადგილას. ტბის ლაპლაპა ზედაპირზე ფერადი აფრები გამწკრივებულიყვნენ, სხვადასხვა მხარეს გადახრილები... „სპარტაკ. სპარტაკ. სპარტაკ" – ყვიროდა მდინარის პირას თავშეყრილი ხალხი. ლუდის გახსნილი ბოთლიდან შიშინით ამოვარდებოდა ხოლმე თოვლივით ქათქათა ქაფი და, მადისაღმძვრელად დასვრეტილი, ზანტად ჩამოეწუწებოდა ბოთლის ყელს. მდინარის პირას, პატარა მოედანზე, მაღალი ბალახი ხასხასებდა მწვანედ. ჩრდილოეთურად მსუყე და ნოტიო. მოედნის ერთ ბოლოში ფიცრის გომური იდგა, ძველი და უფერული. კარზე დაჟანგული ბოქლომი ეკიდა.

– ათ წუთში ვინყებთ – ჩასჩურჩულა დიდყურა გრიგოლამ ელიზბარს.

– კი მაგრამ, ჯერ ვლაპარაკობთ, ჯერ არ დაგვიმთავრებია საუბარი... ხომ უნდა ვიცოდე, რა შეემთხვა ჩემს შვილს ქვიშხეთში?! – შესძახა ელიზბარმა და დაბნეულმა მიიხედ-მოიხედა, რადგან უცებ მოეჩვენა, თითქოს ხალხის ზღვიდან ვიღაცა რაღაცას ანიშნებდა – ნეკა თითით რამდენჯერმე მოიფხანა შუბლი – მაგრამ ვერაფრით ველარ გაიხსენა ახლა, რას ნიშნავდა ნეკა თითით შუბლის მოფხანა, თუმცა, გინდაც გაეხსენებინა, განა რამე შეიცვლებოდა?! ოცდათორმეტი წლის შეთქმულებმაც მშვენივრად იცოდნენ ნიშნების ენა, მაგრამ რას მიაღწიეს?! მოღალატემ მაინც ჩვეულებრივ, ასე ვთქვათ, სასაუბრო ენაზე გასცა ისინიც... ორკესტრი კი, თანდათან ეშხში შედიოდა. ჰაერს ზრიალი გაუდიოდა. ნახერხის მაგვარ

სილაში ტიტლიკანა გოგო-ბიჭები თამაშობდნენ. ბიჭები ფრანის აფრენას ცდილობდნენ. ფრანი ჯიუტობდა. ცოცხალივით კი ასავსავებდა გრძელ კუდს, მაგრამ გაუშვებდნენ თუ არა ხელს, მაშინვე სილაში ესობოდა ცხვირით. ხელიხელჩაკიდებული გოგოები წრიულად ტრიალებდნენ ადგილზე. ადგილზე ბზრიალებდა მომაკვდავი ჭრიჭინაც. ამაოდ შლიდა სიფრიფანა ფრთებს და ამაოდ აჩენდა მოვარდისფრო ილლიებს...

— კი მაგრამ, არ შეგეშინდათ? არ მოგერიდათ მაინც? მარტონი ხომ არ იყავით? — ვერ მალავდა თავის გაოცებას ელისო.

— რა გინდა, ელისო, ჩემგან? რამდენჯერ უნდა გითხრა ერთი და იგივე? რა თქმა უნდა, შეგვეშინდა — გულუბრყვილო კეთილსინდისიერებით აღიარა ლიზიკომ — ჩემი დედამთილის გარდა, ყველანი იქ ვიყავით... ჩემს დედამთილს, მაინცდამაინც, არ უყვარს ქვიშხეთი... დიდყურა გრიგოლა და ანტონი ბარგს ალაგებდნენ მანქანაში. ტასო ძალომ თვითონაც არ იცის, როდის სად არის... ჟელეზნი გამაკში იწვა... მაგრამ უკვე აღარ ვეკუთვნოდი ჩემს თავს... ხომ გითხარი?! — გაღიზიანდა უცებ. შეიძლება, შერცხვა თავისივე ნალაპარაკევისა, მაგრამ მაინც გააგრძელა, ახლა უკვე ხაზგასმული პათეტიკურობით — უკვე ბრმად, სიტყვის შეუბრუნებლად ვასრულებდით ზებუნებრივი ძალის ნება-სურვილს...

— უსირცხვილო, უსირცხვილო! — გააწყვეტინა ელისომ, რადგან მთელი არსებით იგრძნო უცებ, როგორ ახრჩობდა მის ქმარს ძლივს მოთოკილი სიბრაზე, როგორ ითრგუნებოდა შვილის სითავხედითა და უსირცხვილობით — არ დაუჯერო, ელიზბარ! გთხოვ! არ გატყდე! — მიუბრუნდა ქმარს — ტყუის ყველაფერს. მე მაგიჟებს, მე მიხეთქავს გულს... ჩემთანა აქვს საქმე... აქამდე ვერ მაპატია... დედაჩემი ცოცხალი იყო, შენ რომ მამაჩემს ეკურკურებოდიო... შენ ხომ მაინც იცი, ელიზბარ! ღმერთო ჩემო! მარტო ჩემმა უბედურმა ქმარმა იცოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა ჩემს გულში და იმიტომაც ჩაექცა სისხლი. გავიდოდი შუა ზღვაში და უკიდეგანო წყალი მარყუჟივით რომ წამიჭერდა კისერში — ელიზბარ, ელიზბარ, ელია-მეთქი — ვყვიროდი გიჟივით... მაგრამ გინდაც გეწყინოს, გინდაც არა, სიმართლე მაინც უნდა ითქვას, თუნდაც აქ, საზღვარგარეთ... მამაშენის აღმა ხნული კაშელებმა დაღმა ფარცხეს... კაშელების ბდღვრიალა ჭაღებს ისევ თაფლის წმინდა სანთელი გერჩიოს ყიფიანების წალოს ხელა სენაკისა, სადაც მე და შენ, მონაზვნებივით, ერთმანეთის ოფლში ვიხარშებოდით ხოლმე ზაფხულობით... აღარ გახსოვს?

— მახსოვს — ფიქრიანად თქვა ლიზიკომ — ყოველ ღამე მინდოდა დამეხრჩვე... ბალიში დამეფარებინა შენთვის პირზე და ზემოდან დაგწოლოდი, ვიდრე გაიგუდებოდი...

— გესმის, რას მეუბნება? — შესჩივლა ელისომ ელიზბარს — დიდი მადლობა. მეტის ღირსი ვარ შენგან — მიუბრუნდა ისევ ლიზიკოს, მაგრამ მაშინვე ხელები აიფარა სახეზე და აქვითინდა. ჭილის ქუდი მოებრიცა, მაგრამ ამისთვისაც აღარ მიუქცევია ყურადღება.

— რა გატირებს, შე დებილო? შენ რაღა გატირებს? თავი ხომ არ უნდა მომაკვლევინოთ, რა გინდათ ჩემგან? — უყვირა ლიზიკომ.

— ხომ ხედავ, რა დღეშია შენი შვილი — ისევ ელიზბარს მიმართა ელისომ. ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა — უშველე რამე, სანამ დროა... მამა ხარ, გემუდარები, გევედრები... ცოდოა, ელიზბარ, ცოდოა... ჩვენი ბრალია, ვერ გავზარდეთ, ვერ ვასწავლეთ ვერაფერი...

— როგორ ვერ მასწავლეთ, თქვენგან ვიცი, რაც ვიცი — გაიცინა ლიზიკომ.

— შენ რომ შემიყვარდი, იცი, პირველად ვის ვუთხარი? ჩემს ქმარს! — გააგრძელა ელისომ — იცი, რომელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ჩემი ყველაზე შემზარავი სიზმარი? ვითომ, ჩემი ქმარი ცოცხლდება და, იმის მაგივრად, მიხაროდეს, თავზარდაცემულმა, აღარ ვიცი, როგორ ვუთხრა, არ გაცოცხლდე, შენთან ველარ ვიცხოვრებ-მეთქი...

– კაი ეშმაკი ხარ, ვინც არ გიცნობს – ისევ გაიცინა ლიზიკომ.

– ეშმაკები კაშელებში მოიკითხე – გაბრაზდა ელისო. მობრეცილი ქუდი გაისწორა, თვალები ხელის ზურგით ამოიმშრალა და ჩვეული ხმით გააგრძელა – სხვათაშორის, შემთხვევით არ შეადარე წეღან მამაშენი ოიდიპოსს... თუმცა, მამაშენზე მეტად, შენ შეგფერის ოიდიპოსობა. ეგაა რომ, ოიდიპოსმა არ იცოდა, რას სჩადიოდა და მაინც დაითხარა თვალები, შენ კი, იცი და მაინც ცდილობ, თვალი დაგვიყენო ყველას შენი განუსაზღვრელი, განუსჯელი, განუკითხავი თავისუფლებით...

– რა გინდა ჩემგან, ელისო? რა გინდათ ჩემგან? მეჯავრებით ყველანი! – იყვირა ლიზიკომ.

– ელიზბარ, ელიზბარ, ელიაა – ისევ აქვითინდა ელისო.

– გაჩუმდით! – ბრძანა ელიზბარმა და შუბის ბოლო ხელმწიფურად დაჰკრა იატაკს – გაჩუმდით – გაიმეორა, უკვე შემრიგებლურად – ნუ გადავრევთ ამ უცხო ხალხს... ნუ ვათქმევინებთ, ეს ვინ ყოფილანო...

– მე არავისი არ მრცხვენია, რაც უნდათ, ის თქვან – გაჯიქდა ლიზიკო.

– ელიზბარ, ელიზბარ, ელია ა ა – მოთქვამდა ელისო.

– ელისო, ელისო, ელისუკა – დაუყვავა ელიზბარმა – ხომ იცი, არც მიწისა ვარ, არც ცისა... შენ მაინც დამზოგე... ნუ მიმატოვებ განსაცდელის ჟამს...

– რა რა დავაშავე მე ელიზბარ შვილი შვილი შვილივით მიყვარს თავს თავს თავს მირჩევნია ან შენ ან შენ როგორ უნდა მიგატოვო იცი რას მეუბნება ხოლმე შენი პირველი ცო ო ოლი?! ყოჩაღ ქალი შენ ყოფი ყოფილ ყოფილხარო... რომ მიგა მიგა ტოვო იცი რას მეტყვის?! ფუი ფუი ფუი შენს ქალო ქალო ბასო... – სლუკუნებდა ელისო.

– შენ ისე ჭრი და კერავ, როგორც ხელს გაძლევს – თქვა ლიზიკომ და სარკის წინ დაბზრიალდა – უი, რაღაცაში ჩავმჯდარვარ. ნახეთ, რას მიგავს შარვალი!

– როდემდე უნდა იარო ასე, თბილისელი ხულიგანივით, ჩაიცვი კაბა, სირცხვილია, სტუმრად ვართ მაინც – უთხრა ელიზბარმა და „საერთოდაც დროა, მოვემზადოთ ყველანი, მძიმე დღე გვიდგას, დამთავრდა ჟამი ქვების მოგროვებისაო" – გააგრძელა გუნებაში.

– თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავ... აღარ შემიძლია მეტი – თეატრალურად შეჰყვირა ლიზიკომ და ჯინსის ჯიბიდან სამართებელი ამოაძვრინა. გახსნილი სამართებელი მინი ელვასავით გაკრთა მის ხელში.

„დროა" – გაიფიქრა ელიზბარმა და დიდყურა გრიგოლა მოიძია თვალით, მაგრამ ვერსად მიაკვლია მის ყვითელ ლივრეასა და მწვანე შარვალს.

– დროა! – თქვა ხმამაღლა და ერთხელ კიდევ შეათამაშა შუბი ჰაერში.

მერე თავდაღმართში მიდიოდნენ და ცდილობდა მშვიდად, აუჩქარებლად ჩაეთავებინა დაღმართი, რაც არც ისე იოლი საქმე გახლდათ, რადგან, ყველა სიკეთესთან ერთად, ვიწრო ბილიკი ცოცხალ არსებასავით სხმარტალებდა ფეხქვეშ. ქვემოთ ხალხის ზღვა ტორტმანებდა. სასწრაფო დახმარების მანქანა წივილ-კივილით შევარდა ხალხში. ეტყობა, ვიღაცას გული შეუღონდა სიცხისგან, ანდა მღელვარებისგან... ხალხის ზღვა ყრუდ გუგუნებდა, ხოლო მდინარის მხრიდან მოულოდნელად ორკესტრის ხმა შემოიჭრებოდა ხოლმე და ასევე მოულოდნელად ჩაიკარგებოდა სადღაც. მზე ბრჭყვიალებდა ყველაფერზე, რასაც კი მისი არეკვლის უნარი ჰქონდა მინიჭებული ბუნებისგან. ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდვილი ზაფხულის დღე იყო, ქვიშხეთური. ელიზბარს რომ უყვარს, ისეთი. გულივით გაუდიოდა ბაგაბუგი დასიცხულ ჰაერს. ყველა ხე, ყველა ბუჩქი თავისებურად ზუზუნებდა, ბზუოდა, სისინებდა, ათასნაირ მწერდასეული. ბიბინებდნენ მდელოები, ფარდაგებივით ჩაფენილნი კორომებს შორის. შორს, ტბის სარკისებური ზედაპირი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. ეს წუთია გამსკდარი მაშხალის ნაპერწკლებივით ირეოდნენ ერთმანეთში პეპლები, ფუტკრები, კრაზანები, ნემსიყლაპიები, კოღოები, ხოჭოები... ციყვი ნაძვის გირჩს შეექცეოდა გამალებით, თითქოს დრო აქვს განსაზღვრულიო, თითქოს სადაცაა, ტყვია უნდა დაახალონ თვალშიო. და მაინც, მძიმე, ამაფორიაქებელი დაძაბულობა სუფევდა ამ, მართლაც, ზღაპრულ, სამყაროსგან თითქოს თავისი განუმეორებელი სილამაზით გამოყოფილ მიწის ნაგლეჯზე... თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო, კიდევ უარესი... ანდა, უკვე მომხდარიყო, მაგრამ ჯერ აქამდე არ მოეღწია მის დამაქცევარ გამოძახილს... თავს არ იზოგავდა ჭრიჭინების ორკესტრი — ზაფხულის პეწი — მაგრამ, დახეთ, ალვას უკვე შეჰყვითლებოდა კენწერო. „რა ლამაზია, ეს შეჩვენებულიო" — მღელვარედ გაიფიქრა ელიზბარმა. ესე იგი, ადრე თუ გვიან, ეს ზაფხულიც მიინურებოდა. მოახლოვდებოდა შემოდგომა. შემოდგომა ყველაფერს გადათიბავდა. შსშსშ... სშსშს... შსშსშ...სშსშს... ანტონს უყვარს ცელის ხმა. ელიზბარსაც უყვარს. „გეშინოდეთ, ბატონებო, შემოდგომისაო" — ფიქრობს გუნებაში. თანდათანობით სიცოცხლე სიკვდილში გადაიზრდება. ბუნებისთვის — კიდევ ერთხელ, ელიზბარისთვის და მისნაირებისთვის — ერთხელ და სამუდამოდ. რასაკვირველია, მტკივნეული პროცესია. ალბათ ბუნებისთვისაც, მაგრამ ბუნება არ იმჩნევს. მშვიდად შფოთავს. უფრო სწორად, ხან ჭოტის პირით ამბობს თავის საწუხარს, ხან ბაყაყის და ხან ძროხის... კუთავს, ყიყინებს, ზმუის... მტკივნეული პროცესია, შემაშფოთებელიც, შემაწუხებელიც. რაც მთავარია, დამაეჭვებელიც. „სად მიდიხარ, რო მიდიხარ?!" — ფიქრობს ელიზბარი. მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც მოგიწევს სერიოზული გადაწყვეტილების მიღება. მთავარია, არ შეგეშალოს. მეორეჯერ აღარ იქნება. სჯობს, გაბითურებული დაიღუპო, ვიდრე გადარჩენილი გაბითურდე. საკმარისზე მეტია, რაც დათმე, რაც მოითმინე (თუნდაც, შვილის გამო). მაგრამ, გათავდა! აივსო მოთმინების ფიალა. ზედმეტ წვეთს ზღვაც ვერ იტანს, ისიც გადმოდის ნაპირებზე, ცოფდება, დუჟმორეული მისდევს ჭრელაჭრელა პირსახოცებიანა და რეზინის გასაბერი ლეიბებიანა წამოცვენილ და აწივლებულ დამსვენებლებს. გაუთამამდნენ ძალიან. თავზე დაასხდნენ. მსახურად გაიხადეს. დააავიწყდათ, ისიც რომ ადამიანია, გული აქვს, ღირსება, სიამაყე... ხოდა, თვითონ იცის ახლა! იმის ნაცვლად, ხელი არ ჩამოერთმია, ზურგი შეექცია სამშობლოს მძორის მატლისთვის, შვილი აჩუქა, შვილი მიუგდო საჯიჯგნელად. ვინც სამშობლოს მოღალატეს ხელს ართმევს, თავადაც მოღალატეა. „ეს გადამდები სენია, მეგობრებო" — ფიქრობს ელიზბარი. შეხებითაც გადადის. ამიტომაც დალპა ქვეყანა ზეზეურად. გარჩევა არ არის. ყველას ეშინია, არ იფიქრონ, ეშინიაო და, მეორე წუთას, უკვე იმათნაირია თვითონაც, მისდაუნებურად, მაგრამ მაინც შეგნებულად, რადგან იცის, როგორ არ უნდა მოიქცეს და მაინც ისე იქცევა, როგორც არ მოიქცეოდა, მეტი სიმტკიცე და ღირსება რომ შეენარჩუნებინა. კი არ უნდა დანათესავებოდა, თავიდანვე უნდა მოეკვეთა (წელი რომ ჰქონოდა!), როგორც დამპალი კიდური... ამოეშანთა, როგორც წყლული, სიმსივნე... ღრმად, საიმედოდ ჩაემარხა მიწაში, რადიაციული ნარჩენებივით... „ღარიბი, მაგრამ პატიოსანი ცხოვრებაა ერთადერთი ხსნაო" — ფიქრობს ელიზბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ის ჩაუწყნარებთ ყველა სატკივარს და, ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, ენითუთქმელი შვებითა და ნეტარებით იგრძნობენ... თუმცა, არა, ისინი ალბათ ვერ იგრძნობენ, მაგრამ ისტორიული სიბინძურიდან პეპელასავით ამოფრინდება მათი განწმენდილი და, რაც მთავარია, გადარჩენილი სული...

„სიტყვას ხომ არ გვეტყვით, ვიდრე დავიწყებდეთო" – შეეკითხა ელიზბარს ქალაქის თავი, რადიოს მეშვეობით.

– დიახ. მადლობთ... – აღელდა ელიზბარი. იგრძნო, უაღრესად მნიშვნელოვანი წუთი დგებოდა მის ცხოვრებაში, ფრიად საპატიოც და ფრიად სახიფათოც... არაფრის მცოდნეთათვის უნდა წარედგინა არაფრის მქონენი – არც სახელის, არც წოდების, არც მამულის... მისი ორატორული მონაცემები ნამდვილად არ ეყოფოდა ამ საქმეს, მაგრამ მაინც უნდა ეღონა რამე, ნემსის ყუნწი გამძვრალიყო, ცეცხლში ჩავარდნილიყო, მიწა გაეხეთქა, ცისთვის კარი შეება და პირნათლად მოეხადა ვალი უბედური სამშობლოს წინაშე – დიახ. მადლობთ... – გაიმეორა, დროს მოსაგებად. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ ფრაზას. თუ თავიდანვე ვერ დააინტერესებდა ამ უცხო ხალხს, ლუდის, მზისა და მდინარის სუნით გაჟღენთილი, თავადაც სტიქიასავით რომ ტორტმანობდა მოედნის გარშემო, მერე ველარაფერს გააწყობდა, არათუ არ მოუსმენდნენ, შეიძლება კინწის კვრითაც გაეგდოთ აქედან. ფაცაფუცით, უსიტყვოდ შეევედრა გუნებაში ყველა ქართულ სალოცავს, წარმართულსაც და ქრისტიანულსაც, და დაიწყო: გილგამეშთანაც მიკამათია... (სამარისებური დუმილი ჩამოვარდა). ტროას ცხენზე ვმჯდარვარ... (დუმილი კიდევ უფრო დაიძაბა). ბაბილონის ბორდელში მიჩხუბია მთვრალს... (ატყდა და რა ატყდა: სტვენა, ყიჟინა, ტაში... და უფრო თამამად გააგრძელა). თქვენი დიდი ფრიდრიხი ჩვენს პატარა კახს უტოლებდა თავს... (ამჯერად, უფრო სახიფათოდ დაფუმდა ხალხი და ელიზბარიც სასწრაფოდ შეეცადა დაძაბულობის განმუხტვას). მე მინდოდა მეთქვა, თქვენი დიდი ფრიდრიხი არასწორად იყო ინფორმირებული ჩვენი პატარა კახის გაბარიტების თაობაზე-მეთქი... (ხალხმა გაიცინა). იცით, რატომ? ჩვენი მტრები ატყუებდნენ, რაში ჭირდება შენი მიხმარება, იქით ანიოკებს სპარსეთსა და ინდოეთსო... არადა, სკამიც არ ჰქონდა, ზედ რომ ჩამოედო უკანალი (ხალხმა ისევ გაიცინა). ახლაც იგივე გრძელდება. თქვენ არაფერი იცით, რადგან რაც იცით, იმიტომ იცით, ის რომ არ იცოდეთ, რისი ცოდნაც აუცილებელია ჩვენთვის (ვილაცამ დაუსტვინა). კი ბატონო, მოვეშვათ პოლიტიკას. მაგრამ მთელი ჩემი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ანტონ კაშელი მამის მომრევი არ არის. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ და თავად განსაჯეთ. იცით, რას განიცდის? წესიერ და პატიოსან კაცად არ ჩამთვალოს ვინმემო, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, წესიერი და პატიოსანი ადამიანია. წესიერებაა მისი მთავარი ნაკლი და პატიოსნების გამო ისჯება... იმედია, მიკერძოებაში არ ჩამომართმევთ, თუმცა, ჩემი სიძეა და ვიდრე სიძე გახდებოდა, გულითადი მეგობრები ვიყავით. მაგრამ ჭეშმარიტება მეგობრობაზე მაღლა დგას. ჭეშმარიტება კი ანტონის საზიანოდ მეტყველებს. კოსმოპოლიტთან პატრიოტია და პატრიოტთან კოსმოპოლიტი. იცით რატომ? იმიტომ რომ, თქვენგან განსხვავებით, უსამშობლოდ გაიზარდა, თუმცა, ფეხიც არ გაუდგამს სამშობლოს გარეთ. უბრალოდ, ისე კარგად შეუნიღბეს უფროსებმა სამშობლო, ვერ მიაკვლია, როგორც შავ კატას ბნელ ოთახში. უფრო სწორად, ქვიშხეთელი ბიბლიოთეკარის, გიჟი ნიკოლოზის წიგნებში მიაკვლია მხოლოდ. ამიტომ, არც თქვენთვის წარმოადგენს რამეს. თქვენთვის არ არსებობს-მეთქი, მინდოდა მეთქვა. თუმცა, რასაკვირველია, ნამდვილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს. აკი გითხარით, სიძეა ჩემი. უბრალოდ, თქვენ ვერ ამჩნევთ, როგორც შავ კატას ბნელ ოთახში... ახალგაზრდობა ჩვენი ხვალინდელი დღეა, მაგრამ ჩვენი ხვალინდელი დღე დიდად არის დამოკიდებული თქვენს დღევანდელ გუნება-განწყობაზე. მთავარია, გაერომ დაგვზოგოს, თორემ ევრობანკი ყოველთვის მოგვცემს სამიდან ერთს... უფრო სწორად, სამს მოგვცემს, ორს უკან წაიღებს... ორი თვითონ, ერთი ჩვენ... იმ ერთისთვისაც დიდი მადლობა... თითქმის არაფერში... მაგრამ მთელი ჩემი პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, საქართველოში ქართველის გარდა, ჯერჯერობით არავინ დაჩაგრულა. რაც დიქტატურამ დაგვაკლო, დემოკრატიამ შეგვითავა... მოკლედ, ჩვენ შინიდან გავრბივართ, სხვები ძალით გვივარდებიან შინ. მაგრამ ეს ვისი რა ბრალია?! ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს. და მთავარია, არ დაირღვას დემოკრატიული პრინციპები; ანუ, არც ჩვენიანს დავუშალოთ გაქცევა და არც უცხოს — ჩვენს ჭერქვეშ დამკვიდრება... მოყვრად მოსული სტუმარი კი არა, ვერცერთი ჩვენი დაუძინებელი მტერიც ვერ იტყვის, კუდამოძუებული გამომაბრუნეს უკანო... დიახ, ჩვენ ვარსებობთ, მაგრამ არ ვჩანვართ... ვიდრე ჩვენს ბინებშიც არ აინთება სინათლე... მადლობთ ყურადღებისთვის...

ხალხს უფრო შვების ოხვრა აღმოხდა, ვიდრე თანაგრძნობისა, თუმცა, აქა-იქ, კანტი-კუნტად, ტაშიც გაისმა.

„მადლობთ, უფალო, ძალა რომ მომეცი და ბოლომდე მათქმევინე სათქმელიო“ — ფიქრობდა საკუთარი თავით ფრიად კმაყოფილი ელიზბარი და ელისოსა და ლიზიკოს დაეძებდა ხალხში თვალით, მაგრამ ვერ ხედავდა, ისე იყო დაბრმავებული წარმატებისგან. სამაგიეროდ, ისინი ხედავდნენ, მაღლა აწეულ ცერებს აჩვენებდნენ და ჰაეროვან კოცნებს უგზავნიდნენ შორიდან. მისი ასეთი ჭკვიანური და თამამი გამოსვლით მოხიბლულებს, უფრო ამაყად და გამომწვევად ეჭირათ თავი.

— მე უკვე მზად ვარ! — თქვა ელიზბარმა ხმამაღლა.

„გააღეთ... გამოუშვითო“ — მაშინვე იყვირა ქალაქის თავმაც რადიოში და დიდყურა გრიგოლა თავპირისმტვრევით გამოვარდა ნაპირზე გამართულ ღია ბუფეტიდან. თან გზადაგზა იღეჭებოდა და ხელის ზურგით იწმენდდა მდოგვით მოთხუპნულ პირს. ხის გომურთან მიირბინა, ჟანგიანი ბოქლომი გახსნა და სიბერისგან თუ სიბრაზისგან აღრჭიალებულ-აჭრაჭუნებული კარის ორივე ფრთა ერთდროულად გამოაღო. თვითონ, ერთერთი ფრთის უკან იმალებოდა, ვიდრე მწვანე მინდორზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდნენ ერთმანეთს ელიზბარი და მისი გაპირუტყვებული მძახალი.

— ავე, ცეზარ, მორუტური ტე სალუტანტ! — შესძახა ელიზბარმა რომაელი გლადიატორივით და შუბი თავს ზემოთ შემართა.

გომურის კარის ჭრილიდან თანდათანობით გამოიზლაზნა ჩახუთული, ორთქლიანი წყვდიადი და უცებ, საზარელ, ბანჯგვლიან არსებად გადაიქცა: ერთსა და იმავე დროს, რაჟდენ კაშელიც იყო და გარეული ტახიც, ობოლ ბიჭებს რომ გამოედევნებათ ხოლმე შესაჭმელად ქართულ ზღაპრებში, ეშვებიანი, ტალახიან ქეჩოზე ჯაგარაშლილი...

— შინ ვერაფერი დამაკელი, ვერც შენი ჯადოსნური სავარცხლით, ვერც შენი ჯადოსნური სარკით, ვერც შენი სალი ქვით, და ახლა ამათი ხელით მისწორდები არა, შე სუკის აგენტო — ღვარძლიანად შეუღრინა ელიზბარს.

— ვფიცავ! — მტკიცედ თქვა ელიზბარმა და შუბის წვერი ტახს მიუშვირა.

„დრანგ ნახ ოსტენ!“ — იღრიალა ხალხმა.

ტახი ცუხცუხით უვლიდა მოედანს ირგვლივ და ტლანქი, ღონიერი ჩლიქებით თხრიდა ბალახს. ტახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაჩლიქარებმა ერთბაშად დააუშნოვა იქაურობა. მოთხრილი ბალახის ადგილას სველმა, აზელილმა მიწამ გამოაჭყიტა შავად. „ოლლე, ოლლე, ოლლე" – ღრიალებდა ხალხი, ხოლო, ტახმა, ტახისგან მოულოდნელი სიმსუბუქით, კამარა შეკრა და ელიზბარისკენ გაფრინდა, ეშვებალაპლაპებული. ელიზბარმა გვერდზე გახტომა მოასწრო, მაგრამ ტახმა მაინც გაჰკრა მხარში ეშვი და პერანგი ხორციანად გაუგლიჯა. სისხლმა მაშინვე ჩამოუშავა მთელი სახელო და დაბნეულმა ელიზბარმა ელისოს გახედა. „არ გატყდე, ელიზბარ, არ გატყდე! ბალახი მოისვი და მოგირჩება"! – დაუძახა ელისომ. მართლაც, ელიზბარმა ბალახი მოგლიჯა, ჭრილობაზე მოისვა და ჭრილობამაც მაშინვე შეიკრა პირი. ხელის მტევვნებზეც ისევ აესხა ხორცი. „აი, ამიტომაც აქვთ უცხოელებს კარგი წამლებიო" – გაიფიქრა გულმიცემულმა ელიზბარმა და ესიამოვნა საკუთარი იდაყვით საკუთარ ნეკნებზე მიჭერილი შუბის ტარის მრგვალი სიმკვრივე. ტახი წვრილი, ჩაწითლებული თვალებით უყურებდა და ალბათ მორიგი შეტევისთვის ემზადებოდა. „ახლა გამოჩნდება, ვართ თუ არა ღირსნი თავისუფლებისაო" – გაიფიქრა ელიზბარმა მღელვარე სიამაყით. „მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსაო" – დაუძახა ლიზიკომ რაჟდენს. ელიზბარი მზად იყო საამისოდ. ძველი ქართული ტექსტების მიხედვით, მამასა და საყვარელს შორის, ქალიშვილს აუცილებლად საყვარლის მხარე უნდა დაეჭირა. მაგრამ მაინც გაკვირვებულმა და, ცოტა არ იყოს, გულნატკენმაც გახედა შვილს, სულ ერთი წამით, მაგრამ ტახისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, ყუმბარასავით რომ დასძგერებოდა გულმუცელში და პირაღმა გადაექცია ატალახებულ მინდორზე. ელიზბარს შუბი ხელიდან გაუვარდა. ხალხის ზღვამ ყრუდ ამოიგმინა. ტახი წინა ფეხებით მკერდზე შეადგა წაქცეულ ელიზბარს და დორბლიანი დინგი მტკივნეულად ამოჰკრა ნიკაპს ქვეშ. მარცხენა ყური ლამის აახია ეშვით. მაგრამ ელიზბარს, რატომღაც, ესეც ესიამოვნა. „ღმერთო, ღმერთო, რა კარგიაო – ფიქრობდა სანახევროდ გონდაკარგული – რა ჯობია, იწვე ასე შენთვის, ტრიალ მინდორში... არც იცოდე სად და არც იცოდე რატომ... შორს, შორს ყველასგან და ყველაფრისგან, მტრისგანაც და მოყვრისგანაც, უცნობისგანაც და ნაცნობისგანაც, ტყუილისგანაც და სიმართლისგანაც, გაავაზაკებული პოლიციელისგანაც და გაპოლიციელებული ავაზაკისგანაც... ყველაფრისგან... ღმერთო, დიდებულო... ყველაფრისგან, რაც შენამდეც იყო და შენს მერეც იქნება... გაპარტახებულ სოფლებისგან, გაჩეხილ ვენახებისგან, გაუპატიურებულ გოგოებისგან (და არა მარტო გოგოებისგან), ცოცხლად დამწვარ ბიჭებისგან (და არა მარტო ბიჭებისგან), ღრმად, ტკბილად, მყუდროდ მძინარე მშობლიური ხალხისგან და ქვიშხეთური ზაფხულებისგანაც კი... ყველაფრისგან, რაც შეგნებულად გვრყვნიდა და გვამზადებდა ამ შერცხვენისთვის... ამ მონური განცხრომისთვის..." ხოლო, ვიდრე ელიზბარი ასე ფიქრობდა, ზედ გადაბოტილმა ტახმა ცხელი, ორთქლიანი და მყრალი შარდი გულ-მკერდზე დააქცია. მაგრამ ელიზბარს ესეც ესიამოვნა და სიამოვნებისგან თვალებიც კი დახუჭა, ჩაიძირა, ჩაეფლო ამ ამაზრზენი სიამოვნების შლამში. „მამა, მამა, მამა!" – ჩაესმა უცებ შვილის ხმა და დაფეთებული წამოვარდა ფეხზე. არანაკლებ დაფეთებული ტახიც მაშინვე გვერდზე გახტა და გაგულისებულმა მიწა მოჩიჩქნა დინგით. „კახპავ, კახპავ! შენა ხარ ჩემს მკვლელებში ყველაზე მეტი მკვლელიო" – დაუძახა ლიზიკოს და თავაღერილი, ეშვებაელვებული, ისევ ელიზბარს მიეტანა. ელიზბარმა შუბის აღება კი მოასწრო, მაგრამ წესიერად ვერ მოიმარჯვა, შეტრიალებული ეჭირა, წაღმა-უკუღმა, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებული შეიქნა, მისკენ გამოქანებული ტახისთვის შუბის ტარი დაეკრა დინგზე. გამწარებულმა ტახმა თვალებიდან ნაპერწკლები გაჰყარა, წონასწორობა დაჰკარგა და, აჭყვირებულმა, ხალხის ზღვისკენ გადაუხვია. ხალხის შეშინებულმა ზღვამ უკან დაიხია. მაგრამ ელიზბარმა, ამასობაში, შუბი გაასწორა და შუბის წვერი ატაკა ტახს თეძოში. ტახმა კიდევ უფრო დაიჭყვირა და ისევ მისკენ შემობრუნდა. „დამჭერი ხომ, შე დამპალო... ხელში დაგაჭერინებ ნაწლავებს..." – დაემუქრა რაჟდენი ელიზბარს და, გამწარებულმა, სამ ფეხზე შემოურბინა მოედანს. მეოთხიდან სისხლი სდიოდა. „ოლლე, ოლლე, ოლლე" – ღრიალებდა ხალხი. „აი, ასე გესმით თქვენ თავისუფლება – თქვა რაჟდენმა – ყველას ცხვირი ჩააყოფინეთ თქვენს სიბინძურეში". „ძალიანაც კარგი. ყველამ გაიგოს, რა დღეში ვართ" – უპასუხა ელიზბარმა. თან თვალს არ აშორებდა და მთელი ძალით ბღუჯავდა შუბის ტარს. კვლავაც მზად იყო საომრად, თუმცა, თავფეხიანად ტალახში ამოგანგლული და ტახის შარდის სუნით აქოთებული, ძლივსღა იდგა ფეხზე. „მე შენ ერთხელ, მართლა მიყვარდი, შე დებილო" – დაუძახა ლიზიკომ რაჟდენს. „შენც გეტირება დედა, ძირგავარდნილო გომბიო, ოჯახის ბოზო... ქუჩაში ნაგაყუდებენ აქ..." – დორბლთან ერთად ამოაფრქვია რაჟდენმა და ბრაზიანად მოჩიჩქნა მინა წინა ფეხებით. „ოლლე, ოლლე, ოლლე" – ღრიალებდა ხალხი. ტიტლიკანა ბიჭებს, როგორც იქნა, აეშვათ ფრანი და ახლა, უკან გადაზნექილები, სილაში კოჭებამდე ჩაფლულები, დაძაბულობისგან დასერიოზულებულნი ეკიდნენ გაჭიმულსა და გაბრწყინვებულ თოკს. სიმივით დაჭიმულ თოკს ელიზბარმა თვალი ააყოლა და ანტონი დაინახა. ხელებგაშლილი ტივტივებდა ჰაერში. თურმე, ფრანი კი არა, ანტონი ეკავათ ტიტლიკანა ბიჭებს თოკით.

– ანტონ! – გაუკვირდა ელიზბარს, მაგრამ მაშინვე აარიდა თვალი, არ დაინტერესდა ზედმეტად. ჯერ ტახთან დასამთავრებელი ჰქონდა ორთაბრძოლა, მეორეც ერთი, არ უნდოდა მის ქალებსაც ენახათ, ფრანივით, ცაში მოლივლივე ანტონი. მაგრამ ეტყობა, იმათაც შეემჩნიათ უკვე:

– ჩამოდი ძირს, შე დებილო! ცაში ავფრინდე და, იქაც დამაბან?! – დაუყვირა ლიზიკომ.

– ეგ ხვალინდელი საქართველოა, არ აყვება თქვენი ფეხის ხმას, არ გადავა მამის გზიდან! – შესძახა რაჟდენმა და გავეშებული გამოენთო.

ელიზბარიც მზად დახვდა, შიგ დინგში ატაკა შუბის წვერი და, შენი ბედი, კაცის მოკვლა რომ არ შემიძლიაო – უთხრა ტკივილისგან გამწარებულსა და დაღლილობისგან აქოშინებულ ტახს. „ხიიი ი ხიიი ი ხიიი ი" – ხიხინებდა ტახი. „პოლისე ვერსო" – ერთხმად შესძახა ხალხმა. „მაგიტომ ვართ, მამა, ამ დღეში, კაცის მოკვლა რომ არ შეგვიძლია" – დაუძახა ლიზიკომ ელიზბარს და ქალიშვილის გადმობირებით გულმიცემულმა ელიზბარმა კვლავ მთელი ძალით ჩაბღუჯა შუბის ტარი და შუბის მომლოდინე, მოლოდინისგან უარესად გაბასრებული ბუნიკი ამჯერად ფერდში აძგერა ტახს და შუბის ბუნიკმა დამპალი ქსოვილივით იოლად გახია ნადირის ხორცი ნეკნებს შორის და წვეტიანი წვერით მისწვდა ნადირის გულს და ნადირის გული ტკივილისგან ერთბაშად შეიკუმშა და ვეღარ გაიშალა და შუბის ტარს – როგორც ლუდის ბოთლის ყელს დასვრეტილი ქაფი – მოულოდნელი, მოუთოკავი სისწრაფით ჩამოეწუწა ცხელი, ალისფერი სისხლი და, ერთი წამით, ყველაფერი გადაწითლდა ირგვლივ, სუნთქვაშეკრული ხალხის სახეებიც, ორკესტრის ბრჭყვიალა ინსტრუმენტებიც, ტიტლიკანა გოგო-ბიჭებიც, ტბის ზედაპირზე გამწკრივებული იალქნებიც, ჰორიზონტიც, ცაში მოლივლივე ანტონიც, თავად ცაც... ყველაფერი... და სისხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის შედედებული, ერთბაშად ფერშეცვლილი ნაფლეთებით მოიფინა ოდესღაც მწვანედ მოხასხასე და ამჟამად შავად გადაჩიჩქნილი მოედანი და თვალგაშეშებულმა, ენაგადმოგდებულმა ტახმა ოდნავ გააქნია ცისკენ აშვერილი, გაბურძგნული ფეხი და სამუდამოდ გაქვავდა. „პრო პუბლიო ბონო" – შესძახა ხალხმა. „მამა, მამა, მამიკო" – ყვიროდა განთავისუფლებული, გაბედნიერებული ლიზიკოდა გაშმაგებული კოცნიდა ტახის სისხლსა და ტალახში ამოთხვრილ მამას. მკვდარი ტახის გარშემო ტიტლიკანა გოგონები ფერხულს უვლიდნენ. ტახის ეშვებზე ჩამავალი მზის სხივი ციმციმებდა. ტახის სისხლის გუბეს დიდი, მოლურჯო-მომწვანო ბუზები ეხვეოდნენ. „ტახის თავი ქვრივისაა" – თქვა ელიზბარმა ხულგრძელად. „დიდ ოთახში დაიკიდოს, ბუხრის თავზეო" – გააგრძელა გუნებაში. „რას განიცდით ამ წუთშიო" – ჰკითხა ქერათმიანმა ჟურნალისტმა გოგონამ და უზარმაზარი, ტახის ფეხივით გაბურძგნული მიკროფონი ახლოს მიუტანა პირთან. „არც მამაჩემია რომაელი გლადიატორი და არც ეგ იყო გარეული, ბავარიის ჭალებში გაზრდილი ტახი, ორივენი ბედკრულ საქართველოს შვილები არიანო" – ჩასძახა ლიზიკომ მიკროფონს, მამის მაგივრად. „ელიზბარ, ელიზბარ, ელიაااა ა" – ყვიროდა ელისო, მაგრამ ვერაფრით ვერ მიახლოვებოდა ელიზბარს, პირიქით, ხალხის ამოძრავებულ, ატორტმანებულ ზღვას სულ უკან და უკან მიჰქონდა, ითრევდა თავის წიაღში და მალე საერთოდ გაქრებოდა ელიზბარის თვალსაწიერიდან...

შეშინებულმა ელიზბარმა თვალები დააჭყიტა.

„ნუ გეშინია, ელიზბარ... უკვე ყველაფერი კარგად არის... ეს წუთია დარეკეს საავადმყოფოდან... ლიზიკოს ვენები გადაუჭრია" – ფაცაფუცით უთხრა ელისომ და აქვითინებული დაემხო მკერდზე...

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ერისთავი

ჩემი ფიქრის შუქ-ჩრდილები

ქარის წისქვილები, ანუ — მოლაქლაქარნი

1

რა გამეტებით ქრიან ქარები
და ნაირნაირ ქარის წისქვილებს,
იმათ ფრთებსა და იმათ დოლაბებს
შემოდგომიდან შემოდგომამდე
რა ძალითა და რა სიჩქარით
ატრიალებენ!

აგაშენებენ ეს დოლაბები,
ეს წისქვილები ამ ქარისანი,
მათი ზრუნვა და მათი მიზანი
რარიგ დიადობს!
ნეტავი იმას, ვინც მათ მიანდობს
იმედს ხვალისას.

რა შემართებით, რა გაშმაგებით
ფქვავენ და ფქვავენ ულეველ საფქვავს!
არავინ არ თქვას, არავინ არ თქვას,
რომ ძალისხმევა მათი ფუჭია;
ეს წისქვილები, ქარით რომ ფქვავენ,
დღესა თუ ხვალე, დღესა თუ ხვალე,
ეჭვებს უჯიათს
უეჭველად გააქარვებენ.

2

ყური არ უგდოთ სარეკელას
და იმის ჭორებს —
სულ რაკარუკით, რაკარუკით
რომ იმეორებს:
— ქატოა მარტო, ქატოა მარტო,
სხვას ნუ ელიო,
ცარიელია ხვიმირაო,
ცარიელიო,
ქატოა მარტო და დოლაბი
მორახრახეო.
მოდი და ნახე, თუ არ გჯერა,
მოდი, ნახეო!

3

მიველ და ვნახე, —
ცარიელი დამხვდა ხვიმირა,
თვალს და ხელს შუა გაცამტვერდა
ქარის ქიმერა.

თქვა სარეკელამ:
— ბედმა თავში რომ გითაქაო,
ვერ გაიგონე? — ფქვილი იქა,
ქატო აქაო?

თქვა სარეკელამ რაკარუკით —
რა, რისთვის, რატომ —
და ყველა ეჭვი უჯიათი
ისევ მოლაგდა:
ოი, ეს ქატო, ოი, ეს ქატო,
და უმაქნისი ბრუნვა დოლაბთა!

ეჭვის ჭია

კვლავ მოედება მაღალ ხეებს
ფითრი და სურო,
და ცისთვალებიც გვეჩვენება
ნამტირალევად —
მჭედლები გრდემლზე გამეტებით
დაჭრავენ უროს,
რადგან არა სურთ ამირანის
ჯაჭვის განლევა.

მოდი, მოვასწროთ ამ მზისგულზე
წაოცნებება,
კავკასიონზე კიდევ ერთხელ
სანამ დათოვა,
თორემ ეს გზები, დღეს რომ ასე
ფეხქვეშ გვეგება,
ვაითუ ისევ
საალბათოა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ფერი — მშვიდობის მაცნე

მშვიდობას რომ ელოდები შენდა სარგოდ,
ავარდება სწორედ მაშინ უცებ ალი;
თეთრი აფრით შემოვიდა ჩვენში „არგო“,
იქნებ ფერად თეთრი იყო ბუცეფალიც...

დრო ახალი ათამამებს ახალ მხედარს,
ისიც მოჭრის თეთრ ტაიგზე, ისიც მოჭრის;
და ამ მიწას გადაკვეგილს დღესაც ვხედავთ
ოქროს ნალით მოჭედილი მძიმე ფლოქვით.

თეთრი ფერი — იმედის სხივი

ფუყე სიტყვები თუ დაფდაფები
საზარზეიმო ქვემეხივით
სალუტს მიშენენ,
და დრო — სინდისის გაიფებით
ოცნების კოშკებს
მინგრევს მხოლოდ,
და არ მიშენებს.

როცა, იმედო, გვალვისაგან
თითქმის ამოშრი,
შავი ელვები როცა სივრცეს
გველებრ გრაგნიან,
თეთრო ცხენებო, გაშლილ ფაფრებით,
თეთრო გემებო, თეთრი აფრებით,
ამ ჩემს ფიქრებში —
უღიმღამოში,
თქვენ რამ გაგრიათ?

!?

რატომ მასიზმრებ ფურისულას
ნაზ, მიმქრალ ფერებს
და შინდის ყვავილს, ტყის პირზე რომ
ყვითლად ანთია,
რატომ ჩამასმენ იმ ჩიტის ხმას
ამდენ ხნის მერეც —
რომ მპირდებოდა ულამაზეს
დღეთა განთიადს.

იქნებ იმიტომ, მორევიდან
რომ ამოვბედო,
რომ ნაოცნებარ ნაპირისკენ
გავკრა მხარულით,

და აებედობა, უამური,
წილად რომ მერგო,
დღეს გავაქარწყლო იმ ზნებით და
იმ სიხარულით.

რატომ მასიზმრებ საქართველოს
მთებსა და სერებს,
როგორც ბაგრატის მაღალ კედლებს,
ცის გუმბათიანს,
ის სასოება და იმედი
ამდენ ხნის მერეც
სამშობლოს ხატთან ჩაუქრობლად
თუ არ ანთია.

ეჰეი!

უეცრად ისევ ეცემა
მიწაზე ჩრდილი იმ ორბის,
იმ მზიან დღეთა ციმციმი
ხსოვნის ეკრანზე მიმორბის;

ის საოცარი ხილვები,
როგორც მწევარი ნაგეში,
როგორ მომყვება ფეხდაფეხ
ყრმობიდან სიჭარმაგეში: —

სტვენით ბილიკებს მივყვები
ჟინიანი და თავნება,
ხეზე დახტიან ციყვები,
საითაც ეპრიანებათ;

იმ მოსახვევში უთუოდ
უშბის ყინვარი იელვებს,
ყვითელი ცეცხლი ენთებათ
ენგურისპირა იელებს.

ვინა სთქვა: — სული დამძიმდა,
ღამეში ჩაიძირაო?!
ეჰეი! ღრუბლებს ასცილდა
კავკასიონის ირაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მაშინ

ის დროც მახსოვს, ქვის პერანგს
ჩუქურთმით რომ ქარგავდი,
შენი ხმა რომ თერგივით
ქუხდა დარუბანდამდე;

მტრის ჯავრი რომ არ გკლავდა,
ჩახვეული ინადად,
და დავითის ჩაჩქანი
დიდგორზე რომ ბრწყინავდა;

როცა ვიყავ ამაყი
შენი ზნით და ნიათით,

მზეს რომ შეჰგუგუნებდი
შენი „ოდოიათი“,
ცას რომ შეჰლაღადებდი
ქრისტეს საგალობელით,
და ჰაი, რომ არ ჰგავდი
მუხას, ტოტებმობელილს...

.....

ღმერთი ისევ მოხედავს
შენი ფუძის მაგარ ქვას,
როგორც მაშინ, როცა შენ
საქართველო დაგარქვა.

ბნელი და ნათელი

ხრამს ნუ ჩაჰყურებ დამრეცს,
ფიქრს ნუ შელებავ მუქად;
ხედავ? ეს შავი ღამეც
იბამს ვარსკვლავთა გულქანდს.

აჰა, ინათა უკვე,
ბალახს ეფრქვევა ნამი,
ცაურ საკმეველს უკმევს
მიწას უჟამო ჟამი.

თითქოს დღეს ქმნიდეს ღმერთი
ევად ადამის ფერცხალს...
იქნებ ახლოა წამი,
ცოდვას ცრემლით რომ რეცხავს.

დღეს თუ არ გჯერა ამის,
ვერ დაიჯერებ ვერც ხვალ;
ენდე ამ დღე-და-ღამეს, —
ამ შავ თეთრგულა მერცხალს.

ლექსის მოსვლის სიხარული

შრიალებენ ალვები
მოციმციმე ფოთლებით,
ლექსის მოულოდნელი
ნიავ-ქარით რომ ვთვრები;

უსტვენს შაშვი ვნებიანს
სადღაც განმარტოებით,
ცაში ირინდებიან
მთების კენწეროები.

მესმის ნელი წკრიალი
უხილავი ზარების,
გულში — ჩიტის ფრთხიალი,
ჯერაც დაუზარები.

იდუმალო ბგერებო,
გულზე ისე მოებით,
არც არყოფნის შიში მაქვს,
აღარც ამაოების.

თუ კედელში ჩამკირონ,
ნურვინ მკითხავს: „სადამდი?“
ოღონდ ერთი კამარა,
ლექსის ერთი ნავარდი!

არ წამყვება სანაღვლოდ
— ჟანგი მიწამ ჭამა რად —
ოღონდ ერთი ნავარდი,
ლექსის ერთი კამარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა მანველიძე

ჩვეულებრივი ისტორია

მოთხრობა

ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით მათ. ხშირად ეს შეხვედრები სრულიად შეუმჩნეველი რჩება, ზოგჯერ კი მაინც ახდენენ გარკვეულ ზემოქმედებას ჩვენი ცხოვრების შემდგომ მსვლელობაზე. ცხოვრების განსაკუთრებული წესით ისინი საზოგადოების განკიცხვას, დევნას იმსახურებენ და თავისთავად თვითონაც გაურბიან, ემიჯნებიან მათ განმკიცხველ საზოგადოებას, ცხოვრობენ მარტო და ხდებიან „ღამურები“.

●

არაფერი განსაკუთრებული, ჩვეულებრივი ამბავია, მომხარი ჩვეულებრივ ქალაქში, როგორშიც ვცხოვრობთ ჩვენც. მე, თქვენ, სხვა ადამიანები და ალბათ ისიც, ვისაც შეიძლება, მართლაც შეემთხვევა ეს ისტორია.

დღე იყო ჩვეულებრივი. მწველი ზაფხული. ჩვეულებრივად ჩახურებულ-ჩახუთული, მტვრიანი ქუჩები, გავარვარებული ასფალტი, ჩვეულებრივად გაუთავებელი ჩვეულებრივი გამვლელები, ქუჩაში მოწყობილი ჩვეულებრივი კაფე, ჩვეულებრივი ლუდი, ყავა, ჩვეულებრივად უგემური საჭმელები, გამვლელებისაგან მოწყალების მიღების იმედის მქონე, კუთხეში მიყუჯული ჩვეულებრივი მათხოვარი და ჩვეულებრივად მელანქოლიური, მოწყენილი და მობეზრებული ფიქრები.

ქალიც ჩვეულებრივი იყო. არაფერი ჰქონდა ისეთი, რაც სხვა, ასობით მზერაში შემთხვევით მოხვედრილი ჩვეულებრივი ქალებისაგან განასხვავებდა. ჩვეულებრივი აღნაგობა, ჩვეულებრივი სახის ნაკვთები, ჩვეულებრივი ვარცხნილობა და დიდი, ნაცრისფერი თვალების ოდნავ დაღლილი, ოდნავ გულგრილი, მთლიანობაში კი ჩვეულებრივი გამოხედვა.

დღე კი ჩვეულებრივი იყო. ჩვეულებრივი დასაწყისით, სალომეს ჩვეულებრივად ეძინა, გვერდზე შებრუნებულს თავი მის მკლავზე ედო, მარჯვენა ხელით მკერდზე ეხვეოდა, ყურთან კი ჟრუანტელის მომგვრელად ტრიალებდა და ფეთქავდა ჰაერის თბილი ტალღა. მისი არსება კმაყოფილებით აღიქვამდა მჭიდროდ მიკრულ თბილ სხეულს, რომელიც რთული მოზაიკის დახვეწილი ნაწილის მსგავსად, სრულიად ავსებდა, ვითომდა უსასრულო სამყაროს. ავსებდა იმ სიცარიელეს, რომელსაც განიცდიდა მთელი ცხოვრების მანძილზე და რაც უკვალოდ გაჰქრა მათი შეხვედრის პირველსავე დღიდან..

მზიანი დილა იყო, მაგრამ ჩვეულებრივი, რიგითი, ისეთი, როგორიც იყო გუშინ, არის ახლა და იქნება ხვალ.

ძილმორეულ მზერას საწოლის გვერდით, იატაკზე დატოვებული სიგარეტის კოლოფი და საფერფლე მოჰყვა. ფრთხილად გაიწოდა ხელი, სალომე რომ არ გაეღვიძებინა. მოწევას არ აპირებდა, ქორწინების დღიდან აუკრძალა თავს ეს ჩვეულება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიგარეტს მაინც არ იშორებდა.

კოლოფიდან სიგარეტის ღერი ამოაცოცა, ნელი მოძრაობით მოსრისა, საფერფლეზე დამდგარმა, წვრილად დაქუცმაცებულმა, თამბაქოს ოქროსფერმა ბორცვმა, ქვიშის საათი, ქვიშის საათმა კი დრო და უკვე დაწყებული ჩვეულებრივი დღე შეახსენა. მკერდზე შემოსალტული ფაქიზი მკლავიდან ფრთხილად გაითავისუფლა თავი და ყოვლისშემვსებ, თბილ სხეულს უხალისოდ განშორდა.

ეს იყო დილით. დღე კი ჩვეულებრივი იყო. ვიდრე ქუჩაში მოწყობილ ჩვეულებრივ კაფეში, ჩვეულებრივი ნაცრისფერთვალებიანი ქალი არ შემოვიდა.

ქალმა იმედაგაცრუებული მზერა მოავლო შევსებულ მაგიდებს, შემდეგ უკან გაბრუნებას ისევ მოცდა ამჯობინა და მოლოდინით აღსავსე გადგა გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეო წამოდგა. კაფეს ბოლოში, ორ ერთმანეთთან მიდგმულ მაგიდასთან, სკოლის ასაკის ახალგაზრდების საზოგადოებას მოეყარა თავი. მაგიდასთან თავისუფლად დარჩენილ ერთ სკამზე მხოლოდ ქალის ხელჩანთა იდო.

— ეს სკამი თავისუფალია? — მიმართა სკამის საზურგეზე მკლავჩამოდებულ ყმაწვილს.

ყმაწვილმა მისი ასაკისათვის დამახასიათებელი აგდებული მზერა ესროლა დაუპატიჟებელ სტუმარს, მაგრამ სანამ საპასუხოდ რაიმე როყიოს მოისაზრებდა, ხელჩანთა მის გვერდით მყოფმა გოგონამ აიღო.

უკანდაბრუნებულმა სკამი მაგიდასთან დადგა. ქალი, რომელიც მშვიდად ადევნებდა თვალს, მიპატიჟების გარეშე დაიძრა ადგილიდან.

— გმადლობთ, — თქვა ხმადაბლა და მოხერხებულად მოეწყო მაგიდასთან.

მაშინვე მოვიდა ოფიციანტიც. ქალმა მხოლოდ ყავა შეუკვეთა, თან ხელჩანთიდან ამოღებული კუპიურა მიაწოდა.

— ხურდა არა მაქვს, — უკან მიუბრუნა კუპიურა ოფიციანტმა.

— მეც არა მაქვს, — აიჩეჩა მხრები ქალმა და ნაცრისფერი თვალები დაჟინებით მიაპრო თეოს.

თეომ უხმოდ მიაწოდა ფული ოფიციანტს, რომელმაც სწრაფად მიითვალა კუთვნილი თანხა და მაგიდას მოშორდა.

— გმადლობთ, — ყოველგვარი თეატრალობის გარეშე, თავისუფლად თქვა ქალმა, — ეს უკვე მეორედ დამავალეთ, მე სალომე მქვია, — დაუმატა შემდეგ.

— სალომე, — გაიმეორეა თეომ, — მიყვარს ეს სახელი. მთელი ჩემი ცხოვრება მასთან არის დაკავშირებული. მრავალი წლის განმავლობაში მიყვარდა თანაკლასელი გოგონა, სალომე, თუმცა ეს სიყვარული მაინც გაუმხელელი დარჩა, შემდეგ კი შევხვდი სხვას, ისევ სალომეს, რომელიც ჩემი მეუღლე გახდა, — თითქოს თავისთვის თქვა და მაშინვე გაჩუმდა, რისთვის ეუბნებოდა ყოველივე ამას კაფეში შემთხვევით გაცნობილ ქალს.

— მეგობრები თეოს მეძახიან, ისე თეოფილე მქვია, — გააგრძელა პაუზის შემდეგ, — პაპის მოსახელე ვარ. — დაუმატა ღიმილით.

— იშვიათად შევხვედრივარ შამაკაცს, რომელიც ახალგაცნობილ ქალთან ასე იწყებდეს საუბარს, ქალისთვის თქვენი საუბრის მანერა თითქმის მიუღებელია, — ირონია გაურია ხმაში.

— რატომ?

— ძალიან გაინტერესებთ?

— არც ისე.

— თქვენ კიდევ უფრო გაზარდეთ ჩვენს შორის არსებული მანძილი.

— ჩვენს შორის არანაირი მანძილი არ არსებობს, არც დიდი, არც მცირე და არც შეიძლება არსებობდეს, — უპასუხა უცნაური თანამოსაუბრის სითამამით გაღიზიანებულმა თეომ.

— ამით გინდათ თქვათ, რომ ჩვენ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, ვართ სრულიად უცხო ადამიანები და აქედან გამომდინარე, არ არსებობს არავითარი მანძილი.

— დიახ, თქვენ სწორად გამიგეთ

— გეთანხმებით, მაგრამ ეს ასეა მხოლოდ ახლა, ვინ იცის როგორი იქნება თქვენი აზრი ერთი საათის შემდეგ, ხვალ, ზეგ. თქვენ გამორიცხავთ ჩვენს სავარაუდო ნაცნობობას?

— არ გამოვრიცხავ.

— მაგრამ მაინც არ ისწრაფვით ამისკენ! რატომ? ეს თქვენი საქმეა, — თვითონვე გასცა პასუხი კითხვას, — მაგრამ თქვენი პოზიცია ჩემთვის საწყენია, რადგანაც ვიცი, რომ არ ვარ ისეთი ადამიანი და ქალი, — სიტყვა „ქალი" ხაზგასმით იყო თქმული, — რომელიც ვერავითარ ინტერესს ვერ აღძრავს საკუთარი თავის მიმართ. მოდით გავერკვეთ, მე ვარ თქვენთვის უინტერესო თუ ასევე მოიქცეოდით ნებისმიერ უცნობ ადამიანთან?

— ნებისმიერ უცნობთან? — ჩაფიქრდა თეო, — ალბათ, არა, მაგრამ ის პიროვნება, ვისთანაც ნაცნობობის გაბმას მოვისურვებდი, სულ ცოტა, რაღაც ინტერესს მაინც უნდა იწვევდეს ჩემში.

— გამოდის, რომ მე ვერ აღვძარი თქვენში ვერანაირი ინტერესი.

— ასე გამოდის.

— ვერ დაგაინტერესეთ როგორც ადამიანმა, თუ როგორც ქალმა? — ჩაეძია სალომე, — რისთვის გაისარჯეთ ჩემთვის, შეგეძლოთ მშვიდად გაგეგრძელებინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუდის სმა, არც კი შეგემჩნიათ ჩემი არსებობა.

— მე ასევე მოვიქცეოდი თქვენს ადგილას ხანდაზმული მანდილოსანი რომ ყოფილიყო.

— მამაკაცი რომ ყოფილიყო?

— არა, მამაკაცისთვის ნამდვილად არ გავირჯებოდი, — გაეღიმა თეოს, — მამაკაცი მონოდებულია თვითონ მოაგვაროს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

— გადამწყვეტი როლი მაინც ჩემს ქალობას უთამაშია, თქვენი საქციელი მაინც მამაკაცური საწყისით იყო განპირობებული. თქვენ თავისებური დახმარება აღმოუჩინეთ, ასე ვთქვათ, კაფეში უხერხულად გახირულ ქალს, მაგრამ იმავე მამაკაცურ საწყისს უნდა ებიძგებინა ახალგაცნობილ ქალთან ურთიერთობის გაღრმავებაზე. ეს ნორმალური იქნებოდა.

— თქვენი ფორმულირება საერთოა, არ შეიძლება, იგი ყველა ადამიანზე ერთსახად რომ ვრცელდებოდეს.

— ადამიანთა უმრავლესობას მსგავსი აზროვნება და მისწრაფებები ახასიათებს, განსხვავება მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებშია, რომლებსაც არ ძალუძთ ჩვენი ძირითადი არსის შეცვლა.

— მაგალითად?

— ადამიანები განსხვავდებიან ეროვნებით, რელიგიით, ასაკით, პროფესიით, საზოგადოებრივი ან ფინანსური მდგომარეობით, პატიოსნებით, რომელი ერთი გითხრათ, შორს წაგვიყვანს, მაგრამ ეს თვისებები მხოლოდ ჩვენს გარეგან სახეს განსაზღვრავენ. იმ სახეს, რომლითაც წარვუდგებით საზოგადოებას. ჩამოვიშოროთ ეს ყველაფერი, და დავრჩებით შიშველი ქალი და კაცი, ჩვენთვის დამახასიათებელი დედაკაცური და მამაკაცური არსით და საწყისით, ასე რომ, ქალი პირველ რიგში მხოლოდ ქალია, მე ქალი ვარ. თქვენი ყურადღება ჩემით დაინტერესებად ჩავთვალე, საქციელი მონვევად, მივიღე თქვენი მონვევა, მოვედი თქვენს მაგიდასთან, თქვენ კი ჩემი სახელის გაგონებისთანავე მაგრძნობინეთ, რომ, როგორც მამაკაცთა უმრავლესობას, არ გსურთ ჩემთან ფუჭი ურთიერთობა, ანუ დროის დაკარგვა და ამავე დროს არ გაინტერესებთ, როგორც საპირისპირო სქესის წარმომადგენელი, რადგანაც ეს საკითხი, არ მინდა უხეშად გამომივიდეს, მოგვარებული გქონიათ მეუღლის სახით. ამიტომ გითხარით, რომ თქვენი საქციელი როგორც ქალისთვის, საწყენი და თითქმის დამამცირებელია.

— ასეთი განმარტების შემდეგ ბოდიშის მოხდის მეტი არაფერი დამრჩენია, — გაეღიმა თეოს, — კიდევ რით შემიძლია გამოვისყიდო ჩემი დანაშაული?

— გულწრფელად ამბობთ? — თვალებში ჩააცქერდა სალომე.

— სავსებით.

— დღეს ჩემი სტუმარი იყავით.

— რა გაგებით? — დაიბნა თეო.

— პირდაპირი გაგებით. მართალია, მე ვერ აღვძარი თქვენში ვერანაირი ინტერესი, მაგრამ არ დაგიმალავთ, თქვენ დამაინტერესეთ და არა მარტო როგორც ადამიანმა.

●

თეოს უჩვეულოდ გვიან გამოეღვიძა. კიდევ დიდხანს თვალდახუჭული იწვა. ეს სრულიად სხვაგვარი, უჩვეულო დილა იყო. მკლავზე ვერ გრძნობდა სიამისმომგვრელ სიმძიმეს, მკერდს არ ეხვეოდა ფაქიზი მკლავი, ყურს არ უღიტინებდა ნაცნობი ტალღა და აღარც სამყარო იყო შევსებული მჭიდროდ მიკრული ყოვლისშემვსები სხეულით.

მის გვერდით არავინ იყო! იყო ვიღაც, მაგრამ ის ვიღაც უცხო, უცნობი იყო. უცხო ქალი და უცხო სამყარო.

ხელმა მექანიკურად მოძებნა იატაკზე დატოვებული სიგარეტის კოლოფი. თამბაქოს თბილმა კვამლმა ბურუსში გახვია დილა და მეხსიერებაში წინა საღამო წამოატივტივა.

●

— ალბათ შემეძლო ნებისმიერი სხვა თემა შემომეთავაზებინა შემდგომი საუბრისათვის, მაგრამ რისთვის, საბოლოოდ მაინც იქ მომინევდა მისვლა, სადაც გვეგულება ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენს ცხოვრებაში. ვისაუბროთ სიყვარულზე. ვისაუბროთ ღიად, თავისუფლად, დაძაბულობის გარეშე.

მე არ მეშინია, რომ ვერ გამიგებ, მიჩვეული ვარ ამას. ჩემი ბევრს არ ესმის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ესმის და არ ამჟღავნებს. მე არ ვგავარ ყველას, თავს არ ვიზღუდავ საზოგადოების მიერ გამოგონილი ყალბი ნორმებით. მეგობრებიც თითქმის არ მყავს, თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის, – აუჩქარებლად ლაპარაკობდა სალომე, თან ხელისგულებში ჩაფლული მაღალყელიანი ჭიქიდან შემთბარ, შავ ღვინოს პატარ ყლუპებით სვამდა.

– მე ვცხოვრობ უბრალოდ, ვცხოვრობ სიყვარულით და მეტი არაფერი, ვიცი რა არის სიყვარული, მრავალჯერ მწვევია და ამით თავს ბედნიერად ვგრძნობ. სხვაგვარად ძალზედ მარტივი და უფერული იქნებოდა ისედაც გაუსაძლისი, გაუფასურებული სამყარო.

ჭეშმარიტება უბრალოებაშია. სიყვარული გრძნობაა, ისევე როგორც შიში, ტკივილი, აღტაცება, სიხარული, თუ შეიძლება ეს გრძნობები მრავალჯერ ეწვიოს ადამიანს და ყოველი შემდეგი წინასთან შედარებით უფრო და უფრო მძაფრი იყოს, რატომ არ შეიძლება ასევე იყოს სიყვარულიც. საზოგადოება გაურბის ამ სინამდვილეს იმიტომ, რომ ის ყალბია.

გულწრფელად მეცოდებიან ადამიანები, რომელთაც ვერ შეიცნეს სიყვარული და შეუცნობლად ეშინიათ მისი, ეშინიათ, რადგან სიყვარული არ სცნობს საზოგადოების მიერ დადგენილ ვითომ ზნეობის და მორალის საზღვრებს. ამ საზღვრების გადალახვა კი გარდაუვალი გაკიცხვის საბაბი ხდება. გიყვარდეთ, მაგრამ დაშვებულის ფარგლებში, იქით აკრძალულია. თუ არა, ჩვენ გაიძულებთ გიყვარდეთ ასე, და შიში შეიქმს სიყვარულს, საზოგადოების მარტივად გულგრილი მორალი. და გაკიცხვის შიშით მრავალი ადამიანი საზოგადოებისაგან სიყვარულად შერაცხულ შიშში და ტყვეობაში ატარებს მთელ თავის სიცოცხლეს.

მე კი სიყვარული მიყვარს. შევიყვარე ყველა, ვინც შემიყვარდა, მაგრამ არასოდეს არ მყვარებია ორი ერთად. ეს სიმახინჯეა, ჰარმონიამიუღწეველია, სიყვარული არითმეტიკა არ არის, ის არ იყოფა, არ მრავლდება და წილადებიც არ გააჩნია, ის არის, ან არ არის, და თუ არის, არის ერთი, მთლიანი ოა განუყოფელი.

ყოველ ჩემს ახალს, მსხვერპლად შევწირე ძველი სიყვარული. გული არასოდეს დამწყვეტია, მსხვერპლი უმიზნოდ არ ყოფილა გაღებული. მე თვით სიყვარულიც მიყვარს უანგარო, უვადო, უსაზღვრო.

ახლა შენ მიყვარხარ! ამას არა აქვს ახსნა. უბრალოდ მიყვარხარ და მეტი არაფერი. ჭეშმარტება უბრალოებაშია. არ მაინტერესებს შენი ასაკი, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, გვარიც კი, არაფერი არ მაინტერესებს. რა მნიშვნელობა აქვს ამ მესამე თუ მეოთხე ხარისხოვან წვრილმანებს, ისინი ხომ ვერაფერს შეცვლიან. მე მიყვარს ის, ვისაც ვხედავ. რატომ? ამას არა აქვს ახსნა.

ამაშია სიყვარულის ყოველგვარი საზღვრისმომშლელი უნივერსალობა. მეფეს შეუძლია გლეხის შეყვარება და გლეხს პირუკუ.

დასაწყისი? არა, სიყვარულს არა აქვს დასაწყისი. ის მუდამ არის, აქვს მხოლოდ აღმოჩენა. ჩვენ ყოველთვის გვიყვარს, მუდამ გვაქვს აუხსნელი ნაკლულობის და სიცარიელის გრძნობა. შემდეგ ვხვდებით ერთი შეხედვით უცხო ადამიანს და დგება აღმოჩენა, აღმოჩენა იმისა, რომ ის სულაც არ ყოფილა უცხო, თურმე ის ყოფილა ის, რომელიც მუდამ გვიყვარდა.

დასასრული? არა, სიყვარულს არც დასასრული გააჩნია. რაც დასრულდა, აღარ არსებობს და არარსებულს დასასრულიც არ გააჩნია, ის უბრალოდ არ არსებობს და არც უწინ უარსებია.

მოლოდინით აღსავსე დღეები. ასე ვუწოდებ ჩემს ცხოვრებას. ყოველი ახალი წელი ჩემთვის ერთგვარი რიტუალით იწყება. კედელზე ვკიდებ დიდ კალენდარს, აღვნიშნავ ჩემთვის მნიშვნელოვან თარიღებს, ასეთი მთელი წლის განმავლობაში სულ რამდენიმეა, შემდეგ კი იწყება დიდი და მცირე მოლოდინით აღსავსე დღეები. ყოველ დღე ჩემთვის სიყვარულის მოლოდინია. არ მიყვარს დღე და არ მიყვარს მოლოდინი. მე მიყვარს ღამე, დრო, როდესაც მე მიყვარს და ვცოცხლობ. მოთმინებით ველი მის დადგომას, რათა ჩემთვის სასურველ, საყვარელ მამაკაცთან მივიდე, როგორც მორცხვი, აფორიაქებული პატარძალი, შემდეგ შმაგ, ვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან საყვარლად გადავიქცე მისთვის, დილით კი მის მკლავებს ალერსით გათანგული დედაკაცის სხეულით დავშორდე და უსაზღვროდ გაჭიმული დღის განმავლობაში კვლავ დაველოდო ღამეს და პატარძლობის, ქალობის და დედაკაცობის ბედნიერებას...

თეო მონუსხული უსმენდა. უსმენდა და დროდადრო პატარა ყლუპებით სვამდა ხელისგულით შემთბარ ღვინოს. სალომე კი კვლავ აგრძელებდა ლაპარაკს, ლაპარაკობდა ხავერდოვანი, დაბალი, მაგრამ არა შემპარავი ხმით. ლაპარაკობად ისე, როგორც ლაპარაკობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ სიმართლეს და გარემომცველთა მხრიდან მოსალოდნელ გაკიცხვას ნინასწარ შეუგებულნი არიან. მისი ხმა მშვიდი იყო, მაგრამ არა გულგრილი, ამავე დროს ხმაში არ ჟღერდა გულგატეხილობის, ანდა გამონვევის ნოტები. ხმა პერიოდულად წყდებოდა, მაშინ, როდესაც ჭიქა ღვინით შეფერადებულ, სველ ბაგეებთან მიჰქონდა. მცირე პაუზა და თეო კვლავ ჰიპნოზურ საბურველად ქცეულ ხმაში იძირებოდა.

მოგვიანებით გულმოდგინედ ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა იმ საღამოს მონასმენის შინაარსი, მაგრამ უშედეგოდ. მონუსხულმა გონებამ მხოლოდ ცალკეული ფრაზების აღდგენა თუ მოახერხა, თუმცა ეს ფრაზებიც კი სრულიად საკმარისი იყო, სულ ცოტა ხნის წინ უცნობი ქალის მასთან ყოფნის მძაფრი, დაუძლეველი სურვილის მთელი არსებით შესაგრძნობად, სურვილის, რომლითაც გაჟღენთილი იყო მთელი ის საღამო.

სალომეს ბაგეებიდან წამოსული ყოველი სიტყვა ცხელ ტალღად აღწევდა მასთან. შემდეგ უამრავ მცირე ტალღებად დაშლილი იფანტებოდა ოთახში, აწყდებოდა კედლებს, ირეკლებოდა, კვლავ უკან ბრუნდებოდა, სქელდებოდა და ავსებდა სურვილით გაჟღენთილ, გახურებულ და სუნთქვისთვის უკვე გამოუსადეგარ ჰაერს. თეოს სული ეხუთებოდა, მაგრამ ეს ხუთვა სიამის მომგვრელი იყო.

მოგვიანებით სურვილი იმდენად შესქელდა, რომ თვალით ხილული გახდა, თეომ ეს ხილვა ცეკვად აღიქვა, თუმცა ეს ცეკვა არ იყო, ეს იყო რაღაც მაგიური, რიტუალური როკვა, რომელიც როგორც კერპს, მას ეძღვნებოდა, მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი, როგორც ის საღამო და თვის საღამოს დიასახლისი.

სანთლის ცახცახა ალით სუსტად განათებული ოთახი, ავეჯის ბუნდოვანი მოხაზულობა, სადღაც არსაიდან მოსული წყნარი მელოდია, როკვა, სურვილი, რომელიც ხილული და შიშველი გახდა და ჭეშმარიტება აღმოჩენილი სინამდვილისა, აღმოჩენასთან ერთად აღმოჩენილი შიში, შიში უხილავ ზღვართან მიახლოებისა და კიდევ, გარდაუვალობა ამ ზღვარის გადალახვისა.

აღმოჩენა კი უბრალო იყო, მან აღმოაჩინა, რომ ის არ იყო ჩვეულებრივი, არ ჰქონდა ჩვეულებრივი აღნაგობა, ვარცხნილობა, სახე, მისი მზერა აღიქვამდა ხორბლისფერ სხეულს, მკვრივი მკერდით, ნატიფი ფორმებით, ნელით, თეძოებით, ყველაფრით, ზუსტად ისეთით, როგორიც მუდამ მოსწონდა და ოცნებობდა. თვალები კი, ის ნაცრისფერი, ოდნავ გულგრილი, ოდნავ დაღლილი, მთლიანობაში კი ჩვეულებრივი თვალები, სადღაც გამქრალიყვნენ, მათი ადგილი კი დაეკავებინა ორ თავაშვებულ კოცონს, რომელიც ყველაფერს ფერფლავდა და შესქელებული ჰაერიდან ჟანგბადის უკანასკნელ მოლეკულებს ხარბად ისრუტავდა.

იდგა ჭეშმარიტება, აღმოჩენილი უბრალოებისა. როკვა კი გრძელდებოდა. ყოველი ასოს, ნაკვთის მოძრაობა, სურვილით შესქელებულ ჰაერში, სურვილის ახალ და ახალ ტალღას აგორებდა. ტალღები გამრავლდნენ, გაძლიერდნენ, ზვირთებად გარდაიქმნენ, ისეთი სიძლიერის ზვირთებად, რომლებიც ნიავის სიმსუბუქით წალეკავდნენ, გააცამტვერებდნენ ყოველგვარ წინააღმდეგობას, თუმცა იმ საღამოს მათ ასეთი არაფერი შეხვედრიათ.

სურვილი დაუძლეველი შეიქმნა, სურვილი სურვილის ხელით შეხებისა. ამისთვის მხოლოდ სურვილი იყო საჭირო. სურვილით გაჟღენთილი, დაძაბული, შესქელებული ჰაერი კი ყოველგვარ სურვილს გამტარივით გადასცემდა და სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვილი ყველას სურვილით, შიშველი, ცხელი სხეულით, კოცონად ქცეული თვალებით მის მკლავებში აღმოჩნდა. აღმოჩნდა და პირველი, რაც მოიმოქმედა, მისი შემდგომი სურვილივით სრიალა, ხორბლისფერი მკლავებით კისერზე მოეხვია და ოფლით დაცვარული სახე გავარვარებულ მკერდზე მიიკრა.

●

სიგარეტი ჩაქრა. საღამომ კვამლთან ერთად დაიწყო გაფანტვა. პირველად ავეჯის ბუნდოვანი მოხაზულობა გაუჩინარდა, შემდეგ მთლიანად ოთახი, ბოლოს კოცონივით მხურვალე თვალები ჩაიფერფლნენ. და მათი ადგილი დამთრგუნველად შეავსო შეუვსებელმა სამყარომ.

ამ სამყაროში დარჩენა შეუძლებელი შეიქმნა. სწრაფად წამოდგა, ჩაიცვა და უკანმოუხედავად გავიდა ბინიდან.

●

თეომ გულისტკივილით აღიქვა სალომეს თვალებში ჩაგუბებული შიშის, გაოცების, ტკივილის და განგაშის ნაზავი. ტკივილს კიდევ უფრო ის ამძაფრებდა, რომ სალომე არაფერს კითხულობდა. დუმილი კი არ შეიძლებოდა. დუმილი ბევრად დამთრგუნველი და დამანგრეველი იყო, ვიდრე...

— გუშინ ვაჟასთან მოვიყარეთ თავი, ორ ჭიქას დიდი ქეიფი მოჰყვა, ნასვამი აღარ გამომიშვეს, — წამოიწყო უცხო ხმით. მაშინვე იგრძნო, როგორ გაღრმავდა სალომეს თვალებში ჩამდგარი გუბე.

— ჩვენ ტელეფონი გვაქვს.

— არც გამხსენებია, — უდარდელი იერის მიღება სცადა.

— მე გამახსენდა, — შეანყვეტინა სალომემ, — მე დავრეკე ვაჟასთან და ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა, არ გინდა, თეო, მე ხომ არაფერი მიკითხავს, — დაუმატა აკანკალებული ხმით და საძინებელს მიაშურა. დერეფანში დარჩენილმა თეომ უმწეო მზერით გააცილა ულონოდ ჩამოყრილი მკლავები. კარი მიიკეტა. სადღაც სიღრმეში გაჩენილმა სიცარიელემ მძაფრად აგრძნობინა რაღაც სერიოზული გადაწყვეტილების მიღების სიახლოვე და აუცილებლობა, თუმცა ამ გადაწყვეტილების მომავალი არსი ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ჰქონდა, ისევე, როგორც ის, რაც აკავშირებდა გუშინდელს დღევანდელთან ანუ მიზეზს უკვე აღსრულებულ შედეგთან.

რეალობა კი ის იყო, რომ ცხოვრებით ჩამოყალიბებული, ერთის შეხედვით, გრანიტივით მტკიცე სტერეოტიპი, სინამდვილეში მყიფე სუბსტანცია აღმოჩნდა და რაღაც უცხო სხეულის ერთის შეხებით ნამსხვრევებად იქცა და გაცამტვერდა, თეო მკაფიოდ გამოხატული არჩევანის წინაშე იდგა. საჭირო იყო ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ საით? კარი იყო ორი. და მას ორივეს მიღმა ელოდნენ. იყო განსხვავებაც, ერთის მიღმა ის უკვე აღსრულებული სიყალბით უნდა გასულიყო. და მან გააკეთა არჩევანი. გადადგა ნაბიჯი იმ კარებისაკენ, რომლის მიღმა მას ტყუილი ან ამ ტყუილით გამოწვეული შედეგის გამოსწორება არ დასჭირდებოდა.

●

მედიცინის თვალსაზრისით, ადამიანის ტანჯვის უკიდურესი წერტილის მიღწევისას დგება კრიტიკული ზღვარი, თუნდაც სიკვდილის წინა მდგომარეობა, იგივე აგონია. წინ შეუცნობელია, უკან ცნობილი, მაშ საით? წინსვლა თუ უკანდაბრუნება. ადამიანს აღარ ძალუძს გადაწყვეტილების მიღება. მისი ფუნქცია ამოწურულია. გზაჯვარედინი არჩევანის გარეშე. მაგრამ მაინც საით? წინ შეუცნობლისკენ თუ უკან ცნობილისკენ?

მიმართულებას განსაზღვრავს მედიცინისაგან არ აღიარებული, მაგრამ უდავოდ არსებული სული, რომელიც ასევე მედიცინისაგან ფიზიკურ სხეულად ანუ გვამად ცნობილ ჭურჭელში ჩაჭედილი, გააფთრებით აწყდება ხორციელ კედლებს და ტანჯვის გამომწვევ ძალებთან შინაგან ჭიდილში ჩართული ლამობს იქით მიმართოს სულიერ-ხორციელი კომპლექსი, სადაც ის სწორი არჩევანის შემთხვევაში უნდა მიეყვანა უკვე უფუნქციო გონებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თეო გზაჯვარედინზე შედგა. შინაგანი ჭიდილი ჩამცხრალიყო. ამოქმედებული გონება მხოლოდ ერთს მოითხოვდა მისგან, სწრაფად მოეძებნა ტელეფონ-ავტომატი.

— გისმენთ, — მოესმა ყურმილში ნაცნობი ხმა.

— სალომე, მიყვარხარ! — თქვა შვებით, ყურმილი დაკიდა და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.

●

თითქოს ყველაფერი ამით უნდა დასრულებულიყო, დასრულდებოდა კიდეც, რომ არა განვლილი დღეების და კვირების მიუხედავად დარჩენილი, რაღაცაში გაურკვევლობის, რაღაცით უკმაყოფილების გრძნობა.

სალომე ისე შეეგება, თითქოს დილით დაშორდნენ ერთმანეთს. ბინაში სხვა არავინ იყო. თეოს ეჭვი შეეპარა, ზუსტად ახსოვდა თუ არა კედლის კალენდარზე ნანახი თარიღი, რომლის გასწვრივაც ეწერა, ჩემი დაბადების დღე. შემოწმება სცადა. სალომეს არ გამოჰპარვია მისი მზერა.

— არ შემცდარხარ, დღეს ჩემი დაბადების დღეა, როგორც ხედავ, მარტო ვზეიმობ, ასე მიყვარს, ეს მხოლოდ ჩემი დღეა, ჩემმა მეგობრებმა იციან და ამიტომ ამ დღეს ჩემთან არავინ მოდის.

— გამოდის, რომ...

— არა, — შეანყვეტინა სალომემ, — შენ არ დამამთავრებინე, არის მხოლოდ ერთი ადამიანი, ვისთანაც ვისურვებდი ამ დღის გატარებას, ის, ვინც მიყვარს, ჩემი მოლოდინი ფუჭი არ იყო, მე გელოდი, — ანიშნა სასტუმრო ოთახში ორ კაცზე გაწყობილ ხელუხლებელ სუფრაზე.

— არა, — ცივად წამოისროლა თეომ.

— მაშინ, რისთვის მოხვედი?

— მე შეცდომა დავუშვი, ამ შეცდომის გამოსწორება მსურდა.

— როდის დაუშვი შეცდომა, ჩემთან რომ დარჩი, თუ როდესაც ნახვედი?

— ორივეჯერ, არ უნდა დავრჩენილიყავი და თუ დავრჩი, აღარ უნდა წავსულიყავი.

— ახლა რისთვის მოხვედი?

— მინდა, რომ შენც იცოდე, რაც ჩვენს შორის მოხდა, შეცდომად, ჩემს შეცდომად ვთვლი!

— და აქ მოსვლით შენი შეცდომა გამოასწორე, იქნებ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვი, თეო, იქნებ მაინც გსურს ჩემთან დარჩენა? გსურს! მე ვიცი, რომ გსურს, ამიტომ მოხვედი დღეს, დღეს ხომ ჩემი დაბადების დღეა, შენ გსურდა გენახა მამაკაცი, რომელიც აუცილებლად აქ იქნებოდა, ჩემს დაბადების დღეზე, რათა შენი ნასვლისთვის გამართლება მოგეძებნა, ისე ვერ გაბედე აქ მოსვლა, რატომ ხარ ასე სასტიკი, მე კი ისევ მიყვარხარ-ხარ და მეყვარები, ვიდრე მეყვარები. შენც გსურს ჩემთან დარჩენა, ნუ მეტყვი, რომ ასე არ არის, მე ვგრნობ, გამოუტყდი შენს თავს, ისე მოიქეცი, როგორც სული გკარნახობს, — თავგანნირვით იცავდა თავის სიყვარულს სალომე.

— არა, ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი წამი, როდესაც ჩემი სალომე არ მყვარებია, ასე იყო მუდამ და ასეა ახლაც.

— ჩემნაირ ქალს თუ შეიყვარებდი?

— ვერა, მე ჩვეულებრივი მამაკაცი ვარ.

— გამოდის, რომ საქმე კვლავ ჩემშია, შენთვის ჩემი სიყვარული მამაკაცური ამპარტავნობის შემლახველია, შენც ისეთი ყოფილხარ, როგორიც ყველა, — მშვიდად თქვა სალომემ და ბინის კარი გააღო, — წადი, თეო, რა გესაქმება ღამურასთან, ის კი მართლაც შეცდომა-იყო, მაგრამ ვისი?

●

წყალში ჩაგდებული ქვა სწრაფად აღწევს ფსკერს. იმ დროს, როდესაც ის უკვე ფსკერზეა მშვიდი და უმოძრაო, მისგან აგორებული ტალღები კვლავ აგრძელებენ მოძრაობას. ასეთი ტალღა შეიძლება ისეთმა თვალმა შენიშნოს, რომელსაც თვით ქვის წყალში ჩაგდება ნანახი არ ჰქონდეს, მაგრამ ელემენტარული ლოგიკით, მოვლენების თანმიმდევრობის აღდგენის პრინციპით, ადვილად დაადგენს ამ რგოლების არსებობის მიზეზს, წყალში ჩაგდებულ ქვას.

●

რიგითი სიტუაცია. ქუჩაში მიმავალ წყვილს ნაცნობი შემოხვდა. უფრო სწორად, შემხვედრი ერთ-ერთ მათგანს იცნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობდა. თავი შინაურულად ეჭირა, თეო იმაზე ბევრად მხურვალედ გადაკოცნა, ვიდრე ამას უბრალო ნაცნობები ან თუნდაც მეგობრები აკეთებენ, და სალომეს გაუსწორა ნაცრისფერი თვალები.

— დაუსწრებლად გიცნობდით, — თქვა მშვიდად, — ზუსტად ასეთი მყავდით წარმოდგენილი.

— მეც, — უპასუხა სალომემ ასევე მშვიდად და სანამ გარდაუვალი უხერხული სიჩუმე ანდა რაიმე ამგვარი ჩამოვარდებოდა, ალბათ, ყველაზე სწორი გამოსავალი მოძებნა.

— აუცილებელი საქმე მაქვს, ახლავე უნდა დავრეკო, აქვე ტელეფონ-ავტომატი მეგულება, მაპატიეთ, რამდენიმე წუთით უნდა დაგტოვოთ, — თქვა და უბრალოდ, პასუხის მიუღებლად შეერია გამვლელების ნაკადს.

იქნებ სადღაც, რაღაცაში გაუმართლებელიც კი იყო ასეთი საქციელი, ყოველ შემთხვევაში იმ წუთებში ასე არავის მოსჩვენებია.

— კარგი მეუღლე გყოლია, შენ მართალი ხარ, ის არ არის უსიყვარულოდ ცხოვრების ღირსი, — თქვა მოწყენილი ხმით და მიუხედავად იმისა, რომ მისთვის დათმობილი დრო ჯერ კიდევ არ იყო ამონურული, შებრუნდა და წავიდა.

თეოს მოეჩვენა, რომ ის ტიროდა.

ასე მიუახლოვდა დასასრულს ეს ისტორია, მაგრამ არა, იყო კიდევ ერთი, უკანასკნელი ტალღა, რომლის შემდეგაც საბოლოოდ დაწყნარდა და ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდა აღელვებული ზედაპირი.

მოთმინებადაკარგული თეო საწოლიდან ადევნებდა თვალს საღამურ ხალათში გამოწყობილ სალომეს. როგორც იქნა, სალომე მის გვერდით დაეშვა.

— რატომ დაგვტოვე მარტო, შენ შეამჩნიე ჩემში ამის სურვილი? — მოულოდნელად ჰკითხა თეომ.

— არა, მაგრამ თავი დავიზღვიე, იქნებ გსურდა და არ ამჟღავნებდი.

— არ მსურდა.

— მაშინ მე შევმცდარვარ, — მშვიდად უპასუხა სალომემ და გვერდზე აეკრა.

თეომ კმაყოფილებით შეიგრძნო მკერდზე გასრიალებული ფაქიზი მკლავი, ყურთან დატრიალებული თბილი ნაკადი და სრულიად შევსებული ვითომ უსასრულო სამყარო.

●

ქუჩას კი ჩვეულებრივი ნაცრისფერთვალებიანი ქალის იერით მიუყვებოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან მიქაუტაძე

გალაკტიონის საფლავთან

ნუთუ, შენ აქ ხარ?!.
ლურჯ მწვერვალებს ედება ქარი...
დუმს კვიპაროსი...
დუმან ტაძრის შემოგარენი...
დღეს მოგაკითხე მარტ.ოდმარტომ,
გულსევდიანმა,
ვით მამის საფლავს მიაკითხავს
უღირსი შვილი...

შემოდგომაა,
ლურჯ საფლავზე ცვივა ფოთლები...
ტირის ცისფერი სინანული
და მწუხარება...

ნეკერჩხალი ზამთრისპირზე

შემოიძარცვა სამოსი თრთოლვით,
ახლა მოწყენით სივრცეს გაჰყურებს,
ზედ შერჩენია ორი ფოთოლი,
ვით მობანავეს — წყვილი საყურე.

სიო გაუფენს ფოთლებს ნოხივით,
ზღვისპირის მზიან, მყუდრო ამინდში,
დგას უხერხულად, ოდნავ მოხრილი,
თითქოს რცხვენია შიშველ ქალიშვილს...

თოვა სოხუმში

ვიგონებ ჩავლილ გაზაფხულს და შენს ლამაზ სიცილს...
ახლა თოვს, ფიფქი ცრემლად დნება, მიწას არ ათოვს,
ჩემს თბილ ქალაქში თოვლი არ იცის,
თოვლს ჩემს ქალაქში ქალიშვილთა სუნთქვაც გაადნობს.

ზამთრის ვნებაა, თეთრით შავზე ხატოს და ხატოს,
თოვლი სპეტაკი კვიპაროსის რტოთ მოჰქარგვია,
შეხე, იმ პალმებს და მიმოზებს რა ლურჯად ათოვს!..
თოვს...
რა კარგია!..

ვიგონებ ჩავლილ გაზაფხულს და შენს ლამაზ სიცილს,
ლანდი ძვირფასი საიდუმლოს უტკბესს გამანდობს...
ჩემს ცხუმ ქალაქში თოვლი არ იცის,
თოვლს ჩემს ქალაქში თვალთა შენთა შუქიც გაადნობს!

გაივლის

შორს მეზმანება ბურუსში: თრთოლვით
ნიავი არხევს ზღვაზე ზეთისხილს...
გმინავს გუმისთა... აქ დიდი ომი
გადავიხადეთ აფხაზეთისთვის!

რაც ენგურს ბნელი დაეცა ფარდა,
ველარ შევძელით წელის გამართვა,
ძალმომრეობა თარეშობს სადაც,
ამაოდ ეძებ სასწორ-სამართალს!

ცხუმ-აფხაზეთით სიბნელე მოდის,
ჩაგესმის მწარედ: „რა გვეშველება?“
შენ მაინც გჯერა, შუღლი და მტრობა
გაივლის, როგორც მზის დაბნელება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

შორს, სადღაც დაძრჩა — მზე ყვავილებში...
დრომ გადაფარა და მაინც ბრწყინავს, —
ვით ოქროსფერ თევზს აკვარიუმში,
ხსოვნაში ლამაზ ბავშვობას სძინავს.

გუშინ და დღეს

სიყრმის მეგობარს
ე. აქუბარდიას

გუშინ — ვიყავი ფერი და აზრი,
ალიონისას ღვთის მონაშუქი,
შემკული ხიბლით სილამაზის
და სიჩაუქის
მზეს ვზეიმობდი, ლაჟვარდს ცისას
და სიჭაბუკეს...
დღეს — ბერიკაცი, თმებშეფიფქული,
ვზივარ მოწყენით ბინდისფერ ჩრდილში,
როგორც ნაძვისხე გაჩირაღდნებულ
საახალწლო ზეიმის მერე,
სადღაც კუთხეში მიყუჟული, მივიწყებული,
უკმაყოფილო და კმაყოფილიც,
რომ ერთხელ მაინც გაიბრწყინა
სხივებჩაწნული
ნორჩი სიმწვანით და სილამაზით...
გუშინ — ვიყავი სხივი ლამაზი,
განთიადისას ღვთის მონაშუქი,
მზეს ვზეიმობდი, ლაჟვარდს ცისას
და სიჭაბუკეს...
დღეს — ვტკბები სულის სილამაზით,
ვით მოწმენდილ ცით,
ვარ მშვიდი სიბრძნით სევდისმომფენით,
რომ მირაჟია წუთისოფელი,
რომ მირაჟია წუთისოფელი,
რომ მირაჟია წუთისოფელი!..
რომ ყოველივე არის... ამაო!..
.....
და ეს ყოველი თვით ღვთის ნებაა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ინჯია

ნუშნარი

ნუშების ტევრი... სიმწვანე ბევრი...
მოწყენილიც კი ნუშებს უხდები,
მაგრამ ცრემლებით აღვსილი ქვევრი
არ მომიხადო, ნუ შეწუხდები.
ჩვენსკენ ღრუბელი წამოვა ლოხი,
შეგაკრთობს ნამი ესოდენ ფაქიზს.
მოგეფერები ლოყაზე ლოყით,
სუნთქვაზე სუნთქვით, ბაგეზე ბაგით.
ჩემი სიტყვები გამზიანებენ,
რომ არ იღლები მობაასეთი.
უთქმელი დარდის გამზიარებელს
მე მაამყებს ნდობა ასეთი.
თუმცა მამგვანებს ცეცხლის ერისკაცს
და ნამგლით ვხვდები ამ ალოობას,
მე მოსჯილი მაქვს ზეციერისგან
შენი წყლულების მალამოობა.
ნუშების ტევრი... სიმწვანე ბევრი...
მოწყენილიც კი ნუშებს უხდები,
მაგრამ ცრემლებით აღვსილი ქვევრი
არ მომიხადო, ნუ შეწუხდები.

●

ველარ მიცანით. თქვენ იმიტომ არა ხართ კაცი,
რომ დამივიწყეთ მაძღარ ყბაში ქადაგაჩრილმა.
ასე ვივიწყებთ ბავშვობიდან არაქათგაცლილ
კაცს, მდინარეში ვინც დაღრჩობას გადაგვარჩინა.

●

შენს ლამაზ თვალებს როდესაც ვკოცნი,
ქვეცნობიერად ვრწმუნდები მაშინ,
რომ ხარ კეთილი იმედის კონცხი
უიმედობის ბობოქარ ზღვაში.
მატან ლოცვას და მაბრუნებ წაღმა,
მზად ხარ თვალების გასატანებლად.
ო, არ ეხილოს მაგ თვალებს წარღვნა
და ანგელოზის გასატანება.

●

იციან, რა ხვითოც გახლავთ.
მას მინდა შევძახო რისხვით,
ვინც ურცხვად იბრალებს ახლა
გმირობას უკანა რიცხვით.
სამშობლოს უჭირსო?.. მახლას!
და სულაც არა გრძნობს სირცხვილს,
ვინც ურცხვად იბრალებს ახლა
გმირობას უკანა რიცხვით.

ტანას ხეობა

ხელს გვიქნევენ ხევიდან
ჩახრამული ფლატენი,
ერთი შესახვევი და
გაგვიღიმებს ატენი.
არ მოგიწევს ბევრი ცდა,
შლის თანდათან სიო ნისლს.
ერთი ასარბენიც და
გამოჩნდება სიონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურად ჭოლოკავა

ჟურნალ „ორბეთის“ მთავარ რედაქტორს, პოეტ მურად ჭოლოკავას შეუსრულდა 60 წელი . „მნათობის“ რედაქცია ულოცავს მას ამ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

თუმც ფიქრი ჩემი

ფეხაკრეფით და ჩუმად შემოდის
ჩემი სურვილი
ღამის მინდორში,
მშვილდ-ისრით ვტყორცნი
ზეცას
ჩემს ფიქრებს
და გადავყავარ ფიქრებს დიდგორში,
სადაც ღმერთკაცის ლანდი მეგულვის
შეჭირვებული სვავთა გუნდებით,
მერე ბრძოლაში გამარჯვებული
დავით მეფესთან ერთად ვბრუნდები.

გადაარჩინე...

სიზმრებში დაღლილს ისევ მეძინა,
მეძინა ღრმად და სიზმარში ვიყავ,
სულის ტკივილი ისე მემძიმა —
გამომელვიძა და დამაყვირა...

შიშშეპყრობილი ფეხზე წამოვხტი;
ცა კაშკაშებდა თუთარჩელათი,
დავიჩოქე და ჩუმად წარმოვთქვი —
გადამირჩინე მცხეთა, გელათი...

ეს ხმა ველ-მინდვრებს
გადაეფარა —
შეწვდა მწვერვალებს ცაში აჩრილებს
და გუგუნებდა თითქოს ქვეყანა —
გადაარჩინე,
გადაარჩინე!..

ოცნება

აქ ჩამოფრინდი ანგელოზივით,
აქ,
მოქათქათე ლამაზ
აპრილთან
და სიყვარულით გარემოსილი
დავდგეთ ზღვის წყნარ და
მაღალ
ნაპირთან.

დაისი

როცა ღამდება,
ზეცის
ლურჯ რიდეს
თან ახლავს ჩემი მწუხრის
ფერები,
მე
სიხარულის მარად
გამრიდე,
ზღვაში ჩამავალ
მზეს ვეფერები.

ცა ლამაზია, როგორც არასდროს,
მთიებზე დარდი მარადის
მდევდა.
მამყოფე ასე, მაღალო
ღმერთო,
ჩემს მამულს უნდა
წავართვა
სევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

წვეთავს და წვეთავს
ნილურჯე დილის
და მე მიღიმის გაზაფხულის
დღე სამაისო,
მზე შემომდგარი აისის ბილიკს —
მოიწევს ნელა და
მესალმება.

და ჩემი გული, ვით ფიალა,
ისე აივსო —
სიხარულის და ტრფობის
შარბათით, —
აი, ეს არის ის ყველაფერი,
რაითაც დღემდე მოვედი და...
აღარ გავთავდი.

●

მოუწყენიათ ღელისპირ ხეებს,
მზის გამოჩენის იმედით
დგანან
და საცოდავად მიწვდიან ხელებს,
ჩამოფლეთილნი,
მათხოვრებს ჰგვანან.
ქარს კურდღელივით ჩირგვებში
სძინავს
და ტყეს ფოთლების ცრემლები
სცვივა.
მე კი ტყეებზე ფიქრები მძირავს
და მათთან ერთად თითქოს
მეც მცივა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

„პოეტი“ სუროგატების ქვეყნიდან

ერთი მწერლის ნათქვამი ზედმიწევნით ზუსტად ესადაგება ჩვენს დღევანდელობას. მან თქვა, ნამდვილი რეალობა ყოველთვის არარეალისტურიაო. მართლაც ასეა – არარეალისტურია ჩვენი ყოფა-ცხოვრება. ის, რაც ადრე სიღრმეში იყო დასანახი, დღეს მოვლენათა ზედაპირზე ძევს. ზერეალისტური დრო დაგვიდგა. უტრირება, გროტესკული გადახრა, ჰიპერბოლიზაცია, ადამიანებისა და საგნების სტილიზება ხელოვანისთვის ან მწერლისთვის აღარ არის საჭირო, ვინაიდან ამ ნიშნით ცხოვრება თვითონვე დაემსგავსა ხელოვნების ნაწარმოებს. ვთქვათ, განა გროტესკული სურათი არ იხატება, როცა მღვდელი ტელეეკრანიდან აცხადებს, რომ მისი მრევლი დათქმულ დროს გალახავს ამა და ამ პიროვნებას. რა ირონიულ კონტექსტშიც არ უნდა იყოს ჩასმული ეს სიუჟეტი, არარეალისტურ რეალობაზე მაინც ვერ ამაღლდება. ან კი, როგორ უნდა ამაღლდეს, როცა რამდენიმე დღის შემდეგ იგებ, რომ ის პიროვნება, მართლაც გაულახავთ. და აი, ასე ვსხედვართ „ცისფერ ეკრანებთან“, როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, „ჯორივით მთმენნი“ და რეალობაში განხორციელებულ „პარადოქსის თეატრის“ სპექტაკლებს ვუმზერთ. ვუმზერთ პოლიტოლოგებს, რომელთა სახელიც მართლაც ლეგიონია, და რომელნიც, ჰაბიტუსის მხრივ, დიამეტრულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აქ მთელი პანოპტიკუმია, მთელი გალერეაა პერსონაჟებისა, ამ ერთ (პოლიტოლოგიურ) წერტილში იყრის თავს ყველა. გვებადება აზრი, რომ პოლიტოლოგობა მართლაც უძველესი პროფესიაა, აკი ეს საქმე ყველას ხელეწიფება, ვინც პროგნოზის გამოსათქმელად „გადადებს თავს“, პროგნოზების გამოთქმა კი, ძალიან „ძნელია“, ვინაიდან ენას ძვალი არა აქვს. ვინ არიან ეს პოლიტოლოგები, უკვე ერის მამებად და დედებად ქცეულნი? ათასი ჯურის, ათასნაირი წარსულის, ათასგვარი წარმომავლობის, ზნის, ასაკის, პროფესიის ადამიანები. მათი ფერადოვანი სპექტრიც შთამბეჭდავია! აქ არიან ცისფერები, წითლები, ყვითლები, მწვანეები და ა.შ. აქ არიან „ნუვორიშები“, ბიზნესმენები, „ფიზიკოსები“, „პოეტები“, „მოაზროვნეები“, ამა თუ იმ შპს-ს წევრები, და ა.შ. აი, სახელგავარდნილი მეძავი „ერის წყლულებზე“ აღტკინებით გვესაუბრება და გზადაგზა ეთიკის მოკლე კურსსაც გვიკითხავს. აქ არიან უზნეობათა გამოშერისხულნი, რომლებიც დღეს წმიდათაწმიდა რელიგიურ უფლებებს იცავენ; აქ არიან ათასგვარი აკადემიებისა და კულტურული ინსტანციების „მეწინავენი“, რომელთა არაესთეტიკური გარეგნობა, საუბარი, ყოვლად ანტიპათიური, არაკეთილისმსურველი იერი ყველაზე უფრო ტლანქი ნერვების მქონე ადამიანსაც კი სჭრის ტელეეკრანიდან თვალს.

ამ სანახაობის შემყურეს შეუძლებელია არ გაგიჩნდეს აზრი, რომ ცხოვრება იმ ხალხმრავალ აღლუმს ან ბაზრობას დაემსგავსა, რომელზეც განსაკუთრებულ ადგილს, სწორედ სუროგატები იმკვიდრებენ. სუროგატების გაბატონება ყველა სფეროში – ესაა ჩვენი დროის მთავარი ნიშანი. ღვინის გამყიდველი ჰყიდის უცნაურ სითხეს, რომელსაც, რა თქმა უნდა, სუფთა ღვინოდ ასაღებს, თუმცა კაცმა არ იცის, რა არის. გენერლის ან პოლკოვნიკის ჩინს აძლევენ კაცს, თაგვის გაფხაკუნებაზე გული რომ უსკდება; მაღალ პრემიას ანიჭებენ კარიერისტს, მედროვეს, ზნეობრივ იმბეცილს. განკითხვას აზრი არა აქვს, რადგან ვინც განმკითხავია, ის თვითონ არის განკითხვის ღირსი. ასე და ამგვარად, ეს უსასრულო ჯაჭვი სუროგატებისა, მართლაც რომ დაუსრულებელია. სუროგატია ცუდად გაგებული თავისუფლებაც, რომელიც უფრო თავაშვებულობას და თვითნებობას ჰგავს. ამის ნიმუშია ე.წ. თავისუფალი პრესა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც არ არის თავისუფალი უზნეობისგან – ლანძღვა-გინების, პიროვნების სიტყვიერი განადგურების, შეურაცხყოფის ვრცელი ასპარეზი. აქ ლაპარაკია ყოვლად უსაფუძვლო ლანძღვაზე, „ავტორიტეტების გაცამტვერების“ მცდელობაზე. აშკარაა, რომ პრესის მუშაკები მეტწილად დაბალი კულტურის მქონე, უწიგნური, ულიმლამო ადამიანები არიან. ეს სწორედ პიროვნების უპატივცემულობაში გამოსჭვივის. სენსაციის გამო, უნიჭო მკითხველის მოსაზიდად ამ ყაიდის ჟურნალისტები არაფერს ერიდებიან. თითქოს ერთგვარი ნორმა დადგინდა ანდა სტერეოტიპი შემუშავდა და ყველა ბრმად მიჰყვება ამ სტერეოტიპს. თუ, ვთქვათ, სამარშრუტო ტაქსში ორი ქართველი ერთმანეთს ფულის გადახდას არ აცლის, რაც, რა თქმა უნდა, პიროვნების პატივისცემის ნიშანია, იგივე ორი ქართველი კითხულობს გაზეთს, სადაც ამა თუ იმ ადამიანის პიროვნული ღირსება შელახულია და ეს ნორმალურად მიაჩნია.

მთავრობის მომხრე ე.წ. ოფიციალური პრესა (ყოველდღიური გაზეთები) „კომუნიზმის“ ინერციით მოქმედებს. აქ იბეჭდება უზარმაზარი წერილები (ეს „მონუმენტურობა“ კომუნისტური წარსულის პირდაპირი გამოხატულებაა). ამ წერილებს იდეოლოგიური სწორხაზოვნების და ერთმნიშვნელოვნების ელფერი გადაჰკრავს. ალბათ, კიდევ მრავალი სერიოზული ძვრა უნდა მოხდეს ჩვენს ცხოვრებაში, რომ ამ პრესამ თავისი „მარადიული“, თითქოს გაქვავებული სახე იცვალოს.

ზემოთ ბაზრობები და აღლუმები ვახსენე. აღლუმები სწორედ კომუნისტური რეჟიმის „მშვენება“ იყო. დღევანდელი ცხოვრების შემყურეს, ნაღველი რომ მომეძალება, ეს აღლუმები მაგონდება, ოღონდ წარმოსახვაში სწორედ დღევანდელობას ვუკავშირებ. წარმოვიდგინოთ, საჭიროების შემთხვევაში, როგორ გადმოსტემდა დღეს ტელედიქტორი აღლუმის მსვლელობას. აღლუმში ისინი მონაწილეობენ, ვინც, როგორც ამბობენ, გარკვეულწილად ამინდს ქმნიან (როგორია ეს ამინდი?) ჩვენს სადღეისო ცხოვრებაში. დიქტორი ხმამაღლა აცხადებს: აი, მოდიან უკვე ერის მშვენებად ქცეული სახელმოხვეჭილი ინტრიგანები, მეძავები, ქურდბაცაცები, ამაყად მოაბიჯებენ ტრიბუნების გასწვრივ, ისინი ხომ ერის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენენ, აქვე არიან სხვებიც, „საქართველოზე გულგამწყრალი“ ნიჰილისტები, ისინიც ერთ კოლონად მოიწევენ, ამაყად, მწყობრი ნაბიჯით, დაბნეულები და შეშინებულები ჩანან, თითქოს ვიღაცამ ეს-ესაა პანღური უთავაზაო! აგერ ყოფილი კომკავშირლები, მათ აღარ მოსწონთ თავიანთი წარსული, დღეს ისინიც მოწინავეთა რიგებში დგანან და სიამაყეს ვერ ფარავენ! აქ არიან სექტანტები: ბაპტისტები, დუხაბორები, სტაროვერები, მეშვიდე დღის ადვენტისტები და, რა თქმა უნდა, იეღოველები! მათკენ მოიწევენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მათივე დაუძინებელი მტრები! სხვადასხვა პარტიის წევრები. აღლუმზე იწყება შეტაკება, შეხლა-შემოხლა, მუშტი-კრივი... და აი, ისინიც – ჩვენი ბობოქარი დღეების ყველაზე უფრო კოლორიტული კასტა: გენიოსა გიჟები! მათი მოღვაწეობის არე უაღრესად ფართოა, აქ შეხვდებით გამომგონებლებს, ფიზიკოსებს, აკრობატისტებს, თავისუფალ მოაზროვნეებს, პოეტებს, მხატვრებს, ტყისმჭრელებს, პარლამენტარებს, ვექილებს, კინორეჟისორებს, მსახიობებს... გაკვირვებული უყურებ და ფიქრობ, სად იყვნენ ისინი აქამდე, ვთქვათ, კომუნისტურ ხანაში? თითოეულ მათგანს მიაჩნია, რომ თავისი მოღვაწეობის სფეროში ის პირველი და შეუდარებელია, ამიტომ აბუჩად იგდებს და აუგად მოიხსენიებს სხვა, მისგან განსხვავებით, მართლაც ნიჭიერ და გამოჩენილ მოღვაწეებს, მხატვრებს, მეცნიერებს, მწერლებს. გიჟები ტრიბუნების გასწვრივ მოაბიჯებენ, მათი სიარულის მანერა ძალზე უცნაურია, ხელში უჭირავთ ათასნაირი გაუგებრობა: ნივთები, გრძელ ჩანთაში ჩაწყობილი ნაწერები, კომპასები და გლობუსები, სახაზავები და სასწორები, – ისინი ხომ პირველაღმომჩენები არიან, ყოვლისმცოდნენი და გამგებნი, და ამავე დროს, ნორმალური ნიჰილისტების მსგავსად, ყველასი და ყველაფრის უარმყოფლები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთვის მხოლოდ ერთადერთი შეუნაცვლებელი ღირებულება არსებობს – საკუთარი თავი! არადა, იმავე ნიჰილისტებისა არ იყოს, ღმერთს რომ ცოტა შემოქმედებითი ნიჭიერება ებოძებინა მათთვის (რისი პრეტენზიაც ყველაზე მეტად აქვთ), ქვეყანასაც ხომ გამოადგებოდნენ! მოკლედ, მოდიან და მოდიან კოლონებად დაწყობილი კასტები, ჯგუფები თუ ადამიანთა ნაირსახეობები, რომლებიც მთლიანობაში ერთ „შესანიშნავ" თაიგულს წარმოადგენენ! ვინმე ხომ არ დავაკელით ამ თაიგულს? ალბათ დავაკელით, მაგრამ, მოდით, ყველას ნუღარ ჩავეძიებით და იმ უმთავრეს პერსონაჟზე გადავიდეთ, რომელმაც ყოველივე უნდა დაინახოს და თავისებურად აღბეჭდოს ნაწარმოებებში. ეს გახლავთ პოეტი-სუროგატი.

დავინყოთ იმით, რომ „დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ" შემოქმედი არ არსებობს. ის თავისი გარემოს უშუალო პირმშოა. ამ პოეტის ცნობიერება ისევე ამღვრეულია, როგორც საბჭოთა აღლუმი ან პოსტსაბჭოთა ბაზრობა. პოეტი წერს ვრცელ ლექსებს. ზოგიერთები ამბობენ, რომ ეს ლექსები ჰგავს იმ მატარებელს, რომელიც ლიანდაგს ასცდა და გაურკვეველი მიმართულებით აგრძელებს გზას. პოეტი კი იხტიბარს არ იტეხს, იგი გამუდმებით წერს და წერს. მისი პოეტური თხზულება დაახლოებით ასე ჟღერს: „მე გამოვედი სახლიდან და წავედი სადღაც, სად წავედი? ვეკითხები ჩემს თავს, ჩემი თავი კი დუმს და პასუხს არ მაძლევს. დავდივარ უაზროდ, ვყიდულობ ნაყინს და ვჭამ. მიყვარს ნაყინი. რა სჯობია ნაყინს ამ ქვეყნად? უბერავს ქარი, მიაქვს ფოთლები და მეც მივყვები ქარის და ნვიმის სევდიან შოლტებს. ვჭამ ისევ ნაყინს და ძლიერ მომწონს" და ა.შ. ცხადია, ეს ლექსი ძალზე ვრცელია, რადგან პოეტმა თავისი „საათქმელი" მცირე ფორმაში ვერ ჩაატია. საერთოდ, ის ფიქრობს, რომ თანამედროვე ლექსი, რაც შეიძლება ვრცელი უნდა იყოს. პოეტი წერს ყველაფერს, რაც თავში მოუვა, მას არ სწამს შთაგონების. ბუნებრივია, როცა „ყველაფერს" წერ, ლექსი არ შეიძლება მოკლე და ლაკონური იყოს. არადა, პოეტი ახალგაზრდა კაცია და სურს „ყველაფერი" თქვას. გარდა ამისა, ეს ... არსებით ეწინააღმდეგება ქართულ პოეტურ ტრადიციას, სადაც მცირე ლირიკული შედევრებია. არა! მისი აზრით, ეს ლექსები შედევრებად არ უნდა მივიჩნიოთ. „შედევრი", „გენიოსი" – ეს სიტყვები ახალგაზრდა პოეტს ნაკლებად ემეტება სხვებისთვის, მით უმეტეს, სხვა ქართველი, თუნდაც მართლაც გენიოსად მიჩნეული პოეტებისთვის. მათთვის მხოლოდ ირონიული ღიმილი შეუძლია გაიმეტოს. პოეტი იღებს კალამს და აგრძელებს წერას: „საღამო დადგა, მე ისევ აქ ვარ, ისევ ნაყინს ვჭამ, და ისევ ვფიქრობ სახლიდან გასვლას, მაგრამ სად წავალ? ვერსად ვერ წავალ, რადგან არსაით არ ნამესვლება. ვდგავარ ოთახში და ვითვლი ნუთებს საათთან ერთად. საათი არის ტანჯვაც და წყევლაც, ფიქრიც და ზრუნვაც, დარდიც და სევდაც..." აქ პოეტი ჩერდება, ვინაიდან გრძნობს, რომ აშკარა სიყალბე შეეპარა. დარდი და სევდა მისთვის უცხოა, ამიტომაც ინტუიცია კარნახობს, ეს სიტყვები იშვიათად გამოიყენოს. პოეტი აღსავსეა ენთუზიაზმით. ის აპირებს უახლოეს ხანებში თავისი ლექსების სრული კრებული გამოსცეს. შემდეგ ამავე წიგნის პრეზენტაცია გაიმართება. უეცრად ახსენდება, რომ დღეს მის მეგობარს მკითხველთა სამსჯავროზე გამოაქვს საკუთარი ნაწერები. პოეტი ცდილობს, არ დააგვიანოს, საათზე იყურება. შეწყვეტს ლექსის წერას, კალამს გადადებს. „მერე გავაგრძელებ". – ფიქრობს თავისთვის, უკვე დაწყებულ განხილვაზე შედის. აქ მისი თანამოაზრეები იკრიბებიან, ისინი საუბრობენ ათას ნვრილმანსა და მსხვილმანზე. ძირითადი აზრი მათი საუბრისა ისაა, რომ ქართული პოეზია სავალალო დღეშია ჩავარდნილი და შველას საჭიროებს. ეს საუბარი კარგა ხანს გრძელდება. მერე იწყება საღამო. პოეტის მეგობარი, ე.ი. ისიც პოეტი, თანამოკალმე, იწყებს საკუთარი ლექსების კითხვას. მისი ლექსებიც ისეთივე ვრცელია, უმისამართო და უპიროვნო, როგორიც ჩემს მიერ წარმოდგენილი პოეტის. მსმენელები ძალიან სერიოზული სახეებით უსმენენ ასეთ ლექსს: „ჩავიცვი ფეხსაცმელები, გავედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლიდან, მოდის კაცი, რომელიც ყვირის: „ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს!“ ყვირილი აყრუებს ქუჩას, ქუჩაში დგანან ნარკომანები, ბოზები და მუსიკოსები და იხსენებენ განვლილ ბავშვობას. უცბად გამოდის ბებიაჩემი შუა ქუჩაში ვიოლინოთი და უკრავს გერშვინს“ და ა.შ.

ლექსების წაკითხვის შემდეგ ეწყობა განხილვა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სიტყვას ამბობს ჩვენი ნაცნობი პოეტიც. ის რატომღაც ღელავს: „ჩვენს შორის უკვე რამდენიმე გამოკვეთილი ფიგურაა, მაგრამ გვებრძვიან კიდეც და ჩვენზე ამბობენ, რომ ხელიდან ძაფივით გაგვისხლტა პოეზიის ნამდვილი არსი, გესმით? ძაფივით“. სხვებიც თითქოსდა აღშფოთებულები არიან, მაგრამ აღშფოთებას თანდათან ცინიზმი ფარავს. და იწყება გაუთავებელი შაყირი და აგდებული საუბარი, სადაც სიტყვა „ძაფი“ „ფიგურირებს“. ვთქვათ ასეთი: „ბოლოს და ბოლოს, ჩემი მღთმინების ძაფიც გაწყდება“ და ა.შ. ამ შეკრებაზე თეთრი ყვავივით ზის ერთი ასაკოვანი კაცი, რომელიც დიდხანს იკავებს თავს, შემდეგ კი ხელს იშვერს და მოითხოვს მისცენ ლექსის წაკითხვის უფლება. თავიდან ყველა იბნევა. აქა-იქ ისმის შეკავებული სიცილი. გახევებული, პირხმელი კაცი გამოდის და კითხულობს ლექსს. მის ინტონაციაში იგრძნობა პათეტიკა და ნიშნისმოგება: „მამულო ჩემო, ვერ მიგატოვე, ვერ მოგიშალე გზები სავალი, შენ ისევ შენი თოვლით მათოვებ, და ჩემთან დარდი მოგაქვს მრავალი. მამულო ჩემო, შენი ხვედრია, მარტოობა და ცრემლის სხურება, და ჩემი მსგავსი თუ შეგხვედრია, ისიც ჩემსავით გემსახურება“. ლექსი მთავრდება, პირხმელი კაცი გამარჯვებული სახით ავლებს თვალს აუდიტორიას, იქიდან კი უკვე ხმამაღალი სიცილი ისმის. ვიღაც გაიძახის: „აი, ნამდვილი გრაფომანი!“ ასაკოვანი პოეტი ხმამაღლა იგინება და ნირწამხდარი ტოვებს დარბაზს. სიცილი კლებულობს. ისმის მხიარული გადაჩურჩულება. მაგრამ ჩვეული ატმოსფერო მაინც ირღვევა და თავმობეზრებული „კალმოსნები“ ზლაზვნით წამოიმართებიან.

ჩვენი ნაცნობი პოეტიც ტოვებს პოეზიის აპარტამენტს და შინისაკენ მიეშურება. რატომღაც გუნება გაუფუჭდა. შინ სავარძელში თავსდება, რთავს ტელევიზორს და უყურებს „დისქავერის“ გადაცემებს. მერე მიუბრუნდება შეწყვეტილ ლექსს და აგრძელებს მანამ, სანამ შიმშილი არ შეაწუხებს და არ გაახსენდება, რომ მაცივარში სოსისი და ნახევარი ბოთლი ლუდი „ლომისი“ ელოდება. „კაი ლუდია „ლომისი“!“ – ამბობს პოეტი და მაცივრისკენ მიემართება.

გარეთ კი, უკვე ღამეა და როგორც იოსიბ ბროდსკი ჯონ დონისადმი მიძღვნილ ელეგიაში ამბობს, ყველას და ყველაფერს სძინავს, – სძინავთ ყოფილ პარტკომებს, უნებლიე ქურდბაცაცებს, ქართულ კულტურაზე გამწყრალ ნიჰილისტებს, პატიოსნების პრეტენზიით აღსავსე მეძავებს, ინტრიგან მამულიშვილებს, სხვადასხვა პრემიების „ლაურეატებს“, პოლიტოლოგებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ინტელექტუალ ჰომოსექსუალისტებს და ეგოცენტრიკოს გიჟებსაც. სძინავთ და ესიზმრებათ „ბასტი-ბუბუს აერობიკა“, „დარდუბალა“ და „დიდების ზღაპარი“...

ავთანდილ გეხელია

ვახტანგ კოტეტიშვილი. XIX საუკუნის ქართული მწერლობა და 1921 წელი

ვახტანგ კოტეტიშვილს, როგორც მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, დიდი წვლილი მიუძღვის, ზოგადად, ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული ლიტერატურის, ფოლკლორის, სახვითი ხელოვნების შესწავლისა და განვითარების საქმეში. მას საქართველოს ისტორიის უმძიმეს პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ უნდობლობის, ცილისწამებისა და დევნის ატმოსფეროს მიუხედავად, პირნათლად მოიხადა ვალი თავისი ქვეყნის წინაშე.

XIX საუკუნის ქართულ მწერლობას ვახტან კოტეტიშვილმა არაერთი წერილი თუ გამოკვლევა უძღვნა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის, ძირითადად, საინტერესოა მისი ორი ნაშრომი: „ქართული ლიტერატურის ისტორია" და „სიმახინჯე, როგორც სახე XIX საუკუნის ქართველისა დღევანდლამდის". ეს უკანასკნელი ავტორის მიერ დათარიღებულია 1914 წლით (თუმცა, ჯერაც არ გამოქვეყნებულა), „ქართული ლიტერატურის ისტორია" გამოიცა 1925-1927 წლებში. ორივეგან, ვახტანგ კოტეტიშვილი XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად 1801 წლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კატასტროფასა და ამ მოვლენით გამძაფრებულ პატრიოტულ მოტივს ასახელებს. ამავე დროს, აღნიშნულ ნაშრომთა შორის დიდი განსხვავებაა არა მარტო მოცულობის, ან მეთოდოლოგიის, ანალიზის სიღრმის თვალსაზრისით, არამედ განწყობილების მხრივაც. „სიმახინჯის"... კითხვისას აშკარად იგრძნობა ავტორის ჭარბი შინაგანი მღელვარება, რაც ხშირად თავს იჩენს მკვეთრ გამოთქმებში, ზოგჯერ კი, ნაუცბათევ შეფასებებში (მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ საუბრისას). ამ ნარკვევის ზოგად განწყობილებას, ზოგად ტონს კარგად გამოხატავს ვახტანგ კოტეტიშვილის მსჯელობა ეროვნული სახის, ეროვნული ფსიქიკის დამახინჯებასთან დაკავშირებით: „ნურავინ მეტყვის, რომ ენა-დაკარგული ერი იარსებებსო. ვერ იარსებებს, რადგან... ენა, ეს ფსიქიკაა ერის, და პირველი დაკარგვით, იკარგება ეს უკანასკნელიც. და ჩვენ კი, ენა კი არ დავკარგეთ, არა. ჩვენ ენა დავამახინჯეთ, რადგან თვით ჩვენ დავმახინჯდით, დაგვამახინჯეს. დიახ! მახინჯები ვართ ჩვენ. მახინჯი ვარ მე, რომელსაც დიდი ჯაფა მჭირდება, რომ ჩემი ნაადრევ-ნაგრძნობი მშობლიურ ენაზე გამოვთქვა, მახინჯები ხართ თქვენც, რომელნიც, ჩვენგვარსავე მდგომარეობაში იმყოფებით, მახინჯები ვართ ყველანი... დიახ! მახინჯია დღევანდელი ქართველი ე.წ. „ინტელიგენტი", თავის ქვეყნის წარსულსა და აწმყოს დაშორებული, რომლის არსება, მოკლებული შინაგან ჰარმონიას — სულიერ თანაბრობას, რაღაც უფორმო რამეს წარმოადგენს" (ლიტ. მუზ., №25 166).

ნარკვევში ხაზგასმულია, რომ XIX საუკუნის საქართველოში სიმახინჯის წარმომშობ რეალობასთან ბრძოლა მხოლოდ მწერლობამ იტვირთა და თუმცა „მიყუჩდა ცხოვრება, იყუჩა ერმა, მაგრამ არ იყუჩა მგრძნობიარე პიროვნებამ... არ მოკვდა მწერლობა... სდუმდა ერი — პიროვნება მეტყველებდა, პიროვნება ამხელდა, ერი გადაგვარების გზას ადგებოდა, პიროვნება წინ ეღობებოდა". სწორედ ამ კუთხით წარმოაჩინა ავტორმა მე-19 საუკუნის სახელოვანი ქართველი მწერლები, მათი შემოქმედება. სრულიად აშკარაა, რომ თვით ვახტანგ კოტეტიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ილიასა თუ აკაკის მსგავსად, ძალზე მტკივნეულად აღიქვამდა იმ ეპოქის ქართველთა „მოშვებულობასა" და სულიერ სიმახინჯეს, მით უმეტეს, რომ მკვლევარი მაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნცდამაინც დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა XIX საუკუნის ქართველებსა და თავის თანამედროვეთა შორის. ვახტანგ კოტეტიშვილის ასეთ განცდას, ბუნებრივია, კიდევ უფრო ამძაფრებდა ქართველთა „დამახინჯების" ძირითადი მიზეზის (მისი თვალსაზრისით) აღმოუფხვრელობა — 1914 წელს ხომ საქართველო ჯერ კიდევ რუსეთის ორი გუბერნიის სახით არსებობდა და ჯერ კიდევ „შეჩერებულ, დაგუბებულ თერგს" განასახიერებდა.

„სიმახინჯის..." დაწერიდან ოთხიოდე წლის შემდეგ გათენდა 1918 წლის 26 მაისი, ხოლო მოგვიანებით, 1921 წლის 25 თებერვალი, ანუ ვახტანგ კოტეტიშვილის თვალწინ დააღწია საქართველომ თავი „გუბის" მდგომარეობას — სიმახინჯის მასაზრდოებელ გარემოს, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით, და მალე, იმავე „გარეშე ძალამ" ისევ გადაუკეტა გზა, ისევ „გუბედ" აქცია იგი.

სწორედ 1921 წლის თებერვლის დასასრულს, ვახტანგ კოტეტიშვილი ამთავრებს მცირე, სულ ერთგვერდიან, მაგრამ მრავლისმთქმელ ესსეს — „შორეული". „სიმახინჯის..." ავტორი თითქოს მკვეთრად, დაუოკებელი აღშფოთებით უნდა გამოხმაურებოდა „გასაბჭოებად" შენიღბულ დაპყრობას, მაგრამ ასე არ მოხდა. მღელვარე აღშფოთების ნაცვლად „შორეული" გაჟღენთილია ერთგვარი სიმშვიდით, რომელიც ემყარება მომავლისადმი, შორეულისადმი ურყევ, შეუვალ რწმენას. რასაკვირველია, იგრძნობა დიდი შინაგანი ტკივილიც, დიდი სევდაც („ადამიანების უდაბნოში ადამიანი-ნიანგები აილეწნენ. ინთხევა შხამი..."), მაგრამ ეს სევდაც ნუგეშცემული, დამშვიდებულია ისევ და ისევ შორეულისადმი ურყევი რწმენით (დაახლოებით მსგავსი სიმშვიდე, ტკივილი და სევდა გამოსჭვივის კონსტანტინე გამსახურდიას მოკლე ჩანაწერიდან: „ვიყავი ბეთანიას, თაყვანივეც თამარს; 25 თებერვალი, 1921 წ.").

„სიმახინჯეში"... გამოკვეთილია ავტორის მძაფრი რეაქცია მახინჯი სინამდვილისადმი; იგი თითქოს მოუთმენლობითაა შეპყრობილი, მთელი არსებით სურს და ელის კიდეც რეალობის შეცვლას. „შორეულში" კი ეს მოუთმენლობა დაძლეულია, აქ ერთგვარი შეგუება ჩანს, ოღონდ შეგუება არა თვით სიმახინჯის, არამედ იმ ფაქტის მიმართ, რომ „გუბის" მდგომარეობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება და, მართალია, მახინჯი სინამდვილე საბოლოოდ უეჭველად, აუცილებლად დაიძლევა, მაგრამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, შორეულ მომავალში. ამიტომაა, რომ „შორეულის" განწყობილება თავისებური ნაზავია მომავლისადმი მტკიცე რწმენის, საკუთარი ბრძოლისუნარიანობის შეგნებისა და, ამავე დროს, ტკივილისა და სევდისა, რომელიც, ერთი მხრივ, გამოწვეულია არსებული რეალობით და, მეორე მხრივ, იმის გაცნობიერებით, რომ გზაგახსნილი, ლაღი „თერგის" — თავისუფალი, სიმახინჯის დამთრგუნავი საქართველოს ხილვა მხოლოდ მომავალ თაობებს ეღირსებათ!

„ისტორია უფრო ლამაზია, ვიდრე სინამდვილე" — ასე იწყებს „შორეულს" ვახტანგ კოტეტიშვილი და შემდეგ განაგრძობს: „მომავლის ზმანება ანელებს აწმყოს სიმძაფრეს. მიზეზი სიშორეა. მანძილი სცვლის არა მარტო ფიზიკური მხედველობას, არამედ ფსიქიკურსაც. ხოლო, ვისაც სურს დღეს ხილვა და გაგებაც — იგი განზე უნდა „გადგეს"... სინამდვილის ფასადი მოსაწყენია და პროზაული, მისი სიღრმე კი — უცნაური და მდიდარი. ყოველდღიურობას მოქალაქე სდარაჯობს, მუდმივობას კი — ხელოვანი... აბეზარ ფაქტებს იქით ჩანს დიდი მომავალი. ყოველდღიური შევიწროებით გზას იკვლევს მუდმივი თავისუფლება. სინამდვილის სიმძიმის ქვეშ მოქალაქეს ეპატიება მოხრა. ხელოვანი კი აქ უნდა გაიმართოს. არტისტს არსად სჭირდება ისე ამაღლება, როგორც აქ..." (ვ. კოტეტიშვილი, „რჩეული ნაწერები", წიგნი II, 1967, გვ. 169) „შორეულის" ავტორი „განზე გადგომაში" ცხოვრებისგან გადგომას, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას კი არ გულისხმობს, არამედ სინამდვილეზე ამაღლებას, მისი „უცნაური და მდიდარი სიღრმის" დასანახად და გასაცნობიერებლად.

„ქართული ლიტერატურის ისტორიაში" „ახალი საუკუნის" საქართველო, ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი აზროვნებისა და „გუნებაგანწყობილების“ განვითარებაა წარმოდგენილი. აქ „შორეულის“ სიმშვიდეს ერწყმის წმინდა მეცნიერული განსჯა. ვახტანგ კოტეტიშვილის ეს თვისებები ეხმარებოდა არა მარტო XIX საუკუნის ქართული სინამდვილის ობიექტურად დანახვა-შეფასებაში, არამედ, თავისი თანამედროვეობის, 1921 წლის შემდგომი პერიოდის უმძიმესი რეალობის მოთმინებით გადატანასა და შინაგანი მხნეობის შენარჩუნებაში...

„ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩანს ის დაოკებული, „მოთვინიერებული ცეცხლი“, რომელსაც აღაგზნებდა ავტორის გულში „საბჭოური სინამდვილე“. ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ გიორგი ერისთავის „გაყრის“ განხილვა „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ გადმოტანილია „სიმახინჯიდან“... სწორედ ამ ფაქტის გამოვლინებაა „გაყრის“ პერსონაჟთა დასახასიათებლად გამოყენებული ის მკვახე ეპითეტები, რომელნიც, მართალია, ნარკვევის მკვეთრ და მღელვარე ტონს ასე თუ ისე შეესაბამებიან, მაგრამ „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ არაბუნებრივად ჟღერენ (მაგალითად, „ტუტუცი“, „უტვინო“, „რეგვენი“, „ბატისტივნა“). ვახტანგ კოტეტიშვილი შენიშნავს, რომ გიორგი ერისთავს „პოეტურ ბუნებასა და ქართულ შეგნებას უნამლავდა ის ქონდრისკაცობა და „რუსული კულტურით“ მაიმუნური გატაცება, რომელიც იმ დროს გადამდებ სენსავით ჰქონდა მოდებული ჩვენს საზოგადოებას“. (ვ. კოტეტიშვილი, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბ. 1959, გვ. 190) ამავე დროს, მკვლევარი „გაყრის“ პერსონაჟთაგან ყველაზე მეტ ანტიპათიას ივანე დიდებულიძისადმი ამჟღავნებს (მისი აზრით, ივანე დიდებულიძე „საერთო ფონზე მაინც ყველაზე რეგვენია“), რაც იმაზე მოგვანიშნებს, რომ თვით ვახტანგ კოტეტიშვილსაც „პოეტურ ბუნებასა და ქართულ შეგნებას უწამლავდა მრავალთა „ქონდრისკაცობა“ და „მაიმუნური გატაცება“ „რუსული კულტურით“; და მას ასეთი განწყობილება ჰქონდა არა მარტო 21 წლის ასაკში (როცა „სიმახინჯეს“... ნერდა), არამედ შემდეგაც, „ჩაკეტილ“ მხნეობა მონაკვეთი თითქმის უცვლელად მეორდება „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“.

მსგავს „ქონდრისკაცობაზე“ ვახტანგ კოტეტიშვილი ყურადღებას ამახვილებს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის განხილვის დროსაც. მკვლევარს მოაქვს ვრცელი ციტატა ილიას სტატიიდან „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არ გვაქვს“ და თითქოს მასაც გადაედება პირუთვნელობისა და მამხილებლობის ის პათოსი, რომლითაც დასახელებული წერილია გაჟღენთილი. ვახტანგ კოტეტიშვილის დასკვნით, ილიამ აქ „პირდაპირ თქვა ის, რაც ამდაბლებდა და სცემდა ქართული აზროვნების დონეს. ეს უბრალო მოვლენა კი არ იყო, დღიური გატაცებით წამოსროლილი, არამედ ჩვენს სულში დაბუდებული უნაყოფობა, შეიძლება მთელი ერის არსებობასთან დაკავშირებული. აქ ილია ჭავჭავაძემ ისეთი ღრმა მხედველობა გამოიჩინა, რომ ჩვენ დრომდე აღწევს მისი მედიდური და დამცინავი ხმა. განა დღეს კი იმავ „ქონდრისკაცობის“ ხშირი გამოფენა არ არის? დღესაც მზამზარეულის საშუალებით არ ჰხდება მწერლის სახელის მიღება?“... (ვ. კოტეტიშვილი, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბ, 1959, გვ. 298) საგულისხმოა, რომ როცა ვახტანგ კოტეტიშვილი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების შესახებ საუბრობს, ზოგჯერ, რთულდება კიდეც მისი და მწერლის მსოფლხედვისა თუ განცდების ურთიერთგამიჯვნა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „მოჩხუბარიძის“ შემოქმედება „ერთი მთლიანი რომანია“, რომელშიც მოთხრობილია „როგორ კლავდნენ ხევს და ვინ“. „ხევი“ კი, ვახტანგ კოტეტიშვილის განმარტებით, იგივე საქართველოა, ღირსეული, ამაღლებული საქართველო, „ნამდვილი ადამიანურობის“ „ცოტა დედამიწა“, სადაც ჯერ კიდევ არსებობს „ნამდვილი კულტურა, ანუ მომწიფებული სულის გამოცხადება“, სადაც „მითოსი ცოცხალია და შემოქმედი სული ქმნის სიცოცხლის უღრმეს და იმანენტურ სტილს“. (იქვე, გვ. 566) და „ხევს“, „ცივილიზაციის სახელით“, „შეგინების სისხლიან ნადიმს უმართავს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის რუსეთი – ამ ტრაგედიას გვიამბობს გულმოკლული, ცრემლდამშრალი ალექსანდრე ყაზბეგი – ასეთია ვახტანგ კოტეტიშვილის დასკვნა, ხოლო მეფის რუსეთის ნაცვლად საბჭოთა რუსეთი რომ ჩავსვათ, კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ რატომაა ესოდენ ახლობელი და განსაკუთრებულად მტკივნეული თვითონ მკვლევარისათვის, „მოჩხუბარიძის" სულის მდუღარება.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის" ავტორი ერთგან აღნიშნავს, რომ „თუ ერის ცხოვრება იგრიხება და იმტვრევა ხელოვნურად, თუ გარეშე ძალა ეღობება შემოქმედების გზაზე, ამ წინააღმდეგობას წინ უხვდება სასიცოცხლო ძალა და „ტანჯვაში სული უფრო მტკიცდება". ერის ასეთი მდგომარეობა განელებას კი არ იწვევს, „არამედ დუღილს", (ვ. კოტეტიშვილი, „ქართული ლიტერატურის ისტორია", თბ., 1959, გვ. 27) ხოლო ასეთი „შინაგანი დუღილი", რომლის შედეგად ორმოციანი წლებისთვის მკაფიოდ გამოიკვეთა „ქართული შეგნების მობრუნება", რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ „ერის საუკეთესო წარმომადგენლებმა რომანტიკულ უკან ცქერას თავი დაანებეს, წინ გახედვის აუცილებლობა ყველამ იგრძნო და კულტურის ფრონტზე რაღაც მოძრაობა შეიქმნა". (იქვე, გვ. 165) ამ მხრივ, შეიძლება ერთგვარი პარალელის გავლება 1801-1832 წლებსა და 1921-1924 წლებს შორის, თუმცა, XX საუკუნის ოციან წლებში „ერის საუკეთესო წარმომადგენლებმა" (მათ შორის, ცხადია, ვახტანგ კოტეტიშვილმა) „გასაბჭოების" პირველივე დღეებიდანვე ორიენტაცია „კულტურის ფრონტზე" აიღეს. ამ ფრონტზე ერთი დიდი, საფუძვლიანი შეტევის წამოწყება იყო სწორედ „ქართული ლიტერატურის ისტორიის" შექმნა. ნაშრომის წინასიტყვაობაში ავტორი თავის თავს „ჩვენი განათლების მომცდარი ყანის მორიგ მუშას" უწოდებს, მაგრამ იგი შეიძლება შევადაროთ, აგრეთვე, მრავალთაგან მიტოვებული ფრონტის თავდადებულ მებრძოლს, რომელმაც ბოლომდე უერთგულა „შორეულს" და შეეწირა კიდეც ამ ერთგულებას.

30-იან წლებში ვ. კოტეტიშვილს, როგორც „რეაქციონერსა" და „ნაციონალისტს", დანაშაულად უთვლიდნენ, რომ მან XIX საუკუნის „მთელი ქართველი მწერლები ეროვნულ გმირებად აღიარა და სამშობლოსთვის ტანჯულ წმინდანებად გამოაცხადა". (კ. მელაძე, „კლასიკოსთა შესახებ", თბ., 1935, გვ. 12)

ვახტანგ კოტეტიშვილისთვის პატრიოტულ გრძნობასავით რეალური იყო ის განცდა თუ შეგნება, რომელსაც იგი „ესთეტიკურ სინდისს" უწოდებდა. გარკვეული ლიტერატურული შეხედულებისადმი ერთგულება, იმ დროს, ცხადია, მხოლოდ ლიტერატურულ დაპირისპირებას არ გულისხმობდა, რის გამოც „ესთეტიკურ სინდისთან" პირნათლად ყოფნა დიდ გამბედაობასა და შემართებას მოითხოვდა. ამიტომაც არის, რომ, ჩვეულებრივ, როცა ვახტანგ კოტეტიშვილის მოღვაწეობის შესახებ საუბრობენ, იქვე გახაზავენ მის გამორჩეულ პიროვნულ თვისებებსაც.

ვახტანგ კოტეტიშვილის ამაგი ისევე დაუვიწყარია, როგორც XIX საუკუნის ქართველი მწერლებისა...

იკა ქადაგიძე

მიხეილ ჯავახიშვილის „გივი შადური“

დღეისათვის ცნება კლასიკური მავანთათვის სარკასტულად ჟღერს, რადგან თანამედროვე ხელოვნება კომბინირებულმა დილეტანტიზმმა წალეკა, თუმცა პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება ნებისმიერი ჟანრისთვის კვლავ კარდინალურ პრობლემად რჩება.

მეტნაკლებად მნიშვნელოვან ნაწარმოებებში პიროვნების დანიშნულება მდუმივმოქმედი ბერკეტის ფუნქციას ასრულებს. ეს საკითხი ნებისმიერ ეპოქაში მნიშვნელოვანია და რაოდენ მცირეა იმ შემოქმედთა რიცხვი, რომლებიც მოძალებული კერძო ინტერესის ჩარჩოს საუკუნის მრავალმხრივ წვდომას უთანხმებენ.

პიროვნების ბედი საბჭოურ ეპოქაში ამგვარად განისაზღვრა:

„მართალია, უდიდესი საკითხია ხელოვნება, კულტივიზაცია, მაგრამ როცა ჩვენ ვინტოვკით (ხელში) ვწყვეტთ საკითხს რევოლუციის, მაშინ ნურას უკაცრავად, მაგრამ შეიძლება თქვენი ლექსები და რომანები მეორე და მესამე რიგშიც გადავწიოთ“.

კარგად მოგეხსენებათ, „ვინტოვკის“ ხანამ რა შედეგი მოგვიტანა. „ლიტერატორ“ ბახტაძეს რაც შეეხება, ეს სწორედ ის მზარდი კრიტიკოსია, რომლის წინაშე მიხეილ ჯავახიშვილს „თეთრი საყელოს“ გამო ვრცელი ახსნა-განმარტების მიცემა მოუხდა.

ბახტაძის უტაქტო გამოთქმა — „ტილების რადიო“, ჩვენ წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილეთ.

ამჯერად გივი შადურის შინაარსს მივყვეთ, ტექსტს, რომლის ძირითადი ლაიტმოტივი დიდი მწერლის ხანგრძლივი დაკვირებისა და უმაღლესი პროფესიონალიზმის ნაყოფია.

შემთხვევითი არ გახლავთ ის გარემოება, რომ რომანის სიუჟეტი შემდეგნაირად იწყება: ერთ დროს თავმომწონე გივი შადური ახალგაზრდა მწერლების გარემოცვაში იქცევს თავს. თუკი საკუთარი ცხოვრების ტრაგედიის აღნუსხვას შესაძლოა თავის შექცევა ვუწოდოთ.

ცხოვრებისგან ხელმოცარულ შადურს პოეტურ ნადიმებზე დასწრებით გააქვს თავი. იგი ნაკაცარი — ყოფილი ადამიანია. მორიგი უმომავლო წარმონაქმნი ახალი დროისა, რომელსაც წითელი ეპოქა ხელოვნურად ანადგურებს.

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ნაკაცარის თემა ფართოდ იჭრება. კლასიკოსი მწერლები ცდილობენ ახალ დროსთან მიმართებაში აღმოცენებული გაუცხოების წარმოჩენას.

ნაკაცარი, იგივე ყოფილი ადამიანია, სხვაგვარად ზედმეტ ადამიანად იწოდება.

გივი შადურის მსგავსი ნაკაცარია თეიმურაზ ხევისთავი, კონსტანტინე გამსახურდიას კონსტანტინე სავარსამიძე და თარაშ ემხვარი, აგრეთვე, დემნა შენგელაიას ბონდო ჭილაძე.

თითოეული მათგანი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დგას. გადაფასებულია მანამდე არსებული ყველა ფასეულობა. გადასინჯულია რელიგია, მორალური კოდექსი და მთლიანად ცხოვრება, რომლის ახლებური არქიტექტონიკა მათში სერიოზულ ეჭვსა და შფოთს იწვევს.

ჯავახიშვილის მიერ ასახული ნაკაცარი გარკვეულწილად მაინც განსხვავდება დანარჩენებისაგან და ეს სხვაობა მხოლოდ პერსონაჟის ამა თუ იმ ხერხში ვლინდება. აქ უფრო ღრმა ქვეტექსტია ჩადებული.

თუკი სავარსამიძე, ემხვარი და ჭილაძე ეპოქისგან დაპირისპირებისას ფიზიკურად ნადგურდებიან, ხევისთავმა და შადურმა სხვაგვარი ხვედრი გაიზიარეს.

ფიზიკურ-მორალური დაცემის მიუხედავად შადურს ცხოვრების მიმართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ინდივიდუალური ფილოსოფია ასულდგმულებს. სწორედ ამ კონცეფციის მეშვეობით ახერხებს იგი წონასწორობის შენარჩუნებას, რის გამოც მისდამი გაუნელებელი ინტერესი გვეუფლება.

შადურის, როგორც პიროვნების, ტრაგედია, ეპოქასთან შეუთავსებლობაში ვლინდება. გივი-მარტოოდენ მსმელი, პირადი ცხოვრების გამო გულაცრუებული ადამიანი როდია. იგი მოაზროვნეა. პიროვნება, რომლის კერძო, ადამიანური მოთხოვნილება მხოლოდ პირადი მოუწყობლობიდან გამომდინარე პრობლემით არ განისაზღვრება.

ახალი დროის მექანიკური ყოფა ყველაზე გაუგებარი, სერიოზული დაბრკოლებაა მისთვის. „ძველ კაცს მუდამ ძველი გადამკრეფს ხოლმე. პირი ვერ დამილია, რომ „ღმერთი“, „ანგელოზი“ და „კურთხევა“ არ წამომცდეს. გამოვტყდები, ეპოქალობა მაკლია“, ეპოქალობა, რომლის უღმერთო, ცალმხრივ ძალმომრეობას ბევრი გივიზე აღმატებული მოაზროვნე შეეწირა. ეს გარემოება ცნობილია გივი შადურისთვის. იგი გადაშენების პირას მისული გუშაგის მარად მღვიძარ სამზეურად შეგვიძლია გავიაზროთ.

შადურის რთული, ტრაგიკული და ამავე დროს ეპოქალური კატაკლიზმებით გაჯერებული ცხოვრების გზა პირველ რიგში სწორედ იმ საუკუნის დანაშრევს წარმოგვიჩენს, რომელთან მიმართებაც მუდმივად წინააღმდეგობრივ ჭიდილში იჩენს თავს.

ძალზე საინტერესოა გივი შადურის პროფესია. იგი მძოლია. გივი შადურის მსგავსი ტიპი მკვეთრად ემიჯნება თანამედროვე „შოფრის“ გავრცელებულ სტერეოტიპს.

ჩემი აზრით, მწერალი შადურის პროფესიას ორმაგ დატვირთვას ანიჭებს. ეს ხელობა მუდმივი გადაადგილების საწინდარია. მუდმივი მოძრაობა და არამექანიკური, მარტოოდენ პირად მომხვეჭელობის სურვილით ანთებული ადამიანის ქროლვა.

ამ მხრივ ყურადსაღებია შადურის მეუღლის – რუსუდანის მამის, პროფესიონალი მძღოლის ტრაგიკული აღსასრული, რომელიც მატერიალური კეთილდღეობისა და სპორტული აზარტის ჟინით შეპყრობილი უფსკრულში იჩეხება. თითქოს უხილავი განგება არ პატიობს გადამეტებას, ზღვარს, რომლის გადალახვაც ამ უკანასკნელმა ესოდენ კნინი მიზეზის გამო მოიწადინა.

გივი შადურის ქროლვა სრული კონტრასტის მაჩვენებელია. მისი სულიდან წამოსული მოძრაობა არა ბრმა ინსტინქტის, არამედ გონებრივი დაძაბულობის მაუწყებელია.

შადური ინტენსიურ ქმედებას ფიქრს უფარდებს. ქროლვის პროცესში მარტოოდენ ზერელე დამკვირვებლის როლით არ იფარგლება. იგი საკუთარი ქვეყნის გულისცემას ადევნებს თვალყურს. ძველსა და ახალს ერთმანეთს უდარებს, რათა ახალი ეპოქის სრული სურათი თავისით შეიგრძნოს. სხვისი ზეწოლისაგან თავდახსნილმა შეაფასოს ახლებური ვითარება, რომლის ტვიფარი ვერაფრით მოურგია.

შადურის დაკვირვებულ თვალს სიახლის უამრავი ხარვეზი შეუმჩნეველი არ რჩება. ახალი ეპოქის აღტკინებული ლოზუნგომანია მასში გამჯდარ ინტუიციას ოდნავაც ვერ აბლაგვებს. ინტერნაციონალიზმის ყბადაღებული უპირატესობის ფონზე გივი შადური ქართული სულის დაკნინებას განიცდის.

ავტორს ნიმუშად ქართველისა და ცხენის ურთიერთობა მოაქვს. ფრთოსანი მერნების აღმზრდელი ქართველი მეომრები უმოწყალოდ განადგურებულან. მათი ნიშატიც არ არის შემორჩენილი. „შორს წამსვლელი აღარ არის ქართველი“ – შადურის პირით ასკვნის ავტორი.

აქედან გამომდინარე, ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველთა მეფის ცხენოსნობით მოხიბლულ ბიზანტიის კეისარს მარსის მოედანზე ცხენზე ამხედრებული მისი ქანდაკება აღუმართავს.

დავიწყებას მისცემია ის 12 გურული მხედარი, რომელთა უებრო მარულა ამერიკაში განცვიფრების ნამდვილ ისტერიას იწვევდა.

მდგომარეობა შეიცვალა.

შორი გასაქანისა და პოტენციის აღმოფხვრას ეროვნული ცნობიერების გაუფერულება-გადაჯიშებას უთანადებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, რომანის დედააზრს ძირითადად უსამშობლო ადამიანის ტრაგედიის ჩვენება წარმოადგენს.

ამ მხრივ გივი შადურის ახლო ნათესავის პეტრე შევარდენიძის ნებაყოფლობითი გადაგვარებაა საგულისხმო. რუსეთში სასწავლებლად გამგზავრებული პეტრე, მდიდარი, გავლენიანი ცოლისა და ძალაუფლების მოყვარე სიდედრის ფრთებქვეშ უნიათო პეტრე სოკოლოვად იქცევა. მის ნებისმიერ ენერგიულ წამოწყებას „ახალი ნათესავები" მორიგი მოსყიდვითა და თავის მოწონებით ახშობენ. პეტრეს ღალატი მაროს მიმართ სრული გადაგვარებით გვირგვინდება. ფსიქიურად დაავადებული ცოლის ზეგავლენით იგი საჭურისულ თვისებებს იძენს.

იმდენად ძლიერია პეტრეს დაცემა, რომ მას მშობლიური ენა ოდნავადაც აღარ ახსოვს. დავიწყებული აქვს ყველაზე ცხოველმოქმედი ფესვი, რომლის საშუალებითაც ახლობლებთან თავდაპირველი კავშირის აღდგენა უნდა განხორციელდეს. ამ მხრივ პეტრე სოკოლოვი ანდრო კაიშაურს ეხმაურება, ორივე პერსონაჟი კი თავად დიდი მწერლის პირადი გამოცდილების ტრაგიკული ანარეკლია. ბედის ირონიის წყალობით, რუსეთში განათლების მისაღებად მივლინებულ შემოქმედს ორჯერ ხელახლა მოუხდა მშობლიური ენის ათვისება.

რუსიფიკაციის სუსხი თვით მიხეილ ჯავახიშვილსაც აყენებს ზიანს. შეუდარებელ მოქართულეს ეროვნული ფესვი ორჯერ ამოუძირკვეს.

ანალოგიური ხვედრი გაიზიარა ქართული მწერლობის სხვა კლასიკოსმა – დავით კლდიაშვილმაც. ვფიქრობთ, საკმაოდ მრავლისმეტყველი ფაქტებია. მაშინ, როდესაც უცხო ძალასთან გამკლავება გენიოსებსაც უჭირდათ, ადვილი წარმოსადგენია, რიგითი სოკოლოვის ტიპის ადამიანს როგორი ზეწოლისთვის უნდა გაეძლო! ამიტომ, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება ეროვნული შემეცნების შენარჩუნება-განმტკიცების ირგვლივ ბრუნავს. აქედან გამომდინარე, პიროვნების ხვედრი განსაკუთრებულად რთულია და საპასუხისმგებლო.

მიხეილ ჯავახიშვილის ეროვნული მიზანი ეროვნული პესიმიზმის დაუშვებლობაა, რომლის დასამკვიდრებლად ადგილობრივი მოღალატეების გარდა, გარეშე ძალებიც არანაკლებ იღვწოდნენ.

„როგორც ამბობენ, სწორედ ამ ხანებში შემუშავდა ქართველი ერის ღირსების ის დამამცირებელი შეხედულება, რომელიც რუსმა მოღვაწემ ფადეევმა გამოთქვა ჩვენს შესახებ: პოლონელი, – უთქვამს მას, – მაშინ არის უაღრესად საშიში, როდესაც ის ჭეშმარიტი პოლონელია, როდესაც ის ნამდვილი პოლონური ეროვნული შეგნებითაა გაჟღენთილი, ხოლო ქართველი კი მაშინ არის ჭეშმარიტად სანდო და ერთგული რუსეთისათვის, როდესაც ის ნამდვილი ქართველიაო". ამრიგად, ნამდვილი ქართველობა და ეროვნული რენეგატობა სინონიმებად იქნა გამოცხადებული. და მართლაც, ასეთი საშინელი დასკვნისთვის თითქოს საკმაო საბუთს იძლეოდა ის უსაზღვრო პოლიტიკურ-ეროვნული დაავადება, რომელმაც ფეხი მოიკიდა 30-იანი წლებიდან – წერს კიდევ ერთი მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომლის სახელი კარგა ხანს ტაბუირებული იყო.

გრიგოლ ლორთქიფანიძე ბევრი ეროვნული მოაზროვნის მსგავსად 1937 წელს ბერიას მიერ ჩატარებულ დაკითხვაზე გარდაიცვალა. როგორც ვხედავთ, რუსული იდეოლოგიის წნეხი პეტრე სოკოლოვის მსგავსი ადამიანების გადაბირებით ავსებდა კადრს.

პეტრეს სრული ანტიპოდია მისი უმცროსი ძმა დათიკო, რომელიც რუსეთში მიღებულ განათლებას საჭიროებისამებრ იყენებს. დათიკო ცოლად ირთავს პეტრეს ყოფილ საცოლე მაროს, რომელსაც ოთხი შვილი შეეძინა. დათიკო სასწაულად შემორჩენილ ქართულ გენს განასახიერებს, ეროვნული თავმოყვარეობის შემწყნარებლობის ერთგვარი სიმბოლოა.

იგი სასიკვდილოდ განწირულ უფროს ძმას უკან მიიღებს, თუმცა მათ შორის აღმართული გაუცხოების აღმოფხვრა საბოლოოდ შეუძლებელია. საბჭოთა სისტემის ბიუროკრატიული მოხელის მიერ უსამართლოდ დაპატიმრებული შადური ციხეში ამოყოფს თავს. გამომძიებელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფთარიძემ შადურის მეუღლე რუსუდანს დაადგა თვალი. ლამაზი ქალის ჟინით შეპყრობილმა ცრუ ბრალდება შეთითხნა და ალალმართალი კაცი ციხეში გამოამწყვდია.

მიხეილ ჯავახიშვილი დაუფარავად აშიშვლებს საბჭოთა მოხელის ძალმომრეობის ხასიათს და მეთოდს, ძალაუფლებისადმი ავადმყოფურ ლტოლვას, რომლის გამო უდანაშაულო ადამიანებთან ერთად ქვეყანაც ზარალდება.

აფთარიძე ერთ-ერთი ბიუროკრატთაგანია, რომელსაც დღეს კორუფციონერს უწოდებენ.

ყველაფრის მკადრებელი უსინდისო კარიერისტი, რომელიც ფულთან ერთად სიამოვნებაზეც არ ამბობს უარს.

ქმრის დატუსაღებით შოკირებულ რუსუდანს იგი ფსიქოლოგიურად ამუშავებს. დაუძლეველ შიშსა და ძრწოლას აღუძრავს, რაც სასურველ შედეგს გამოიღებს. შეშინებული ქალი აფთარიძის ნებას დაჰყვება, თუმცა საბოლოოდ სიმართლე ირკვევა და დამნაშავე გამომძიებელს თავად ჩამოაცმევენ ტუსაღის პერანგს.

სიმართლე გამჟღავნდა, მაგრამ გივი შადურის თავმოყვარეობა შელახულია. მას აღარ ძალუძს ცოლთან ცხოვრება, ღალატს ვერ პატიობს და ოჯახიც ინგრევა. ასე ძვირი დაუჯდა შადურს აფთარიძის გართობა. მწერლის უკომპრომისობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. აფთარიძე ბევრი თვისებით წააგავს „დამპატიჟეს“ პერსონაჟს, მასავით პარაზიტია და საეჭვო რეპუტაციისა და ყოვლისშემძლე ნაცნობობით იკვალავს გზას.

მიხეილ ჯავახიშვილს ალეგორიისთვის არ მიუმართავს, პირდაპირ გამოხატა საკუთარი პოზიცია.

ყრილობაზე დასახული ამოცანა პირუკუ შეასრულა. სოცრეალიზმის გმირის ნაცვლად ანტიგმირი აღწერა. მართლაც როგორ არ ჰგავს მწერლის სისხლისმსმელი პერსონაჟი რაპელების მიერ შექმნილ რობოტს, რომელიც სიცრუის ნიადაგზე ხელოვნურად დაამყნეს.

აკი არ აპატიეს კიდეც.

სწორედ რაპელებისა და მწერლობის დამკვრელი ძალების ცილისწამებისა და დაბეზღების შედეგად მოუსწრაფესი ცოცხლე. — „ჯარში გაწვევა გამიგია, მაგრამ მწერლობაში გაწვევა აღარ გამიგიაო“, — ერთხელაც უთქვამს.

დრო იყო ამგვარი, მასაც შადურივით „ეპოქალობა აკლდა!“

ჩვენ კვლავ გივი შადურს დავუბრუნდეთ, რომელიც ციხეში კიდევ ერთ კოლორიტულ ტიპს ეცნობა. ყარამან ჯიქურაულის შთამბეჭდავი, წინააღმდეგობრივი სახე რომანის მრავალმხრივი გალერეის საუკეთესო მაგალითია.

ყოფილი კონტრრევოლუციონერი ბავშობიდან დაუნდობელ ზნეს ავლენს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის სამხედრო სასწავლებელში მოხვედრილი ყარამანის საქციელი, როდესაც ის შოვინისტ რუს ოფიცერს ანალოგიური აგრესიულობით პასუხობს. შეზარხოშებული რუსი სამხედრო მოხელე ქართულ ენას ძაღლურად მოიხსენიებს, ხოლო ქართველები უვიც, უკულტურო ველურებად გამოჰყავს.

რომანში ეს ეპიზოდი განსაკუთრებული სკრუპულოზურობითა და შეფარული მღელვარებითაა ასახული.

რუსულ მსოფლმხედველობრივ პოლიტიკას ყარამან ჯიქურაული მწყობრიდან გამოჰყავს. იგი რუსს საჯაროდ ბოდიშის მოხდას აიძულებს.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ჯიქურაულის რეაქცია, რუსისთვის მოულოდნელია. იგი ქართველის შეურაცხყოფას მიჩვეულია და ამიტომ საგონებელში ვარდება, როდესაც ჩაგრულის მხრიდან წინააღმდეგობას აწყდება. ყაზარმულ მორჩილებას ჩვეულ რობოტს თავდაცვის მექანიზმი აიძულებს ძლიერის წინაშე ქედი მოიდრიკოს, ამიტომ დუელში გამოწვევაზე უარს აცხადებს“. მისი სილაჩრე იქამდე მიდის, რომ მტერს რისხვის დასაცხრომად საკუთარ მეუღლეს სთავაზობს. ქალის ალერსის საფასურად ცდილობს საკუთარი უსაფრთხოების ყიდვას, მაგრამ ყოველივე ამაოა.

ქართველის წინაშე ბოდიშის მოხდა ავბედით გარდუვალობად იქცა მისთვის.

ყარამან ჯიქურაული ახალი დროის მოწინააღმდეგეა, თუმცა მის მიერ ჩადენილი არაერთი ჯგუფური მკვლელობა გამართლების საბაბს არ იძლევა. ყარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანის ფსიქოლოგიური პორტრეტის ხატვისას ავტორი თავიდანვე დაწყევლილ სისხლზე ამახვილებს ყურადღებას.

ყარამან ჯიქურაული გარემო პირობებისა და თანდაყოლილი მანკიერების ერთდროული მსხვერპლია, თუმცა სიკვდილის წინ გივი შადურის წინაშე ჩადენილ ცოდვებს გულწრფელად ინანიებს, მაგრამ პასუხისმგებლობას არ გაურბის. ამიტომ ჯიქურაულის პიროვნება ჩვენთვის ორმაგად საინტერესოა. მიხეილ ჯავახიშვილი, უამრავი ნაკლის მიუხედავად პერსონაჟის განუმეორებელი პიროვნული თვისებების წარმოჩენასაც ცდილობს.

ყარამან ჯიქურაული ერთეულთა შორისაა, ვინც არსებულ რეჟიმს ებრძვის „ვინტოვკით ხელში", რადგან გამოცდილების საფუძველზე დარწმუნდა, რომ ძალას ძალით უნდა დაუპირისპირდე, რომ რუსეთის იმპერიასთან დიპლომატიური ურთიერთობა შეუძლებელია. ბოლშევიკებისათვის მიუღებელია მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპი. დიდი მწერალი ამავე დროს გვიჩვენებს, რომ ბრძოლის სხვა გზაც არსებობს, რაც დათიკო შევარდენიძის ტიპის ადამიანების ცხოვრების წესში ვლინდება. ეს ფიზიკური გადარჩენის შემანარჩუნებელი გზაა, რომლის ბილიკზე სვლა გივი შადურმა ვერ შეძლო. იგი ამ გარდამავალი ყოფის მსხვერპლია და გამომწვევად ილაშქრებს უჯიშოთა წინააღმდეგ, ვისთვისაც ათასწლოვანი ისტორიული მონაპოვარი მხოლოდ ახალი ეპოქიდან უნდა დაწყებულიყო.

გივი შადურის ცხოვრების ისტორია, მართლაც მრავალფეროვანია და დამაფიქრებელი. ცოლშვილთან განშორებას მორიგი დარტყმა ახლავს: მარიტას გაჩენილი ოთარი ტრაგიკულად იღუპება. ამიტომ მისთვის ყველაფერი დაკარგულია.

გივი შადურისათვის ქვეყანა ერთ უზარმაზარ, თუმცა მივინყებულ და გავერანებულ სასაფლაოსთან ასოცირდება. უმომავლო კაცს სხვა აღარაფერი ასულდგმულებს, მაგრამ გივი შადური არის გივი შადური, ეპოქალურ კრიზისს უბრძოლველად ვერ დანებდება. იგი ხომ ყველგან პირველობას იჩემებდა. მუდამ ახერხებდა საზოგადოებაში ყველაზე დიდი ინტერესი გამოეწვია. მას სხვაზე მეტად უწევდნენ ანგარიშს.

ეს ადრე იყო, ოდესღაც, წარსულში, მაგრამ თვითმყოფადი პიროვნული მენტალიტეტის სრული განადგურება მაინც არ ხერხდება.

ცხოვრების მიმართ გამომუშავებულ საკუთარ შეხედულებას შადური სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებს. ზოგჯერ უფრო სუსტად, ზოგჯერ – მეტი შეუპოვრობითა და სიმძლავრით.

გივი შადურს თავისებური ავტორიტეტი ბოლომდე აქვს შენარჩუნებული. ასე რომ, არ იყოს, მის მიერ გამოთქმულ სენტენციებს ყურად არ ვიღებთდი, არ ჩავუღრმავდებოდით სულის ფსკერზე ჩამალულ საუნჯეს, რომელსაც უშურველი გულითადობით გვთავაზობს. არ მოვექცეოდით მისი პიროვნული ხიბლის გარემოცვაში, თავის არიდება ხომ ყველაზე ნაცადი, მომგებიანი საშუალებაა.

„ხოლო გეტყვით თქვენ:

ნეტარ იყვნენ ძლიერნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ამა ქვეყნისა, ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი შემოქმედებითა, რამეთუ მათ სთქვან სათქმელი თავისი.

თქვენ ხართ მარილი ქვეყნისა, უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითმე დაიმარილოს?

ხოლო მე, გივი შადური, გეტყვით თქვენ: უკეთუ არ აღემატოს ნაწერი თქვენი მედიდურს მცირე ხელოვანისას, ვერ შეხვიდეთ ისტორიისა სასუფეველსა შინა"

ლიტერატურა:

1. რ. ნიშნიანიძე, „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", გვ. 13.
2. მ. ჯავახიშვილი, „გივი შადური", გვ. 479.
3. გ. ლორთქიფანიძე, „ფიქრები საქართველოზე", გვ. 73.
4. მ. ჯავახიშვილი, „გივი შადური". გვ. 418.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ აბაშიძე

ცბიერი და ორპირი დიპლომატების ეპოქა ისტორიას ჩაბარდა

ჟურნალ „მნათობის“ კორესპონდენტი ქ. მოსკოვში ლია ბაშალეიშვილი ესაუბრება საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რუსეთის ფედერაციაში, ბატონ ზურაბ აბაშიძეს.

– საქართველოს ბოლო წლების ისტორიას რომ თვალი გავადევნოთ, ერთ-ერთი ბიბლიური პარადიგმა აუცილებლად გამოინასკვება ჩვენს ცნობიერებაში, ემიგრაციასთან მიმართებით. ხალხის ნაკადი, დაქსაქსული, შეშინებული, უუფლებო, თავის თავს მინდობილი, რომელსაც სამშობლო მიუტოვებია ნებით თუ უნებლიეთ, ხალხი, რომელსაც არავინ ელის და არავის სჭირდება, უფლის ძლიერი ხელისა და წინამძღოლის გარეშე დარჩენილი, მისწყდომია სხვადასხვა ქვეყნებს უკეთესი ხვედრის საძიებლად.

– ჭეშმარიტად, რა ძალითაც ცდილობ თავი დააღწიო ამა თუ იმ მოვლენას, ქვეყანას, საგანსა თუ იდეას, ნაწილობრივ მისი მონა ხდები. არაფერია ახალი ამ სიტყვებში, რისგანაც გარბიხარ, ისევ იგი უკუ მიგათრევს თავისკენ უხილავი ძალით. ჩვენი უამრავი თანამემამულე ცხოვრობს რუსეთში, ავად თუ კარგად, მდიდრულად თუ გაჭირვებით. ჭრელია ემიგრაცია, ზოგი ისევ საბჭოთა კავშირს მისტირის, მავანი რუსეთის ბედზე უფრო სწუხს, რომის პაპზე მეტ კათოლიკობას იჩემებს, მოკლედ, ცხოვრობს ისე, როგორც შეუძლია, იბრძვის არსებობისათვის და „ორ კაპიკს“ უგზავნის საქართველოში დარჩენილ ახლობლებს. ყველას კი აერთიანებს ტკივილი, მისჩერებიან ცისფერ ეკრანს და ტრაგიზმამდე მისული განწყობით შეჰყურებენ პანკისის ხელობისაკენ გაფრენილ ბომბებს, მიტროფანოვის, ჟირინოვსკის, რაგოზინის ურცხვ ცინიკურ მუქარებს, აფხაზთა და ოსი სეპარატისტების ლიდერთა „ომახიან“ განცხადებებს. საქართველოს პრეზიდენტის ჩამოსვლას გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს, ეგებ... რაიმე შეიცვალოს, ეგებ რაღაცას არ ამბობენ, ეგებ... ხან „ომონი“, ხან „სკინხედები“, ხან ვიზები... რა გამოლევს შიშის მიზეზს. ეს ისე, როგორც ლირიული ინტერმეცო... თორემ დიპლომატიურ მისიას ლირიკისათვის არ სცხელა, იგი დედუქციურ, ლოგიკურ ენაზე მეტყველებს, რადგან სწორედ ახლა ყალიბდება ზესახელმწიფოებთან ურთიერთობის ის სტილი, რომელიც საქართველოს საშუალებას მისცემს, იპოვოს კუთვნილი ადგილი მზის ქვეშ და დამყარდეს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა.

ძნელია ელჩთან არასტანდარტული აზროვნების თვალსაწიერიდან დიალოგი, ამას, არა მგონია, დიდი განმარტება სჭირდებოდეს, არც ზედმეტი გულახდილობის იმედი შეიძლება ჰქონდეს ჟურნალისტს, როცა იგი დიპლომატს ესაუბრება. ბატონი ზურაბი შორს დგას გასხეპილი, ცივი თავაზიანობისაგან. ის თბილი, ემოციური ინტელექტი, სტილი, რომელიც მასში შეიგრძნობა, განსაზღვრულია თავისი შინასამყაროს პარამეტრებით, სულიერი ხედვის პრობლემებით, რომელიც სჭირდება საგნის თუ მოვლენის ჭეშმარიტი არსის დადგენისათვის.

შეკითხვები, რა თქმა უნდა, რუსეთ-საქართველოს გამწვავებულ ურთიერთობათა ფონის გათვალისწინებით შევარჩიე. თუმცა, წარმატებული კაცის იერარქიული ზეაღსვლის პერიმეტრებიც გვაინტერესებდა.

– როგორ ესახებოდა ბატონ ირაკლი აბაშიძეს მისი ვაჟის, ბატონ ზურაბ აბაშიძის მომავალი?

– შეიძლება ითქვას, რომ ჩემი პროფესია ბავშვობაში ავირჩიე. ჩემი ოცნება მსოფლიოს ნახვა იყო – საათობით შემეძლო მეცქირა რუკისათვის. ხშირად მეგობრები მამოწმებდნენ კიდეც: არსებობდა თუ არა ისეთი ქვეყანა, რომლის დედაქალაქის სახელიც არ ვიცოდი. მოსკოვში სწავლისას, მთავარ უცხო ენად ესპანური ავირჩიე, – ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ განსაკუთრებით ლათინური ამერიკა მიზიდავდა. მოგვიანებით ცხოვრებამ ყველაფერი უფრო დააკონკრეტა.

მამაჩემი მხარს უჭერდა ჩემს ამ მისწრაფებას. უფრო მეტიც, თვლიდა და მირჩევდა, რომ არასოდეს გადამეხვია „უცხოეთთან ურთიერთობების“ გზიდან.

– როგორ ფიქრობთ, რამ მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა თქვენი პიროვნების ჩამოყალიბებაზე: გენეტიკურმა კოდმა, ოჯახურმა გარემოებებმა თუ პიროვნულმა ძალისხმევამ?

– ალბათ, ყველაფერმა ერთად. განსაკუთრებით კი ოჯახურმა გარემომ და საერთოდ, გარემოებებმა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს მოვიგონებდი. „პერესტროიკის“ პერიოდში ესპანეთში ვმუშაობდი საბჭოთა კავშირის საელჩოში. ერთ-ერთ პარტიულ შეკრებაზე, დემოკრატიზაციის საკითხებზე საუბრისას, ნახევრად ხუმრობით ვთქვი, საქმე თუ ასე წავა, საქართველოს ელჩობა რომელიმე ქვეყანაში გარანტირებული მაქვს-მეთქი. ყველას გულიანად გაეცინა. ყველა კარგი სურვილი ისე აგვიხდეს, როგორც ეს წინასწარმეტყველება ახდა, სულ რამდენიმე წელიწადში.

– ბელგიიდან რუსეთში... შესაძლებელია პარალელების გავლება?

– ბელგიაში საქართველოს საელჩო ჩვენი ქვეყნის პირველი დიპლომატიური წარმომადგ-

ენლობა გახლდათ დასავლეთის სამყაროში. მაშინ დამყარდა პირველი კონტაქტები ევროკავშირთან, ნატოსთან და თვით ბენელუქსის ქვეყნებთან. ეს ურთიერთობები მოგვიანებით მჭიდრო თანამშრომლობაში გადაიზარდა. ის დახმარება კი, რომელიც ამ ორგანიზაციებიდან მივიღეთ წლების მანძილზე, სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ასე რომ, ბრიუსელიდან ისეთი შეგრძნებით დაბრუნდი სამშობლოში, რომ ამ მიმართებით ბევრი რამ გაკეთდა და ამაში ჩემი მოკრძალებული წვლილიც ერია.

რუსეთთან ჩვენი დღევანდელი ურთიერთობა აშკარად პრობლემატურია. მარტო ის რად ღირს, რომ მოსკოვში ჩემი ჩამოსვლის სულ რამდენიმე თვის შემდეგ ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმი იქნა შემოღებული. ხუმრობით ვამბობ ხოლმე, რაც ჩემმა წინამორბედმა ელჩებმა წლების განმავლობაში ვერ შესძლეს, მე რამდენიმე თვეში მივაღწიე-მეთქი.

მაგრამ, რაც უფრო რთულია ამოცანა – მხედველობაში მაქვს რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, მით უფრო საინტერესოა დიპლომატის ცხოვრება. მეც არ ვკარგავ იმის იმედს, რომ, როდესაც მოსკოვიდან თბილისში დაბრუნება მომიწევს, ისეთივე შეგრძნება მექნება, როგორც ეს ბრიუსელის „ეტაპის" დამთავრების შემდეგ მქონდა.

– რუსეთის ტელეარხებიდან ხშირად გვესმის აშკარა მუქარა: რას გადაურჩა თბილისი?

– თბილისი გადაურჩა ისტორიის უმკაცრეს გამოცდას და საქართველოს დედაქალაქად რჩება. დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ეს მუქარებიც იკლებს რუსეთის ტელეარხებიდან და ჩვენს ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობები ჩამოყალიბდება.

მოსკოველი კოლეგები უნდა შეეჩვიონ იმას, რომ საქართველო რუსეთის გუბერნია აღარ არის. მათ უნდა ისწავლონ ჩვენთან ცივილიზებული საუბარი. ჩვენ კი ნდა გადავეჩვიოთ ყველაფრის სხვაზე გადაბრალებას. ეს ძალიან ცუდი თვისებაა.

– ცნობილი გერმანელი პოლიტოლოგი და ექსპერტი ჰანს მაგნუს ენცერბერგერი ტერორიზმის მკვეთავ ენერგიას გლობალიზაციის ფენომენებში ეძებს. რამდენად მართებულია ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესების გლობალიზაციის შედეგებით ახსნა, ესადაგება თუ არა ეს მოდელი პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩამოყალიბებულ სიტუაციას?

– გერმანელი პოლიტოლოგის აზრი, ალბათ, მართებულია, რადგან ეს ობალიზაცია რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი მუსლიმანურ სამყაროში, აღიქმება, როგორც მათზე დასავლური ფასეულობების თავზე მოხვევა.

ამ უნივერსალურ ფენომენს – (ტერორიზმს) რამდენიმე მკვეთავი ენერგია გააჩნია. ერთ-ერთი უმთავრესი – სიღარიბეა. პოსტსაბჭოთა სივრცეში წინა პლანზე იწევს ტერორიზმის ისეთი გამოვლინება, როგორიცაა აგრესიული სეპარატიზმი. მას ხშირად ისტორიული სამართლიანობის აღდგენის შეფერილობა აქვს, თუმცა მისი არსი ძალადობრივია და როგორც ჩანს, ჭეშმარიტ დემოკრატიულ არჩევანს [illegible]

– თქვენი მოსაზრებით, სად გადის ზღვარი ტერორიზმსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის?

– ზღვარი გადის იქ, სადაც საფრთხე ექმნება უდანაშაულო ადამიანის არსებობას და მის უფლებებს.

1970-იანი წლების ბოლოს, ინდოეთში მუშაობისას, საშუალება მქონდა გავცნობოდი მაჰათმა განდის ფილოსოფიის გავლენას ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. მოგეხსენებათ, სწორედ განდის დამსახურებაა ის, რომ ინდოეთმა დიდი ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობა არაძალადობრივი გზით მოიპოვა. ეს თეზისი დღესაც აქტუალურია.

– არსებობს თუ არა კავკასიაში კულტურათა კონფლიქტის რეალური საფუძველი? ისლამი – ქრისტიანობა?

– თუკი პოლიტიკურ ინიციატივას რადიკალური პიროვნებები და ძალები დაეუფლებიან, ასეთი კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე ფრიად რეალურია.

– ბატონო ზურაბ, რამდენად შესაძლებელია რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური ინტერესების დამთხვევა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემათა გადაჭრისას?

– სეპარატიზმი ისეთივე სახიფათო მოვლენაა რუსეთისათვის, როგორც საქართველოსა და ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის. ამიტომ, ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესები ამ კუთხით მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. სხვა საქმეა, რომ გარკვეული გავლენიანი ძალები, კონიუნქტურული მოსაზრებებით, იყენებენ აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს საქართველოში რუსეთის ინტერესების შესანარჩუნებლად. მაგრამ ეს აშკარად უპერსპექტივო და დესტრუქციული პოლიტიკაა, რაც დიდ ზიანს აყენებს თვით რუსეთს. როგორც ჩანს, პრეზიდენტი ვ. პუტინი ნათლად აცნობიერებს ამას.

– რამდენად ზნეობრივად მიგაჩნიათ დიპლომატიაში ე.წ. ორმაგი სტანდარტების თეორიის გამოყენება?

– ცბიერი და ორპირი დიპლომატების ეპოქა ისტორიას ჩაბარდა. დღეისათვის, ამ პროფესიის წარმომადგენლისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ დაიმკვიდროს სანდო, კეთილსინდისიერი და სიტყვის კაცის რეპუტაცია, რომლისთვისაც მიუღებელია ორმაგი სტანდარტები.

– მიგაჩნიათ თუ არა მართლმადიდებლური აღმსარებლობა რუსეთთან განსაკუთრებული სულიერი ნათესაობის წინაპირობად თუ გლობალიზებულ სამყაროში ტრადიციული ფასეულობანი მხოლოდ ანაქრონიზმად აღიქმება?

– ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ორჯერ ეწვია რუსეთს. მისი ვიზიტებისას ნათლად დავინახე და შევიგრძენი, თუ მართლმადიდებლობის რა ძლიერი კაპილარები გვაკავშირებს კვლავინდებურად რუსებსა და ქართველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანი ფასეულობები და სამყაროს ერთნაირი შეგრძნება, ჩვენი ერთობლივი ისტორიული წარსული კვლავ რჩება რუსეთ-საქართველოს შორის მჭიდრო კავშირების შენარჩუნების წინაპირობად.

მაგრამ დღევანდელ პრაგმატულ სამყაროში ერთიან ფასეულობებზე და მეგობრობაზე საუბარი საკმარისი აღარ არის. დღეს ქვეყნებს კონკრეტული, ეკონომიკური ინტერესები უფრო მეტად აკავშირებს. ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვაგვაროთ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური პრობლემები და აქცენტი გადავიტანოთ ეკონომიკურ კატეგორიებზე. ეს სულიერი ნათესაობის შენარჩუნებასაც შეუწყობს ხელს.

– რამდენად აქტუალურია დღეს ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში" დასახული დილემა: „სახელმწიფოსა სჯულის ერთოობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს", „თვისება" თუ პარტნიორი?

– მოქალაქეობრიობა. სწორედ ამ „თვისების" გამომუშავებაა ჩვენში ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი. იგი აერთიანებს სჯულსაც და ეროვნებასაც.

სამწუხაროდ, მოქალაქეობრივი მენტალიტეტის ჩამოყალიბება ჩვენში ძალზედ რთულად მიმდინარეობს. ამის მიზეზები, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, წარსულში უნდა ვეძიოთ. საუკუნეების მანძილზე ქართული პოლიტიკური ცნობიერება ყალიბდებოდა ერთდროულად რამდენიმე ბატონის მსახურების პირობებში. გარდა ამისა, შინაგანი დაქსაქსულობა და ქიშპობა ინტრიგანული სულისკვეთების ჩამოყალიბებასაც უწყობდა ხელს. საბჭოთა პერიოდში სამშობლოს გაორებული შეგრძნება კი მორალურ უფლებას აძლევდა ბევრს პროტესტად მოენათლა ელემენტარული ქურდობა.

ასე რომ, ახლა ყველაზე მთავარი ამოცანაა ჩამოვაყალიბოთ მოქალაქეობრივი აზროვნება. ეს, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობას გულისხმობს საზოგადოების წინაშე და არა მხოლოდ პრეტენზიებს სახელმწიფოს მიმართ. ბომ გახსოვთ, ჯონ კენედის სიტყვები: „ვიკითხოთ ის, თუ რისი გაკეთება შეუძლია ყოველ ჩვენგანს ამერიკისათვის და არა ის, თუ რისი გაკეთება შეუძლია ჩვენთვის ამერიკას".

– ბატონო ზურაბ, როგორ გესახებათ ქართული ემიგრაციის მომავალი რუსეთში? შეძლებს თუ არა იგი ეთნოკულტურული სახის შენარჩუნებას, თუ მას დროთა განმავლობაში ასიმილიაცია ელის?

– ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება დღევანდელი საქართველო. თუ ეს იქნება განათლებული, მიმზიდველი და თანამედროვე ქვეყანა, მაშინ ქართულ დიასპორას იდენტურობის შენარჩუნების საფრთხე არ დაემუქრება.

– მიგაჩნიათ თუ არა ქარიზმატიული ლიდერის პრობლემა, რომელიც გენეტურად მართლმადიდებლური მსოფლშეგრძნებიდან მოდის, დემოკრატიის ხელშემშლელ პირობად, ქვეცნობიერის დონეზე მაინც, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში?

– არა, არ მიმაჩნია. პოლიტიკური ლიდერის არადემოკრატიულობას, რაოდენ მართლმადიდებლური და ქარიზმატულიც არ უნდა იყოს იგი, ვერავითარი რელიგიური საწყისებით ვერ ავხსნით, ან გავამართლებთ. დასავლეთში გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მართლმადიდებლობა ზღუდავს ლიბერალური დემოკრატიის განვითარებას, ჩემი აზრით, იმ გარემოებითაც აიხსნება, რომ კომუნისტური იდეოლოგიის პოლიგონაზე, უპირველეს ყოვლისა, რუსეთი იქცა. მაგრამ ამაში, ალბათ, უფრო სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები უნდა ვეძიოთ, ვიდრე რელიგიური. ჩვენ გვაქვს იმის მაგალითები, თუ რაოდენ „კონკურენტუნარიანი" შეიძლება იყოს, დემოკრატიის თვალსაზრისით, მართლმადიდებლური ქვეყანა. განა დღევანდელი საბერძნეთი ცუდი მაგალითია? დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, რუსეთმა და საქართველომაც შთამბეჭდავ პროგრესს მიაღწიეს პოსტსაბჭოთა პერიოდში.

– ბატონო ზურაბ, ბიბლიური შეგონება გვასწავლის: არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, არამედ სამეუფო გზით ვიდოდეთ. როგორ ფიქრობთ, დავდივართ ქართველები სამეუფო გზით?

– ქრისტიანი კაცისათვის ზნეობრივი ორიენტირები ოდითგანვე ბიბლიაში ამოიკითხება. მოქალაქის მოვალეობები და უფლებები კი კონსტიტუციაშია ნათლად ჩამოყალიბებული. ასე რომ, ჩვენი სამეუფეო გზაც ამ ორი დიდი საწყისის ერთობაშია.

რაც შეეხება დიპლომატიის „სამეუფეო გზას", იგი საქართველოსათვის აქ გადის, სადაც მეზობლებიც, დასავლეთიცა და რუსეთიც ჩვენთან ერთად მშვიდად და კომფორტულად იგრძნობენ თავს. პოლიტიკაში, ისევე, როგორც ბუნებაში, ყველაფერი დაბალანსებული სჯობს.

– თქვენი ოჯახის კულტურული და ლიტერატურული ტრადიციების გათვალისწინებით, თავს უფლებას მივცემ, გკითხოთ, აქტუალურად მიგაჩნიათ თუ არა იოანე საბანისძის მიერ მერვე საუკუნეში ნათქვამი: „აღვერივენინ ერსა უცხოსა" (ოლონდ ერს მე მრავლობით რიცხვში ჩავსვამდი), თუ უკვე შეეძელით აღგვედგინა „მამულის ჩვეულებისამებრ სვლაჲ".

– მერვე საუკუნის შემდეგ ჩვენ იმდენჯერ „აღვერივენენით", რომ ახლა, ალბათ, ძნელი დასადგენია, თუ რომელია ზუსტად „მამულისა ჩვეულებისამებრ სვლაჲ". როგორც იოანე საბანისძის სიტყვებიდანაც ჩანს, არც მერვე საუკუნემდე გვიცხოვრია მშვიდად. თუ ჩვენ შევქმნით დემოკრატიულ, თავისუფალ და აყვავებულ საზოგადოებას, მერწმუნეთ, მომდევნო თორმეტი საუკუნის შემდეგ ეს კითხვა ასე დრამატულად აღარ დაისმება.

– „ყვითელი " პრესის მოძალების ეპოქაში ვცხოვრობთ. რას უსურვებდით ჟურნალ „მნათობს"?

– ბევრ, ძალიან ბევრ მკითხველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო პოპიაშვილი

სედრაქი – ბრძნადმეტყველი ვეზირი

სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუისა" მრავალმხრივ საინტერესო თხზულებაა. ერთი მხრივ, ნაწარმოები იგავ-არაკული ჟანრისაა და მწერალი ადამიანის ცხოვრების მრავალ საყურადღებო დეტალზე ამახვილებს ყურადღებას. მეორე მხრივ, თხზულების ძირითადი სიუჟეტური ხაზი, დამოუკიდებლად იგავ-არაკებისაგან, დასრულებული, მაღალმხატვრული და გამორჩეული ღირებულების მქონეა იმდენად, რომ მასზე შესაძლებელია ცალკე დაკვირვების წარმოებაც. სულხან-საბა არაკთა და პერსონაჟთა საშუალებით მსჯელობს ცხოვრებისეულ საკითხებზე. ამასთან, იგი თითქმის არსად ერევა პერსონაჟთა მეტყველებაში როგორც გარეშე, არ ცდილობს წარმოუდგინოს მკითხველს საკუთარი პოზიცია, როგორც ავტორისა, ცალსახად, ერთმნიშვნელოვნად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დაპირისპირების ხერხით წარმოაჩენს ორ სხვადასხვა მხარეს და ამ მეთოდით თვითონვე ცხადდება მთავარი და ღირსეული. ავტორი ურთიერთს უპირისპირებს პერსონაჟებს, მათს პოზიციებს, არაკებს, ამასთან, ეს არის დაპირისპირება იდეებისა და რწმენისა, ცხოვრებისეული რეალობებისა და, რადგანაც ცხოვრებაში შეიძლება მრავალი რამ მოხდეს, რაც ხშირად არ ემორჩილება წინასწარგანსაზღვრულს, ამიტომ სულხან-საბა გვიხატავს მრავალ ისეთ სიტუაციას, რომელიც ურთიერთსაწინააღმდეგოა. ავტორი, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, გვიჩვენებს თითქმის ყველა დასაშვებ ასპექტს. ეს კი პერსონაჟების მეშვეობით ხდება, რომლებიც მრავალი ინდივიდუალური თვისებით იკვეთებიან ნაწარმოებში. „მკაცრი კომპოზიციური პრინციპის დაცვით განვითარებულ თხრობაში აღწერის, დიალოგებისა და პაექრობის საშუალებით პერსონაჟთა ინდივიდუალურად გამოკვეთილი სახეებია წარმოდგენილი" (2.75-76).

„სიბრძნე სიცრუისაში" სულ ხუთი პერსონაჟია. ჩვენ ამჟამად ერთ-ერთზე, სედრაქ ვეზირზე შევჩერდებით და შევეცდებით წარმოვაჩინოთ, თუ როგორია ამ პერსონაჟის ხატვის თავისებურებანი.

სულხან-საბა ორბელიანი თხზულების დასწყისშივე, ფინეზის ფსიქოლოგიური პორტრეტის დასრულების შემდეგ წარმოაჩენს ვეზირს, რომელიც ფინეზისა არ იყოს, არ ხასიათდება არც ერთი გარეგნული ნიშნით. ჩვეულებრივ, პერსონაჟის ხატვის ერთ-ერთი მთავარი ხერხი პორტრეტი გახლავთ, როგორც გზა და საშუალება გმირის სრულყოფილი სახის დასახატავად, მაგრამ მწერლობაში ხშირია თხზულებები, სადაც პერსონაჟის პორტრეტს არანაირი, ან თითქმის არანაირი ყურადღება არ ექცევა. არ არის წარმოდგენილი ძირითადი პორტრეტული შტრიხები (გარეგნობა, პერსონაჟის ასაკი, ჟესტი და პროზა, მიმიკა, ჩაცმულობა...). ავტორი გმირზე „ზედმეტი ინფორმაციის" მოწოდებისაგან თავს იკავებს და ამ ყოველივეს, ანუ ზოგად წარმოდგენებს მკითხველს ანდობს. ასევეა სულხან-საბასთან სედრაქის, როგორც პერსონაჟის სახის ხატვისასაც. თხზულებაში მხოლოდ მის განუზომელ სიბრძნეზეა საუბარი: „და ჰყვა ვაზირი ეგეთი, რომე სიბრძნითა მისითა ცათა აღწევნილ იყო, ჭკუითა ხმელთა სიგრძე და განი სრულად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთა მიწვენილ იყო, ჰაერთა და ვარსკვლავთა საქმენი გულის ფიცართა გამოეწერა. ესეთის სიტყვის სიტკბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცებრ აუბნებდის. და იყო სახელი მის ვაზირისა სედრაქ. დიდად უყვარდა მეფესა ვაზირი იგი" (8.5).

სედრაქის ამგვარი დახასიათება, მხოლოდ მის სიბრძნეზე აქცენტის გადატანა, მწერლის გარკვეულ ჩანაფიქრზე მეტყველებს. სულხან-საბა ორბელიანი გვიხატავს ბრძენ ვეზირს, მეფის გონიერ მრჩეველს. ამისათვის არ სჭირდება ავტორს პერსონაჟის გარეგნული მახასიათებლების წარმოჩენა. მკითხველს მხოლოდ მისი სიბრძნის შესახებ უნდა შეექმნას მძაფრი და მყარი შთაბეჭდილება, შემდეგ კი გმირმა თვითონ უნდა წარმოადგინოს საკუთარი თავი.

მწერლის მიერ მოხმობილი პერსონაჟის სიბრძნე გარკვეულ საზომს მოიცავს. მაინც, რამდენად ჭკვიანია სედრაქი? თავად სიტყვა ჭკუა, სულხან-საბას განმარტებით, „სიბრძნის გზები" (9. 405) ყოფილა. ეს გზები გმირისათვის სახეობრივია: ერთია სიბრძნე, ცალკე აღებული, მეორე - ჭკუა, მესამე - მეცნიერება, მეოთხე - ძალა. ეს სახისმეტყველებითი ცნებები გმირის რეალურ შესაძლებლობებთან შესატყვისობაშია. ყოველ მათგანს მწერალი განმარტებას ურთავს, თუ რამდენად ბრძენი, როგორი ჭკვიანი, რა სიღრმის მეცნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერია და რანაირი სიტყვის ძალა აქვს ვეზირს. სედრაქის გონების, მისი სიბრძნის ასე წარმოჩენა გადაჭარბება სულაც არ არის. ვეზირი არ არის სიტყვაუხვი, ბევრის მოლაპარაკე. მას 11 არაკი და ერთი გამოცანა ეკუთვნის და კონკრეტულ შემთხვევათა შესაფერისად განზოგადებულ მსჯელობას, თითქოს კარგა ხნის ნაფიქრ-ნააზრევს შეუხამებს ხოლმე.

თხზულების მიხედვით, მეფე ფინეზს ძე არ უჩნდება. ერთ დღეს სალარონი გახსნა და ურიცხვი განძი დაარიგა. რუქას არ მოეწონება ხელმწიფის ეს სიუხვე: „რომელსა მეფეთა-აგანსა გარდაუგია სალარო ესოდენი?" - კითხულობს იგი. სედრაქი კი პასუხად ამბობს არაკს - „მეფე ხორასანისა". ამ არაკში ხორასანის მეფე საბოძვარს გასცემს, შემდეგ თავის ვეზირს ეკითხება: ჩემნაირი მოწყალე თუ გსმენიაო, როცა ვეზირი ეტყვის: ჩინეთის ქვეყანაში ერთი ურიას მოყმეა შენზე უხვიო, მაშინვე მის სანახავად წავა. „ეს არაკი ამისთვის მოგახსენე: ვერც ასეთ გასაცემს იქმს კაცი, სხვას რომ არ ექმნას, და არც კარგსა საქმესა ღმერთი დაუკარგავს" (8.8) - ბრძნულად ასკვნის სედრაქი. ამ შემთხვევაში ვეზირი საკუთარ პოზიციას ორ განზომილებაში აქცევს: ადამიანურსა და ღვთაებრივში: სიკეთის ქმნის ამქვეყნიური არე ძალიან ფართოა და კაცი, პიროვნება, ინდივიდი თავისუფალია ქმედებაში. თუმცა ერთადერთი არ არის და ამიტომ ისეთს ვერაფერს გააკეთებს, სხვას რომ არ ექმნას. მაგრამ ამავე საქციელს, გარდა ადამიანურისა, აქვს ღვთაებრივი ხედვაც: კარგ საქმეს ღმერთი არავის დაუკარგავს. უთუოდ აღსანიშნავია, რომ აქ მწერალი პერსონაჟის მეტყველების მეშვეობით ჯერ ადამიანურ, ცხოვრებისეულ ფაქტორს ასახელებს და წამოსწევს წინ, ხოლო შემდეგ - ღვთაებრივს.. თუ გავიხსენებთ, რომ ტრადიციულად ქართულ და არა მხოლოდ ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში, ჯერ ღვთაებრივი ასპექტი გამოიკვეთება, ხოლო შემდეგ ამქვეყნიური, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში" შაირობაზე საუბარს რუსთაველი „საღმრთო" დარგით იწყებს, ასევე მოგვითხრობს მიჯნურობის შესახებაც ჯერ საზეოს, შემდეგ კი „ხელობანი ქვენის" შესახებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ წუთისოფელი, როგორც გამოსაცდელი ადამიანის მეორე ცხოვრებისათვის, მწერალს უფრო მნიშვნელოვნად ჩაუთვლია, რადგან აქ ჩადენილი ქმედების შესაბამისად ფასდება კაცი ქრისტიანული მორალის მიხედვით და ღმერთიც აქაური საქციელის გათვალისწინებით მიაგებს მას, „კარგ საქმეს ღმერთი არავის დაუკარგავს," - გვეუბნება სედრაქი და აქ კვლავაც ორი მხარე იგულისხმება: ის ქვეყანა და ეს წუთისოფელი. მართლაც, ფინეზს ქმედებას - საბოძვარის გაცემას, წყალობა მოჰყვა: რამდენიმე ხანში მეფეს ვაჟი შეეძინა.

„რა მოიზარდა, გამოიყვანა მეფემან, ვაზირსა თვისსა სედრაქს და საპატრონოთა თვისთა აჩვენა, აიყვანა ვაზირმან, დალოცა და მოახსენა:

- მეფეო, ღმერთმან გიცოცხლოს და ბედნიერცა არს ძე შენი ესე და კურთხეულ ამიერიდან უკუნისამდე და მიეცეს მას გულისხმიერობა ვირისა, ერთგულება ძაღლისა და ძალი ჯინჭველისა" (8.8).

ასე ლოცავს ვეზირი უფლისწულს, საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს უცნაური დალოცვის უცნაური ტექსტი?.. გულისხმიერება ვირისა მეფის ძეს, ჯუმბერს?! ერთგულება ძაღლისა და ძალა ჭიანჭველისა? სედრაქს თითქოს აუღია ორ-ორი სხვადასხვა შინაარსის, ერთად დაუტევნელი სიტყვა, შინაარსობლივად დიამეტრალურად განსხვავებული: მაგალითად: პატარა ჭიანჭველა და მისი სიძლიერის ადამიანთან დაკავშირება (რამდენიც არ უნდა წამოიკიდოს ჭიანჭველამ, მაინც უცნაურად და შეუსაბამოდ ჟღერს, ახალშობილს უთხრან - ჭიანჭველის ძალა გქონდესო).

ვეთანხმებით რ.ბარამიძის თვალსაზრისს, რომ „ეს მეტაფორა - სიმბოლოა, რომელიც ისევ და ისევ ვაზირის განმარტების, სახეთა გახსნის გარეშე ნათელი არაა" (2.80). და, ჩვენი მხრივ, დავამატებთ, რომ ეს სიმბოლური აზროვნებაა, ინდივიდის პირადი სიმბოლოებით დატვირთული სამყაროა, სადაც მას შეუძლია ერთი აზრი, კონკრეტულ შემთხვევაში, პერსონაჟის სურვილი მეფისადმი ტრაფარეტულად, ჩვეულებრივ კი არ გადმოგვცეს და უბრალოდ კი არ დალოცოს უფლისწული, უსურვოს გონიერება, ერთგულება და ძალა, არამედ ღრმად სიმბოლური დატვირთვა შესძინოს საკუთარ აზროვნებასა და ნათქვამს. როგორც ე. კასირერი წიგნში: "რა არის ადამიანი?" აღნიშნავს: „ადამიანური სიმბოლო გამოირჩევა არა თავისი ერთფეროვნებით, არამედ თავისი მრავალმხრივობით. იგი გაპევებული და მოუქნელი კი არ არის, არამედ მოძრავია" (4.73). სედრაქის დალოცვა არის ის განსაკუთრებული შემთხვევა, როცა სიმბოლოები განყენებულ სახეს ქმნიან, მაგრამ, როცა ქვეტექსტური შინაარსი ცხადდება, ის ადამიანური აზროვნების უნივერსალობას უახლოვდება. ისევ ე. კასირერის სიტყვებს მოვიხმობთ: „სიმბოლიზმის პრინციპი, თავისი უნივერსალობით, ქმედითობითა და საყოველთაო გამოყენებით, ერთგვარი ჯადოსნური სიტყვაა: „გაიღე, სეზამ!", რომელსაც შევყავართ ადამიანის სპეციფიკურ სამყარ-

ოში, ადამიანური კულტურის სინამდვილეში. თუ ადამიანი ერთხელ მაინც დაეუფლება ამ ჯადოსნურ სიტყვას, შემდგომი წინსვლა უზრუნველყოფილია. ასეთ წინსვლას, ცხადია, ვერ შეაფასებს, ან შეუძლებელს ვერ გახდის გრძნობათა მასალის რაიმე უქონლობა" (4.71).

„სიბრძნე სიცრუისას" ყოველი პერსონაჟი სიმბოლოებით აზროვნებს (ფინეზის სიმბოლური სიზმარი, ჯუმბერის სიმბოლურად „დიდსა რამესა" (სპილოზე) ჯდომა, ლეონის აღზრდის მეთოდის სიმბოლურობა...), მაგრამ სედრაქის დალოცვის სიმბოლურობა შეიცავს ისეთ მახასიათებლებს და ეხება ისეთ გრძნობად მასალას, რომელიც ერთდროულად გაუგებარი და მიმზიდველია არა სიუცხოვით, არამედ მასში ჩადებული სიმბოლოების გაცხადებით.

მართლაც რომ მოულოდნელი და საკვირველია დალოცვის შინაარსი, იდუმალიც. სედრაქისეული დალოცვა თითქოს იმ სამყაროდან მომდინარეობს, სადაც ვირი გონიერთა შორის ყველაზე მეტად გონიერია, ძაღლი-ერთგული და ყველაზე მეტად თავდადებული, სადაც ჭიანჭველა გოლიათებთან არის გატოლებული სიძლიერით. მნიშვნელოვანი და ორიგინალური ახსნა აქვს ამ დალოცვას: „ვირი ერთსა უყესა ტალახსა შიგან გაატარე, რათა დაეფლას. მერმე გზა იგი გაახმე. თუცა შენ ვირი გზასა მას ზედა გაატარო, უგუნურმცა არს.

ძაღლი კაცისა გლახაკისა, მჭლე და დიდად უსუქარ, მოიყვანე და მდიდარსა კაცსა მიაბარე, რათა გაასუქოს. მერმე ორივე უხმონ. თუცა პირველი, დამამჭლობელი დაუტეოს და რომელმან გაასუქა, მას გაჰყვეს, ორგულ არს.

ჯინჭველი შეიპყარ ერთსა ჭიქასა ათორმეტნი დღენი დააყოფინე მშიერსა და მერმე გამოუტევე. თუცა თვისსა ზომისაგან ოთხი წილი მეტი არ აიღოს წაღებად, უსუსურმცა არს და მე სიტყვამცდარიო" (8.9).

ახლა სავსებით ცხადი ხდება, რომ სედრაქმა უფლისწულს საგანგებოდ უსურვა გონიერება, ერთგულება და ძალა.

გავაანალიზოთ, რა კონკრეტული დატვირთვა აქვს ვეზირის ფორმულასავით ჩამოყალიბებულ დალოცვას.

სედრაქის დალოცვა მიმართულია მომავალი ხელმწიფისაკენ, მან იცის, რომ ლოცავს ბავშვს, რომელიც ტახტის მემკვიდრეა (იგი ერთადერთი ძეა ფინეზისა). ის უნდა იყოს ქვეყნის, ხალხის ბედის მომავალი მმართველი. ითვალისწინებს, რომ არც ერთი მოკვდავი (მათ შორის მეფეც) არ შეიძლება იყოს შეუმცდარი, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ თუ ერთი პოლიტიკური კურსი მცდარი გამოდგა, იგივე აღარ გაიმეოროს. „ერთგულ" კი არ უნდა დადგეს თავის პოზიციაზე, პირიქით, გონივრულად გააანალიზოს ის პირვანდელი ნაბიჯი და მეორეჯერ არავითარ შემთხვევაში მსგავსი შეცდომა აღარ დაუშვას.

ასევე, რაც უნდა მიმზიდველი იყოს სხვისი მდიდარი და აღმატებული სახელმწიფოს მორჩილება, რასაც არ უნდა ჰპირდებოდეს მომავალი კავშირი სხვა ქვეყნებთან, მაინც თავისი ქვეყნის, თავისი პირვანდელი მიწა-წყლის, თუნდაც გაჭირვებაში, სილატაკეში მყოფი ხალხის ბოლომდე ერთგული ძალა უნდა იყოს და არასოდეს გაცვალოს უცხო ფუფუნებასა და სიმდიდრეზე თავისი ქვეყანა.

და ბოლოს, მეფეს უნდა შესწევდეს უნარი იმაზე მეტი გააკეთოს, ვიდრე ადამიანს შეუძლია, შეუძლებელი უნდა შეძლოს, ოთხჯერ მეტი უნდა ასწიოს, ვიდრე მას შეესაბამება, თავის თავს გადააჭარბოს, მძიმე ცხოვრებისეულ ტვირთსა და პასუხისმგებლობას შეეგუოს და იტვირთოს და ისე ილვაწოს. მხოლოდ ასეთი ძალა და შემართებაა საჭირო, რათა მეფობის ვალი სახელოვნად ზიდოს მომავალმა ხელმწიფემ.

აღსანიშნავია სედრაქის თეორიული მსჯელობის პრაქტიკული დასაბუთებაც: „მოასხნეს სამნივე და ჰყვეს ეგრეთ და ყოველი თქმულებრ იყო. იხარებდა მეფე დიდად ვაზირისა სიტყვასა და ძისა მისისა სიკეთესა ზედა" (8.9).

ის ფაქტი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მწერლისათვის სედრაქის მიერ ნათქვამი დალოცვის ჭეშმარიტება და ამ დალოცვის ღირებულებაზე კვლავაც ხაზგასმა და ნამდვილობის რეალურად შემოწმება იმის დასტურია, რომ ავტორისეული ჩანაფიქრი შემთხვევითი შტრიხი არ გახლავთ. „სიბრძნე სიცრუისას" პერსონაჟებისათვის დამახასიათებელია განყენებული მსჯელობანი, ერთი წაკითხვით რთულად ამოსაცნობი, ქვეტექსტური შინაარსით, მაგრამ მათ ნათქვამს ნაწარმოებში არავინ ადასტურებს და არ აბორციელებს პრაქტიკულადაც. გმირებს, ჩვეულებრივ, ერთმანეთის ნათქვამი არაკუბისა თუ სხვა ინდივიდუალური გამონათქვამებისა სჯერათ (რაც არ უნდა მიუღებელი იყოს იდეა ამ ნათქვამისა მათთვის), მაგრამ აქ საჭირო გახდა ვირის გონიერების, ძაღლის ერთგულებისა და ჭიანჭველის ძალის გამოცდა და რეალურად დამტკიცება. სიტყვა ამ შემთხვევაში ძალიან უსუსური საბუთია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პროცესს საკმაო ხანი დასჭირდებოდა (მაგალითად, ძაღლის გახდომა-გასუქებას, ან ჭიანჭველის დამშევას) და გმირები (მათ შორის, სედრაქიც) შედეგის მოლოდინში იყვნენ. აქ თავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკული შედეგი ორმაგად ღირებული ხდება: ერთი მხრივ, გაირკვევა: დალოცა თუ დაწყევლა ვეზირმა უფლისწული, ანუ კავშირი მეფის ძესთან და მის მომავალთან. მეორე მხრივ კი, სედრაქმა საკუთარი გონიერებისა და სიტყვის სისწორის შემოწმების საშუალება მოგვცა, ანუ თუ ყველაფერი, რაც და როგორც მან თქვა, ისე არ შესრულდებოდა, „სიტყვამცდარი" იქმნებოდა ვეზირი.

შედეგი ერთსახოვანია: „ყოველივე თქმულებრ იყო" და მეფეს ორმხრივად სიხარული მიეცა: „იხარებდა... ვაზირისა და ძისა მისისა სიკეთესა ზედა."

სხვა რომ არაფერი მოემოქმედებინა სედრაქს, მეტი რომ არაფერი დაეტოვებინა ღირებული და მნიშვნელოვანი, მხოლოდ ამ დალოცვით, სპეციფიკური მახასითებლით, გამოკვეთილი ინდივიდუალიზმითაც ღრმად ალიბეჭდებოდა იგი მკითხველის ცნობიერებაში.

სედრაქის ინდივიდუალური მახასიათებლებით ხატვას ავტორი აგრძელებს და მის სიბრძნეზე კვლავაც სიმბოლურად მიგვანიშნებს.

ფინეზმა უჩვეულო სიზმარი ნახა. „შევიდა სედრაქ, ნახა მეფე საგებელსა ზედა მწოლი და დიდად დაღრეჯილი. მოახსენა:

- მეფეო, მრავალნი ჟამნი არიან მე ჩრდილთა ქვეშე თქვენთა ვიმყოფები, ესრეთ შეჭირვებული არ მინახავხარ, სნეულება ღმერთმან მიგრიდოს.

უბრძანა მეფემან: არა სნეულ ვარ. სიზმარი მეზმანა და მით დამიღრეჯიაო" (8.10).

ფინეზის უგუნებობის მიზეზი გაცხადდა: სიზმარი, ვეზირის შემდგომი მსჯელობა ახასიათებს მას, როგორც ფსიქოლოგიის პრაქტიკულად მცოდნეს: „ჯერთ ვაზირმან ზმანება არა ჰკითხა და მოახსენა არაკი". თავად ეს ფაქტი: „ჯერთ... ზმანება არა ჰკითხა" უკვე მეტყველია. სედრაქი ამჩნევს მეფის შეგრძნებების გამომხატველ შინაგან ტონს. სწორედ ამიტომ ვეზირი ჯერ არ თვლის საჭიროდ დამატებითი ინფორმაციის მიღებას, სიზმრის შინაარსის შეტყობას არ ჩქარობს, არამედ ცდილობს ზოგადად სიზმრის შესახებ ზოგი რამ დააზუსტოს და საკუთარი შეხედულება დააფიქსიროს. ამიტომაც ამბობს არაკს „ხარბი გლახაკი."

„გლახაკი ვინმე იყო უპოვარი ყოვლისაგან ნივთისა. ეზმანა მას: სამოცი ცხოვარი, ჰყვა და ენება განსყიდვა. მოვიდა კაცი ერთი და მოსცა თითოსათვის ხუთ-ხუთი კირმანეული. ცხოვრისა პატრონმან ექვსექვსი სთხოვა. შეცილებასა ზედა გაეღვიძა კაცსა მასდა სინანული იწყო, თვალები ეგრეთვე დაიხუჭნა და ხელი მიულო ვაჭარსა: ოროლი კირმანეული მომეც; მოგცემო, ანუ ვიღა მისცემდა ვერცხლსა, ანუ ვისღა მიჰყიდდა?" (8.10) ამ არაკის მორალი ასეთია: „ესრეთ არს ყოველი ზმანება, მეფეო! რად შეიჭირვებ ეშმაკურსა საქმესა ზედო?" (8.10). აქ სედრაქი სიზმრის ისეთ კატეგორიაზე მსჯელობს, სადაც კონკრეტული სიტუაცია აჭარბებს რეალობას და სასურველს, საოცნებოს ელფერს იძენს. გლახაკის სიზმარი სწორედ ამგვარი კატეგორიისაა. სედრაქი წარმოაჩენს ისეთ პიროვნებას, რომლისთვისაც სიზმრად ნანახი სასურველს უტოლდება. ადამიანს კი უძნელდება ზმანებიდან გამოსვლა და კვლავ რეალობაში დაბრუნება. ეს მანძილი სასურველსა და არსებულს შორის ძნელი გადასალახი ხდება.

სულხან-საბა ორბელიანი ზოგადად სიზმარს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს მაგრამ მწერალი განარჩევს სიზმრისა და ჩვენების (გამოცხადება) კატეგორიებს და აღმზრდელი სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობით შემოჰყავს ნაწარმოებში. მეფეს ეჩვენა. „ჭაბუკი ვინმე შვენიერი." სედრაქი პირველია ფინეზის შემდეგ, ვინც ჭაბუკის ეტრატზე გამოსახულ სახეს ნახავს. ახლა ცხადია, რომ „არა ეგრეთი არს" მეფის სიზმარი, რომ აქ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

სედრაქი ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ მას არ აბნევს გართულებული სიტუაცია. ვაზირი პრაქტიკული ფილოსოფიის მოშველიებით ცდილობს აღნიშნული საკითხის გადაჭრას: - „თუმცა თვით არ მოვიდეს კაცი იგი, პოვნა მისი საჭირო არს. ამად რომე თემი მისი არა ვიცი, სახელი მისი ჴრა უთქვამს. რით უნდა ვიპოვოთ? ქარი ხელითა არ დაიჭირვის და თვალს ზარმაცი ვერ მიეწევის. რაც ბედი აქვს კაცსა ღვთისაგან, ის დაემართების" (8.10-11). სედრაქის ეს აზრი, შემდგომ უფრო გამყარებული არაკების „ძუნწი ვაჭარი" და „უბედური დიდვაჭარი" მეშვეობით, რამდენიმე ასპექტს მოიცავს. ვეზირის შეხედულება ეყრდნობა, ერთი მხრივ, რელიგიურ წარმოდგენას ღმერთის ნების ერთპიროვნული უზენაესობის შესახებ, მეორე მხრივ, თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ამ კონკრეტული ვითარების მიხედვით ადამიანის ქმედების უშედეგობა მიზნის მისაღწევად და ასევე, აქ ჩანს გამოცდილების უდიდესი კვალი. ეს ყველაფერი კი კვლავაც იგავ-არაკების საშუალებით დასტურდება. „ადამიანი აღარ ცხოვრობს მხოლოდ ბუნებრივ სამყაროში. იგი სიმბოლური სამყაროს მკვიდრია. ენა, მითოსი, ხელოვნება და რელიგია ამ სამყაროს ნაწილებია. ისინი ჭრელი ძაფებია, რითიც იქსოვება სიმბოლური ბადე, ადამიანური გამ-

126 ნინო პო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ება და მთლიანად აზროვნების პრიმატი ქრისტიანულ მორალს ემყარება. ბედისა და ღვთაებრივი ნების გაიგივება ნაწარმოების მთლიანი განწყობაა. ამას ეთანხმება და ამოსავალ წერტილად მიიჩნევს ფინეზი, ერთგან იგი ლეონს ასე მიმართავს: „არა ნდომითა ჩემითა არის, ბედისაგან მოცემული ხარო (8.24) და ამით ბედისა და უფლის ნების იგივეობასა და უზენაესობას აღიარებს, საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ღვთაებრივი ნებისა და ბედის, იღბლის, ერთ მთლიანში მოაზრება მისი ნების გარდუვალობა ფესვგამდგარი ტრადიცია (მოსაზრება) იყო ადრეც, და სულხან-საბა ორბელიანის თანადროულ მწერლობაშიც, ხოლო „სიბრძნე სიცრუისაში" და ამ კონკრეტულ ეპიზოდში ცალსახად კი არ არის წარმოდგენილი ეს, არამედ მწერალი საწინააღმდეგო და ასევე დამაჯერებელი თვალსაზრისით დაპირისპირების ფონზე ახდენს მის გამოკვეთას. ამასთან, ავტორი ნეიტრალურია ყოველი გმირის ნააზრევის მიმართ და ცდილობს ხელოვნურად კი არ გადმოგვცეს საკუთარი აზრი და ნება, ან შედარებით ბუნებრივად, პერსონაჟებს კი არ ათქმევინოს და აღიარებინოს ერთმნიშვნელოვნად, არამედ სიუჟეტის განვითარება, თვითონ ნაწარმოებში მომხდარი თუ მოსახდენი ამბები დაუქვემდებაროს გმირის ნააზრევს და ისე გაამართლოს თუ გაამტყუნოს ეს.თუ ის პერსონაჟი. სედრაქის თვალსაზრისით სიშორე და უპირატესობა დასტურდება ფაბულარული მსვლელობით: მეფე სიზმრად ნანახ ჭაბუკს სრულიად შემთხვევით, ნადირობის დროს იპოვის. და ეს არის, როგორც სედრაქი მიუთითებდა, ღვთაებრივი ნებით განპირობებული შემთხვევითობა.

მართალია, სედრაქს ძალიან ცოტა იგავი ეკუთვნის, მაგრამ მისი, როგორც ბრძნადმეტყველი კაცის პორტრეტი მაინც ნათლად იკვეთება. რომ აღარაფერი ვთქვათ მეფის ძის დალოცვაზე, გავიხსენოთ, როგორი მამაშვილური სითბოთი ეგებება სედრაქი ლეონს: „დია მიხარის სიტყვატკბილობა შენი და მომწონს ზრდილობანი და ქცევანი შენნი. აწ მოვედ, მეფესა ემსახურე და იყო თავი ვეზირთა და უხუცესი ჩემი, და მეფემან ძმურად პატივ-გცეს" (8.17). ამგვარივე სიმპათიებს იმსახურებს სედრაქი ჭაბუკი აღმზრდელის მხრიდანაც. ლეონის პასუხი ასეთია: „-ვითა მამა საყვარელსა შვილსა მასწავლი, ეგრეცა ვყო" (8.17). ეს სიტყვები თავისთავად ახასიათებს სედრაქს, როგორც ბრძენსა და სათნო ადამიანს, თუმცა ლეონის ასეთი დადებითი შთაბეჭდილება ვეზირზე და მისი საყვარელი მამის არსში მოაზრება უფრო შორსაც მიდის. ერთი არაკის ბოლოს ლეონი მას ასე მიმართავს: „-ესე არაკი მისთვის მოგახსენებ, ბალიმეთ მაო სედრაქ"(8.10)...

თვითონ მწერალიც ეპითეტებს არ იშურებს სედრაქის სიბრძნისა და სიტყვატკბილობის წარმოსაჩენად. გავიხსენოთ ავტორისეული დახასიათება: სიბრძნითა მისითა ცათა აღწევნილ იყო... მეცნიერებით ზღვათა უფსკრულთა მიწევნილ იყო... ესრეთის სიტყვის სიტკბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის"... მოვუსმინოთ სხვაგანაც: „მან სიტყვის მდინარემას, ამბავტკბილმან, ენამრავალმან ვაზირმან სედრაქ" (8. 13).

სედრაქისთვის დამახასიათებელია აუჩქარებლობა, ანუ სიდინჯე. ლეონის აღზრდის მეთოდი ერთნაირ გაოცებას იწვევს ფინეზში, რუქასა და სედრაქში, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ცდილობს ხელი შეუშალოს აღმზრდელს ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელებაში. ამიტომ, როცა „სულსწრაფ" რუქას მეფის შესმენა განუზრახავს, „უშლიდა ვაზირი, არათქმასა ეტყოდა" (8.29).

თუ სედრაქის ნათქვამ იგავებს დავაკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ზოგიერთი არაკის დედააზრი ასეთია: უზენაესი კანონმდებლობით შექმნილი წმინდათაწმინდაა, მისი შეცვლის მცდელობა კი არა, გააზრებაც მკრეხელობაა და შეიძლება დაისაჯოს კიდეც ამისი განმზრახველი. მსგავსი მსოფლმხედველობა გაიაზრება არაკებში „ძუნწი ვაჭარი", „უბედური დიდვაჭარი" და სხვა, ხოლო აღნიშნულ კონფლიქტურ სიტუაციაში ამოსავალი იდეა კვლავაც იგივეა სედრაქისათვის, მაგრამ რუქასთან პაექრობისას არაკში „მთიული და კაკლის ხე" ვეზირი სხვა, კონკრეტულ რეალობას დაქვემდებარებულ შინაარსსაც ამთლიანებს და ამით ამ იგავის სილრმისეულ დატვირთვას კიდევ უფრო ტევადს ხდის:

მთიელ კაცს ბარი არ ენახა. ერთხელაც, ჩამოვიდა ბარში, ნახა ხეხილი, მწვანილი, "დია მოეწონა და ღმერთს მადლი მისცა: ყველა კარგად გაგირიგებია და ეს ავადაო: ცოტას ბალახისათვის ნესვი მოგიბამს და დიდის ხისთვის - ნიგოზიო!

მთიულმა მიიარ-მოიარა და ნიგოზთა ძირსა დაეძინა. მოვიდა ყვავი, ზე შემოჯდა, კაკალი ჩამოაგდო. მას კაცსა შუბლს დაეცა და გაუტეხა. აღდგა კაცი იგი და თქვა. ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებიაო. თუ იქ ამისგან უდიდესი ბმოდა, თავს გამიჭყლეტდაო" (8.29).

დამოუკიდებლად, კონტექსტისა და მთქმელის თავისებური გააზრების გარეშე ალებული ეს არაკი მეტყველებს ბუნების სრულყოფილებასა და ღმერთის პრიმატულ „გარიგებაზე", მაგრამ სედრაქი, როგორც თხრობის უებრო ოსტატი, ამ იგავს რუქას

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხად ამბობს და იგავის მორალს ასე აყალიბებს: „-ეგება ის კაცი უკეთ იქმოდეს და ისრე სჯობდეს, და შენ მეფის წინ სრულ მის აუგს იტყვი" (8.29).

მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ „კარგი პროზის ტექსტს ყოველთვის აქვს შინაგანი რიტმული წყობა, თუ ორგანიზებული განლაგება სიტყვებისა და ფრაზეოლოგიური მონაკვეთებისა" (1.290). აღნიშნულია აგრეთვე, რომ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას" ახასიათებს რიტმული პროზის მახასიათებლები და ასევე ისიც, რომ „ზოგიერთი ადგილი თხზულებაში პოეტური წყობითაც ხასიათდება: „კიდევ უფრო გამოკვეთილი, რიტმული სტრუქტურა და აშკარად ჩამოყალიბებული რიტმი შეიმჩნევა ერთ-ერთ ფრაზაში, რომელიც სულ სხვა პრინციპზე უნდა იქნეს გამართული" აქ მკვლევარი ჯუმბერის სიტყვებს იმოწმებს:

„პატრონსა შენსა უყვარდეს გველი,
შენგან უბესო ჩასმასა ველი".

ეს უკვე აშკარად გამოხატული ორმუხლედი ლექსია" (2.97).

თავისებურ სიმღერად, თუ ჰიმნად არის აღქმული სედრაქის მრავლისმომცველი მსჯელობა ამხანაგობაზე: „მეგობრობისათვის რუსთველის შემდეგ არავის უმღერია ესოდენ წარმატებული ჰიმნი: „კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების"...

მართლაც, რომ დიდებული სიმღერაა..." (11. 96-97).

ვეთანხმებით ამგვარ დაკვირვებათა მნიშვნელობას და, ამასთან, შევნიშნავთ, რომ ამგვარი პოეტური წიაღსვლები მოულოდნელობითა და პერსონაჟთა მიერ სათქმელის დახვეწილად ჩამოყალიბებით გვხიბლავს. ამგვარივე პოეტური ელემენტებისა და წყობისაა სედრაქის ეს ფრაზაც:

„სიმდაბლით თხოვილი,
წყალობით შოვილი ძე და
ჩვენებით ნახული,
სიბრძნით დასახული ლეონ" (8. 74).

შემდეგ კი თვითონვე გვთავაზობს გადაწყვეტილებას: „არცა ჯუმბერ ულეონოდ და არც ლეონ უჯუმბეროდ" (8. 74).

სათქმელის ასე სტრუქტურულად დალაგება, ლოგიკური, ლაკონური და სხარტი, ამასთან, მრავლისმომცველი წინადადებები ძირითადი მახასიათებელია „სიბრძნე სიცრუისას" ხუთივე გმირისათვის და უწინარესად, სედრაქ-ვაზირისათვის. აქ პერსონაჟი გამოთქვამს საკუთარ აზრს, მაგრამ ისეთ ფორმულირებას აძლევს, სათქმელს რომ იგი უკვე დებულებასავით ყალიბდება. ჯუმბერი, მეფის ძე, მართლაც, „სიმდაბლით თხოვილია", „რათა ეევდრო ღმერთსა ძისა ბოძებისა მისისათვის" (8. 6) და „წყალობით შოვილია" - ფინეზის ურჩცხვი მოწყალების გაღების შემდეგ, „შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა ძე". ლეონი ჩვენებით შემოდის თხზულებაში: „ღამესა ერთსა ეჩვენა მეფესა ჭაბუკი ვინმე შვენიერი" (8. 9) და „სიბრძნით დასახულია". აქ ყველაფერი ზუსტად ემთხვევა ნაწარმოების შინაარსსა და არსს. სედრაქი ერთგვარად შეაჯამებს არსებულ მდგომარეობას და საბოლოოდ პოეტური ფორმის დასკვნას გვთავაზობს. ეს ის შემთხვევაა, როცა პერსონაჟი ავტორისეულ სათქმელს ამბობს, აფიქსირებს იმ აზრს, რაც ჩვეულებრივ, შეიძლება ავტორს თავისივე სიტყვებით ეთქვა, ჩართულიყო სიუჟეტის მსვლელობაში და გმირი არ აემეტყველებინა, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანი ამ მნიშვნელოვან სათქმელსა და გადაწყვეტილებას სედრაქს ანდობს. ჩვენ ბოლომდე ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ სულხან-საბა, რადგან ვახტანგ VI აღმზრდელი იყო და აღმზრდელობითი (დიდაქტიკური) ხასიათის ნაწარნოები დაწერა, ამიტომ ავტორისეული „მე" აღმზრდელ პერსონაჟში, ლეონშია ჩადებული: „დახელოვნებული აღმზრდელი-მასწავლებელი სულხან ორბელიანი იდეალურ აღმზრდელად გვიხატავს „სიბრძნე სიცრუისას" პერსონაჟ ლეონს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლეონი სულხანის სახე-ორეულია, სულხანის „მე" (1. 275) მართალია, ლიტერატურათმცოდნეობაში საკმაოდ აღიარებულია შეხედულება, რომ მწერალი ერთ კონკრეტულ პერსონაჟს აირჩევს ხოლმე და მას ანიჭებს მაქსიმალურ სიმპათიებს, საკუთარ აზრსა და სათქმელს, საკუთარ მსოფლმხედველობას მას აყალიბებინებს. ასე, მაგალითად, მიუთითებენ, რომ შოთა რუსთაველის პოეტური „ორეული" შეიძლება ავთანდილი ყოფილიყო, ილია ჭავჭავაძისა-ოთარაანთ ქვრივი და ა.შ. მაგრამ ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნებოდა მეორე მხარეც გაგვეთვალისწინებინა: მწერალი ხატავს ადამიანის სხვადასხვა ტიპს სხვადასხვა პერსონაჟის მეშვეობით. შემოქმედისეული სამყარო მრავალგვარ სფეროს მოიცავს და გაერთიანებული და განზოგადებულია ამ მრავალფეროვნებით. სულხან-საბა ორბელიანი ერთნაირად ენდობა ყოველ პერსონაჟს მნიშვნელოვანი თვალსაზრისის, საკუთარი შეხედულების გამოსახატავად და თუ რომელიმე გმირი სხვანაირად აღიქვამს ან წარმოაჩენს ცხოვრებისეულ სიბრძნეს, ეს ინდივიდის, როგორც სხვა ბუნების მქონე პიროვნების, თავისებური სახეა, რომელსაც ასე შთამბეჭდავად ხატავს მწერალი.

თხზულებაში დაპირისპირება მძაფრდება ლეონსა და რუქას შორის. ორივეს კრედო ცხოვრებისეული რეალობაა, სადაც სიავეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს და სიკეთეც. სედრაქი პოლემიკაში თავიდანვე არ ერთვება. მოგვიანებით, „სედრაქ დაუწყო წვრთნა რუქასა და ეტყოდა:

„– რუქავ, მე რა ამაღლებულსა და უმაღლესისა ხელმწიფისა საფარველს ქვეშე შემოვსულვარ და შენ შემისწავლიხარ, ძმასა და შვილსა ორსავ მირჩევნიხარ და არცა შენგან უკეთესი მეგობარი მყოლია. ამას გეტყვი და გასწავლი: რა კაცი კაცსა გაუმტერდება, სიქიშპე ველარას დაანახვებს, თვარა შენგან მართებულ არ არის. რასაც კაცისათვის ავი და ბოროტის მთქმელი იყო, ყოველს კაცსა სიყვარულს უნდა აჩვენებდე, თვარა, რა გაუმტერდე და ველარ შეიძლო, დაძაბუნდები" (8. 138-139).

სედრაქის ეს მიმართვა ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ვეზირი ჯერ ცდილობს რუქას სიმპათიები, კეთილგანწყობა მოიპოვოს. ამიტომაც მას, საუკეთესო და უახლოეს ადამიანად აღიარებს. შემდეგ კი არიგებს. ეს დარიგებაც საჭურისის პოზიციიდან გამომდინარეობს. სედრაქი იმას კი არ ამბობს, რაც მისთვის იქნებოდა უპრიანი და მისაღები, ეს არც საყოველთაო მდგომარეობის მომგებიანი კუთხით წარმოჩენა და სხვების აზრის თავსმოხვევაა. ეს რუქას არსებული კონკრეტული ვითარებიდან გმომდინარე სიტყვები კვლავაც მისი სიტუაციის გასაძლიერებლად და გასაუმჯობესებლად თქმულა. სედრაქი სეფეთუხუცესს საკუთარ მდგომარეობას აცნობიერებინებს: „რა კაცი კაცს გაუმტერდება, სიქიშპე ველარას დაანახვებს." საყოველთაოდ აღიარებული სიბრძნე ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეალურად შეფასებაა. შემდგომ ამისა სედრაქი სიკეთის, სიყვარულის გამოხატვაზე მიუთითებს რუქას და განმარტავს, რომ ჭიდილი, ქიშპობა დააძაბუნებს, ძალას გამოაცლის და დაამარცხებს მას. მაშ, საჭიროა სიყვარული, კეთილგანწყობის ჩვენება. ერთი უცნაური ფრინველის, რომელიც ინდოეთში სახლობს და თათვალს ეძახიან, თვისების წარმოჩენაც სედრაქს თავისი ნათქვამის გასამყარებლად და ახალი აზრის ჩამოსაყალიბებლად სჭირდება:

"– თუცა ფრინველს ეგოდენი გონი აქვს, წინასწარ გამოიკითხავს საქმესა. შენ ხომ კაცი ხარ და მეფის წინ გაზრდილი, რად იქმ უგვანსა, რად არ დაადუმებ ცუდის საუბრისაგან ენასა" (8. 139), - მიმართავს ისევ რუქას.

აქ უკვე ახალი თეზისი შემოდის: „წინასწარ გამოკითხვა", გასინჯვა, განჭვრეტა, აღნერს რა ფრინველის ბუნებას, ჩვევას, სედრაქი უპირისპირებს მასზე უფრო მაღალი პასუხისმგებლობისა და აღმატებული გონის მქონე არსებას - ადამიანს, ამ დაპირისპირების ხერხითა და კაცის უპირატესობის ჩვენებით, რუქას პიროვნული მახასიათებლის აღნიშვნით, რომ სამეფო კარზეა გაზრდილი, ვეზირი კვლავაც საკუთარ მნიშვნელოვან სათქმელს უბრუნდება, კვლავაც მოუწოდებს საჭურისს უგვანი საუბრის შეწყვეტისაკენ.

ასე ეტაპობრივად უახლოვდება სედრაქი ახლა სხვა სათქმელს, ცხოვრებისეულ კრედოს, კაცთმოყვარეობის, მეგობრობის, ამხანაგობის დახასიათებას:

"კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის.

ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოსა თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მომსახურეა.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტა კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმარია, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია" (8. 139).

ამხანაგის სკრუპულოზური დახასიათებით, მისი ყოველი შესაძლო გამოვლინებისა და ცხოვრების ნებისმიერ მდგომარეობაში დადებითი ასპექტის შეტანით სედრაქი იდეალურ გზად უსახავს რუქას მეგობრობას და კვლავაც მტრობასთან, როგორც ამხანაგურობის საპირისპირო მდგომარეობასთან შედარებით უპირატესობას კაცთმოყვარეობასა და მეგობრობას ანიჭებს: „ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშოვნი? რად გძულან, რად ეკამათები?" (8. 139).

სედრაქმა იცის, რომ მარტოობა ადამიანისთვის დამლუპველია, იცის მეგობრობის ფასი და ძალა, რომ მეგობრობაზე უკეთესი ღირებული ამქვეყნად არაფერი შეიძლება იყოს, ამასთან, მიუთითებს, რომ „მე მრავალი კარგი კაცი მინახავს მამაშვილობასა და ძმობას გაჰყროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს. ამხანაგებში თუ არ სიყვარული, საქიშპარი არა არის რა" (8. 139). ვეზირი საყოველთაოდ აღიარებულ სიბრძნეს საკუთარ გამოცდილებასაც უმატებს და მეტ დამაჯერებლობას სძენს უკვე ნათქვამს. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ავტორისეული გადაწყვეტილება: ხოტბა ამხანაგობისა სედრაქს რომ მიაკუთვნა და წარმოათქმევინა. სედრაქს, ჭკვიანს, ბრძენს, სიტყვატკბილსა და გაწონასწორებული თვისებების მქონე პერსონაჟს.

სედრაქის, როგორც ბრძენი პერსონაჟის შეფასებაში გამოგვადგება ცნობილი

130 ნინო პო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუყარა და ჯოხი მხარზე შეიდო. გააგრძელა გზა და გულში ამბობდა:

„ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი; მით თორმეტს ქათმის სამამლე წიწილებს ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი, დავყვერავ, დავასუქებ და თითოს თითო აბაზად დავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, დავაკერატებ და ორ-ორ მარჩილად დავყიდი. მერმე მით სახარე ხბოებს ვიყიდი, დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქმნები" (8. 141).

გლახაკის ოცნებები საოცარი ქმედითი თანამიმდევრობითა და ექსპრესიით წარმოაჩინა სედრაქმა. შემთხვევითობაზე აგებული გეგმები, შესაძლებელის რეალურად წარმოსახვა ხანდახან ადამიანის გონებაში ისე შორს მიდის, როგორც ბრძენი ვეზირი აგვიწერს: ეტაპობრივად უფრო და უფრო სცილდება წარმოსახვა არსებულს და ბოლოს შესაძლებელი იმდენად ახლოა, ისე ხელშესახები, ნამდვილი, რომ პიროვნებისათვის უკვე აღარ არსებობს ობიექტური რეალობა, როგორც ეს სედრაქის მიერ თქმული არაკის პერსონაჟს მოსდის: „და ამ გულისთქმაში შეშა დაუდვა და ქალაქს გასაყიდად წამოიღო. ერთი ხიდი დახვდა. თქვა მან კაცმან:

- აქ ხარი არ გაიარს, ხმა გავცეო - შეძახა:

- ჰარიო!

დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანი ხიდზე დაჰკრა, ქოთანი გატყდა, ერბო დაიქცა. მისი გულისთქმით გამდიდრება ნუთზე ნაუხდა" (8. 141).

შეიძლება კაცი „გონებით ბევრს რასმე ზრახავდეს," მაგრამ განზრახვა განზრახვად დარჩება, თუ ადამიანმა მიზანმიმართულად არ იმოქმედა და ამისათვის არაფერი გააკეთა. ამასთან, სათანადო სამეცნიერო დაკვირვებებიდან ცხადი ხდება, რომ ადამიანი შეიძლება დიდხანს დარჩეს საკუთარ წარმოსახულ სამყაროში, ოცნებებში, წარმოდგენებში იცხოვროს. „სუბიექტი თავის ოცნებით შექმნილ სამყაროში ცხოვრობს — გაურბის ობიექტურ სინამდვილეს და ნაცვლად იმის, რომ შეებრძოლოს ცხოვრების სიძნელეებს, პირიქით ემალება მათ თავის ოცნების „თავშესაფარში"... ასეთი ოცნება ადუნებს ადამიანის ნებისყოფას, ასუსტებს მის აქტივობას" (6. 245). სედრაქის მიერ თქმული არაკის საფუძველზე ცხადი ხდება, თუ როგორი ძლიერი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს პიროვნებაზე მის მიერ წარმოსახულმა სამყარომ. ეს შეიძლება დასაჯერებელი გახდეს, რომ ნაოცნებარი კვლავ და კვლავ ახალ წარმოდგენებს ბადებს და ადამიანმა ილუზია შეიქმნას, რომ ყველაფერი უკვე მომხდარია, ნამდვილია... თუმცა რეალობა საბოლოოდ ყოველთვის ანგრევს ფუჭ წარმოსახვას და ძალზე რთულია სუბიექტისათვის უმტკივნეულოდ დაუბრუნდეს ობიექტურ სინამდვილეს. ადამიანის ფსიქოლოგიის, სულის ყველა შესაძლებელი მდგომარეობის ღრმა ცოდნა ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია სედრაქისათვის.

არაკში „მოტირალი და მოცინარი" ვეზირი მოგვითხრობს: „ორნი კაცნი იყვნენ ქალაქსა ერთსა. ერთი წამდაუნუმ სულ ტიროდა და ერთი სრულებით იცინოდა, რომე მოწყენილს ვერავინ ნახავდა.

ჰკითხეს მოტირალ კაცსა:

- ავზე და კარგზე, საცინელზე და სატირელზე სულ რატომ სტირიო?

— მან ეგრე თქვა:

- რა ვქმნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან, საუკუნო სასჯელი დაუვიწყებიათ და მით ვტირი, ყველგან ჯოჯოხეთს იშენებენო.

მერმე მას მოცინარს კაცს ჰკითხეს:

- შენ რაღა გაცინებსო?

მან ესრე თქვა:

- ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან, კარგს არ იქმონენ. ყოველს კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მივეც. მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია, ან მათი რა სარგებელია?" (8. 154).

უდავოა, რომ ამ არაკში სედრაქი ადამიანის ორი კატეგორიის დიფერენციაციას ახდენს. ასეთი დაყოფა ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს და მას წარმომავლობის კონკრეტული რეალობა გააჩნია. „ცნობილია ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ასეთი „მოტირალი" იყო ფილოსოფოსი ჰერაკლიტე, „მოცინარი" კი - ფოლოსოფოსი დემოკრიტე...

სულხან-საბა, მართალია, სარგებლობს ლეგენდით „მოცინარისა" და „მოტირალის" შესახებ, მაგრამ ეს ოდნავაც არ ნიშნავს იმას, რომ წიგნში „სიბრძნე სიცრუისა" ამ ლეგენდის უბრალო გამეორებასთან გვაქვს საქმე. აქ „მოტირალისა" და „მოცინარის" პერსონაჟებია, უბრალოდ, განმეორებული. რაც შეეხება ერთის - „სიცილის" და მეორის „ტირილის" მიზეზსა და საგანს, ეს თავისებურად აქვს გაშუქებული სულხან-საბას და გაშუქებული აქვს მთლიანად „სიბრძნე სიცრუისაში" წარმოდგენილი მსოფლმხედველობის შესატყვისად" (10. 45-47). მართლაც, ეს არაკი რუქასადმია მიმართული. სედრაქი იყენებს იგავის პერსონაჟს „მოცინარის" (ფილოსოფოს დემოკრიტეს) პოზიციასა და თვალსაზრისს წუთისოფლის შეფასების ცხოვრებისეული ღირებულებების წარმოსაჩენად და საკუთარ თავს მოიაზრებს ამ გმირში. ვეზირის სათქმელიც ეს არის: „მის მსგავსად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთვის ვიურვე, ვიწუხე, ვინაღვლე, გასწავლე, ჩემი ვერა შეგასმინე რა. ახლა მეც სიცილსა ძალი მივეც" (8.154).

სედრაქი საკუთარ გადაწყვეტილებას, „სიცილისთვის უპირატესობის მინიჭებასა და „ძალის მიცემას" არაკის პერსონაჟის სიტყვებით ასაბუთებს. ეს ფილოსოფიური მრწამსი, რომ ამქვეყნიური ცხოვრება მოკლეა და მისი გაშინაარსება, ბოლომდე გააზრება მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ წუთისოფლის ამაოებაზე მაღლა უნდა დადგე, მხოლოდ ოპტიმისტურ განწყობას იწვევს გონიერ ადამიანში და სიცილის ხასიათზე აყენებს. ეს არ არის ნერვიული, აგზნებული ხარხარი, სადღაც, სიგიჟის ზღვარზე მისული გონებისა, არც იქედნური ქირქილია. ეს უფრო მეტად, საღი სიცილია დინჯი, ბრძენი, მრავლისმნახველი კაცისა. „პიროვნული საწყისის გაძლიერებამ მოიტანა სიცილი. მხატვრობაშიც გამომჟღავნდა ეს სიახლე და მწერლობაშიც... ჰომერული მხიარულების შემდეგ სიხარულის ხმა მინელდა. მთელ შუა საუკუნეებში თითქმის აღარსად არ ისმის სიცილი. სიბრძნე და ნაღვლიანობა გაერთმნიშვნელოვნდა. შუა საუკუნეებს ჰქონდა თავისი დიდი სიხარული, მაგრამ სიცილის გარეშე. არც ავტორები და არც პერსონაჟები პიროვნულ-ინდივიდუალურობისკენ არ მიისწრაფვოდნენ და არც ღიმილი ახლდათ" (7. 143). რენესანსმა კვლავ შემოიტანა სიცილი და სხვანაირი, ამქვეყნიური სილამაზისა და სიხარულის განცდა. რასაც სხვა ღირებულება, კიდევ უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდა და რაც სედრაქის პოზიციის ახსნასაც მოიცავს: „სიცილი შინაგანი თავისუფლების მაჩვენებელი შეიქმნა. სიცილი დაუკავშირდა იუმორს და ამით იგი განსხვავდა ანტიკური გულუბრყვილო თავშეუკავებელი მხიარულებისაგან (7. 143.).

ხოლო იმისათვის, რომ ადამიანმა უკეთესად წარმართოს თავისი ცხოვრება, აუცილებელია წინაპართა ნამოქმედარის, მათ მიერ ნასწავლ-ნაანდერძევის გათვალისწინება. არაკში „მეფის ანდერძი" ვეზირი სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს: მეფის ძემ მამის ანდერძი არ დაიცვა და ბოლოს სინანულით აღმოხდა: „რასაც კაცს მამის ანდერძი არ დაუსწავლია, უარესიმც დაემართებისო!" (8. 161).

სედრაქმა, როგორც აღვნიშნეთ, კარგად იცოდა, რომ მანკიერებასთან ბრძოლა ძალიან ძნელია და თუმცა ის თხზულების თავშიც და ბოლოშიც რუქას ეპაექრებოდა (უნდა აღინიშნოს, რომ იმ რამდენიმე არაკს, რასაც სედრაქი წარმოთქვამს, თითქმის მხოლოდ რუქას საპასუხოდ ამბობს), „სიბრძნე სიცრუისას" შუა ნაწილში სედრაქი არ ჩანს. თხრობის მსვლელობას და დინამიკას ასეთი სახე აქვს: სედრაქი და რუქა შეუმჩნეველი დაპირისპირებით და თხრობის მინორული მდინარება; გამწვავებული პაექრობა: ლეონი, რუქა, ჯუმბერი, რუქა, თხრობის ექსტაზი, მწვავე დაპირისპირება. თხზულების ბოლოში ამ პოლემიკაში ნაკლებ აქტიური, მაგრამ პაექრობით, კამათით დაღლილი ფინეზი და სედრაქი. ორივე აღიარებს, რომ სიავესთან, ბოროტებასთან ჭიდილი მისი გამოსწორებისათვის ამაოა და მეტისმეტად დამღლელი, ამაოა ილუზია, „თქვენმან რუქამ რომ ავკაცობა გაუშვას და სიკეთეს გამოუდგეს" (1.168). აკი ფინალში მეფე სწორედ ამავეს უმტკიცებს ვეზირს: „რუქა აგრევე ავის საქმის ქმნაზე დამკვიდრებულა, თქვენ კი ნუ აჰყვებით" (8. 169) მთავარია, სიკეთეს არაფერი ავნოს ასეთმა ბოროტებამ და მეფე აფრთხილებს სედრაქს: „ვერც შენ გადარჩები ამ საქმეს უფათერაკოდ, ვერც მე და ვერც სხვა ვინძე" (8. 171). იცის ფინეზმა, რომ ბოროტება ყველასთვის საზიანოა, ყველასთვის სახიფათოა და სედრაქსაც ამიტომ მიმართავს ასე.

ჭიდილით დაღლილია სედრაქიც. აღსანიშნავია, რომ თუკი თხზულების დასაწყისში სედრაქი დამოუკიდებლად ცდილობს რუქასთან შესიტყვებას, ხოლო შუა ნაწილში აშკარად ლეონისა და ჯუმბერის ემოციურობის მხარდამჭერი და გამზიარებელია, ნაწარმოების ბოლოს მეფესთან ერთად, მის გვერდით, მის თანამოაზრედ მოჩანს. ვეზირის ბოლო არაკი ასეთია: ერთ მეფეს ექიმი ჰყავდა, რომელსაც „სენი უნკურნებელ ვერ მოურჩებოდა" (უნდა შევნიშნოთ, რომ ამ „აქიმში" სედრაქი საკუთარ თავს გულისხმობს და ახასიათებს).

„ორი დიდებული დასნეულდა სასტიკითა სენითა" (8. 169). საცნაურია, რომ მეფის ორივე დიდებულს ურთიერთსაპირისპირო სენი სჭირდა (ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ამ ორ დიდებულში გაიაზრება ლეონი და რუქა, როგორც საპირისპირო ბუნების ადამიანები).

„ერთი ესრეთ შეკრული იყო მუცელში, ათხუთმეტს დღეში ვერ გავიდის, და ერთი ასრე გახსნილ იყო, დღეში ორმოცჯერ იყვანდის. დიდად დაშვრა მათ აქიმობაზე და ვერ რა ჰკურნა. ჰკითხავდის მეფე მრავალგზის მათს ამბავს. დღესა ერთს მოეხვია აქიმი მეფესა მუხლსა და მოახსენა:

- თუცა რისხვა გნებავს ჩემი, მომკალი და ამიკლე, და თუცა მწყალობ, ეს მითავე, მათ აქიმობას მომარიდე" (8. 169).

რუქა-ლეონის პაექრობის, სიკეთე-ბოროტების მორიგებით დაღლილი, გაწამებული, ამაოდ გარჯილი სედრაქი მეფეს იმ ექიმივით ევედრება: „ჰე, მეფეო, შენც შემიეედრე და მათს უბნობას და ამათში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთვას გადამარჩინე" (8. 169). რატომ სურს ჯერ სედრაქს და შემდეგ ფინეზს ამ საუბრისაგან გარიდება? რამ დაღალა და რამ გამოაცალა ძალები ჯერ სედრაქს, შემდეგ-ფინეზს? რატომ მთავრდება ეს თხზულება ასე? ჩვენი აზრით, ამ კითხვებზე პასუხი თავად „სიბრძნე სიცრუისას" იდეის სპეციფიკის კვლევა და ნარმოჩენაა.

„სიბრძნე სიცრუისა" მთავრდება ფინეზის სიტყვებით, რომლითაც იგი სედრაქს მიმართავს: „ჰე, სედრაქ ვაზირო, მეც დიდად მიმძიმს თქვენი ასრე გარდაკიდება. მაგრამ ასრე ვხედავ: ვერც შენ გადარჩები ამ საქმეს უფათურაკოდ, ვერც მე და ვერც სხვა ვინმე" (8. 171).

და იქვე ავტორი წყვეტს თხრობას, ამთავრებს ნაწარმოებს „და კმა არს დღესა ამას თქმად მრავალი ესე მეტყველება ჩვენი" (8. 171).

როგორც ვხედავთ, იგავ-არაკთა კრებული არ მთავრდება რუსთაველისეული სიბრძნის შესაბამისად ნარმოდგენილი სამყაროს ჩვენებით - „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია," არც სამყაროს მკვიდრთა შორის ჰარმონიული ურთიერთმიმართება („თხა და მგელი ერთად ძოვდეს") ჩანს „სიბრძნე სიცრუისაში." მისი გმირები ამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებენ, სადაც ჯერ კიდევ ებრძვიან, ჯერ კიდევ ეცილებიან ერთმანეთს სპეტაკი და შერყვნილი სინამდვილე, ჯერ კიდევ დაობენ ჭეშმარიტების მღაღადებელნი და ცრუნი, ჯერ კიდევ ეჯახებიან ერთმანეთს ნათელი და ბნელი, ჯერ კიდევ იქნებ, საუკუნოდ, სამარდჟამოდაც?

და ამ ორის ურთიერთმორიგების მცდელობა ქანცს აცლის სედრაქს, რომელიც ბოლოს შერიგებისათვის ძალას ვეღარ პოულობს და ემუდარება ფინეზს: „მეფეო... შემივედრე... გადამარჩინე..."

საპასუხოდ არ ჩაგვესმის არც გადარჩენისა და არც გამარჯვების მომასწავებელი პასუხი. მხოლოდ ობიექტური რეალობიდან გამომდინარე ხვედრს შერიგებული სიტყვები გვესმის მეფისა: „ვერც შენ გადარჩები... ვერც მე და ვერც სხვა ვინმე."

ასეთი მძიმე და რთულია წუთისოფლის ამოცანა-იგავების ამოხსნა. ასე ძნელია ჩაბმა ბოროტისა და კეთილის ჭიდილში, სადაც სულხან-საბას გმირები, სედრაქი და ფინეზი მათი ურთიერთმორიგების ბრძოლაში ჩაბმულნი, ბრძნადმეტყველნი და გონიერნი საქვეყნოდ განთქმულნი, უიმედოდ და სასოწარკვეთით აღიარებენ: ურთიერთსაწინააღმდეგო ძალთა დაპირისპირება არის წუთისოფლის კიდევ ერთი „წყევლა-კრულვიანი საკითხავი."

მთავრდება „სიბრძნე სიცრუისა" ცხოვრებისეულ შუახაზზე, წუთისოფელში, არა განყენებულ, შემოქმედის მიერ არჩეულ იდეალურ საუფლოში, არამედ ობიექტურად, რეალურად დანახული, ნათლად შეფასებული ცხოვრების შუაგულში და მთავრდება იმის ქვეტექსტური მინიშნებით, რომ ეს ბრძოლა, დაპირისპირება, ჭიდილი კვლავაც გრძელდება რეალურ ცხოვრებაში.

ლიტერატურა:

1. ა.ბარამიძე, „სიბრძნე სიცრუისა"-რამდენიმე შენიშვნა ჟურნალში: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში," თბ., 1987, №1-2-3-4 (271-291);
2. რ.ბარამიძე, დაკვირვებანი „სიბრძნე სიცრუისას" ფაბულურ-სიუჟეტურ ჩარჩოზე, წიგნში - „ქართული მწერლობის შესწავლისათვის", თბ., 1986;
3. ს.დანელია, „ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ", თბ., 1926;
4. ე.კასირერი, „რა არის ადამიანი?" თბ., 1983;
5. გ.ლეონიძე, „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", ტ. I, თბ., 1949;
6. რ. ნათაძე, „ფსიქოლოგიის მოკლე კურსი" (მესამე გამოცემა), თბ., 1969;
7. რ.სირაძე, „ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები," თბ., 1987;
8. სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა," წიგნში: „ქართული მწერლობა", ტ. 7, თბ., 1989;
9. სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული", ტ. II, თბ., 1993;
10. ა.ფრანგიშვილი, „ადამიანის სულიერი ცხოვრების საკითხი აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის - დ.უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, თბ., 1957 (45-59);
11. ს.ცაიშვილი, „მარადიული სახეები", თბ., 1981.

ქეთევან სოხაძე

„კავკასიური ზოდიაქო“

სამხრეთ კავკასიაში განფენილმა ზოდიაქოს წრემ (იხ. „კავკასიის მაცნე“, 2000 წ. №2, გვ. 219-225), ყოველ შემთხვევაში, მისმა ნახევარმა მაინც – კუროს თანავარსკვლავედიდან მორიელის ჩათვლით (ფარნავაზიდან მოყოლებული ისტორიული ქართლის ტერიტორიას რომ წარმოადგენდა), უამრავი კითხვა წამოჭრა, რომელთაგან რამდენიმეს დღესვე შეიძლება გავცეთ პასუხი. პირველ რიგში, დღის წესრიგში დადგება საკითხი, განვითარების ამ ასპექტში როგორ ჯდება დასავლეთ საქართველო, ანუ ისტორიული წყაროების ეგრისკოლხეთი.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ რუკას თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ მარგვეთის საერისთავო (ლომის ზოდიაქო), სწორედ კოლხეთის ნაწილი, თავისთავად შედის ამ რკალში. როგორც ცნობილია, ეს ტერიტორია ფარნავაზის ქართლის „კუთვნილებად“ ეგრისის „მეფე“ ქუჯისთან შეთანხმების შედეგად იქცა („ქართლის ცხოვრება“, თბ., 1955, გვ. 24). ენობრივი თვალსაზრისით კი ეს მხარე (გურიასა და ქვემო იმერეთთან ერთად) ქართველური კოლხეთი გახლავთ (კოლხიზმები აქ ფართო პლასტითაა წარმოდგენილი, ი. ყიფშიძე, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...).

წარმოდგენილ რუკაზე (რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის ქ-ნ რუსუდან ბახიას მიერ არის შედგენილი) ფიქსირებულია კოლხეთის ისეთი დიდი არქეოლოგიური პუნქტები, როგორიცაა საირხე და ამირანის გორა. ისინი ერთ წრფეზე მდებარეობენ და თანაბარი მანძილით არიან დაშორებულნი ისეთი გეოგრაფიული პუნქტიდან, როგორიც ზესტაფონის რ-ნის სოფ. ზოვრეთია. თავის დროზე ამ ტოპონიმმა ჩვენი ყურადღება თავისი შინაარსით მიიპყრო. „ზოვრა“ საბასთან არის: „კერპთა მიმართ შეწირვა, კმევა და მსხვერპლი („სიტყვის კონა“, I, თბ., 1991, გვ. 285), -ეთ სუფიქსი დღევანდელ ქართულში გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელია (არად-ეთ-ი, ბუალ-ეთ-ი, რუს-ეთ-ი...), რაც, თავდაპირველად, საგანთა მრავლობას, კრებულს აღნიშნავდა (მარიმ-ეთ-ი, პავლეეთ-ი... ივ. იმნაიშვილი, „ძველი ქართული ენა“, ტ. I, ნაწილი II, თბ., 1982, გვ. 48). ერთი სიტყვით, „ზოვრ-ეთ“ არის მსხვერპლთა შეწირვის ადგილი და თავისი შინაარსითა და ფუნქციით ეთანადება ქართლში არსებულ ტოპონიმს „ბაგინ-ეთ-ი“ (მრავალი ბაგინის ადგილი...). სწორედ ამ „შინაარსობლივმა“ დამთხვევამ წამოჭრა კითხვა: რატომ იმეორებს ჩვენი წინაპარი ტოპონიმთა დასახელებას (ამის არაერთი და ორი მაგალითი არსებობს), რა სიხშირით იმეორებს და სად და როდის? დღეისათვის იგი პასუხგაუცემელია, რადგან ჯერ არ დაგვიმთავრებია სამუშაო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო კვლევის ცენტრში და მასალა სრული სახით არ გვაქვს შეკრებილი. სამაგიეროდ, ძალიან კარგად იჩინა თავი უდიდეს არქეოლოგიურ ძეგლთა სამეულებად დალაგების პრინციპმა (საირხე-ზოვრეთი-ამირანის გორა; ოპიზა-ურბნისი-ლაშარი...), თანაც ისე საინტერესოდ, რომ მათგან ერთ-ერთი (ამჟამად ზოვრეთი, ურბნისი), გარკვეულწილად წრის ცენტრს წარმოადგენს... „წრეზე“ ასეთ სამეულთა განლაგების პრინციპის „შემოწმება“ პირველად არმაზთან დაკავშირებით დაგვჭირდა. ჩვენს კარტოგრაფს ქსნის ხეობის არმაზი აღუნიშნავს, ჩვენ კი, რაღა თქმა უნდა, მცხეთის არმაზი გვჭირდებოდა. შინ გვქონდა ასეთივე მასშტაბის (1 : 500 000) საქართველოს ფიზიკური რუკა (თბ., 1989 წ.). „წინასწარ ვიცოდით“, რომ არმაზი ზედაზენ-სვეტიცხოვლის შემაერთებელ წრფეზე უნდა ყოფილიყო. ფარგლით გაზომილი მანძილი ზედაზნიდან სვეტიცხოვლამდე ზუსტად დაემთხვა მანძილს სვეტიცხოვლიდან არმაზისხევამდე... ისტორიული წყაროებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ქართლის მთაზე („ქართლის ცხოვრება“, გვ. 25) ქართველთა უზენაესი კერპი არმაზი (მთვარე) იდგა; ზედაზენი ზადენის კერპის ადგილსამყოფელია, ხოლო სვეტიცხოველი მირიანის მენამული ვარდების ბაღის ცენტრში – სიდონიას საფლავზე ამოსული ნაძვის ადგილზეა აგებული (ია და ვარდი დიდი დედის ატრიბუტებია).' ყოველივე ამან ბიძგი მოგვცა, დაგვეწყო „კვლევა“, კანონზომიერია თუ შემთხვევითი ეს წრფივი განვითარება?

როგორც ცნობილია, წრფის გავლება ორ ნებისმიერ წერტილზე შეიძლება. საინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესო კი ის არის, რომ ისტორიულ ძეგლთა შემაერთებელი წრფეები ერთმანეთის პარალელურია, ანუ მივიღეთ წრფივი განვითარების პრინციპი. თავიდან ეჭვიც გაჩნდა, რომ ეს ჩვენი რუკის უზუსტობის წყალობა იყო. გადამოწმების საშუალებაც გვქონდა – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ორი რუკა (1991-2000 წლების საეკლესიო კალენდარი, თბ., 1991 წ. და საქართველოს კულტურის ფონდის მიერ გამოცემული). მათზე ეს „წრფივი“ განვითარება არათუ სახაზავით, ჩვეულებრივი თვალითაც კი საცნაურია. უფრო მეტიც, განვითარების ამ სისტემაში ჯდება მთელი მცირე და წინა აზია, ეგვიპტე და, ამოვარდნილია კონტინენტური საბერძნეთი...

ჩვენი აზრით, ეს არის კაცობრიობის განვითარების ერთი მთლიანი არეალი, რაც უძველესი ცივილიზაციების სახით არის ცნობილი და ჩვენც – ქართველები ამ ცივილიზაციათა ერთიან სისტემაში ვართ ჩართულნი, თუ რატომ და როგორ, ეს უკვე კვლევის სრულიად სხვა სფეროს განეკუთვნება.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ სამი გეოგრაფიული პუნქტიდან ორი შუა წევრის მიმართ თანაბარი მანძილით არის დაშორებული. ეს კი საშუალებას გვაძლევს, მათზე წრეები შემოვხაზოთ. აღმოჩნდა, რომ მარტო სამ-სამად კი არ ლაგდება პუნქტები (ქობერი-რუსთავი-ნეკრესი; ჰუჯაბი-შულავერი-ჭერემი; ახტალა-მუხრანი-შაშიანი; აქორი-ნათლისმცემელი-გავაზი...), არამედ თითოეული პუნქტი თავის მხრივ სხვა, უფრო დიდი წრის ცენტრს წარმოადგენს (ქვეში-ზემო თელეთი-უჯარმა-თელავი-გრემი; პატარა დმანისი-ფიტარეთი-ქვათახევი-ჯვარი-ახმეტა-დართლო; სარკინეთი-ნადარბაზევი-შიომღვიმე-კვეტერა; ყიზილქილისა-ბირთვისი-მეტეხი (თბილისი)—იყალთო-სანიორე...) თუ ეს კანონზომიერება მისაღები იქნება, ბევრ საინტერესო არქეოლოგიურ „აღმოჩენასთან“ გვექნება საქმე. ერთი დასკვნის გაკეთება კი ახლავე შეიძლება: საერთო ქართველური ცივილიზაციის განვითარება მთლიანად ჯდება იმ სქემატურ საფუძველში, რაც ქართულ მრგვლოვან ანბანს გააჩნია – ცოცხალი კვადრატი და მასში ჩახაზული წრე (რ. პატარიძე, თ. გამყრელიძე). ვფიქრობთ, ეს კოსმიური წესრიგისა და მისი კანონების (თუნდაც ოქროს კვეთის პრინციპის) ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ეს კი, თავის მხრივ, ჩვენი წინაპრის უდიდეს ცოდნა-გამოცდილებაზე მეტყველებს (ჩვენ შეგნებულად არ ვეხებით საკითხს, საიდან მოდის ეს ცოდნა).

თავის მხრივ ზოდიაქოს წრეც ბადებს კითხვას. ჩვენს რუკაზე წარმოდგენილი სასწორის თანავარსკვლავედი (კახეთის ტერიტორია) არ ემთხვევა ასტრონომთა მიერ წარმოდგენილ ზოდიაქოს. სასწორის ზოდიაქო, როგორც ცის სამხრეთ ნახევარსფეროს კუთვნილება, 180 გრადუსითაა შემობრუნებული. ჩვენი რუკა კი ამ მომენტს არ აფიქსირებს, კერძოდ, იგი მობრუნებული არ არის. ეს კი იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ ეს ზოდიაქო მაშინ არის დედამიწაზე „გადმოტანილი“, როცა სასწორის თანავარსკვლავედი არ ეკუთვნოდა ცის სამხრეთ ნახევარსფეროს. თავის მხრივ ეს 2150-წლიან სხვაობას მოგვცემს. არის სხვა მოსაზრებაც: ცის ეს რუკა დედამიწაზე „შექმნილია“ ათვლის სხვა წერტილის მიხედვით, სადაც სასწორის ზოდიაქო სამხრეთ ნახევარსფეროში არ მდებარეობს, ანუ ათვლის წერტილი უფრო სამხრეთით უნდა იყოს. ჩვენი მოსაზრებით, ეს ქართველურ ტომთა უძველეს საცხოვრისს უნდა ეხებოდეს და მეცნიერების სხვადასხვა დარგთა კვლევის საგანი უფროა, ვიდრე ჩვენი. ვფიქრობთ, სწორედ ამ უკანასკნელი მოსაზრების კვლევის სფეროში შემოვა შემდეგი გარემოებაც:

ქ-მა რ. ბახიამ თავიდანვე აღნიშნა, რომ თბილისი თავისი კარტოგრაფიული განფენილობით მთლიანად იმეორებს მცხეთას (ჯვარი-მეტეხი; სვეტიცხოველი-სიონი; ბაგინეთი-ნარიყალა; სამთავრო-ქაშუეთი; ბებრისციხე-ლურჯი მონასტერი-ქსე, თბ., 1981 წ., ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები). თავდაპირველი მოსაზრების მიხედვით, ამ დამთხვევას განაპირობებდა მცხეთასთან და თბილისთან მტკვრის ერთნაირი მოხაზულობა. აღმოჩნდა, რომ მცხეთას ასევე ზუსტად „იმეორებს“ უჯარმაც.

სამივე გეოგრაფიული პუნქტი არ ჯდება „წრფივი განვითარების“ არეალში, მაგრამ მათ ერთი რამ „აერთიანებს“: მცხეთა ფარნავაზის მიერ შექმნილი ქართლის სამეფოს დედაქალაქია, თბილისი – ვახტანგ გორგასლისა და მის შთამომავალთა მიერ დაარსებული სახელმწიფოსი, ხოლო უჯარმა – ვახტანგის დროს და ვახტანგამდეც სამეფო რეზიდენცია იყო.

1 უნდა აღინიშნოს, რომ სვეტიცხოველი წარმოადგენს მთელი მცხეთის „ცენტრს“. მისგან თანაბარი მანძილით არიან დაშორებულნი (რაღა თქმა უნდა, ერთ წრფეზე მდებარენი) სამთავრო და ბაგინეთი; გეთსემანია-ანტიოქია; ბებრისციხე-პიტიახშების ნეკროპოლი; არმაზი (არმაზისხევი)-ზედაზენი...

დალილა ბედიანიძე

გამოცანები ხალხურ ზღაპრებში

გამოცანა, ანუ როგორც სულხან-საბა იტყოდა, ასასხნელი სიტყვა არ წარმოადგენს მხოლოდ ქართული ზეპირსიტყვიერების დამახასიათებელ ჟანრს. იგი ყველგან გვხვდება ხალხურ შემოქმედებასა და ლიტერატურაში. ადრინდელ წერილობით ძეგლებში ფიქსირებული ნიმუშები იმის მაჩვენებელია, რომ ხალხური პოეზიის ეს დარგი ძალიან გავრცელებული იყო უწინ (მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, ობ., 1959, გვ. 325-326). გამოცანა ინტერნაციონალური ხასიათისაა. ერთი და იგივე თემა და ახსნა ზოგჯერ ერთი და იგივე ფორმით თავს იჩენს არა მხოლოდ სხვადასხვა ნაწარმოებებში (მაგ. ზღაპარში), არამედ – სხვადასხვა ხალხის შემოქმედებაში.

გამოცანა ცნობილია, როგორც პოეტური ან პროზაული ჟანრი, გადაკრული მოკლე თქმა, სადაც საგნის ან მოვლენის ნიშან-თვისებები შენიღბულად არის მინიშნებული. იგი სათავეს იღებს ფოლკლორში, საიდანაც შემოვიდა მხატვრულ ლიტერატურაში, როგორც უკვე ცალკე ჟანრი. პროზაულ გამოცანებს აქვს პატარა ზღარის სახე. ისინი დამოუკიდებელი სახით არ გვხვდება, არამედ ჩართულია ზღაპრებში და ზღაპრის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, ხშირ შემთხვევაში ზღაპარი და მისი სიუჟეტი გამოცანებზეა აგებული. რაკი გამოცანის ბუნებასთან ამოკითხვა, ამოცნობაა ყოველთვის დაკავშირებული, ამიტომაც იგი მეტაფორულია.

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ შევეხებით პროზაულ გამოცანებს, გამოცანა-თქმულებებს, რომელნიც ხალხურ ზღაპრებშია ჩართული და რომელთაც ყოველთვის თან ახლავს ახსნა იმავე ზღაპარში. გამოცანის პოეტური ფორმა დამოუკიდებელი სახითაა უფრო განვითარებული, ჩართული სახით ხალხურ ზღაპრებში არ გვხვდება.

გამოცანა ისე ახლოს დგას ზღაპართან, რომ მათ ურთიერკავშირზე შეჩერება თითქმის არ დაგვჭირდება. ზოგი ზღაპარი მთლიანად გამოცანებზეა აგებული. პროზაულ გამოცანებს, გამოცანა-თქმულებებს ძირითადად იგავური სახე აქვთ, თუმცა იგავის ჟანრს არ მიეკუთვნებიან და არც თავისი გენეზისით უკავშირდებიან. „ზღაპართან და თქმულებასთან გამოცანას წეს-ჩვეულება აკავშირებს. სასიძოს (სარძლოსაც – დ.ბ.) ხშირად გამოცანებით გამოსცდიდნენ მოხერხებულობასა და სიბრძნეში. გამოცანის ახსნა ხშირად ნაწარმოების კვანძის გახსნას იძლევა, რაც მწელობაში ადრე აისახა. გამოცანა-თქმულებები ფართოდ ვრცელდებიან და ერთი სახელმწიფობრივი ფარგლებით არ კმაყოფილდებიან" (მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, სახელგამი, 1946, გვ. 254).

უხსოვარი დროიდან ინდოელები ახლოს იცნობდნენ გამოცანასა და მისი შესრულების წესებს. სარწმუნოებრივი ჰიმნების კრებული „რიგვედა", რომელიც 1500-2000 წლის წინათ შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის სანსკრიტის ენაზე, გამოცანის, ამოცანის რამდენიმე ნიმუშს გვაწვდის. არაბულ მწერლობაშიც შესულია ასასხნელი სიტყვები; ძველ იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებებში, ჰაიკარის ანუ ახიკარის დარიგებებში, რომლის სირიულმა ვერსიამ საქართველომდეც მოაღწია, გამოცანის სამი კლასიკური ნიმუშია დაფიქსირებული. ებრაული სიტყვიერების ამ მრავალფეროვანმა ჟანრმა თავისი გამოხატულება ბიბლიაში ჰპოვა. ასევე ითქმის თალმუდის მიმართაც. ევროპაში ადრინდელი ბერძნული და ლათინური ლიტერატურები აგრეთვე კარგად იცნობენ კითხვა-მიგებას (გავიხსენოთ სფინქსის გამოცანა: ოიდიპოსი თებეს შესასვლელში მიადგა სფინქსს, რომელიც დარაჯობდა ქალაქის შესასვლელს და შესვლის მსურველთ უსვამდა ასეთ კითხვას: „რა არის ისეთი, რაც დილით დადის ოთხ ფეხზე, შუადღისას – ორზე და საღამოს სამზეო". გამოცანას ვინც ვერ გამოიცნობდა, სფინქსი ყველას ჭამდა. ოიდიპოსმა გამოიცნო ეს გამოცანა – უპასუხა, ეს ადამიანიო. ამით გამწარებული სფინქსი უფსკრულში გადაიჩეხა. გათავისუფლდა თებე ამ საშინელი ურჩხულისაგან). გავიხსენოთ ბიბლიაში სამსონის გამოცანა, სოლომონის კითხვა-მიგებანი. ებრაულ გამოცანებს ქართველები ბიბლიის თარგმანის საშუალებით გაეცვნენ.

„ქართული გამოცანა ჯერ კიდევ იჩენს სიახლოვეს როგორც საწესჩვეულებრ მოქმედებასთან, ისე სხვა ფოლკლორულ ჟანრებთან. ერთ-ერთი საქორწილო ჩვეულებას წარმოადგენს სასიძოს მიერ გამოცან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების ამოხსნა (უნდა აღვნიშნოთ, რომ სარძლოსაც უხდება გამოცანების ახსნა). ზღაპრულ ეპოსში ხომ გავრცელებული ხერხია სამი დავალების მიცემა და მისი შესრულების აუცილებლობა მზეთუნახავის მოპოვებისათვის.

გამოცანები შეეხებიან ადამიანს და მის ხელობას, სამყაროს, ბუნების მოვლენებს, დროს, ცხოველთა სამყაროს, მცენარეულ სამყაროს, მწიგნობრობას, საგნებს და ნივთებს, ნაგებობას და ა.შ.

თქმულება-გამოცანების საინტერესო მიმართებას იჩენენ ერთმანეთთან. ამა თუ იმ ზღაპარში ისინი ხშირად მეორდებიან, როგორც ტიპოლოგიურად მსგავსი, ასევე — დამოუკიდებელი სახით. ისინი დამოუკიდებელი სიუჟეტის მქონე ჩართულ ამბებს წარმოადგენენ ზღაპარში და მზამეტყველების ნიმუშებია (მაგ. „სულამბარის და გულამბარის გამოცანა-ამბავი". „იამ რა უთხრა ვარდსა და ვარდმა რა უთხრა იასა" და ა.შ.). არანაკლებ საინტერესოა გამოცანა-დიალოგი დამყარებული სხარტ მეტყველებაზე, სიტყვის მოჭრაზე. ეს მსგავსება არის ინტერნაციონალური ხასიათის და შეეხება სხვადასხვა ქვეყნის ზღაპრებს. მაგ. გამოცანები: „სად არის დედამიწის შუაგული? რამდენი დრო დამჭირდება მთელი ქვეყანა რომ შემოვიარო? და ბოლოს გამოიცანი, რას ვფიქრობ ამჟამად შენზე?" წარმოადგენს არა ერთი ზღაპრის სიუჟეტურ საყრდენს. ისინი გვხვდება ინგლისურ, ბელორუსულ, რუსულ, ქართულ (რამდენიმე ვარიანტი) ზღაპრებში. გამოცანები ზოგან ნიუანსური სახესხვაობით არიან წარმოდგენილი. პასუხი ანუ ახსნა, როგორც წესი, იმავე ზღაპარში გვხვდება, რომელშიც გამოცანაა ჩართული. გამოცანის ახსნა, როგორც სხვა ზღაპრებში, აქაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, ამასთან, ეს გამოცანები საქორწინო გამოცანები არ არის, ანუ არ წარმოადგენს სასიძოსა თუ სარძლოსათვის დასმულ სამ შეკითხვას. შევადაროთ ერთმანეთს ზღაპრები „მეფე ჯონი და კენტირბერიის აბატი", „პეტრე მეფის გამოცანები", „ხელმწიფე და მოჯამაგირე" — „მეფე და მსახური", „მეფე და ვეზირები" და ალექსანდრე მაკედონელის ციკლის ზღაპრები.

1. მეფე ჯონი აბატს დაპირდა, გაპატიებ ჩემზე მდიდარი რომ ხარ, თუ სამ გამოცანას გამოიცნობო. თუ კვირის ბოლომდე პასუხი არ მოგიხსენებია, თავს მოგკვეთო. მოპასუხის ძებნაში აბატს მწყემსი შეხვდა, რომელმაც გადაიცვა აბატად და აბატს მეფესთან გაჰყვა.

„— მაშ დავიწყოთ, — თქვა მეფემ. პირველი კითხვა ასეთი იყო: სად არის ქვეყნიერების შუაგული?

— აქ, — განაცხადა ცრუ აბატმა და კვერთხი მიწაში ჩაარჭო — თუ ხელმწიფეს იჭვი ეპარება, შეუძლია, გაზომოს და თავად დარწმუნდება.

— წმინდა ბოტლფის სახელს ვფიცავ, საზრიანი პასუხია! — შესძახა მეფემ, — ახლა მეორე კითხვა: რამდენ ხანში შემოვივლი დედამიწას?

— თუ თქვენი უდიდებულესობა მზის ამოსვლისას ინებებს ადგომას და მასთან ერთად ივლის მეორე დილამდე, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერთ დღე-ღამეში, — უთხრა მწყემსმა.

— წმინდაო ჯონ! — შესძახა მეფემ, — ასეთ პასუხს ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ რა მეთქმის. თუ ბოლო კითხვასაც გამოიცნობ, გამარჯვება შენია. აბა, რას ვფიქრობ ახლა?

— ეგ ყველაზე ადვილია, — მიუგო მწყემსმა, — ჩემს მეფეს ჰგონია, რომ მე კენტერბერიის აბატი ვარ, — აქ მან თავსაბური გადაიძრო, — როგორც ხედავთ, მხოლოდ და მხოლოდ მისი მწყემსი გახლავართ და უმორჩილესად გთხოვთ, შეგვიწყალოთ მეცა და ჩემი ბატონიც" (ინგლისური ზღაპრები, ნაკადული, თბილისი, 1983, გვ. 150).

„ხელმწიფე და მოჯამაგირე": ხელმწიფემ დაავალა მოჯამაგირეს: გამიგე, რა მანძილია მთვარესა და მზეს შორის, მითხარი ყველაზე დიდი ტყუილი და ამიხსენი, მე რაზე ვფიქრობ და რაზე ვდარდობ". თუ სამ დღეში ეს სამი დავალება-გამოცანა არ ამოგიხსნია, თავს წაგაცლიო.

ერთმა მოხუცმა კაცმა უშველა მოჯამაგირეს, ის ეახლა ხელმწიფეს:

„— აბა, მითხარი, რა მანძილია მთვარესა და მზეს შორის?

— შვიდი ათას ექვსას სამოცდაორი ნაბიჯია, წუხელაც შევამოწმე. ნამდვილად ასეა... თუ არ გჯერათ, შეამოწმეთ!

— აბა, მითხარი ყველაზე დიდი ტყუილი!

— მამათქვენს მამიჩემისა ეს გოდორი ოქრო მართებს. ახლავე დამიბრუნე, თორემ მთელ ხალხს ვეტყვიო.

— რას მიედ-მოედები! — გაანჩხლდა ხელმწიფე.

— ტყუილის თქმა მინდოდა! — სიცილით მიუგო მოჯამაგირემ.

— აბა, მითხარი, მე რას ვფიქრობ და რაზე ვდარდობ?

— თქვენ ახლა ფიქრობთ, რომ თქვენს წინ მოჯამაგირე დგას, მაგრამ სასტიკად ცდებით. თქვენ ახლა იმას დარდობთ, რომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჯობოთ მოჯამაგირემ, მაგრამ რას იზამთ! — უპასუხა მოხუცმა.

ეს თქვა თუ არა, მეორე კარებში მოჯამაგირე გამოჩნდა, ხელმწიფეს მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა: თქვენი დავალება ხომ უნაკლოდ შევასრულე, პირობას ხომ არ გადავსულვარო?

შერცხვენილი ხელმწიფე დიდხანს იდგა გაშეშებული, მოჯამაგირე და მოხუცი გულიანად ხარხარებდნენ" (ხალხური სიბრძნე, ქართული ზღაპრები, II, ნაკადული, თბილისი, 1964, გვ. 223-224).

„მეფე და მსახური" — „მეფემ ჭკუის დამრიგებელი მსახური დაიბარა და უთხრა, თავს მოგჭრი, თუ სამ კითხვაზე სამ დღეში ახსნა არ მომახსენეო.

„დალიე მთელი ზღვა, გაიგე, რა მანძილია ცასა და დედამიწას შუა და მითხარი, რას ვფიქრობ მე". მსახურს გზად ბერიკაცი შეხვდა და ის მიჰყვა მეფესთან. ერთი ტომარა ნართი სთხოვეს მეფეს. ბერიკაცმა მსახურივით ჩაიცვა, მეფეს მსახური ეგონა და მიიღო.

—ზღვას დავლევ, ბატონო, თუ შეაჩერებ ყველა იმაში შემავალ მდინარეს და შიგ აღარ ჩაუშვებო, — უპასუხა პირველ დავალებაზე.

—გაიგე, რა მანძილია ცასა და დედამიწას შუა?

— გავიგე, ბატონო, აგერ ზომაც მოგიტანეთ, აი, ეს ნართი, თუ არა გჯერათ, თქვენ თვითონ გაზომეთ და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ.

— ახლა მითხარი, მე რასა ვფიქრობ?

— თქვენ, ბატონო, ახლა იმას ფიქრობ, თითქოს თქვენს წინაშე მსახური იდგეს, მაგრამ მოტყუებული ბრძანდებითო".

მეფე მიხვდა, რომ მოტყუვდა. შერცხვა, გაწითლდა და მსახური კიდევ უფრო შეიყვარა" (ხალხური სიბრძნე, ქართული ხალხ. ზღაპრები, ნაკადული, თბ., 1964, გვ. 416-417).

„მეფე და ვეზირები" — „იყო ერთი მეფე. ჰყავდა სამი ვეზირი. ერთ დღეს მოიხმო მეფემ ვეზირები და უთხრა: გამიგეთ, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე რამდენი ხნის სავალია, ღმერთს საითა აქვს პირი და მე რამდენად ვლირვარო.

ვეზირებმა ვერ ახსნეს. მაშინ მეფემ უბრძანა:

— მე სამი დღის ვადას გაძლევთ და ამ სამ დღეში ან თქვენ ამიხსენით და ან იპოვეთ კაცი ამის ამხსნელი, თორემ სამივეს თავებს დაგაჭრითო".

ნახეს ერთი მეწისქვილე. მიუყვანეს მეფეს.

მეწისქვილემ მიუგო:

„აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის არც თქვენ ბრძანებულხართ ფეხით, არც მე. მზე-მთვარით ოცდაოთხი საათის სავალი არისო",

ღმერთს პირი საითა აქვსო?

„მეწისქვილემ აანთო სანთელი და მოახსენა: აბა, ამ სანთელს საითა აქვს, პირიო?

მეფემ თქვა: ამას პირი ყოველმხრივა აქვსო:

მაშინ მეწისქვილემაც მიუგო: ღმერთსაც ყოველმხრივა აქვს პირიო".

მე რამდენად ვლირვარო?

„მეფევ ბატონო, თუ არ გამიწყრებით, მოგახსენებთ: ქრისტე ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს და მეტად არც თქვენ ეღირებითო" (იხ. იქვე, გვ. 459-460).

„მწყემსი ბიჭუნა":

მწყემს ბიჭუნას, რომელიც განთქმული იყო თავისი ჭკვიანური პასუხებით, ხელმწიფემ სამი გამოცანა მისცა ასახსნელად:

1. რამდენი წვეთი წყალია დედამიწის ყველა ზღვაში?

2. რამდენი ვარსკვლავია ცაზე?

3. რამდენი წამია მარადისობაში?

პასუხები ასეთი იყო:

1. უბრძანეთ, შეაჩერონ ყველა მდინარე, რომ არც ერთი წვეთი აღარ შეუერთდეს ზღვას, მაშინ გეტყვით, რამდენი წვეთი წყალია ზღვაშიო.

2. ბიჭმა თეთრ ქაღალდზე იმდენი წერტილი დასვა, რომ ძლივს გაარჩევდა კაცი. აი, ცაზე იმდენი ვარსკვლავია, რამდენი წერტილიც ამ ფურცელზეო.

3. შორეულ პომერანიაში ალმასის მთაა. სიმაღლე ერთი საათის სავალი აქვს. სიგანე ოთხივ კუთხივ ერთი საათის სავალი. მის მწვერვალზე საუკუნეში ერთხელ ჩიტი მოფრინდება ხოლმე და ზედ ნისკარტს ილესავს. ჰოდა, როდესაც ჩიტი მთელ მთას ლესვაში გასცვეთს, აი, მაშინ იქნება გასული მარადისობის პირველი წამიო (ძმები გრიმები, „გულადი თერძი", ნაკადული, თბილისი, 1982, გვ. 120-121).

ალექსანდრე მაკედონელის ციკლის ერთი ნოველა:

„ერთ დღეს ხელმწიფემ (მაკედონელმა) ნაზირ-ვეზირებს უბრძანა: საჩქაროდ გამიგეთ, დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე რამდენი ხნის სავალია, აღმოსავლეთის ხელმწიფეს ომი უნდა გამოვუცხადოვო. ვეზირები განსაცდელისაგან იხსნა ერთმა მეღორემ. მაკედონელმა მეღორეს ჰკითხა:

„— აბა, მითხარი დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე რამდენი ხნის სავალია?"

„— ეგ არავინ იცის, მაგრამ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის კი მანძილი გამოთვლილი მაქვს. იქ არც შენ ყოფილხარ, არც — მე, მზე კი აღმოსავლეთიდან დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლეთამდის მისვლას 24 საათს უნდება, თუ ლაშქრობას აპირებ, გირჩევ, ხელი აიღო, შენ და შენი ჯარი იქამდის თქვენს სიცოცხლეში ვერ მიაღწევთო" (ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ნოველა, საბჭ. საქ. თბ., 1966, გვ. 183).

„პეტრე მეფის გამოცანები" — ერთხელ პეტრე მეფემ თავის სენატორებს ჰკითხა: „რა სიმაღლეზეა ცა და რა სიღრმისაა დედამიწაო?.

პასუხი ვერავინ გასცა.

მაშინ პეტრე მინდორში წავიდა. ხედავს, გლეხი ხნავს მიწას.

პეტრემ ჰკითხა:

— მითხარი, ძმობილო, რა სიმაღლეზეა ცა და რა სიღრმისაა დედამიწაო?

გლეხმა უპასუხა:

„— ცა ძალიან დაბლაა: როცა დაიქუხებს, ყრუც კი გაიგონებს. მიწა კი ძალიან ღრმაა: სამოცი წელი გავიდა, რაც პაპაჩემი დავასაფლავე და მიწიდან დღემდე ვერ ამოაღწიაო".

სენატორებმა პასუხის გამცემს დაუწყეს ძებნა. მიადგნენ იმ გლეხს და სთხოვეს მზა პასუხები. გლეხმა ასი მანეთი გამოართვა და უთხრა თავისი პასუხები. პეტრე მიუხვდა სენატორებს, გლეხისთვის უკითხავთო, წავიდა და გლეხს კიდევ ელაპარაკა გამოცანების ენაზე (ბელორუსული ზღაპრები, მს. ხალხთა ზღაპრები, თბ. ნაკ. 1972, გვ. 232-234).

ამ ზღაპრის მეორე ნაწილიც გამოცანებსა და მათ პასუხებზეა აგებული, მაგრამ იგი უკვე ტიპოლოგიურად განსხვავებულია და სხვა ზღაპრებთან იჩენს მსგავსებას. ზღაპრის ერთი ნაწილი სხვაა, მეორე კი — სხვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ზღაპარი შექმნილია მზა დეტალთა მექანიკური გამოყენებით. ეს ორი ნაწილი ერთმანეთს არაფრით არ უკავშირდება, თუმცა ერთ ზღაპარში კია გაერთიანებული. საერთოდ, პროზაული გამოცანები თავისი ნაირსახეობით გვაფიქრებინებს, რომ მზა პასუხთა ცოდნა ინტელექტის გარკვეული დონის მაჩვენებელი იყო, მას წინასწარი შესწავლა ჭირდებოდა, გამოცანის ახსნის მცოდნე გარკვეულ ინტელექტუალურ წრეს მიეკუთვნებოდა ან ზიარებულთა წრის წევრი იყო, რომელიც ფლობდა სათანადო ცოდნას. მივყვეთ პეტრე მეფის გამოცანებს:

„— მითხარი, ერთი, რომ ხნავ, დღეში რას იღებო?

— რასა და რვა უზალთუნსო.

— კარგი შემოსავალი გქონია? ამდენ ფულს რას უშვრებიო?

— ორი უზალთუნით ვალს ვისტუმრებ, ორ უზალთუნს სესხად ვაძლევ, ორ უზალთუნს ქარს ვატან, ორი უზალთუნი მიდ ჩემი ცოლი თავს ვირჩენთო.

მეფემ ჰკითხა:

— ვის ვალს ისტუმრებო?

— მშობლები მყავს: სანამ პატარა ვიყავი, ისინი მაჭმევდნენ, ახლა მე ვაჭმევ. ჰოდა, იმათ ვალს ვიხდიო.

— მითხარი, თუ ძმა ხარ, სესხს ვის აძლევო?

— ორ ბიჭს ვზრდი. როცა მოვხუცდები, ისინი შემინახავენ, ეს სესხიაო.

— ერთი ესეც მითხარი, თუ ძმა ხარ, რას ნიშნავს, ორ უზალთუნს ქარს ვატანო, რომ მითხარი?

— რას ნიშნავს, მეფევ და გოგონებს ვზრდი. დაიზრდებიან, ქმრები წაიყვანენ. ჰოდა, ქარს ვატან ორ უზალთუნს, აბა, რა არისო.

მივიდა მეფე სენატში და თავის სენატორებს ჰკითხა გლეხის ნათქვამი გამოცანა. მათ კიდე ერთხელ მოუხდათ გლეხთან წასვლა და ორასი მანეთის მიცემა".

იგივე ტიპისაა ქართული ხალხური ზღაპარი „მოხერხებული მებაღე":

„ერთხელ მეფემ ჩაიცვა გლეხის ტანსაცმელი და სამეფოს დათვალიერებას შეუდგა. უნდოდა, გაეგო, ვინ როგორ ცხოვრობდა, შევიდა ერთ ბაღში და მებაღეს ჰკითხა:

— რა გაქვს ჯამაგირიო?

— ერთი თუმანიო, — უპასუხა მებაღემ.

— მერე, რას უშვრები მაგ თუმანსო? — ჰკითხა მეფემ.

— ორ მანეთს ვჭამ, ორ მანეთს სესხად ვაძლევ, ორ მანეთს ფანჯრიდან ვაგდებ, ორ მანეთს ვინახავ და ორი მანეთით ვალს ვისტუმრებო.

მეფემ ვერაფერი გაიგო. მებაღეს უთხრა: მანამ ჩემი სახე არ დაინახო, არავის არაფერი უთხრაო და წავიდა.

მეფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირები და გადასცა მებაღის მიერ განანილებული თუმნის ამბავი და უბრძანა: ჩქარა გაიგეთ, რას ნიშნავს ეს სიტყვები, თორემ ყველას დაგხოცავთო.

„ორ მანეთს რომ ვჭამ, ამით მე ვცხოვრობ, ორი მანეთით დედ-მამას ვაცხოვრებ, იმათ ვალს ვიხდი. ორი მანეთით ვაუებს ვზრდი, რომ გაიზრდებიან, მერე მე მაცხოვრებენ, ორ მანეთს ფანჯრიდან ვყრი, ამით ქალებსა ვზრდი, გათხოვდებიან და წავლენ, მე რას მარგიან. ორ მანეთს კი შავი დღისათვის ვინახავო", — ასეთი პასუხი გასცა გლეხმა ახსნის სახით მეფის ნაზირ-ვეზირებს" (ხალხური სიბრძნე, ქართული ზღაპრები, II, ნაკადული, თბ., 1964, გვ. 356-357).

გამოცანები ენობრივად განსხვავდებიან როგორც ზღაპრებისგან, ისე ერთმან-

ეთისგან. სხვაა ზღაპრის, თხრობის ენა და სხვაა გამოცანების ენა, რომელიც ნართაულ კითხვა-მიგებასაც ემყარება ზოგჯერ, ზოგჯერ კი იგავური სტილისაა. იგი მოითხოვს ასახსნელი სიტყვის პასუხს ან წინასწარ ცოდნას, ან გონივრულ, ბრძნულ სხარტ პასუხს... სწორედ გამოცანების პასუხის წინასწარ საცოდნელად ირჯებიან ხშირად ზღაპრის გმირები. იმპროვიზაციასაც ემყარება ხშირად გამოცანის ახსნა. გამოცანის ახსნით მოწმდება ზღაპრის გმირის აზროვნების დონე, მისი ცოდნის ჰორიზონტი, რაც განმსაზღვრელია მისდამი დამოკიდებულებისა. სხარტი სიტყვა-პასუხი გამოცანების ენაზე თვით მეფესაც აღაფრთოვანებს (ხომ ხედავთ სიტყვას ყელში მიჭრიდაო).

ენის მიხედვით გამოცანები იყოფა რამდენიმე ჯგუფად: 1. უსიტყვო, მუნჯური დიალოგი, რომელიც მოქმედებას ემყარება, როდესაც რაიმე საგნების გადაცემით მყარდება კონტაქტი ამომცნობსა და დამვალებელს შორის. 2. მოხდენილი დიალოგი, დამყარებული სიტყვის ოსტატობაზე, სხარტი და ზუსტი სიტყვა-პასუხი. 3. გამოცანა-თქმულებები, როდესაც ზღაპარში ჩართული გამოცანა განსხვავდება დამოუკიდებელი სიუჟეტით და ამბის განვითარებით. ასეთ გამოცანაზე პასუხის მცოდნეებს თავისი ჩაკეტილი წრე აქვთ და თავისიანს, თავისი ჭკუისას პასუხის მიხედვით სცნობენ და იღებენ თავის წრეში. როგორც საერთოდ, აქაც ახსნა წინასწარ ცოდნას ემყარება და განათლების დონის მაჩვენებელია (გავიხსენოთ, თუ როგორ ირჩევს მოჯამაგირედ მომუშავე ღარიბი კაცი ხელფასის მაგიერ ჭკუას, გონივრული სიტყვის სწავლას). 4. გამოცანების შერეული ტიპი, როდესაც ერთი და იმავე ზღაპარში გაერთიანებულია ნართაული სიტყვა-პასუხი და უსიტყვო დიალოგები, მუნჯური გამოცანები.

პირველი ჯგუფის გამოცანების ტიპის გამოცანა გვხვდება აზერბაიჯანულ ზღაპარში „სამი შაჰზადე". თუ ზღაპრის გმირი სამივე გამოცანას გამოიცნობდა, ფადიშაჰის ასული ცოლად გაყვებოდა. სამმაგობის პრინციპი შენარჩუნებულია, გამოცანები (სამი გამოცანა) წარმოადგენს საქორწინო დავალებას. დიალოგი მიმდინარეობს მუნჯურად, უსიტყვოდ, რასაც შემდეგ სიტყვიერი დიალოგი და სიტყვიერი ახსნა მოსდევს. ეს გამოცანა უსიტყვო დიალოგის ნიმუშია:

„მეორე დღეს ქალმა ვაჟს ერთი ზურმუხუტი გაუგზავნა. ვაჟი წავიდა ბაზარში, იყიდა ერთი ძვირფასი თვალი, ზურმუხტის გვერდით მიუდო, ორი ცალი დაუბრუნა. შემდეგ დღეს ფადიშაჰის ასულმა ვაჟს ალმასი გაუგზავნა. ვაჟმა ალმასი ქვით დაფშვნა, გამოკრა ხელსახოცში და ქალთან გაატანა. მესამე დღეს ქალმა ვაჟს ბრილიანტი გაუგზავნა. ვაჟი წავიდა ბაზარში, იყიდა იმაზე ძვირფასი ბრილიანტი და გვერდით მიუდო, ორი ცალი იაგუნდიც დაუმატა და ისე დააბრუნა უკან.

სიტყვიერი ახსნა გამოცანების ენაზე ამ უსიტყვო დიალოგისა, ასეთია:

... „მე პირველად ერთი ზურმუხტი გავუგზავნე, რითაც ვეუბნებოდი, მე დედმამისათვის ასეთი ძვირფასი ვარ და შენ ჩემს თხოვას ვერ შესძლებ-მეთქი.

— მე კი მიგიხვდი გუმანს და ამიტომ იმ ზურმუხტს ერთი ცალი ძვირფასი თვალიც დავუმატე, რითაც გითხარი, თავს ნუ იდებ, მეც ჩემი დედ-მამისთვის ასეთი ფასეული ვარ-მეთქი.

— მეორედ, — განაგრძო ფადიშაჰის ასულმა, — ერთი ალმასი გავუგზავნე. მე ამ ალმასივით მტკიცე ვარ და შენს ნება-სურვილზე ვერ ამიყოლიებ-მეთქი.

— მაგასაც მიგიხვდი, ამიტომ ის ალმასი დავფშვენი და უკანვე დაგიბრუნე, ამით გითხარი: თუ შენი სურვილები საზღვარს გადავა, ასეთი ბოლო ეწევა-მეთქი.

— ბოლოს ერთი ბრილიანტი გავუგზავნე. აი, ამ ბრილიანტივით ლამაზი ვარ-მეთქი.

— მეც არ დავაყოვნე, იმაზე ძვირფასი ბრილიანტი ვიყიდე და დაგიბრუნე, შენზე ნაკლები არც მე ვარ-მეთქი. თან ორი იაგუნდი რომ დავურთე, ამით გითხარი, ორ ბრილიანტივით ადამიანს თუ ორი იაგუნდივით ვაჟი გაუჩნდა, ამას რა აჯობებს-მეთქი" (აზერბაიჯანული ზღაპრები, მს. ხალხთა ზღაპრები, ნაკადული, თბ., 1973, გვ. 87-88).

ზღაპრის სიუჟეტისგან დამოუკიდებელ და ზღაპრისათვის მზა საშენ მასალას წარმოადგენს გამოცანა „ვის ეკუთვნის ქალი?" ეს გამოცანა გვხვდება როგორც ქართულ, ასევე — აზერბაიჯანულ, ჩეხურ, ოსურ და სხვა ხალხთა ზღაპრებში. მას ინტერნაციონალური ხასიათი აქვს და მხატვრული ფუნქცია მისი ასეთია: ვინ აალაპარაკებს დამუნჯებულ ქალს? მივყვეთ ზღაპარს „თევზების ფადიშაჰი და იაგუნი" (აზერბაიჯანული):

„შეჭამანდი შემოიტანეს და ქალს წინ დაუდგეს. მაშინ ვაჟმა დაიწყო: „ — შანდალო, ჩემო ძმობილო, ყური მიგდე, რას გიამბობ. ერთ დღეს ერთი ხარატი, ერთი თერძი და ერთიც ჯადოქარი ერთად მიდიოდნენ. გზაზე შემოაღამდათ. როგორც იქნა, რაღაც ნანგრევებს მიაღწიეს. ჯადოქარი და თერძი დანწვნენ დასაძინებლად, ხარატი კი დაჯდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყარაულოდ. შუაღამე გადავიდა, ხარატს მოსწყინდა, შევიდა იქავ ტყეში, რამდენიმე ხე მოჭრა, წამოიღო და ქალი გამოჩორკნა. ხარატი დაწვა დასაძინებლად. ახლა თერძმა ინყო ყარაულობა. თერძი ხედავს, რომ კუთხეში რაღაც აყუდია. მივიდა, ნახა, რაც იყო და თქვა: ხარატს თავისი საქმე გაუკეთებია, ახლა ჩემი ხელობა უნდა ვაჩვენოო. დაჯდა, ამოიღო ნემსი და ababაფი, ერთი ხელი ქალის ტანსაცმელი შეკერა და ქალი გამოანყო. მერე ჯადოქარმა გააღვიძა, თვითონ კი დასაძინებლად დაწვა. ჯადოქარმაც თავისი უნარი გამოაჩინა, ხის ქალს სახეში უბერა და სული ჩაუდგა. შანდალო, ჩემო ძმობილო, ახლა ეს მითხარი, ეს ქალი ვის ეკუთვნის — ჯადოქარს, თერძს თუ ხარატს?

პასუხის გამცემი არავინ იყო.

მაშინ ფადიშაჰის ასულმა თქვა:

— ქალი ხარატს ეკუთვნისო.

მაშინვე ფადიშაჰს აცნობეს, შენმა ქალმა სამი სიტყვა თქვაო (იხ. იქვე, გვ. 125).

ჩეხურ ზღაპარში პასუხი ამ გამოცანისა, სხვაგვარია, თუმცა გამოცანა აქაც საქორწინოა და დამუნჯებული ქალის ალაპარაკებას ემსახურება.

„ბრძენი ოქრომჭედელი":

„რადოშს არ უცდია დალაპარაკებოდა ხელმწიფის ასულს. იგი ლიბენას სურათთან მივიდა და მას დაუწყო ლაპარაკი:

— ძვირფასო ხატებავ, ერთი დავა გადაწყვიტე: მეჩუქურთმემ ქალი გამოაქანდაკა, თერძმა ტანსაცმელი შეუკერა, მესამე კაცმა კი ენა ჩაუდგა. რომელს უნდა უმადლოდეს ქალი თავის სიცოცხლეს?

— რომელს უნდა უმადლოდეს და ვინც ენა ჩაუდგაო, — უცბად მიუგო ხელმწიფის ასულმა და ქარგვა განაგრძო" (ჩეხური ზღაპრები, მს. ხალხთა ზღაპრები, ნაკადული, თბ., 1969, გვ. 279-280).

ეს გამოცანა თავისი ფინალით ჰგავს გამოცანას, რომელშიც ქალი დახოცილ ქმარს და მაზლს გააცოცხლებს, მაგრამ სიჩქარეში ქმრის ტანზე მაზლის თავს მიაბამს და პირიქით. ასალაპარაკებელი მზეთუნახავი უპასუხებს — ქალი ტანით ქმარს ეკუთვნისო.

ამავე შეკითხვაზე პასუხობს გამოცანა, სადაც გულთმისანი, ფეხმარდი და ექიმი ხელმწიფის ასულს მოარჩენენ — აქ ხელმწიფის ქალი ეკუთვნის იმას, ვინც მოარჩინა, ანუ ექიმს. სამივე ეს ზღაპარი თავმოყრილია ოსურ ზღაპარში „სამი გამოცანა" (ოსური ზღაპრები, ირისთონი, ცხინვალი, 1974 წ. გვ. 195-198).

თქმულება-გამოცანას წარმოადგენს „სულამბარის და გულამბარის" ჩართული ამბავი ზღაპრებში (იგი მხოლოდ ქართულ ზღაპრებში გვხვდება, ამასთან — გვხვდება რამდენიმე ზღაპარში — იხ „თეთრმეტი ძმა", „ლურჯი თევზი").

„თეთრმეტი ძმა":

„ქალმა უთხრა: — „ აჰა, გათავდა ვადა. მითხარი, ვინ იყო სულამბარა და გულამბარაო. თუ ვერ იტყვი, თავი უნდა მოგჭრაო. ხელმწიფის შვილმა უთხრა: გულამბარა იყო ვაჭრის მოჯამაგირე, რომელმაც შეიყვარა ვაჭრის ცოლი. უნდა მოეკლათ ეს ვაჭარი, მაგრამ ვაჭარმა დაასწრო, ორივე დახოცა და თავები დააჭრა. ეს ამბავი მარტო შენ გითხრა, შენ კი გამოცანად გამოიყენეო (ხალხური სიბრძნე ხუთ ტომად, ტ. I, ქართული ზღაპრები. თბ., ნაკადული, 1963, გვ. 225-227, 427-428).

გამოცანა-დიალოგის ტიპისაა გამოცანა, რომელიც გვხვდება ოსურ ზღაპარში „აღმოსავლეთის ალდარი და დასავლეთის ალდარი":

„ბიჭს ცეცხლი გაეჩაღებინა. კაცებმა ჰკითხეს:

— მამა გყავს?

— მყავს.

— მერე სად არის?

— დილაადრიან ჩხუბის დასათესად წავიდა.

... — დედა ცრემლის გასასესხებლად წავიდა.

... — ერთი ძმა მყავს და სახლის უკან ხრიკოზე ნადირობს.

კაცები გამობრუნდნენ ისევ უკან და ბიჭს ჰკითხეს, რას ნიშნავდა მისი სიტყვები.

„შვიდი გზის შესაყარში ერთი პატარა მიწის ნაკვეთი გვაქვს, დილაუთენია იმის მოსახნავად წავიდა (მამა). გეკითხებით, სადაც შვიდი გზა ერთად გადის, იმ ადგილას მგზავრი ფეხს როგორ აუქცევს? იმ შვიდ გზაზე რამდენი მგზავრი ჩამოივლის, ყველასთან საჩხუბრად ექნება საქმე, რადგან ნაკვეთს დაუქელავენ.

— ცრემლის გასესხებას რაღას ეძახი?

— ერთი ახალგაზრდა მოკვდა და დედაჩემი სატირალში წავიდა. მეც რომ მოვკვდები, მერე დედაჩემთან მოვლენ სატირლად. ჰოდა, სესხია, აბა, რა არის?

— შენი ძმა რომ ხრიოკზე ნადირობს, ეგ როგორღა გავიგოთ?

— სახლის უკან დამჯდარა, პერანგი გაუხდია და კბენარს ხოცავს" (ოსური ზღაპრები, ირისთონი, ცხინვალი, 1974, გვ. 58-64).

გამოცანებს შორის გამოირჩევა სოლომონ მეფის ციკლი გამოცანები. მათი ერთი ნაწილი მუნჯურია, ცოცხალი მაგალითებია, ხოლო მეორე ნაწილი — გამოცანა-დიალოგი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სოლომონ ბრძენი თავის ორ კაცთან ერთად სოფელზე მიდიოდა. ერთ ადგილას სახლის კარებზე ერთი დანავსებული ბერიკაცი იჯდა ჩაფიქრებული. სოლომონ ბრძენი მივიდა და მიესალმა. ბერიკაცი ფეხზე აუდგა სოლომონ ბრძენს და მადლი მოახსენა. სოლომონმა ჰკითხა:

— სხვა, ბერიკაცო, რ:სა იქ, როგორა ხარ?

— რა მიჭირს, — უპასუხა ბერიკაცმა, — თორმეტსა და ოცდათორმეტს მაინც ვერაფერი გადავარჩინე.

— ორზე როგორა ხარ? — ჰკითხა ისევ სოლომონმა.

— უკვე დავსამდი, — უპასუხა ბერიკაცმა.

— შორს როგორა ხარ?

— ახლოს მოველ.

— წისქვილები როგორა გაქვს?

— მგელმა დამიჭამა, რაც მგელს გადაურჩა, უწყლოდ, უღაროდ დგანან და აღარაფერში მარგიან.

— მთაში თოვლი მოსულა, — უთხრა კიდევ სოლომონმა.

ბერიკაცმა ჩამოისვა თეთრ წვერზე ხელი და უთხრა:

— ბარშიც ჩამოვიდა.

— მაშ, კარგი, — უთხრა სოლომონმა, — მე ორ თხას გამოგიგზავნი და ვინძლო კარგად გაკრიჭო.

— ისე გავკრიჭო, — უპასუხა ბერიკაცმა, — რომ ტყავის მეტი ზედ არაფერი შერჩეს".

ბერიკაცმა სოლომონის მიერ გაგზავნილ კაცებს უთხრა, რომ სანამ ოც-ოც თუმანს არ მისცემდნენ თითო სიტყვაში, დიალოგის ახსნას არ ასწავლიდა. მისცეს ოც-ოცი თუმანი. ბერიკაცმა უთხრა: პირველად რომ მითხრა, რასა იქ და როგორა ხარო და მე რომ ვუპასუხე, თორმეტსა და ოცდათორმეტს ვერაფერი გადავარჩინე-მეთქი, ის არის, რომ თორმეტი თვე არის წლისა და ოცდათორმეტი კბილები. კაცმა რაც უნდა იშრომოს, მუცელს ვერაფერს მოაჭარბებს.

როცა მეორე სიტყვაშიც ოც-ოცი თუმანი მისცეს, ბერიკაცმა განაგრძო: მეორედ სოლომონმა მკითხა, ორზე როგორა ხარო და მე ვუპასუხე — დავსამდი-მეთქი, ის არის, რომ სანამ ახალგაზრდა ვიყავი, ორი ფეხით დავდიოდი, და ახლა უჯოხოდ ვეღარ გავივლიო".

მესამე: „ბერიკაცმა თქვა: მე რომ ვუპასუხე, შორს ვიყავი და ახლოს მოვედი-მეთქი, ის არის, რომ წინად კარგად ვხედავდი, ახლა კი თვალთ მაკლია და ახლო ძლივსღა ვხედავო".

მეოთხე: წისქვილი კბილებია, მგელი ჭიაა. რაც კბილები ჭიამ დაჭამა, ხომ გამოუსადეგარი არის და რაც იმას გადარჩა, არც არაფრად ვარგა ის კბილები.

მეხუთე: მთაში თოვლი მოსულა-მეთქი მითხრა და მე რომ ვუპასუხე, ბარად ჩამოსულა-მეთქი, ხომ ხედავთ, თმაც თეთრი მაქვს და წვერიც — ეს არის — მეექვსედ რომ ამოიღეს კარისკაცებმა რაც კი რამ ებადათ, ბერიკაცმა უთხრა: ის ორი თხა თქვენ ხართ, ჩაიყავით ჯიბეებში ხელები, გაქვთ კიდევ რამე, თუ არა, წადით და ეგრე მოახსენეთ სოლომონსაო" (ხალხური სიბრძნე, ქართული ზღაპრები, II, ნაკადული, თბილისი, 1964, „სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი", გვ. 300-303).

განვიხილოთ მუნჯური გამოცანები სოლომონ მეფის ციკლისა:

1. „უფროსი ძმა უყურებს მეგუთნეებს და თავის თვალებს არ უჯერებს. გუთანში თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი აბია — ექვსი უღელი ერთ მხარეს, ექვსი უღელი — მეორე მხარეს. მეხრეები დასჭყივიან და სახრეებს ზედ ამტვრევენ საწყალ საქონელს, ხარ-კამეჩები ეწევიან, რაც ძალი და ღონე აქვთ, მაგრამ გუთანი ადგილზეა გაჩერებული. როგორ გასწევენ, როცა ერთი ერთ მხარეს ეწევა, მეორე — მეორე მხარეს".

2. „იარა, იარა და მიადგა რთვათვლიან წისქვილს. შევიდა შიგ და რას ხედავს! იფქვება დარჩეული ხორბალი, ფქვილი კი ძირს ჩადის და წყალს მიაქვს".

ამ გამოცანების ახსნა ასეთია:

„გუთანში ორივე მხარეს რომ ხარები ებათ, ეს ის არის, როგორც ის ხარები ეწეოდნენ აქეთ-იქით და გუთანი წინ ვერ მიდიოდა, ისე — ძმები რომ გაიყრებიან და ცალ-ცალკე გავლენ, არც იმათი საქმე წავა წინ.

ის წისქვილი კიდევ იმას ნიშნავს, რომ თუ ოჯახში კარგი შემნახველი დედაკაცი არ არის, იქ გინდა რვა კაცი იყოს კარგი მომნაგრებელი, იმათი ქონებაც სულ წყალწაღებული იქნება" („სოლომონ ბრძენი და ღარიბი გლეხი", იხ. იქვე, ხალხური სიბრძნე, გვ. 305-308).

სოლომონის გამოცანებს სხვა ზღაპრებში სხვაგვარი ახსნა აქვს და ესეც საინტერესოა მკვლევარისათვის: „სოლომონ ბრძენმა დაუწყო ახსნა: ეს სუყველა ადამიანთა უგუნურების მაგალითებია: ხის თავსა და ბოლოს ოთხ-ოთხი უღელი კამეჩი რომ მიებათ — ეს ადამიანთა ერთმანეთის გაუტანლობას გამოხატავს. ტყეში კაცს შეშა რომ წამოუკიდია და იმატებს და იმატებს, ასეთი კაცი არასოდეს შეიმატებს ცხოვრებას, სიხარბეში გაატარებს სიცოცხლეს და გაკიცხული ჩავა საფლავში; კედელს ცერცვს აყრიდა კაცი, არა რჩებოდა ზედა — ეს ძმები რომ გაიყრებიან და ერთობა დაერღვევათ, როგორც ცერცვი კედელზე არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩერდება, ისედაც გაყრილი ძმები ველარ შეერთდებიან. ნისქვილის თითო ხვიმირაში ოთხ-ოთხი კაცი რომ ერთად აყრიდა ხორბალს და ფქვილი კი არ ჩანდა ალატში — გაფუფუნებული ოჯახიც რომ იყოს, თუ ხელმრუდე ადამიანი ურევია, სარჩოს ბარაქა არ მიეცემა" (იხ. იქვე, გვ 308-310. „არჩევანი"). ამავე ზღაპარში მოცეულია სხვა გამოცანებიც, რომელიც შეეხება ცოლად მოსაყვანი ქალის არჩევანს და რომელთაც სოლომონის მცირეწლოვანი ვაჟი ეუბნება ცოლის მოყვანის მსურველ ჭაბუკს. რომელი მოეყვანა ცოლად — ქალიშვილი, ქვრივი თუ — ქმარგანაშვები — ასეთი პრობლემა ჰქონდა ჭაბუკს. სოლომონის პატარა ვაჟმა რჩევა გამოცანების ენაზე მიუგო, რაც ჭაბუკმა ვერ გაიგო და ახსნა სოლომონს სთხოვა. რჩევა ასეთი იყო: „ქალიშვილი ერთია: ქვრივთან სამნი იქნებით, ნაქმრევთან ცხენი ქერსა ჭამსო." ახსნა ასეთია: ქალიშვილ ქალს რა ახსნა უნდა, ცოლ-ქმრობის გამოუცდელია და ერთია. ნაქვრივალს ბევრჯერ მოაგონდება მკვდარი ქმარი, მეტადრე მაშინ, თუ შენზე უკეთესი იყო და სამი არ იქნებითო? ქმარგაშვებული ქალი, თუ ძალიან კარგად არ მოექცევი, უსიამოვნებას ვერ აიტანს, როგორც პირველი ქმარი დასთმო, შენც გაგშორდება, გაგექცევაო".

ქორწინების თემა მჭიდრო კავშირშია გამოცანებთან. ზღაპრების ციკლი ჭკვიანი რძლის შესახებ არა ერთი ხალხის ფოლკლორში გვხვდება ისევე, როგორც ზღაპარი „ხელმწიფე და გლეხის ქალი".

„გლეხმა ოქროს ფილი იპოვა ხვნის დროს და ატყდა, ხელმწიფეს უნდა წავულოო. ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავდა, იმან დაუშალა, არ წაულო, თორემ სანაყელსაც მოგედავებაო. მართლაც ასე მოხდა, ამასთან — ხელმწიფემ მისი ქალიც დაიბარა და უთხრა:

„ხვალ კვლავ გამოცხადდები ჩემთან, მაგრამ ისე, რომ არც შიშველი იყო და არც ტანისამოსი გეცვას, არც ფეხით მოხვიდე და არც სხვა რამით, რაც ადამიანებს სამგზავროდ აქვთ გამოყენებული. საჩუქარი თან მომიტანე, თან — არ მომიტანო. შეასრულებ ამ დავალებას, მამაშენს უკანვე დაგუბრუნებ ოქროს ფილს, შენ კი ცოლად შეგირთავ, თუ არა — ენას მოგაჭრი!

მეორე დღეს ქალმა გაიხადა ტანისამოსი, ჩაჯდა ბადეში, გამოება უკან ვირს და ისე მივიდა ხელმწიფესთან". ზღაპრის უკრაინული ვარიანტის მიხედვით ბატონი საჩუქარსაც სთხოვდა გლეხის გოგოს: საჩუქარი მომიტანოს და არც მომიტანოსო. გოგომ მტრედი და კურდღელი აიყვანა, ცხვარზე შეჯდა და წავიდა. ბატონმა ძაღლები მიუსია. გლეხის გოგომ კურდღელი გაუშვა. ძაღლები კურდღელს გამოედევნენ, გოგომ კი ბატონს მტრედი გაუწოდა. ბატონმა ის იყო, ხელი გაუწოდა, რომ მტრედმა ფრთები გაშალა და გაფრინდა",

ეს გამოცანა არაერთ ზღაპარშია დაფიქსირებული. საჩუქარი ზოგჯერ იხსენიება, ზოგჯერ — არა. განსხვავებულია ზღაპრის ფინალიც, რომელშიც გამოცანაა ჩართული. ბატონი ზოგჯერ კვდება, ზოგჯერ კი ჭკვიან გლეხის გოგოზე ქორწინდება.

გამოცანა გვხვდება ქართულ, უკრაინულ, ჩეხურ და სხვა ქვეყნების ზღაპრებში.

ასევე, არაერთ ზღაპარში გვხვდება გამოცანები, რომელთაც ჭკვიანი რძალი ახსნის. ისინი აღინიშნება ქართულ ზღაპრებში „მოხუცი დურგალი და მისი რძალი", „ჭკვიანი რძალი" (რომელიც მთლიანად გამოცანებზეა აგებული), ოსურ ზღაპარში „ალდარის რძალი" და სხვა. ეს ზღაპრები სიუჟეტურად ერთმანეთს ენათესავება, ასევე ნათესაურ კავშირშია ერთმანეთთან მათში გამოყენებული გამოცანები. ეს გამოცანები წარმოადგენენ „სიტყვის მოჭრის", დიალოგის ტიპის გამოცანებს. მაგალითისათვის განვიხილოთ ზღაპარი „ჭკვიანი რძალი", რომელშიც მოთხრობილია რძლის მძებნელის ამბავი: სამამამთილო თვითონ ეძებს სარძლოს. შეხვდა გზად ერთი კაცი და მასთან ერთად მივიდა სტუმრად. ამ მეორე კაცმა მასპინძელს რძლის მძებნელზე უამბო:

„— ერთ ადგილას, გზაზე შემხვდაო, გამარჯობა მითხრა და მკითხა: შენი ძმა რა უყავიო. მე ვუთხარი: ჩემი ძმა სახლშია, მაგრამ შენც თან არ გახლავს შენი ძმა-მეთქი. მე თან მომდევს ჩემი ძმაო, მითხრა — მაგრამ მას თან არავინ ახლდა. წამოვედით და აღმართს რომ შევუდექით, კვლავ მითხრა: ან შენ ამიყვანე, ან მე აგიყვანო. მე ვუთხარი: აქ ვერც მე აგიყვან და ვერც შენ ამიყვან-მეთქი. მერე, კარგი პურის ყანა ვნახეთ. ბედნიერია ამის პატრონი, რა კარგი პურის ყანა ჰქონია-მეთქი. ვუთხარი. კარგია, მაგრამ ვაი მისი პატრონის ცოდვა, თუ უკვე შეჭმულიაო, თქვა მან. ვნახე, მაგრამ ყანა შეჭმული არ იყო. წამოვედით ისევ და ერთ ადგილას კივილის ხმა შემოგვესმა. ალბათ მოკვდა ვილაცა-მეთქი. იმან — თუ მთლად მკვდარია, ცოდვაა და თუ ნახევრადაა მკვდარი, არა უშავს რა. ამ კაცისა ვერა გავიგე რაო".

მასპინძელს ერთი ქალიშვილი ჰყოლია. წამოდგა და თქვა, ამას მე ავხსნიო.

„ — შენი ძმა რა უყავიო, რომ გკითხა, ყავარჯენი ჰქონდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას ჰქონდა, მე – არაო.

„ალმართს რომ შეუდექით, ისეთი საუბარი უნდა დაგეწყო, რომ არც იმას და არც შენ არ უნდა გეგრძნოთ დაღლა. პურის ყანაზე რომ უთქვამს, განა არ შეიძლებოდა, იმ ყანის პატრონს ორი იმდენი ნასესხები ჰქონოდა და ამიტომ შეჭმული ყოფლიყოო. კივილის ხმა რომ გაიგეთ, იმ მიცვალებულს თუ შვილი არ ჰყავდა, სულ მკვდარი იქნებოდა და თუ შვილი დარჩა, ნახევრად მკვდარი იქნებოდა“.

რძლის მძებნელმა ეს ქალიშვილი დანიშნა და რძლად მოიყვანა. მისი ჭკუა-გონება და განათლება დიდად გამოადგა შემდეგში.

შევადაროთ ეს ზღაპარი ოსურ ზღაპარს „ალდარის რძალი“ და დავინახავთ, რომ სიუჟეტური მსაგვსება აშკარაა, მაგრამ რძლის მძებნელის მიერ მოცემული გამოცანები განსხვავებულია. ალდარის მიერ დასმული მიმართვა-გამოცანები მხოლოდ მეოთხე სარძლომ გამოიცნო. ვაჟი მოუყვა საცოლეს:

„პირველი მგზავრობისას მითხრა: „გზა შეამოკლეო“. გზა თოკი ხომ არ იყო, როგორ შევამოკლებდი. მეორედ რომ წამიყვანა, მაშინ კიდევ ასე მითხრა: „აადუღე ქვაბი უწყლოდო“. მესამედ – „ბიჭო, დაასუქე ეგ შენი ცხენებიო“. ქალმა ასე ახსნა ეს გამოცანები:

„გზის შემოკლება რომ გთხოვა, რამე ზღაპარს მოყოლოდი, ან გეთქვა რამე და გზასაც შეიმოკლებდით, მამაც კმაყოფილი დაგრჩებოდა.

ქვაბის უწყლოდ ადუღება რომ გთხოვა, გამოგერთმია ჩიბუხი, გაგეწმინდა, გაგეტენა თუთუნით, გაგებოლებინა და მიგეწოდებინა. ეგ იქნებოდა ქვაბის უწყლოდ ადუღება.

უკანასკნელად რომ გითხრა, ცხენები გაასუქეო, ჩამომხტარიყავ ცხენიდან, ჩამოგესვა მამაშენიც. ცხენისთვის უნაგირები მოგეხადა, მწვანეზე გაგეშვა საბალახოდ. მამისთვის ძირს ნაბადი გაგეშალა, თავქვეშ უნაგირი ამოგედო. თქვენც დაისვენებდით და ცხენებიც ბალახს მოძოვდნენ, მერე დასვენებულები განაგრძობდით გზას.

ნიშანდობლივია, რომ ნართაულ ენაზე ლაპარაკი, გამოცანებით ლაპარაკი, რომლის ახსნაც მხოლოდ რძალს შეეძლო, მამამთილს ძალიან გამოადგა და იგი სიკვდილისაგან იხსნა. მაგ. ზღაპარში „ჭკვიანი რძალი“ ხელმწიფემ დურგლის და მისი ვაჟის დახოცვა გადაწყვიტა, რათა მისთვის აშენებული სახლის მსგავსი ვეღარავისთვის აეშენებინათ. დურგალი მიუხვდა განზრახვას და ხელმწიფეს უთხრა, შინ უხერხო ხერხი დამრჩაო (სხვა ქართულ ზღაპარში „უმართ სამართი“ იხსენიება). ხელმწიფემ ის და მისი ვაჟი შინ არ გაუშვა, სამაგიეროდ თავისი შვილი გაგზავნა დურგლის სახლში და ერთი კაცი გააყოლა. რძალმა „უხერხო ხერხის“ ხსენების შემდეგ კარი გამოკეტა, ხელმწიფის შვილი მძევლად აიყვანა – ჩემი ოსტატების დახოცვა სურთ, მაგრამ იმათ რომ იქ დახოცავენ, მე თქვენ აქ დაგხოცავთო. მეორე კაცი გაუშვეს და ხელმწიფეს ამბავი მიუტანა, შვილს მოგიკლავენო.

ხელმწიფემ მისცა ფული და ოსტატები გაუშვა. ქალმაც გაუშვა ხელმწიფის შვილი.

ამრიგად, დიდია გამოცანათა მნიშვნელობა და მხატვრული ფუნქცია ზღაპრებში. გამოცანები ცხოველთა ზღაპრებში არ გვხვდება, გვხვდება ჯადოსნურ და ძირითადად – საყოფაცხოვრებო ზღაპრებში. ისინი ტიპოლოგიურად მსგავსია და გვხვდება სიუჟეტურად მსგავს ზღაპრებში. ზღაპრის სიუჟეტი ერთგვარ გარსს წარმოადგენს გამოცანისათვის. იმდენად თვალსაჩინოა მათი არსებობა, რომ ზოგჯერ ზღაპარს პირდაპირ ეწოდება „სამი გამოცანა“, „პეტრე მეფის გამოცანები“ და მისთანანი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოცანების დანიშნულება პერსონაჟთა გონივრულობის დემონსტრაციაა, მათ მიერ სხარტი და ზუსტი მეტყველების ჩვენება, ინტელექტუალური შეჯიბრი. ვინც გამოცანების ენაზე ვერ საუბრობს, ის დასაწუნი სასიძო და დასაწუნი სარძლოა (ამ მიზეზით ზოგ ზღაპარში მოყვანილ რძალს უშვებენ, თუნდაც იგი მესამე რძალი იყოს, ხოლო სასიძოს, მერამდენეც არ უნდა იყოს ის, თავს ჭრიან).

ნიშანდობლივია, რომ ზღაპრებში გამოცანებს ყოველთვის თან ახლავს ახსნა, ამხსნელი ზოგჯერ გამოცანების მთქმელივეა, ზოგჯერ კი – სხვა პირი. ეს ამხსნელი ყოველთვის მეტაფორული აზროვნებით დაჯილდოებული ნათელი გონების პერსონაჟია და შექებულიც არის ამისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მაჭარაშვილი

მეუფე კირიონი და მიხეილ თამარაშვილი

კირიონის კრიტიკული შენიშვნები
მ. თამარაშვილის პირველ მონოგრაფიაზე

უკვე საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც დაიწერა მ. თამარაშვილის საყოველთაოდ ცნობილი მონოგრაფია "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის"; რომლის კრიტიკული შენიშვნების წერას მისი გამოცემის თანავე უნდა შესდგომოდა მეუფე კირიონი. მაგრამ ჟამთა სიავემ თითქოს საგანგებოდ მიჩქმალა და იმთავითვე დღის სინათლე არ აღირსა ამ მნიშვნელოვან მეცნიერულ კრიტიკულ ნააზრევს. ფრიად მძიმე ვითარებაში მოუხდა უწმიდეს კირიონს ზემოხსენებული შენიშვნების წერა. იგი უკვე ღიად იდევნებოდა რუსთა იმპერიის სატრაპების მიერ. 1902 წელს, როცა გამოიცა მ. თამარაშვილის "ისტორია კათოლიკობისა...", კირიონი გადაასახლეს რუსეთში, კამენეცი-პოდოლსკში [1]. ეს სამწუხარო ამბავი მ.თამარაშვილს წერილით აცნობა ივ. გვარამაძემ [2]. შექმნილი ვითარების გამო, ბუნებრივია, კირიონს ხელი შეეშლებოდა კრიტიკული შენიშვნების მომზადებაში. ქართული საზოგადოება კი, როგორც ჩანს, დიდი ინტერესით მოელოდა, თუ როგორ შეაფასებდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის დიდი მკვლევარი, მეუფე კირიონი, თამარაშვილის, როგორც ახალბედა მეცნიერის, ზემოხსენებულ მონოგრაფიას.

"მოუთმენლად მოველი თქვენს კრიტიკულ შენიშვნის დაბეჭდვას თამარაშვილის შრომის შესახებ. ჩემის აზრით ეს შრომა ტენდენციურია; მასში თავიდამ ბოლომდის გატარებულია კათოლიკური ტენდენცია", - აღნიშნავდა კ. კეკელიძე 1903 წელს, 29 აპრილს კირიონისადმი მიწერილ წერილში [3].

მაგრამ, როგორც კორნელი კეკელიძის, ასევე მთელი ქართველი საზოგადოების მოუთმენელი ლოდინი ამაო აღმოჩნდა. კირიონის კრიტიკული შენიშვნები 1910 წელსაც მის გამოუქვეყნებელ ნაშრომთა ნუსხაში მოიხსენიება[4]. მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, მეცნიერული პოლემიკა საქართველოს ეკლესიის სამოციქულო მემკვიდრეობის შესახებ კი დღესაც გრძელდება. სამწუხაროდ, ზოგიერთი მკვლევარი კვლავაც კათოლიკური პოზიციის ნიფსით, თუ უნებლიე ქომაგად გვევლინება[5] და სათანადო კრიტიკულ მიდგომას არ იჩენს მ.თამარაშვილის ნაშრომებისადმი, რომელთაც აშკარად ატყვია კონფესიური კათოლიკობის ტენდენციური კვალი[6]. ვფიქრობთ, კირიონის კრიტიკული შენიშვნების სათანადო შესწავლა უდავოდ შეუწყობს ხელს ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიის უფრო სრულყოფილი და ობიექტური კვლევის საქმეს.

სცსსა-ში, კირიონის პირად საარქივო ფონდში (N 1453), დაცულია საქმე N29, რომლის სათაურიც ასე იკითხება: "მიხეილ თამარაშვილის წიგნის - "ისტორია კათოლიკობისა საქართველოში" კრიტიკული შენიშვნები". აღსანიშნავია, რომ მასში კირიონის შენიშვნები არ არის წარმოდგენილი საბოლოოდ ჩამოყალიბებული ან, თუნდაც, მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული სახით. თვალში საცემია აქ წარმოდგენილი მასალის უწესრიგობა, ტექსტის ფრაგმენტების არათანამიმდევრობა და ნაკლულევანება (ზოგიერთ მათგანს დასაწყისი ან დასასრული აღარ მოეპოვება).

არქივის თანამშრომლებს უცდიათ თანამიმდევრობით დაელაგებინათ საქმის ფურცლები, მაგრამ ვერც ხელმეორე აღწერის შედეგად მოუხერხებიათ მისი ბოლომდე მოწესრიგება. საქმე სულ 18 ფურცლიანია, მაგრამ მასში ნაწილობრივ ასევე წარმოდგენილია არაარსებითი და გარეშე საკითხები, რომელთაც უშუალო შეხება არა აქვთ თამარაშვილის წიგნთან (მაგ. მასში ვხვდებით ჩანაწერებს სომხური ანბანის იუბილის შესახებ, სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში სომეხთა კოლონიზაციის შესახებ და ა. შ.). ასე რომ კრიტიკული შენიშვნების ტექსტი საქმის 18 ფურცელსაც არ მოიცავს სრულად.

თავად შენიშვნები ნაწერია სხარტად და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს თამარაშვილის წიგნის პირველი ჩაკითხვის კვალობაზევე ჩაუნიშნავს კირიონს ისინი. შემდეგ კი ზოგი რამ აქა-იქ გადაუშლია, ზოგიც ჩაუმატებია და ჩაუსწორებია.

ერთი სიტყვით, საქმეში წარმოდგენილი კრიტიკული შენიშვნების ტექსტი ძალზე შორს დგას გამოსაცემად გამზადებული პუბლიკაციისაგან. სამაგიეროდ, მასში ვხდებით ცალკეულ არაკორექტულ გამონათქვამებსაც კი, რომელთა დაბეჭდვისაგან თავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირიონი შეიკავებდა თავს. როგორც ჩანს, თამარაშვილის უცერემონიო ტენდენციურობას იმდენად გაუღიზიანებია კირიონი, რომ ცხელ გულზე ამგვარი ჩანაწერებიც გაუკეთებია: "სულ შეერთება ელანდება თამარაშვილს"(ფ.1, გვ.2)[7], "აქ იაღლიშათ ბძანდება ბ. თამარაშვილი"(ფ.6, გვ.1), "ვიმე ძმაო თარხანო, რა ჭკუაზედ თხლად ხარო"(ფ.4,გვ.1) და ა. შ.

მიუხედავად ამისა, კირიონის შენიშვნები ამავდროულად წარმოადგენს უდავოდ მაღალი დონის მეცნიერულ კრიტიკულ ნააზრევს. პირველ რიგში აღსანიშნავია თამარაშვილის წიგნში მრავლად არსებული ისეთი ფაქტობრივი შეცდომები, რომლებზეც მიუთითებს კირიონი. კერძოდ:

თამარაშვილს თავის მონოგრაფიაში (გვ.38) მოხმობილი აქვს პაპ იოანე XXII-ის წერილი, როგორც ავინიონიდან მოწერილი. კირიონი შენიშნავს, რომ "აქ თამარაშვილი შეცდომაში ბძანდება", რადგან ავინიონის პაპები შემდეგ დროში იყვნენ (ფ.5, გვ.2).

ლათინთა შორის მომხდარი დიდი განხეთქილების წლებსაც შეცდომით უთითებს თამარაშვილი (გვ.44), თითქოსდა ვიდრე 1449 წლამდე იყო. კირიონი კი შენიშნავს, რომ პაპისტებს შორის განხეთქილებამ სინამდვილეში 1449 წლამდე კი არა 1417- მდე გასტანა და დასძენს: "ნეტავი ამისთანა ყალბ ცნობებს რომელ წიგნებიდან იღებს-ო?" (ფ.5, გვ.2). ამგვარად, თამარაშვილი წერს, რომ პაპისტების დიდი სქიზმა 70 წელს გაგრძელდა, კირიონი კი შეახსენებს, რომ სინამდვილეში მან 40 წელზე ცოტა ნაკლები გასტანა (ფ.5, გვ.2). ამ ქრონოლოგიური აღრევის გამო თამარაშვილს გამორჩენია მარტინე V, ევგენი IV, ფელიქს V და ნიკოლოზ V, კირიონი კი შენიშნავს, რომ "ეს პაპები მ. თამარაშვილს გადაუყლაპია-ო!!"(ფ.5, გვ.2).

თამარაშვილი ასევე შეცდომით წერს, რომ პაპი პიო VI 1779 წელს გარდაიცვალა(გვ.396), კირიონი კი შენიშნავს, რომ "არც ეს უცოდინრობა ეპატიება თამარაშვილს, სხვა რომ არაფერი მოვსთხოვოთ პაპების ისტორიის ცოდნა უნდა ჰქონდეს , აქ კი სრულ უვიცობას იჩენს-ო" და დასძენს, რომ პიო VI სინამდვილეში 20 წელი კიდევ იცოცხლა (ფ.7, გვ.1).

კირიონი ასევე შენიშნავს, რომ ლუდოვიკო ბოლონიელის შესახებაც ურთიერთ საწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდის ავტორი და დაძენს, რომ "ამისთანა მარგალიტები ბევრია გაბნეული თამარაშვილის წიგნში"(ფ.6, გვ.1).

1752 წელს უთხოვია პაპისათვის პატრ სტეფანეს, კათოლიკოსად დაამტკიცეო ბესარიონი,-აცხადებს თამარაშვილი (გვ.367), კირიონი კი შენიშნავს, რომ "აქ სამი მიუტევებელი სისულელეა", პირველი ის, რომ ვიღაც პადრი შუამდგომლობს საქართველოს კათოლიკოსის დამტკიცებას; მეორე ის, რომ ამ დროს ბესარიონი კი არა, ანტონ I იყო კათოლიკოსი (თანაც უკვე კარგა ხნის წინ დამტკიცებული) და მესამეც ის, რომ ბესარიონი სინამდვილეში უფრო ადრე (1728-35 წწ.) იყო კათოლიკოსის საყდარზე. აქვე კირიონი დასძენს, რომ "აი ასე დომხალსავით აქვს-ო არეული ფაქტები და ისტორიული პირები თამარაშვილს თავის წიგნში"(ფ.7, გვ.1).

და მართლაც, მის მიერ მოძიებულ წყაროებში არსებულ ფაქტობრივ შეცდომებზე თამარაშვილი ხშირ შემთხვევაში ისე აგებს თავის მსჯელობას, რომ თავს არ ინუხებს გადაამოწმოს მათი ნამდვილობა. ამის გამო თავადაც უმართებულოდ მოიაზრებს მთელ რიგ საკითხებს. წყაროების გამოქვეყნებისას დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომებთან ერთად კირიონი ასევე ამახვილებს ყურადღებას თამარაშვილის მიერ ისტორიული საბუთების მცდარ ინტერპრეტაციაზე. პირველ რიგში კირიონი აღნიშნავს, რომ ხუთი პატრიარქის მოხსენიება ქართულ საბუთებში სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს საქართველოს ეკლესიას რომთან ჰქონდა ერთობა (ფ.1, გვ.1), როგორც ამას მიიჩნევს თამარაშვილი.

ხოლო პაპისადმი რუსუდანის წერილთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ "ამ ხანაში საქართველო ცდილობდა სომხები შემოეერთებინა მართლმადიდებელ ეკკლესიასთან, მთის ხალხებში ავრცელებდა მართლმადიდებლობას და თამარაშვილი კი ერთი უბრალო მოკითხვის წერილით გვიმტკიცებს, რომ საქართველოს ეკკლესია რომთან იყო-ო შეერთებული"(ფ.1, გვ.1). შემდგომში კირიონი ხაზგასმით მიუთითებს, რომ რუსუდანმა მხოლოდ სურვილი გამოთქვა შეერთებისა და მისი წერილიდან ერთობის ფაქტი არა ჩანს. იგი აღნიშნავს:"სურვილი სხვა არის, შეერთება, სხვა არის. მ. თამარაშვილს ვურჩევთ ჯერ ლექსიკონში გაშინჯოს ხოლმე სიტყვების მნიშვნელობა, მერე ისე სწეროს-ო"(ფ.1, გვ.2).

ცოტა ქვემოთ პაპ გრიგოლ IX მეორე წერილიდან ციტირებასაც ახდენს კირიონი ("უკეთუ **აქამდე** თქვენი ცხოვრების სისრულეს რაიმე აკლდა, აწ ეს თქვენი შეერთება სრულჰყოფს-ო მას") და აღნიშნავს: "ამ სიტყვებს ბ. თამარაშვილი კარგად ჩაჰკვირვებოდა დაინახავდა, რომ არავითარი ერთობა საქართველოს რომის ეკკლესიასთან არა ჰქონია"(ფ.1, გვ.1). ხოლო იმასთან დაკავშირებით, რომ კლიმენტი XIII წერილში ქართველები უბრალოდ, საერთოდ არ მოიხსენიებიან, თამარაშვილი კი მაინც აცხადებს, რომ უსათუოდ იგულისხმებიანო, კირიონი ენამახვილურ შენიშვნას უკეთებს: "ურიას ეუბნებიან ღმერთს ნუ ფიცულობო, მან უპასუხა: << არა ღმერთმანიო >>" (ფ.6, გვ.1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, კირიონი ცხადად წარმოაჩენს, რომ თამარაშვილი მცდარად მოიაზრებს და უმართებულო ინტერპრეტაციას უკეთებს მის მიერვე მოძიებულ საბუთებს და, საერთოდ, მოცემული საკითხის სიღრმისეულ წვდომას არ ახდენს. იგი აღნიშნავს, რომ ავტორს "მოჰყავს სტატია ბ. ხახანაშვილისა ქართველთა კათოლიკებზედ, რომელიც მთლად არღვევს თამარაშვილის აზრს, მაგრამ ეტყობა აზრი ვერ შეუგნია-ო სტატიისა " (ფ. 6, გვ. 2). უფრო მეტიც, თამარაშვილის მსჯელობის ალოგიკურობასაც წარმოაჩენს კირიონი: "მე-19 გვერდზედ თვით ავტორი არღვევს თავის აზრს. წინა გვერდზედ სთქვა, რომ პაპი ინოჩენციო IV-ის დროს საქართველოს ეკკლესია შეერთებული იყოვო, მე-19 გვერდზედ კი აბა ყური დაუგდოთ რას ამბობს: << იმავე დროს (ე. ი. 1289 წ.) პაპმა საქართველოს პატრიარქსაც მოსწერა წერილი და შეერთების წინადადებას აძლევდაო >> " (ფ. 1, გვ. 2). კირიონი შენიშნავს: "აკი შეერთებული იყოვო, თუ განუყრელი იყო საქართველოს ეკკლესია ლათინთა ეკკლესიისაგან, პაპი შეერთების მუხლებს რაღათა გზავნიდა ან მისიონრები რაღათ იწყენდნენ-ო თავს? (ფ. 1, გვ.2).

განსაკუთრებით საყურადღებოა ის სერიოზული კონტრარგუმენტები, რომლითაც კირიონი უპირისპირდება თამარაშვილის მტკიცებებს, თითქოსდა საქართველოს ეკლესიასა და ლათინთა საკრებულოს შორის განხეთქილებას არ ჰქონდა ადგილი: "თუ საქართველოს ეკკლესია შეერთებული იყო ლათინთა ეკკლესიასთან, მაშ ცალკე მრევლი რაღათა ჰყავდათ მისიონრებს ან რა საჭირო იყო ამ მცირე მრევლის მოსავლელად იმ სიშორიდან მისიონრების გამოგზავნა, თუ საქართველოს ეკკლესია ფრანგების სარწმუნოებას აღიარებდა ? " (ფ. 2, გვ. 1), - ბრძანებს კირიონი, და მართლაც, შეუძლებელია არ დეთანხმო მის აზრს.

სხვაგან კირიონი შენიშნავს, რომ "აჭარბებს თამარაშვილი, სცდილობს დაამტკიცოს, რომ ზაქარია კათალიკოსი თანაუგრძნობდა რომსაო (გვ. 114) და იმას კი ვერ გვიხსნის პაპისაგან გამოგზავნილი... მიტრა და ... ფილონი, რატომ არ მიილო კათალიკოსმა (გვ. 113)" (ფ. 6, გვ. 1).

მთლიანობაში კირიონი ყურადღებას ამახვილებს თამარაშვილის მიერ წყაროების მცდარ ინტერპრეტაციაზე და მცდარი დასკვნების გამოტანაზე. თანაც მათ უმართებულობას ასაბუთებს თამარაშვილის მიერვე მოხმობილი წყაროებიდან, რომელთა სანდოობას ძირითადად არ აყენებს ეჭვქვეშ. ერთი სიტყვით, კირიონი წარმოაჩენს, რომ თამარაშვილს არ გააჩნია მის მიერვე გამოქვეყნებული წყაროების საფუძვლიანი ცოდნა (ფ. 17, გვ. 1). უფრო მეტიც, იგი ქართულ ისტორიულ წყაროებს არც კი აქცევს ყურადღებას (ფ. 17, გვ. 1) და მოცემული საკითხის კომპლექსურ შესწავლას არ ახდენს. ამიტომაც შეაგონებს მას: "როდესაც ფონი არ იცი ნუ შეებრძოლები-ო მდინარეს"(ფ. 17, გვ. 1).

კრიტიკულ შენიშვნებში კირიონი საკმაოდ ვრცლად საუბრობს ლათინო-პაპიზმის მანკიერებებზე (ფ.3-4), ხოლო ჩვენში მათი მისიონერობის შესახებ ბრძანებს, რომ "საქართველოში მტრებს ხშირად დაუთესიათ ღვარძლი, მაგრამ ქართულ ნიადაგზედ მუდამ ამოსულა ერთგული მართლმადიდებელი ქართველი"(ფ.4, გვ.2).

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად ზემოთ წარმოჩენილი პრინციპული მეცნიერული უთანხმოებისა, კირიონი მაინც არ უკარგავს თამარაშვილს იმ დიდ დამსახურებას, რაც საქართველოსთან დაკავშირებული ფასეული საისტორიო-მასალის მოძიებაში მდგომარეობს და ასე მიმართავს: "არ უნდა დაგეჩქარებინათ თქვენი აზრის გამოთქმა, მხოლოდ შეგროვილი მასალა რომ დაგებეჭდათ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა-ო თქვენს შრომას"(ფ. 12, გვ. 1). მრავალმა წელმა განვლო ამ სიტყვების დაწერის შემდეგ და აი, როგორც იქნა, ჩვენს ფართო საზოგადოებას საშუალება მიეცა გასცნობოდა კირიონის კრიტიკულ შენიშვნებს, რაც დღეს უკვე საუკუნის გადასახედიდან, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოდ იკითხება.

ლიტერატურა

1. ელ. აბრამიშვილი "კირიონის პირადი საარქივო ფონდი (მიმოხილვა)" — იხ. კრ. "მრავალთავი", 1, თბ, 1973 წ., გვ. 358.
2. ხელნაწ. ინსტ., მ. თამარაშვილის პირადი ფონდი, საქმე N 1238.
3. ხელნაწ. ინსტ., კირიონის პირადი ფონდი, საქმე N 776 ა.
4. Еп. Кирион, „Культ. Роль Иверии в ист. Руси", Тифл.,1910г. (აქ, წიგნის ბოლოს იხ. დანართი ნუსხა კირიონის შრომათა შეს.).
5. ან. ჯაფარიძე "საქართველოს ეკლესიის სამოციქულო მემკვიდრეობის დასაცავად (გაგრძელება წერილისა "პასუხი კათოლიკ. პოზიციის უნებლიე ქომაგებს") " იხ. გაზ. „მადლი", 1998 წ., N 12-13 (138-139), გვ. 12-14.
6. მ. თამარაშვილი, „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე", თბ., 1995 წ. (აქ იხ. ზ. ალექსიძისა და ჯ. ოდიშელის წინასიტყვაობა).
7. აქ და ამის შემდეგ ციტირება ხდება სცსსა-ის კირიონის პირადი საარქივო ფონდიდან (N 1458) საქმე N 29.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოილაძე

ქართველთა კოლონია IV-V სს. ქ. ედესაში. მისი მასაზრდოებელი ქართველური სამყარო

ქართველი ხალხის კულტურული ტრადიციები მჭიდროდაა დაკავშირებული კაცობრიობის ცივილიზაციის ისეთ უძველეს კერასთან, როგორიც იყო ძველი ჩრდილოეთი შუამდინარეთი. ეს მხარე, როგორც ბიბლიური სამოთხის ცენტრი, იესო ქრისტეს წინაპართა სამშობლო, ეკონომიკურად და კულტურულად დანინაურებული, ქრისტიანული ტრადიციებით მდიდარი ქალაქებით (ნისიბისი, ედესა, ბატნანი, ამიდა, ხარანი და სხვა) ყველა ქრისტიანი ხალხის ინტერესს იწვევდა. მაგრამ რით იყო განპირობებული ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ჩრდილოეთ შუამდინარეთს ქართველთა საკუთრებად რომ თვლიდა (20:182-183), დღემდე არავინ დაინტერესებულა.

შესწავლილი მასალებიდან ჩანდა, რომ ქართველთა განსაკუთრებულ ინტერესს ქ. ედესა (იგივე ურჰა, ანტიოქია) იწვევდა. ამ რამდენიმე წლის წინათ გაირკვა, რომ სწორედ ქ. ედესა იყო ასურელ მამათა ქართლში მოსვლამდე მათი თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი (იხ.4). შემდგომი მუშაობისას გამოვლინდა ისეთი მასალა, რომელიც ასევე უშუალოდ ქ. ედესას უკავშირდებოდა. კერძოდ, ძველ წყაროებში ურჰაელად იწოდებიან V ს. ორი ისეთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, როგორებიც იყვნენ: ცნობილი ფილოსოფოსი პეტრე იბერი და საეკლესიო მოღვაწე იერემია იბერიელი. უფრო მეტიც, იერუსალიმში პეტრეს მიერ დაარსებული „იბერთა მონასტერი" წყაროში „ურჰაელთა მონასტრადაა" სახელდებული. რაც უკვე თითქოს მონასტრის მოღვაწეთა ეთნიკურ კუთვნილებაზე მიგვითითებდა. ამიტომ საჭირო იყო გარკვევა: რას უნდა განეპირობებინა უცხოენოვან წყაროებში ასეთი ცნობების გაჩენა. რა მასალა გვაქვს ჩრდ. შუამდინარეთთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ IV-VI საუკუნეებში?

IV-VI სს. ჩრდ. შუამდინარეთთან, როცა საქართველოს ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, მკვლევარის წინაშე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ამ მხარეში უძველესი დროიდან მცხოვრები, ქართველთა მონათესავე ხალხად მიჩნეული კარდუხების (ივ. ჯავახიშვილი, კ. ლემან-ჰაუპტი, გ. მელიქიშვილი) პრობლემა დგება.

ჩრდ. შუამდინარეთის ის რაიონები, სადაც კარდუხები და სხვა ხალხები ცხოვრობდნენ უძველესი დროიდან დიდ სახელმწიფოთა ცილობის ობიექტი იყო. კარდუხების ქვეყანა (ელინისტური ხანიდან მიგდონია) რომაელებმა აზიაში ლუკულუსის ლაშქრობების (ძვ. წ. 74-66 წწ.) დროს დაიპყრეს, მაგრამ ჩქარა დაკარგეს. ლუციუს ვერამ (161-169 წწ.) იგი ხელახლა დაიბრუნა. ამავე ლაშქრობისას რომაელთა მიერ ანექსირებული იქნა მიგდონიის დასავლეთით მდებარე ოსროენის ოლქი (სწორედ მისი მთავარი ქალაქი იყო ედესა).

იმპერატორ იულიანე განდგომილის აღმოსავლეთში მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ 363 წელს ირანთან დადებული ე.წ. „სამარცხვინო ზავით" მიგდონიის ოლქი ქ. ნისიბისით სასანიანთა ირანის ხელში გადავიდა და ასე დარჩა არაბთა მიერ ირანის დაპყრობამდე. ირანელთა ხელში გადასვლის გამო მიგდონიისა და მისი დედაქალაქის ქრისტიანული მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის ნისიბისში არსებული ქრისტიანული სკოლის მოღვაწეები (ერთ-ერთი ასეთი იყო ადრექრისტიანული ხანის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ეფრემ ასური) ოსროენასა და მის დედაქალაქ ედესაში გადასახლდნენ (16:217). 363 წელსვე რომაელებმა ოსროენა კაპადოკიასთან (მცირე აზიის აღმ. ნაწილი) გააერთიანეს. ამ ორი მხარის ცენტრი ქ. ედესა გახდა. როგორც V ს. სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი გვამცნობს, ედესაში გადაიტანეს წიგნები ნისიბისიდან, ხოლო პონტოს (ეს კაპადოკიის ნაწილი იყო. ვ.გ.) დედაქალაქ სინოპიდან – სატაძრო მატიანეები (12:110). ამავე ხანებში ეფრემ ასურმა ედესაში შექმნა მთელ აღმოსავლეთში განთქმული საღვთისმეტყველო სკოლა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა.

რომაელებმა ოსროენა რომ კაპადოკიასთან გააერთიანეს, შემთხვევითი არ იყო. ამ ორ მხარეს არა მარტო კულტურის მხრივ ჰქონდა ბევრი საერთო, არამედ მოსახლეობითაც. გარდა იმისა, რომ ოსროენაში მიგდონიიდან (ძველი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობით, ტიგრანოკერტი იბერიის მახლობლად დააარსა ტიგრან II-ემ. 29:501) კარდუხები გადასახლდნენ, ოსროე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა ცნობილი მუშქთა ქვეყანა – ალზი. რაც იმაზე მიგვითითებს, ეს მხარე მუშქთა (მესხთა) საცხოვრებელი რომ იყო. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ ძველ ავტორთათვის (იოსებ ფლავიუსი, ევსტათი ანტიოქიელი, თეოდორიტე კვირელი და სხვანი) კაპადოკია იგივე მესხთა ქვეყანა რომაა, „ბიზანტიური ისტორიოგრაფიისათვის კაპადოკია ეთნიკური ტერმინია და კაპადოკიელი არის იგივე მესხი" (18:233). და ბოლოს „პონტო-კაპადოკია ეთნიკურად განუყოფელი იყო ქართულ სამყაროსთან", „კაპადოკია-პონტო-კოლხეთი (ლაზიკა) = იბერია" კი ის „ერთიანი ეთნიკური სამყარო იყო, რომელიც ერთიანი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა" (2:42-43). გამოდის, რომ ოსროენა და მისი დედაქალაქი ედესა ქართველური მოსახლეობის ერთგვარი ცენტრი იყო და, ცხადია, ქ. ედესის ქართული კოლონიის ცხოვრებას, საქართველოდან ჩასულებთან ერთად IV-VI სს-ში კაპადოკიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებული ქართველური მოსახლეობის წარმომადგენლებიც ავსებდნენ. მაგრამ, აქვე ისმის კითხვა. იყო IV-VI სს. კაპადოკიაში ქართველური მოსახლეობა? ქართულ-კაპადოკიურმა მოსახლეობამ როგორ შესძლო ჩრდ. შუამდინარეთის მაღალ კულტურულ სირიულ-ასურულ სამყაროში საკუთარი კულტურული კერა შეექმნა?

სანამ დასმულ კითხვაზე პასუხს გავცემ, ვნახოთ, რა ურთიერთობა იყო V ს. საქართველოსა და ჩრდ. შუამდინარეთს შორის.

ახ.წ. IV-VI საუკუნეებისათვის ქართველთა ურთიერთობას ჩრდ. შუამდინარეთთან უკვე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. ჩრდ. შუამდინარეთზე გამავალმა სავაჭრო გზებმა გარდა იმისა, რომ მისი ქალაქები ეკონომიკურად დააწინაურა, თვით ასირიელები სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ „გალიიდან ჩინეთის იმპერიამდე". ედესის, ნისიბისისა და ბატნანის ბაზრობები ვაჭრებს იზიდავდა აზიისა და ევროპის შორეული ოლქებიდანაც. როგორც ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ნ. პიგულევსკაია წერს, ედესის ბაზრობებზე ხშირად ნახავდით ქართველებს იბერიიდან და ლაზიკიდან (26:28).

სირიულ-ასურულ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობა უფრო ინტენსიური გახდა V ს-ში. საქართველოს ქალაქებში უძველესი დროიდანვე არსებულ ასურელთა სავაჭრო უბნების მაცხოვრებელთ V ს-ში რელიგიურ ნიადაგზე დევნილი ის ასირიელები შეემატა, რომელთაც საქართველოში ჰპოვეს თავშესაფარი. კ. კეკელიძის თანახმად, ესენი იყვნენ ნესტორიანები, რომელნიც ქართლს აწვებოდა ასურეთიდან, სპარსეთში ქრისტიანთა დევნისას არა ერთმა და ორმა ნესტორიანმა ჰპოვა ჩვენში თავშესაფარი და, ალბათ, მიმდევარნიც. თუ ასემანს დავუჯერებთ, – დასძენს კ. კეკელიძე, – ქართლში ნესტორიანთა საეპისკოპოსოც კი დაარსებულა (11:482).

ახლა რაც შეეხება IV-VI სს. კაპადოკიაში ქართველური მოსახლეობის საკითხს.

საქართველოში ძველთაგანვე არსებულ ასურულ კოლონიებს V ს-დან თუ დევნილი ასური ნესტორიანები შეემატნენ, საქართველოდან რომის იმპერიის ქრისტიანული ადგილებისაკენ (მ.შ. ედესაში) ქართველთა ლტოლვას უფრო ღრმა საფუძვლები ჰქონდა.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, როგორც ცნობილია, რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების რელიგიურად განწყობილი პირები გაღატაკების გამო მასიურად ტოვებდნენ მშობლიურ ადგილებს და მეუდაბნოობას იწყებდნენ (28:63). მსგავსი პროცესი აღინიშნებოდა საქართველოშიც, რადგან ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოს მოსახლეობასაც შეეხო.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარების საწყისები საქართველოში „უკვე პირველ საუკუნეში იყო შესამჩნევი". IV ს-დან კი საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვებას თან მოჰყვა „ზედნაშენურ მოვლენებში მნიშვნელოვანი გარდატეხა", ხოლო ქვეყანა ეკონომიკურად გადავიდა განვითარების ადრეფეოდალურ საფეხურზე (გ. მელიქიშვილი, შ. მესხია). აღნიშნულმა პროცესმა საქართველოს მოსახლეობის ზოგი წარმომადგენელი წმინდა ადგილებისაკენ გაუყენა გზას (მაგ., სირიული დიასპორის შესახებ IV-VI სს. აგიოგრაფიული ლიტერატურა მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. 28:51-52).

კაპადოკიიდან და ასურეთიდან გამოსული სასულიერო მოღვაწეები და წმინდანები, რომელთა შორის ქართულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლებიც იყვნენ, მთელ იმპერიაში იყვნენ ცნობილნი. ზოგიერთი მათგანის საქართველოთი და მათთან ჩასული ქართველებით დაინტერესება, საქართველოდან წმინდა ადგილებში ჩასული ქართველებისათვის თავშესაფრის მიცემა, ვფიქრობ, ასურ და კაპადოკიელად მიჩნეული მოღვაწეების ქართველურ წარმომავლობაზე მიგვითითებს. განა შემთხვევითი იყო ქართველთა მოზღვავება საბა განწმენდილის ლავრაში?

საბა კაპადოკიის დედაქალაქის – კესარიის (ახლანდ. კაისერი თურქეთში) მახლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობლად სოფელ მუთალაში დაიბადა 439 წელს. მშობლები იოანე და სოფია კაპადოკიელი ქრისტიანები იყვნენ. საბას მშობლები საცხოვრებლად როცა ქ. ალექსანდრიაში გადავიდნენ, საბა აღსაზრდელად ბიძას – იერემიას დაუტოვეს. მაგრამ, საბამ მასთან ვერ გაძლო და მეორე ბიძასთან, გიორგისთან გადავიდა საცხოვრებლად (28:84). შემდეგში, საბა ცნობილი რელიგიური მოღვაწე გახდა, პალესტინაში მის მიერ დაარსებული ლავრა ქართველთა ერთ-ერთი დიდი თავმოყრის ადგილი შეიქმნა. წმ. ხარიტონის სახელობის ლავრამ ლაზების მონასტრის სახელი მიიღო (23:84). V ს-დან საბას ლავრაში ისე გამრავლდნენ ქართველები, რომ VI ს. II ნახევარში მონასტრის უმეტესობას შეადგენდნენ. ქართველებმა დაიკავეს ეკლესია, საბას მიერ სომხებისადმი მიკუთვნებული მღვიმე და თვით დიდი ლავრაც კი თითქმის ქართველთა მონასტერი გახდა (23:109).

საბას მშობლიურ სოფელში V ს-ში კიდევ იყო თუ არა კაპადოკიურ-ქართული მოსახლეობა, ძნელი სათქმელია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საბას მიერ ქართველთა მფარველობას, ასევე კესარიის მახლობლად რომ არსებობდა ტოპონიმი თიანა (რომელიც ქართული წარმომავლობისადაა მიჩნეული. 15: № 14). ხოლო იქვე არსებული სოფლის სახელი „ტოპადა" (1926 წლამდე ასე იწოდებოდა სოფ. აჯი-გიოლი), როგორც ა. შანიძე წერს, ლაზურად „მწარე ტბას" ნიშნავს (33 : 79, 86. ა. შანიძის მითითებით, მსგავს ტოპონიმს ძველი ბერძენი გეოგრაფი პტოლემაიოსი ასახელებს პაფლაგონიაში), ვფიქრობ, ყოველივე ეს, იმაზე მიგვითითებს, კესარიის რაიონში ქართველური მოდგმის მოსახლეობა რომ ცხოვრობდა. რაც მთავარია, ეს მოსახლეობა დიდი ეროვნული შეგნებით გამოირჩეოდა. 370 წელს, როცა ას წელს მიღწეული, ქ. ნაზიანზის ეპისკოპოსი გრიგოლი გარდაიცვალა, ბასილ დიდი კესარიელის მხარდაჭერით, მოსახლეობამ, როგორც ადგილობრივი წარჩინებული ოჯახის წარმომადგენელი, ეპისკოპოსად გარდაცვლილის ძე გრიგოლი მოითხოვა (28:80-81). გრიგოლ ნაზიანზელი – ბასილ დიდის მეგობარი, შემდეგში ადრექრისტიანული ეკლესიის ცნობილი მოღვაწე გახდა (379-81 წლებში კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი იყო).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, კაპადოკიამ ელინიზაცია ნაკლებად განიცადა. IV-V სს-ში მოსახლეობამ სუსტად იცოდა ბერძნული ენა (28:50), რის გამოც წარმოშობით კაპადოკიელ სტუდენტებს ხშირად საყვედურობდნენ (25:282).

საბამ ბასილ დიდზე დავიწყებულ ... ...რს, უნდა აღვნიშნო, პონტო-კაპადოკიიდან გამოსული სასულიერო მოღვაწეები იმთავითვე მთელს რომის იმპერიაში იყვნენ ცნობილნი. მათ თვით იმპერატორი კონსტანტინე დიდი (306-337) უწევდა ანგარიშს. ამის გამო იყო, რომ 330 წელს, ანტიოქიის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე არიანელებმა, როცა ევსტათი ანტიოქიელი გადაყენეს, კონსტანტინე დიდის რეკომენდაციით მისი ადგილი „კაპადოკიის კესარიის მცხოვრებმა პრესვიტერმა სოფრონიუსმა დაიკავა" (21:179).

ხელისუფლების მხრიდან დიდი პატივისცემის მიუხედავად, წარმოშობით კაპადოკიელი მოღვაწეები მწარედ განიცდიდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვას (კაპადოკია ახ.წ. 17 წლიდან რომის პროვინცია გახდა). ამიტომ იყო, რომ ბასილ დიდი კესარიელი ერთ წერილში წერდა: „მე მომიწოდებს ჩემი ტანჯული სამშობლო" (2:56). როგორც პროფ. ე. ხინთიბიძემ აჩვენა, გამორიცხულია ბასილი ქართველის გარდა სხვა ეროვნებისა ყოფილიყო. უცხო ეთნიკური ელემენტის წარმომადგენელისათვის კაპადოკია, რა თქმა უნდა, „ტანჯული სამშობლო" არ იქნებოდა.

კაპადოკიელთა ეროვნული შეგნება რომ დიდი იყო, ეს ბასილ დიდის მოღვაწეობით მტკიცდება. ბასილი იყო რა კესარიის მიტროპოლიტი და პონტოს ეგზარქოსი (კესარიის ეროვნულმა ეკლესიამ განსაკუთრებულ სიძლიერეს მის დროს მიაღწია), ცდილობდა თავისუფალ საეპისკოპოსო კათედრებზე წარმოშობით კაპადოკიელი პირები დაენიშნა. 370 წელს მან დაიკავა თუ არა კესარიის კათედრა, თავისი მეგობარი გრიგოლი, როგორც ვთქვი, ნაზიანზის (ზოგი ცნობით ქ. სასამის) ეპისკოპოსად დანიშნა. ხოლო თავისი უმცროსი ძმა გრიგოლი (იგივე გრიგოლ ნოსელი) 371 წელს ქ. ნისის ეპისკოპოსად. ბასილის მეორე ძმა პეტრე ქ. სებასტიის ეპისკოპოსი იყო (გარდ. 392 წ.). ამის შემდეგ ბასილმა ქ. იკონიის ეპისკოპოსად დანიშნა გრიგოლ ნაზიანზელის (ღვთისმეტყველი) ნათესავი, წარმოშობით კაპადოკიელი ამფილოქე (21:400). ბასილ დიდის წრეს ეკუთვნოდა ცნობილი ქართველი მოღვაწე ევაგრე პონტოელი (379 წლიდან მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში. 382 წ. იერუსალიმში მონაზვნად აღიკვეცა. გარდ. 394 წ. იხ. 9:7).

ბასილის თანადროულ პონტოს ეკლესიაში მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენდნენ: ბასილის ბიძა გრიგოლ პონტოელი და ბასილის ახალგაზრდა ნათესავი ატრევიუს ნეოკესარიელი (31:27, 32).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასილმა სცადა ეპისკოპოსად ეკურთხებინა ეფრემ ასური (16:227. „უფრო ადრე ეფრემი სპეციალურად ჩავიდა კესარიაში ბასილის გასაცნობად. 16:224).

სამი დიდი კაპადოკიელი: ბასილ დიდი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი და გრიგოლ ნაზიანზელი „მსოფლიოს ჩინებულ ადამიანთა რიცხვს ავსებენ", წერდა პატრისტიკის ცნობილი ინგლისელი მკვლევარი ფ. ფარარი. მისივე სიტყვით, „თუკი კაპადოკიაში მრავლად იყო ისეთი სახელები, როგორიცაა ბასილ დიდი და გრიგოლ ღვთისმეტყველი; თუკი იქ მრავლად იყო ისეთი ოჯახები, რომლებსაც შეეძლოთ ეამაყათ ისეთი დედებით, როგორებიც იყვნენ ემილია (ბასილის დედა. ვ.გ.) და ნონა (გრიგოლის დედა. ვ.გ.); ისეთი ასულები, როგორებიც იყვნენ მაკრინა (ბასილის და. ვ.გ.) და გორგონია (გრიგოლის და. ვ.გ.); ისეთი ძმები, როგორებიც იყვნენ ბასილ დიდი და გრიგოლ ნოსელი, კესაროსი (მან ქ. ალექსანდრიაში მიიღო სამედიცინო განათლება და საიმპერატორო კარის ექიმი იყო) და გრიგოლ ღვთისმეტყველი, რასაკვირველია, ეს ის ქვეყანა იქნებოდა, რომელსაც შეეძლო ადვილად აღეძრა პატრიოტიზმი" (30:471-472). ეს პატრიოტიზმი, რა თქმა უნდა, მთელ ქართულენოვან სამყაროზე ვრცელდებოდა.

ზემოდასახალებული მოღვაწეები გრიგოლ სასწაულთმოქმედიდან (გრიგოლი (მონათვლამდე თეოდორე) 213 წ. დაიბადა წარჩინებული პონტოელი წარმართის ოჯახში (გარდ. 270 წ.). იგი ავტორია საეკლესიო ხასიათის თხზულებებისა, რომლებიც ადრევე ითარგმნა ქართულად (იხ. ქსე, ტ. 3, სტ. გრიგოლ სასწაულთმოქმედი) მოკიდებული ბერძენ სასულიერო პირებად იყვნენ მიჩნეულნი, ამიტომ იყო კ. კეკელიძე ევაგრე პონტოელის ქართველური წარმომავლობის დამტკიცების შემდეგ რომ წერდა: „რამდენი გამოჩენილი მოღვაწე მიუცია პატარა საქართველოს დიდი ბიზანტიისათვის, განსაკუთრებით კულტურის დარგში, რომელთა ქართველობა ყოველთვის არც თანამედროვეთათვის იყო აშკარა და არც დღევანდელი დიდეროვნული შოვინისტური მეცნიერისათვის არის ადვილად დასაჯერებელი" (9:15).

ბასილ კესარიელის მშობლიური სოფელი ანი პონტოში მდ. ირისის (ახლანდ. ეშილ ირმაქი) ნაპირას მდებარეობდა (30:490). იმავე მხარეში, კერძოდ, ქ. ამასიის მახლობლად მრავალრიცხოვანი ქართველების ცხოვრების შესახებ ცნობა გვაქვს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ევტეხის (VI ს) „ცხოვრებაში" (28:55). აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ახალგაზრდობაში ბერად ევტეხი ქ. ამასიის მახლობლად მდებარე ლაზიხის ეპისკოპოსი რომ იყო (28:206), ტოპონიმი „ლაზიხე" კი ლაზურად „ლაზის ქალიშვილს" ნიშნავს (17:120), ასევე სხვა მრავალ ფაქტს კაპადოკიის ქართული მოსახლეობის შესახებ (ამ საკითხზე იხ. 15), ვფიქრობ, გარკვეული საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ქ. ედესის ქართულ კოლონიას კაპადოკიის სახით ქართულენოვანი სამყარო ესაზღვრებოდა. უფრო მეტიც, ოსროენა გორდიენასთან ერთად, როგორც ჩანს, კაპადოკიის ნაწილად მიიჩნეოდა, რის გამოც მას ხშირად კაპადოკიასთან აერთიანებდნენ (13:505, 12:110).

ახლა ვნახოთ რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ჩრდ. შუამდინარეთში.

ქართველები ჩრდ. შუამდინარეთიდან გამოსულ მოღვაწეებს რომ ახლობლებად თვლიდნენ, ამის მაგალითად, ვფიქრობ, დანიელ მესვეტესთან ეგრისის მეფის გუბაზის მისვლა უნდა მივიჩნიოთ.

დანიელი ჩრდ. შუამდინარეთში დაიბადა და 12 წლის მის სოფელთან ახლოს მდებარე მონასტერში წავიდა. სიცოცხლის ბოლო 30 წელზე მეტი კი კონსტანტინოპოლის ახლოს სვეტზე გაატარა (გარდ. 489 ან 490 წ.). სწორედ კონსტანტინოპოლში ესტუმრა დანიელს გუბაზი.

ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ, 465 წელს, როცა გუბაზი იმპერიის დედაქალქში ჩავიდა, იმპერატორმა ლევ I-მა (457-474) გუბაზი დანიელს შეახვედრა და სწორედ დანიელი „იქმნა შუამდგომელ" იმპერატორსა და გუბაზს შორის. მათ „დადვეს საზღვრად ციხე ხუფათი და აღუთქვეს ურთიერთას მშვიდობაჲ და სიყვარული". ეგრისში დაბრუნების შემდეგ გუბაზი „უთხრობდა ყოველთა მადლსა მას წმიდისასა" და როცა მისი მოციქულნი კონსტანტინოპოლში ჩავიდოდნენ, „წიგნი მიუწერის ნეტარსა მასცა" და ლოცვას ითხოვდა მისგან (24:5-6).

დანიელის დაინტერესება ეგრისითა და გუბაზ მეფით კ. კეკელიძემ ქრისტიანობის წიაღში ეგრისის შესვლის პერსპექტივით ახსნა (24:7). მაგრამ, 465 წლისათვის ქრისტიანობას ეგრისში რადგან საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია ჰქონდა, ასეთი ახსნა საეჭვო ჩანს. გუბაზი, როგორც ცნობილია, აჯანყების შემდეგ დიდხანს უარს ამბობდა იმპერიის დედაქალაქში ჩასვლაზე. კონსტანტინოპოლში ჩასვლისას გუბაზის შეხვედრა დანიელთან იქნებ წინასწარ იყო დაგეგმილი და დანიელის სიმპატიები ეგრისის მეფისადმი, მისი ქართველური წარმოშობით იყო განპირობებული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდ. შუამდინარეთიდან გამოსული სასულიერო მოღვაწეებიდან (შუამდინარული სამყაროდან იყო გამოსული ადრექრისტიანული ეკლესიის ცნობილი მოღვაწე, კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე ოქროპირი (გარდ. 407 წ.). „ესე ნამდვილვე ჭეშმარიტად კაცი ღმრთისაჲ... ანტიოქიელ იყო ნათესავით, ანტიოქისად მის, რომელიც იგი შენ არს ღელესა ასურეთისასა".) განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან სვიმეონ მესვეტე და მისი დედა მართა.

მართას „ცხოვრებაძი" ქართველთა შესახებ არსებული ცნობების გამო ბელგიელმა ქართველოლოგმა პ. პეეტერსმა შესაძლებლად ჩათვალა, ეს „ცხოვრება" ქართველის მიერ ყოფილიყო დაწერილი (11:181, შენ. 2).

მართას მეუღლე იუველირი იყო ქ. ედესიდან (28:66). მართას ვაჟი — სვიმეონი რადგან ახლოს იყო ქართველებთან, გამორიცხული არაა მათი ოჯახი წარმოშობით ქართული ყოფილიყო. სვიმეონთან, — წერს კ. კეკელიძე, — ხშირი, მასობრივი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ ქართველებს, რომელთაგან ბევრი იქვე, მის მონასტერში, რჩებოდა საბერმონაზვნო მოღვაწეობისათვის. სვიმეონის დედის, მართას „ცხოვრებიდანაც" ჩანს, რომ ქართველები ამ მონასტერში დიდ როლს თამაშობდნენ (დავით მტბევარს ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია მართას „ცხოვრება", აგრეთვე წმინდა ბარლამ სიროკავკასიელის „ცხოვრება" და ათონელი ქართველებისათვის მიუძღვნია. ვინაიდან გაეგო, რომ აღნიშნული „ცხოვრებანი" მთაწმიდას არ იყო"შენ. 3 11:215, შენ. 1)(11:88-89). კ. კეკელიძისავე მითითებით, სვიმეონის მონასტერში ქართველებს ჰქონიათ თავისი ეკლესიაც, რომელსაც ისინი თორნედ უწოდებდნენ (11:101-102) და სწორედ ამ სვიმეონის მოწაფეებად არიან მიჩნეულნი ქართლში მოსული ასურელი მამები.

ასურელი მამები ჩვენს მეცნიერებაში (დ. ბაქრაძე, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ს. კაკაბაძე და სხვანი) ძირითადად ქართველებად არიან მიჩნეულნი. სხვა მხრივ როგორ უნდა აიხსნას ქართლში შემოსვლისთანავე იოანემ — შემდეგში ზედაზნელად წოდებულმა, ქართლის კათალიკოს ევლავიოსს ქართულ ენაზე რომ დაუწყო საუბარი (1:81-82; 10:44). ვფიქრობ, სწორედ, მათი ქართველური წარმომავლობით იყო განპირობებული, მათ ახლო ნაცნობობა რომ ჰქონდათ მართას ოჯახთან და ქართლში წამოსვლამდე ისინი სვიმეონმა რომ დალოცა.

სვიმეონთან სხვა ქართველებსაც ჰქონიათ ურთიერთობა: „ხუცესი ვინმე ქართუელი მოვიდა წმიდისა მის სარწმუნოებითა დიდითა და ევედრა მას რათა მისცეს თმისაგან მისისა და აქუნდეს მას ევლოგიად და საფარველად" (24:9).

სვიმეონის თმა ამ ქართველმა წაიღო „ქუეყნად თვისა" და „შექმნა მახლობლად დაბისა თვისისა ტალავარი ადგილი უდაბნოსა და შექმნა ჯუარი და შთადვა თმაჲ იგი მას შინა" და დაიწყო ხალხის განკურნება (24:9).

სვიმეონისავე „ცხოვრებაში" არსებული ცნობით, მას ხშირად აკითხავდნენ უბრალო ქართველებიც. „კაცმან ვინმე ქართუელმან ჟამსა მკისასა სუა ღვინოჲ ფრიად და მიეურლა მას ძილითა ხშირითა და იდვა კალოსა თვისსა ზედა" (24:11). მთვრალს პირში გველი ჩასძრომოდა და იგი სვიმეონმა გადაარჩინა.

ქართველი, რომელიც სვიმეონმა სიკვდილს გადაარჩინა, საეჭვოა მასთან საქართველოდან ჩასულიყო. უფრო სავარაუდოა, რომ ეს ქართველი სვიმეონის მოღვაწეობის ადგილიდან სადღაც ახლოს ცხოვრობდა. სვიმეონთან განსაკურნებლად მიდიოდნენ კაპადოკიელი ქართველებიც (14:238).

საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებასა და მის მონასტერში ქართველთა მიღებას სვიმეონს თითქოს თვით ღმერთი ავალებდა. სიზმარში სვიმეონს ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: „ქადაგებანი სახელსა შენსა ქუეყანასა მათსა და განამტკიცებდნენ ყოველთა სარწმუნოებითა და კვალად დაემკვიდრნენ მათგანი მონასტერსა შენსა" (14:260).

ზემომოტანილი მასალები, ვფიქრობ, გარკვეულ საფუძველს გვაძლევს IV-VI სს. კაპადოკიასა და ჩრდ. შუამდინარეთში ქართველური მოსახლეობის არსებობა ვამტკიცოთ. საქართველოდან ჩრდ. შუამდინარეთში ჩასულებთან ერთად სწორედ ქართველური მოსახლეობიდან გამოსულნი ავსებდნენ ქ. ედესის ქართული კოლონიის ცხოვრებას.

ედესის ქართველური კოლონიის წევრები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვაჭრობითა და განათლების მიღებით არ იყვნენ დაკავებულნი. იქ განათლებამიღებული პირები, ჩანს, მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდნენ. მთარგმნელები იყვნენ ალბათ საქართველოშიც — მის საეკლესიო ცენტრებში (ასევე იყო სომხეთში). სირიულიდან (ასევე ბერძნულიდან) ქართულად, უპირველეს ყოვლისა, წმინდა წიგნები და სხვადასხვა ქრისტიანული ლიტერატურა ითარგმნებოდა. ამ მხრივ საინტერესოა კ. კეკელიძის მიერ მოტანილი ერთი მაგალითი. როგორც იგი წერს, გრ. ფერაძის ცნობით, კონსტანტინოპოლში ყოფილა ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული თარგმანი ე.წ. „დიდაქესი" ანუ „ათორმეტთა მოციქულთა მოძღვრებისა", რომელიც კანონიკური მწერლობის ერთ-ერთ ადრინდელ (IV ს.) ძეგლად ითლვება (ამ თარგმანის შესახებ ის ლაპარაკობს ვინმე ფეიქრიშვილის მიერ 1923 წელს გადმოღებული ნუსხის მიხედვით). ავტორის დასკვნით, წერს კ. კეკელიძე, – ის არის ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული ძეგლი ქართულ ენაზე, რომელიც გადმოთარგმნილია ბერძნულიდან თითქოს მეხუთე საუკუნის მოღვაწის იერემია იბერიელის მიერ. ეს იერემია, თავისთავს ასე უწოდებს: „იერემია ურჰაელი, ქართველი მართლმადიდებელი, ყარიბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებული" (11:560).

კ. კეკელიძის თანახმად, იერემია ურჰაელად (ე.ი. ედესელად. ვ.გ.) მიაჩნიათ ეფესოს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების (431 წ.) მასალების ლათინურ ვერსიაში ნახსენები იერემია იბერიალი ("Ieremia Iberos partium Persidis"), რომელიც ეფესოში მიმდინარე ანტინესტორიანულ კრებაზე მიმავალი სხვებთან ერთად უგზოობის გამო (ყველა გზა ზღვაზეც და ხმელეთზეც შეკრული იყო) ეფესოში ვერ ჩავიდნენ და ეფესოს კრებას კონსტანტინოპოლიდან 431 წლის 13 აგვისტოს მიწერეს წერილი (8:53-57).

დასახელებული ლათინური ცნობის გაანალიზებისას კ. კეკელიძე წერს: „არ არსებობს საბუთი ვიფიქროთ, რომ იერემია იბერიელი იყო უცხოეთის რომელიმე ქალაქის ეპისკოპოსი და არა იბერიის იერარქი" (8:58). „სიტყვები: "Ieremia Iberos partium Persidis" მაჩვენებელია იმისა, რომ იბერია 431 წელს სპარსეთის ნაწილი ყოფილა. ეს ისტორიულ სინამდვილეს არ ეწინააღმდეგება" (8:60). „იერემია, როგორც მოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, – დასძენს კ. კეკელიძე, – ყოფილა ეპისკოპოსი არა რომელიმე კუთხისა იბერიაში, არამედ მთელი იბერიის ეკლესიისა" (8:60)

კ. კეკელიძე იერემიას რომ მთელი ქართლის იერარქად თვლის, მე საეჭვოდ მეჩვენება. გამოთქმა "Ieremia Iberos partium Persidis", ვფიქრობ, იმაზე მიგვითითებს, 431 წლისათვის ქართლის ნაწილი ირანისადმი დაქვემდებარებული რამ იყო. ცნობაში სწორედ ამაზეა ხაზგასმით მითითება. 431 წლისათვის ქართლი ხომ მართლაც ირანისა და ბიზანტიის გავლენაში მოქცეულ სამეფოებს წარმოადგენდა (5:თ.VI). დაახლ. 439 წლიდან კი ქართლის სამეფო მთლიანად ირანს დაემორჩილა. ამ დროიდან რა მოუვიდა იერემიას? იგი თუ ქართლის ირანული ნაწილის ეპისკოპოსი იყო, მას როგორც გამოჩენილ ანტინესტორიანელსა და მართლმადიდებელს კათედრა უნდა შეეწყალებინა. მაგრამ, რადგან ძველი ქართული წყაროები (ჯუანშერი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ") ქართლის ეკლესიის მეთაურთა შორის იერემიას სახელის ეპისკოპოსს არ იცნობენ, იერემია შეიძლება ირანის გავლენაში მყოფი ქართლის ერთ-ერთი ეპარქიის ეპისკოპოსი იყო, ამიტომ არ აისახა მისი ეპისკოპოსობა ზემოდასახელებულ წყაროებში. ძველი ქართული წყაროები, როგორც ცნობილია, მხოლოდ ქართლის ეკელსიის მეთაურთა სიებს გვანვდიან.

ეფესოს კრების მასალებში ქართლის ირანული ნაწილის ეპისკოპოსად დასახელებული იერემია იბერიელი და „დიდაქეს" მთარგმნელი იერემია ურჰაელი იდენტურ პირებად არიან მიჩნეულნი. როგორც ეფესოს საეკლესიო კრების მასალებიდან ჩანს, იერემია იბერიელი ანტინესტორიანელი მოღვაწე იყო, „დიდაქეს" მთარგმნელი იერემია ურჰაელიც თავის თავს „ქართველ მართლმადიდებელს" უწოდებს, რაც ალბათ მათ იდენტურობაზე მიგვითითებს. მაგრამ, რატომ უწოდებს იერემია ურჰაელი თავს „ყარიბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებულს", რამ განაპირობა ქართლიდან ურჰაში (ედესაში) მისი გადასახლება გაუგებარია (ქართლი მან იქნებ დაახლ. 439 წელს ქართლის გაერთიანების შემდეგ დატოვა?). ედესის ქართულ კოლონიაში მყოფი იერემია ჩივის „თავისიანებისაგან და სამშობლოსაგან" დაშორებას.

ქ. ედესაში ქართული კოლონიის არსებობას თვით სირიული წყაროს ცნობა ადასტურებს. როგორც „ედესის ქრონიკის" ("Chronicum Edessiarum") ცნობაზე დაყრდნობით მ. ბროსე წერს, სელევკიანთა ერის 810 წელს (ე.ი. 499 წელს) „იბერიელთა აბანოს წყალი შეუწყდა სამი დღის განმავლობაში". იეშუ სტილიტის ქრონიკა ამ ფაქტის მიზეზად მიწისძვრას ასახელებს (34:184, შენ. 1. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მიწისძვრის თარიღად 499 წლის სექტემბერია მითითებული).

ედესაში რომ ქართველთა კოლონია და ქართველთა კუთვნილი სალოცავები და წმიდა ადგილები არ ყოფილიყო და ამ წმიდა ადგილებს ქართველთათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონოდა, რა თქმა უნდა, დედოფალი საგდუხტი და მისი ქალიშვილი ხუარანძე მცხეთაში წამოსვლას ედესაში დარჩენას არ არჩევდა.

460 წელს ქართლში შემოჭრილ ირანის შაჰსა (იგულისხმება პეროზი. 459-484) და ვახტანგ გორგასალს შორის როცა ზავი დაიდო, ჯუანშერის ცნობით, შაჰმა ვახტან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გს უმცროსი დაჲ მირანდუხტი სთხოვა ცოლად, ასევე სთხოვა წაჰყოლოდა ირანის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად (ჯუანშერი სწორედ ამ დროს ასახელებს შუამდინარეთის ნახევარს ქართველთა კუთვნილებად). მეფე დათანხმდა.

ირანის შაჰთან ერთად ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალ ვახტანგს „ევედრნეს დედა და დაჲ მისი ხუარანძე, რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალემს". მეფემ ისინი წაიყვანა და როცა „მოილოცნეს ყოველნი ადგილნი წმიდანი, დაჲ... წამოვიდეს ანტიოქიას" (ამ ანტიოქიაში ქ. ნისიბისი იგულისხმება. 3:ფ.X), შაჰმა უთხრა ვახტანგს: რადგან დედა და დაჲ შენი აქ არიან, მოვიდნენ, ჩემს ქორწილს დაესწრნონ, „მერმე თუ ინებონ წარსვლა ქართლს, წარვიდენ იგინი... ხოლო თუ ინებონ ლოდინება შენი, გელოდიან ურაჰასა ქალაქსა შინა" (20:187).

როგორც ვხედავთ, ირანის შაჰი ადრე თუ ჯაზირეთის ნახევარს (ჩრდ. შუამდინარეთს) თვლიდა ქართველთა საკუთრებად, ამჯერად მისი მთავარი ქალაქი ურჰა (ედესა), ქართველთათვის ახლობელ და შინაურ ადგილად მიაჩნია. ჩანს, ედესა იმდენად ახლობელი იყო ქართველთათვის, რომ ქართლის დედოფალმა მცხეთაში დაბრუნებას ურჰაში ყოფნა ამჯობინა.

ჰუნთა წინააღმდეგ ბრძოლა პეროზმა მეფე ვახტანგთან ერთად 468 წელს ძლევამოსილად დაამთავრა. და „წარმოვიდა ვახტანგ წელსა მერვესა შესლვით მისითგან სპარსეთად ვიდრე ანტიოქიამდე (ე.ი. ნისიბისამდე. ვ.გ.), და მოვიდა ურაჰად... მშვიდობით პოვნა დედა და დაჲ მისი, და წარმოვიდეს" ქართლად (20:196).

ამრიგად, ზემომოტანილი მასალებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, ომ IV-VI სს. პონტო-კაპადოკიაში ჯერ კიდევ მრავლად იყო ქართველური მოსახლეობა, რაც ჯუანშერმა კარგად იცოდა, (ბიზანტიის წინააღმდეგ 543-456 წლების ლაშქრობისას, როცა ვახტანგ გორგასალმა ტყვეები გაათავისუფლა; „უძლურთ" სახედრები რომ მისცა, ხოლო ჭაბუკთა სამ-სამი დრაჰკანი" (20:164), ვფიქრობ, იმაზე მიგვითითებს, მეფე ტყვეებს „ნათესავად ქართველებად" რომ თვლიდა (შდრ. 9:14 შენ. 4). იგი მაინც მხოლოდ ჩრდ. შუამდინარეთს თვლის ქართველთა კუთვნილებად. ჯუანშერის ასეთი ცნობა, გარკვეულწილად თვით სირიული წყაროს („ედესის ქრონიკა") და სირიული აგიოგრაფიული ძეგლების (სვიმეონისა და მართას „ცხოვრებები") მონაცემებით დასტურდება.

ქ. ედესის ქართული კოლონიის სისხლსავსე ცხოვრებას, როგორც ითქვა, საქართველოდან და კაპადოკიიდან გამოსული ქართველობა ავსებდა. მაგრამ, ვფიქრობ, კოლონიის ბირთვი ძირითადად მაინც ოსროენაში 363 წლიდან ჩასახლებული ქართველური (კარდუხთა) მოსახლეობის მიერ იყო შექმნილი. ეს მოსახლეობა იყო საუკუნეთა განმავლობაში ხურიტულ და ასურულ გარემოცვაში მცხოვრები ქართველობა (მამა ანტონი ედესაში რომ ქართლიდან ჩასული ყოფილიყო, ქართლის გზას არ იკითხავდა). რის გამოც ზოგ მათგანს შეიძლება მშობლიური ენა დავიწყებულიც კი ჰქონდა, მაგრამ შეგნებით ქართველი იყო. აღნიშნულით უნდა აიხსნას, ქართლში შემოსული ასურელი მამები ქართული ეროვნული საქმის შემოქმედნი რომ გახდნენ – მათ მიერ დაარსებული სავანეები ქართული მწიგნობრობისა და განათლების კერებად იქცნენ.

ქართლის კათალიკოს ევლავიოსთან ქართულად მოლაპარაკე იოანე რომ იყო „ქუეყანით შუამდინარით კერძოთაგან ანტიოქიისათ", განა იმაზე არ მიგვითითებს, ჩრდ. შუამდინარეთის ეს ნაწილი გარკვეულწილად ქართული სამყარო რომ იყო?

ის ქრისტიანული ლიტერატურა (ძირითადად წმინდა წიგნთა ქართული თარგმანები), რომელიც ავტოკეფალიის მოპოვების დროისათვის (487/8 წ.) ქართლის ეკლესიას ჰქონდა (7:115. ასეთი ლიტერატურის გარეშე წარმოუდგენელია ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია მიეღო), სწორედ ედესისა და მცხეთის მთარგმნელობით ცენტრებში უნდა შესრულებულიყო.

ბიბლიის წიგნთა ქართულად თარგმნა უდიდესი ინტელექტუალური სამუშაოს შესრულებას მოითხოვდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა ეს რომ შეძლო, ამაში დიდი წვლილი განთლების ჩრდ. შუამდინარულმა ე.წ. „ნისიბისიის სკოლის" სისტემამ შეიტანა (ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ჩვენში სწავლა-აღზრდა ნისიბისიის სკოლის ყაიდაზე იყო აგებული. 11:80). ვფიქრობ, საეჭვო არა IV-VI სს. წმინდა წიგნთა სირიულიდან ქართულად თარგმნისას რომ უნდა დამკვიდრებულიყო ქართულში (ასევე სომხურში) უცხო ენიდან გადმოტანილი ტექსტის აღსანიშნავად სირიულ-ასურული სიტყვა „თარგმანი" (სირ. "targmânâ" ასირ. "targumannu". 35:303). ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ქართველებსა და სომხებს სირიულიდანე აქვთ შეთვისებული სიტყვა „ქალაქი". თავისი პირვანდელი მნიშვნელობით იგი „ზღუდეს", „გალავანს" ნიშნავდა.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI ს. 30-იან წლებში მეფე ფარსმან სხვაას ზეობაში (დაახლ. 525-დაახლ. 535 წწ.) ედესიდან ქართლში ასურელ მამათა მოსვლის შემდეგ, ედესის ქართული კოლონია არსებობას განაგრძობდა. 544 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც ქ. ედესის დამცველებმა ირანელთა შეტევა მოიგერიეს (ამ დროს ქ. ედესის დაცვას ქართველი უფლისწული პერანი ხელმძღვანელობდა, პერანი რომ ქართველი უფლისწული იყო, ეს კარგად სცოდნია ირანის შაჰს ხოსრო I-ს. როგორც ამ ომის თანამედროვე, ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპიოს კესარიელი გვამცნობს, ხოსრო I ალყაშემორტყმული ქალაქის მცხოვრებლებისაგან მოითხოვდა, ან მისთვის გადაეცათ პერანი და მისი თანამებრძოლი პეტრე, როგორც მისი ყოფილი ქვეშევრდომები ან 500 კენტინარი ოქრო (27:195). პერანი რომ ვახტანგ გორგასლის შთამომავალი იყო, ეს ცნობილია (5:140-151). ამ ამბების შემდეგ ჩქარა, პერანი ცხენიდან გადმოვარდა და მოკვდა (27:202-204).) იოანე ზედაზნელის მონაფემ მამა ანტონმა დატოვა ედესა და ქართლისაკენ გამოემგზავრა (თან წამოიღო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის პირი). ანტონი თბილისის მახლობლად მარტყოფში დამკვიდრდა.

დაბოლოს, რაც შეეხება იაკობ სპარსის წამების კოპტურ ვერსიაში პეტრე იბერის „ურჰაელად" მოხსენიებას (32:68-69), როგორც შ. ნუცუბიძე ამტკიცებს, ასურელი მამები თუ პეტრე იბერის მიერ დაარსებული ფილოსოფიური სკოლიდან იყვნენ გამოსულნი, უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრე იბერს ედესის ქართულ კოლონიასთან ახლო ურთიერთობა ექნებოდა, რამაც საფუძველი მისცა კოპტ ავტორს პეტრე ურჰაელად მიეჩნია. ჩანს, კოპტ ავტორს, როგორც პეტრეს, ისე პალესტინასა და სირიაში მოღვაწე ქართველების სამშობლოდ ურჰა (ედესა) მიაჩნდა. აქედან გამომდინარე, იერუსალიმში პეტრეს მიერ დაარსებული მონასტერი „ურჰაელთა მონასტრად" მოიხსენია.

კოპტი ავტორის მიერ ურჰას (ოსროენის) იბერიის იდენტური მნიშვნელობის ქვეყნად მიჩნევას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ძველად ისტორიული ქართლის მცხოვრებნი, რადგან „ჩრდილოეთის იბერებად" იწოდებოდნენ (X ს. ბერძენი ავტორი ნიკიტა პაფლაგონიელი ანდრია პირველწოდებულის საქადაგებელ ქვეყანას ასე უწოდებს. 19:40-41). ცხადია, ჩრდ. შუამდინარეთის ის რაიონები, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, ძველ ავტორებს შეიძლებოდა „სამხრეთის იბერიად" მიეჩნიათ (გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა). ასეთი ტრადიცია, როგორც ჩანს, ისე მყარი იყო სირიულ სამყაროში, რომ XVII საუკუნეშიც კი, ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი მდ. ევფრატის დასავლეთით მდებარე ტერიტორიებს საქართველოს საკუთრებად თვლიდა (22:12).

ასურელ მამათა ქართლში წამოსვლით, რა თქმა უნდა, ედესის ქართულ კოლონიას არსებობა არ შეუწყვეტია. სანამ ოსროენა ბიზანტიის ხელში იყო, ასურეთი გარკვეული ქართველური მოსახლეობით განაგრძობდა ბიზანტიის „იმპერიის საერთო კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას". არაბთა დაპყრობების დაწყების შემდეგ, როცა თვით სასანიანთა სახელმწიფომაც კი არსებობა შეწყვიტა, ასურეთი მოწყდა იმპერიას და მოსახლეობამ არა თუ მშობლიური ენა დაივიწყა, ჩრდ. შუამდინარეთში ქრისტიანობაც გაქრა.

ლიტერატურა

1. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, უნ-ტის ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, ტ. I, თბ., 1955.
2. გოზალიშვილი გ., „ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის ცხოვრებიდან", თბ., 1965.
3. გოილაძე ვ., „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი", თბ., 1991.
4. გოილაძე ვ., „საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები საქართველოში", „მნათობი", 1992, №5-6.
5. გოილაძე ვ., „ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია", თბ., 1990.
6. გოილაძე ვ., „ქართული ეკლესიის სათავეებთან", თბ., 1991.
7. დანელია კ., „რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან", თბ. უნ-ტის შრომები (არქ., კლასიკ. ფილოლოგ. ბიზანტინისტიკა), თბ., 1978.
8. კეკელიძე კ., „იერემია იბერიელი, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან", I, თბ., 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. კეკელიძე კ., „მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე", ეტიუდები, ტ. VI, თბ., 1960.
10. კეკელიძე კ., „საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ", ეტიუდები, ტ. I, თბ., 1956.
11. კეკელიძე კ., „ქართული ლიტერატურის ისტორია", ტ. I, თბ., 1960.
12. მოვსეს ხორენაცი, „სომხეთის ისტორია", ძვ. სომხურიდან თარგმნა ალ. აბდალაძემ, თბ., 1984.
13. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. I, თბ., 1970.
14. „ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები". კ. კეკელიძის რედაქტორობით, კიმენი I, ტფ. 1918.
15. ჩუბინოვი დ., „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის მკვიდრთა მოსახლეთა", გაზ. „ივერია", 1877, №14, 15, 16, 17.
16. „ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა... ეფრემისი", მამათა ცხოვრებანი, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.
17. ჭურღულია ო., „ხე" ნაწილაკის ვარიანტები ქართველურ ენებში, „მაცნე", ენისა და ლიტ. სერია, 1983, №4.
18. ხინთიბიძე ე., „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის", თბ., 1982.
19. ჯავახიშვილი ივ., „ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში", „მოამბე", 1900, №5-6.
20. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, „ქართლის ცხოვრება", ტ. I, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955.
21. Гидулянов П.В., „Восточные патриархи в период четырех первых вселенских соборов", Ярославль, 1908.
22. Жузе П., „Грузия в 17 столетии по изображению патриарха Макария", Казань, 1905.
23. Иеромонах Феодосий Олтаржевский, „Палестинское монашество с IV до VI века", Правосл. палест. сборник, 44 вып. т. XV, вып.II, СПБ, 1896.
24. Кекелидзе К.С., „Историко-агиографические отрывки", ეტიუდები, т. VII, თბ, 1961.
25. Моммзен Т., „История Рима", т. V, М., 1949.
26. Пигулевская Н.В., „Культура сириицев в средние века", М., 1979.
27. Прокопий Кесарийский, „История войн римлян с персами", КН.II, СПБ., 1880.
28. Рудаков А.П., „Очерки византийской культуры по данным греческой агиографии", М., 1917.
29. Страбон, „География", перевод Г.А Стратановского, М., 1964.
30. Фаррар Ф.В., „Жизнь и труды святых отцов и учителей церкви", I, Петроград, 1902.
31. Фаррар Ф.В., „Жизнь и труды святых отцов и учителей церкви", Петроград, 1903.
32. Ханигман Э., „Петр Ивер и сочинения Пс.= Дионисия = Ареопагита", УБ = ტის შრომები, ტ.59, თბ., 1955.
33. Шанидзе А.Г., К. этимологии названия «Топада», I, ენიმკის მოამბე, ტფ., 1937.
34. Brosset M., „Histoire de la Georgie", I, St. Pb, 1849.
35. Hübschman H., „Armenische Grammatik", Leipzig, 1897.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

გამოძახილი

„ვაუკაცურად ებრძოდა წინამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს“.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, 20-იან წლებში არსებული ლიტერატურული გაერთიანების, „აკადემიური ასოციაციის“ ლიდერი და მისი იდეური წინამძღოლი გახლდათ. როგორც ცნობილია, 1931 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ლიტერატურული დაჯგუფებები გააუქმა და მათი წევრები მწერალთა კავშირში გააერთიანა. შემდეგ დაიწყო რეპრესიები: ნანილი კავშირიდან გაირიცხა, ზოგიერთი ფიზიკურადაც განადგურდა. ყველაზე დიდი რისხვა „აკადემიურ ასოციაციაში“ მოღვაწე მწერლებს დაატყდათ თავს. კონსტანტინე გამსახურდია იმდროინდელი ხელისუფლების მიმართ ხშირად ელასტიურობას, მოქნილობას იჩენდა. იგი ხანდახან გონივრულ კომპრომისზეც მიდიოდა, რათა ამით, მისთვის ყველაზე ძვირფასი – ეროვნული ცნობიერება გადაერჩინა, რომლის აღორძინებასა და განვითარებას, თავისი კალმით, სიკვდილამდე ერთგულად ემსახურა.

1934 წელს კონსტანტინე გამსახურდია წერს ნარკვევს, „უკრაინის თემიდი“, რომელსაც კრიტიკოსების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. ისევ გაისმა დაუმსახურებელი ლანძღვა და განქიქება. საპასუხოდ ქვეყნდება წერილი „გამოძახილი“ („სალიტერატურო გაზეთი“, 1934 წ., № 15, გვ. 4), რომლის გაცნობის შემდეგ, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, თუ როგორი შეუდარებელი პოლემისტი იყო ბატონი კონსტანტინე და რაოდენ ბრძნული შეგონებანი დაუტოვა შთამომავლობას განსჯისათვის. ეს სტატია შემდგომ არ გამოქვეყნებულა, ის არ არის შესული მწერლის თხზულებათა ტომეულებში. ამ სტატიას მწერლის შემოქმედების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი თავის აქტუალობას დღესაც ინარჩუნებს.

ოთარ გამსახურდია

ვინც საქართველოს ისტორიას კარგად იცნობს, მას უთუოდ ეცოდინება, რომ არც დავითის, არც თამარის, არც ერეკლეს საქართველო მარტოოდენ ქართული სისხლის ნაშიერთა მხრებზე არ ყოფილა აშენებული. ჩვენი უჭკვიანესი მეფეები და სახელმწიფო მოღვაწეები მუდამ იმის ცდაში იყვნენ: საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში ყველა, საქართველოში მცხოვრები ტომის, ენისა და ჯიშის ხალხი ჩაეთრიათ. დავით აღმაშენებელი მუსულმანებს მორიდებულად ექცეოდა, ყივჩაღებს მშვილდ-ისარს აძლევდა ხელში, მიზგითში ლოცულობდა. თამარი სომხებს უდიდეს პოსტებს ურიგებდა და ერეკლე მეორე სომხებს და აზერბაიჯანელებს მფარველობდა. რა თქმა უნდა, ეს არ აიხსნება მათი ინტერნაციონალიზმით, არამედ ისტორიული აუცილებლობით და ისინი თავიანთი ნაციონალური პოლიტიკიდან გამოდიოდნენ...

ზოგიერთი კრიტიკოსი მუდამ იმის ცდაში იყო, ემიგრაციასთან, ფაშისტებთან, ბოლშევიკების მტრებთან დავეკავშირებინე როგორმე. 1921-1932 წლების მანძილზე მეც არა ერთხელ მსმენია საბჭოთა საქართველოს მტრების ძახილი და წამყოფა. გულახდილად ვაღიარებ, ლამის არ იყო გადავყევი ამ რყევას, მაგრამ, როგორც ხედავთ, ღალატით აროდეს შემიბილწავს ჩემი სახელი. ისეთი შემთხვევებიც მქონდა: იმიგრაციის ქალაქში ყოფნისას, ურისკოდ გადავსულიყავ მტრების ბანაკში, მაგრამ მე სულ სხვა ეთიკის კაცი ვარ, ვისთვისაც ერთგულება და ძმობა მითქვამს, არასოდეს მიღალატნია... ახლა უხერხულია და როცა მე აღარ ვიქნები ამ ქვეყნად, ჩემი მეგობრები ჩემს დღიურებს გამოაქვეყნებენ ალბათ და მაშინ ყველა გაიგებს, თუ როგორი მძიმე სულიერი ტანჯვის გზით მივლია მე 1921 წლიდან „უკრაინის თემიდამდის“...

შესაძლოა, პირადად ჩემთვის უკეთესიც ყოფილიყო ევროპაში დარჩენა, მაგრამ მოღალატის სახელით მე არ შემიძლია ცხოვრება. გარდა ამისა, მე მომწყინდა სუყე, გამოფიტული და მაძღარი ცხოვრება. მე მუდამ მძაგდა ევროპის ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალური მატერიალიზმი და ოქროზე აგებული ბაბილონი. მე არად ვაგდებ იმ ოთხიოდე ფუთ ლეშს, რომელსაც ყოველი ადამიანი ატარებს ძვლებით. ამისათვის თაღლითობა და ვაჭრ..ობა არა ღირს...

ზოგიერთს ისიც არ გაეგება, რომ გერმანული კულტურისადმი ტრფიალი არ ნიშნავს გერმანული ჟანდარმერიისადმი ტრფიალს. გარდა ამისა, გერმანოფილობისა და ეპიგონობის პერიოდი უკვე განვლილი მაქვს და კრიტიკული თვალით შევცქერი ყოველი ერის კულტურას, სულერთია, გერმანული იქნება იგი, ფრანგული, იტალიური თუ რუსული...

ახლა ორიოდე სიტყვა „მგელთან დაძმობილების" გამო. მე მგონია, ამხანაგი ორაგველიძე აქ ოდნავ აჭარბებს: ერთი რომ, აქ, პანთეისტური განწყობილების ამბავია. პოეტს უფლება აქვს ყოველ ცხოველს, ყოველ ხეს მოეფეროს, „ძმა და მეგობარი" უწოდოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, იგი მუშების ამხანაგად ვეღარ გამოდგეს.

ასეთი რამ მე მართლაც ვნახე ბუნებაში. გაზაფხულის პირად, სანადიროდ წასულმა შევნიშნე: მგელი მთის კონცხზე იჯდა და ყმუოდა. ჩემს თანამონადირეს — ძველ მწყემსს, მიზეზი ვკითხე. ასე მიპასუხა: ხანდახან ისიც მოხდება, შეყვარებული მგელი თავის მიჯნურს დაჰკარგავს, შემდეგ გადმოდგება და უხმობსო გულის საყვარელს. მე ისე ამიტანა იმ მგლის საცოდაობამ, თოფი არ ვესროლე. შემდეგ ამისა, მისი მწუხარება ავწერე. ფაქტი ესაა: მიუხედავად ყოვლისა, მე მაინც თქვენთან ვმუშაობდი...

შესაძლოა, არც მე ვიყო ჩემი ადამიანური და ლიტერატურული დეფექტების გამო აღტაცებული, ნაგრამ არც ისე სქელკანიანი ადამიანი გახლავართ, რომ ცამეტი წლის მანძილზე საყვედურების მოსმენა მახარებდეს. გარწმუნებთ, მე სახელზე დახარბებული კაცი არა ვარ (არც მესაჭიროება ასეთი რამ). ჩვენი კრიტიკა შეუწყნარებელი ტონით მელაპარაკებოდა მუდამ. გარდა ამისა, 1923 წელს მე წამოვაყენე ე.წ. დისტანციის თეორია. ვამბობდი: სანამდის რევოლუციის ფონზე წარმოშობილი ტიპაჟი თავად სინამდვილეში არ ჩამოყალიბდება, სანამ ამ ტიპების კრისტალიზირება არ მოხდება, რევოლუციის ეპოპეა ვერ დაიწერება-მეთქი. დიდ მოვლენებს დიდხანს ჭვრეტა უნდა, დიდ ტილოს დიდხანს დამუშავება-მეთქი. უკვე თეთრმეტმა წელმა განვლო და მე გამოვდივარ ასპარეზზე დიდი რომანით „მთავარის მოტაცება" (რომელსაც შვიდი წელია, რაც ვამუშავებ).

რა საჭიროა ლიტონი ლაპარაკი?

მე პოეზიას არც სპეკულაციისა, არც ფულისა და არც სახელის მოხვეჭის ობიექტად არა ვთვლი, პოეზია საკუთარი ცხედრის საკუთარივე ცრემლით განბანვაა და სხვა არაფერი.

პოეზიისა და ენის საკითხებში მე ოდნავ სხვაგვარად ვფიქრობ, მაგრამ ეს მტრობად არ უნდა ჩამომერთვას.

შესაძლოა, მე, როგორც პოეტს, მოაზროვნეს და ადამიანს, მრავალი ზადი მქონდეს, მაგრამ, არასოდეს, არაგულწრფელი სიტყვების ქვეშ ჩემი სახელი და გვარი არ მომიწერია და ასეთ რამეს არც ოდესმე მოვაწერ ხელს. და ეს ბარათი ასე უნდა დავასრულო:

ყოველმა პოეტმა, ყოველმა მწერალმა მხოლოდ ისეთი სტრიქონების ქვეშ უნდა დასწეროს თავისი სახელი და გვარი, რომლისათვისაც ხმლის მოქნევას შესძლებს ყოველ წუთს. ამას მოითხოვს ჩვენი საუკუნე, ამას მოითხოვს ლიტერატურის, კულტურის პროგრესიც.

ტფილისი, 1934 წელი, მაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიტი მაჩაბელი

ახალი მასალები ქართული კოსტიუმის ისტორიისათვის

უძველესი დროიდან მოყოლებული კოსტიუმის ისტორია წარმოადგენს სარკეს, რომელშიც თავისებურად აირეკლება კაცობრიობის ისტორია. ყოველ ქვეყანას, ყოველ ხალხს თავისი წვლილი შეჰქონდა კოსტიუმის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში საკუთარი ისტორიული რეალიებიდან გამომდინარე. ამასთანავე, ყოველი ეპოქა თავის დაღს ასვამდა ადამიანთა ჩაცმულობას. ამას ემატება ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებანი, ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ვითარება, მისი კონტაქტები გარე სამყაროსთან, საგარეო ურთიერთობათა ხასიათი. ტანსაცმლის ევოლუციაში აისახება ქვეყნებისა და ხალხების ისტორიული განვითარების ობიექტური სურათი.

ეროვნული კოსტიუმის ისტორიის აღდგენა ხდება როგორც ხალხური კოსტიუმის შემორჩენილი მასალების, ასევე, უპირატესად, ძველი ხელოვნების ძეგლებში შემონახული გამოსახულებების მიხედვით. შუა საუკუნეების ხელოვნების პირობითობის მიუხედავად, მათში სავსებით ობიექტურად აისახება ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები. ხელოვნების ნაწარმოებების მიხედვით შესაძლებელია აღდგეს კოსტიუმის ცვალებადობის მთელი ისტორიული გზა. კოსტიუმის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ უძველეს ხანაში სამოსი არა მარტო ფარავდა ადამიანის სიშიშვლეს, არამედ მისი სოციალური მდგომარეობის თავისებურ სიმბოლოსაც წარმოადგენდა. არსებობდა მკაცრი კანონები, რომლებითაც რეგლამენტირებული იყო ტანსაცმლის ტარების წესები, მისი კუთვნილება სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებისადმი.

კოსტიუმის ხასიათს მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. უმთავრესი იყო სათანადო მასალების, ქსოვილების არსებობა. ტანსაცმლის თავისებურება ხაზგასმული იყო აქსესუარებით, სამკაულებით, რომელთა ხასიათს გამოყენებითი ხელოვნების გარკვეული დარგების არსებობა განაპირობებდა (საიუველირო ხელოვნება, ოქრომჭედლობა). ძველი ტანსაცმლის თარგი, მისი ყოველი დეტალი, სამკაულები საგანგებოდ იყო განსაზღვრული.

საბედნიეროდ, ქართული ხელოვნების ნაწარმოებთა სხვადასხვა ჯგუფების არსებობა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ძველი ქართული კოსტიუმის სახე შუა საუკუნეების ადრეული ეპოქებიდან მოყოლებული.

სამწუხაროდ, წინაქრისტიანული ხანის ქართული კოსტიუმის შესახებ მასალის სიმცირის გამო, ძნელია რამის თქმა, თუმცა ამ ეპოქის შესახებ არსებობს საინტერესო ცნობა სტრაბონის „გეოგრაფიაში".[1]

წინაქრისტიანული ხანის ქართული კოსტიუმის შესახებ, კლასიკური ანტიკურობის ქვეყნებისაგან განსხვავებით, მასალა თითქმის არ გაგვაჩნია. სამაგიეროდ, ანტიკური ეპოქის უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა წარმოდგენას გვაძლევს იბერიაში და კოლხეთში გავრცელებული ძვირფასი სამკაულის ხასიათზე. ანტიკურობის ყველა პერიოდიდან, გვიანანტიკური ეპოქის ჩათვლით, საქართველოში აღმოჩენილია თვალმარგალიტით შემკული ძვირფასი ლითონის მაღალმხატვრული სამკაულები: ყელსაბამები, სამაჯურები, დიადემები, მძივები, სამოსლის შემამკობელი კილიტები, საკინძები და სხვა. ანტიკური ეპოქის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული სიტუაციის გათვალისწინებით უთუოდ სავარაუდოა, რომ იბერიასა და კოლხეთში საზოგადოების მაღალი ფენები მისდევდნენ ძირითადად ელინურ-რომაულ მოდას. ამასთანავე, უდავოა, რომ ქვეყანაში არსებობდა უძველეს ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული ეროვნული კოსტიუმის გარკვეული ფორმები, რომლებიც პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებებზე როდი იყო დამოკიდებული და განაგრძობდნენ არსებობას ხალხური ცხოვრების წიაღში. ეს ტრადიციები გადადიოდა თაობიდან თაობაზე და ამიტომაც სავსებით გასაგებია სტრაბონისეული ცნობა იბერიელთა ჩაცმულობის შესახებ, რომელშიც ჩანს ავტორის სურვილი აღწეროს მისთვის უცნობი ხალხის კოსტიუმი ელინებისთვის ნაცნობი აღმოსავლური ხალხების კოსტიუმებთან მიმართებაში (მიდიელები – სპარსელები, სკვითები – ხარმატები).

ქართული ეროვნული კოსტიუმის შესახებ მსჯელობა შესაძლებელი ხდება უფრო სარწმუნოდ ქრისტიანული ეპოქის დასაწყისიდან, როდესაც ხელთ გვაქვს სახვითი ხელოვნების ძეგლებზე საერო პირთა გამოსახულებები, რომელთა ჩაცმულობის მიხედვით შესაძლებელია მსჯელობა ეროვნული კოსტიუმის ხასიათზე, მის თავისებურებაზე, როდესაც ხერხდება თვალის გადევნება კოსტიუმის ევოლუციისათვის.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული ჩაცმულობის ნიმუშები ცნობილი გახდა ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკური ძეგლის – მცხეთის ჯვრის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე წარმოდგენილი ერისმთავრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიეფური გამოსახულებების წყალობით. საქართველოს საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენლების – ერისმთავრების ჩაცმულობა აღმოჩნდა ივ. ჯავახიშვილის ყურადღების სფეროში. ამ რელიეფურ პორტრეტებზე დაყრდნობით მეცნიერმა განიხილა ქართული ტანისამოსის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები.[2] მცხეთის ჯვრის საერო პორტრეტები გამოიკვლია გ. ჩუბინაშვილმა თავის მონოგრაფიულ ნაშრომში არქიტექტურის ამ უნიკალური ძეგლის შესახებ.[3] აქვე განხილულია ატენის სიონის რელიეფთა ჯგუფიც, რომელიც მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს ქართული კოსტიუმის ისტორიის ამ ადრეული ეტაპის წარმოსადგენად.

მცხეთის ჯვრის ტაძრისა და ატენის სიონის ქტიტორული რელიეფები წარმოადგენას გვაძლევს VI-VII საუკუნეთა ქართული კოსტიუმის ხასიათზე. ამ ეპოქის ხელოვანთა მხატვრული გამომსახველობის ხერხთა პირობითობის მიუხედავად, პერსონაჟთა ჩაცმულობა, მისი დეტალები დიდი გულმოდგინებით არის გადმოცემული. ამის მიუხედავად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული ხურთომოძღვრების ამ გამორჩეულ ძეგლებზე ქვეყნის უმაღლესი სოციალური ფენის წარმომადგენლებია გამოსახული, რაც ერთგვარად ხლუდავს ჩვენს ცოდნას ამ ეპოქის ქართული ჩაცმულობის შესახებ.

ამ ეპოქის (ე.წ. „ერისმთავართა ეპოქის") ქართული კოსტიუმის უფრო სრულად შესწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ქვაჯვარების სვეტების ერთი ჯგუფი, რომლებზეც დონატორთა პორტრეტებია წარმოდგენილი. ეს მასალა ბოლო წლებში შემოვიდა სამეცნიერო პრაქტიკაში და დღეს დიდად გვეხმარება ადრეული შუა საუკუნეების არაერთი საინტერესო საკითხის გარკვევაში. ქვასვეტების რელიეფური ზედაპირის ძლიერი დაზიანების მიუხედავად, რელიეფური „პორტრეტები" გვთავაზობენ მდიდარ ინფორმაციას ძველი ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, მოქანდაკეები ზუსტად გადმოსცემენ ეროვნული კოსტიუმის ხასიათს, მის თარგს, სამკაულს.

ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე შემონახული პორტრეტების კოსტიუმების განხილვა შეუძლებელია საქართველოს მაშინდელი გარემომცველი სამყაროს გაუთვალისწინებლად. ერთის მხრივ, ეს იყო ბიზანტიის ძლიერი იმპერია, სამეფო კარის დიდებულებითა და ბრწყინვალებით, მჭიდრო რელიგიურ-კულტურული და პოლიტიკური კავშირურთიერთობებით მთელს საქრისტიანოსთან; მეორე მხრივ კი – ირანული სამყარო, მისი უძლიერესი ზეგავლენით თავის ახლობელ თუ შორეულ მეზობლებზე ცხოვრების ყველა სფეროში, ხელოვნებასა და ყოფაში. ამასთანავე, გარედან მოსულ ამ გავლენებს ადგილზე ხვდებოდა ქართული ეროვნული კოსტიუმის უძველესი ცოცხალი ტრადიცია, რომელიც განაგრძობდა არსებობას ქვეყანაში ყველა და ყველანაირი გარეშე გავლენების მიუხედავად და რომელიც ითვისებდა და ირჩევდა მისთვის პრაქტიკულად და იდეოლოგიურად მისაღებსა და მოსარგებს იმ ეპოქაში გავრცელებული, ძლიერი მუხტის მქონე კულტურული ცენტრებიდან მომდინარე ნიმუშებიდან. ადრეული რელიეფური პორტრეტების დახმარებით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ არა მარტო საკუთრივ ქართული კოსტიუმის არსი, არამედ მისი ადგილი კონკრეტული ეპოქის კოსტიუმის ისტორიაში ფართო გაგებით.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს საქართველოს წვლილი მხატვრული შემოქმედების ისეთ სფეროში, როგორიცაა კოსტიუმის ხელოვნება, მოკლედ შევეხები ბიზანტიური და აღმოსავლური კოსტიუმის მიმართების ზოგიერთ საკითხს.[4] ამის გარეშე გართულდებოდა ადრეული შუა საუკუნეების ქართული კოსტიუმის თავისთავადობის გარკვევა.

ბიზანტიური კოსტიუმი V-VI საუკუნეებში ძირითადად შედგებოდა სელის ან შალის (სეზონის მიხედვით) ტუნიკისა და მოსასხამისაგან. მათი თარგი დროთა განმავლობაში თანდათან იცვლებოდა. ტუნიკა გრძელდება და მთლიანად ფარავს ფეხებს კოჭებამდე. ჩნდება გრძელი სახელოები. იუსტინიანეს ხანაში (527-565 წ.წ.) ახალგაზრდულ კოსტიუმის მაჯასთან ძალზე შევიწროებული და მხრებთან გაფართოებული სახელო აქვს.[5] ხმარებაში შემოდის შარვალი.

ცნობილია, რომ სამოსელი და ფეხსაცმელი ფართო ვაჭრობის საგნებს წარმოადგენდა. სინესი კირენელის (V ს.) მიმოწერიდან ძმასთან ირკვევა, რომ ლივიის ქალაქ ფიკუნტში დროდადრო ჩამოდიოდა ფეხსაცმლითა და ტანსაცმლით მოვაჭრე ათენელი ვაჭარი.[6] ეს ცნობა გვიჩვენებს კოსტიუმის გავრცელების გზებსა და მასშტაბებს ადრებიზანტიურ ხანაში.

ბიზანტიელისთვის კოსტიუმი მისი სოციალური და თანამდებობრივი მდგომარეობის ამსახველი იყო. არსებობდა ნაირგვარი განმასხვავებელი ნიშანი, რაც სულ უფრო რთულდებოდა. ეს იყო რომის იმპერიიდან მომდინარე წესი. რომში სენატორთა წოდების განმასხვავებელი იყო სამოსელზე ვერტიკალურად განლაგებული მეწამული ზოლები – **კლავები.** თანდათან ამ ნიშანმა დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და იქცა თავისუფალი რომაელებისათვის სამოსლის უბრალო სამკაულად. ბიზანტიაში კლავები კვლავ იქცევა გარკვეულ წოდებრივ ნიშნად. ეს განმასხვავებელი სამკაული სხვადასხვა ფორმას იღებს – კვადრატის, რომბის, ჯვრის, წრეების. ყველაზე მაღალი ნიშანი იყო ოქროს რომბი – **თავლიონი** – იმპერატორის მეწამულ მოსასხამზე. იმპერატორის უახლოესი წრე – დიდებულები, თანამდებობის პირები თეთრ სამოსელს მეწამული რომბებით იმკობდნენ. თანამდებობის პირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანგის აღმნიშვნელი ნიშნები იყო სარტყელები, საკინძები, ბალთები, ფიბულები.

ბიზანტიელ დიდებულთა და იმპერატორთა კოსტიუმის თავისებურება დაკავშირებულია აღმოსავლურ და ბარბაროსულ ჩაცმულობასთან. ბიზანტია, ცივილიზებული სამყაროს ეს უკიდურესი აღმოსავლურ-ევროპული ცენტრი, ბარბაროსული გარემოთი გარშემორტყმული, ამ ბარბაროსული გარემოს მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდიდა, რაც კოსტიუმში აისახა. რთული და არაეთრმნიშვნელოვანი იყო ბიზანტიის ურთიერთობა აღმოსავლურ სამყაროსთან. საინტერესოა, როგორ ახასიათებდა ბიზანტიის საიმპერატორო ხელოვნებას ქრისტიანული ხელოვნების დიდი მკვლევარი ნ. კონდაკოვი: „ბიზანტიური სამეფო კარი არასდროს იყო აზიური სამეფო კარი, მაგრამ იგი საკუთარ თავში აერთიანებდა აზიურ სამეფო კართა ფორმებსა და მოდებს რომის იმპერიისაგან მიღებულ მთელ კულტურულ მემკვიდრეობასთან".[7] ბიზანტიაში არსებული რთული იერარქიული სისტემა მრავალრიცხოვანი თანამდებობებითა და ხარისხებით, სრულიად ახალი მოდელის მიხედვით, იყო ანყობილი. იქმნებოდა ახალი წეს-ჩვეულებები, ახალი მოდა.

ბერძნების მიერ მომთაბარე ბარბაროსების ფანატიკურმა უარყოფამ ბიზანტიაში ჰპოვა თავისი გაგრძელება. პროკოფი კესარიელი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ბიზანტია გაწყობილი იყო „ჰუნების მოდის წინააღმდეგ". მაგრამ ეს „უცხო" მოდა და სხვადასხვა სიახლე ხიბლავდა ახალგაზრდებს და თანდათან, შეუმჩნევლად კანონად იქცეოდა შემდეგი თაობებისთვის. კონსტანტინე პორფიროგენეტის (905-959 წ.წ.) წიგნი ბიზანტიური კარის ცერემონიების შესახებ ჩქმალავს ზოგ რამეს IX-X საუკუნეების რეაქციის გამო. წიგნში აღწერილია საიმპერატორო კოსტიუმი, დიდებულთა ჩაცმულობა, ჩამონათვალშია კარის ჩაცმულობის ცამეტი სხვადასხვა ნაირსახეობა.

მეცხრე საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორები და დიდებულები, განსაკუთრებით კი სამხედროები და მაღალი თანმდებობის პირები უპირატესობას ანიჭებდნენ აღმოსავლური წარმოშობის სამოსელს — **სკარამანგიონს**. საიმპერატორო სახელოსნოები ამზადებდნენ ამგვარ სამოსელს ბარბაროსთა შორის. საჩუქრების სახით გასავრცელებლად. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით იმპერატორი ოფიციალურ მიღებებზე გამოდიოდა სკარამანგიონით.

დღეისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს სრული თანხმობა ამ ტიპის კოსტიუმის ზუსტი ფორმის შესახებ. თვით ბიზანტიელები ამტკიცებენ, რომ სკარამანგიონი ბიზანტიამ გადაიღო სასანიანთა ეპოქის სპარსელი მეომრების ჩაცმულობიდან. თვით სასანიანებმა კი ეს მოდა გადმოიღეს კროსის დროის კოსტიუმიდან და გაანახლეს იგი. შესაძლოა, ეს ჩაცმულობა ბიზანტიელებმა გადაიღეს სპარსელებისგან ბერძენ-სპარსელთა ხანგრძლივი ომების დროს.

სასანური ეპოქის ვერცხლის ლანგრებზე გამოსახულ სცენებში სპარსეთის მეფეთა მხედრული ჩაცმულობის საინტერესო ნიმუშებია წარმოდგენილი. მათ შორის აღსანიშნავია მუხლებამდე ჩამოსული, წელთან შევიწროებული „ქულაჯა" ჩაჭრილი გვერდებიო, მხრებიდან გულმკერდზე განლაგებული „პორტუპეის" მსგავსი ტყავის სარტყელებით. ქამარზე მიმაგრებულია ხმლის ან ხანჯლის დასამაგრებელი ტყავისვე სალტეები. ამგვარი „ქულაჯის" ქსოვილი ძალზე ელასტიურია, იგი თხელ ნაკეცებად ეკვრის სხეულს. იმ შემთხვევაში, როდესაც სამოსელი სარჩულიანია, ნაკეცები მძიმე და ფართოა. ასეთი ქსოვილი არ უშლის ხელს მოძრაობას, არ ზღუდავს მას. სპარსეთის მეფეთა გამოსახულებებზე (ნადირობის სცენები ვერცხლის ლანგრებზე) ორი სახის ჩაცმულობაა წარმოდგენილი: მოკლე, მუხლებამდე „კაფტანი" (ჩვენებური „ქულაჯა") და გრძელი „ჩერკესკა" (ნ. კონდაკოვის მიხედვით) ანუ ჩვენებური „ჩოხა". ამგვარი სპარსული ჩაცმულობის ორიგინალურ ტრანსფორმაციას წარმოადგენს ს.-აღ. ამიერ-კავკასიაში შემონახული ეთნოგრაფიული კოსტიუმი — წელში გამოყვანილი, ბეწვის სარჩულიანი, ორნამენტული ქობით შემკული მუხლებამდე სამოსელი, რომელიც გვერდებზე ვერტიკალურადაა ჩაჭრილი.

ნ. კონდაკოვი, კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაშრომზე დაყრდნობით, „სკარამანგიონს" მიიჩნევს ბიზანტიური სამეფო კარის დიდებულთა ჩვეულებრივ ჩაცმულობად, რომლის ფერი იცვლებოდა წოდების მიხედვით. ასე მაგალითად, პროტოსპატერებს ემოსათ მწვანე და ვარდისფერი სკარამანგიონი, კანდიდატებს — პოლიქრომული, სტრატორებს — თეთრი ლომებით ან სხვა სახეებით შემკული. ამავე ნაშრომში მკვლევარი სკარამანგიონს სპარსეთის მხედრულ სამოსელს უკავშირებს.

საინტერესოა, რომ აღმოსავლეთიდან წარმომავალი ეს მხედრული კოსტიუმი შემოდის დასავლურ ხელოვნებაში. სწორედ ამგვარი კოსტიუმით არიან მოსილნი მოგვები აღმოსავლეთიდან, რომლებიც ბეთლემში მივიდნენ ყრმა იესოს თაყვანსაცემად. ადრექრისტიანულ და ადრებიზანტიურ ხელოვნებაში ხშირად გვხვდება სპარსული წარმოშობის „ქულაჯის" დამახასიათებელი ჩაცმულობა, გვერდითი ვერტიკალური ჭრილებით.

ტერმინი სკარამანგი გამოკვლეული აქვს ივ. ჯავახიშვილს მის ნაშრომში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის". წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით მას „სკარამანგი" სახიანი ქსოვილის ერთი ნაირსახეობის აღმნიშვნელად მიაჩნია. ჯუანშერთან ვკითხულობთ: „ვახტანგ გორგასალმა სპარსეთის მეფეს „უძღვნა სტავრა სკარამანგი". მელქისედეკ კათალიკოსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

1031-1033 წ.წ. შეწირულებაში ეკითხულობთ: „... **სკარამანგნი** დიდნი გარეშეოლვილნი, ვერცხლისა გრგოლითა შეკაზმულნი...“ იქვე ნათქვამია, „სამარტვილოსა შიგან საკურთხეველი ჩემი შევმოსე **სკარამანგითა**“. საბასთან ერთი ამონანერია დართული: „ვითარცა პოლიტნი მოქალაქენი **სკარამანგსა** შეიმოსნენ“.[8]

ბიზანტიური კოსტიუმი შესანიშნავად არის შესწავლილი. ჩვენ ამ საკითხს შეეხეთ იმდენად, რამდენადაც მას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა ქართულ ჩაცმულობაზე შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპზე.

ბიზანტიური სამეფო კარი თავისი მოკავშირეების მიმართ კეთილგანწყობის ნიშნად არ იძურებდა ძვირფას საჩუქრებს, რომელთა შორის საზეიმო ტანსაცმელიც იყო. ამგვარ ძღვენს სოციალური, პოლიტიკური და სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ბიზანტიური მოდა შემოდის საქართველოში უკვე V-VI საუკუნეებში. ეს იყო ბიზანტიური გავლენების შემოსვლის პირველი ეტაპი, რომლის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ბიზანტიელი მწერლების ცნობების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისტორიკოს **აგათიას** ნაშრომი, სადაც მოთხრობილია ლაზიკის მეფისათვის სამეფო ნიშნების გაგზავნის შესახებ. კონსტანტინოპოლიდან: სხვათა შორის ბიზანტიის კეისარი უგზავნიდა მოკავშირეებს „ოქროს გვირგვინს, ძვირფასი ქვებით შემკულს“.[7]

განვითარებულ შუა საუკუნეებში საქართველოში მეფეთა კურთხევის წესი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ადრეული შუა საუკუნეებიდან მომდინარე ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენდა („ლაზიკისდროინდელი სამეფო ნიშნების ნაშთი...“).

საქართველოში ბიზანტიური სამოსელი, სამოხელეო და „საპატივო“ შემოდიოდა ბიზანტიურ ოფიციალურ ტიტულებთან ერთად. ასეთები იყო **მაგისტროსი, ვიპატოსი, პატრიკიოსი, კურაპალატი**. ქართული კოსტიუმისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ივ. ჯავახიშვილი, იხილავს რა IX-XI ს.ს. ვითარებას, აღნიშნავს, რომ „ყოველთვის, როდესაც ბიზანტიის მეფე საქართველოს მთავარს, ან თვით საქართველოს მეფესაც ამა თუ იმ „პატივს“ მიანიჭებდა, იგი თვითეულ მათგანს „საპატივო“ სამოსელსა და სამკაულსაც უგზავნიდა ხოლმე“.[10] იმ დროს, როდესაც იწერებოდა ეს გამოკვლევა, ადრეული შუა საუკუნეების საერო კოსტიუმის ნიმუშების ნაკლებობა (იმ დროისათვის ცნობილი იყო უმთავრესად მცხეთის ჯვრისა და ატენის სიონის რელიეფების საერო პორტრეტები) არ იძლეოდა ხელსაყრელ მასალას ფართო განზოგადოებებისათვის. ამჟამად კი ქართული ქვასვეტების ახალი ნიმუშების აღმოჩენის წყალობით გვაქვს უძველესი ქართული კოსტიუმის საერთო სახის აღდგენის საშუალება. ჩვენს ხელთ დღეისათვის არსებული მასალა განამტკიცებს ივ. ჯავახიშვილის ზემომოყვანილ დებულებას და ადასტურებს, რომ ანალოგიური მდგომარეობა ბიზანტიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ადრეულ შუა საუკუნეებში არსებობდა. ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთკავშირი საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა, რისი არაერთი მაგალითია შემონახული საისტორიო წყაროებში. მაგალითად, რომანოზ კეისარმა გურგენ ქართველს, მაგისტროსად დანიშნულს, საგანგებო მოციქულის ხელით სამაგისტრო ტანისამოსი გამოუგზავნა.[11] ბასილი კეისარმა დავით დიდს, კურაპალატის ტიტულთან ერთად, გამოუგზავნა შესამოსელი ძვირფასი სამკაულითურთ.[12]

თუ ამგვარ კონტექსტში განვიხილავთ ადრექრისტიანულ ქართულ ქვაჯვართა და ქვასვეტთა რელიეფურ გამოსახულებებს, დავრწმუნდებით, რომ ისინი მხოლოდ საკულტო და მხატვრულ ღირებულებას როდი წარმოადგენენ, მათში აისახა საქართველოს მკვიდრთა საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრება, პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული მოვლენები. რელიეფები ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

●

იმისათვის, რომ ცხადი გახდეს ზემომოყვანილი ისტორიული ფაქტების მნიშვნელობა ქართული ეროვნული ტანსაცმლის ისტორიის შესწავლისათვის, მივმართავთ ხელოვნების კონკრეტულ ნაწარმოებს, რომელიც ცხადჰყოფს ადრეული შუა საუკუნეების ქართული კოსტიუმის თავისებურებებს და ამასთანავე გვიჩვენებს იმ გარემოს, რომელშიც ყალიბდებოდა ძველი ქართული ჩაცმულობა, როგორც ეროვნული კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. შეგვეძლო მოგვეყვანა VI-VII საუკუნეების ნებისმიერი ქვასვეტის საერო პორტრეტი, მაგრამ ვარჩიეთ არჩევანი შეგვეჩერებინა სოფ. დავათში (დუშეთის რ-ნი) აღმოჩენილ ქვასვეტის ფრაგმენტზე, რომელზედაც საერო პორტრეტის ძალზე საყურადღებო ნიმუშია წარმოდგენილი.

დავათის ქვასვეტი ჩვენამდე დაზიანებული სახით მოვიდა, მაგრამ ანალოგიურ ძეგლებთან შეჯერებით შესაძლებელი ხდება მისი რელიეფური დეკორის მიახლოებითი სქემის აღდგენა. შემორჩენილია ქვასვეტის ქვედა ნაწილი. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ზედა სიბრტყეში არ არის ჩაღრმავებული ფოსო სკულპტურული ჯვრის ჩასამაგრებლად, რომლის კვარცხლბეკებსაც წარმოადგენდა ამგვარი ოთხწახნაგა, რელიეფებით დაფარული სვეტები. ერთ წახნაგზე შემორჩა ჩვილედი ღმრთისმშობლის რელიეფური ხატი, მის საპირისპირო მხარეს კი — ზემოთ — მთავარანგელოზთა ორი სიმეტრიული ფიგურა (აავარაუდიდ, მათ ზემოთ მოთავსებული ქრისტეს ამაღლების კომპოზიციის ნაწილი), ქვემოთ კი — საერო კოსტიუმში გამოწყობილი ორი პერსონაჟი, უთუოდ ამ ქვაჯვარას აღმმართველი ქართველი დიდებულები, ერთი საგვარეულოს წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავათის ქვასვეტის იკონოგრაფიული პროგრამა თავისთავად იწვევს ასოციაციას ბიზანტიურ პრაქტიკასთან. სწორედ იმ ეპოქაში, რომელსაც მიეკუთვნება დავათის ძეგლი – იუსტინიანეს ხანაში (VI ს.) რელიგიურ ხელოვნებაში პოპულარული ხდება თემა – ქრისტესა და ღმერთისმშობლისადმი ტაძრის მშენებელთა, ქტიტორთა წარდგინება. ქვასვეტის დანიშნულებას ზუსტად შეესატყვისება რელიეფთა სიღრმივი არსი – შემწეობისა და მფარველობის თხოვნის იდეა. ამ თვალსაზრისით დავათისა და სხვა ქართულ ქვაჯვართა არსი თავისებური გამოძახილია ადრებიზანტიური მონუმენტური კომპოზიციების ტრადიციისა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი სხვა ქვასვეტისაგან განსხვავებით, დავათის ქტიტორები ანონიმურნი არიან, მაგრამ მათი ადგილი ქვასვეტის დეკორატიულ კომპოზიციაში, მათი ჩაცმულობა ცხადჰყოფს, რომ აქ გამოსახულნი არიან აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულები. ამ „პორტრეტების" პირობითობისა და სქემატურობის მიუხედავად მათი ჩაცმულობა გულდასმით და უტყუარად არის გადმოცემული. ორივე პერსონაჟი ერთნაირადაა შემოსილი ყელთან მრგვალად ამოჭრილ, მუხლს ქვემოთ ჩამოსულ კაბაში. სწორი, წელთან ოდნავ შევიწროებული, მთლიანად ნაკეცებით დაფარული სამოსელი ქვემოთ ორნამენტული ქობით არის დასრულებული. რომბული ბადით დაფარული ორნამენტული ქობა გვერდებზე ვერტიკალურად ამოდის ზემოთ და ქმნის კოსტიუმის დამახასიათებელ სამკაულს. ამგვარი რომბული სამკაული ხშირად გვხვდება VI-VII საუკუნეების ბიზანტიური საკონსულო სპილოს ძვლის პერსონაჟთა ჩაცმულობაში, რაც რეალური ტანსაცმლის აუცილებელ დეტალს უნდა ასახავდეს.

დავათის საერო პერსონაჟთა ჩაცმულობა ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ეროვნული კოსტიუმის ისტორიისათვის. ქართულ ქვასვეტთა წახნაგებზე წარმოდგენილი საერო პერსონაჟთა ჩაცმულობა (წრომი, ბოლნისი, დმანისი, ბრდაძორი, კატაულა, უბანეთი) გვეხმარება წარმოვიდგინოთ ქართველ წარჩინებულთა ზედა ფენის ჩაცმულობის თავისებურება.

დავათის ქტიტორთა სამოსელი კისერთან ორი რელიეფური ლილვით არის შემოვლებული. თავისუფალ ნაკეცებად დაფენილი სქელი ქსოვილი დამახასიათებელი თარგით არის აჭრილი. სამოსელი მუხლებს ფარავს და ტრაპეციისებურად იშლება ქვემოთკენ. გრძელსახელოებიანი, კალთებგაფართოებული ქიტონები საგანგებოდაა შემკული. ჭარბი დრაპირება მონმობს მათ დამზადებას სქელი, მაგრამ რბილი და ელასტიური ქსოვილისაგან (შეადარეთ მცხეთის ჯვრის ქტიტორთა სამოსლის გლუვი ზედაპირები, რომლებიც მრავითითებს მძიმე ფარჩის ქსოვილზე, რომლიდანაც მზადდებოდა მეფეთა საზეიმო ტანსაცმელი). ზედაპირის ხშირი ნაკეცებით, თავისებური დამუშავებით დავათის საერო კოსტიუმი შეიძლება შეადარდოთ მცხეთის ჯვრის ტაძრის სამხრეთ ფასადზე გამოსახულ ქობულ-სტეფანოზის ჩაცმულობას. ერთნაირია დრაპირება ნვრილი პარალელური ნაკეცებით, ყელთან მრგვლად ამოჭრილი ორმაგი ლილვით შემოწერილი კაბის მოხაზულობა, ფართო ორნამენტული ქობის ნახატი. დავათის ქტიტორთა ჩაცმულობის სიახლოვე მცხეთის ჯვრის ტაძრის ფასადზე გამოსახული ერისმთავართა ოჯახის უმცროსი წარმომადგენლის, ტახტის მომავალი მემკვიდრის სამოსელთან იმას მეტყველებს, რომ დავათის ქტიტორები ფეოდალური იერარქიის უმაღლესი საფეხურის წარმომადგენლები როდი არიან. ისინი ალბათ ადგილობრივი ფეოდალებია, რომლებიც თავისი სოციალური მდგომარეობით ერისთავთა შემდგომი სოციალური ფენის, იერარქიული კიბის მომდევნო საფეხურის წარმომადგენლები არიან. მათი კოსტიუმები თითქოს დმანისის, ბოლნისის და ქართლის სხვა ქვასვეტებზე წარმოდგენილ ქტიტორებსა და ერისმთავართა შორის არსებული ფენის ატრიბუტებს უნდა წარმოადგენდეს.

ქვასვეტების საერო პირთა ჩაცმულობაში საგრძნობი მრავალფეროვნება შეინიშნება, მაგრამ განსხვავებასთან ერთად მათ საერთო ნიშნების მთელი რიგი აერთიანებს. ამ განმეორებად დეტალებს შორის უნდა ვახსენოთ ფართო ორნამენტული ქობა, რომელიც ვერტიკალურად მიუყვება გვერდით ნაკერებს და ამკობს კოსტიუმის გვერდით ჭრილს. მხედართა სალაშქრო ცხოვრებასთან დაკავშირებული სამოსლის ეს თარგი ბიზანტიაში (ალბათ საქართველოშიც) აღმოსავლეთიდან გავრცელდა, სრულიად ბუნებრივია, რომ ეს მოდა გავრცელდა საქართველოშიც, რომელიც ისტორიულად დაკავშირებული იყო აღმოსავლურ სახელმწიფოებთან – პართიასთან, სასანურ ირანთან. სამოსლის ქობის ამგვარი მოხაზულობა ჩანს ბევრი ქვასვეტის რელიეფურ სახეებში (დმანისი, ბოლნისი, ბრდაძორი), მაგრამ ამ საერო პირთა სადა და შედარებით მოკლე სამოსისგან განსხვავებით, დავათის ფეოდალებს მოსავთ გრძელი დრაპირებული კაბა, რაც აახლოვებს მათ წრომის სტელის ქტიტორებთან, კატაულას ქვასვეტის დიდებულებთან, რომელთა შორის ვიპატოსის ტიტულის მქონე წარჩინებულიცაა.

დავათის ქტიქტორთა სამოსელი ყელთან მრგვლადაა ამოჭრილი. ორი რელიეფური ლილვი შემოწერს ამ მოხაზულობას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ ბიბლიაში მოხსენებული სამღვდელმთავრო სამოსლის აღწერილობა: „შუაში თავის გასაყრელი უნდა ჰქონდეს, ამოჭრილის პირს ირგვლივ არშია უნდა გასდევდეს ნაქსოვისგან, როგორც ჯაჭვის პერანგის სათაურს, რომ არ შემოირღვეს" (გამოსვლათა, XXVIII, 32). მართალია, აქ საუბარია სამღვდელო შესამოსელზე, მაგრამ ყურადსაღებია სამოსლის ყელთან დამუშავების ხერხი, რაც ჩანს დავათის ქვასვეტის საერო კოსტიუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსტიუმის ნაკეცთა ხასიათი ცხადყოფს, რომ სამოსელი მთლიანადაა გამოჭრილი ქსოვილის ერთი ნაჭრიდან. არ ჩანს სახელოს ჩადგმის ხაზი. ასეთი თარგის სამოსელი უკავშირდება ადრექრისტიანული (კოპტური) ტუნიკების თარგს.

ადრექრისტიანული ტუნიკების ჩვეულებრივ სამკაულს წარმოადგენდა კალთაზე შემოყოლებული ფართო ორნამენტული ზოლი, რომელიც ბერძნული „გამას" მოხაზულობის ზოლებად დაუყვება გვერდით ნაკერებს. ასეთ სამკაულს, რომელიც ქიტონს ამშვენებდა, ბიზანტიურ წყაროებში „პარაგაუდას" უწოდებდნენ. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლის იოანე ლიდიელის თხზულება, სადაც ნათქვამია, რომ პარაგაუდა იმპერატორისა და მაღალი რანგის დიდებულების – პრეტორის, ეპარქის (ტაბრიელ ოსის – კოსტიუმის განმასხვავებელი ნაწილი იყო.[3]

დავათის დიდებულთა კოსტიუმები სხვა ქვასვეტთა პერსონაჟების ჩაცმულობასთან ერთად წარმოადგენს შესანიშნავ ნიმუშს ძველი ქართული კოსტიუმისა, რომელიც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ადრეული შუა საუკუნეების ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მხარის შესახებ.

კოსტიუმი თავისებური სარკეა, რომელშიც აისახება ადამიანის, საზოგადოების ისტორია. ქართული კოსტიუმი – ეს დიდი და მრავლისმომცველი თემაა, რომელიც თავისებურად და საინტერესოდ იშლება ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. ამ წერილში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება მხოლოდ ცდაა ამ დიდ თემასთან მიახლოებისა.

№ 395
20/IX 1982

n 3523/2
2002-395
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი ორი ლარი

ინდექსი
76125